

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ავთანდილ იოსელიანი

ქართული ეწიგნობრობის, წიგნისა და სტაგების ისტორიის საკითხები

(უძველესი დროიდან XIX ს. 60-იან წლებამდე)



„მეცნიერება“
თბილისი
1990

ნაშრომში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ისტორიული განვითარების ფონზე განხილულია ქართული მწიგნობრული კულტურის ისტორიის აქტუალური პრობლემები.

ყუარადლება გამახვილებული ქართული დამწერლობის აღმოცენების, ხელნაწერ წიგნთა სამწერლობო კერების გამრავლებაზე საქართველოში, — ასევე მის ფარგლებს გარეთ ფართოდ დამკვიდრებისა და მოგვიანებით სტამბურად მათი ბეჭდვის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე — მწიგნობრული კულტურის უმდიდრესი ტრადიციების მქონე ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო..

ნაშრომში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი თბილისსა და ქუთაისში XVIII საუკუნეში პირველად დაარსებული ეროვნული სამეფო სტამბებისა და მათში დაბეჭდილ წიგნების ისტორიას; — XIX საუკუნის I-ლ მეოთხედში იმერეთის სამეფო ქ. ქუთაისში, რაქაში საეკლესიო და ზ. წერეთლის სათავედ სტამბის დაარსებას საჩხერეში; ამ სტამბების გამმართველ მუშაკთა ლეონის წიგნთა ბეჭდვისა და ქართული მწიგნობრული კულტურის წინსვლისათვის იმერეთის სამეფოს გაუქმების ურთულეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ძნელ პირობებში.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ახალი, მაგრამ მძიმე პერიოდი დაიწყო ქართული ეროვნული წიგნისა და სტამბის განვითარების ისტორიაში, მონოგრაფიული ნაშრომი პასუხობს და აჩსებითად ეხსარება ჩვენი თანადროულობის მგზნებარე ეროვნულ მოძრაობას. იგი მოწოდებულია ძველი ქართული მწიგნობრული მაღალი კულტურის წარმოჩენით გააღრმავოს საზოგადოებრივი ინტერესი ქართული წიგნის განვითარების თვისობრივად ახალ საფუძველზე აღორძინებისათვის დამოუკიდებელ საქართველოში.

საზოგადოებრივი რედაქტორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი

რეცენზენტები: ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფ.
ა ლ. ლ ლ ო ნ ტ ი

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი თ. ჩ ხ ე ი ძ ე
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

მ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ჭ. ლ ო მ ა შ ვ ი ლ ი

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი თ. გ ი ც ბ ა

0502000000
• $\frac{M 607(06)-90}{165-90}$ ც გამომცემლობა „მეცნიერება“ 1990

შ ი ს ა ვ ა ლ ი

ქართული მწერლობისა და ქართული წიგნის ბეჭდვის დაფუძნების ისტორიის საიუბილეო თარიღების — პირველი ქართული რომანის „შუშანიკის წამების“ დაწერის 1500 წლისთავისა (1978 წელს) და ქართული წიგნის ბეჭდვის დაწყების 350 წლისთავის (1979 წელს) ღირსეულად აღნიშვნა სიმბოლურ მოვლენად წარმოგვიდგება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

არსებითად ესაა არა მხოლოდ პროგრესულ-დემოკრატიულ დიდ ტრადიციებზე აღმოცენებული ქართული მწერლობისა და მწიგნობრული კულტურის აღიარება, არამედ ხალხთა მეგობრობის კულტურის გლობალურად აღორძინების, წარსულის დიადი მემკვიდრეობის დაცვისა და მისი თანადროულობის სამსახურში მკვიდრად ჩაყენების სახალხო-საიუბილეო ზეიმი.

ქართული ენა უძველესი და უმდიდრესი ენათაგანია საკუთარი დამწერლობითა და ძველი სამწერლობო ტრადიციებით; მასში უწყვეტ პროცესად სრულყოფითაა ასახული საქართველოს წარსული, მისი დღევანდლობა, ქართველი ხალხის ნივთიერი, ზნეობრივ-გონებრივი და სულიერი ცხოვრება.

საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლისა და პოლიტიკური განკერძოებულობის ეპოქის ქართული ენა, დამწერლობა, წიგნი და მწიგნობრობა იყო ეროვნული მთლიანობის, მისი შეგნების მძლავრი მასულდგმულელები და გამაერთიანებელი ძალა.

მრავალეროვან კავკასიაში, განსაკუთრებით ამიერკავკასიაში ქართულ ენას მისთვის დამახასიათებელი კეთილშობილური მისიაც ეკისრებოდა, ესაა საეროვნებათშორისო ენისა და მწიგნობრობის ფუნქციარელიგიურ-სარწმუნოებრივ განსხვავებათა მიუხედავად. „ქართული ეროვნული ენა, — წერდა ნიკო მარი 1922 წელს, — ამჟამადაც კავკასიის მცირერიცხოვან ხალხთა საერთაშორისო ყველა თვისების მქონეა“.

ქართული მწიგნობრობის უძველესი ნიმუშები დღემდე ეპიგრაფიკული წარწერების სახით შემოგვინახა ქართული ტაძრების ნანგრევებშია პალესტინაში — ბეთლემში და თბილისის სამხრეთით მდებარე ბოლნისის ტაძარში — ორივე V საუკუნისაა. ამასთანავე მოღწეულია

უძველესი ე. წ. ხანკეტი ტექსტის შემცველი ხელნაწერი ფურცლები, მეხუთე-მერვე საუკუნეთა წერისა და ენის ნიშნებით რომ თარიღდებიან.

ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი (XI ს.) თავის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ წერს: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განაერცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა, და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“¹.

ამრიგად, წარმართულ იბერიასა და კოლხეთში ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გარკვეულ საფეხურზე ჩამოყალიბდა ქართული მწიგნობრული კულტურა, რომელიც მოგვიანებით, ფეოდალურ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ამ მწიგნობრული რელიგიის გავლენით მძლავრად აღორძინდა. განვითარების თვისებრივად ახალი პერიოდი დაუდგა ქართულ მწიგნობრობას. „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისას“ უცნობი ავტორი დასძენს, რომ: „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ავტორი აქ „ყოველ საიდუმლოებაში“ ქართული ენის ხასიათს, მის ლექსიკურ მარაგსა და ამოურწყყავ სინტაქსურ საშუალებებს — საგნის, მოვლენის, არსის დიდ გამოხატულებითს უნარსაც უნდა გულისხმობდეს.

ქართული ენის განდიდებას — „ქებას“, რასაკვირველია, პანეგირიკული შინაარსი ნაკლებად უნდა ჰქონდეს. იგი ემსახურება სიმტკიცეს, სამშობლოს დიდი მომავლის იმედებსა და ურყევ რწმენას.

ესაა მრწამსი და ისეთი რწმენა ეროვნული თვითმყოფობის დასაცავად, რომელიც ქართველმა ხალხმა მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამირული ბრძოლისა და უწყვეტი შემოქმედებითი ცხოვრების მთელ მანძილზე შეიმუშავა; იწამა და წარმოაჩინა კიდევ არაჩვეულებრივად დიდი უნარი მშობლიური ენისა და მწიგნობრული კულტურის შემოქმედებითად განვითარებისა; მწიგნობრობა, წიგნი და მწერლობა სასიცოცხლო უშრეტ ძალად და უძლეველ საარსებო იარაღად გაიხადა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთ ძველ აღმოსავლეთსა და დასავლეთშიაც.

„უცხოეთში მყოფი ქართველთა მონასტრების წყალობით. — წერს ივ. ჭავჭავიძე — საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა... მწერლობის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგებში საუკეთესო თხზულებანი ან ათარგმნებოდა,

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 26. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1955.

ანდა გადმოქართულებული ასევე იგზავნებოდა და ხელმისაწვდომი ხდებოდა საქართველოში². ხოლო ოშკის, ხანძის, გარეჯის უდაბნოს, მცხეთის, გელათის, ჭრუჭის, ალავერდის, ვარძიისა და ბევრი სხვა სამონასტრო და სამწერლობო კერა ქართული მწიგნობრობის მკვიდრ უძველეს კერებად წარმოგვიდგებიან.

ამ სამწერლობო ცენტრებისა და კერების მნიშვნელობა ქართული მწიგნობრული კულტურის აღორძინება-განვითარებაში იმდენად დიდია, რომ ძნელია მათი ერთბაშად შეფასება.

ილია ჭავჭავაძის შეხედულებით ქართული დამწერლობა ჩვენს ერამდე IV საუკუნეში, ფარნაეზის მეფობის დროიდან, არსებობდა. საქართველოს ჰქონდა მძლავრი საგანმანათლებლო სამწერლობო კერები არა მხოლოდ თავის სამეფოში, არამედ უცხოეთშიც. ილია წერს: „მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანეთის ნახევარ-კუნძული თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც ჰმონწობენ ქართველთა მოღვაწეობას... მონასტრები ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებულნი არა ერთი და ორი დღესაც ჰდაღადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიაში, იერუსალიმის ახლო მახლო, რომ ქართველთათა თავგამომეტებით და დიდის მხნეობით უღწვიათ თავის ქვეყნის გარეთაც“³.

ქართული მწიგნობრობა და მწერლობა ძველი იბერიისა და კოლხეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძნელ და გრძელ გზაზე ვითარდებოდა და კოლხურ-იბერიული სამყაროს წინსვლის მძლავრ იარაღად და ბერკეტად გამოიყენებოდა. ასე ყალიბდებოდა ისტორიულად მწიგნობრული კულტურის მდიდარი ტრადიციები, რომლებიც ფეოდალურ საქართველოში ბევრად გაღრმავდა, ამ მხრით საკმარისია გავიხსენოთ იაკობ კურტაველისა და გიორგი მერჩულეს, გიორგი ათონელის, ჟამთააღმწერლის, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის, არჩილ მეორის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ VI-ისა და სხვათა ნათელი სახელები.

ქართველ ხალხს ისტორიულად ცალ ხელში გუთანი ეპყრა, მეორეში ხმალი, მხოლოდ ამით დაიცვა სამშობლო, შეინარჩუნა ეროვნული არსებობა და მოზღვავებულ მტერს გაუმკლავდაო. ამ აფორიზმით თითქოს მოხდენილადაა გამოხატული საქართველოს ისტორიული ცხოვრება, ოღონდ მეცნიერული კვლევა-ძიებით მტკიცდება. რომ მას მესამე ნიშანი აკლია — ესაა ქართული მწიგნობრობა და მწერლობა, — ქართული ენისა და „კალმის აფრის“ ძალა, რომელსაც მიწათ-

² იხ. ივ. ჭავჭავაძის ილია, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 65.

³ ი. ჭავჭავაძის თხ., ტ. V, გვ. 160.

მოქმედი და მეტალურგი ხალხი ქართულ გუთანსა და ხმალზე უფრო მახვილ იარაღად მიიჩნევდა.

ისტორიული წყაროებიდან კარგად ჩანს ქართული მწიგნობრული კულტურის ფრიად ნიშანდობლივი ეს თავისთავადობა. ძველი ქართული წიგნის ჩამოყალიბების გრძელ გზაზე თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის დაფუძნება-განვითარების დიდ ნიშანსვეტადაა აღმართული რუსთაველის გენიალური კმნილება „ვეფხისტყაოსანი“. ისტორიულად ჩამოყალიბებული ეს უაღრესად დიდი ეროვნული მემკვიდრეობა საუკუნეებით მდიდრდებოდა, ასულდგმულებდა ხალხს. — განვითარების ახალ პერსპექტივებსა და მტკიცე რწმენას უღრმავებდა.

აი როგორ აფასებდა გალაკტიონ ტაბიძე მამაბაპის ღვაწლს ქართული ძველთაძველი მწიგნობრობისა და მწერლობის სფეროში:

„ორთან, როგორც მზის ანარეკლები,
ძველი ქართული ენის ძეგლები.
გულდამშვიდების თუ აძგერების
ხმა ძველთაძველი ხელნაწერების...
რამდენი მწარე ღამის მთევია,
რასაც ჩვენამდე მოუღწევია“.

წიგნი, „უოდნა უენოს ენასა აადგმევინებს, გონებას მოხნავს, სიბრძნეს დასთესს და ფუძესა გაადგმევინებს“ იტყოდა სულხან-საბა ორბელიანი.

ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების მხოლოდ ნაწილი გადაურჩა ჟამთა სიძვეს, მაგრამ ქართველი ხალხის გმირული გარჯისა და ბრძოლის მეოხებით ჩვენს დრომდე მაინც მოაღწია საკმაო რაოდენობის ხელნაწერმა წიგნებმა, ძეგლებმა, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც ქართულ-ეროვნულ, ასევე საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

ივანე ჯავახიშვილის მიერ პალიმფსესტური ტექსტების (1923) აღმოჩენამ და ამოკითხვამ ეპოქა შექმნა ძველი ქართული ენისა და მწერლობის შესწავლაში.

გამორკვეა, რომ საქართველოში ხელნაწერი წიგნები მეხუთე საუკუნემდეც ვრცელდებოდა. რომ თუ V საუკუნეში არა. VI საუკუნეში მაინც დაბადების რამდენიმე წიგნი ქართულად სრულად უნდა ყოფილიყო გადმოთარგმნილი¹. ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხში მწიგნობრული კულტურის გავრცელებისათვის.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის; — ქართული პალეოგრაფია, თბ., 1926, გვ. 247. ტაბულა 1-ის განმარტება. მე-IV—VI ს. პალიმფსესტებისა.

ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომით აღსავსე ცხოვრებისა და სულიერ-ინტელექტუალური კულტურის აღორძინების ფენომენალური მოვლენაა.

წიგნის სტამბურად ბეჭდვა XV ს. 40-იანი წლებიდან იწყება. გუტენბერგის ეს გამოგონება (1436 წ.) ევროპული ცივილიზაციის ისეთ რევოლუციურ მოვლენადაა მიჩნეული, როგორც იყო დადი გეოგრაფიული აღმოჩენები, სამრეწველო გადატრიალება და ხალხთა შორის საერთაშორისო ახალი კავშირ-ურთიერთობის დამყარება.

წიგნის სტამბურად ბეჭდვამ ზღვარდაუდებელი ზეგავლენა მოახდინა მწიგნობრობისა და წიგნის დემოკრატიზაციაზე. წიგნს გზა გაეკაფა ხალხის ფართო მასებისაკენ. შეირყა და აღმოიფხვრა სრული შეუსაბამობა წიგნის წარმოების დაბალ დონესა და წიგნზე გაზრდილ მოთხოვნილებათა შორის, წიგნის სიკეთით ადრე თუ საზოგადოების მსოლოდ ვიწრო წრე — ხალხზე გაბატონებული წოდება სარგებლობდა. წიგნის ბეჭდვის აღორძინებასთან ერთად თანდათანობით ვრცელდება წიგნიერება, სიბნელეში მყოფ ხალხს თვალი ეხილება, სიბნელიდან სამზეოზე გამოსვლის პროცესი ძლიერდება. წიგნის ეს კეთილშობილური მისია საზოგადოების პროგრესის გზაზე იქცევა უდიდეს ძალად, რომელიც მას პოტენციურად მუდამ ახასიათებდა, მაგრამ არ არსებობდა საფუძველი იმისა, რომ ეს პოტენციური შესაძლებლობა სინამდვილედ ქცეულიყო.

„წიგნი უზარმაზარი ძალაა“⁵ — ესაა კონდენსირებულად გამოკვეთილი განსახლვრა, რომელიც კარჯად გამოხატავს იმ როლს, რაც წიგნმა, მისმა გავრცელებამ ისტორიულად საკაცობრიო პროგრესის გზაზე შეასრულა წარსულში, ასრულებს დღეს და შეასრულებს ბევრად უკეთ მომავალში.

მოკლე ისტორიოგრაფიული მიმოხილვა.

ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიული დიდი მემკვიდრეობიდან მოღწეულია მდიდარი ტრადიციები ქართული დამწერლობისა და მწიგნობრული ეროვნული კულტურის შესახებ.

ამ მემკვიდრეობის მეცნიერულად შესწავლა პირველად თვალსაჩინო მეცნიერ-მოღვაწეებმა თეიმურაზ ბაგრატიონმა, სოლომონ დოდაშვილმა, მარი ბროსემ, ნიკოლოზ და დავით ჩუბინაშვილებმა და სხვ. სცადეს.

⁵ ლენჩარსკი. მოგონებანი. — ლენინი და წიგნი. მ., 1964, გვ. 362 (რუს. ენ.).

პროგრესულ-ისტორიული შეხედულებანი ქართულ მწიგნობრობაზე XIX ს. I ნახევარში გ. ერისთავის თანადგომით პლ. იოსელიანმა მოკლედ ასე ჩამოაყალიბა: „ქართველთა მწერლობა ძველია, წინათ ქრისტესა წყობილი, ხოლო ქრისტიანობისა შემდგომად განვრცელებული... ენა ქართული ეკლესიისათვის ქრისტესა შემზადებული... უმეტეს და უკეთესთა რომაელთა ანუ ლათინთა ენისა, არის ღირსი გაფრთხილებითა დაცვისა“... ;

ქართული წიგნისა და სტამბის ისტორიის შესახებ, საქართველოსა და უცხოეთში ქართულ დაბეჭდილ წიგნებთან ერთად, წერილობითი საბუთები შემოუნახავს საქართველოს. ევროპისა და რუსეთის არქივთსაცავებს.

აღნიშნული პირველწყარონი და დოკუმენტური ისტორიული მასალა ქართული მწიგნობრობისა და ეროვნული სტამბის შესახებ იმთავითვე აღუძრავდა ინტერესს გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს, როგორც იყვნენ — იოანე და თეიმურაზ ბატონიშვილები, სოლ. დონდაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, პლ. იოსელიანი, ალ. ცაგარელი, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, ალ. ხახანაშვილი, პ. კარბელაშვილი, მ. ჯანაშვილი, მ. თამარაშვილი და სხვ. მათ თავის დროზე მოიძიეს უნიკალური (შედარებით მცირე ნაწილი) საჭირო მასალები, პირველად შემოიტანეს სამეცნიერო ბრუნვაში და ზოგმა ცალკე ნარკვევიც კი მიუძღვნა ქართულ მწიგნობრობასა და სტამბას.

ზ. კიკინაძე ვახტანგ VI თბილისის სტამბის დაარსების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საპეციალური ნაშრომით, რომელიც 1909 წ. გამოიცა, მიზნად ისახავდა საიუბილეო თარიღის აღნიშვნას, რაც ცარიზმის ბატონობის პირობებში განუხორციელებელ ოცნებად დარჩა⁶.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, საეკლესიო მუზეუმმა და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ძველი ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების შეგროვებას. მართალია მოგვიანებით, მაგრამ მაინც მომზადდა ნიადაგი ქართული წიგნის კატალოგის შედგენისათვის.

საქართველოში იტალიელი მისიონერებისა და ქართული სამონასტრო საზღვარგარეთული ცენტრების მეშვეობით კარგად იცოდნენ გუტენბერგის მიერ სტამბის გამოგონებით წიგნის გავრცელების სფეროში მომხდარი ტექნიკური გადატრიალების მნიშვნელობა. ქართველები ადრიდანვე დაინტერესდნენ და კარგადაც შეიგნეს სტამბის როლი წიგნის გავრცელებაში, მაგრამ ქართული წიგნის სტამბურად ბეჭდვა მწიგნობრობით სახელმოხვეჭილ საქართველოში და მის ფარ-

⁶ ზ. კიკინაძის მოხსენებით ბარათის ვრცელ ტექსტი იუბილეს მოწყობაზე დაუღლია საქართველოს ცენტრარქივში (იხ. ფონდი 214; საქმე 3559).

გლებს გარეთ, გარკვეული რთული ისტორიული პირობებისა გამო, შედარებით დაგვიანებით განხორციელდა.

„მინც ისე მოხდა, რომ პირველი ქართული წიგნი დაიბეჭდა არა საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ, შორეულ ქ. რომში. ეს უკვე ის ეპოქა იყო, როდესაც ევროპის განვითარებულ სახელმწიფოებთან კავშირს მოწყვეტილ საქართველოში, რომელიც ბედმა აღმოაპყლეთის ქვეყნების უშუალო გავლენის ქვეშ მოაქცია, ყოველგვარი ახალი აღმოჩენები, ტექნიკური გაუმჯობესებანი და მიღწევანი, საერთოდ, ან სრულებით არა, ან ძალიან გვიან შემოდიოდა.

მართალია საქართველო სავსებით არ იყო მოწყვეტილი ევროპის კულტურულ ქვეყნებთან კავშირს, მაგრამ ეს კავშირი და მათ შორის მიმოსვლა იმდენად სუსტი და უსისტემო იყო, რომ უმეტეს შემთხვევაში ევროპიდან ჩვენში მხოლოდ ამბის მოტანადა თუ ხერხდებოდა.

ამიტომ ევროპაში უკვე შეთხუთმეტე საუკუნეში შემოღებულმა და იმავე ზანებში ძლიერ განვითარებულმა წიგნის ბეჭდვის ხელოვნებამ, სტამბამ, ჩვენში მხოლოდ ორნახევარი საუკუნის შემდეგ ჰპოვა განხორციელება“⁷.

XVIII ს. პირველი მეოთხედის გვიანფეოდალური საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობის ბატონობის პირობებში აღმოცენებული თბილისის სტამბა: იყო მეტად თავისებური, ბევრი სიახლის მუწყებელი კულტურულ-საგანმანათლებლო საწარმოო დაწესებულების ახალი ორგანიზაცია. აქ წიგნები იბეჭდებოდა „ბრძანებითა მეფისათა და კურთხევითა კათალიკოსითა“, მაგრამ სტამბას გააჩნდა საკუთარი სამოხელეო, საწარმოო და საარედაქციო აპარატი: „მესტამბეთუხუცესი“ და „მესტამბე“, „ბეჭდვის ზედა მდგომელი“ და „პრობის მმართველი“, „სტამბის სახმართა ზედა გამრჩელი“, „მთარგმნელი“, „ლრაბატიკის კანონზედ გამმართველი“ და სხვ.

მართალია, ქართული სტამბა თბილისში XVIII ს. დასაწყისში, ხოლო ქუთაისში XVIII—XIX სს. მიჯნაზე დააარსდა, მაგრამ ქართული წიგნი სტამბურად ბევრად ადრე დაიბეჭდა: პირველად 1629 წელს რომში, შემდეგ 1705 წელს მოსკოვში. მოგვიანებით ვენეციაში. პეტერბურგსა და ევროპის სხვა ქალაქებში. მაგრამ ქართული წიგნის ბეჭდვის ყველგან, რომელ ქვეყანაშიაც კი იგი ოდესმე დანერგულა, ქართული მამულიშვილნი და პატრიოტები ედგნენ სათავეში.

ქართული სტამბის გამართვისა და წიგნის ბეჭდვის გასავითარებლად ზრუნავდნენ ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის სახელმძღვანელო მესვეურნი — მეფენი და კათალიკოსნი, სასულეერო და

7 ვ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს.ში, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 237—238.

საერო პირნი, გამოჩენილი ადამიანები; ხშირად ფეოდალური ქართული კულტურის მედროშენი, დიდი რანგისა და გვიან მქონე პატრიოტი მოღვაწეები ქართული სტამბის აღორძინებისათვის თავს დებდნენ. მძიმე ნივთიერ მსხვერპლს იღებდნენ, დაულაღვ გონებრივ შრომასთან ერთად სტამბის უბრალო მუშის ფუნქციასაც სიამოვნებითა და მამულიშვილური სიამაყის გრძნობით ასრულებდნენ, რადგან ქართული წიგნის სტამბურად გამრავლება ეროვნულ უწმინდეს საქმედ მიიჩნდათ.

წერის ხელოვნებას, ი.ე. ჯავახიშვილის განმარტებით, ქართულად დამწერლობა ეწოდება, რაც ევროპულ პალეოგრაფიას უდრის. თვით დამწერლობათმცოდნეობა ორ მთავარ დარგად იყოფა: ეპიგრაფიკად, ანუ წარწერათმცოდნეობად და საკუთრივ პალეოგრაფიად. წარწერათმცოდნეობა ანუ ეპიგრაფიკა მყარ საგნებზე — ქვასა და ლითონზე შემორჩენილ წარწერას სწავლობს; პალეოგრაფია კი თხელ მასალაზე — პერგამენტზე, ქილსა და ქაღალდზე საღებავით (მელნით) ძველ ხელნაწერს სწავლობს და იკვლევს მეცნიერულად.

ქართული ანბანის გრაფიკისა და დამწერლობათმცოდნეობის, ანუ პალეოგრაფიის შესწავლაში დიდი როლი შეასრულა მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის მოწვევამ თბილისში, სადაც მოისმინეს დ. ბაქრაძისა და ი. ოქრომჭედლიშვილის მოხსენებები⁸.

ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვის ისტორიის საკითხებს არაერთი მეცნიერული გამოკვლევა მიეძღვნა; არაერთი მკვლევარი შეეხო თბილისსა და უცხოეთში ქართული სტამბის დაარსების ისტორიულ პირობებს, ქართული შრიფტის დამზადების, საბეჭდი დაზგისა და სტამბის მოწყობილობათა უცხოეთში შექმნისა თუ ადგილობრივ დამზადების საკითხებს. კვლევა-ძიების შედეგად დაგროვდა მასალა ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვის ისტორიის შესახებ, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ პრობლემა გადაწყვეტილია.

ქართული სტამბის ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებული რევოლუციამდელი ხანის ნაშრომების ნაწილი მეტ-ნაკლებად წყარო და თავისებური საშენი მასალაა მხოლოდ. ისინი, სამწუხაროდ, შეიცავენ არაერთ უზუსტობებს. ეს კი კრიტიკულ დამოკიდებულებას გვაკისრებს ამ ნაშრომებთან სარგებლობისას.

ქართული დამწერლობის, წიგნისა და სტამბის ისტორიის მეცნიერულად შესწავლა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გა-

⁸ Труды V-го Археологического съезда в Тифлисе. М., 1887, გვ. 207. წიგნში დაბეჭდილია: დ. ბაქრაძის („Грузинская палеография.“ ერთი ქართული დამწერლობის განვითარების ნიმუშები—მრგლოანის, ნუსხურისა და მხედრულის) და ი. ოქრომჭედლიშვილის („Об изложении Грузинского алфавита“) მოხსენებები. იხ. აგრეთვე მხა. სერგულაძე, ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები. თბ. 1978.

შარკვების შემდეგ დაიწყო. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ჯერ კიდევ 1920-იან წლებში (ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წლისთავისათვის მზადების პერიოდში) აკად. ივ. ჯავახიშვილმა გადადგა.

ივ. ჯავახიშვილის მიერ 1926 წ. გამოქვეყნებული „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ უდიდეს მოვლენად რჩება ქართული დამწერლობისა და წიგნთმცოდნეობის ისტორიის მეცნიერულად შესწავლის საქმეში.

ზ. ჭიჭინაძისა და სხვათა ენერგიულ ცდებს რევოლუციამდელ საქართველოში ქართული წიგნის ბეჭდვისა და სტამბის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის შესახებ, როგორც აღნიშნეთ, შედეგი არ მოჰყოლია. იგი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი, 1929 წ. ზემოთ აღნიშნა საქართველოში ქართული წიგნის ბეჭდვის ეროვნული საიუბილეო 300-წლოვანი თარიღი (1629—1929).

ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ იუბილეოთი მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ქართული წიგნისა და სტამბის ისტორიის მეცნიერულად შესწავლას. საიუბილეო თარიღს მიეძღვნა არაერთი მონოგრაფია და სტატია, რომლებშიც პირველად აისახა ქართული წიგნისა და სტამბის ისტორიის ძირითადი საკითხები და ერთგვარად დაისახა კიდევ კვლევა-ძიების შემდგომი პერსპექტივები⁹.

20-იან წლებში ყურადღება მიექცა რომში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნის — ქართული-იტალიური ლექსიკონისა და სხვათა შესწავლას. ჯერ კიდევ 1929 წ. მას მიეძღვნა კრებული „წიგნის მეგობარი“. გაირკვა ამ წიგნის ხასიათი და გააქტიურდა ნიკიფორე ჩო-

⁹ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა პ. გუგუშვილის „ქართული წიგნი“ (თბ., 1929), სადაც მოკლედაა განხილული ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია 1927 წლამდე. გამოკვლევაში გასწორებულია ადრე გამოთქმული არაერთი მცდარი მოსაზრება და ფაქტიური უზუსტობა, მოყვანილია საინტერესო სტატისტიკური მონაცემები.

ავტორმა 1984 წელს განმეორებით გამოსცა საფუძვლიანად შეესებულ-გადამუშავებული ტექსტი ამავე ნაშრომის სახელწოდებით — „ქართული სტამბის წიგნი 1629—1979“. ეს ნაშრომი შევიდა პ. გუგუშვილის მონოგრაფიების „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს“- მუშაობა ტომში.

ქართული წიგნის იუბილეს დღეებში გამოქვეყნდა ასევე საყურადღებო მონოგრაფია დ. კარიჭაშვილისა „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“, აგრეთვე ე. ბერიძის („მოძველი“, 1928 წ., № 7), ს. კაკაბაძის („დროშა“, 1929 წ.; № 12—13), კ. ქვეციძის („მნათობი“, 1929 წ., № 5—6) და სხვ. წერილები.

ლოყაშვილის ვინაობისა და მოღვაწეობის პრობლემა. ამ საკითხით დაინტერესდნენ კ. კეკელიძე და კ. ცინცაძე¹⁰.

1935 წ. გამოქვეყნდა ორი გამოკვლევა: აკად. კ. კეკელიძის — „ნიციფორე ირბაქი — ინიციატორი ქართული სტამბის დაარსებისა რომში“ და აკად. ა. შანიძის — „ქართული სტამბის ისტორიისათვის“¹¹, რომელთაც დიდად წასწიეს წინ ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვის ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიება.

1941 წ. მდიდარი ფაქტობრივი მასალის განზოგადების საფუძველზე პირველად გამოქვეყნდა ფუნდამენტური კოლექტიური ნაშრომი — „ქართული წიგნი“.

1950-იანი წლებიდან ქართული სტამბური წიგნთმცოდნეობის პრობლემა ბევრად უფრო გააქტიურდა, დაიბეჭდა მონოგრაფიული გამოკვლევები და სამეცნიერო სტატიები. მათ შორის აღსანიშნავია: ბ. გორდეზიანის „ქართული მხედრული შრიფტი“, შ. კვასხვაძის „ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება“ (ვახტანგ VI-ის სტამბის წიგნი) და სხვ.

1950 წ. ეურნ. „მნათობის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა ბ. გორდეზიანის სტატია — „პირველი ქართული სტამბა და მისი მეურნეობა“. მკვლევარი იმ აზრისაა, რომ ვახტანგმა „უნგრეოვლანთიდან მოიწვია მესტამბე და იქიდანვე მოიტანა სტამბის მოწყობილობანი“.

მართალია, ბ. გორდეზიანმა გაიზიარა მოსაზრება სტამბის მოწყობილობის უნგრეოვლანთიდან მოტანის შესახებ, მაგრამ იგი შრიფტის ჩამოტანის თვალსაზრისს არ იზიარებდა და შენიშნავდა: ანთიმოზმა, შეიძლება, ქართული არც კი იცოდაო და თუნდაც სცოდნოდა, „შეეძლო მას ერთს ქართული სტამბის შექმნა და ქართული წიგნების ან წიგნის ბეჭდვა სხვა ქართული სტამბის მოღვაწეთა დაუხმარებლად თუ არა?“ — კითხულობს მკვლევარი და იქვე პასუხობს: „არა, არ შეეძლო“¹².

მისი დაკვირვებით „ამ სტამბაში უნდა ყოფილიყო მოთავსებული როგორც საამწყობო, ისე საბეჭდი, საამკინძაო, ასოთამომბეჭდი და ასოთჩამომსხმელი განყოფილებანი“.

ბ. გორდეზიანმა 1955 წ. გამოსცა „ქართული მხედრული შრიფტი“, სადაც აღნიშნავს, რომ ვახტანგის შრიფტი თბილისშია დამზადებული, „შრიფტის დედნად გამოყენებული ყოფილა მხატვარ მაღა-

¹⁰ იხ. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში კალ. ცინცაძის ფონდ-ში დაკული მასალა ნიციფორე ჩოლოყაშვილზე.

¹¹ იხ. ლიტერატურული შემკვიდრეობა, წიგნი 1, 1935.

¹² ეურნ. „მნათობი“, 1950, № 1, გვ. 166.

ლაძის ხელნაწერი ასოები, რომლებიც არსებითი ცვლილებების გარეშე. ლითონზე გადაუტანია მესტამზე უნგროვლახელს¹³.

1951 წ. გამოქვეყნდა გ. ლეონიძის უაღრესად საყურადღებო ნაშრომი — „ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის“. ამ ნაშრომში გ. ლეონიძემ პირველმა გაამახვილა ყურადღება ანთიმოზ ივერიელის როლზე ქართული სტამბის დაარსებაში: „დიდი გულის ფანცქალით ვეძებდი ბუქარესტში ანთიმის მიერ სნაგოვში დაბეჭდილ ქართულ წიგნს, მაგრამ იმ მცირე დროში ვერ მივაგენი. მართლაც, — განაგრძობს ლეონიძე, — შესაძლოა, საქართველოზე მეოცნებებს და ფიქრმღელვარე ანთიმს დაებეჭდა ქართული წიგნი მაშინ, როცა იგი ბეჭდავდა რუმინულ, სლავურ, ბერძნულ, არაბულ ენებზე. განა იგი არ ეცდებოდა ბეჭდვის საქმის ორგანიზაციას მშობლიურ ენაზე?“¹⁴.

გ. ლეონიძის ამგვარი დაუცხრომელი ძიება გამარჯვებით დაგვირგვინდა. მან იქ ახალი დოკუმენტები მოიპოვა ქართული სტამბის მოწყობაში ანთიმოზ ივერიელის მონაწილეობის შესახებ. ერთი მათგანია თბილისში 1709 წ. დაბეჭდილ „სახარებაში“ ჩაქრული „რუმინული დამწერლობით თვით ანთიმის მიერ ხელმოწერილი ფურცელი“, რომელიც დათარიღებულია 1710 წ. 28 მაისით, ხოლო მეორე — ამავე „სახარებაში“ დაცული პატარა ქართული პოემა, რომელიც წარმოადგენს ვლახეთის გოსპოდარ კონსტანტინე ბრანკოვანუ ბესარაბისა და პატრიარქ ხრისანთეს ქებას. ეს დოკუმენტები ძვირფასი წყაროა ქართული სტამბის ისტორიისათვის.

შ. კვასხვაძე ნაშრომში „ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება“ (ვახტანგ VI სტამბის წიგნი) ასაბუთებს, რომ ვახტანგ VI სტამბის შრიფტი თბილისში უნდა დაემზადებინათ. ასევე მხატვარ-გრაფიკულად ქართული სამხატვრო სკოლის მაშინდელი მოღვაწენი გვევლინებოდნენ¹⁵. შ. კვასხვაძე თბილისში სტამბის დაარსების თარიღად 1701—1702 წლებს მიიჩნევს¹⁶.

1955 წელს გამოვიდა ქრისტინე შარაშიძის მონოგრაფია — „პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722)“. ეს ნაშრომი მრავალმხრივად საყურადღებო, მასში არაერთი საინტერესო მოსახარებაა განვითარებული. ქართული სტამბის დაარსებაში ანთიმოზ ივერიელის როლის შესახებ იგი წერს: „ყრმობის ასაკში სამშობლოდან მოწყვე-

13 ბ. გორდენიანი, ქართული მხედრული შრიფტი, 1955, გვ. 49.

14 გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის. — ეურნ. დროშა, 1951, № 2, გვ. 16.

15 შ. კვასხვაძე, ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება. თბ., 1952, გვ. 215; ი. მეგრელიძე. ძველი ქართული ანბანის წარმოშობისათვის. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1974, 26 ივლისი.

16 იქვე, გვ. 236.

ტრი. ბედნიერი შემთხვევით ტყვეობიდან დახსნილი 16 წლის ქაბუკი გაბედული ნაბიჯით აღის იმდროინდელი განათლების და ხელოვნების მაღალ საფეხურებზე. ის ეუფლება ბერძნულს, არაბულსა და რუმინულ ენებს: ეს უკანასკნელი (რუმინული) მისთვის მშობლიურად ძვირფასი ზდება. სტამბოლის ბაზარზე ნაყიდი ტყვე-პოეტი, მოქანდაკე-ხე-როთმოძღვარი, მქადაგებელი — ახალი სამშობლოს ეროვნულ-კულ-ტურული განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველ რიგში დგება და ერთ დიდ პატრიოტულ საგმირო საქმედ ქცეულ სიცოცხლეს სახელო-ვანი სიკვდილით ამთავრებს¹⁷. შარაშიძე ადასტურებს, რომ „ანთიმოს ქართველი ყოველ თავის გამოცემაში იხსენიებს თავს, როგორც „ძი-რით ქართველს“; მაშასადამე, მას თავისი წარმოშობა დავიწყებული არა აქვს. ყოველივე ამის გამო შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ უნგრო-ვლახეთიდან საქართველოში მესტამბის გამოგზავნა ანთიმოსის მხურ-ვალე მონაწილეობის გარეშე განხორციელებულიყოს“¹⁸.

1959 წელს გამოქვეყნდა შ. კურდღელაშვილის ნაშრომი — „ქარ-თელი სტამბის ისტორიიდან“. ავტორის ვარაუდით. 1681 წელს საქარ-თველოში ჩამოსულ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსს თარჯიმნად ანთიმოზ ივერიელი ახლდაო და ანთიმოზი „იყო სწორედ ის პირი, ვინც თბილისში ყოფნისას თავის თანამემამულეთა შორის დანერგა აზრი საქართველოში სტამბის დაარსების შესახებ“¹⁹.

შ. კურდღელაშვილი შენიშნავს, რომ ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭ-დილ წიგნთა ანდერძებში ვახტანგ VI „საგულდაგულოდ უსჯამს ხაზს თავის დამსახურებას თბილისში პირველი სტამბის დაარსების საქ-მეში“. ხოლო ანთიმოზ ივერიელის „დიდი ღვაწლი არც თბილისის პირველი სტამბის გამოცემებში არის სადმე მოხსენიებული“²⁰. ავტორი არ იზარებს ადრე გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „თბი-ლისში რუმინეთიდან თითქო ჩამოტანილი იყო არა მარტო სტამბის მოწყობილობა და მის გასამართავად საჭირო ხელსაწყოები, არამედ ნუსხა-ხუტური და ბერძნული შრიფტ-კასებიც“²¹... ასევე პ. გუგუ-შვილი ფიქრობდა, რომ უნგროვლახელმა ჩამოიტანა სტამბის იარაღი, მასალა. ანსტრუმენტი, უწინარეს მათი ნიმუშები, რაც არ დასტურ-დება (იხ. ტომი მეშვიდე, 1984, გვ. 285).

17 ქ რ ის ტ ი ხ ე შ ა რ ა შ ი ძ ე, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 89.

18 იქვე.

19 შ. კ უ რ დ ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 16.

20 იქვე. თბ., 1959, გვ. 64—65.

21 იქვე. გვ. 67.

ქართული წიგნისა და სტამბის ისტორიის საკითხები რუს და უცხოელ ავტორთა კვლევის ორბიტშიაც მოექცა, რაც დღესაც გრძელდება. ამათგან ყურადღებას იპყრობს ე. ბოლხოვიტინოვი, ვ. სოფიკოვი, ი. სავინსკი, დუბროვინი, მ. ბროსე, მ. გასტერი, ე. პიკო, კ. ბიორკბომი, ვ. მოლინი, ე. გრენი, ჰ. შუხართი, ლ. ტარდი, დ. ჰაიმანი, რ. დანი და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რ. დანის მიერ 1980 წ. ამსტერდამის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი 1687 წელს მიკლოშ კიშის მიერ დამზადებული ქართული სასტამბო შრიფტის — ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის — სასინჯი ანაბეჭდები.

ანთიმოზ ქართველის შესახებ გამოკვლევა გამოაქვეყნა ე. პიკომ, — „ყველა მღვდელმთავარს შორის, ამბობს პიკო, რომელთაც ვლახეთის სამიტროპოლიტო საყდარი სჭერიათ, არავინ არის ისეთი, რომელსაც შთამომავლობის თვალში იმოდენა ღვაწლი მიუძღოდეს, როგორც ანთიმოზ ბერს. მისი ცოდნა, მისი გემოვნება ხელოვანისა, — მისი ღრმა სიყვარული წიგნებისადმი საკმარისი იქნებოდა, რომ იგი უბადლოდ მიგვეჩინა, მაგრამ მას მეტი აქვს გაკეთებული. მან, უცხოელმა, საქართველოს წაილიდან მოსულმა, გვიჩვენა იშვიათი მაგალითი რუმინული პატრიოტიზმისა“²².

ანთიმოზის ბიოგრაფი ე. პიკო განაგრძობს: „ანთიმოზი არ ყოფილდებოდა თავის გარშემო სათნოებისა და კეთილი საქმეების მაგალითის მიცემით. მან ყურადღება მიაქცია თავის თანამემამულეებს. მოისურვა მათთვისაც სტამბის მიცემა. აირჩია ერთი ტრანსილვანელი, რომელსაც უწოდებენ მიხეილ სტეფანოვიჩს, და გაგზავნა იგი კავკასიაში“²³.

1935 წელს გამოქვეყნდა შვეციის სამეფო ბიბლიოთეკარის კ. ბიორკბომის წერილი ტყვედ ჩავარდნილ ალ. ბატონიშვილის სასტამბო მოღვაწეობის შესახებ სტოკჰოლმში. ქრ. შარაშიძემ პირველად გამოაქვეყნა ქართულად ამ წერილის რეზიუმე გამოკვლევითურთ²⁴.

ეურ. „საბჭოთა ხელოვნების“ 1965 წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნდა რუმინელი მკვლევარის ვირჯილ მოლინის სტატია (რუმინულიდან თარგმნეს ვალ. მაჭარაძემ და ფ. ჭინჭიხაშვილმა) ქართული სტამბის ისტორიაზე. ამ სტატიის ზუსტი სათაურია „წელილი საქართველოში წიგნის ბეჭდვის ისტორიაში“²⁵.

22 აკ. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის. ლიტერატურული მემკვიდრეობა; წ. 1. 1935, გვ. 169 (ციტატი დასახელებულ ნაშრომიდან მომყავს).

23 იქვე, გვ. 171.

24 იხ. კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III.

25 ეურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, გვ. 75.

ე. ლორთქიფანიძის წინააღმდეგ მებრძოლი ლიტერატორი იყო, მას უნდოდა, რომ თავის ქვეყანაში სტამბა მოეწყო. ამ საქმისათვის კი სპეციალური სკრინდებოდა და ამიტომ დახმარებისათვის ანთიმოზს მიმართა. ანთიმოზი ამ წინადადებას დიდს გულსხმიერებით გამოუცხადდა. იაკი ბრანკოვიანუს მხარდაჭერაჲ ჰქონდა, და თბილისში სპეციალური გამოცხადება მიჰბაი იშტვანოვიჩის ხელმძღვანელობით²⁶.

ე. ლორთქიფანიძის შეხედულებით. ანთიმ ივერიელის მიერ საქართველოში უნგროვლახეთიდან წარმოგზავნილ მესტამბე მისილ უნგროვლახელს „თან წამოუღია მხოლოდ ზოგიერთი საქირო წერილ-მანი ბელსაწყობი. რადგანჲ საქართველოში ყოველგვარი პირობები არსებობდა სტამბის გასამართაჲდ“²⁷.

მაგრამ, გარკვევა იმისა, თუ მინც რა პირობები არსებობდა იმ ანელ უროს საქართველოში იმისათვის, რომ უცხოეთიდან ჩამოსული ოსტატის თაოსნობით ერთ წელიწადში ასე ერთბაშად სამი დიდტანიანი შუანი გამოცემულიყო. — ავტორს არ უცდია.

მკვლევარი — ალ. ხახანაშვილი, თ. ჟორდანი. ზ. ჭიჭინაძე ფიქრობდნენ, რომ უნგროვლახელი ოსტატი მისიელი თბილისში თავისი მოწაფეებითურთ ჩამოვიდაო, მაგრამ ამ მოსაზრების უსაფუძვლობა ჯერ კიდევ 1920-იან წლებში პ. გუგუშვილმა და დ. კარიჭაშვილმა ანთუყვეს თავიანთ მონოგრაფიულ გამოკვლევებში²⁸.

1960-იან წლებში ყურადღება გამახვილდა უცხოეთში ქართული შრიფტის დამზადებისა და ქართული წიგნის ბეჭდვის საკითხებზე. უცხოეთში ქართული სასტამბო ნიშნების (პუნსონების) აღექსანდრე არჩილის ძე ბატონიშვილის ხელმძღვანელობით დამზადების სასარგებლოდ რუსეთის სიძველეთსაცაეებში (პოლანდიასთან ურთიერთობის არქივში) აღმოჩნდა დოკუმენტები, აგრეთვე გაიკვია მოსკოვში 1705 წელს მეფე არჩილის მიერ გამოცემული „დავითნის“ სასტამბოდ მომზადების, ქართული საბეჭდი დაზგის შექმნის, ოსტატთა ვინაობის — ორი ქართველისა (იმერელის) და ორი რუსის, წიგნის ტირაჟის (600 კალი) და სხვა საკითხები²⁹.

²⁶ ე. ლ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1965, გვ. 51.

²⁷ ე. ლორთქიფანიძე, ვახტანგ მეექვსე და ქართული სტამბის მოღვაწენი, 1952, გვ. 73.

²⁸ პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, 1929, გვ. 47; დ. კარიჭაშვილი ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია 1929, გვ. 67.

²⁹ ფრ. სიხარულიძე, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII—XVIII სს. მიჯნაზე. იბ. მისი საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი. 1967 წ.

ქართული შრიფტის დამზადებაში ქრ. გურამიშვილის როლს იხებიან ქ. ვათეიშვილი (იბ. „მაცნე“ 1975, № 4, გვ. 65—66) და ფ. სიხარულიძე წერილში — რუ-

ჭ. ვათეიშვილმა „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1978 წ. № 4) დაბეჭდა წერილი „ამაგდარი მამულიშვილები“. წერილი სამეცნიერო მივლინების მოკლე ანგარიშია მან სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივსა და სამეფო ბიბლიოთეკაში მიაკვლია ზოგ ახალ მასალას არჩილ II-ის და მისი ვაჟის ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ. მაგ., ასეთია ალექსანდრე ბატონიშვილის სურათი, ალექსანდრეს ავტოგრაფები ქართულად შობილებისა და დის — დარეჯანისადმი მიწერილი წერილების სახით; არჩილ მეფის წერილები კარლოს XII-სადმი (რომლებიც აღრე მ. ბროსემ გამოსცა); ალექსანდრე ბატონიშვილის თაოსნობით სტოკჰოლმში დამზადებული მრგვლოვანი და ნუსხური ანბანის ფოტოპირები, რომლებზეც გამოსახულია ტოტფალეშ კიშ მიკლოშის მიერ (1686—1687 წ-ში) შრიფტის ჩამოსახმელი მატრიცები.

50-იან წლებში სოლ. ყუბანეიშვილმა გამოაქვეყნა მასალები რუსეთში ქართული სტამბის დაარსების შესახებ. იგი შეეხო 1730-იან წლებში ქართული სტამბის დაარსებასა და არჩილ მეორის მიერ დაწყებული ბიბლიის ტექსტის დადგენის ბოლომდე მიყვანისა და მოსკოვში ბიბლიის დაბეჭდვის საკითხს (იხ. ლიტერატურული ძიებანი, 1956 წ., II).

ქართული სტამბის ისტორიის საკითხს მიეძღვნა დ. გვრიტიშვილის ნარკვევი. ამავე პრობლემას ეხებიან 1970-იან წლებში გამოქვეყნებული ჭ. ვათეიშვილის, ო. გვინჩიძის, ო. კასრაძის, მ. ფიზიკისა და პ. ვაკრიძის ნაშრომები.

1973 წელს გამოქვეყნებულ ჭ. ვათეიშვილის გამოკვლევაში „რუსული საზოგადოებრივი აზრი და ბეჭდვითი სიტყვა კავკასიაში“ (რუსულ ენაზე) რუსული პრესისა და ჟურნალისტიკის კავკასიაში გავრცელების ისტორიის საკითხებთან ერთად აღძრულია და განხილული ქართული სტამბის ისტორიის არაერთი საკითხი. იმერეთის სტამბების ისტორიას ეხება მ. ფიზიკის ნაშრომი³⁰.

1973 წელს გამოქვეყნდა ო. გვინჩიძის მონოგრაფიული ნაშრომი „ანთიმ ივერიელი“, სადაც საკმაო ადგილი ეთმობა ანთიმოზ ივერიელის როლის წარმოჩენას ვახტანგ VI სტამბის დაარსებასა და მოღვაწეობაში. მკვლევრის აზრით პირდაპირი საბუთი ვახტანგ VI-სა და ანთიმოზ ივერიელს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ ჭერ-ჭერობით არ არსებობს, მაგრამ „... პიროვნება, რომლის მეშვეობითაც ცნობილი გახდა ვახტანგ VI-სათვის ანთიმ ივერიელის სასტამბო მო-

სეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (იხ. „მეგობრობა“, 1979 წ.).

³⁰ Грузинское провинциальное книгоиздательство 1800—1821 гг.—Автореферат, М., 1973 г. и сб. „Книга“, вып. 22, М., 1971.

ღვაწეობა, — წერს ო. გვინჩიძე, — უნდა ყოფილიყო ვახტანგ VI-ის „მა-დომენტი“. ეს მოსაზრება უდავოა, რადგან დომენტი და ანთიმოზი დოსითეოს პატრიარქის კარზე იმყოფებოდნენ დიდხანს. როგორც ჩანს, მათი დახმარებით დააარსა დომენტიმ სტამბა თბილისში XVII—XVIII სს. მიჯნაზე, სადაც პ. კარბელაშვილის და სხვათა ცნობით 1705 წელს „დავითნი“ დაიბეჭდა. ო. გვინჩიძე ამ საკითხებს გვერდს უვლის. რაც შეეხება ავტორის მსჯელობას ვლახეთიდან სტამბის თბილისში ჩამოტანის შესახებ, ეს ვერსია უგულვებელყოფილია მკვლევართა მიერ. თუ ახლად ჩამოსულმა მიხაიმ 1709 წ. თბილისში 6—7 თვეში მოასწრო დიდტანიანი სახარების დაბეჭდვა, ეს შესაძლებელი უნდა გამხდარიყო დომენტის სტამბის ნაწილობრივი რეკონსტრუქციის საფუძველზე, სადაც ჯერ კიდევ 1705 წელს იბეჭდებოდა წიგნი. ამ მოძველებული სტამბის სრული რეკონსტრუქცია მიხაის 1710—1711 წლებში უნდა განეხორციელებია და დაებეჭდა წიგნები, რომელნიც გამოცემის თვალსაზრისით სანიმუშოა.

ო. კასრაძემ 1973 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი „ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები“. მასში ნაბეჭდი წიგნების ერთ ნაწილთან ერთად შესწავლილია ბიოგრაფიული ცნობები ქართული ფეოდალური სტამბის ზოგი გამოჩენილი მოღვაწისა. 1980 წ. დაიბეჭდა პ. ვაჭრიძის ნაშრომი „როტაციონის ბრუნავს მანქანა“. იმერეთის სამეფოში მოქმედი სტამბების მიმოხილვასთან ერთად მასში სპეციალურადაა შესწავლილი ქუთაისში წიგნების გამოცემისა და ბეჭდვის საქმე 1921 წლამდე.

ქართული წიგნის 350 წლისთავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შუამდგომლობით და იუნესკოს მიერ სათანადო სახსრების გამოყოფის საფუძველზე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სამეცნიერო მივლინებით გაიგზავნენ მკვლევრები, რასაც დადებითი შედეგები მოჰყვა და სასურველი ნაყოფი გამოიღო³¹. მაგალითად, იტალიაში ნაყოფიერად იმუშავა მკვლევარმა ჯ. ვათეიშვილმა, საფრანგეთში — ი. ტაბალუამ, აგრეთვე გ. შარაძემ და სხვ. მათ ქართული წიგნისა და სტამბის ისტორიის შესასწავლად მ. თამარაშვილის მიერ პირველ-გაკვეთილი გზით ევროპის არა ერთი ქვეყნის არქივებში იმუშავეს და საქმიანი კონტაქტები დაამყარეს ქართული წიგნისა და კულტურის მოყვარულ ცნობილ ეცხოელ სპეციალისტებთან, რასაც სასურველი შედეგები მოჰყვა. ფარდა ჩამოეხსნა საუკუნეებით მტკვრდაყრილ არაერთ ისტორიულ ფაქტს, დოკუმენტს, მეტად საინტერესო მასალასა და ცნობებს, რომ-

³¹ ა. ჩიქობავა, ჯ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები. თბ., გამომცემლობა ხელოვნება, 1983; რ. მეტრეველი, პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნი. — ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1978, № 7.

ლითაც გამდიდრდა ჩვენი ცოდნა ქართული წიგნისა და სტამბის ისტორიაზე საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში. ახალი ცნობები გამოვლინდა ქართული წიგნის ბეჭდვის ამაგდარ ოსტატებსა და ამ საქმის ინიციატორ თავკაცებზე³².

აქ დასახელებული ლიტერატურის მიმოხილვა არასრულია. მაგრამ ნაშრომში, როგორც წესი, კონკრეტული მოვლენისა და ისტორიული ფაქტის განხილვისას დასახელებულია მკვლევრები და გამოთქმული შეხედულებები.

ნაშრომი ეხება ქართული წიგნისა და სტამბის ისტორიის აქტუალურ საკითხებს; მასში მოკლედაა განზოგადებული და კრიტიკულად გაანალიზებული ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების ფორმირებისა და განვითარების ისტორიული პროცესი, ძირითადი ეტაპები და დამახასიათებელი ფაქტები როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მოცემულია თბილისის ქართული სტამბის დაარსების ახლებურად დათარიღების, ზოგიერთი ნაბეჭდი წიგნის. სამწერლობო კერისა და გამოჩენილი მესტამბის ბიოგრაფიის მეცნიერულად შესწავლის ცდები.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის უნივერსიტეტისა და საჯარო ბიბლიოთეკების წიგნსაცავ ფონდებში ინახება ქართველი ერის სულიერი ცხოვრების, მისი ენისა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის წყაროთა უმდიდრესი შემკვიდრება. ამ ძეგლების მეცნიერულად შესწავლასა და მათ პუბლიკაციას თავის დროზე საფუძველი ჩაუყარეს და დიდი შრომა გასწიეს ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, ე. თაყაიშვილმა, ა. შანიძემ, კ. კეკელიძემ და მათმა გამოჩენილმა მოწაფეებმა — ი. აბულაძემ, ე. მეტრეველმა, თ. გამყარელიძემ, ზ. სარჯველაძემ, კ. დანელიამ, ი. ლოლაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ი. დოლიძემ, ალ. დლონტმა და სხვებმა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ადრიდანვე ჩაუყარა საფუძველი ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროთა სერიულ გამოცემებს. ასეთებია: „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურა“, „ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები“. „შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები“ და სხვ. მეც-

³² წინამდებარე წიგნში სათანადოდაა გამოყენებული და მოთხოვნილი სპეციალური ნაშრომები. უახლოესი ლიტერატურა და წყაროები იოპელსაც მეტწილად კავშირი აქვს ჩვენი კვლევა-ძიების საგანთან.

ნაერული პუბლიკაციები ამ სერიებისა გამოიცა. გრძელდება აკადემიური კრებულებისა და ტომების გამოცემები გამოკვლევითურთ.

ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვის განვითარება ფეოდალურ საქართველოში განხილულია ჭევეცის სოციალურ-ეკონომიკური და საგარეო-პოლიტიკური რთული ისტორიული პირობების ფონზე. ახსნალია მიზეზობრივად წიგნის სტამბურად ბეჭდვის პარალელურად თუ რატომ თანაარსებობდნენ წიგნის ხელით გადამწერი ოსტატები — თაბუნ-ამხანაგობები. ამასთანავე განმარტებულია პირობები იმისა, თუ რატომ დაიგვიანა წიგნის სტამბურად ბეჭდვამ მწიგნობრული მაღალი კულტურის მქონე ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო.

ჩვენი ნაშრომი ხანგრძლივი მუშაობისა და დაუცხრომელი რუდუნების ნაყოფია... და თუ ზოგი რამ მაინც დააკლდა — ავტორი კმაყოფილებით გაითვალისწინებს კოლეგიულურ, საქმიან შენიშვნებს.

დასასრულ, ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია უღრმესი მადლობა მოვახსენოთ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სახ. მუზეუმის, ხელნაწერთა ინსტიტუტის, საჯარო ბიბლიოთეკის, გამომცემლობა „მეცნიერების“ დირექციებს და ყველა იმ დაწესებულების ხელმძღვანელებსა და რიგით მუშაკებს, რომლებიც დაეხმარენ და ტვირთი შემომსუბუქეს წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

ავტორი

ქართული დამწერლობის აღმოცენება და მწიგნობრობის
დამგვიდრება ძველ საქართველოში

1. მოკლე ისტორიული ექსკურსი

შენ. ჰე ფარნაოზ, ჰქვენ ერთმთავრობა,
შენ მიეც ქართველს წიგნი პირველი.

გრ. ორბელიანი

ქართული დამწერლობის შემუშავება ქართველურ ტომთა კლასობრივ საზოგადოებად ჩამოყალიბებისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების მკვიდრ ნიადაგზე აღმოცენებული ფენომენია. ეს უკანასკნელი ბევრად უსწრებდა წინ „ქართლის ცხოვრების“ მროველსეულ XI ს. ტრადიციას, რომლის მიხედვით ფარნავაზის სამეფო ხელისუფლება ყოვლისშემძლე ძალადაა აღიარებული; ქართული დამწერლობის აღმოცენება-დამკვიდრება და სამეფოს ერთიანი მოსახლეობის ქართულ ენაზე ამეტყველება, ანუ სახელმწიფო ენად ქართულის აღიარება-გამოცხადება, ერთდროულ მოვლენადაა მიჩნეული. მეცნიერული კვლევა-ძიებით დგინდება, რომ ქართული დამწერლობის შემუშავება და მისი შესატყვისი მწიგნობრობა რამდენადმე წინ უსწრებდა ფარნავაზის მეფობას.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს „მატიანე შემეცნებათად“ წოდებული ისტორიული პირველწყაროდან შემორჩენილი ცნობა, რომელიც თ. ბაგრატიონს დაუცავს. მასში ვკითხულობთ: „არა უწიგნონი იყვნენ ქართველნი უწინარესთა ეამთაცა შინა, ვიღრე ფარნავაზამდე სწერდნენ იგინი უხუცესთა წერილთა. ე. ი. ქურუმთა მათ, რომელთაცა უხუცესთა და ხევის-ბერთა უხმობენ; იგინი იყვნენ კერპთა მღვდელნი და მემსხვერპლენი ერისანი ღმერთთა მიმართ. და წერილი მათი არს წერილი ესე ხუცური ჩვენი ...წერილნი ხუცესნის პირველსა ეამსა ქმნილ არს წერილისაგან ებრაულისა და ქალდეულისა და მსგავსცა არიან ასოთა მათთა ჩვენნი ხუცურნი“¹.

¹ გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, 1972, გვ. 125—6.



Georgischer König Pharnawas

სურ. 1. მეფე ფარნაეაზი. Georgischer König Pharnawas. სურათი დაბეჭდილია გეორგიანის ფედერაციულ რესპუბლიკაში პროფ. ნ. ჯანელიძის მიერ.

ბატონიშვილი თეიმურაზი პირველი მკვლევარია, რომელმაც ქართული დამწერლობის, მწიგნობრობის აღმოცენებისა და ფორმირების ისტორიული პირობების შესახებ მიაკვლია წყარონი და უაღრესად საყურადღებო მეცნიერული მოსაზრებანი ჩამოაყალიბა ფილოსოფოს-ლეთისმეტყველ ანტონ პირველის, ანტონ მეორის, ანტონ ჭყონდიდელის, ტერ-ფილიპე ყაითმაზაშვილის და სხვა მკვლევარ-მეცნიერთა მიერ ამ დროს ხელმისაწვდომი ან მემკვიდრეობით მიღებული უძველეს წყაროთა გამოყენებით.

ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა კვლევამიება. უახლესმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ახალი ცხოველყოფილობა შესძინა მოსაზრებას, — ქართული დამწერლობა-მწიგნობრობის ფარნავაზის გამეთებამდე არსებობის შესახებ — „სწერდნენ იგინი უნტუცესთა წერილითა. ე. ი. ქურუშთა“: ძამსადაძამე, ქართული დამწერლობის შემოქმედად მითითებული წყარო არა ერთ პირს, არამედ წარმართ ქურუშთა კასტას შიიჩნევდა. ისტორიულ პირველ წყაროთა, ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფასა და რიტუალებზე დაყრდნობით სტრაზონის დროინდელ იბერიაში მყოფი კერპთაყვანისმცემელი ქურუშები (მოძღვრები) ერთგვარად გაიგივებულია თუშ-ფშავ-ხევსურეთში: ბოლომდე შემორჩენილ კერპის მღვდლებსა და ხევისბერებთან. დასასრულ. ძეგლში გამოთქმული მოსაზრება — უძველესი ქართული დამწერლობისა და ქალდეურ და სემიტურ-აღმოსავლურ დამწერლობათა ნათესაობის შესახებ — დღესაც ძალაში რჩება, რასაც ამ 50 წლის წინანდელი აღმოჩენაც (მაგ. მცხეთის ბილინგვა არამეულ-ბერძნული წარწერით) რამდენადმე ადასტურებს.

გარდა აღნიშნულისა ქართული მწიგნობრობის აღმოცენება-დამკვდრების შესახებ მიკვლევულ იქნა და დადგინდა სხვა სანდო წყარონიც. მათ შორისაა არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი დავათის სტელა, რომელზედაც ქართული ასომთავრული ანბანის სრულყოფილ კორპუსთან ერთად გამოქანდაკებულია ქართული მწიგნობრობის აღორძინების თავისებური სცენა.

დავათის ძეგლისა და „ქებაი ქართულისა ენისას“ მეცნიერულ ურთიერთმიართებაში განხილვითა და კვლევამიებით, „ქებაი“ს ახლებურად, — ახ. წ. 342-თ დათარიღებაც პრობლემის გადაჭრას ესადაგება თითქოს. თვით „ქებაი“-ში ხომ გაიგივებულია ქართული ენა და ქართული მწიგნობრობა!

ქართული ენა ფარნავაზმა „ყოვლი ქართლის“, ანუ საქართველოს სახელმწიფო ენად აღიარა და დაამკვიდრა „მწიგნობრობა ქართული“.

აქ აღნიშნულს ადასტურებს და ყურადღებას იპყრობს „ქართლის ცხოვრების“ 1608 წლის კვინკლოს-მინაწერი განმარტებით, სადაც ვკითხულობთ: — „აქე მწიგნობრობა დაიწყეს ქართველთა, ქართული, ადასე აქეთ ძ დ ი ბ წელს“. ანუ ძვ. წ. 284 წელს.

ფარნავაზის მეფობის ხანაში (ძვ. წ. IV—III საუკუნეებში) ძველ ქართულ დამწერლობასა და მწიგნობრობას. სამეფო ხელისუფლების აქტიური ჩარევით რეფორმა უნდა განეცადა. ამას ადასტურებს მორიგი წერილობითი ცნობა. — „ფარნავაზმა . . (ეკითხულობთ ი. ტაბალუას პუბლიკაციაში — ა. ი.) თავის სამეფოში შემოიღო კარგი კანონები და გააუმჯობესა დამწერლობა, რომელიც დღემდე ხმარებაშია ქართველ მღვდლებს შორის“.

ეს ისტორიული ცნობა XIX ს. დამდეგსაა დაწერილი, რომლის წყარო „ცხოვრება ფარნავაზისა“ შეიძლება იყოს...

ფარნავაზის ეს რეფორმა ობიექტურად პროგრესულ-დემოკრატიული შინაარსის მატარებელი უნდა ყოფილიყო. ქართული დამწერლობისა და მწიგნობრობის მოქმედების ასპარეზი ბევრად ფართოვდებოდა, იგი თავს აღწევდა წარმართ ქურუმთა კასტური კარჩაეკტილობის ზღუდეებს და ქართული სახელმწიფოებრიობის სამსახურში (სამეფო სამდივნო მიწერ-მოწერის, გადასახადების აკრეფისა და ლაშქრის ორგანიზაციის) მკვიდრად უნდა ჩამდგარიყო.

თუ რა ბედი ეწვია ამ რეფორმის გატარებას ფარნავაზის შემდგომ პერიოდში, ნაკლებადაა ცნობილი წყაროთა უქონლობის გამო. მოგვიანებით, — ფარნავაზის შემდეგ, — ჩანს ქვეითდება ქვეყანა თავისი საშინაო და საგარეო მდგომარეობით.

ახ.წ. I საუკუნეებიდან ახალი ვითარება იწყება. ქრისტიანული რელიგია საქართველოში ქართული ენითა და მწიგნობრული იერსახით იგაფავდა გზას და ვითარდებოდა წარმართულ იდეოლოგიურ-რელიგიურ სარწმუნოებასთან ბრძოლის პირობებში. ახ. წ. IV საუკუნეში, 337 წ. ქრისტიანობამ გაიმარჯვა წარმართობაზე — ქართლში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა; ბრძოლა წარმართულ სარწმუნოებასა და ქრისტიანულს შორის, რა თქმა უნდა, გრძელდებოდა. მაგრამ ქრისტიანობის გავრცელების პროცესი ზღუდავდა და სდევნიდა უცხო, — სპარსულ (არამეულ) ენასა და სხვათა მწიგნობრობას; ფარნავაზისეულ ლიდი ტრადიციების მქონე ქართული ენისა და მწიგნობრობის აღორძინებით უპირისპირდებოდა ყოველსავე უცხოურს. აღნიშნულს ნათლად ადასტურებს პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. მან უარყო კერპთაყვანისმცემლობა, მიიღო ქრისტიანობა და „შეიყვარა ქართველნი და დაივიწყა ენა სპარსული და იწავლა ენა ქართული, და მანვე „შეამკო საფლავი ფარნავაზისი“. — „ხოლო ესე ყოველი ქართველთა სათნოებისათვის ქმნა და კეთილად ეპყრნა ქართველნი ნიქითა და ყოვლითა დიდებითა“.

ფარნავაზის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეპოქა დიდი აღმავლობით გამორჩეულ ქართლის სამეფოს წარმომადგენელ, მცხეთის ძირძველ სამამასახლისოს ერთიან საქართველოს სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე გარდამავალი ეპოქაა. ეგრისის ერისთავის ქუჩის და ყველა ქართველური ტომის თანადგომით და გაერთიანებით, ფარნავაზი „ყოვლი ქართლის“ — პირველ ქართლოსიან უძლეველ მეფედ გვევლინება; მან „განავრცო ენა ქართულისა და შექმნა მწიგნობრობა ქართული“; ამ რეფორმების, ისე როგორც ეროვნული წელთაღრიცხვის (კალენდრის), დასაბამ თარიღად ძვ. წ. 284 წელი მიჩნეული (რ. პატარიძე, ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989, გვ. 23—24).

ფარნავაზის რეფორმებიდან ყურადღებას ასევე იპყრობს სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, სამხედრო საქმის, სამოხელეო ინსტიტუტების და სახელმწიფო საფინანსო უწყებათა ორგანიზაცია. მემატიანის ცნობით „ფარნავაზ განამრავლნა ყოველი მხედრონი ქართლოსიანნი, განაწესა ერისთავნი რვანი და სპასპეტი... ზოლო ამათ ერისთავთა ქვეშე, ადგილთა და ადგილთა განაჩინა სპასპარნი და ათასისთავნი, და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი საქუფო და საერისთავო“.

ამ დიდ საქმეთა მოქმედი შორეული წინამორბედის, წარმართი მეფის საფლავი პირველ ქრისტიან მეფე მირიანს, რასაკვირველია, შემთხვევით არ უნდა მოეკითხა (შვიდი საუკუნის შემდეგ) ჯა. „შეამკო საფლავი ფარნავაზისი“. მირიანი მიმბაძველ-გამგრძობია ახალ პირობებში ფარნავაზის დიდი რეფორმატულ ეროვნული სახელმწიფოებრივი მდიდარი ტრადიციებისა. მან ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ამით გზა გადაუღობა ირანულ გავლენას და ქართულ-ქრისტიანული მწიგნობრული კულტურის აღდგენათ საქართველო განვითარების ახალ დიდ ასპარეზზე გამოიყვანა. ეს იყო ისტორიული ხასიათის დიდი რეფორმა...

დღესდღეობით ქართულ მწერლობაზე ჩვენ ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნიდან შემორჩენილი ძეგლებით, ეპიგრაფიკული წარწერებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. ამასთანავე მოღწეულია უძველესი ე. წ. ხანმეტი ტექსტის შემცველი უთარილო ხელნაწერი ფურცლები.

მოგვეპოვება ასევე ძველი ხელნაწერი ძეგლი, რომელსაც თარი-

ლიც უზის, ვიციტ ვისგან არის დაწერილი და სად. ეს არის სინურა მრავალთავი, გადაწერილი 864 წელს, პალესტინაში საბაწმინდის მონასტერში — „მრგლოვანი“.

V საუკუნიდანვე ითარგმნა ბიბლიის რამდენიმე წიგნი და დაიწერა ორიგინალური ნაწარმოები იაკობ ცურტაველისა; ისე რომ, როცა „მრავალთავი“ დაიწერა, ქართულ მწერლობას თითქმის ხუთი საუკუნე უსრულდებოდა (ა. შანიძე).



ქართული დამწერლობისა და მწიგნობრობის შემუშავება ხორციელდებოდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველზე; და ისინი ისეთი თავისთავადი, ზედნაშენური ისტორიული მოვლენების რიგს განეკუთვნებოდნენ, რომლებმაც თავის მხრივ დიდად კეთლისმყოფელი გავლენა მოახდინეს ბაზისზე, — საწარმოო ძალების შემდგომ წინსვლასა და განვითარების დაჩქარებაზე.

დიდი ტრადიციების მქონე კოლხურ-იბერიულმა ბრინჯაოს მეტალურგიამ, რომელიც თავისი ტექნიკური დამუშავებითა და ოსტატობით უზადო იყო, II ათასწლეულის ბოლოს რკინის ხანას საბოლოოდ დაუთმო ადგილი. ამიერიდან რკინის წარმოება ფართო ხასიათს ღებულობდა. საქართველოს ტერიტორიაზე წინა-ანტიკური და ანტიკური ხანის რკინის წარმოების კერების, რკინის სადნობი ქურების, ნარჩენი წილებისა და საბერველთა თიხის მიღების ნაშთთა, რკინის სამეურნეო და საომარი იარაღების სიმრავლე იმის უდავო დადასტურებაა². რომ მეტალურგია დიდად ყოფილა დაწინაურებული. ეს დაასაბუთა ქართულმა საბჭოურმა არქეოლოგიამ³.

კოლხეთსა და იბერიაში ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები ოსტატურად გამოიყენებოდა მეტალურგიისა და სოფლის

2 ა. იოსელიანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 8.

3 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, აღ. კალანდაძე, გ. ლომთაძე, მსხეთა, 1, თბ., 1955; ი. გრძელიშვილი, რკინის გამოდნობის საქმე ძველ საქართველოში (რუსულად), თბ., 1964, თ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1964; ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963 და სხვ.

ზეურნეობის მრავალდარგოვანი კულტურის, ხელოსნობისა და აღებ-
შიცემობის განვითარებისათვის. მაგ., ქართველური მიდგომის ხალი-
ბურ ტომთა მიერ დამზადებული მაღალხარისხოვანი რვალი და რკინა
ძველ აღმოსავლეთში ყველაზე საუკეთესოდ მიაჩნდათ და ძვირადაც
ფასობდა.

ამრიგად, კოლხეთსა და იბერიაში ლითონის, განსაკუთრებით რკი-
ნის სამეურნეო და თავდაცვის იარაღების წარმოება ადრეული ხანი-
დან მძლავრად იწყებს განვითარებას. ყოველივე ეს საფუძველი ხდება
საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა სწრაფად განვი-
თარებისა, რითაც მზადდებოდა მკვიდრი ნიადაგი კოლხურ-იბერიული
კულტურის კომპლექსურად ფორმირებისა და მისი აღმავლობისათვის;
ამ უკანასკნელის გამოვლინების ერთ-ერთ ფორმად (ფენომენად), ის-
ტორიული განვითარების ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, ქართული
დამწერლობის შემუშავება და ლითონის ფულის (კოლხური თეთრის
და სხვ.) მოჭრის კულტურა წარმოგვიდგება ქართული (ფარნავაზი-
ანული) სახელმწიფოებრივი განვითარების აღორძინების რთულსა და
გრძელ გზაზე.

ამავე პერიოდში, როგორც ეს ქართული ნუმისმატიკური მონა-
ცემებითაა დადასტურებული, კოლხურ-იბერიული სამეფოს ხელისუ-
ფალნი ჰქონდათ ლითონის ფულს, აარსებენ საკუთარ სამეფო ზარაფხა-
ნას. ამგვარად, იბერიასა და კოლხეთში სამეფო ხელისუფლება, შე-
საბამისი ორგანოებით, ქართული დამწერლობის განვითარებისა და
ლითონის ფულის მოჭრის საქმის გამძღოლად გვევლინება.

ივ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით მცხეთა-არმაზის მიდამო-
ებში 1940 წ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა წარწე-
რიანი ქვები. მათ შორის ორენოვანი სტელა: ბერძნულ-არამეული
ბილინგვა. გ. წერეთელმა ამოიკითხა ეს წარწერა და განსაზღვრა არა-
მეული ანბანის სახეობა, რომელსაც „არამაზული დამწერლობა“ უწოდა.

გ. წერეთელი „არამაზული დამწერლობის“ შესწავლამ მიიყვანა იმ
დასკვნამდე, რომ ბ, გ და ზოგიერთი სხვა ასო „ამჟღავნებენ გაცილე-
ბით უფრო მეტ არქაულობას ვიდრე არამაზული ნიშნებია. ჩვენ არ
შეგვიძლია ქართული დამწერლობა განვიხილოთ როგორც არამაზული
დამწერლობის განვითარება. ის მხოლოდ მონათესავეა მისი და მას-
თან ერთად წარმოდგება საერთო წყაროდან — არამეულიდან“⁴. აქ
ვანხილული და უკანასკნელი ხანის სხვა არქეოლოგიური მონაპოვრების
საყურადღებო მასალა ძველ საქართველოში გავრცელებულ დამწერ-
ლობათა შესახებ არსებითად ადასტურებენ და უფრო მეტად დამაჭე-

⁴ Г. Церетели, Армазское письмо и проблема происхождения грузинско-
го алфавита, 1949, с. 68.

რებელს ხდიან ივ. ჭავჭავაძის მიერ ადრე გამოთქმულ მოსაზრებებს ქართული დამწერლობის სიძველის შესახებ⁵.

კ. წერეთელი თავის ნაშრომში „არამეული ენა საქართველოში“ აღნიშნავს, რომ არამეული ენის ხმარებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს და ამ ისტორიის დასაწყისი აქემენდთა ხანაში უნდა ვეძიოთ. სწორედ მაშინ უნდა დაწყებულიყო საქართველოში არამეული ენის ხმარება⁶.

გ. მელიქიშვილი ნაშრომში — „საქართველოს, კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ადრეული ისტორიის მოსახლეობის საკითხისათვის“ ასეთ ინტერპრეტაციას იძლევა „არიან ქართლის“ შესახებ: „არიან-ქართლიდან, ანუ ირანის ქართლიდან“ (იგულისხმება აქემენდთა ირანი)⁷.

თ. გამყრელიძემ ფინიკიური, ბერძნული და ქართული ანბანი ერთმანეთს შეუდარა ასოთა რიგის მიხედვით და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქართული ამ მხრივ ბერძნულს მისდევს, ასახავს რა იმ ცვლილებებს, რაც ბერძნულში მოხდა ფინიკიური ანბანის რიგთან შედარებით. მაგრამ ავტორის აზრით, ქართული ანბანი ქრისტიანულ ხანაშია

5 რაც შეეხება ლეგენდას (რომელსაც იმეორებს გ. სევაი, იხ.: შიპო მესრობი, ერევანი, 1962, გვ. 38—46 და ზოგი სხვა), თითქოს ქართული და ალბანური ანბანი სომხური ანბანის გამოგონებულმა იუსოპ მამოცმა გამოიგონაო (რომელსაც არ იცოდა ქართული და ალბანური), დიდი ხნის წინათ, სათანადო საბუთებით, უარუყვას როგორც ივ. ჭავჭავაძის, ისე სხვებმა. დღეს ამ ლეგენდის და ასევე საყუთროვ თვით სომხური ანბანის ერთი პიროვნების — მამოცის მიერ გამოგონების თეორიას ყოველგვარ მეცნიერულ საფუძვლებს მოკლებულ შეხედულებად თვლიან თვით სომეხი მეცნიერებიც. მაგ., ა. ფერისანიანი საკვებთ მართებულად შენიშნავს, რომ „Буквотворство это большой и сложный процесс“... მით უმეტეს რომ „Маштоц же не знал ни грузинского, ни албанского языков“. მთავარი მარცხ ისაა, რომ დღეს მეცნიერულ უკვე დასაბუთებულა და აღიარებულიც, რომ ქართული ანბანი ისტორიულად შემუშავდა ბევრად უფრო ადრეულ პერიოდში, კიდრე სომხური (А. Перханян, К вопросу о происхождении армянской письменности.—Переднеазиатский сборник. II. М. 1966. с. 126).

ივ. ჭავჭავაძის პირველმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ V საუკუნის სომეხი მწერლის კორიუნის შრომაში ცნობა ქართული ანბანის მამოცის მიერ შექმნის თაობაზე — უძველეს ხელნაწერებში“ არ ყოფილა შეტანილი. მაგ. ლაზარე პარფეს უამცნობოდ ჰქონია წაყითხული კორიუნის თხზულება და ამიტომაც არაფერს ამბობს ამ ფაქტზე. — მამოცის ღვაწლზე საუბრისას. ამით ნათლად მტკიცდება, რომ ლეგენდა ქართული ანბანი მამოცმა გამოიგონაო, ეყუთვნის არა V ს-ის ბოლომდე მეცნიერს კორიუნს, არამედ ვიღაც ყალბისმქმნელს, რომელსაც მოგვიანებით სრულიად უსაფუძვლოდ ჩაურთავს ეს ადგილი კორიუნის თხზულებას. ასეთია სინამდვილე მტკიცე და ურყევე.

6 იხ. კ. წერეთელი, არამეული ენა, თბ., 1982, გვ. 8, 19.

7 იხ. გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, 1965, თბ., გვ. 15—17.

წარმომბილი. ლეონტის ცნობა კი „მწიგნობრობა ქართული“-ს შესახებ ტექსტების ალოგლოტგრაფიულ ჩაწერას მიუთითებს⁸.

1980 წ. გამოქვეყნდა რამაზ პატარიძის სპეციალური მონოგრაფიული ნაშრომი „ქართული ასომთავრული“. ავტორი ივ. ჯავახიშვილის დიდი მემკვიდრეობისა და სხვა უახლესი ლიტერატურული და ისტორიული ნაწარმოებების გამოყენებით დასძენს, რომ „ქართული ასომთავრული ანუ მრგლოვანი ქართული დამწერლობის უძველესი სახეობაა და ერთ-ერთი არქაული ანბანური დამწერლობაა მსოფლიოში“⁹.

ივ. ჯავახიშვილის კვლევებიდან დადგენილია ქართული ანბანისა და დამწერლობის, საერთოდ, ფინიკიურისა და არამეულისგან წარმომავლობა და ქართული ანბანის გრაფიკული სახის თავისთავადობა. მაგრამ აზრთა სხვაობა, გარდა იმისა, რომ ადრეც არსებობდა, ცალკეულ საკითხებზე დღესაც გრძელდება. მაგ., ჯერ კიდევ მ. ბროსე, ილ. ოქრომჭედლიშვილი, ნ. მარი ფიქრობდნენ, რომ ასომთავრული ანბანი კი არ იყო წარმოშობის ხანაში ფარნავაზის დროს შემოღებულ-დამკვიდრებული, არამედ მხედრული ანბანიო, მაგრამ ა. შანიძემ, ი. აბულაძემ, ე. მაჭავარიანმა, რ. პატარიძემ და სხვ. ცხადყვეს და განამტკიცეს მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრება, რომ ქართული ანბანის უძველეს სახეობას წარმოადგენს ასომთავრული, რომლიდანაც წარმოდგა შედარებით ახალი ნუსხური და მხედრული. რაც შეეხება ჯერ კიდევ XIX ს. მეორე ნახევარში ვ. გარდტჰაუზენის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ქართული დამწერლობის ბერძნულიდან წარმომავლობის შესახებ, მას კვლავ იზიარებდენ და ემხრობიან

⁸ იხ. თ. გამყრელიძე, მწიგნობრობა ქართული, გაზ. „ლიტერატურულ საქართველო“, 1987, 20 ნომბრის № 47;

⁹ მ. ჩხატარაიშვილის წერილში „წიგნი პირველი“ (მნათობი, 1988, № 5) უარყოფილია ქართული ანბანის შესახებ ლეონტი მროველის ცნობის ამგვარი ინტერპრეტაცია და ხაზგასმულია, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი წარმართულ ხანაში ქართული ასომთავრულის — ქართული ანბანის უძველესი სახეობის — უარსაყოფად.

⁹ იხ. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, ავტორი თავის ნაშრომში კრიტიკულად განიხილავს კ. კეკელიძის შეხედულებას — „ქართველურ ტომებში ანბანისა და მწიგნობრობის შემოღებისათვის საკირო პირობები ყოველ შემთხვევაში ქრისტიანულ ეპოქამდე... არ არსებობდა“ (კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, ჟურნ. „მნათობი“, 1929, № 6, გვ. 161), რომ ქართველებს არამც თუ გაქრისტიანებამდის, გაქრისტიანების შემდეგაც ერთი საუკუნის განმავლობაში, მეოთხე საუკუნეში, მწერლობა არ ქონიათ“ (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1. თბ., 1923, გვ. 25—26; ქართული ანბანის შემოღება იხ. „მნათობი“, 1929, № 5—6, გვ. 149).

კ. კეკელიძე, ა. შანიძე, პ. ინგოროყვა, თ. გამყრელიძე, ვ. ზოდერია:
თ. ჩხენკელი და სხვ.¹⁰.

რამაზ პატარიძის შეხედულებით „ქართული ასომთავრული ანბანი არა მარტო ქართული დამწერლობის ფუნქციას, არამედ კალენდარულ დანიშნულებასაც ასრულებდა“¹¹.

მეცნიერული მოსაზრება ქართული დამწერლობისა და წიგნის შორეული ისტორიული ეპოქებიდან მომდინარეობის შესახებ, რომ ქართული დამწერლობა ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ, წარმართულ საქართველოში ძველი წელთაღრიცხვის IV—III სს-ში უნდა შექმნილიყო, შემდგომი კვლევა-ძიებით დასტურდება. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია წარმართული იდეოლოგიის შესაბამის ქართულ წერილობით ძეგლებსა და პირველ ლიტერატურულ ნიმუშებს¹².

ახალმა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ, რომელიც ახ. წ.-ის IV საუკუნიდან საქართველოში ოფიციალურ გაბატონებულ რელიგიად გამოცხადდა, მოსპო წარმართობის ნივთიერ-დოკუმენტური მემკვიდრეობა და, პირველ ყოვლისა, წერილობითი ძეგლები. ყურადღებას იპყრობს პალიმფესტური ხელნაწერი ძეგლების აღმოჩენა, რომლებსაც პირველად ივ. ჯავახიშვილმა (და მისმა მოწაფეებმა) მიაკვლია¹³.

ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი შემდეგს გვაუწყებს: „წიგნური-დამწერლობის უძველესი ძეგლები ღრთა განმავლობაში დალუპულან ან სამუდამოდ, ან იმიტომ, რომ მათი ეტრატი საწერ მასალად გამოუყენებიათ და ამის გამო წინასწარ ამ უძველესი ძეგლების ნა-

10 იხ. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბ., 1984.

11 იხ. რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, თბ., 1980, გვ. 518.

12 ივ. ლოლაშვილი, ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებიან, თბ., 1978.


13 პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ქართულ ენაზე ქრისტიანობის საბოლოო გაბატონებამდე უკვე არსებობდა ძველი საერო მწერლობა. დღეს ეს მოსაზრება დამკვიდრებულია და ვაზიარებულიც მეცნიერებათაგანო — შენიშნავს ლოლაშვილი (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 10).

ნტიურ საქართველოში სწავლა-განათლებისა და მწერლობის არაერთი დიდი კერა რომ არსებობდა, ეს თითქმის საყოველთაოდ ცნობილია. IV საუკუნეში ბერძენ გამოჩენილ ფილოსოფოსსა და ორატორს თემისტოისს (317—388 წწ.) კოლხეთში, ფ. ზისში (ფოთის მახლობლად), არსებული აკადემიის რიტორიკულ სკოლაში მიეღია განათლება. დღემდე მოღწეულია სანელოვან კოლხ. მკვერმეტყველ რიტორთა სიტყვების ჩანაწერები, როგორც კლასიკური მკვერმეტყველების ნიმუშები (ნ. კანდელაკი, ქართული მკვერმეტყველება, ასევე იხ. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყუბჩიშვილის რედაქციით. ტ. I, გვ. 33—34, თბ., 1955).

წერი გადაურეცხიათ და გადაუფხეკიათ კიდევ. მაგრამ ნაწერის მთლად
გადარეცხვა-გადაფხეკა შეუძლებელი გამხდარა. რადგან ჩვენს წინა-
პრებს რკინისგან შემზადებული მელნით უწერიათ და ძველი ნაწერის
ნაალაგევი და კვალი ამ პალიმფსესტებში მაინც მოჩანს¹⁴.

როგორც ჩანს, წარმართულ საქართველოში წარმართულ ტაძ-
რებთან ერთად არსებობდა დამწერლობისა და მწიგნობრული კასტურ-
რელიგიური კერები, რომლებიც წარმართ ქურუმთა და მეფის ხელი-
სუფლების დაცვას ემსახურებოდნენ.

ქართული კულტურისა და დამწერლობის დღემდე მოღწეული
დიდებული ძეგლები აკად. ივ. ჭავჭავიძის აღმოჩენა რამდენადმე კა-
ტეგორიული ხასიათის დასკვნის საფუძველს. იგი წერს: „ქართული
დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხოვანი კალიგრაფიული გან-



სურ. 2. ბეთლემის წარწერა.

¹⁴ ივ. ჭავჭავიძე, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თბ. 11, 1922—1923, გვ. 31.


ვათარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი ხანა სულ ცოტა 7—8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი¹⁵.

მოტანილი მეცნიერული მოსაზრებანი ქართული დამწერლობის, მწიგნობრობის შემუშავებისა და მისი აღმოცენების ქრონოლოგიური საწყისების შესახებ მყარია. მას ძველ ისტორიულ წყაროებთან ერთად კიდევ უფრო ღრმად განამტკიცებს ქართული საბჭოური და უცხოური არქეოლოგიის საინტერესო მონაპოვარნი.



ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლებიდან, წარმართობის წინააღმდეგ ქრისტიანობის ბრძოლისა და მტრული ქვეყნების ხშირი თავდასხმების პირობებში, გადარჩა და ჩვენამდე მოაღწია ძალზე ცოტა ეპიგრაფიკულმა ძეგლმა და ისიც მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან:

1. ბეთლემში (პალესტინაში, ბის ელ-კუთის უდაბნოში, იერუსალიმიდან 7 კილომეტრის მანძილზე, სამხრეთით) იტალიელი არქეოლოგის კორბოს გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქართული წარწერები. რომლებიც 432—452 წლებით თარიღდება.
2. ბოლნისის სიონის ტაძრის (თბილისიდან 80-მდე კილომეტრით) სამხრეთის კედლის წარწერა, რომელიც 493—494 წლებით თარიღდება.



სურ. 3. ბოლნისის სამშენებლო წარწერა

¹⁵ იხ. მისი ქართული დამწერლობათმცოდნეობა, თბ., 1949, გვ. 227. 1920-იან წლების დასაწყისში ივ. ჯავახიშვილმა პალეოგრაფიულად გამოიკვლია ქართული დამწერლობის ძველი ძეგლები (მათ შორის ბოლნისის საყდრის უთარაო სამშენებლო წარწერა, რომელიც პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დაათარიღა V ს-ის ბოლო წლებით). 1936 წლიდან ბოლნისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა V—VIII ს. ს.-ის ათზე მეტი ლაპიდარული წარწერა. მათ შო-

3. მცხეთის ჯვრის ეკლესიის წარწერების კომპლექსიდან მე-6—7 საუკუნის ზოგი წარწერა¹⁶ ერისთავის ბარელიეფით.

4. ამასთანავე შემოგვრჩა ქართული ნუმისმატიკური მასალა ლითონის ფულზე აღბეჭდილი ქართულ-ანბანური ქარაგმოვანი უძველესი წარწერების სახით. მაგ., ლითონის ქართულ მონეტებზე აღბეჭდილია ერისთავების გუარამის, გურგენის, ვახტანგის, სტეფანოსის სახელები¹⁷.

ქართული უნიკალური ეპიგრაფიკული ძეგლებიდან ჩვენ აქ მოკლედ რამდენიმეზე შევჩერდებით: პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ 1952—1953 წლებში ბეთლემის მახლობლად იორდანის უღბანოში აღმოჩენილი ქართული წარწერები, რომლებიც ქართული მონასტრის ნანგრევებში, იატაკსა და მიწაში დაფლული კედლის ნაწილზე, იპოვეს¹⁸.

ეს წარწერები უცხოეთში მცხოვრებმა ქართველმა მეცნიერმა მიხეილ თარხნიშვილმა ზუსტად ამოიკითხა. პალესტინაში აღმოჩენილმა ძეგლმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა საქართველოს ძველი ისტორია. წარწერები გვაუწყებს:

1. შეწევნითა ქრისტჳსითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორებისთა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია. მომსხმელი ამის სეფისაჲ, და მამა-დედაჲ იოსიაჲსი, ამენ.

2. წმიდაო თეოდორე, მარჲან და ბურჲენ [შეიწყალ]ენ, ამენ.

რის ბოლნისის საყდრის თარიღიანი სამშენებლო წარწერა, რაც შეისწავლა ქართული ეპიგრაფიკის თვალსაჩინო სპეციალისტმა ლ. მუსხელიშვილმა, (იხ. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი. „ენიმკის მოამბე“ ტ. III, თბ., 1958, გვ. 326. ქართული წარწერის კორპუსი 1. ლამბდარული წარწერები I, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980, გვ. 10—11).

16 მაგ. მცხეთის ჯვრის ეკლესიის სტეფანოსის წარწერას ივ. ჯავახიშვილი VI ს-ით ათარიღებს. იხ. მისი ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 156.

17 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმისმატიკა. თბ., 1969, გვ. 49; ა. იოსელიანი, ლითონით დაწერილი ისტორია. სიტყვა ქართულ ნუმისმატიკაზე. ვაზ. „კომუნისტი“, 11. 11. 1971.

523 წ. სპარსელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და ქვეყნის სათავეში მარბ-პანები დააყენეს. სპარსელების განდევნის შემდეგ ქვეყნის მართვა იკისრეს წარჩინებულებმა — „შეკრბენ და ქართლში განაჩინეს ერისთავად გუარამ“. იგი ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი იყო.

18 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960.

3. ...და ძუძუელნი მათნი ბაკურ და გრი-ორმიზდ და ნაშნობნი მათნი, ქრისტე, შეიწყალენ. ამენ.

უკანასკნელი ორი წარწერა V საუკუნის I ნახევრით თარიღდება. რგი დღემდე ჩვენთვის ცნობილ ყველა ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლზე უძველესია.

პირველი ნაშრომი ამ აღმოჩენათა შესახებ გამოაქვეყნეს ვირჯილიო კორბომ და მიხ. თარხნიშვილმა 1953 წელსვე ჟურნალში „La Terra Santa“; 1954 წ. ჟურნალში „Bedi Karthlissa (Revue de Karthvéologie“ (№ 16) დაიბეჭდა მ. თარხნიშვილის ნაშრომი „Un nouveau monastère géorgien découvert à Bethlehem“ („ახლად აღმოჩენილი ქართული მონასტერი ბეთლემში“), 1955 წ. იერუსალიმში დაიბეჭდა ვირჯილიო კორბოს წიგნი „Gli scavi d Kh. Siyar el-Ghanam (Campo dee pastorije i monasteri dee dintorni“ („გათხრები ხირბეთ სიიარ ალანამში („მწყემსთა ველი“) და უახლოესი მონასტრები“)¹⁹.

მ. თარხნიშვილმა პირველად გამოთქვა საყურადღებო აზრი ამ წარწერებში მოხსენებულ პირთა (მარუან და ბურზენ) ვინაობის შესახებ: „ეს სახელები ოდნავ განსხვავებული ფორმით ცნობილი იყო საქართველოში. პეტრე იბერიელის (V ს.) ქართული ცხოვრების მიხედვით, მისი ქართული სახელი იყო მურვანოსი და ამავე პეტრეს მამას ბუზმირი ერქვა. ბუზმირ სახელი ერქვა ერთ ქართველ მთავარს დაახლოებით VI საუკუნის ბოლოს“²⁰.

მ. თარხნიშვილმა შეუცდომლად ამოიკითხა წარწერები, თარგმნა ლათინურად და დაურთო ფრიად საინტერესო კომენტარები. ვ. კორბოს ექსპედიციის მიერ აღმოჩენილმა ქართულმა ეპიგრაფიკულმა ძეგლებმა უმაღვე მიიქცია ქართველოლოგთა ყურადღება.

მ. თარხნიშვილის დაკვირვება გაიზიარა ს. ყაუხჩიშვილმა, რომელმაც მიიჩნია, რომ მარუან არის პეტრე იბერის სახელი, ბუზმირ-პეტრე იბერის მამისა, ხოლო ბაკურ — პეტრე იბერის დედის მამისა.

1959 წ. შ. ნუცუბიძემ ჟურნალ „მნათობში“ (№ 1) გამოაქვეყნა გამოკვლევა „პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები“. მისი ვარაუდით, მურვანოსი იგივე მურვანია (პეტრე იბერიელის საერო სახელი). შ. ნუცუბიძის აზრით, წარწერა V საუკუნის I ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს²¹.

19 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბ., 1984, „განათლება“, გვ. 6—7.

20 იქვე.

21 შ. ნუცუბიძე, პალესტინის ახალი გათხრები და ქართული კულტურის საკითხები. — მნათობი, 1959, № 1.

1960 წ. გამოქვეყნდა გ. წერეთლის ნაშრომი — „უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან“. ავტორი შეეცადა დაესაბუთებინა მ. თარხნიშვილის ვარაუდი, რომ ზემოთ დასახელებული ორი წარწერა უკავშირდება პეტრე იბერიელის — მეხუთე საუკუნის უდიდესი ქართველი ფილოსოფოსისა და საეკლესიო მოღვაწის სახელს.

„პალესტინის უდაბნოს ქართული წარწერების სახით, — წერს გ. წერეთელი, — ჩვენ მივაღწეით იმ მიჯნას, რომლის იქით, ზოგიერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ქართული დამწერლობის არსებობა არ ივარაუდებოდა. ამ ეპოქის შესანიშნავი ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენის შემდეგ, ისიც საქართველოდან ესოდენ დაშორებულ ქვეყანაში, როგორც პალესტინა, ვფიქრობთ, ეს ჰიპოთეზა საბოლოოდ უკუგდებული უნდა იქნეს“...

წმინდა თედორეს სახელობის მონასტერი პეტრე იბერიელმა ააგო V საუკუნის 30-იან წლებში. ბუნებრივია, წარწერათა ამოკვეთაც ამ დროისათვის ივარაუდებოდა. გ. წერეთელი დაასკვნის: „ეს წარწერები არიან უძველესი დღემდე ცნობილ ყველაზე ძველ ქართულ წარწერათა შორის, ვინაიდან ნახევარი საუკუნით მაინც წინ უსწრებენ დღემდე ყველაზე ძველად მიჩნეულს ბოლნისის წარწერებს“²² (აქ თითქო ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ეპქს წმინდა თედორეს სახელის V ს. 30-იანი წლებით დათარიღება ბადებს).

1936 წ. კულტურის ძეგლთა დაცვის კომიტეტმა ბოლნისის სიონში ჩაატარა სარესტავრაციო სამუშაოები. აღმოჩნდა ქართველი ეპიგრაფიკის შესანიშნავი ძეგლი, რომელიც წარმოადგენს საბუთს ბოლნისის სიონის მშენებლობის დათარიღებისათვის. სამწუხაროდ, წარწერას აკლია თითქმის ნახევარი..

„[შეწვენითა წმიდისა სამებისათა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე ზიქმნა დაწყებაჲ] ამის ეკლესიამსა და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა, ვინ აქა შინა თაუყანის-ხცეს, ღმერთმან შეიწყალენ და ვინ ამის ეკლესიამსა დ[ავით ე]პისკოპოსსა ხულოცოს, იგიცა ღმერთმან შეიწყალენ“.

წარწერა ხანმეტია. აკაკი შანიძემ მიუთითა, რომ, წარწერის მიხედვით, ეკლესიის მშენებლობა დაუწყიათ 478 წელს, პეროზის (458—484 წწ.) გამეფებიდან მე-20 წელს, და დაუსრულებიათ 493 წელს.

ამდენად, მისი აზრით, ეს წარწერა ამოკვეთილია 493—494 წლებში.

²² გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 20—35.

ბოლნისის სიონის ტაძრისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა და გათხრები დაკავშირებული იყო შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეების მზადებასთან, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ედგა სათავეში. გათხრებს ლ. მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა და, ბუნებრივია, მისსავე სახელთანაა დაკავშირებული ბოლნისის ტაძრის წარწერის აღმოჩენა.

მაშვარის ხეობაში, უკანგორის ეკლესიის ეზოში, ლ. მუსხელიშვილმა მიაკვლია წარწერიანი ჭვრის კვარცხლბეკს, რომელსაც ამშვენებს წარწერა:

— „ქრისტე, პეტრჳს ხუცსობას[ა] მე, თათვარაზ, აღხუმ[ა]რთე ესე ჭუარი სახე[ლითა] ღმრთისაჲ[თა,] შეწვენითა იმ“²³...

ეს წარწერა, ლ. მუსხელიშვილის აზრით, VI საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება. მანვე ეკლესიაში იპოვა მცირე ჭვრის კვარცხლბეკზე შემონახული ხანმეტი წარწერის ფრაგმენტი:

— „სახელითა ღმრთისაჲთა, მე, თათვარაზ, და მარიამ აღხუმარ-თეთ ესე ჭუარი სალოცველად ჩუენდა“²⁴.

ამ ძეგლის დასათარიღებლად მიუთითებენ პირველ წარწერაში მოხსენებული პეროზ სპარსთა მეფის (459—484) ზეობას. ბოლნისის ტაძრის მშენებლობა დაუწყიათ პეროზის მეფობის მეოცე წელს, ხოლო თხუთმეტი წლის შემდეგ, ანუ 494 წელს, მშენებლობა დაუ-მთავრებიათ (459+20+15=494).

ბოლნისის წარწერა ა. შანიძემ ამოიკითხა და მეცნიერულად გააანალიზა, მაგრამ წარწერის დაზიანებული ადგილების განსხვავებული წაკითხვა არ გამოირიცხავს წარწერის თარიღის შემდგომი დაზუსტების შესაძლებლობას. ამიტომ, რასაკვირველია, ამ გარემოების გამო, ბოლნისის წარწერის დათარიღების ირგვლივ და მთლიანად ბოლნისის ძეგლის ახალი თვალსაზრისით შესწავლისადმი ინტერესი იზრდებოდა და აზრთა სხვაობა დღესაც გრძელდება²⁵.

²³ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი. — ენიშის მოამბე, III, თბ., 1938, გვ. 325; გ. ჩუბინაშვილი, ბოლნისი, თბ., 1940, გვ. 69; ა. შანიძე, ნობათი, — ძურს. „ციხარი“, 1976, № 1, გვ. 28—31.


²⁴ ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი; მისივე, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშვარის ხეობაში, თბ., 1941.

²⁵ შ. აპირანაშვილი, ბოლნისის ტაძრის აგების დროს დაზუსტებისათვის. — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შრომები, 4, 1958, გვ. 3—4; რ. პატარიძე, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერები. — მნათობი, 1984, № 1; ს. კაკაბაძე, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა (რუსულ ენაზე). — მაცნე, № 3 და მნათობი, 1985, № 5, გვ. 149—154, ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ; ა. ბოგვერაძე, ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან. — მაცნე ისტორიის სერია, 1985, 4; ნ. ლომოური, კვლავ, ბოლნისის დათარიღების. საკითხებისათვის, — მაცნე ისტორიის სერია, 3, 1986, გვ. 156—165.

მცხეთის ჯვრის წარწერებს ი. ჭავჭავაძის და ა. შანიძე ასევე მე-6—7 საუკუნეებს მიაკუთვნებენ.

ივ. ჭავჭავაძის აზრით, VI საუკუნის მიწურულში, დაახლოებით 591—600 წწ., უნდა იყოს ამოკვეთილი სტეფანოსის წარწერა

„— [ჭუარ]ო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე“.



სურ. 4. სტეფანოსის წარწერა.

ამავე ეპოქისაა ჯვრის მონასტრის ხანმეტი წარწერა, რომელშიც მოხსენებულია სტეფანოსის ძმა დემეტრე უპატოსი:

— „წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, დემეტრეს უპატოსისა მეოხ ხეყავ“.

ეს არის ერთადერთი მცხეთური ხანმეტი წარწერა. საგულისხმოა, რომ იქვე ადრნერსე ვპატოსის წარწერაში ეგვევ ზმნა ხ- პრეფიქსის გარეშეა წარმოდგენილი: „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრნერსეს ვპატოსსა მეოხ ეყავ“. ივანე ჭავჭავაძის მიუთითებს, რომ ვპატოსი ერთი საფეხურით დაბლა იდგა პ ა ტ რ ი კ ი ო ს ზ ე. ამ წარწერებში მოხსენიებული ბერძნული ტიტულები ცხადად მიგვანიშნებენ ქართლის მთავართა დამოკიდებულებას ბიზანტიის სამეფო კარი-სადმი.

გ. ბოჰორიძემ გამოაქვეყნა საპაკდუხტის წარწერა, რომელიც მან იპოვა რაჭაში, ზნაკვის ჭვარისაში:

„წმიდაო გაბრიელ საკრველთმოქმედო, შენდა შევედრებული მკვეალი შენი საპაკდუხტ დაძევე ყოვლისაგან ბოროტისა“.

წარწერა მე-6 საუკუნისააო, ფიქრობდა გ. ბოჰორიძე. ა. შანიძე ამ პეგლს მე-5 საუკუნით ათარილებს.

ქართული დამწერლობისა და ენის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წყისის (მდებარეობს სოფ. უდის მახლობლად, ადიგენის რ-ნი) ჰაემეტ წარწერას. იგი გ. ბოჰორიძემ აღმოაჩინა.

წყისის ქვაჯვარის წარწერით, მიწის გაყიდვის დამტკიცება, მე-ექვსე საუკუნის ტექსტით, ასე იკითხება: „ესე ჭუარი ქრისტჳსი მე, კოსტანტი, ძემან სტეფანესმან და გუდასმან, აღჰუმართე სახელსა მცხეთისა ჭუარისასა ნასყიდევსა ქუეყანასა ზედა შაჰრამანსა ა. სა-ცოდ [სალოცველად] ჩუენდა, ცოლისა და შვილითა. ნონებრსა იხ. ამენ“. ირკვევა, რომ ქართლის საზოგადოება VI—VII საუკუნეებში უკვე იცნობდა მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმას („მამულს“, „ნასყიდვის“, „შეწირულს“).


აკაკი შანიძემ ივარაუდა, რომ წყისის წარწერა 616—619 წლებს განეკუთვნება. წარწერის ჰაემეტი ზმნური ფორმაა — ა ღ ჰ უ მ ა რ თ ე“.

VII საუკუნეში აგებული ატენის სიონის წარწერათაგან ყურადღებას იქცევს სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა, რომელიც შესრულებულია 739 წ. გ. აბრამიშვილმა და ზ. ალექსიძემ გამოაქვეყნეს ნაშრომი — „მხედრული დამწერლობის სათავეებთან“, რომლითაც ცხადყვეს, რომ ატენში დატულია ყველაზე ადრინდელი ნიმუშები მხედრული დამწერლობისა. ატენის სიონის ერთ-ერთი წარწერა მოგვითხრობს:

„ქრისტე, ბრძანებითა ღმრთისაძათა, თუესა ნოვენებრსა თოთხმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, ყამსა ღამისასა, სარკინოზთა წელსა სკგ-სა, ქრონიკონსა ნ“ზ, აღესრულა კურთხეული დედოფალი გუარამავრი, ღმერთმან [შეიწყალენ სული მისი, ამენ“].


სარკინოზთა სკგ 223 წელს უდრის, ხოლო ქართული სათვალა-

ვით ნზ-57. ორივე წელთაღრიცხვის მონაცემები წარწერას 837 წლით ათარიღებენ²⁸. (614 + 223 = 837; 780 + 57 = 837).



სურ. 5. მხედრული დამწერლობა VIII საუკუნისა (711 წ.). ატენის სიონის წარწერა

ძველი ქართული მრგლოვანი დამწერლობისაგან IX—X სს. წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ნუსხა-ხუცური და მხედრული, დამწერლობა — საკუთარი, ურთიერთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული გრაფიკული გამოსახულებებით.



სურ. 6.

IX საუკუნის მხედრული დამწერლობა
(875 წ.)

X საუკუნისა მხედრული დამწერლობა
ატენის სიონის წარწერა.

²⁸ ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984; ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიციები, თბ., 1941; ნ. შოშიაშვილი, ქართული ლაპიდარული წარწერები, 1, თბ., 1980; ივ. ჭავჭავაძე, ქართული პალეოგრაფია; ა. შანიძე, ძველი ქართული ქრესტომათია, თბ., 1935.

ეს მოვლენა ქართული დამწერლობის განვითარების ერთიან პროცესში ისტორიულად დაკავშირებულია ფეოდალიზმის დიდ აღმავლობასა და ქრისტიანობის სრულ გამარჯვებასთან.



სურ. 7. დავითის სტელა (დღვალი)

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი იყო ქართული დამწერლობის ისტორიული განვითარების ერთიანი პროცესი, კვემოთ მოცემულია თითოეული საფეხურის ასონიშანთა გრაფიკული გამოსახულება, ტრანსკრიფციითა და რიცხვითი მნიშვნელობით²⁷.

²⁷ ე. მაქავარიანი, ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები, თბ., 1982, ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, 1973.

ქართული ანბანი

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|-------|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| ა | ბ | გ | დ | ე | ს | ლ | მ | ნ | 200 |
| ვ | ჟ | ზ | თ | ი | რ | წ | ჭ | ც | 300 |
| კ | ქ | ც | ძ | წ | ყ | ვ | ფ | ყ | |
| შ | ჩ | ც | ძ | წ | ღ | ყ | შ | ჩ | 400 |
| ც | ძ | წ | ჭ | ც | ძ | წ | ჭ | ც | 500 |
| ძ | წ | ჭ | ც | ძ | ჭ | ც | ძ | წ | 600 |
| წ | ჭ | ც | ძ | წ | ძ | წ | ჭ | ც | 700 |
| ჭ | ც | ძ | წ | ჭ | ც | ძ | წ | ჭ | 800 |
| ც | ძ | წ | ჭ | ც | ჭ | ც | ძ | წ | 900 |
| ძ | წ | ჭ | ც | ძ | ხ | ღ | ჩ | ც | 1000 |
| წ | ჭ | ც | ძ | წ | ც | ღ | ჩ | ც | 2000 |
| ჭ | ც | ძ | წ | ჭ | ძ | წ | ჭ | ც | 3000 |
| ც | ძ | წ | ჭ | ც | რ | წ | ჭ | ც | 4000 |
| ძ | წ | ჭ | ც | ძ | ს | წ | ჭ | ც | 5000 |
| წ | ჭ | ც | ძ | წ | ქ | წ | ჭ | ც | 6000 |
| ჭ | ც | ძ | წ | ჭ | ყ | წ | ჭ | ც | 7000 |
| ც | ძ | წ | ჭ | ც | ჯ | წ | ჭ | ც | 8000 |
| ძ | წ | ჭ | ც | ძ | ღ | წ | ჭ | ც | 9000 |
| წ | ჭ | ც | ძ | წ | ჭ | ც | ძ | წ | 10000 |

სურ. 8.

1. ქართული ასომთავრული V ს., 2. ნუსხური, 3. თანამედროვე მხედრული, 4. საერთაშორისო ტრანსკრიფცია, 5. რიცხვითი მნიშვნელობა.

ქართული ანბანი დღეს შეიცავს 33 ასოს (— ერთხანს კი 38 აღწევდა). ქართული ანბანი რამდენიმე სახისაა. მათი გრაფიკა ყალიბდებ-

ბოდა საუკუნეთა მანძილზე. ასეთებია: „ხუცური“ და „მხედრული“. „ხუცური“ საეკლესიო-სასულიეროს ნიშნავს, მხედრული — საეროს.

ქართულმა დამწერლობამ თავისი ჩამოყალიბების პროცესში სამი საფეხური განვლო: ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი (ანუ მ რ გ ლ ო ვ ა ნ ი), ნ უ ს ხ უ რ ი და მ ხ ე დ რ უ ლ ი.

V—IX საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლები (წარწერები და ხელნაწერები) შესრულებულია ანბანის იმ სახეობით, რომელსაც ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ს ან მ რ გ ლ ო ვ ა ნ ს ვუწოდებთ. შეიძლება დავასახელოთ: პალესტინის, ბოლნისის, მცხეთის, უკანგორის, წყისის, ურბნისის წარწერები, ხანმეტი და ჰამეტი ტექსტები, სინური მრავალთავის უდიდესი ნაწილი, აღიშის ოთხთავი და სხვ.

IX საუკუნიდან გვაქვს ნუსხური დამწერლობის ნიმუშები. უკანასკნელ ხანებამდე ითვლებოდა, რომ ნუსხური ანბანის ყველაზე ადრინდელი ნიმუშია 864 წლის სინური მრავალთავის ანდერძი. მაგრამ გ. აბრამიშვილმა გამოაქვეყნა ატენის ერთ-ერთი წარწერა (თარიღდება 835 წლით), რომელიც ნუსხური დამწერლობის უძველესი ნიმუშია.

X საუკუნეში ნუსხური ანუ კუთხოვანი ანბანით გადაწერილი ძეგლების რიცხვი თანდათან მატულობს. მთელ რიგ ხელნაწერებში ზოგჯერ ერთი ნაწილი ასომთავრულითაა დაწერილი, ნაწილი — ნუსხურით. ასეთია, მაგალითად: სინას მთის მრავალთავი.

ნუსხური — სიტყვა ნუსხისაგანაა ნაწარმოები. საბას განმარტებით, „ნუსხა ჩქარად აღწერილი არს“. ნუსხა დედანსაც ერქვა: „ესე სიტყუანი თუთ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთუმესნია. ვითა ნუსხასა ეწერა, მეცა ეგრე აღვწერე“. როგორც ანბანის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი, იგი ძველ ხელნაწერებში თითქოს არ ჩანს, მაგრამ ბოლო მინაწერი უძველესი ნიმუშია ხუცურისა, რომლისგან IX საუკუნეში წარმოიშვა ახალი ქართული სახეობა, ე. წ. მხედრული (ა. შანიძე).

სინური მრავალთავი შინაარსით საეკლესიო-სადღესასწაულო კრებულია²⁸. IX საუკუნიდან ჩვენამდე მოაღწია მეორე ძეგლმა — შატბერდ-ჰადიშის სახარებამ (897 წ.), რომელიც ასევე სინას მთაზე აღმოჩნდა და პირველად სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად პროფ. ალ. ცაგარელმა აღწერა 1883 წ.²⁹.

²⁸ დღეს ეს ძვირფასი ძეგლი ბეჰდუარად გამოცემულია და ხელმისაწვდომია სპეციალისტებისათვის. სინური მრავალთავი 1959 წ. გამოცემა უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ ვაშინგტონიდან მიღებული სინას მთისა და იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა ფოტოპირების (რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ შეიძინა) გამოყენების საფუძველზე.

²⁹ А. Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, СПб, 1894.

1902 წ. სინას მთაზე ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა აღწერეს იქ დაცული ქართული ხელნაწერები⁸⁰.

ამრიგად, VIII საუკუნიდან თანაარსებობს და ერთდროულად იხმარება ქართული ანბანის სამი სახეობა — ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. ამავე დროს, ასომთავრულსა და ნუსხურს საერთო სახელად ხუცური უწოდეს — მხედრულის საპირისპიროდ, რადგან ასომთავრული და ნუსხური ანბანით, უპირატესად, იწერებოდა სასულიერო მწერლობის ძეგლები, მხედრულით კი საერო და სახელმწიფო-საკანცელარიო ძეგლები.

XIV საუკუნეში (ასევე XVIII საუკუნეშიც) „წერა ხუცურისა“ და „მხედრულის“ გადამწერის მეორე და მესამე ხელობადაა დასახელებული, ანუ მას სცოდნია მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული წერა. (იხ. ბანდაისძე ავგაროზ კალიგრაფი XIV ს. ხელნაწ. ინსტ. A 575 პარაკლიტონი, გვ. 311, და იესე ბარათაშვილი XVIII ს. მღვიან-მწიგნობარი. იხ. მისი ცხოვრება-ანდერძი 1950 წ. ა. იოსელიანის გამოცემა. გვ. 8).

თანამედროვე მკითხველი ძველ ქართულ ენაზე, მაგ. მეხუთე საუკუნეში, დაწერილ ლიტერატურულ შედევრს „შუშანიკის წამებას“, ისე როგორც შოთა რუსთაველის XII ს. გენიალური ქმნილებას „ვეფხისტყაოსანს“, თავისუფლად კითხულობს — თითქმის მთლიანად გასაგებია და მისახვედრი, რომ აქ აღარაფერი ვთქვათ გვიანი ხანის სხვა ძეგლებზე, ნაგრამ ეგევე არ ითქმის ქართული ნაირსახოვანი დამწერლობის შესახებ. იაკობ ხუცესის მიერ მეხუთე საუკუნეში ქართული ასომთავრულით (მრგლოვანი) შეთხზული „შუშანიკის წამების“ დაწერიდან VIII—IX საუკუნემდე ქართული ანბანის გრაფიკა ორგზის შეიცვალა, ენა კი თითქმის უცვლელი დარჩა.

სამსახეობა ქართული ანბანისა — მრგლოვანი-ასომთავრულის, ნუსხურ-ხუცურისა და მხედრულის თანაარსებობის პროცესი ისტორიულად მხედრულის გაძლიერებითა და დიდი უპირატესობით ხასიათდებოდა. თანდათან სასულიერო ხასიათის ძეგლები მხედრული ანბანით იწერებოდა. ამის სამაგალითო ნიმუშია A-65 ხელნაწერთა კრებული, 1188 და 1210 წლისა, რომელშიც შეტანილია მხედრულად გა-

⁸⁰ Н. М а р р, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л. 1940; ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1949.

დაწერილი თხზულებანი; რაც მეტი დრო გადიოდა, მხედრული ანბანით გადაწერილ სასულიერო წიგნთა რაოდენობა უფრო მრავლდებოდა. მაგალითად, XVII—XVIII საუკუნეებში მრავალი სასულიერო წიგნი (მათ შორის ოთხთავი Q-752, XVII ს.) მხედრული ანბანითაა გადაწერილი. გადამწერი ამ ძეგლისადმი თანდართულ ანდერძში განგვიმარტავს მის მიერ „ჩადენილი ცოდვის“ მიზეზს, იგი დასძენს:

— „მე ვწერ წიგნსა ამას წმიდისა „სახარებათასა“, რომელი არა ჯერ იყო წერიტა მხედრულით; მაგრამ თავს იმით იმართლებს, რომ სახარების მკითხველთ უკვე „არა ძალ-უძს წიგნთა ხუცურად აღმოკითხვალ“ (175r-v). ანალოგიური ანდერძი ერთვის თან ოთხთავის XVIII ს. ძეგლს (H-2384), რომლის გადამწერიც შენდობას ითხოვს მისი მხედრულად გადაწერისათვის.

ამავე პერიოდს განეკუთვნება საბა-სულხან ორბელიანის ძმის ნიკოლოზის ნათქვამი ასომთავრული ანბანის შესახებ: „მთავარი ესე ასოთანი ძველადვე ქართველთ ეწერა. და არღარავინ იყო სწავლულ ამისა, თვინიერ უხუცესისა ძმისა ჩემისა სულხან-საბა ორბელის-ძისაგან კიდევ. მასცა მამისაგან ჩემისა ესწავლა და მან მე მასწავლა“ (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S 209 ხელნაწერი, გვ. 274).

ნიკოლოზ ორბელიანი, რასაკვირველია, აჭარბებს, თითქოს ორბელიანთა ერთი ოჯახის გარდა არავინ იცოდა ასომთავრული ანბანი. ეს არ შეეფერება სინამდვილეს. მაგ., მათი უმცროსი თანამედროვე, სიონის დეკანოზის ოსეი შვილი იესე თავის მემუარებში გვაუწყებს: „ვიცოდი ხუცური, მხედრული და მრგლოვანი წერა-კითხვა კარვად“³¹.

მაგრამ დრო თავისას აკეთებდა; თანდათანობით არამცთუ ასომთავრული, არამედ ხუცური ანბანით წერა-კითხვაც კი ეძლეოდა დავიწყებას.

მაგალითად, დიდად განათლებული, სახელოვანი ზაქარია მოძღვარის შვილს, იეროდიაკონ ოსე გაბაშვილს (ბესიკის ძმას), რომელიც განთქმული მწიგნობარ-კალიგრაფი და ეკლესიათმსახური იყო, 1793 წ. ნუსხურად გადაუწერია „სადღესასწაულო, რომელსაც ახლავს ასეთი შესანდობარი: „მე უღირსსმან იეროდიაკონმან, მოძღვარს (sic) ძემან ოსემ, აღვწერე სადღესასწაულო ესე, მაგრამ გამოუცდელ ვიყავ ხუცურისა წერისა“ (ხელნაწერი დაცულია ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახელობის მუზეუმში); არაა გამორიცხული, რომ ოსე გაბაშვილი აქ, ძველ მწიგნობართა მსგავსად, ზედმეტ მოკრძალებულობასა და თავმდაბლობას იჩენდეს; მაგრამ სინამდვილე ისაა, რომ XVII—XIX

³¹ იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, თბ., 1950, გვ. 2. ა. იოსელიანის გამოცემა.

საუკუნეთა მიჯნაზე ძალზე მცირდება ხუცურად დაწერილი სასულიერო ხელნაწერი წიგნები და მრავლდება მხედრული.



ქართული ანბანის აქ წარმოდგენილ გრაფიკულ სახეობათა გარდა არსებობდა საილუმლო, ანუ ანჯანური დამწერლობა. ამასთანავე, საილუმლო ენაცა და მეტყველებაც არსებობდა; საილუმლო დამწერლობის, ანუ კრიპტოგრაფიის უძველეს ნიმუშად პ. ინგოროყვას მოჰყავს X ს. ხელნაწერში, მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულში, წარმოდგენილი „მიქაელის“ კრიპტომაანია.

ქართული საილუმლო დამწერლობის შესახებ საინტერესო ცნობები მოეპოვებათ ფარსადან გორგიჯანიძეს, ნ. მარსა და ივ. ჯავახიშვილს³².

გელათის მონასტრის ხელნაწერ № 4-ში დაცული საილუმლო ანბანის ნიმუშების ფოტოპირი კ. კეკელიძეს ნ. მარსათვის გადაუგზავნია. ამ უკანასკნელს იგი შეუსწავლია და მცირე ნარკვევიც მოუზადებია საილუმლო ანბანისა და მისი გასაღების შესახებ (იხ. ფოტო).




რიცხვების გამოსახატავად ძველად ასოებს (ანბანს) იყენებდნენ. მართალია, არაბულ ციფრებს საქართველოში X საუკუნიდან იცნობდნენ, მაგრამ მათ იშვიათად მიმართავდნენ. მაგ., X ს-ის მცხეთის „დავითნში“ არაბული ციფრებია გამოყენებული, ხოლო ქუთაისის ბაგრატიანების ტაძრის იატაკის გამაგრების თარიღად ტაძრის ეპიგრაფიკულ წარწერებში პირველად გვხვდება არაბული ციფრი (1003 წელი). მაგრამ, როგორც წესი, მომდევნო ეპოქებშიაც თითქმის გაბატონებული იყო და რიცხვის აღსანიშნავად იყენებდნენ ანბანს, ასოებს. ქართულ ანბანში ასოები გარკვეული თანმიმდევრობით არის დალაგებული და თითოეული ასო-ნიშანი რიცხვსაც ასახელებს. ანბანი, ამდენად, რიცხვულ სისტემას წარმოადგენს.

ასოებით რიცხვთა გამოხატვა ანბანთა რიგს ემყარებოდა: პირველი ცხრა ასო აღნიშნავდა ერთეულებს: ა — 1, ბ — 2, გ — 3, დ — 4, ე — 5, ვ — 6, ზ — 7, თ — 8, ი — 9; მეორე რიგი — ათეულებს: ი — 10, კ — 20, ლ — 30, მ — 40, ნ — 50, ძ — 60, ო — 70, პ — 80, ჟ — 90;

³² ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა-მკოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, თბ., 1926, გვ. 129—133; პ. ინგოროყვა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია, თბ., 1913, გვ. XI1; ფ. გორგიჯანიძე და მისი ნაშრომი, მ. ჯანაშვილის გამოცემა, თბ., 1896, გვ. 72; ა. შანიძე, ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები. — საქართველოს მუზეუმის მოამბე, 1921, № 1, გვ. 63—68; ლ. ათანელიშვილი, ძველი ქართული საილუმლო დამწერლობა, თბ., 1982.

მესამე რიგი — ასეულებს: რ—100, ს—200, ტ—300, უ (ანუ) — 400, ფ—500, ქ—600, ლ—700, ყ—800, შ—900; მეოთხე რიგი — ათასეულებს: — ჩ — 1000. ც—2000, ძ—3000, წ—4000; ჭ—5000, ხ—6000, ცხ—7000, ჯ—8000, კ—9000; უკანასკნელი ასო მ — 10 000-ს, რჩ — 100 000, მშ — 1 000000.



სურ. 9. საიდუმლო ანუ ანჯანური დამწერლობა
(ბ. შ ი რ ი. Одинъ видъ грузинскаго криптографическаго письма VHX-III, 205—207).

რიცხვის გამომხატველ ასოთა თანამიმდევრობა მტკიცე და უცვლელი იყო — უმალღესისაყენ (ნული ანგარიშში არ მიიღებოდა), ხოლო შესაბამის ასოს გამოტოვებდნენ ხოლმე. ჩვეულებრივ, 1/4 აღინიშნება +, ხოლო ნახევარი 0.

ქართული ანბანის რიცხენიშნები ასე წარმოგვიდგება:

| | | | |
|------|------|------|---|
| 1 ა | 21 კ | 500 | 1000 ჰ |
| 2 ბ | 26 გ | 600 | 10000 ლ |
| 3 გ | 30 დ | 700 | 100000 რ |
| 4 დ | 40 ე | 800 | 1000000 ვ |
| 5 ე | 50 ნ | 900 | იმას გარდა 1/10 ოლინიშნებამა + ხოლო ხათვეარი ე. |
| 6 ე | 60 | 1000 | |
| 7 ვ | 70 | 2000 | |
| 8 ვ | 80 | 3000 | |
| 9 ზ | 90 | 4000 | |
| 10 ი | 100 | 5000 | |
| 11 ი | 200 | 6000 | |
| 19 ჟ | 300 | 7000 | |
| 20 კ | 400 | 8000 | |

ქართული ანბანის (ასოთა) ფულის საანგარიშო ნიშნები კი ასეთია.

| | | | |
|---|----------|---|--------------|
| ა | 1 ფულს | მ | 2 ბისტს |
| ბ | 2 ფულს | ნ | 1 შაურს |
| გ | 1 ბისტს | ო | 3 ბისტს |
| დ | 6 ფულს | პ | 14 ფულს |
| ე | 18 ფულს | ჟ | 1 შინალოტუნს |
| ვ | 2 შაურს | რ | 2 შინალოტუნს |
| გ | 1 აბაზს | ს | 3 შინალოტუნს |
| დ | 2 შაურს | შ | 4 შინალოტუნს |
| ე | 2 აბაზს | ჩ | 5 შინალოტუნს |
| ვ | 10 შაურს | ც | 6 შინალოტუნს |
| გ | 3 აბაზს | ც | 7 შინალოტუნს |
| დ | 15 შაურს | ც | 8 შინალოტუნს |
| ე | 1 აბაზს | ც | 9 შინალოტუნს |
| ვ | 15 შაურს | ც | 1 თუმანს |

სურ. 10.

ამრიგად რიცხვების გამოსახატავად ისე, როგორც ფულის ანგარიშწარმოებისათვის, ძველად ქართულ ასოებს (ანბანს) იყენებდნენ. მართალია, არაბულ ციფრებს საქართველოში X საუკუნიდან იცნობდნენ. მაგრამ მათ იშვიათად მიმართავდნენ, მაგ., X ს-ის მტებით

დავითნში არაბული ციფრებია გამოყენებული; ხოლო ქუთაისის ბაგრატიის ტაძრის იატაკის გამაგრების თარიღად, ტაძრის გრაფიკულ წარწერებში პირველად, გვხვდება არაბული ციფრი (1003 წელი); მაკრამ, როგორც წესი, მომდევნო ეპოქებშიაც თითქმის გაბატონებული იყო და იყენებდნენ რიცხვის აღსანიშნავად ქართულ ანბანს — ასოებს, არაბულ ციფრებთან ერთად დაახლოებით XIX ს-ის 50-იან წლებამდეც კი.

2. ღვამთის ძვა-ჰვარ-ხატის ეპიგრაფიკული ძეგლისა და „ძეგლი ქართულისა ენისაის“ კავშირის შესახებ

3. ინგოროყვას მიაჩნია, რომ „ფარნაევზის დროს... ჩატარდა შევსება ქართული ანბანისა; დართვა ძველი ანბანის ბოლოში ცალკე საგანგებო ნიშნებისა სპეციფიკური ქართული ბგერებისათვის“³³. ასევე რ. პატარიძის შეხედულებით, „ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია არა ფარნაევზ მეფისა და საქართველოს სახელმწიფოს დაარსების ხანაში, არამედ გაცილებით ადრე“... ავტორის აზრით, მემატიანის ცნობა, რომ „ამან (ფარნაევზ) შექმნა მწიგნობრობა ქართული“, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ უკვე არსებული ქართული დამწერლობა ფარნაევზ მეფემ ერთიან ქართულ სახელმწიფო დამწერლობად გამოაცხადა“³⁴, ან კიდევ „გააუმჯობესა დამწერლობა“.

პ. ინგოროყვას დაკვირვებით, „ფარნაევზის დროსაა მომხდარი ქართული კალენდრის რეფორმა: შემოღებულ იქნა ადგილობრივი ქართული წელთაღრიცხვა, რომლის დასაბამად მიღებულია 284 წელი ძვ. წელთაღრიცხვისა... ეს წელი არის გამოსავალი თარიღი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედვა ქართული ქორონიკონის სისტემას და ქართული მწიგნობრობის შემოღების თარიღს — ძვ. წ. 284 წელი, რაც წერილობითი წყაროებითაც მტკიცდება“³⁵.

გაზაფხულის ბუნიობა ძველი ქართული კალენდრით (მარტის თვის 25 რიცხვი) წელიწადის დასაწყისად იყო აღიარებული, როდესაც, საბას განმარტებით, „სწორდება დღე და ღამე“. ეს იყო, ამასთანავე, ლიტურგიული წელიწადის დაწყება ხარებით, რაც ქართული ადრე-ქრისტიანული ხანიდან მკვიდრდება და პოულობს თავის გამოხატულებას. ყოველივე ეს ვინაიდან არაა უბრალო საკითხი, იგი ბუნებრივია ღრმა ანალიზსა და დაფიქრებას მოითხოვს. რ. პატარიძის აზრით,

³³ პ. ინგოროყვა, თხზ., ტ. IV, 1978, გვ. 250.

³⁴ რ. პატარიძე, ქართული ასომთავრული, 1980, გვ. 513.

³⁵ რ. პატარიძე, ქება ქართული ენისა, — „მნათობი“, № 9, 1986, გვ. 142. ავტორი იზიარებს პ. ინგოროყვას ამ დებულებას.

ამ საკითხს „ქება და დიდება ქართულისა ენისა და დავათის ქვა-ხატი გაარკვევს“³⁶.

ამ ფენომენალურ ძეგლთა ურთიერთთან კავშირის პრობლემაზე ყურადღების გამახვილება მართებულია და მისასალმებელიც. ჩვენ ამ პრობლემიდან კვლევის საგანთან დაკავშირებულ მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე შევჩერდებით.

დავათის ისტორიული მნიშვნელობის ეპიგრაფიკული ქვა-ხატი, სადაც თითქოს ქართული ანბანისა და მწერლობის საზეიმო სიტუაციაა წარმოდგენილი, იოანე ზოსიმეს მიერ გადაწერილ „ქართული ენის ქებასთან“ მიმართებაში ახალ შინაარსს იძენს. ამ მიმართულებით კომპლექსური კვლევა-ძიების გაღრმავება, როგორც ამას პრობლემის გადაწყვეტა ითხოვს, ვფიქრობ, სწორი და იმედის მომცემი გზაა.

დავათის ქვა-ჯვარზე ამოკაწრულ-ამოტვიფრული ქართული ასომთავრული ანბანის შინაარს-დანიშნულებათა უჩვეულო სიტუაციაში წარმოჩენა, თავისთავად ბევრის მთქმელია ქართული ენის (ანბანის), დამწერლობისა და მწერლობის ისტორიული მისიის მეცნიერულად გაანალიზებისათვის.

ქვა-ჯვარზე თითქოს რელიეფურადაა წარმოჩენილი ქართული მწერლობის როლი ქრისტიანული რელიგიის წიგნთა გაქართულების (თარგმანის) ვანვითარების ცხოველმყოფლურ აღმავლობაში. ნაჩვენებია ქართული ანბანის — წიგნის დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ახალი ქრისტიანული რელიგიის წარმართობაზე იდეურად გამარჯვების საქმეში.

როგორაა გამკლავებულ-განსხვავებული ქართული ანბანისა და ენის ეს ზეიმი დავათის საყდრის სტელაზე (ქვა-ჯვარზე), რომლის მიზანი უნდა იყოს ქართული მწიგნობრობისა და წიგნის მთლიანად ჩაყენება ქრისტიანული ეკლესიისა და ქვეყნის სამსახურში.

სოფელი დავათი არაგვის მარცხენა შენაკადის აბანოსხევის სათავეში, ერწო-თიანეთის გზაზე მდებარეობს. ისტორიულ წყაროებში იგი X საუკუნიდან დავათის სახელწოდებით იხსენიება. მიაჩნიათ, რომ ამ სოფლის დაწინაურებას ხელი შეუწყვეს მდიდარმა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა და ქართლ-კახეთთან დამაკავშირებელმა გზებმა.

დავათის წარწერის კორპუსის საყდრის ქვის დიდ სტელაზე წარმოდგენილი. იგი სოფ. დავათის ღვთისმშობლის ხუროთმოძღვრული ეკლესიის კომპლექსის არქეოლოგიური შესწავლისა და ეკლესიის ნანგრევებისაგან მთლიანად განთავისუფლების და გაწმენდის შედეგად აღმოჩნდა. დავათის საყდარი ადრექრისტიანული ხანის საინტერესო ძეგლია. რომელსაც VI საუკუნის შუა წლებით ათარიღებენ.

³⁶ რ. ჰატარაძე, ქება ქართულისა ენისა, — მნათობი, 1986, № 9, გვ. 143.

დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის არქეოლოგიურმა შესწავლამ, იქ მოპოვებულ ძეგლთა მეცნიერულად გააზრებამ დაადასტურა, რომ ხელოვნების ამ საკულტო ძეგლს, საზოგადოდ, „ყველაზე მეტი სიახლოვე ახასიათებს ბოლნისის, ქვემო ქართლისა და აღმოსავლეთ საქართველოს ადრექრისტიანული ხანის ძეგლებთან“³⁷.

ყურადღებას აპყრობს დავათის სტელების მოხატულ-წარწერიანი ცალკეული დიდრონი ნაწილები და ფრაგმენტული ელემენტები. მაგ., № 1 სტელაზე, მიუხედავად იმისა, რომ მას მარჯვნიდან საკმაოდ მოზრილი ნაწილი აკლია (სიგრძე 42 სმ, სიგანე — 18 სმ), ყველაზე საპატიო-ღვთისმშობლის ადგილას წარმოდგენილია ქართული ანბანის შემცველი კომპლექსი. აქვე გამოხატულია დიდებულთა საკადრის სამოსში საზეიმოდ გამოწყობილი ორი ფრთოსანი მთავარანგელოზის ფიგურა³⁸.

მათ ურთიერთჩაკიდებული და ზეაწეული ხელებით უქირავთ გახსნილი პერგამენტის მსგავსი წვერები, რომლისთვისაც მეორე ხელი შუა ნაწილში ჩაუქიდიათ. ზეაწეული ხელებითა და ტანსაცმლის კონტურით შექმნილ, თითქოს თევზის მოყვანილობის სიბრტყეზე ერთგვარად გაკრული ხელით ამოკაწრულია ქართული ასომთავრული ანბანი, რომელიც ექვს სტრიქონად არის განლაგებული.

„ქებაა ქართლისა ენისაჲ“ გადამწერმა იოანე ზოსიმემ X საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ხელნაწერთა კრებულს — სინურ მრავალთავს დაურთო. ეს ძეგლი დღეს გამოქვეყნებულია და მკვლევართა ფართო ფუნდებისათვის ხელმისაწვდომი; ავტორი „ქებასა“ უცნობია. დღემდე მისი დაწერის თარიღი არაა გარკვეული. მაგ., პ. ინგოროყვა „ქებას“ 864 წლით ათარიღებდა. ამჟამად ფიქრობენ, რომ „ქებაა“ ბევრად ადრე უნდა იყოს შექმნილი, დაახლოებით მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში (ამ აზრისაა აკაკი ბაქრაძე, ელიშერ ჭელიძე, გურამ ნარსიძე, რამაზ პატარიძე და სხვ.).

გ. ნარსიძემ კვლევა-ძიებით თითქოს დაასაბუთა, რომ „ქებაა“ თარიღიანი თხზულებაა, დაწერილია ახ. წ. 342 წელს³⁹. მისი დასკვნით ახლად აღმოჩენილი „დავათის სტელისა“ და „ქებას“ დათარიღებამ გააძვირა, რომ ქართული წელთაღრიცხვა თავის დასაბამს ფარნავაზ მეფის მიერ ქართული მწიგნობრობის შემოღების დროიდან იღებს.

რ. პატარიძე იზიარებს აღნიშნულ დასკვნას, რომელიც არსებითად „ქებას“, როგორც თარიღიანი ძეგლის, მიგნება-დადგენიდან მომდინ-

37 რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში. — მნათობი, 1987, № 8, გვ. 146.

38 გ. აბრამიშვილი, ზ. ალექსიძე, არაგვის ხეობაში აღმოჩენილი დავათის სტელები. — ვაზ. კომუნისტი, 1985, 19 მაისი.

39 იხ. გ. ნარსიძე. — მნათობი, 1985, №9 და 1986, № 4; „ქებას“ შესახებ



სურ. 11.

სოფ. დავათის ღვთისმშობლის ეკლესიის გათხრებისას აღმოჩენილი სტელა (ქე-ჯვარი)

ნარეობს და დასძენს: ამერიიდან ჩვენ ხელთაა ქართული ენისა და ქართული აზროვნების სწორუპოვარი ძეგლი მე-4 საუკუნის პირველი ნახევრისა, ეს თხზულება დაახლოებით 150 წლით უფრო აღრინდელია. ვიდრე „შეშანიკის წამება“ იაკობ ხუცესისა, ავტორი თავის ამ დასკვნას დავათის ზატ-ქვა-ჯვარის, ქართული ანბანის აღმოჩენაზე ავრცელებს. იგი განაგრძობს: „სულ ახლახან თხზულების (ქებას — ა. ი.) ტყუპის ცალი აღმოჩნდა ქვაში გამოკვეთილი — ქებაი და დიდება ქართულისა ენისა“. მისი აზრით დავათის ქვა-ჯვარის ხატი და „ქებაი“ იგივეობრივი შინაარსის ძეგლებია⁴⁰.

ქართული ანბანი თავისთავადია. იგი ისტორიული განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე მდგომი ხალხის მიერაა შექმნილი და არა მიბაძვითაა გადმოღებული. ქართულ ანბანს, როგორც აღვნიშნეთ, რიცხვითი მნიშვნელობა გააჩნია. იგი ძირითადად ოთხი შეიღეულისაგან შედგება. ქართული ანბანი თავისი რიცხვითი მნიშვნელობით კალენდარულ ასტრონომიულ, მთვარის მოძრაობის ერთთვიანი ციკლით — ახალმთვარის დაბადებიდან 30 დღედ (24 საათიან) ანუ ერთ თვედ იანგარიშებოდა. ამრიგად, ქართული ანბანის (დამწერლობის) წარმომავლობა და ქართული მოღვმის წარმართ ქურუმ-ასტროლოგთაგან შედგენილი ქართული კალენდარი გარკვეულ მიმართებაში უნდა იმყოფებოდნენ ურთიერთთან.

გ. აბრამიშვილი და ზ. ალექსიძე ქართული ენის „ქებასა და დიდებას“ (ასევე კანონზომიერად) დავათის სტელაზე გამოსახული ქართული ანბანის ამალღებისა და განდიდების სცენას უკავშირებენ. მათივე აზრით, ასეთი იკონოგრაფიული თემა უჩვეულოა, რადგან კანონიკური ქრისტიანული იკონოგრაფია დასაშვებად თვლის მხოლოდ მაცხოვრის, ჯვრისა და ღვთისმშობლის ამალღებას, რომელსაც იგი მეორედ მოსვლის, საშინელი სამსჯავროს იდეას უკავშირებს.

ქართული ენის სადიდებელი თხზულება „ქებაის“ ცნობით „ღამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებელად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითაო“.

ამ ფაქტის დაკავშირება სხვა ანალოგიურ ძეგლებთან არ უნდა იყოს შემთხვევითი და ზედმეტი. ამას მოწმობს კიდევ ერთი (ქართული) ძეგლი — ბრდაძორის სტელა (VI ს.); რომელზეც გამოხატულია იკონოგრაფიულ პრაქტიკაში არანაკლებ უჩვეულო თემა: — ამალღება და განდიდება სუდარაში გახვეული ლაზარესი. ამასთანავე, ბრდა-

40 რ. პატარიძე, ქება ქართულისა ენისა. — ეურნ. მნათობი, 1986, № 9, გვ. 134 და 141—142.

ძორის სტელაზე მიქელ მთავარანგელოზი საყვირით ამცნობს კაცობრიობას მეორედ მოსვლის დღის დადგომას⁴¹.

დავათისა და ბრდაძორის სტელეებზე გამოხატული სცენები ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ დიდების შარავანდედში ერთგან ქართული ანბანია, ხოლო მეორეგან — ლაზარე. დავათისა და ბრდაძორის სტელაზეც შერწყმულია ორი სიმბოლო — ლაზარესი (ქრისტეს მეგობრისა) და იდეა ქართული ენის აღორძინებისა ლაზარესთან გაიგივებით. ამ იდეის სახვით ხელოვნებაში გადასვლისათვის საქართველოს ისტორიულ ვითარებას უნდა მოემზადებინა ნაყოფიერი ნიადაგი, დავათის სტელაც ხომ ამასვე უნდა ადასტურებდეს, სადაც წარმოსახულია ქართული ენის აღდგენა-გაბატონებისათვის ზეიმის აღმავლობა.

ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესო იქნება დავათის სტელას მეორე დაზიანებული ნაწილის მოძიება და ტექსტის, სცენის, მთლიანი აღდგენა..., მაგრამ სტელა, რომელზეც ქართული ანბანთამაღლებაა გამოსახული, არაერთი მეცნიერული მოვლენის ახსნისა და ფაქტის დადგენის საფუძველს იძლევა. მაგ., ასეთის: ამაღლებული ანბანის სამ გრაფემას („ქ“, „ტ“, „კ“) თავზე დასმული აქვს ქარაგმის ნიშანი ან, როგორც ძველად უწოდებდნენ, პატივი, რომელიც ციფრებს აღნიშნავს. ესაა ციფრები „ქ“ — 500, „ტ“ — 300, „კ“ — 20, რომელნიც ეთანაბრებიან რიცხვს 5320, ანუ გამოხატავენ ქართული ქორონიკონით 532 წლიანი ციკლით მეთერთმეტე მოქცევის დამდევს. ქართული დასაბამიდან თუ ვიანგარიშებთ, 5320 მოგვეცემს ძველი წელთაღრიცხვის 284 წელს (5604—5320=284).

საგულისხმოა ასევე, რომ დავათის სტელამ მოგვცა უძველესი და სრული ქართული ასომთავრული ანბანის კორპუსი — ანიდან ჰაემდე.

თითქო გაირკვა და ცხადი გახდა, რომ „ქებაი და დიდებაი ქართული ენისა“ გულისხმობდა არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქართულ მწიგნობრობასაც. ახალი წელთაღრიცხვით ჯერ კიდევ IV საუკუნეში მტკიცედ ყოფილა ცნობილი და ჩამოყალიბებული ქართული კალენდარი, ქართული 532 წლიანი ციკლი — ქორონიკონისა და ქართული დასაბამიდან; IV საუკუნის საქართველოში უკეთ იცოდნენ ის, რასაც ლეონტი მროველი (XI ს.) წერს — ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული და... შექმნა მწიგნობრობა ქართული“. XI ს-ში გამოთქმული ეს აზრი ახლა სიზუსტით თარიღდება. იგი ძველი წელთაღრიცხვის 284 წელს მომხდარა, ფარნავაზ მეფის ჩარევით.

⁴¹ ვ. ა. ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, არაგვის ხეობაში აღმოჩენილი დავათის სტელა. — ვახ. კომუნისტი, 1985, 19 მაისი; რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევაიძიება. — მნათობი, 1987, № 8.

სამეფო ხელისუფლებისათვის მწიგნობრობა მძლავრ იარაღს წარმოადგენდა არა მხოლოდ ქვეყნის მართვა-გამგეობაში, არამედ პირველყოვლისა გადასახადების აკრეფის და ლაშქრის შეყრის ორგანიზაციის სრულყოფაშიც.

სიმბოლურია და მეტად საგულისხმოც, რომ დავათის სტელაზე ანბანის განდიდების ქვეშ შემოსაზღვრული ჩარჩოს არეზე გამოსახულია უფრო საერო პირნი დიდებულთა სამოსით, რაც იმის მანიშნებელია, რომ მწიგნობრობის საქმე ძველთაგანვე ექვემდებარებოდა არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ ასევე სამეფო ხელისუფლების უწყებას.

რაც შეეხება იბერიისა და კოლხეთის სამეფოს საგარეო ოფიციალურ დოკუმენტებს და მიმოწერას უცხო ქვეყნებთან, არაა გამორიცხელი, რომ კვლავ არამეული, ბერძნული და ლათინურენოვანი დამწერლობანი გამოიყენებოდა.

ჯერ კიდევ ჰინის — „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲს“ — ავტორი დასძენდა, რომ „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“. ავტორი აქ „ყოველს საიდუმლოში“ ქართული ენის ხასიათს (მის გრამატიკულ წყობას, ლექსიკურ მარაგს, მის ამოუწურავ სინტაქსურ საშუალებებს), საგნის, მოვლენის, არსის დიდი გამოხატვის უნარსაც უნდა გულისხმობდეს.


ქართული ენის განდიდებას „ქებაში“, რასაკვირველია, პანეგვიკული შინაარსი არა აქვს.

ქართველმა ხალხმა უწყვეტი შემოქმედებითი შრომითა და ბრძოლით უღარესად რთულ ისტორიულ პირობებში შეიმუშავა და წარმოაჩინა არაჩვეულებრივად დიდი უნარი მშობლიური ენისა და მწიგნობრული კულტურის შემოქმედებითად განვითარებისა. მწიგნობრობა, წიგნი და მწერლობა ქვეყნის სასიცოცხლო უშრეტ ძალად და უძლეველ საარსებო იარაღად გაიხადა.

1957 წელს ქარელის რაიონის სოფელ თრედვის მიდამოების ერთ-ერთ გამოქვაბულში იპოვეს წნული ჩუქურთმით შემკული ქვაჯვარი, რომლის მკვლევების ორთავე მხარეს ამოკვეთილია ნუსხური წარწერა, იგი ასე იკითხება:

— „მე ლეონტი მროველმან დიდითა მოკირვებითა აღვაშენე ესე ქუაბი ხატისათვის ღმრთეებისა დღესა ჰირისასა ნავთსაყუდლად რუისის საყუდრის შვილთათვის ჟამთა შინა აღფარსლან სულთანისაგან ოხრებისთა, ქრონიკონსა სპე“, ანუ ახალი წელთაღრიცხვით 1066 წელს;

ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრების“ ფუძემდებელი — ავტორია ქართველი ხალხის უძველესი ხანის ისტორიისა: — „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, „ნინოს მიერ ქართლის მოქცევისა“ და „არჩილ მეფის წამებისა“,



ლეონტი მროველის ჟეარი. 1066 წ.

რომელნიც (ეს სამი თხზულება) მროველმა საფუძვლად დაუდო „ქართლის ცხოვრებას“.

მოტანილი ქვა-ჯვარის წარწერიდან ირკვევა, რომ საქართველოს ისტორიის მამა, ლეონტი მროველი XI ს-ის შუა წლებში — თურქ-სელჯუკთა 1-ლი შემოსევის დროს ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ლეონტი მროველი გავლენიანი და დიდად განათლებული ეკლესიათმსახურია. მას საკუთარი სამრევლოს რელიკვიების — რუისის საყდრის ჯვარ-ხატის, წიგნებისა და სხვა ძვირფასეულობათა გადარჩენის მიზნით სიმაგრე აუგია მიუვალ ადგილს, სადაც ასევე საჭიროების დროს მრევლიც აფარებდა ხოლმე თავს. მას აქვე ძეგლად წარწერია-ნი ქვა-ჯვარიც დაუტოვებია.

თუ ჩვენ ყოველივე ზემოთქმულს მოკლედ შევაჯამებთ, იგი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ივ. ჯავახიშვილის შეხედულებანი და მეცნიერული დებულებანი ქართული ანბანის წარმომავლობისა და მწიგნობრობის შემუშავების შესახებ არსებითად, შეიძლება ითქვას, კვლავინდებურად ძალაში რჩება...

ქართული დამწერლობა ყალიბდებოდა ძვ. წ.-ის IV—III საუკუნეებამდე. ფარნავაზის მეფობის დიდ ეპოქაში განხორციელდა რეფორმა; ამ რეფორმის საფუძველზე ქართულ-მწიგნობრული დამწერლობა ქურუმთა წარმართული კულტმსახურების ვიწრო ასპარეზის ფარგლებს ბევრად გაშორდა, დაიმკვიდრა სახელმწიფოს სამწერლობო მდივან-მწიგნობრული სამსახურის ფუნქცია.

ქართლის ნიკოლოზ პირველი კათალიკოსის ცნობით, როცა იერუსალიმის პატრიარქი ქართველთა მოქცევის და ხალხის ბუნების საკითხით დაინტერესებულა, მიუწვევიათ ტარსუს მიტროპოლიტი ქართველი ბერი თეოფილე, რომელსაც პატრიარქისათვის განუმარტავს: რომ ჩვენ ვართ „პირველ წოდებულისა...ანდრია მოციქულისა სამწყოსნი, მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი, სიმონ კანანელი ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არსო“. „ნათესავი ჩუენთა ქართველთა არიან ბუნებით სადაგნი და მარტივი და გონებით წრფელნი, სიმართლისა ცხოვრებისასა და უღლისა უმანკოებისასა მზიდველნი, და მხოლოდ ღმრთისაოდენ და მკლავისა თვისისა მოსაენი, რომლითაც უკვე გამოსახავს და საცნაურ იქნების სიქველე ჰაბუქისაი“... ხოლო „ი.წურთლებაი გამომეტყველებისაი და გამოძიება სამეცნიეროთა და საფილასოფოსოთა საქმეთაი არარაი უკუე ჰქონებია ნათესავსა ქართველთასა, ვითარცა ბრძენთა შორის დღესაცა იხილებების ესე ვითარი იქმნეს, მყის, მასეე ეამსა შინა მეყსიულად აწერენ და ესრეთ სიმტიციედ და სახსენებლად მომავალთა ნათესავთათვის ძეგლად წარუწყმედელად დაუტევებენ... და არცა ვა-

დრემდე მისცენ უფსკრულსა დავიწყებისასა“⁴². ამრიგად წარმართულ ქართლში ისტორია ეამითი-ეამად ტრადიციულად იწერებოდა-ბევრად ადრე და დრო და დრო, ვიდრე ქართლში ქრისტეს სარწმუნოებას იქადაგებდნენ, — ანუ მოხდებოდა მოქცევა მირიან მეფისაგან ხალხის მონათვლით და ქრისტიანული რელიგია სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა.

ქრისტიანობა მწიგნობრული სამწერლობო რელიგია იყო თავისი მოწოდებით. „ქართლის ცხოვრებას“ კულტის მსახურნი ოსტატურად იყენებდნენ ქრისტიანობის გამარჯვებისა და წარმართობის საბოლოოდ დამხობისათვის. აქ აღნიშნულს, ისტორიულ წყაროებთან ერთად, ადასტურებს ქართული წერილობითი, ეპიგრაფიკული, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, — „ქებაჲ ქართულისა ენისაჲს“ და დავათის ქვა-ხატის ქართულ ანბანთა კორპუსისა და მათი კომპლექსის შინაარსის მეცნიერულად გაანალიზება.

3. საწერი მასალა — ებრატი, მილი, ძალაღი, ზემოიღვივს არხაი და საპართველოში ძალაღის წარმოების საკითხისათვის

ქართულ წიგნთა ხელით გადაწერის გზით გავრცელების მრავალსაუკუნოვან პერიოდში შემუშავდა ტრადიციები და დაგროვდა უმდიდრესი გამოცდილებანი, ბრწყინვალე კალიგრაფიული კულტურა, წიგნის ოსტატურად მაღალი გემოვნებით მოხატვისა და მხატვრულადვე მოკაზმისათვის.

იდეური ზემოქმედება ხორციელდებოდა საჯაროდ მარტივლ-ცხოვრებისა და სამღვთო წიგნის წაკითხვითა და მოსმენით, ასევე ზეპირსიტყვიერი საუბრებით საკრებულოებში.

ასე გრძელდებოდა დიდხანს, საუკუნეების მანძილზე, როცა გაზრდილი მოთხოვნილება წიგნზე ზღვარდებული იყო და წიგნის ხელნაწერების სახით გავრცელება დიდ დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული საჭირო მასალის სიმცირისა და მაღალკვალიფიციურ კალიგრაფ-გადამწერთა ნაკლებობის გამო.

საქართველოში საწერ მასალად, ისე როგორც მწიგნობრული კულტურის სხვა ქვეყნებში, ქილს, ეტრატსა და ქალაღს იყენებდნენ.

⁴² იხ. ნიკოლოზ I კათალიკოზი (1149—1160), საკითხავი სუეტის ცხოველისაჲ, ეუართისა საუფლოსაჲ და კათოლიკე ეკლესიისა. 1908, ტფ., გვ. 101—192—315.

ამთგან საქართველოში V—VI საუკუნეებიდან საწერ მასალად XII საუკუნეებამდე იხმარებოდა ეტრათი, ანუ „ტყავის ქალაღი“ (საბა). მაგ., პალესტინაში მოქმედ ქართველთა საბაწმინდის ლავრაში (X ს.) ფსალმუნი და თთუენი ჭილზე დაუწერიათ⁴³.

პაპირუსი, ანუ ჭილი საქართველოში საწერ მასალად ხმარებული არ ყოფილა, მაგრამ მოგვეპოვება პაპირუსზე ნაწერი ორიოდე ქართული წიგნი, რომლებიც ჩვენი კულტურის საზღვარგარეთულ ცენტრებში არის შექმნილი. ერთი მთგანი ცნობილია ჭილ-ეტრათის იადგარის სახელით და დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ძეგლის ერთი ნაწილი დაწერილია ჭილზე (პაპირუსზე), მეორე კი ეტრათზე (პერგამენტი) იერუსალიმში, არა უგვიანეს XI საუკუნისა.

ჭილ-ეტრათის იადგარი პ. ინგოროყვას IX საუკუნეში გადაწერილად მიაჩნია. ივ. ჭავახიშვილი ამ ძეგლს VIII საუკუნის დამლევის ან IX საუკუნის პირველ ათეულებისად მიიჩნევდა. ჭილ-ეტრათის იადგარის სრული ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. მარტიროსოვმა და ა. ჭიშიაშვილმა, ა. შანიძის საერთო რედაქციით⁴⁴.

ჭილ-ეტრათის იადგარის შესწავლის საქმეს კ. კეკელიძემ ადრითგანვე მიაქცია ყურადღება. ელ. მეტრეველმა უძველესი იადგარის საკითხებს არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა. მისივე მონაწილეობით და წინასიტყვაობით ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექტივმა გამოსაცემად მოამზადა — უძველესი იადგარი. ტექსტი, რომელიც „მეცნიერებაში“ 1980 წელს გამოსცა გამოკვლევითა და საძიებლებით, მოიცავს 942 გვერდს.

X—XI სს-დან საქართველოში ქალაღი შემოჭქონდათ არაბულ-სპარსული ქვეყნებიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, არ იყო ადგილი და ყველასათვის ხელმისაწვდომი ქალაღისა და მეღნის შექნა. მაგ., ონანა მღივანი 1726 წელს ნატრულობდა: „ნეტავი მწერალს, როგორც სურს, ისე ჭქონდეს მეღანი, სპარსთა ქალაღი და კარგი კალამი“⁴⁵.

ივ. ჭავახიშვილის აზრით, მეტად შემოსავლიან ხელობას წარმოადგენდა წიგნების გადაწერა და შემზადება. ეს ხელობა უფრო ბერმონაზვნებს შორის იყო გავრცელებული.

⁴³ ივ. ჭავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, გვ. 35 და 33.

⁴⁴ ამ ძეგლის გადაწერის თარიღად რედაქციას XI საუკუნე მიაჩნია. იხ. ჭილ-ეტრათის იადგარი. თბ., 1977.

⁴⁵ იხ. Описание рукописей, გვ. 530. ხშირად ქალაღის ნაკლებობის პირობეში XVIII საუკუნეშიაც კი მიმართავდნენ ეტრათის დამზადებას და საწერ მასალად გამოყენებას.

წიგნი ბევრ ხარჯს მოითხოვდა. მსურველს ჯერ ეტრავი უნდა ეყიდა, მერე გადასაწერად მიეცა ვისთვისმე, მერმე შეეკვრევინებინა და დაეკაზმინებინა წესისამებრ.

XI საუკუნის ნიკორწმინდის სიგელში ნათქვამია: „ვიყიდე წიგნი პარაკლიტონი ა (ერთი). მივეცი ფასად ცხენისა ნახევარი“-ო⁴⁶.

მოგვიანებით, 1823 წ. ვახტანგ VI ხელნაწერი „ქანონი“ (243 გვ.) 25 მანეთად გაყიდულა, ხოლო 1837 წ. პეტერბურგის აკადემიისათვის დ. ჩუბინაშვილს მოსკოვში 1743 წელს დაბეჭდილი ქართული ბიბლია 200 მანეთად მიუყიდა⁴⁷.

თუ რაოდენ დიდი ყოფილა მოთხოვნა ქალაქზე და სიძნელეები საჭირო ქალაქით მოსახლეობისა და სტამბის დასაკმაყოფილებლად, ამას ისტორიული ფაქტები ადასტურებენ. მაგ., თბილისში 1791 წ. „მეორედ დაბეჭდილი“ სახარებაში სამეფო სტამბის მოიჯარადრე ქრისტეფორე ბადრიძე, ზედამხედველი ბეჭდვისა, გვაუწყებს, რომ „დაღლა თუ შრომა მრავალი დავსდეთ ქალაქსა ზედა, — ამაღ რომ რუსეთიდან მოვატანინეთ ქალაქი“ და სხვა. „ქალაქი მოვიდის, განალა არა ყოფასა საღეთოსა წერილისასა ესრეთვე გამრავლება ვარჩიეთ“⁴⁸. 1800 წ. თბილისში გამოცემული დავით ბატონიშვილის წიგნი — „ნარკვევები“ ასევე დაბეჭდილა სხვადასხვა ფერის ქალაქზე⁴⁹.

ძველ ხელნაწერ წიგნებს შორის ვხვდებით ისეთებსაც, სადაც ერთი და იგივე წიგნის (496 გვ.) ერთი ნაწილი (1—390 გვერდი) გადაწერილია ეტრავზე, მეორე ნაწილი (391—429 გვ.) — ქალაქზე, ხოლო დანარჩენი ისევე ეტრავზე, ანუ ტყავზე. XVIII საუკუნეში სპარსულ ქალაქსაც იყენებდნენ ქართლის სამეფოში, მაგრამ, ჩანს, განიცდიდნენ ქალაქის ნაკლებობას⁵⁰.

კ. გრიგოლიამ და ი. აბულაძემ 1950 წ. გამოსცეს XV ს. ძეგლი — ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი (ქარაბადინი)“. ისინი წიგნის შესავალ ნაწილში აღნიშნავენ, რომ „წიგნი მოსქო თეთრ ქალაქზეა დაწერილი. დიდად საყურადღებოა, რომ ხელნაწერის მთელ სიგრძეზე ქალაქის ქვირნიშანი არსად არ ჩანს. ეს ვარემოება კი

46 იხ. თ. ჟორდანიას ქრონიკები. II, 49; ივ. ჯაფარიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია. თბ., 1907, გვ. 41—45.

47 ალ. ცაგარელი, Сведения о памятниках грузинской письменности, ტ. III, გვ. 22. იხ. ალ. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 224.

48 იხ. ალ. ცაგარელი. დასახ. ნაშრ., გვ. 224.

49 დავით ბატონიშვილის 1800 წელს თბილისში დაბეჭდილი წიგნი „ნარკვევები“ თსუ წიგნთსაცავში.

50 მ. ჯანაშვილი, საისტორიო-ბიბლიოგრაფიული წერილები. — ივერია, 1898, № 56.

იმაზე მიუთითებს, რომ ქალაღი ევროპული არ არის. შესაძლებელია ის ადგილობრივ, საქართველოშიაც, იყოს დამზადებული“⁵¹.

კ. გრიგოლია ამ საკითხს ასევე ეხება „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევის“ შესავალ წერილში და დასძენს, რომ „ძველ საქართველოში საკუთარი ქალაღი ჰქონიათ“, რომ საამისო წარმოება თითქოს „ღიდაღ განვითარებული“ ყოფილა, „თავისი ძირითადი თვისებებით (სისქე, სიმკვრივე, სითეორე და სხვ.) ქართული ქალაღი არც ერთი სხვა ქვეყნის საუკეთესო ქალაღს არ ჩამოუვარდებოდა“ და სხვ.. მაგრამ რას ემყარებოდა ავტორი ამ მეტად საყურადღებო მოსაზრებასა და დასკვნამდე მისვლისას, — წყაროს არ მიუთითებს.

რ. პატარიძემ მოგვიანებით ამ საკითხს სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა — „ქალაღის გადამუშავების საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში“⁵².

ძველად ჩვენში უკვირნიშნო ქალაღს ხმარობდნენ. აღმოსავლურმა ქალაღდმა ჰვირნიშანი არ იცის. შემორჩენილი ქართული ხელნაწერები ქართველ ოსტატთა მიერ დამუშავებულ ქალაღზეა დაწერილი. ქალაღის ნახევარფაბრიკატები უცხოეთიდან შემოჰქონდათ საქართველოში, სადაც მას სათანადო კვალიფიციური ოსტატები ხელახლა ამუშავებდნენ.

რ. პატარიძის დასკვნით, მე-14 და მე-15 საუკუნეების საქართველოში საკმაოდ ხშირად იხმარებოდა იტალიური ქალაღი, მაგრამ ძირითადად აღმოსავლური — დამასკური ქალაღი იყო გავრცელებული⁵³. ამრიგად, ფეოდალურ საქართველოში ქალაღი შემოჰქონდათ როგორც ევროპის, ასევე აზიის ზოგიერთ ქვეყნიდან, მაგალითად მეზობელი ირანისა და თურქეთიდან.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის ღრმავდებოდა სავაჭრო-ეკონომიკური კულტურული კავშირ-ურთიერთობა. ჩვენს ხელთაა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლიდანაც ირკვევა, რომ XIX ს-ის დამდეგიდან რუსეთიდან საქართველოში დარიალის გზით, სხვადასხვა საქონელთან ერთად, საკმაო რაოდენობით შემოჰქონდათ ქალაღიც. მაგ., 1805 წლის 18 იანვრის მოხსენებით ბარათში საქართველოს უპირველეს მბრძანე-

51 იხ. ზ. ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი (კარაბადინი), თბ., 1950, გვ. 8.

52 იხ. პალეოგრაფიული ძიებანი, 1965, გვ. 45—56.

53 იხ. ამავე „ძიებანში“ რ. პატარიძის მეორე წერილი: XIV—XV საუკუნეების ქართულ ხელნაწერთა ჰვირნიშნები, გვ. 109, იქვე გვ. 119.

ბელ ციციანოვისადმი თბილისელი მოქალაქე ვაჰარი ასატურ შაქაროვი წერდა:

— „მოზდოქს გახლდი, ხაზინის მაიორის ქარავეანი გამოვჰყავით. კოპამიდან გიახელით, თხუთმეტ-თექვსმეტი საპალნე მაქვს ქალაღდი, შაქარი და საწვრიღმანოც არის. მე წინ გიახელი, აქიღამ საპალნეების-თვის ცხენების წასხმას ვაპირებ. ვითხოვ მათის ბრწყინვალეებისაგან ერთი წიგნი გვებოძოს, იქ არავინ რა მისაყვეღუროს, — საპალნეები წამოვიღო“⁵⁴.

⁵⁴ იხ. საქართველოს ცსია, ფონ. 2, ან. 1, საქ. 90, ფურც. 258. ირკვევა, რომ რუსეთთან ვაჭრობის აღორძინებას ახლად დამკვიდრებული რუსული მმართველობა იღრმავებდა, რასაც ოსტატურად იყენებდნენ სავაჭრო-ბურჟუაზიული კომპარაღორული ელემენტები.

თავი მეორე

ქართული უძველესი ხელნაწერი წიგნები; მწერლობის ქირები ძველ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ

1. ქართული მწიგნობრობის ცენტრები

წიგნი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების დიდი მონაპოვარია. იგი ქვეყნის პროგრესისა და წინსვლის გამაპირობებელ მძლავრ ბერკეტად, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების, ხალხების ურთიერთ-დაახლოებისა და დამეგობრების უებარ საშუალებად გვევლინება.

ძველ საქართველოში „წიგნი“ ეწოდებოდა ცალკე ხელნაწერს (დანიშნულებისა და შინაარსის მიუხედავად), საბუთს, დოკუმენტს, წერილს, იგი მათ საერთო სახელს გამოხატავდა, მწიგნობრობა კი „მწერლობას, წერა-კითხვასა და წერილობით განათლებას“¹ აღნიშნავდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა, ვისიცა იყოს; ხოლო მინაწერთა მოკითხვათა დასასაქმთა — უსტარი“², საბა აქ გამოხატავს წიგნის იმ ხასიათს, რომელიც მან განვითარებული ფეოდალიზმის დროიდან მიიღო. მაგალითად, უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: — „ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონალვაწები. ტანი კალმად მაქვს, კალამი ნაღველსა ამონაწები, მე გული შენი ქალაღდად გულსავე ჩემსა ვაწები“³.

ყოველ წიგნს (წერილს) თავისი დანიშნულება ჰქონდა მისი ხასიათისა და შინაარსის კვალობაზე: ზოგი „საღმრთო წიგნი“ იყო, ზოგი საერო, „სამეცნიერო“, ზოგი „საკითხავი“ და ზოგიც „საერთო, ანუ გარეშე“.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ., 1926, გვ. 28—61. ივ. ჯავახიშვილის აზრით სიტყვა „მწიგნობრობას“ ანბანის... ზოგად სახელადაც ხმარობდნენ. ლეონტი მროველს თავის თხზულებაში აღნიშნული აქვს, ფარნავაზ მეფემ „შექმნა მწიგნობრობა ქართული“, ე. ი. ქართული ანბანის შემომღები იყო“.

² საბა ორბელიანი, ლექსიკონი, თბ., 1928, გვ. 434.

³ შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სტრ. 1922, ი. აბულაძის გამოცემა.

წიგნმა და მწიგნობრობამ საქართველოში, ისე როგორც მწიგნობრული კულტურის სფეროში დაწინაურებულ სხვა ქვეყნებში, უაღრესად გრძელი, თავისებური და მეტად ნაყოფიერი გზა განვლო. მწიგნობრობა და წიგნი საქართველოში ძველთაგანვე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ზრუნვის საგანი იყო. თითქმის ერთნაირი დაინტერესებით ზრუნავდნენ ორიგინალური და ნათარგმნი წიგნების გამრავლებაზე. ამ მიზნით საკუთრივ ძველ საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ — პალესტინაში, იერუსალიმში, შავ მთაზე, საბერძნეთში, ბულგარეთში და სხვაგან აღმოცენებული ქართველთა სამონასტრო სამწერლობო ცენტრები ქართული მწიგნობრობისა და წიგნის განვითარების უმნიშვნელოვანეს კერებად იქცნენ.

წიგნთა გამრავლების კვალდაკვალ ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა წიგნთა შინაარსი; იზრდებოდა წიგნისადმი ნდობა და სიყვარული, როგორც ყოვლისმომცველი დიდი ძალისადმი.

წიგნის გადამწერები თავიანთი ნაშრომებით და ცალკე მინაწერებითაც ხშირად მთელი სიცხადით წარმოგვიდგენენ იმ მდიდარ მწიგნობრულ მემკვიდრეობასა და ტრადიციებს, რაც ფეოდალურმა საქართველომ გვიანდერა.

ქართული მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრებად ქართულში აღიარებულია: თბილისი, მცხეთა, ცურტავეი, შიომღვიმე, რუისი, ურბნისი, სამთავისი, ბოლნისი, ლარგვისი, წილკანი, იკორთა, კაბენი, მუხრანის, გორის, ახალგორის, ბელოთის, დუშეთის, ქვათახევის, მძოვრეთის, ფიტარეთის, ტანძიას; ტაო-კლარჯეთშიც. ოშკის, პარხალის, ხახულის, ბანას, ოპიზას, ხანძათას, შატბერდის, პარეხის, ანჩის, ბერთას, წყაროსთავის; სამცხე-ჯავახეთში: საფარას, ზარზმას, აწყურის, ახალციხის, ვარძიას, ვანის ქვაბის, კუმურდოს, თმოგვის; აქარასა და შავშეთში: ტბეთის, თეთროსანის, ხინოს; კახეთში: გარეჯის, ზედაზენის, ნეკრესის, ალავერდის, იყალთოს, მარტყოფის, ბოდბის, გრემის, თელავის, ნინოწმინდის; დასავლეთსაქართველოში: ქუთაისის, გელათის, ჭრუჭრის, წესის, ჭელიშის, საჩხერის, ცაგერის, მესტიას, კაცხის, ვანის, მარტვილის, წალენჯიხის, ზუგდიდის, ხობის, ციხის, მოქვის, ბელიას, ბიჭვინთას, ოზურგეთის, შემოქმედის და სხვ. გარდა ამისა არსებობდა სხვა კერებიც⁴.

მეხუთე საუკუნეში იაკობ ცურტაველმა დაწერა დიდებული მხატვრული ქმნილება — ესაა ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული რომანი „წამებაი წმიდისა შუშანიკისი“. იგი თავისი ხასიათით, დახვეწილი მხატვრობით ადასტურებს, რომ ქართულ ენაზე ამაზე ბევრად ადრე თარგმნილ წიგნებთან ერთად არაერთი ორიგინალური

⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1962, ტ. 1, ნაკვეთი I და II.

მხატვრული ნაწარმოებიც უნდა შექმნილიყო; იაკობ ცურტაველი კი ამ წინამორბედთა შესანიშნავი ლიტერატურული ტრადიციის ღირსეულ გამგრძელებლად უნდა გვევლინებოდეს. ჩვენამდე მოღწეულია „შუშანიკის წამების“ არა დედანი, არამედ X ს. უძველესი ნუსხა, რომელიც პარხლის მრავალთავშია შესული.



ქართული დამწერლობისა და მწიგნობრობის შესახებ ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიურ-ნივთიერ-დოკუმენტური, ეპიგრაფიკული და წერილობითი პირველწყარონი მეცნიერული დამაჯერებლობით წარმოაჩენენ ქართული მწიგნობრობის აღმოცენების აღორძინებას წინაფეოდალურ და ფეოდალურ ეპოქებში როგორც საქართველოს ფარგლებში, ასევე მთელ რიგ საზღვარგარეთულ ცენტრებში.

საქართველოს დაბა-ქალაქებში მძლავრი საეკლესიო მწიგნობრული კულტურის კერები ისევე წარმატებით მრავლდებოდნენ V—VI საუკუნეებიდან, როგორც საქართველოდან ბევრად დაშორებულ არაერთ ქვეყანასა და მათ დიდმნიშვნელოვან ცენტრებში. მაგალითად: სახელგანთქმული სინას შთა, იერუსალიმი, პალესტინა, ათონის ივერიის მონასტერი, პეტრიწონი და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საზღვარგარეთული ქართული სამონასტრო ცენტრები; აქ დასახელებულ უცხო ქვეყნებსა და ქართულ სამონასტრო ცენტრებსა და კერებში ვითარდებოდა ქართული მწიგნობრობა, მკვიდრდებოდა ტრადიცია მაღალი კულტურისა, რომლის საფუძველზეც საქართველო მწიგნობრობის ერთ-ერთ კლასიკურ ძველ ქვეყანად გვევლინება; გადარჩენილია არაერთი უძველესი მსოფლიო მნიშვნელობის ქართული ხელნაწერი წიგნი, უნიკუმი, რომლებიც მხოლოდ საქართველოს მდიდარ წიგნსაცავ ფონდებს შემორჩენია.

ძველი მწიგნობრობისა და კულტურის ცენტრებში არაერთი გამოჩენილი ქართველი მწერალი შემოქმედებითად მოღვაწეობდა. ისინი იღვწოდნენ ორიგინალური ქართული მწერლობის განვითარებისა და აღორძინებისათვის; ამასთანავე, დაუღალავად შრომობდნენ ხელნაწერი წიგნების გამრავლებისათვის, გავრცელებისათვის, დასურათებისა და დაცვა-მოკაზმვისათვის.

იაკობ ხუცესი მოთხრობის მეხუთე თავში გვაუწყებს. სასახლეში ეკლესიიდან დაბრუნებულმა შუშანიკმა „თანა წარიტანა ევანგელი თვისი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი“⁵.

ივ. ჭავჭავაძისა და ა. შანიძის მეცნიერულ დებულებით ფსალმუნის ქართულად IV საუკუნეში თუ არა, V-ში მაინც უნდა იყოს ნათარგმნი. ამ კატეგორიული მტკიცების მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ წიგნები, რომელნიც „თანა წარიტანა“ შუშანიკმა, დაწერილი იყო ქართულ ენაზე. ჩვენ ვიცით, რომ შუშანიკი აღესრულა 475 წელს, მისი წამება კი აღიწერა ამის შემდეგ — ვარსკენის სიკვდილამდე, რაც 484 წელს მოხდა.

უძველესი ქართული ძეგლებიდან მოღწეულია ე. წ. ხანმეტური ტექსტების შემცველი მეექვსე-მეშვიდე საუკუნეების ხელნაწერთა ნაწყვეტები. მათ აკლიათ გადაწერის თარიღი და ძეგლთა ხნოვანება მხოლოდ პალეოგრაფიული ნიშნებით დგინდება (ა. შანიძე). მოგვიანო ხანიდან შემორჩენილ ძველ ქართულ ხელნაწერებს ახლავს თარიღი, გადაწერის ადგილი და გადაწერის ვინაობა.

ასეთია 864 წელს დაწერილი სინური მრავალთავი, რომელიც საბაწმინდის მონასტერში (იერუსალიმის მახლობლად) მაკარ ლეთეთელსა (ლეთეთი სოფელია ქართლში) და მის მამას გიორგი გრძელიძეს ამონა ვახტანგის ძის დახმარებით გადაუწერიათ.

ქართული ენისა და მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია პარხლის მრავალთავი (A-95), რომელიც X საუკუნით თარიღდება. იგი უძველესია იმ ხელნაწერთა შორის, რომელთაც შემოგვინახეს ქართული ლიტერატურის ადრინდელი ორიგინალური თხზულება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“. ამ ხელნაწერს, სამწუხაროდ, აკლია ერთი მესამედი. იგი გადაუწერია გაბრიელ პატარას, როგორც ეს ანდერძით ირკვევა.

ქართულ თარიღიან ძველ ხელნაწერ წიგნთა შორის ყურადღებას იპყრობს იოანე ოქროპირის ცხოვრების ბერძნულიდან ქართული თარგმანი — 968 წლისა.

X საუკუნიდან ხელნაწერთა რიცხვი მრავლდება. მაგ., 913 წ. ათონში დაიწერა სახარება, 973 წ-მდეა შექმნილი შატბერდის კრებული, 977 წ. — ოშკის მონასტრის ხელნაწერი, ათონში დაცული № 69, № 53 ხელნაწერები და სხვ.

ათონის ივერიის მონასტერში ისე როგორც იერუსალიმში, სინას მთაზე. საბაწმინდის ლავრაში, ქართულად თარგმნიდნენ დიდმნი-

⁵ იაკობ ურტაველი, მარტილობა შუშანიკისი, ილია აბულაძის რედაქციითა და გამოკლევით. თბ., 1938.

შენელოვან თხზულებებს; წერდნენ ორიგინალურ ნაშრომებსაც; დიდ ნაწილს საქართველოში გზავნიდნენ.

საქართველოს გამოჩენილი ადამიანები ზრუნვას არ აკლებდნენ ამ ცენტრებს. მაგ., გიორგი მთაწმიდელი გვაუწყებს, რომ დავით კურაპალატი ექვთიმე მთაწმინდელს „ზედაის ზედა მოუწერნ, რათა თარგმნიდეს“ წიგნებს და „წარსცემდეს“ საქართველოში გასავრცელებლად.

წიგნებზე საქართველოში დიდი მოთხოვნილება იყო. აქ მოქმედებდნენ მრავალრიცხოვანი საყდრები და მონასტრები, რომელთაც ღვთისმსახურების წესიერად შესრულებისათვის გარკვეული რაოდენობის წიგნები ესაჭიროებოდათ. საზღვარგარეთული ქართული მწიგნობრული კერებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი ქვეყნის წიგნით უზრუნველყოფაში. ტრადიციულად შემუშავებული და დადგენილი ყოფილა წიგნების მინიმუმის რაოდენობაც კი. კერძოდ, სკოდნიათ რამდენი წიგნი იყო საჭირო ეკლესიისათვის და რამდენი მონასტრისათვის. მაგ., XVI ს. დამლევს დოროთეოს კათალიკოსს სიგელში აღნიშნული აქვს: „წიგნები, რაც ერთს მონასტერს მოუხდების, ყველა კარგი და პატიოსანი“ შევწირეო⁶.

დავით აღმაშენებლის მეფობიდან მწიგნობარნი, წიგნის მცოდნენი, წიგნის მოყვარულნი და წიგნზე მომუშავე პირნი ქვეყნის მართვა-გამგეობაში აქტიურად მონაწილეობდნენ. არასაკვირველია, დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული სახელმწიფო და საეკლესიო რეფორმები შემთხვევითი მოვლენა არაა, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ამ რეფორმის ცხოვრებაში განუხრელად გატარების ხელმძღვანელობა დაეკისრა სამეფოში ახლად შექმნილ ყველაზე დიდ სამოხელეო ინსტიტუტს, რომლის მეთაურს მწიგნობართუხუცესი ეწოდებოდა.

მწიგნობართუხუცესი ფაქტიურად მეფის მოადგილე და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ნამდვილი მესაქე, ვაზირთ უპირველესი და ვაზირთა საბჭოს თავმჯდომარეა.

განვითარებულ ფეოდალურ საქართველოში აღორძინებული მწიგნობრობა და ახლად აღმოცენებული უმაღლესი სამოხელეო თანამდებ-

⁶ Н. М а р р. Агиографические материалы по груз. рукоп. Иверы. ЗВОРА, сб. 1900, წიგნი VIII, გვ. 7. XI ს. ოპიზის მონასტრის ბერს, კალიგრაფ ათანასეს 1093 წ. გადაუწერია პარაკლიტონი (207 ფურ. ხელნაწ. ინსტ. А 93). ანდერძში იგი (206 ფურც.), სხვათა შორის, გვაუწყებს: „...ამას პარაკლიტონსა სრულსა და უკლებსა, ვითა ეთარგმნა წმინდასა მამასა გიორგი მთაწმიდელსა... დედაი [დედანი] გიორგი მთაწმიდელისა ნუსხითგან დაწერილი მქონდა, მაგრამ ეზომ წურილად ნაწერი იყო, რომელ კაცისა თავისა თმასა ჰგვანდა და მე კაცი ვიყავ მოდღეენებული...“ და გაუირვებით გადაწერეო. — გადაწერილია მკაფიო ნუსხურით.

ბობა მწიგნობართუხუცესისა თითქოს სიმბოლურად წიგნიდან მომდინარენია და შეიძლება იმის მანიშნებელიც იყოს, თუ რაოდენ პატივდებული იყო წიგნი და მწიგნობრობა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლისდროინდელ ძველ საქართველოში. თვით დავითი ცნობილი მწერალი იყო, ავტორი „გალობანი სინანულისა“, რომელსაც ბიბლიის გავლენა ემჩნევა.

ქართული მწიგნობრობა და ლიტერატურა მშობლიური სულიერი კულტურის მშვენება და მისი ისტორიული განვითარების დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იყო. ქართული ლიტერატურა ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა, რომელსაც კუთვნილი დიდი ადგილი უჭირავს მსოფლიო კულტურის საგანძურში, ქართულ ლიტერატურას, მეტი თუ არა, თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია მინც აქვს.

ეს დიდი ლიტერატურული ტრადიცია ქართველი ხალხის შეგნებაში საუკუნეთა განმავლობაში ზრდიდა და აღრმავებდა წიგნისადმი მოკრძალებულ სიყვარულს. XII საუკუნეში შოთა რუსთაველმა თავისი გენიალური „ვეფხისტყაოსნით“ ხალხის ეს შეგნება თვისებრივად ახალ დონეზე აიყვანა. მან ქართული ლიტერატურა მსოფლიო განვითარების უმაღლეს დონეს აზიარა.

„ვეფხისტყაოსანმა“ ქართულ წიგნს მანამდე მიუწვდომელი ახალი თვისებრიობა შესძინა... წიგნი ერის მოქმედების სახელმძღვანელოდ გადააქცია და მხატვრულ-პოეტური ოსტატობით მსოფლიო ასპარეზზე დაამკვიდრა.

წიგნისადმი ამგვარი მოკრძალებული დამოკიდებულება ეუფლებოდა ხალხს მთელი თავისი სიფაქიზით, რაც ასევე ვლინდებოდა წიგნის კალიგრაფიულად გადაწერასა და მხატვრულ გაფორმებაში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „ვეფხისტყაოსნის“ XVII ს. მდიდრულად მოხატული ხელნაწერი (H—54), გადაწერილი ბეგთაბეგ თანი-აშვილის მიერ მეფე გიორგი XI-ის დაკვეთით, და XVII ს. ხელნაწერი (H—599), გადაწერილი მამუკა თავაქარაშვილის (იმერეთის მეფე ალექსანდრეს მდივნის) მიერ ლევან დადიანის დაკვეთით, რომელიც შემკულია 39 მინიატურით.

აკად. კ. კეკელიძის შეხედულებით ძველი ქართველი მწიგნობრები „ბიბლიაში ეცნობოდნენ ლიტერატურული სიტყვის ხერხებსა და შემოქმედების ტექნიკას, რომელიც ასე მნიშვნელოვანი იყო ორიგინალურ-ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის“⁷.

7 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960, გვ. 428.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დაბადების IV—V საუკუნეების პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციების უძველესი ტექსტი⁸, რომლის შესავალში სწორადაა შენიშნული: პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული თარგმანი არსებითად ძველი ქართული კულტურისა და მწერლობის შემადგენელ ნაწილად იქცა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს⁹ ქართული სამწერლობო ენისა და ლიტერატურის მეტი საფუძვლიანობით და უკეთ შესაცნობად.



საქართველოს ისტორია ომების ისტორიაა — წერდა დიდი ილია. სწორედ ამ დაუსრულებელი ომებისა და ყაჩაღური თავდასხმების შედეგად ნადგურდებოდა ქალაქები, სოფლები. მოსახლეობის საარსებო ნივთიერ სახსრებთან ერთად მტერი იტაცებდა და სპობდა ერის ყველაზე უძვირფასეს მემკვიდრეობას, მისი სულიერი კულტურის ფასდაუდებელ განძს — ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნებსა და ისტორიულ დოკუმენტებს, ანუ ყოველივეს, რასაც ერის პასპორტი შეიძლება ვუწოდოთ.

ჩვენს მამა-პაპათ კარგად ჰქონდათ შეგნებული ძველი ქართული კულტურის ამ უფაქიზესი და უძვირფასესი მემკვიდრეობის მნიშვნელობა შთამომავლობისათვის, საქართველოს არსებობისათვის. ამიტომ საგანგებო ღონისძიებები გაუტარებიათ ერის სულიერი კულტურის — ძველ ხელნაწერ წიგნთა, ისტორიულ დოკუმენტთა და სხვათა გადასარჩენად, მათ დასაცავად უდიდესი თავდადება და მზრუნველობა გამოუჩენიათ. ამ დიდი მემკვიდრეობიდან, უეჭველია, ბევრი რამ მაინც განადგურდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხის სასახელოდ ქართულ ენაზე შენახულა უმდიდრესი საუნჯე საეკლესიო მწერლობისა, ისეთი ნაშრომები და თხზულებები, რომელთა უცხოური დედნები დაკარგულია და მეცნიერებისათვის საძიებელი გამხდარა.

1902 წ. აღმოსავლეთში — იერუსალიმსა და სინას მთაზე იქაური ქართული ძეგლების შესასწავლად იმოგზაურეს ნიკო მარმა და ივანე ჭავჭავაძე. 1903 წ. ნ. მარმა რუსულ ენაზე დაბეჭდა მოკლე წი-

⁸ მოამზადეს ქ. ძოწენიძემ და კ. დანელიამ. ა. შანიძის რედაქციით. თბ., 1974.

⁹ კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 15. ქართველებს ჭერ კიდევ IV—V სს. ნაწილობრივ, ხოლო მე-6 საუკუნის დასაწყისში უკვე მთლიანად ჰქონიათ თავიანთ დედაენაზე სახარება, სამოციქულო, ეპინი და სხვანი. როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ჩანს, იმ დროს წირვა-ლოცვა და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე სრულდებოდა.

ნასწარი ანგარიში ამ მოგზაურობის შესახებ; როდესაც ეს ანგარიში გაიცნო ძველი მწერლობის ისტორიის ისეთმა ავტორიტეტმა, როგორც იყო ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ჰარნაკი, მან პრუსიის სამეცნიერო აკადემიის ორგანოში გამოაქვეყნა წერილი, სადაც განაცხადა: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნის ქართველებიც; გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შეძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გავაცნონ ახლო მისი საუნჯეო“¹⁰.

პროფესორი ჰარნაკი ამას წერდა 1903 წელს. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა. უცხოელი ქართველოლოგების რიცხვი გერმანიასა და მსოფლიოს სხვა კულტურულ ქვეყნებში მეტად გამრავლდა. ისინი ქართული ენის, ქართული ძეგლების შესწავლასთან ერთად დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოს ისტორიისა და მისი წყაროების შესწავლასა და პუბლიკაციაში¹¹.

აკაკი შანიძის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეოდ გერმანიიდან ჩამოვიდა ქართველოლოგთა ჯგუფი, რომელმაც იუბილარს კარგი ქართულით საჯაროდ მიულოცა 100 წელი და გამოაქვეყნა წერილები ქართულ პრესაში¹². ჰარნაკის მიერ ამ 84 წლის წინ დასმული ამოცანა დიდი წარმატებით გადაწყდა — გერმანია დღეს ქართველოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ცენტრია. გერმანულ და ქართულ ხალხებს შორის მეცნიერული კონტაქტები, ბუნებრივია, ღრმავდება და ვითარდება.

მწერლობის ძეგლებიდან ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმეზე შევჩერდებით. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტრებში ეწეოდნენ ფართო ლიტერატურულ-კულტურულ და მწიგნობრულ მოღვაწეობას: წიგნების თარგმნას, გადაწერას, შემკობა-შემოსვას და სხვ.

აღმოსავლეთში ასეთ კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდა შავი, ანუ საკვირველი მთა (ანტიოქიის მახლობლად, სირიაში) და იერუ-

¹⁰ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 14—15.

¹¹ საქართველოს ისტორიითა და მისი წყაროებით დაინტერესებულმა ცნობილმა გერმანელმა ქართველოლოგმა ჰერტრუდა პეჩმა გერმანულად თარგმნა და გამოსცა ქართული ეროვნული ისტორიის „ქართლის ცხოვრების“ დიდი ნაწილი — უძველესი დროიდან მეცამეტე საუკუნის დასაწყისამდე.

¹² შავ. იხ. ვინფრიდ ბოედერი, ქართული ბერძენი ათონის მთაზე და ქართული სალიტერატურო ენის ისტორია. — „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წლის 27 თებერვალი.

სალიმი (პალესტინაში). ამ უკანასკნელში ჯერ კიდევ IV—V საუკუნეების მიჯნაზე ქართველთა მეფის ძემ პეტრე იბერმა დააარსა ქართველთა მონასტერი. პალესტინაშივე ცნობილი იყო ხარითონისა და საბაწმინდის ლავრა, სადაც წმინდა მამები სამწერლო-მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ. XI საუკუნეში კი იერუსალიმში აშენდა ქართული მწერლობის საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ახალი კერა — ჯვრის მონასტერი.

ქართულ ხელნაწერ წიგნთა შორის ვხვდებით მრავალთავეს — სასულიერო ხასიათის, ე. წ. ჰომილეტიკურ თხზულებათა კრებულებს, რომელთა ყოველი თავი განკუთვნილი იყო ამა თუ იმ საეკლესიო დღესასწაულთან დაკავშირებით ლიტურგიის (მღვდელმსახურების) დროს საკითხავად. საკითხავი მასალა დალაგებული იყო კალენდარული რიგით, რომელიც 24 დეკემბრით იწყებოდა და მთელი წლის უმთავრეს საეკლესიო დღესასწაულებს მოიცავდა. ასეთი კრებული ყოველ მონასტერსა და საეპისკოპოსო საყდარს სჭირდებოდა.

V—X საუკუნეებში ქართულ ეკლესიაში გაბატონებული იყო ღვთისმსახურების იერუსალიმური წესი, რომლისათვისაც სახელმძღვანელოს იერუსალიმური ლექციონარი წარმოადგენდა — იაკობის ეპისკოპოსის და სხვა ბიბლიური მრავალთავე — იადგარი. ამთგან 864 წელს საბაწმინდის მონასტერში დაიწერა სინას მთის მრავალთავე, ანუ ლექციონარი¹³. ამ უნივერსალურ წიგნს, რომლის მიხედვითაც კალენდარულად მიმდინარეობდა ყოველდღიური ღვთისმსახურება, აკაკი შანიძე პალეოგრაფიული და ენობრივი ნიშნების მიხედვით VII საუკუნით ათარიღებს. მისივე ვარაუდით, ხანმეტი ლექციონარი დაიწერა პალესტინის მონასტერში, უფრო ადრე, ვიდრე „საბაწმინდური“ რედაქცია შემუშავდებოდა.

აკაკი შანიძე წერს: ჯერ კარგად არ ვიცით, როდიდან იწყება ის ორთოგრაფიული მიმართულება, რომელსაც გიორგი მთაწმიდელის თქმით საბაწმინდური ეწოდება, მაგრამ ცხადია, რომ ის ადრე უნდა დაწყებულიყო, — VIII საუკუნის დასაწყისში მაინც. იმიტომ, რომ საბაწმინდაში 864 წელს გადაწერილი მრავალთავე სხვა ნორმებს გვიჩვენებს ენობრივად, ვიდრე ჩვენი ხანმეტი ძეგლი.

ივ. ჭავჭავიძის მიერ ხანმეტიანი პალიმფსესტური ტექსტების აღმოჩენამ (1923 წ.) ახალი ეპოქა შექმნა ძველი ქართული ენისა და ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევის საქმეში¹⁴.

¹³ ივ. ჭავჭავიძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1926, გვ. 170; მზექალა შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, „მეცნიერება“, 1979.

¹⁴ გ. ახვლედიანი, თბილისის უნივერსიტეტი და ენათმეცნიერება საქართველოში, თსუ შრომები, XIX, 1941.

ქართული ანბანის წარმოშობისა და განვითარების საკითხთა კვლევისას, უძველესი წერილობითი ძეგლების შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილის ყურადღება მიიპყრო იმან, რომ თუ ძველად ბ, ვ, ყ ასოები თავშეკრულნი იყვნენ, VII საუკუნიდან მათ თავი ეხსნებოდათ. აღნიშნულ პალეოგრაფიულ ნიშანთა თავისებურებების დადგენით ავტორმა უთარილო ქართული წერილობითი ძეგლების დათარგმნებაც შეძლო.

ხანმეტური პალიმფსესტებისა და უძველესი ძეგლების (VI—VII საუკუნეები) შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა გაასწორა არაერთი უზუსტო მოსაზრება, რომელთა მიმდევარნი ფიქრობდნენ, რომ თითქოს ქართული ბიბლია VII—VIII საუკუნეებშია თარგმნილი. ივ. ჯავახიშვილი წერს: „ახლად აღმოჩენილი ხელნაწერები ამ აზრის სრულ უსაფუძვლობას ცხადყოფს... თუ V საუკუნეში არა, VI საუკუნეში მაინც უნდა იყოს დაბადება ქართულად გადმოთარგმნილი“¹⁵.

ა. შანიძის შეხედულებით: „უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენა ფართო ჰორიზონტებს გვიშლის თვალწინ მრავალ მხრივ. თუ ჯერ-ჯერობით არ ხერხდება მათი ქრონოლოგიურად განსაზღვრა სრული ზედმიწევნილობით, ის მაინც ცხადია, რომ აქ, ყოველ შემთხვევაში, არაბობამდებინდელ ლიტერატურასთან გვაქვს საქმე. მაშასადამე, არაბთა შემოსევის წინა ხანებში (ე. ი. მეშვიდე საუკუნის ნახევრამდე) არსებული ქართული მწერლობა არ დაღუპულა ისე კატასტროფულად, როგორც ეს აქამომდე გვეგონა, ვინაიდან, ჩვენდა ბედად, ზოგი რამ ამ ეპოქისა დაღუპვისაგან გადაურჩენიათ პალიმფსესტებს. ეს ფაქტი უადრესი მნიშვნელობისაა როგორც ქართული ლიტერატურისა და ენის ისტორიის, ისე პალეოგრაფიისათვისაც. ამიერიდან ქართული ისტორიული დიალექტოლოგია მკვიდრ საფუძველს პოულობს და შესაძლებელი ხდება მრავალი ბუნდოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის გამორკვევა“¹⁶.

ა. შანიძემ 1923 წელს აღმოაჩინა და გამოსცა ჰაემეტი ლექციონარი. ტერმინი ჰაემეტი ხანმეტის ანალოგიით და ამ სახელის აღნიშვნით შექმნა ა. შანიძემ¹⁷. ჰაემეტი და ხანმეტი ტექსტების მონაცემებს

¹⁵ ივ. ჯავახიშვილი. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, თბ., 1923.

¹⁶ ა. შანიძე, უძველესი ტექსტების აღმოჩენის გამო, იხ. თხზულებანი, II, თბ., 1981, გვ. 281—282.

¹⁷ ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტ. III, 1923.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ენისა და მწიგნობრობის ისტორიის მეცნიერულად შესწავლისათვის.

ჰაემეტი ტექსტები დაცულია პალიმფესტურ ხელნაწერში: „ჩემთვის უეპველია — წერს ა. შანიძე, — რომ განსხვავება მათ შორის იმდენად ქრონოლოგიური კი არ არის, რამდენად დიალექტური, ე. ი. ისინი იმდენად სხვადასხვა ეპოქას კი არ ეკუთვნიან, რამდენადაც სხვადასხვა კილოს. ხანმეტი ტექსტები ერთ კილოზეა დაწერილი და ჰაემეტი კი მეორეზე... ხანმეტი ტექსტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჰაემეტ ტექსტებს და უცილობლად ძველია მათზე“¹⁸.

ივ. ჭავჭავიძის დასკვნით, ხანმეტი წარწერები V საუკუნის მიწურულიდან გვაქვს. პირველი ჰაემეტი ძეგლი 616—619 წლებისაა. მაგალითად, ხანმეტურია ჩვენამდე მოღწეული ეპიგრაფიკული და ასევე ხელნაწერი არაერთი ძეგლი. ასეთებია: 1 ბოლნისის სამი წარწერა, V საუკუნის მეორე ნახევრისა, 2. მცხეთის წარწერა (დემეტრე ვპატოსისა) VI საუკუნის ბოლოს, 3. უკანგორის ორი წარწერა, VI საუკუნის დამდეგისა და სხვ.

ხელნაწერ წიგნთაგან: 1. ხანმეტური ლექციონარი, VII ს. 2. ახალი აღთქმის ფრაგმენტები VI—VII საუკუნისა (ამოიკითხა ივ. ჭავჭავიძემ). 3. იაკობის პროტოევანგელე VII საუკუნისა, 4. ჯ. ბერდზოლის მიერ ამოკითხული ფრაგმენტები, „ხანმეტი ლექციონარი“, 1929 წ. გამოაქვეყნა ა. შანიძემ.

ამ ძველ თარიღიან ოთხთავებს შორის გამოირჩევა 897 წლის შატბერდის ხელნაწერი, რომელიც დღეს ადიშის ოთხთავის სახელითა ცნობილი. იგი გადაუწერია სოფრონს სულიერ ძმათა თანადგომით¹⁹.

ჰადიშის ოთხთავი ჰაემეტი დედნებიდანაა გადაწერილი. ამას მოწმობენ ა. შანიძის მიერ ძეგლში აღნუსხული ჰაემეტების გადმონაშთები (მაგ., ჰეძმდეს, ჰჰამათ, ჰწყვიდნენ, თავ-ჰყოს, ჰეჰმ, ჰყავ და სხვ.)²⁰.

შატბერდში 936 წელსაა გადაწერილი ოთხთავი, რომელსაც ჯრუჰის ოთხთავს უწოდებენ. ოთხთავის ანდერძის დასასრულს ამის შესახებ ვკითხულობთ: „დაიწერა წმიდაი ესე სახარებაჲ შატბერდს ხელითა უცბად მხხრეკელისა გაბრიელისითა“.

¹⁸ ა. შანიძე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტუშ. III, 1923, გვ. 354; მზ. შანიძე, ჰაემეტობის გადმონაშთები X ს. ერთ სინურ ხელნაწერში (იხ. ხელნაწერთა ინსტ. შოამბე, 1. თბ., 1959).

¹⁹ ივ. ჭავჭავიძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1926, გვ. 171; ზ. ჰუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ, თბ., 1983, გვ. 113—114.

²⁰ ა. შანიძე, ჰაემეტობა ადიშის სახარებაში, თხზ., 11, თბ., 1981, გვ. 294—299.

ჯრუჰის ოთხთავს განსაკუთრებული მნიშვნელობის ძეგლად მიიჩნევენ ქართული ხელოვნების ისტორიის თვალსაზრისითაც. 940 წელს ეს ძეგლი მხატვარ თევდორეს მოუხატავს²¹.

ქართული ოთხთავის ერთ-ერთი ნუსხაა ოპიზის სახარება, რომელიც ერთი უძველესთაგანია. იგი 913 წ. დაწერილი და დაცულია ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციაში. ეს საინტერესო ხელნაწერი ნ. მარმა 1899 წ. აღმოაჩინა²².

ქართულ ხელნაწერ წიგნთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოშკის ბიბლიას, რომელიც 978 წელს იოანე ნათლისმცემლის ლავრაში გადაუწერიათ თორნიკე ერისთავის დაკვეთით.

თორნიკეს ეს ძეგლი შემდეგ შეუწირავს ათონის ივერიის ქართველთა მონასტრისათვის. ხელნაწერი 960 გვერდს შეიცავს. ათონიდან იგი 1849 წ. საქართველოში პ. იოსელიანს დროებით ჩამოუტანია. დაუმზადებია ორი პირი (ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში) და წამოღებული ხელნაწერი უკანვე დაუბრუნებია — ათონის მთაზე. ეს ძეგლი ხულ მალე ქართველ მეცნიერთა ყურადღების ცენტრში მოექცა და შესწავლის საგნად იქცა.

ძველი ქართული მწიგნობრობისა და მწერლობის უაღრესად საყურადღებო ძეგლია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომლის მხოლოდ ერთადერთმა ხელნაწერმა მოაღწია ჩვენამდე. იგი ნ. მარმა აღმოაჩინა და მანვე გამოსცა 1911 წ. მას ერთვის ბრწყინვალე მეცნიერული ისტორიული და ფილოლოგიური ანალიზი. ნ. მარმა. შეიძლება ითქვას, ამით სათავე დაუდო ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ ხელნაწერ ძეგლთა ევროპული უახლესი მეთოდით მეცნიერულად გამოცემის დიდ საქმეს, რომელიც გააგრძელეს ივ. ჭავჭავიძემ, მ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ი. აბულაძემ და მათმა მოწაფეებმა²³.

განსაკუთრებით დიდ მოვლენას ქართული მწიგნობრობის კულტურის ისტორიაში იერუსალიმში XI საუკუნის პირველ ნახევარში ჭვრის მონასტრის დაარსება მოასწავებდა, რომლის ამშენებლად გიორგი — პროხორე შავთელი გვევლინება.

მონასტრის დაარსების ინიციატორები იყვნენ ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელები. ჭვრის მონასტრის მშენებლებს უდიდესი დახმარება აღმოუჩინა მეფე ბაგრატ IV (1027—1072 წწ.): ჭვრის მონას-

21 ა. შანიძემ ჯრუჰის ოთხთავი 1945 წელს გამოსცა (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია...).

22 ნ. მარმა იმავე წელს „Журн. Минист. Народн. просвещения“-ში გამოაქვეყნა პირველი ცნობები ამ ძეგლების მნიშვნელობის შესახებ.

23 ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის შესავალი, თბ., 1984, გვ. 48.

ტერში დიდი ქართული მწიგნობრული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა აღორძინდა. აქ მრავალი ძეგლი შეითხზა, დღემდე შემორჩა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ერთადერთი ნუსხა, ბიბლიურ ტექსტთა შემცველი ნუსხები, მამათა ცხოვრებანი და სხვ., რომელნიც ეფთვიმე და გიორგი მთაწმიდელებს გადაუწერიათ. იერუსალიმის ჭვრის მონასტერში აქამად 155-მდე ქართული ხელნაწერია დაცული. ჭვრის მონასტერში გადაწერილი ხელნაწერები დაცულია თბილისის, ლენინგრადის, ვენის, ვაშინგტონის წიგნთსაცავებში. ჭვრის მონასტერი არაერთგზის დაარბიეს. შესუსტდა ქართველთა ისტორიული დიდი გავლენა იერუსალიმში და ბოლოს ქართველთა მონასტრებს ბერძნები დაეპატრონენ.

1960 წელს იერუსალიმში საქართველოდან სამეცნიერო ექსპედიცია გაემგზავრა ა. შანიძის, ი. აბაშიძისა და გ. წერეთლის შემადგენლობით. მათ ჭვრის მონასტრის სვეტიდან გადმოიღეს შოთა რუსთაველის ფრესკული პორტრეტი და ადრე ამოკითხული ცნობა: „შოთა მეტურპლეთუხუცესის“ სააღაპო მოსახსენებელი (XII—XIII საუკუნეთა ხელით). რაც თითქოს დიდი მგოსნის, შოთა რუსთაველის, იდენტიფიკაციაზე მიგვანიშნებს. ამრიგად, ერთგვარად დაზუსტდა მგოსნის ბიოგრაფიის ზოგი მომენტი მაინც.

დავით კურაპალატი ჰაგიოგრაფებს მოუწოდებდა, ქართული წიგნები ეწერათ და მისთვის გამოეგზავნათ. მართალია, საქმე ეხება უმთავრესად თარგმანებს, მაგრამ იმ დროს ორიგინალის სხვანაირი გაგება არ არსებობდა. ფაქტიურად ქართული თარგმანები წარმოადგენდნენ ნამდვილ ქართულ, კარგად კომენტირებულ წიგნებს.

იოანე ათონელი ექვთიმეს და სხვა ბერებს მიმართავდა: „შიილნო ჩემნო, ქართლისა ქვეყანა დიდათ ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლან“. ეროვნული ინტერესების შესაბამისად ბერებმა ათონის მთაზე თავიანთი წიგნების საშუალებით „შეამკეს და აღაყვავეს ენა ჩუენი და ქუეყანა თარგმანებითა წმიდათა წერილთათა“. „განანათლეს ქართველთა ენა და ქვეყანა სამკაულად ნათესავისა ჩვენისა“. ქართველმა ბერებმა თავიანთი შემოქმედებით სპეციფიკურ ისტორიულ სიტუაციებში იმდენი შეძლეს, რომ ქართული ენა მართლაც აამაღლეს ბერძნულის დონემდე.

რელიგიური პრობლემების გარდა, ქართულმა სამწერლო ენამ ერთიანი ნაციონალური სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში ახალი, ეროვნული დანიშნულება შეიძინა. ამ საქმეში კი სწორედ ათონელ მამებს შეეძლოთ არსებითი წვლილის შეტანა. ამ ბერებისათვის, აღორძინებული საქართველოსთვისაც, ქართული ენა მთავარი დასაყრდენი

უნდა ყოფილიყო ბიზანტიელებისა და არაბების გავლენისაგან ქვეყნის განათვისუფლებისათვის ბრძოლაში²⁴.

ავსტრიელი მეცნიერი, ცნობილი ქართველოლოგი, პროფ. ჰუგო შუხარდი თუ რა აზრისა იყო ქართული ენისა და მისი მწერლობის შესახებ. ამის შესახებ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ე. თაყაიშვილი. თავის „მოგონებებში“ იგი წერს: „პეტრე მელიქიშვილს უამბია ერთხელ ჩემთვის, ავსტრიელი ლინგვისტი რომ იყო ჰუგო შუხარდი, ქართული ენა რომ შეისწავლა იმის შესახებ, იგი მეგობარი ყოფილა მელიქიშვილისა და თურმე ხშირად ეტყოდა ხოლმე: „ქიმიკოსები ევროპაში მრავლად გვყავს, თითო ქალაქში თითო მაინცაა გამოჩენილი მეცნიერი და რაღა მაგ საგანს მოჰკიდებ ხელი ამ ნიჭიერმა კაცმა, ვინ უნდა გააკვირვო ქიმიით? ის არ სჯობია, რომ შენი დედაენა გეკვლიაო? მაგისტანა თავისებური, მდიდარი, საინტერესო და მსოფლიო მეცნიერებისათვის საყურადღებო ენა გაქვთ, იგი რაც შეიძლება მალე უნდა გაიცნოს მთელმა ქვეყანამ და მისი შესწავლა ყველაზე უკეთესად ქართველებს შეგიძლიათ“. მერე ჩაგვაცვიდა შუხარდი: „ვინმე ნიჭიერი ახალგაზრდა გამომიგზავნეთ ვენაში, რომ მოემზადოს და შერე ქართული ენის შესწავლაზე იმუშაოს“. ჩვენც გაუგზავნეთ ერთი მართლაც ნიჭიერი ყმაწვილი, გვარად ბეშენაძე. სტიპენდიაც კი დაუნიშნეთ, მაგრამ ის თურმე გაიტაცა ევროპულმა ფილოსოფიამ და ლიტერატურამ და ლინგვისტიკას აღარ გადევნებია“²⁵.

2. ქართული ხალხური წიგნების სამეცნიერო მნიშვნელობა.

ბიზანტიურ-ქართული მწერლობის შრტირატორიკის აღმოჩენა.

მაროველი თვითწიგნების გავრცელება და სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება

კაცობრიობის, ისე როგორც ყოველი მწიგნობრული კულტურის მქონე ერის, მეცნიერული ისტორია, უმეტესწილად, მხოლოდ ეროვნულ-ისტორიულ წერილობით ძეგლთა საფუძველზე, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებასთან ერთად, ვითარდება.

²⁴ იხ. ვინფრიდ ბოედერი, ქართველი ბერები ათონის მთაზე და ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, — ლიტერატურული საქართველო, 27 თებერვალი, 1987, გვ. 5—6.

²⁵ იხ. „მნათობი“, № 5. 1959, გვ. 178.

ცნობილია, რომ შუხარდის ვილად მხატვრისაგან შეუძენია ძველი ქართული ხელნაწერები, რომელთა შორის ხანმეტი ლექციონარიც მოხვედრილა, უცხოელ მეცნიერს ეს ძეგლები საგანგებოდ შეუსწავლია დამოუკიდებლად და, ა. შანიძის სიტყვით, ხანმეტი ძეგლების შესწავლის წამოწყება პირველად მაინც შუხარდის სახელთან იქნა დაკავშირებული (იხ. მისი „ქართული ხელნაწერები გრაციამი“, ტუშ. IX, 1929).

ერის წარსულის ისტორიულად შესწავლისა და გაგებისათვის ეროვნული დამწერლობის მნიშვნელობა შეუდარებლად დიდია, იგი ამდიდრებს, ახალ შინაარსს სძენს ერის წარსულისა და აწმყოს ფაქტებს, მოვლენებს; აფიქსირებს ზეპირსიტყვიერ გადმოცემებს. თქმულებებსა და პრეისტორიულ ლეგენდებსაც კი. ამდენად ქვეყნის წარსულის მეცნიერულად შესწავლისათვის წერილობითი ძეგლები უაღრესად თავისთავადი ფენომენია.

საქართველო და მოძმე სომხეთი მსოფლიოს იმ მოწინავე ხალხთა 14 ქვეყანას განეკუთვნებიან, რომელთაც საკუთარი დამწერლობა თავიანთი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასთან ერთად შეიმუშავეს და შექმნეს მდიდარი მწიგნობრული კულტურა.

ქართული მწერლობის ძეგლებმა (რომელთაც, ბუნებრივია, წინ უძღოდა ქართული დამწერლობის შემუშავების საუკუნოვანი ეპოქები) ჩვენამდე V საუკუნიდან მოაღწიეს. ისინი ქრისტიანობის დროშითა და სამეფო ხელისუფლების მხარდაჭერით ვითარდებოდნენ.

სამეფო ხელისუფლების მზრუნველობით ქრისტიანული ეკლესია ქართლში გაძლიერდა, გამრავლდა ისტორიული სამლოცველო საყდრები. ვახტანგ გორგასლის მეფობაში ქართულმა ეკლესიამ დაიმკვიდრა ავტოკეფალია. ეკლესიას სათავეში „ეპისკოპოსთა თავი“ — კათალიკოსი ედგა.

ვახტანგ გორგასლის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, სამეფოს გაძლიერებისა და ქრისტიანული რელიგიის მტკიცედ დანერგვისათვის, მეზობელ-მაზღდიანური ირანის მმართველ წრეებში ფანატიკურ მტრობას აღრმავებდა. ისინი ძალმომრეობით ქრისტიანობის დამხობითა და ხალხის მაზღდიანობაზე მოქცევით ცდილობდნენ გზა გაეწმინდათ ქართლში ირანის ბატონობისათვის.

თუ რაოდენ მძაფრი იყო ირანელ დამპყრობთა ბრძოლა ქართლის სამეფოში მაზღდიანობის გავრცელებისათვის, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა V საუკუნის ისტორიულ-ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება“.

523 წ. სპარსელებმა ქართლში მეფობა მოსპეს — „მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა“ და ქვეყანას ერისთავები დაეპატრონენ. მაგრამ ერისთავნი ირანისათვის ხარკს ჰკრეფდნენ და უხდიდნენ ისტორიკოსის ცნობით „იქმნა სიმრავლე მთაერთა ქვეყანასა ქართლისასა და შეერიათ ბრძოლა და მტერ იქმნეს ურთიერთას“. ისე რომ არაბების შემოსევისას ზოგი ასეთი ძლიერი ერისთავი არაბთა მხედართმთავრებთან დამოუკიდებლადაც კი დებდა ხელშეკრულებას.

VII ს-ში არაბთა შემოსევისა და მათი ბარბაროსული ბატონობის დამკვიდრების შედეგად ქართლი მძიმედ დაიხარკა, ქვეყნის ეკონომი-

კურ ცხოვრებაში მკვიდრდება მეურნეობის დრომოქმული ნატურა-
ლური ფორმები. თავს იჩენს ხალხის გალატაკება, განუკითხავი დევნა
და შევიწროვება. ქვეყნის შემადარწუნებელი მდგომარეობის მხილველი
იოვანე საბანისძე ამ ვითარებას თავის თხზულებაში ასე აგვიწერს:
„მძლავრებასა ქვეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლა-
ზაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და
ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი, შიშითა განილევნიან და ირყევიან,
ვითარცა ლერწამნი ქართავან ძლიერთა“.

ჩვენი ქვეყნის ესოდენ მძიმე მდგომარეობა ეკლესიაზე შედარებით
ნაკლებად ვრცელდებოდა. რელიგიური იდეოლოგია ღრმავდება სა-
სულიერო მწერლობისა და მწიგნობრობის განვითარებით, ხალხში
ძლიერდება გამათავისუფლებელი მოძრაობა.

V—IX სს. პერიოდის ქართული ორიგინალური სასულიერო ლი-
ტერატურული ჟანრია ჰაგიოგრაფიული თხრობანი, რომელნიც მარ-
ტიროლოგიაში იჩენენ თავს. მათ შორის აღსანიშნავია: მარტილობა
შუშანიკისა, ესტატე მცხეთელისა, აბო თბილელისა, გობრონისა, კონ-
სტანტინე-კახისა და სხვ.

ქართულმა ეკლესიამ არაბთა აუტანელი ბატონობის პირობებში
შეძლო მოეპოვებინა მორალური ავტორიტეტი ქრისტიანობის დრო-
შით ეროვნული მთლიანობისა და ყოფის დამკვიდრებისა და შენარ-
ჩუნებისათვის; იოვანე საბანისძისა და მის მსგავსთა შთამაგონებელი
ზეპირი ქადაგებითა და ეკლესიებში მრევლისათვის სათანადო საკი-
თხავი წიგნების გამრავლებით ღრმავდებოდა შეგნება მოსახლეობის
ფართო ფენებში (იოვანე საბანისძის თხზულება სწორედ ამ მიზანს
ემსახურებოდა), ქვეყნის დამოუკიდებლობის გზაზე გამოყვანისათვის.

პირველი, ე. წ. მოსამზადებელი V—VII სს. პერიოდის ქართული
ლიტერატურულ-პოლიტიკური ორიგინალური თუ მთარგმნელობითი
ლიტერატურა „აღმოსავლურ“ — სირიულ, სომხურ და რამდენადმე
სპარსულ ორიენტაციას უკავშირდება. ეს იმით აიხსნება, რომ ქრის-
ტიანობა, ეს უძლიერესი იმპულსი, ქართლში შემოვიდა პალესტინი-
დან დასახელებულ ქვეყნების გზით. „მოსამზადებელი ხასიათი ამ
ხანის მწერლობისა გამოიხატებოდა „მთარგმნელობასა“ და „იმმბა-
ძველობაში“. ლიტერატურული პროდუქცია წარმოდგენილია ნათარგმნ
ძეგლებში — ბიბლიის თარგმნაში და ორიოდ, ჩვენამდე შემონახულ,
ორიგინალურ ნაწარმოებში, რომელნიც შედგენილია სხვა ენებზე და-
შუშავებული ჟანრული ნორმების გავლენის მიხედვით... ხოლო მომ-
დევნო მერვე-მეცხრე საუკუნეები არის ხანა, როდესაც ქართული
მწერლობა საკუთარ ფეხზე დგება და ეროვნული იდეოლოგიის შემუ-
შავებას ემსახურება.

ეროვნული იდეოლოგიის გაღვიძება იყო არაბობის აუტანელი ბატონობის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა. მერვე საუკუნიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში აღმოცენდა და გაძლიერდა საეკლესიო-სამონასტრო და სამწერლობო ლიტერატურული ახალი კერები.

სომხური და ქართული ეკლესიების განყოფის შემდეგ, ქართული ეკლესია უფრო მჭიდროდ უკავშირდება დასავლურ ბიზანტიურ სამყაროს და ქართული კულტურულ-ლიტერატურული მოძრაობა ახალ, პროგრესულ გზაზე გამოდის. აღმოსავლურ-ფეოდალური (სირიულ-სპარსული, სომხურ-არაბული) სამყარო განვითარების ბევრად დაბალ საფეხურზე იდგა ბერძნულ-ბიზანტიურთან შედარებით. ამასთანავე ქართული მწერლობა ინარჩუნებდა კავშირს არაბულ-ქრისტიანულ მწერლობასთან აღმოსავლეთში, პალესტინისა და სხვა ქართული სამონასტრო ცენტრების სახით.

„აღმოსავლეთის“, ე. წ. ანტიოქიის, პატრიარქი არასოდეს არ ურიგდებოდა ქართლის ეკლესიურ დამოუკიდებლობას, რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკა კი ეროვნულ ხელისუფლებას არ სპობდა, პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელს უწყობდა კიდევაც მის გამაგრებას, რათა თავისი მიზნები ეროვნული ხელისუფლების საშუალებით უფრო ადვილად განეხორციელებინა. აღნიშნულ წინააღმდეგობათა და ბრძოლის ნიადაგზე გაშლილა ქართლში ანტიმეზდეისტური და ანტიმონოფიზიტური პოლემიკა ბერძნულ-ბიზანტიური ორტოდოქსიისა. ფინალი ამ ბრძოლისა იყო ჩამოყალიბება „ქართული“ კულტურისა, რომელიც წარმოადგენს სინთეზს და გადამუშავებას აღმოსავლურისა და დასავლურის ლიტერატურული საუკეთესო ტრადიციებისას“²⁶.

გერმანელი მეცნიერი ვინფრედ ბოედერი ქართული წყაროებისა და ისტორიის საფუძვლიანად შესწავლამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „ქართულმა ენამ ისტორიის მანძილზე აამალა თავისი ენობრივ-სოციალური ღირებულება, რასაც აქვს თავისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტებიც... შესაძლებელია განვასხვავოთ განვითარების ორი ფაზა: თავიდან ქართული გამოდიოდა სამწერლობო ენად, ბერძნულის გვერდით, და სხვა სლავიანური ეკლესიების ენების მსგავსად მიიღო ახალი მნიშვნელობა, როგორც რელიგიური ლიტერატურის ენამ, და შეიძინა განსაკუთრებული ღირსებაც. რატომ ვერ მოიპოვა ბატონობა აქ ბერძნულმა, როგორც საეკლესიო ლიტურგიის, მეცნიერების და აგრეთვე ვითარცა სალიტერატურო და სახელმწიფოებრივმა ენამ,

²⁶ კ. კეკელიძე, ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია თბ., 1933, გვ. 19.

როგორც ეს ლათინურმა ენამ შეძლო ევროპაში... ბოედერი განაგრძობს: „ქართული კულტურის აყვავების ხანამდე ცოტა ადრე სლავთა განმანათლებლებმა კირილემ და მეთოდემ შექმნეს ქრისტიანობაში ეროვნული ენის თანასწორუფლებიანობის მნიშვნელობა. რ. იაკობსონმა ეს მოვლენა მართებულად დაუკავშირა ბიზანტიის ეკლესიის მიზანდასახულებას, რომლის მიხედვითაც ბიზანტიის ეკლესიას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, თუ რომელიმე სხვა ხალხი თავის ენაზე განადიდებდა „ღმერთს“, ქართული ენა მართოდენ ქრისტიანობის გამავრცელებელ ენად კი არ განვითარდა, არამედ დღემდე ურყევად შეინარჩუნა თავისი ადგილი“²⁷.

ქვეყნის გაძლიერებასთან ერთად X—XI საუკუნეებში გაღრმავდა და „ფრთები შეისხა“ ეროვნულმა თვითშეგნებამ. ქართველებმა თავისი ეროვნული ცხოვრებისა და კულტურის წინსვლა საბერძნეთ-რომის საეკლესიო სფეროებსა და წრეებთან დაახლოებას დაუკავშირეს.

ჯერ კიდევ „მეშვიდე-მერვე საუკუნეებში „ქართლის ეკლესია“ გამოდის თავისი ეროვნული საზღვრებიდან და მიილტვის დასავლეთის თანამოძმეებისაკენ, რომელნიც ბერძნულ-ბიზანტიური ეკლესიის სფეროსა და გამგებლობაში იყვნენ“²⁸. ქართველ ბერებს შემოაქვთ და ავრცელებენ ქართულ ღვთისმსახურებას. მოგვიანებით დაარსებული ათონის ივერიისა და რუმინეთის პეტრიწონის ქართული მონასტრებო ახალ დიდ კერად იქცნენ უცხოეთში.

ქართულ საეკლესიო-სამონასტრო წესებს, ქართულ ღვთისმსახურებას და ქართულ ენას თან მოჰქონდა ქართული ეროვნული პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეალები, რომელნიც სათანადოდ აისახა ქართულ მწერლობაში: „ქართლად ფრიადი ქვეყანაა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“-ო²⁹.

ქართულ ენაზე ნათარგმნი თუ ორიგინალური თხზულებანი ბუნებრივი განვითარების ფართო გზაზეა გამოსული. IX—X საუკუნეების ქართული ლიტერატურული ენა კლასიკური ქართულის ნიმუშად წარმოგვიდგება³⁰.

გიორგი მერჩულეს ორიგინალურ ქმნილებასთან ერთად ეროვნული მიმართულება საეკლესიო მწერლობაში ღრმავდება და ძლიერ-

27 იხ. ლიტერატურული საქართველო, 1987 წლის 27 თებერვალი.

28 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1941 გვ. 43.

29 გიორგი მერჩული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. მ. თ

30 კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, ნაკვეთი 1.

დება, მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ორიგინალური ქართული მწერლობა მხოლოდ ფეხს იდგამდა³¹.

შეიძლება ითქვას, რომ, წერს კ. კეკელიძე, თვით კლასიკურ ხანაშიც ვერ ვხვდებით ორიგინალური საეკლესიო მწერლობის ისეთ ძძლავრ განვითარებას, როგორც VIII—IX საუკუნეებში. ამ პერიოდში პირველად შეიქმნა ეროვნული ჰაგიოგრაფია, დაიწერა ქართველ წმინდანთა ცხოვრება, რომელნიც მათე საუკუნემდე მოღვაწეობდნენ. საკმარისია დავასახელოთ იოვანე საბანისძის „მარტვილობა აბო თბილელისა“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელი“ და სხვ. რაც შეეხება რომანს „ბალავარის სიბრძნეს“, რომლის ავტორად (და ზოგიც მთარგმნელად) რამდენიმე ქართველ მოღვაწეს (ვინმე იოანე პალესტინელ ბერს, ასევე ისაკ — სოფრონ პალესტინელის შვილს) ასახელებდნენ, საბოლოოდ დადგინდა, რომ ევროპის სხვა ენებზე არსებული ბალავარიანის ვერსიები თავდაპირველად ქართულიდან ბერძნულად თარგმნა ექვთიმე ათონელმა (შეტანილია ექვთიმეს შრომების სიაში).

კ. კეკელიძე ამგვარ ქართულ ნაწარმოებებს მსოფლიო ჰაგიოგრაფიის ისტორიის მარგალიტებად და იშვიათ შემთხვევებად მიიჩნევს. ეროვნული მიმართულება ქართულ მწერლობასა და ლეთისმსახურებაში შორს იდგა ეროვნული კარჩაკეტილობისა და სექტანტობისაგან, მეზობელ ხალხთა და ერების ლიტერატურული კავშირის ზურგ-შექცევისა და ქედმალღური დამოკიდებულებისაგან; პირიქით, მრავლდება კულტურულ-ლიტერატურული შემოკმედებითი კერები, ძლიერდება კავშირი და თანამშრომლობა მეზობელ ერებთან; მათი კულტურული მემკვიდრეობისადმი ღრმა პატივისცემა ვლინდებოდა ინტენსიური მთარგმნელობითი მღშობის უფრო მეტად გაძლიერებაში, ვიდრე ორიგინალურ ნაწარმოებთა შექმნაში. უცხო ენიდან ითარგმნებოდა, უპირველეს ყოვლისა, ქართული ეკლესიისა და კულტურისათვის პრაქტიკულად საჭირო თხზულებანი. თარგმნიდნენ შემოკმედებითად და არა სიტყვა-სიტყვით, უფარდებდნენ ქართულ სინამდვილეს, ეკლესიას, ეროვნულ სულსა და ტრადიციებს; ამდენად, ადგილ-ადგილ ამოკლებდნენ და ახალსაც თხზავდნენ. ამიტომ მოგვიანებით. XI საუკუნიდან, როდესაც დამკვიდრდა ულტრა-ბიზანტიური გავლენა, თავისუფლად ნათარგმნ თხზულებებს, იქნებოდა იგი სამღვთო თუ საერო, ქართულს უწოდებდნენ, რადგან ისინი ბერძნულს ნაკლებად უდგებოდნენ. მაგ., გიორგი მთაწმიდელი მის მიერ ნათარგმნ დავითნს უპირისპირებს „ქართველთა დავითნს“ და ასახელებს ექვთი-

³¹ იოვანე საბანისძე, მარტვილობა აბოისი; ბასილ ზარზმელი, ცხოვრება სერაპიონისა, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვევით.

ზე მთაწმიდელს — „ქართულნი დავითნი თანაესხაო“³². მოგვიანებით ზღვომარეობა იცვლება, ბერძნულ მწერლობასთან კავშირი ღრმადდება. ეს თავს იჩენს როგორც მთარგმნელობით, ასევე ორიგინალურ თხზულებებში.

1912 წ. კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა VII ს. „იერუსალიმის განჩინება“³³. ამ განჩინებაში შემუშავებულია ეროვნული ეორტალოგია. დაუწესებიათ წმინდა ქართული დღესასწაულებისა და სხვადასხვა საღიდაბელი მოვლენების სრულყოფილი აღრიცხვა, კალენდრებსა და ლექსიკონარ-კანონარში მტკიცედ ჩამოყალიბებით. ამ ძეგლებში უძველესი დროის მსოფლიო ეკლესიის წიაღში აღმოცენებული ზოგიერთი დღესასწაული, რომელიც ამ დროს უკვე სახეშეცვლილი ან დავიწყებული იყო, ქართველებს უცვლელად შეუტანიათ, ოღონდ თავიანთი ეროვნული სულისკვეთებით წარმოდგენილი, გიორგი მთაწმიდელის შენიშვნით: — „ბერძნულად აქა მღვდელთმოდღვართაა არა არს, ქართულად კულა არის“, ანუ ბერძენთა მიერ დავიწყებული ქართველთ შემოუნახავთ „იერუსალიმის განჩინებაში“.

კ. კეკელიძის მიერ იერუსალიმის განჩინების ტექსტოლოგიურად სრულად გამართვით (მისი ახალი ფრაგმენტებისა და პალიმფსესტების გოძიება-გაშიფვრით) დაინტერესდა მ. თარხნიშვილი (ასევე ბიბლიის ეკვლევარნი და პალესტინის ისტორიკოსნიც). დიდი ინტერესი გამოიჩინა იერუსალიმის განჩინებისადმი ფრანგმა მეცნიერმა ბერნარდ უტიემ. მოკლე ხანში (1916 წ.) მომზადდა ქართული „იერუსალიმის განჩინების“ ბერძნული და გერმანული თარგმანები.

ქართველი მოღვაწეები ასევე გასცნობიან სხვადასხვა ჰიმნოგრაფთა მართლმადიდებლურ ტექსტებს და უთარგმნიათ ისინი. ამასთანავე, მათ განუზრახავთ ქართულ-ორიგინალურ ჰიმნთა შექმნა. მეათე საუკუნეიდან მიქელ მოდრეკილს, იოანე მინჩხის. იოანე ქონქოზის ძეს სისრულეში მოუყვანიათ ეს განზრახვა.

ქართული მწერლობის ნაყოფიერი მთარგმნელობითი მოღვაწეობა X—XI საუკუნეებიდან აღმავლობით ვითარდებოდა.

დღეს ჩვენთვის ცნობილია მთელი რიგი ძეგლებისა, რომელნიც ნათარგმნია ბერძნულიდან და რომელთა ბერძნულ დედნებზე მსჯელობა ამჟამად მხოლოდ ქართული თარგმანით შეიძლება. ამასთანავე „იშვიათია ისეთი თხზულება ბიზანტიის ლიტერატურისა, ქართულ მწერლობაში გადმოსული, რომელიც ქართულ თარგმანში რაიმე სა-

³² მ. ჭანაშვილი, ქართული მწერლობა, 1, 109—111; კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 47.

³³ К. Кекелидзе, Иерусалимский Канонарь VII в., Грузинская версия, Тифлис. 1912.

ყურადღებო ვარიანტს არ იძლეოდეს. ესეც რასაკვირველია თავისებური წვლილია, რომელიც ქართულ მწერლობას ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში შეაქვს³⁴.

ქ. კეკელიძის აზრით თარგმანის მეთოდი და ხასიათი ქართული ძველი მწერლობისა მეტისმეტად ორიგინალური და თავისებური იყო. „გადმოლება უცხო თხზულებისა იყო არა შექანიკური აღქმის პროცესი, არამედ პროცესი შემოქმედებითი გადამუშავებისა და თავის საკუთარ გემოვნება-შეგნებასთან შეგუებისა. ქართველთა შემოქმედებითმა გენიამ შეძლო ნათარგმნი ლიტერატურის ასიმილირება, თავის საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ შეგნებაში გადახარშვა და გადადნობა მისი ეროვნული საქმიანობის ბრძმედში“³⁵.

ხშირი შემოსევის, ნგრევა-განადგურებისა და დარბევათა შედეგად აუნაზღაურებელი ზარალის მიყენების მიუხედავად დაღუპვის გადაურჩა და ჩვენს დრომდე მოაღწია ბიზანტიური (და არა მხოლოდ ბიზანტიური) მწერლობის ქართული თარგმანების არაერთმა დიდმნიშვნელოვანმა ძეგლმა, რომელთა დედნები საზოგადოდ დაკარგულია, საბედნიეროდ ისინი მხოლოდ ქართული თარგმანითაა გადარჩენილი.

ამგვარი ძეგლების გამოცემა სავსებით კანონზომიერად მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად წარმოგვიდგება.

ამდენად ქართული ძველი წიგნისა და მწიგნობრობისადმი ინტერესი გაიზარდა და, ბერძნულის შემდეგ, პროგრესული კაცობრიობის ყურადღების სფეროში მოექცა. აღნიშნულს რამდენადმე განაპირობებს ქართველოლოგიური კერების მთელ რიგ ქვეყნებში გამრავლება და მათი მეცნიერული მოღვაწეობის ხასიათი. ჩვენ აქ ასეთ თარგმანთაგან რამდენიმეზე შევიჩერდებით. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნიკო მარის მიერ მე-3 საუკუნის მწერლის იპოლიტე რომაელის ხუთი საეგზეგეტიკო ნაწარმოების ქართული თარგმანის აღმოჩენა³⁶.

კორნელი კეკელიძის მიერ 1920 წელს გამოცემული „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲს“, რომელიც მიტროფანე სმირნელის კალამს ეკუთვნის, ქართული თარგმანი შესრულებულია პეტრიწონის სალიტერატურო სკოლაში XI—XII სს.; „ეკლესიასტე“ ბიბლიურ წიგნთა შორის ყველაზე უფრო ფილოსოფიურია, ამიტომ მისი კომენტარები ფილოსოფიურ მნიშვნელობას არაა მოკლებული. ამ თხზულების აღმოჩენა

³⁴ ქ. კეკელიძე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში. — ეტიუდები, ტ. III.

³⁵ ქ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი. — ლიტერატურული ძიებანი, VII, 1951, გვ. 171.

³⁶ იხ. Тексты и разсказания... книга III, 1901

„ავსებს მეცხრე საუკუნის ბიზანტიის კულტურისა და ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს“³⁷.

ძველი ქართული თარგმანების საფუძველზე ახალი ჰორიზონტი იშლება ბიზანტიის მწერლობის „ისტორიის“ ისეთ დარგში, როგორცაა ფილოსოფიურ-დოგმატიკური ლიტერატურა. სწორედ ამ გზით შემოდიოდა ჩვენში ნეოპლატონიზმი; ამ სფეროში მოღვაწეობდნენ ქართული ფილოსოფიური აზრის ისეთი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, იოანე კიმიკელი და სხვ. მაგალითად, ქართველმა მეცნიერმა მთარგმნელებმა ამ დარგში შემოინახეს ბიზანტიელი ფილოსოფოსის მიქაელ ფსელოსის თხზულება „პირმშობა“, რომლის ბერძნულ დედანს საერთოდ არ მოუღწევია³⁸.

ჯერ კიდევ მეთავე საუკუნემდე უთარგმნიათ ბერძნულიდან ქართულად მრავალი აგიოგრაფიული, მკითხველისათვის ადვილად გასაგებად გამიზნული („კიმენური“ რედაქციის) ძეგლი, როგორცაა მათე ანტიოქიელის, იოანე ურპაელის, აგათანგელეს, იოანე დამასკელისა და სხვათა ნაწარმოებები. „არც ერთი ან ნაწარმოების დედანი არ შენახულა. არსებობს მხოლოდ მათი ქართული თარგმანები, რომლებიც დღე ინტერესს იწვევენ როგორც არაბული, ისე ბიზანტიური მწერლობის თვალსაზრისით“³⁹.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურულ ძეგლთა ქართულ თარგმანებში ხშირად ჩართულია ორიგინალური კომენტარები და ცალკეული დამატებები, რომელნიც ორგანულადაა დაკავშირებული ძეგლთან, ისინი ავსებენ ან განმარტავენ მათ, აგრეთვე შუქს ჰყვნიან იმ ქვეყნის ისტორიისა და კულტურის არა ერთ საკითხს, რომელსაც სათარგმნი ძეგლი განეკუთვნება.

მეტად დიდია ექვთიმე ათონელისა და მისი მოწაფეების ღვაწლი. ისინი კარგად ფლობდნენ ბერძნულს, წერდნენ და თარგმნიდნენ ასევე ბერძნულად და უშუალოდ მონაწილეობდნენ ბიზანტიურ ლიტერატურულ ცხოვრებაში. თვით ექვთიმე ათონელი დიდი და მეტად ნაყოფიერი მთარგმნელი იყო. გიორგი ხუცესმონაზონის (ექვთიმეს ბიოგრაფის) ცნობით ექვთიმე მის მიერ თარგმნილ წიგნებს საქართველოში უგზავნიდა დავით კურაპალატს, რომელიც „ზედაჰსზედა მოუწერენ. რამთა თარგმნიდეს და წარსცემდეს... და იგი სანატრელი შეუხსენებლად თარგმნინ. და რამთურთით არა სცემდა განსვენებასა თავსა

37 კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, გვ. 127.

38 იქვე.

39 იქვე.

თვისსა... რამეთუ თარგმნნა წიგნი საღმრთონი, რომელთა აღრიცხვამ
კნინადა შეუძლებელ არს⁴⁰.

ექვთიმე ათონელის ბიოგრაფის რწმუნებით ესოდენ დიდ წარმა-
ტებებს ექვთიმემ იმით მიიღწია. რომ — „თარგმანებაჲ წიგნთაჲ აქენ-
და ნამეტნავად ყოველთა სათნოებათა და გვირგვინად და განმანათ-
ლებლად ნათესავთა ჩვენისა“⁴⁰.

ექვთიმე ათონელმა „ბალავარიანი“ — თქმულება „ბალავარისა
და იოდასაფის“ ქართული ვერსია თარგმნა ბერძნულად.

ექვთიმეს ბალავარიანი შემდეგ ითარგმნა ლათინურად. საიდანაც
თარგმნეს სხვადასხვა ევროპულ ენებზე და ამ გზით თვალსაჩინო რო-
ლი შეასრულა მთელი მერმინდელი დასავლეთევროპული ლიტერატუ-
რის ისტორიაში⁴¹.

ექვთიმეს ხელით ქართველებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუტა-
ნათ ბიზანტიური კულტურისა და მწერლობის საღაროში⁴², მაგრამ
არა მარტო ექვთიმეს ხელით... შეგვიძლია დავასახელოთ აგრეთვე
პეტრე იბერიელი, ანტონ სელეგვიელი, თეოფანე ტარსელი, იოანე
პეტრიწი, პატრიარქი გერმანე და სხვა მრავალი⁴².

ბიზანტია დიდხანს უსწრებდა წინ ევროპის სააზროვნო და მხატვ-
რული კულტურის განვითარებას. იგი თავს თვლიდა ანტიკური ელა-
ვის მემკვიდრედ და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ევროპულ-
დასავლური რენესანსის მომზადებაში.

ფეოდალურ საქართველოს არცერთ ქვეყანასთან არ ჰქონდა ისეთი
ახლო კულტურული თანამშრომლობა, სამხედრო-პოლიტიკური კავ-
შირი (დავით კურაპალატის მხედრობით დახმარება) თუ სხვა მტერ-
მოყვრული ახლო ურთიერთობა, როგორც ბიზანტიასთან, მაშინდელი
ნსოფელიო ცივილიზაციისა და კულტურის ერთ-ერთ ცენტრთან.

საქართველო-ბიზანტიის ახლო ურთიერთობა მთელი თავისი ცხო-
ველმყოფელობით წარმოგვიდგება ორი ქვეყნის კულტურის, ლიტერა-
ტურისა და მეცნიერების ფასეულობათა შემოქმედებითად გაზიარება-
განდობლების ფენომენად. ეს უკანასკნელი ასევე თავს იჩენს ათონის
ივერიის ქართველთა მონასტრის დიდი მწიგნობრული, მთარგმნელო-
ნათი და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობით.

იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელებმა გამოავლინეს სიმდიდრე
ბიზანტიური ლიტერატურისა. მათ მიზნად დაისახეს ბერძნულიდან სა-
უკეთესო ნიმუშების გადმოთარგმნა, რომლებიც არ მოიპოვებოდა ქარ-

⁴⁰ ათონის ივერიის მონასტერი 1074 წ. ხელნაწერი აღაპობით. თბ., 1901, გვ. 20.

⁴¹ ბ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1.

⁴² კ. ქეკელიძე, ეტიუდები, III; აგრეთვე მ. კახაძე, ქართველები ბი-
ზანტიის კულტურულ ცხოვრებაში. 1954, გვ. 70.

თულ მწერლობაში. დაიწყო ბიზანტიური მწერლობის საფუძვლიანი ათვისება.

ათონელთა საქმიანობა მძლავრად განვითარდა მცირე აზიაში — იერუსალიმში, შავ მთაზე, საბერძნეთში, ბულგარეთში — კეტრიფონის მონასტერში, აგრეთვე საქართველოში, გელათისა და იყალთოს აკადემიებში.

გიორგი მთაწმიდელმა არსებითად გააგრძელა ექვთიმე ათონელის საქმიანობა — ბიზანტიური ლიტერატურის ქართულ ენაზე გადმოთარგმნა და ამავე დროს განავითარა მისი მთარგმნელობითი პრინციპები — ე. წ. კლება-შემატების მეთოდი. გიორგი მთაწმიდელმა შეცვალა მთარგმნელობითი სტილი. მან პირველ რიგში ყურადღება მიაქცია ბიბლიური წიგნების ზუსტი რედაქციების ჩამოყალიბებას. გიორგი თითქოს იცავდა თავისუფალი თარგმნის პრინციპს და „დვითნის“ საკუთარი თარგმანის ანდერძში მიუთითებდა: „ჩვენ, რომელი ჭერ იყო, ჩაგვირთავს, რომელი ჭერ იყო დაგვიკლია, ვითა ჩვენსა ენასა მოუხდებოდა და წესისა საქმისა ეძიებოდა“⁴³. მაგრამ იგი ფაქტიურად გაემიჯნა ექვთიმე ათონელის მთარგმნელობით პრაქტიკას და ხელმეორედ თარგმნა როგორც ბიბლიური წიგნები, ისე ექვთიმეს მიერ უკვე თარგმნილი არაერთი სხვა სასულიერო წიგნებიც. ეს ფაქტი გიორგი მცირემ ასე შეაფასა: „ესე ყოველთა უწყით, ვითარმედ ეგევითარი თარგმანი თვინიერ წმინდისა მამისა ჩვენისა ექვთიმესსა სხვით არა გამოჩენილა ენასა ჩვენსა და ვგონებ თუ არცა გამოჩინებულ არს“⁴⁴.



V—IX საუკუნეთა ქართული ხელნაწერების უდიდესი ნაწილი სასულიერო ლიტერატურის ძეგლებს შეიცავს, ხოლო X—XII საუკუნეებიდან სასულიეროსთან ერთად მრავლდება საერო მწერლობის ხელნაწერები. ფილოსოფიური და ისტორიული ტრაქტატები, ხელთუქმნელი ლიტერატურული შედევრები, რომელთა გვირგვინად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ გვევლინება. საამისო ნიადაგი შეამზადა ძველმა ქართულმა ენამ, რომელიც დიდი აღმავლობით ვითარდებოდა.

⁴³ გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი, ივ. ანკიბეილის გამოც., თბ., 1946, გვ. 15.

⁴⁴ ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, 1936; ა. ხინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1969; მისივე „ვითარცა ძველი აღმართული“ (გიორგი მთაწმიდელის დაბადების საიუბილეო თარიღის გამო), ლიტერატურული საქართველო, 4 ივნისი, 1980.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერით ახალი პერიოდი იწყება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში. „ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჩაისახა მეთორმეტე საუკუნეში. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე აღარაა ძველი ქართული. სახელთა ბრუნვაში, ზმნის უღვლილებაში ახალი ქართულის დამახასიათებელი მოვლენები ვლინდება. სიტყვათა წყობაც არსებითად ახალი ქართულისაა“⁴⁵.

რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ მთლიანად ასახა ის არსებითი მოვლენები, რომლებიც ცოცხალ ხალხურ მეტყველებაში არსებობდა და უკვე დამკვიდრებულიც იყო. ბუნებრივია, „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის მიჩნეული ყველა ფაქტი რამდენადმე უფრო ძველ ძეგლებშივე იჩენენ თავს. მაგრამ რაც ძველსა და ახალს შორის დაპირისპირება ვლინდებოდა და არსებობდა, ანუ რაც ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებიდან გადახვევად ითვლებოდა, „ვეფხისტყაოსანში“ უკვე ნორმად იქცა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ საერო მწერლობის პირველი უდიდესი ძეგლია. საერო მწერლობის ენობრივი ნორმები მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებად იყო ჩამოყალიბებული და დადგენილი. რუსთაველმა შექმნა საერო მწერლობა და მისი შესაბამისი ენობრივი ნორმები.

ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯე „ვეფხისტყაოსანი“ დღევანდლამდე არაერთმა ხელნაწერმა შემოგვინახა. ამ ხელნაწერებს თავიანთი საგულისხმოდ თავგადასავალიც მოეპოვებათ. შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ პირველად დაიბეჭდა 1712 წელს თბილისში ეახტანგ VI-ს მიერ დაარსებულ სტამბაში მხედრული შრიფტით.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ მხარს უმშვენივლეს დიდი ეროვნული საგანძური — ქართული საერო მწერლობის პირველხარისხიანი ისტორიულ ძეგლთა ერთიანი კომპლექსი — „ქართლის ცხოვრება“. მასში მოთხრობილია ქართველი ერის ისტორია უძველესი დროიდან სამეფო ხელისუფლების გაუქმებამდე⁴⁶. „ქართლის ცხოვრება“ არის წიგნი წმინდა და პატიოსანი.

„ვეფხისტყაოსანი“ ისტორიულად სამშობლოს დაცვისა და აღორძინების სახელმძღვანელო წიგნ-იარაღად დამკვიდრდა ქართველი კა-

⁴⁵ არ. ჩიქობავა, ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ მორფოლოგიასა და სინტაქსურ სტრუქტურაში, — იკე, XV. თბ., 1966. გვ. 18: მისივე. ქართული ენის ზოგადი დახასიათება. — ა. ჩიქობავას რედაქციით — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. 1, თბ., 1950. ზ. სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1975.

⁴⁶ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, დაადგინა და სამ დიდ ტომად გამოსცა სიმ. ყაუხჩიშვილმა. ტ. 1 — 1955 წ., ტ. II, — 1959 წ.; ტ. IV—1973 წ.

ცის ცნობიერებაში; ღრმად იდეური და მხატვრული ოსტატობის მაღალ დონეზე ასული წიგნი გახალხურდა, მისი კეთილშობილური იდეები წერა-კითხვის უცოდინარ ფენებსაც დაეუფლა. ამით რუსთველმა ფეოდალურ საქართველოში მწიგნობრობისა და წიგნისადმი ნდობა და სიყვარული აიყვანა უმაგალითოდ დიდ დონეზე და მთლიანად პროგრესის. სამშობლოს დაცვის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის უკეთილშობილეს მისწრაფებებს დაუქვემდებარა. მოქმედების სახელმძღვანელოდ მიჩნეული რუსთველის ამ ღია იდეებით ხალხი აბრბოდა და იცავდა თავის ქვეყანას მტრული გარემოცვის უძნელეს პირობებში.

იაკობ ხუცესისა და რუსთველის ქართული ენა დღესაც, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივ (და ზოგს კარგადაც) ესმის წერა-კითხვის მცოდნე გლეხს, მუშას და. მით უმეტეს, ინტელიგენტს. მ. ჯავახიშვილმა ამ ფაქტის დასადაგენად 1928 წ. მცირე ექსპერიმენტი ჩატარა და შემდეგ დასკვნამდე მივიდა — „ქართული ენა მინიმუმ 1500 წლის წინათ დადულდა, ჩამოყალიბდა. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ ჩვენ ადვილად გვესმის მეხუთე საუკუნის — იაკობ ხუცესის ქართული, ხოლო ინგლისელები. გერმანელები და სხვა თავიანთ დედა-ენას. XII—XV სს. ენას, უცხო ენასავეთ სწავლობენ“... ამითაა გაპირობებული, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დღეს ისევე მკვიდრად დგას თანადროულობის სამსახურში. ქართველი ხალხის სულიერი კულტურის ძლიერების სამსახურში, როგორც იგი XIII საუკუნიდან მონგოლ-თათართა, ირანელ და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ საქართველოს სახალხო განმათავისუფლებელი დიდი სამამულო ომების წლებში იღა.



საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ქართული ანბანი უსრულესი და უმარტივესი ანბანია. თუ ევროპულ (და არა მარტო ევროპულ) ენათა ორთოგრაფია დიდ დაბრკოლებას ქმნის, ქართულისათვის ეს დაბრკოლება-ბარიერები არ არსებობს. ქართული ანბანი გადმოსცემს ყოველ ცალკე ბგერას ზედმიწევნით ნათლად და სიზუსტით. ამას ხაზგასმით აღნიშნავენ რუსი და ევროპის ქვეყნების გამოჩენილი მეცნიერი ქართველოლოგები.

ილია ჭავჭავაძე ნიპილისტების წინააღმდეგ მიმართულ თავის პოლემიკურ წერილებში საგანგებოდ ჩერდება ქართული ანბანის ამ განუმეორებელ ღირსებებზე და ღრმა მეცნიერული საფუძვლიანობით

დამაჩერებლად ამხელს მათ მცდარ ანტიმეცნიერულ, ნიჰილისტურ პოზიციებს (იხ. ა. იოსელიანი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები. თბ., 1951).

ილია ჭავჭავაძეს ქართული ენისა და ანბანის შესახებ უაღრესად საყურადღებო შეხედულება მოეპოვება.

ილიას აზრით „ანბანი საზოგადოდ მარტო იმ ხმების კრებულთა, რომელთაც ენა საჭიროებს თავისი სიტყვების გამოსათქმელად და რომელნიც აღინიშნებიან. გამოიხატებიან ასოებით. ანბანი წარმოადგენელია მარტო იმ ხმებისა, რომელნიც არსებობენ“⁴⁷. და „თუ ენის წარმატებას რაიმე დამოკიდებულება აქვს ანბანის მეტ-ნაკლებობაზე. — წერს ილია. — რა თქმა უნდა, სავსეობა და სისრულე ანბანისა უეჭველი ნიშანი უნდა იყოს ენის წარმატებისა და განვითარებისა“. ილია ჭავჭავაძე აქვე იმოწმებს ცნობილ რუს მეცნიერს პეტრე უსლარს, რომელიც ასაბუთებს, რომ „არ არის არც ერთი იმისთანა“ ასო. რომ რა ხმის ნიშანიც არის. ის არ გამოითქმებოდეს. არ არის ქართულში არც ერთი იმისთანა სიტყვა, რომ ზედმიწევნით. უმეტ-ნაკლებით გამოსათქმელად შესაფერი ასო არ ჰქონდესო. ამიტომაც მართლწერა ქართულისა ისე გაადვილებულია. ისე განმარტივებული, რომ სხვა ეგეთი ანბან-სრული ენა ქვეყანაზე არ მეგულებათო. ქართული ანბანი ყველაზე სრულყოფილია არსებულ აღფაბეტებს შორის. ყოველი ბგერა აღინიშნება განსაკუთრებული ნიშნით, ხოლო ყოველი ნიშანი გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ორთოგრაფია. ქართველისათვის, მისი აღფაბეტის სრულყოფილებს მეოხებით. ეს დაბრკოლება არ არსებობს“⁴⁸.

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოს-ქართველოლოგი ალენი წერს: „ქართული ანბანი საეხებით სრულყოფილი ინსტრუმენტია ქართული ენის მრავალფეროვან ბგერათა მთელი სიმდიდრის გადმოსაცემად. ასოები გადმოსცემენ ყოველ ცალკე ბგერას ზუსტად და ნათლად, და ვერცერთი სხვა ანბანი, მათ შორის ვერც სომხური, ვერ შეედრება მას ამ მხრივ“, თანამედროვე ქართველოლოგი, გერმანელი ვინფრიდ ბოედერი, ქართველურ ენათა ისტორიას როცა ადარებს დასავლეთ-ევროპული ენების ისტორიას, დიდ სხვაობას ხედავს ამ ენათა განვითარებაში. ბოედერი, მაგ. წერს: „ინგლისურმა ენამ უქანასკნელი 1200 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა, ხოლო დროის ამ მონაკვეთში ქართული ენის ფორმებმა შედარებით ნაკლებად იცვა-

⁴⁷ იხ. ი. ჭავჭავაძე, თბ., ტ. 11, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1941, გვ. 356.

⁴⁸ იქვე.

ლა სახე, რაც იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ენათა განვითარების ისტორიაში. ეს მოვლენა ახსნას მოითხოვს“⁴⁹.

ილია ჭავჭავაძეს თავის მოსაზრების საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითიც მოჰყავს: „ინგლისური ანბანი დღესაც სხვა ანბანზედ უფრო ნაკლებია, უფრო უკან ჩამორჩომილი. ინგლისელი ერთსა სწერენ და სულ სხვას ამოიკითხავენ ხოლმე. იქ სიტყვა წერით ერთია. წაიკითხვით სხვა და ხშირად ისეც არის, რომ სამი სხვადასხვანაირად დაწერილი და სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვა ერთნაირად გამოითქმის. ასე რომ. მნიშვნელობას მაშინ გაიგებთ, როცა დაწერილსა ნახავთ. მაგალითებრ, Write — წერა, Right — უფლება (право): Rite — წესი (обряд). ამ სამსავე სიტყვას ერთნაირად კითხულობენ ინგლისელი და გამოითქმის, როგორც „რაიტ“, სხვადასხვანაირად კი იწერება და სხვადასხვა მნიშვნელობისაა. ტელიორი ამ ამბავს დიდ ნაკლად უთვლის ინგლისურს ანბანს“⁵⁰.

მაგრამ ილიამ კარგად იცის, რომ მხოლოდ „ანბანთსრულობა“ არ არის საკმარისი ენის სრულყოფისა და განვითარებისათვის. ამდენად ილია სცნობს ჩამორჩენილი, ნაკლებდამუშავებული ენების განვითარებას. იგი წერს: „ვგონებთ. თვალსაჩინოდ და სწრაფად უნდა იცვლებოდეს მარტო ჭერ არ-დადუღებული, არ-დასრულებული არ-დამთავრებული ენა, როგორც ყველაფერი, რაც კი ორგანებურ ზრდას ექვემდებარება. ბავშვი უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე დავაყვავებული ადამიანი: ხოლო იგი ენები, რომელთაც უკვე მიუღწევიათ უკმაყოფილოდ, რომ თავისი ლიტერატურა აქვთ, თავისი მწიგნობრობა. უფრო ძლიერ უნდა ეურჩებოდნენ ცვლილებას“⁵¹. ენათმეცნიერების ცალკეულ საკითხებზე ამგვარ ზოგადი კონცეფციის მოცემის შემდეგ ილია ჩერდება ქართული ენის ავკარგანობაზე და დასძენს. რომ: „ჩვენს ენას ბევრი ისეთი განსაკუთრებული თვისება აქვს, რომელსაც ბევრი სხვა. უფრო წარმატებულად მიჩნეული ენები შეჰნაჭრებენ.— ამას ეკვი არ უნდა“⁵².

ილიას არ აკმაყოფილებს მოწინააღმდეგის ის შეხედულება. რომ „მარტო ერთს ისტორიას ენისას შეეძლო აღედგინა ჩვენთა თვალთა წინ სრული სურათი ისტორიის წინაღობინდელი ქართველებისაო“, ილია აქვე შენიშნავს, „დალოცვილს ის კი დაიწყებია, რომ თვითონ ენა იგი სარკე, გადმომცემელი ცოტად თუ ბევრად მაგნიარ სუ-

⁴⁹ იხ. გაზ. ლიტერატურული საქართველო, ვ. ბოდერი, ქართველი ბერები ათონის მთაზე და ქართული სალიტერატურო ენის ისტორია, 1987, 27 თებერვლის № 9. გვ. 5—6.

⁵⁰ ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 354.

⁵¹ იქვე, გვ. 358.

⁵² იქვე, გვ. 358.

ოათისა, ჩვენს ავტორს რომ მაგ სარკეში ჩახედვის და ნახვის უნარი რამ ჰქონოდა და ერთი ბეწვა გაგება, სხვა გზით დააკვირდებოდა ჩვენს ენას და სულ სხვა ამბავს გამოჰკითხავდა...⁵³.

ილიას ქართული ენის ბუნებასა და კანონებზე ღრმააზროვანი დაკვირვების შედეგად მოჰყავს მეტად ორიგინალური ტიპობრივი მაგალითები მის მიერვე განვითარებული დებულების დასასაბუთებლად. ილიას ენა და აზროვნება განუყრელ მთლიანობად აქვს წარმოდგენილი. იგი წერს: „განა ამისთანა სიტყვები, რომელიც ჩვენს ენას დღევანდლამდე შერჩენია, არაფრის მთხრობელნი არიან? მაგალითებრ... სიტყვა „მიცვალება“, რომელიც მოკვდომასა და მკვდარს ნიშნავს, მაგრამ არა სრულიად გაარაჩებას, არამედ „გარდაცვლას“, სხვა სახედ გადასვლას. ნუთუ ამაში გონების ხელმოსაქიდებელი არა არის რა, რომ კაცმა უტყუარი აზრი შეადგინოს მასზედ. თუ როგორ სწამებია ქართველს ის დიდი მოქმედება ბუნებისა, რომელსაც სიკვდილი ჰქვიან“⁵⁴.

მართლაცდა, რამდენად ღრმა და ორიგინალურია ილია ჭავჭავაძის ეს და ამის მსგავსი დაკვირვებანი ქართველი ხალხის შორეული ისტორიული წარსულის აღდგენისათვის! ილია, ენათმეცნიერებაში მაშინ განმტკიცებული უახლესი, ყველაზე უფრო მოწინავე მეთოდებისა და კვლევა-ძიების ხერხების გამოყენებით, მაგალითის ჩვენებით ქართული ენის სინამდვილიდან, წვერთნის ახალთაობას ენათმეცნიერულ აზროვნებისადმი ინტერესის გასაღრმავებლად.

ილიასთვის ამოსავალი იყო დებულება: „ხ ა ლ ხ ი ა ე ნ ი ს კ ა ნ ო ნ ი ს დ ა მ დ ე ბ ი დ ა რ ა ა ნ ბ ა ნ თ თ ე ო რ ე ტ ი კ ა“⁵⁵. ხოლო „ხალხის ენა ბუნებრივია. ქართველი გლეხკაცის ენა“, — სართლიანად შენიშნავს აკად. არნ. ჩიქობავა⁵⁶.

ილია ჭავჭავაძის 1-ლ საიუბილეო თარიღს ასევე სპეციალური სტატია მიუძღვნა აკად. აკ. შანიძემ მათაურით „ახალი სალიტერატურო ქართულის ფუძემდებელი“⁵⁷.

დიდი ილია ქართული დამწერლობისა და ენის განვითარების დიდ რეფორმატორად გვევლინება XIX ს-ის მეორე ნახევარში.

53 იქვე, გვ. 362.

54 ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. II, გვ. 362;

55 იქვე, გვ.

56 ა. ჩიქობავა, ილია ჭავჭავაძე უნის შესახებ. გვ. 12. თბ., 1938.

57 იხ. საიუბილეო კრებული, ილია ჭავჭავაძე ახალი სალიტერატურო ქართულის დამკვლავისათვის მებრძოლი. თბ., 1939.


ქართული მწერლობის აღმავლობისა და განვითარების განუწყრელად თანმშლები პროცესი იყო საერო და სასულიერო თარგმნილ თუ ორიგინალურ თხზულებათა გამრავლება. ეტრატის, მელნისა და კალმის დამზადებასთან ერთად საჭირო იყო არაერთი მაღალკვალიფიციური ოსტატი: ტექსტის კალიგრაფიულად გადამწერები, სიუჟეტის მიხედვით წიგნის მომხატველები, ყდაში ჩაშსმელები და შემოსავ-მომკაზმველები.

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ძველთაგანვე მოქმედებდნენ საგანმანათლებლო კერები, სადაც არა მხოლოდ იწერებოდა და ითარგმნებოდა, არამედ ოსტატურად იხატებოდა. იკინებოდა და იმოსებოდა ქართული ხელნაწერი წიგნები: როგორც სასულიერო (დავითნი, სვინაქსარი, ოთხთავი, ზატიკი...), ისე საერო (ასტრონომიული ტრაქტატი, „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „იოსებ ზილიხანიანი“, „როსტომიანი“ და სხვ.), ასეთი წიგნები საკმაოდაა ჩვენამდე მოღწეული და დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებსა და მუზეუმებში.

ქართული ხელნაწერი წიგნის გაფორმების ხელოვნებამ V—XVIII საუკუნეთა მანძილზე განვითარების რამდენიმე საფეხურს განვლო: იგი გარკვეულ ფორმებად და სახეებად ჩამოყალიბდა მრავალსაღჯუნოვანი საეკლესიო და საერო მწიგნობრული კულტურის ევოლუციის რთულ პროცესში, აღრეული ხანის ხელნაწერთათვის დამახასიათებელია სისადავე და სიმკაცრე (ხანმეტრ ლექციონარი — VII ს. სინას მრავალთავი — 897 წ, ჭრუჭის ოთხთავი — 940 წ. და სხვ.).

ქართული ხელოვნებისათვის დამახასიათებელმა ყველა ძირითადმა ტენდენციამ, რომელიც X საუკუნეში ჯერ კიდევ ძიების საფეხურზე იყო. XI ს-ში ჩამოყალიბებული სახე მიიღო, შემდგომ საუკუნეებში კი ტრადიციულად იქცა. XII ს. უკვე ბევრად ანვითარებს ამ მონაბოვარს, XII ს. შეიქმნა ისეთი ხელნაწერები, რომლებიც უნიკალურია თავისი მხატვრული ღირსებებით. შეუდარებელი საფარწერო ტექნიკით (გელათის A-908, ჭრუჭის I და II H-1667 სახარებები. ასტრონომიული ტრაქტატი A-65, ზატიკი A-734). როგორც სასულიერო, ასევე საერო ძეგლთა ხელნაწერები ხშირად ილუსტრაციებითაა შემკული და გამდიდრებული⁵⁸.

⁵⁸ ე. მ. კ. ა. რ. ი. ა. ნ. ი., ქართული ხელნაწერები, ვ. ბერიძის რედაქციით, ხელოვნება, თბ., 1970, გვ. 10—11.



სურ. 13. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებულიდან (ხელნაწ. A 1)
XI ს. „ბასილ ეკბად მხბრეელის“ მიერ გადაწერილი ხელნაწერის ერთი გვერდი



სურ. 14. ანჩისხატის ჩარჩოს მოხატულობა. XII ს. შესრულებულია ბეკა ოპი-
ზარის მიერ.

თამარ მეფეს საკუთარი ხელნაწერი წიგნებიდან რამდენიმე, საგანგებო ბიზანტიურ სტილზე გაფორმებისათვის, ბერძენ ცნობილ წიგნთ-გამფორმებელ მხატვართათვის დაუკვეთია. მათ შორის ზოგიერთმა ჩვენამდე მოაღწია, ასეთია: A-1, A-648, S-143.

საქართველოს ფარგლებსა და მის საზღვარგარეთულ მწიგნობრულ კერებში დამზადებულ წიგნთა მხატვრული გაფორმება თავისი ოსტატობით ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდა ბიზანტიის. დედაქალაქში შესრულებულ ხელნაწერებს; მაგალითად, ათონის ივერიის მონასტერში ხელნაწერ წიგნთა გარეგნულად მხატვრული გაფორმების ეროვნული ქართული ტრადიციები მდიდრდებოდა და ვითარდებოდა როგორც დასავლურბიზანტიური, ისე აღმოსავლურ-იერუსალიმური ტრადიციების შემოქმედებითად ათვისებისა და გამოყენების საფუძველზე.

ასე ვითარდებოდა, ყოველგვარი მიმბაძველობის გარეშე, წიგნის მოხატვა-გაფორმების თვითმყოფი ქართული კულტურა მეზობელ ხალხებთან თანამეგობრობის გაღრმავების საფუძველზე. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი — ოთხთავი ლარგვისისა A-26, ბიჭვინთისა H-2120, დავითნი თეთროსანისა H-75.

ყოველივე აქ აღნიშნულიდან ირკვევა, რომ საერო და საეკლესიო ხელნაწერ წიგნთა მდიდრულად და მხატვრულად შემკობა წიგნთმფლობელ კერძო პირთა ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა; ხშირად ხელნაწერი წიგნის ანდერძი შემკულობისათვის დამკვეთის მზრუნველობაზე მიუთითებს. მაგალითად, გიორგი XI-მ „წარაგო მრავალი წარსაგებელი და ენება, რათამც ფრიად კეთილშობილურ ყოფილიყო. თვინიერ ნაწერისაგან კიდე“. — ვკითხულობთ ოქროსარშიებიანი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერ H-54-ს ანდერძში. ანალოგიური მზრუნველობითა მოკაზმული აღიშის უნიკალური ოთხთავი, რომელიც შატბერდის წინამძღვრის სოფრონის დაკვეთით შესრულდა, იენაშის ოთხთავი, ანჩისხატის ყამნ-გულანი (A-30, 31, 32) — კათალიკოზ ნიკოლოზ ამილახვარის დაკვეთით. მოქვის ოთხთავი — დანიელ მოქველ ეპისკოპოსის დაკვეთით (Q-902); ვანის ცნობილი ოთხთავი (A-1335) — თამარ მეფისათვის გადაწერილი, ხოლო ლაფსყადის მაღალმხატვრული გემოვნებით მოკაზმული ოთხთავი — დავით ნარინისათვის და სხვ.

ზოგი ხელნაწერი წიგნი უკეთ შენახვისა და მიმზიდველობისათვის ჩამოხლდა ვერცხლის ქედურად მოხატულ ყდაში. მაგ., წყაროსთავისა და ბერთის ოთხთავების მოქედილობათა ჯვარცმის კომპოზიცია და ტახტზე მჯდომარე ქრისტეს გამოსახულება ოპიზის ოქრომქედლობის სკოლის ცნობილი წარმომადგენლების — ბექა და ბეშქენ ოპიზართა შემოქმედებებს ნიშნუშვებია. ალავერდის ოთხთავის ყდაზე დამაგრებუ-

ლია XI ს. ტიხრული მინანქრის პატარა ხატი, წმ. გიორგის გამოსახულებით, ქართული ოთხთავის კედურ ყდაზე ჭვარცმის გამოსახულება ტიხრული მინანქრისა (დაცულია ეჩმიაძინში) და სხვ.



სურ. 15. წყაროსთავის სახარების ყდა, XII ს. შესრულებულია ბეკა ოპიზარის მიერ.


იმის ნათელსაყოფად თუ როდენ მალაღ ღონეზე იდგა XII—XIII ს-ის საქართველოში ხატისა და მისი ჩარჩოს, წიგნის ყდის ოქროვრცხლით მოქედვის უზადო ხელოვნება, ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ბეჭა და ბეშქენ ოპიზარების ჩვენამდე მოღწეული განუყოფელი ქმნილებანი. მაგ., ასეთია ბეჭასეული ანჩისხატის ჩარჩოს მოქედლობა და წყაროსთავის სახარების ყდა. ამ სახარების (1195 წ.) მინაწერი გვამცნობს: „ამას ოთხთავსა ზედა არს ორასი დრამისა ვერცხლი და ოცისა დრამისა ოქროი. თვლები და მარგალიტი და ოქრომჭედლისა ხელფასი კგ და ვინც ცუარი, ანუ ლილოკილოი დააკლოს და შეუცვალოს რაი ამას ნაქედსა, კრულმცა არს მკვდარი და ცოცხალი გაუხსნელად“. ანჩისხატის ჩარჩოს მინაწერით ვგებულობთ, რომ იგი დამზადდა „ქ. ბრძანებითა და ნიეთისა ბოძებითა ღმრთივ გვირგვინოსანის დიდისა დედოფალთ დედოფალისა თამარისათა. მე ოიანე ანჩელმან რკინაელმან ხელვყავ საშინელისა ამისა ხატისა პატრივით მოქედად. მფარველმცა არს მეფობისა მათისა აქა და საუკუნესა. მოიჴედა ხელითა ბეჭასითა, ქრისტე შეიწყალე“ (ანჩისხატე საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. წყაროსთავის სახარება კი ხელნაწერთა ინსტიტუტში Q-907).

ჩვენამდე მოღწეულ ვერცხლის ყდაში ჩასმულ წყაროსთავის ოთხთავზე ამოტიფრულია: „ქრისტე შეიწყალე ოქროსმჭედელი ბეჭაი ოპიზარი“. ამ ოთხთავის ყდის სკულპტურული სცენები თავისი აღნაგობით უახლოვდება ბეშქენ ოპიზარის მიერ მოქედილი ბერთის სახარების ყდის სცენებს.

ბერთის სახარების ვერცხლის ყდის მოქედლობას (ხელნაწ. ინსტ. Q-906) ამკობს წარწერა: „მოიჴედა ხელითა ბეშქენ ოპიზარისათა“; ყდებს ამკობს ორი რელიეფური კომპოზიცია: ერთ მხარეს ვედრებებს გამოსახულება. მეორე მხარეს — ჯვარცმა. თარიღდება XII—XIII სს-ის მიჯნით. წიგნის მრავალრიცხოვან მინაწერთაგან არის ასეთიც: „დეკანოზო გევედრები, რომელ ესე სახარება დიაკონთა სათრეველად არა შექქმნა და უეკლესიოდ ღამესა არსადა გააჩერებდე და უკუეთუ ვინმე სენაქსა შინა დაიდვას, ესემცა წმინდანი მახარებელნი მრისხანენი არიან მისნი“... სახარება ეკუთვნოდა კლარჯეთის ბერთის მონასტერს.

ბერთის სახარების ვერცხლის ყდის ბრწყინვალე ორმხრივი რელიეფური გამოსახულებანი და გამოჩენილი დიდი ხელოვანის, ოქრომქანდაკებელ ბეჭა ოპიზარის ქმნილებანი (ორნამენტის ვირტუოზული შესრულება. სკულპტურულ-დეკორაციული ხელოვნება) ოპიზელ დიდოსტატთა ოქრომჭედლური სკოლის შედეგებია. „ბეშქენმა შექმნა საკუთარი სკოლა ქართული მხატვრული შემოქმედების რელიეფური

პლასტიკის დარგში“. მის მიერ შექმნილი ხელოვნების ძეგლები, შეიძლება ითქვას, დაახლოებით ვეფხისტყაოსნის თანადროულია. ოპიზაში შექმნილი წიგნთა ყდების ოქრომკვედლური ნიმუშები კეშმარიტად მხოლოდ რუსთაველის პოეზიის საკადრისი იყო; ამიტომ ისინი ერთმეორეს მშვენივრად რჩებიან ჩართული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში⁵⁹.



სურ. 16. ბერთის სახარების ყდა. XII ს. შესრულებული ბეშენ ოპიზარის მიერ.

წიგნის მხატვრულად შემკობა-გაფორმება ორგანულად იყო დაკავშირებული წიგნის მაღალი კალიგრაფიული კულტურის დამკვიდრებულ დონესთან. თუ რაოდენ მკიდროდაა დაკავშირებული ეს ორი კომპონენტი ურთიერთთან, ამის შესახებ ჩვენ ფრიად საყურადღებო

⁵⁹ შ. ამირანაშვილი, ბეკა ოპიზარი. თბ., 1937; ე. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები. თბ., 1967. გვ. 43—50.

წიგნის ბეჭდვისა და მხატვრულად მოკაზმვის ტრადიცია საქართველოში არასოდეს არ ჩამკვდარა. მაგ., XIX ს. 40-იან წლებში მთლიანად ვერცხლით მოუქედიათ. ოქროთი მოუკაზმათ და შეუმკიათ მხატვრული სახეებით წარწერით: „შევამკე სახარება ესე ლენერალ მაიორის ჭამბაყერ ორბელიანის თამაზის მეუღლემან, ჭობულის ასულმან კნინა ქეთევან ჩყმა“ (1851). იხ. მ. ჭავჭავაძის წერილი, „ივერია“, 1900. № 50.

ცნობა მოგვეპოვება. მაგ., ცნობილ პოეტსა და კალიგრაფს იოსებ ტფილელს მის მიერ ზაზა ციციშვილისთვის გადაწერილ „ვეფხისტყაოსანზე“ 1660-ან წლებში მიუწერია:

„სურდა იმ წიგნის პატრონსა, მეც ხელუჭყავ ასე წერითა,
ხელი დამძრო კალამმან, თვალნი გაშტერდეს მწერითა,
ხელსა მკითხველი შეატყობს, სიმართლით სხვა სჯობს ვერითა
და აწ გაგიჩნდების, მხატვარო, შემკობა შესაფერითა“⁶⁰.

გვიანფეოდალური ხანის ირან-საქართველოს ურთიერთობის გა-
ღრმავებამ, ცნობილია, თავისი გავლენა იქონია ქართულ ლიტერატუ-
რასა და ხელოვნებაზე, — ამასთანავე ქართულ ხელნაწერ წიგნთა
გარეგნულ და, განსაკუთრებით, შინაარსობრივ მხატვრულ-სიუჟეტურ
(ირანულ-მინიატურული სტილით) გაფორმებაზე. ასეთია, მაგ., „ვე-
ფხისტყაოსნის“ ხელნაწერი H—599, „ვისრამიანის“ S-3702 და სხვ.⁶¹.

წიგნის გადაწერის კულტურას — გადამწერის თუ დამწერის
კალიგრაფიულ ხელს, ჩანს, ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა.
აღნიშნულის ნათელსაყოფად ჩვენ აქ ერთ მაგალითს მოვიტანთ. კარ-
გადაა ცნობილი, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში რუსეთ-საქართვე-
ლოს შორის ახლო ურთიერთობა დამყარდა — გახშირდა მიწერ-მო-
წერა მათ შორის. ქართლ-კახეთის სამეფო კარზე, ირკვევა, საგანგებო
ყურადღებით ეკიდებოდნენ რუსეთის საიმპერატორო კარზე წარსა-
გზავნი წერილებისა და მიმართვების ასევე საკადრისი კალიგრაფიული
ხელით დაწერას.

იესე ოსეს-ძე ბარათაშვილი გადმოგვცემს, რომ იგი 1760 წ.
მეფე ერეკლემ ქ. ღუშეთში დაიბარა, საიდანაც მეფე თეიმურაზ II
რუსეთს მიემგზავრებოდა. მას თან მიჰქონდა იმპერატორსა და რუსე-
თის მმართველ სხვა პირებთან ქართლ-კახეთის სამეფოს ოფიციალური
მიმართვა და წერილები, რომელნიც კალიგრაფიულადაც სანიმუშონი
უნდა ყოფილიყვნენ. ამ მიზნით ერეკლეს ღუშეთში რამდენიმე მდივან-
მწიგნობარი დაუბარებია. მათ შორის იესეც. იგი წერს „...ვიქირავე
ერთი ცხენი, ავიღე ერთი საწერელი... და წაველ... ჯერ მამაო ჩვენო
დამაწერინეს... მოიწონეს. მერე ხელმწიფის წიგნი, მერმე დიდებულთა
და დიდად მოიწონეს ბატონებმა. მაშინ ერეკლე II უბრძანებია: კაცს

⁶⁰ იხ. ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული Q ფონ-
დის № 1082, ზაზა ციციშვილისეული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი იოსებ თბილელის
მიერ გადაწერილი.

⁶¹ ჩვეულებრივ წიგნების გადაწერის შემდეგ იწყებოდა მხატვარ-ილუსტრა-
ტორის მუშაობა. ძველი ქართულ ხელნაწერ წიგნთა მხატვრული გაფორმების სა-
კითხავ სპეციალურად შეისწავლა რ. შერლონგმა (იხ. მისი „Художественное офор-
мление грузинской книги IX—XI вв.“ თბ., 1957)

აჩაფერი არა არგებს რა თავის გაჭირვებაში ცოდნის მეტიო“. ერეკ-
ლემ კარგად იცოდა თუ რა გასაჭირში იმყოფებოდა იმ დროს იესე⁶².
ფაქტი ისაა, რომ იესესთანა მდივან-მწიგნობარი მეფეებს არ ჰყოლიათ.

4. წიგნთსაცავები. პირადი, საოჯახო, სათანაო და საერო-საჯარო
ბიბლიოთეკები. საყოველთაო ზრუნვა დატავივებულ წიგნთა
გამოსწისათვის

ბიბლიოთეკა როგორც პიროვნების, ასევე ერისა და ქვეყნის დი-
დი და განსაკუთრებული მნიშვნელობის სიმბოლოა. ა. ლაიბნიცის გან-
მარტებთ ბიბლიოთეკა „ადამიანის სულის საგანძურია“, ა. გერ-
ცენი მას „იდეების გაშლილ მავიდად“ მიიჩნევდა, „რომელთანაც
ყველა მიწვეული და ყველა ჰპოებს იმ საკვებს, რომელსაც ის ეძებს!“
საბა ორბელიანის განმარტებით, „წიგნის საცავი, სახლია სა-
წიგნე“. მოგვიანებით ამ ქართული ცნების გამოხატველად ასევე
მკვიდრდება „ბიბლიოთეკი“ (აქედან ბიბლიოთეკა).

„ბიბლიოთეკი“ აღნიშნულია XVIII ს. მიწურულს და XIX ს. და-
მდეგს იოანე ბაგრატიონის „სჯულდებაში“. აღნიშნული საკანონმდებ-
ლო „სჯულდების“ ავტორი (ნაცვლად წიგნთსაცავისა) წერს: „იყოს
ბიბლიოთეკის სახლი ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი, რაც შეი-
ძლებოდეს იქ იცვებოდეს; აგრეთვე სახეები და მაგალითები მხატვ-
რობისა, შენებულებათა და სხვათა ხელოვნებათა და ვისაც ენებოს,
მივილოდნენ და თავისის ხარჯით იქ გარდაიწერდნენ და გარდაიღებდ-
ნენ სახეთა, რომ გარეთ გაატანონ წიგნი არ დაიკარგოს“ (იხ. „სჯულ-
დება“ თბ., 1957, გვ. 57), ანუ მოქმედებდა საერო-საჯარო წიგნსა-
ცავები.

აქედან ნათლად ირკვევა, რომ „ბიბლიოთეკი“ სახლი საფუძველ-
შივე განსხვავდება ჩვეულებრივი „საწიგნე სახლის“, ან წიგნთსაცავისა-
გან. თვით ცნებაც „ბიბლიოთეკის სახლი“ უაღრესად ტევადია და
ფართო შინაარსის მომცველიც...

ძველ საქართველოში აღრიდნავე აღმოცენდა და გაძლიერდა
წიგნთსაცავები. მაგალითად, საოჯახო წიგნთსაცავი V ს-ში შუშანიკს
უკვე ჰქონია (იხ. იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, ტბე-
თის საყდარში XII ს. „იხსნეს ძველნი წიგნნი მრავალნი“)⁶³. რიგითი
საყდრების გარდა, ბუნებრივია, ბევრად მეტი წიგნი უნდა ყოფილიყო

62 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ა. იოსელიანის პუბლიკაცია, 1950,
გვ. 29—30.

63 Материалы по археологии Кавказа, т. XIII, гв. 156. მ ქანთარია, დავით
გარეჯის ლიტერატურული სკოლა, „მეცნიერება“, თბ. 1765.

როგორც მცხეთის საპატრიარქო წიგნთსაცავში, ასევე დავით გარეჯის, შიო მღვიმეს, გელათის, ოპიზის, ოშკის, ანჩისხატისა და სხვა⁶⁴.

საპატრიარქო და სამეფო წიგნთსაცავებში იშვიათი წიგნები აღირიცხებოდა. საპატრიარქო წიგნთსაცავში ქართულის გარდა ბერძნული ხელნაწერებიც ინახებოდა, როგორც ამას საქართველოში ახლაც დაკული ბერძნული წიგნები ცხადყოფენ. სამეფო წიგნთსაცავში არაბული და მეტადრე სპარსული ხელნაწერებიც ბლომად იქნებოდა. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელმა „ყურანის თარგმანება“ ანუ განმარტება იცოდა.

დავით აღმაშენებელს, მემატინანეს ცნობით, არა მარტო სამეფო წიგნთსაცავი, არამედ მოძრავი, სათანაო ბიბლიოთეკაც კი ჰქონია, რომელიც მუდამ თან ახლდა „ღღე და ღამე მიმოსვლათა შინა მიმდებთა, ლაშქრობათა მოუწყვენელთა, შრომათა განუსვენებელთა წიგნები ეტვირთა სიმრავლესა ჯორთა და აქლემთასა და სადა გარდახდის ჰონეთსა, პირველ ყოვლისა წიგნი მოაქვდიან ხელითა“⁶⁵. ამიტომ წიგნებს, რომელნიც თან სატარებლად იყო განკუთვნილი, „სათანაონი“ ეწოდებოდა. 1020 წლის მელქისედექ კათალიკოსის სიგელში ჩამოთვლილია: „სათანაო ოთხთავი სახარება“. „უამისწირვანი სათანაო“, ხოლო ისეთ წიგნებს, რომელნიც არ იყვნენ გათვალისწინებულნი თან სატარებლად, „საშინაო“ ერქვა. კარგადაა ცნობილი, რომ დავით აღმაშენებელს „სათანაო“ წიგნები საკმაოდ დიდი რაოდენობით ჰქონია, რომელთაც განუყრელად ატარებდა მეფე-საარდალი, მე-18 ს. უკანასკნელ მეოთხედში ერეკლეს სტამბაში დაიბეჭდა საეკლესიო წიგნი „სათანაო“ — მექარავენე ვაჭართათვის და სხვ.

ფეოდალურ საქართველოში მონასტრები და საყდრები საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. თითოეული მათგანისათვის საჭირო წიგნთ: რაოდენობაც ასევე დადგენილი ყოფილა. ასეთ პირობებში მწიგნობრობის ქართული კერები და შესაფერი ცენტრები როგორც უცხოეთში ასევე საქართველოს ფარგლებში დიდ მზრუნველობას იჩენდნენ და იღვწოდნენ საჭირო ხელნაწერ წიგნთა გამრავლებისათვის.

ათანასე კალიგრაფს, რომელიც ცხოვრობდა XI ს., მეოთხედ გადაუწერია გიორგი ათონელის დიდი სვინაქსარის (ხელნაწ. ინსტ A-840) ორიგინალი. „გადმოვწერე მესამე წიგნისაგან მეოთხედ წიგნად... ფრადითა ჭირითა და გულს მოდგინებითა... ღმერთმან იცის ვაჲ მე და ვაჲ მე ჭირნი უსახლობისა და უადგილობისანი, რომელ სხვასა არავის წაჰკიდებია ესე ვითარი რამეთუ სოფლისა ღელვათ:

⁶⁴ ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა, გვ. 86.

⁶⁵ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., წ. 1, გვ. 348. თბ., 1955.

და განსაცდელთა შინა ვეფალ ყელამდისინო“ (ფურც. 171). აქ იმდენად ნათლად და გულში ჩაწვდომი განცდებითაა გადმოცემული ათანასე კალიგრაფის უშელავათო დამოკიდებულება თავის თავისადმი, — წიგნის გამრავლებისათვის მის მიერ თავდავიწყებამდე ზრუნვა და ყოველგვარ სიძნელეთა დაძლევა, რომ, ვფიქრობ, კომენტარს ნამდვილად არ საჭიროებს.

XIV საუკუნიდან, როცა ძალზე გართულდა საქართველოს საგარეო და საშინაო მდგომარეობა, გაჩნდნენ ისეთი ოსტატნიც, რომელნიც წიგნის დამზადებასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციას ერთნაირად ყოფილან დაუფლებულნი. მაგ., ავგაროზ ბანდაიძე ქსნის ერისთავთა ლარგვისის მონასტერში პარაკლიტონის... (ხელნაწერთა რნსტ. A-575) გადაწერას 1348 წელს შესდგომია „ღრდსა სიგლახაცსა და ეტრატისა სიძვირესა და შფოთსა და უცალობისა“ დროს. და „...ოდეს ვიწყე წერად, ყრმა ვიყავ და აქა მიმხცოვნებულმან (ჰალარა-მორეულმან — ა. ი.) სრულეყავ ქორონიკონსა მიგ (1365 წ.)“.

ავგაროზ ბანდაიძე გვაუწყებს, რომ უმასწავლებლოდ 10-მდე ხელობა ვისწავლეო და ჩამოთვლის: „1. სწავია ხუცობისა. 2. ხელი ეორე — მწიგნობრობისა, 3. ხელი მესამე — წერაა ხუცურისა, 4. ხელი მეოთხე — შექმნა ეტრატისა, 5. ხელი მეხუთე — შეკვრა წიგნისა, 6. ხელი მეექვსე — მხატვრობა. 7. ხელი მეშვიდე — მკერვალობა, 8. ხელი მერვე — ტყავის კერვისა, 9. ხელი მეცხრე — ხუროვნობისა, 10. ხელი მეთათე — მსოფლიო მუშაობისა“. ავგაროზი XIV ს. ცნობილი მხატვარ-კალიგრაფია. ფიქრობენ. რომ იგი „ძეგლი ერისთავთა“ მატიანეს შემდგენელიც უნდა იყოს⁶⁶.

საქართველოს მეფეთა. უფლისწულთა და არა ერთ დიდებულთ თითქოს ძველთაგანვე ქუდბედითად დაჰყვათ, ქვეყნის მართვა-გამგებლობასთან ერთად, გულმოდგინედ მოღვაწეობა ქართული ლიტერატურის ასპარეზზეც. ბევრი იმათგანი თხზავდა ორიგინალურ ლიტერატურულ ნაწარმოებს, ეწეოდა ხელნაწერების გამრავლებას, მთარგმნელობით ნაყოფიერ მოღვაწეობას. ანახლებდა და აშენებდა ისტორიულ ძეგლებს. ასეთები იყვნენ მეფენი — დემეტრე I, გიორგი ბრწყინვალე, სვიმონ I, თეიმურაზ I, არჩილ II. გიორგი XI, ვახტანგ VI. თეიმურაზ II, დედოფალნი — ბორენა, ქეთევანი. მარიამი, დადიანის ასული, როსტომ მეფის მეუღლე და ბევრნი სხვანი.

⁶⁶ ძეგლი ერისთავთა (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე). ტექსტი გამოსცა, გამოკლევა, ლექსიკონი და სძიებელი დაურთო შოთა მეტსხიამ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. თბ., 1954, გვ. 316—321. ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 14—17.

ისინი თითქმის ერთობლივ განათლებული მწიგნობარნი და მწე-
რალნი იყვნენ; დიდ სამეცნიერო და ლიტერატურულ შემოქმედებში
მუშაობასთან ერთად ეწეოდნენ მთარგმნელობით მოღვაწეობას, ზრუ-
ნავდნენ სტამბების გამართვისა და ქართული წიგნების გავრცელები
სათვის. საკმარისია გავიხსენოთ ალექსანდრე არჩილის ძე, ვახუშტ
და ბაქარი ვახტანგის ძენი, იოანე, დავით, თეიმურაზ გიორგის ძენ
და სხვა ბაგრატიონთა უკვდავი სახელები, იმის გასათვალისწინებლად
თუ რა დიდი სამსახური გაუწიეს მათ ქართულ მწერლობასა და ის
ტორიოგრაფიას.

იგივე თითქმის ისეთი პროგრესულ-განმანათლებელი დიდებულები
შესახებ, როგორც იყვნენ საბა-სულხან ორბელიანი, დავით გურამი
შვილი, ნ. ჩოლოყაშვილი, დ. ორბელიანი და სხვ; მღვდელმთავრების
და კათალიკოსების — კირიონის, არსენ საფარელის, ნიკოლოზ გუ-
ლაბერიძეს, ბესარიონ ბარათაშვილის, ანტონ 1, ზოგიერთ ეპისკოპოს
სა, მონასტერთა და საყდართა მოძღვართ-მოძღვრებსა, ეკლესიის
მსახურ და ერისკაც რიგით მწიგნობრებზე, რომლებმაც დიდი წვლილი
შეიტანეს ქართული მწიგნობრობის აღორძინებაში, ხელნაწერთა აღ-
დგენაში, ახალი ნუსხების დამზადებაში, დაცვასა და გამრავლებაში

მაგალითად, XVIII საუკუნით თარიღდება „მუშანიკის წამების
რამდენიმე ხელნაწერი, რომელთა წყალობით ტექსტი სრულად შე-
მოგვრჩა და რომლებიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (ასეთე
ბია: 1713 წ. გაბრიელ საგინაშვილისა გარეჯის მონასტერში, 1733 წ
მთავარდიაკონ იოანეს, 1736 წ. სვეტიცხოვლის დეკანოზის, 1743 წ
გარეჯის კახმდიენის იოანეს, 1740 წ. თბილისის სიონის მთავარდიაკო-
აპრონის და 1748 წ. სიონის დეკანოზის მიერ გადაწერილი ხელნაწერ
კრებულები).

ხელნაწერი კრებულის ერთ-ერთი მინაწერი გვაუწყებს, რომ დო-
მენტი კათალიკოსს შეუტრებია პირველად „წიგნი ესე ერთად გაბნეუ-
ლი, რომელი ჟამთა დავიწყებისაგან მიფარებულ იყო, ცხოვრებანი დ-
ღვაწლნი მათნი“. ამგვარი შინაარსის ეროვნული ხასიათის ნაწარმოებ-
თა, ანუ ქართველ „წმიდანთა წამება-ცხოვრების კრებულის“ შედგე-
ნა, რომელშიაც „მუშანიკის წამება“ შევიდა, გარკვეული ისტორიუ-
ლი ვითარებით იყო გაპირობებული.

აღორძინების ეპოქაში — წერს კ. კეკელიძე — „გულმოდგინე-
დაეძებდნენ წინა პერიოდში ნათარგმნ თუ დაწერილ თხზულებებს დ-
დაუღალაუად იღებდნენ მათგან პირებს. ამით აიხსნება, რომ აღნიშნუ-
ლი საუკუნეებიდან ჩვენამდე შენახულა ნუსხები ისეთი თხზულებები

სა და ტექსტებისა, რომელნიც, თუ არა ამ გზით, ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული იქნებოდა“⁶⁷.

აღორძინების XVII—XVIII სს. ქართულმა მწერლობამ, ამ პერიოდის ბევრმა გამოჩენილმა და რიგითმა მოღვაწემ დაღუპვას გადაარჩინა XIII—XVI სს. ხვარაზმელებისა და მონღოლების, ირანელებისა და თურქების, დაღესტნელი ფეოდალებისა და სხვათა სისხლიანი შემოსევის შედეგად შემადრწუნებელი ნგრევებით, ცეცხლითა და მახვილით ჭრილობამიყენებული ძველი ძეგლები, ქართული ხელნაწერები. ამ ბარბაროსული შემოსევების შედეგად, ქართველი ხალხის საარსებო ნივთიერ დოვლათთან ერთად, ნადგურდებოდა სულიერი კულტურის ხელთუქმნელი ძეგლები, ხელნაწერი წიგნები და წიგნთსაცავები. დამპყრობელნი არ კმაყოფილდებოდნენ ქვეყნის გაძარცვითა და ნგრევით და ტყვეებთან ერთად იტაცებდნენ და ატყვევებდნენ ქართულ ხელნაწერ წიგნებს. მაგ., იოანე ბატონიშვილი ამის შესახებ შემდეგს გვაუწყებს: „მეისტორიენი და მოგზაურნი კაცი იტყვიან და მსმენიეს მე თვით, რომელ ლანგთემურმან, რაიცა საღმრთო ანუ სხვანი წერილნი წარილო საქართველოდამ თურქისტანსა შინა, გააკეთებინა ქეთიკირისა დიდი სახლი და რკინის ფანჯარანი და კარნი და მას შინა დასდო ყოველივე წერილნი და წიგნი“⁶⁸.

თემურ-ლენგის მიერ საქართველოში დატრიალებულ უბედურებას, მონასტრების, ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეების ნგრევას, სოფლებისა და ქალაქების მიწასთან გასწორებას ქართული წიგნების დიდი ნაწილი შეეწირა და სამუდამოდ გააქრო. ამით შეიძლება მხოლოდ ავხსნათ ის ფაქტი, რომ დიდხანს ვერ მოხერხდა დანგრეული საყდრებისა და მათი წიგნადი საჭირო ფონდების აღდგენა. მაგ., 1566 წ. მეფე სეიმონის სიგელში ვკითხულობთ, რომ „ძველთაგან მრავალყამ დაიწყებული საყდარი საეპისკოპოსო ურბნისი მოშლილი იყო აგარიანთა ხელითა, ტყვედ ქმნილნი იყო განძი და გუჯარი მისი... კვალად ხელვკყავ და ვიწყე განახლებადო“. უფრო ადრე, 1546 წ. მეფე ლუარსაბისა და კათალიკოსის მიერ შედგენილ სეპტიცხოვლის საყდრის განძის ანგარიშში, მწიგნობრობით სახელმოხვეჭილ ამ საყდარში, მხოლოდ 51 წიგნია აღნუსხული⁶⁹.

ბევრი წიგნი განადგურდა 1724-დან 1740-იან წლებამდე ქვეყნის ერთიანად დაპყრობისას, როდესაც „დაიპყრეს ქვეყანა ესე ყოველი

⁶⁷ კ. კეკელიძე, ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია, თბ., 1933.

⁶⁸ ი. ბატონიშვილი, კალმასობა II, კ. კვეციძისა და ა. ბარამიძის რედ., თბ., 1948, გვ. 131.

⁶⁹ საქართველოს სიძველენი, I, გვ. 321.

ურუმთა... მოაოხრეს ყოველნი ეკლესიანი და დაბანი და დაალმურნეს წმინდანი წერილი“⁷⁰.

აღორძინებულ და დაწინაურებულ საქართველოს დიდი უბედურება დაატყდა თავს XVIII ს. ირან-ოსმალეთის ურდოთა არაერთგზისი შემოსევისა და ქალაქ თბილისის ერთიანად განადგურებამდე მიყვანით.

თბილისში დიდი რაოდენობით არსებობდა როგორც სამეფო და საეკლესიო, ასევე საოჯახო და პირადი მდიდარი წიგნთსაცავები. მაგალითად, კარგადაა ცნობილი, რომ ვახტანგ VI სამეფო კარი თავისებური აკადემია და მწიგნობრული კულტურის უდიდესი ცენტრი იყო თბილისში; გარდა ამისა, მეფე ვახტანგს, ბატონიშვილებს ვახუშტის, ბაქარს, დიდ მწერალს საბა-სულხან ორბელიანს, „სწავლულ კაცთა“ მთელ შემადგენლობას, ვახტანგის სტამბის მოღვაწეებს და სხვ., ბუნებრივია, მდიდარი საკუთარა ბიბლიოთეკა ჰქონდათ და, ამ დიდებული სამეფო კარის დაქცევამდე, თბილისში მოღვაწეობდნენ.

1723 წლიდან ყოველივე ეს ნადგურდება ჯერ კახთა მეფისა და ლეკ-ფეოდალების მიერ თბილისის დაპყრობა-გაძარცვით, ხოლო შემდეგ ყიზილბაშებისა და ოსმალ დამპყრობთა თარეშითა და მორიგეობით ბატონობით.

XVIII ს. მეორე ნახევარში ქართლ-კახეთი აღდგა, გაძლიერდა კულტურული ცხოვრება, განახლდა სტამბა, ბიბლიოთეკები და მწიგნობრობა. ამ პერიოდის გამოჩენილ მოღვაწეთა პირადი ბიბლიოთეკებიდან აღსანიშნავია: ანტონ 1 კათალიკოსისა, ათანასე ამილახვარ თბილელის, გაბაშვილებისა, მეფე თეიმურაზ და ერეკლე მეორის, მეფე გიორგი XII და მეცნიერ ბატონიშვილების იოანეს, დავითის, თეიმურაზის, აგრეთვე მზეჭაბუკ მდივანბეგ ორბელიანის, იესე ბარათაშვილის, სოლომონ ლიონიძის, სიონელი მიქაძეების, თუმანიშვილების, მირზა-გურგენ ენაყოლოთაშვილის და სხვ. 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისა და თბილისის გადაწვისას ამ ბიბლიოთეკების ერთი ნაწილი ქალაქიდან გახიზნეს, გადამალეს და დაფლეს მინიშნებულ საცავებში. მაგალითად, ასე მოიქცა გურგენ ენაყოლოთაშვილის მემკვიდრე მირზა-აფრიაში. მან მოასწრო მათთვის ყველაზე უძვირფასესი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის საიმედოდ შეფუთვა და საიდუმლოდ მონიშნულ ადგილს ღამაღვა. მტერმა დანარჩენი წიგნები დაწვა, გაიტაცა და აფრიაშის ოჯახიც დაატყვევა. აფრიაშმა ერთი წლის შემდეგ მოახერხა ტყვეობიდან გამოქცევა, იპოვნა გადამალული ვეფხისტყაოსანი. იგი

⁷⁰ ან. ნატროშვილი, სვეტიცხოველი (რუსულ ენაზე), გვ. XVII—XX.

დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება, გურგენასეული ვეფხის-ტყაოსნის ნუსხად იწოდება და ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია⁷¹.

მირზა გურგენის წიგნთსაცავიდან ჩვენამდე ასევე მოაღწია (და დღეს საქართველოს ცენტრარქივშია დაცული) ალა-შაჰ-ბაღ-ხანის ურდოთა მიერ გატაცებულმა ორმა ხელნაწერმა: 1. „ანთოლოგია არაბულენოვანი“ და 2. „ნადირ შაჰის ლაშქრობა“.

ყურადღებას იპყრობს ანთოლოგია; იგი შეიცავს ძველი და შუასაუკუნეების გამოჩენილ მწერალთა, მეცნიერთა, ბრძენი ლიტერატორებისა და პოეტების ნაწარმოებებს. მას თან ერთვის მინაწერები, რომლებიც მოგვითხრობენ ამ წიგნის დატყვევებისა და ისევ თბილისში დაბრუნების თავგადასავალს — მირზა-გურგენის კუთვნილი „ეს კეთილშობილი ხელნაწერი“ როგორ მოხვდა ირანელი ლაშქრის ხელში. მინაწერით ვგებულობთ, რომ 1795 წ. ოქტომბერში უკან გაბრუნებულ ირანელების ურდოს მუღანის ველზე მიუყვანია თბილისში „დატყვევებული რვა ათასი ქართველი და სომეხი ქალი და კაცი“.

„ანთოლოგიისა“ და „ნადირ შაჰის ლაშქრობის“ წიგნ-ხელნაწერთა ირანიდან საქართველოში დაბრუნება 1830-იან წლებში მომხდარა. ამის შესახებ ვგებულობთ საქართველოს ცენტრარქივის დიპლომატიური კანცელარის ფონდში დაცული საქმით... „Дело о поезде полковника Мирза Априями Ениколопова в Персию“.

1832 წ. მირზა ენაკოლოფაშვილი ბარონ როზენს ელჩად გაუგზავნა ირანში. მას აუდიენცია ჰქონია შაჰთან, რომელსაც, როგორც საგვარეულო რელიკვია ენაკოლოფაშვილებისა, 1795 წელს თბილისიდან გატაცებული აღნიშნული 2 წიგნი დაუბრუნებია მისთვის. ხანგრძლივი ტყვეობიდან დაბრუნებული ეს წიგნები ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრარქივის იშვიათ წიგნთა ფონდში № 575 ხელნაწერის სახით. ასეთია ტრაგიზმით აღსავსე, მაგრამ საოცრად რომანტიული თავგადასავალი წიგნისა: ასეთები კი უთვალავია..

ანდა ვინ გააცოცხლებს, დასთვლს და აამეჩყველებს ჩვენა სიძველეთსაცავებამდე მოღწეულ და დღეს უკვე საიმედოდ დაცულ ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა დაბინდულ თავგადასავალს, რომლებიც არაბების, თურქ-სელჩუკთა, ჯალალ-ედინის, თემურ-ლენგისა და შაჰ-აბაზის გამანადგურებელ შემოსევათა ცეცხლსა და მახვილს გაუმკლავდნენ, თურქთაგან მიტაცებული მესხეთიდან დაიხიზნენ და ჩვენამდე მოაღწიეს! ეს ხომ დაუწერელი დიდი პოემაა!...

71 ა. ბარამიძე, გურგენასეული ვეფხისტყაოსანი (მოკლე აღწერილობა). — ნარკვევები, III, გვ. 230—234.

72 კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი, „მეცნიერება“, 1978.

შვედ. საქართველოში მტრის მიერ გატაცებულ წიგნს „დატყვე-
ვებულს“ ეძახდნენ ტყვედ ჩავარდნილი ადამიანივით და მისი გამო-
ხსნისათვის ყოველგვარი საშუალებებით იღვწოდნენ, რადგან დატყვე-
ვებულ წიგნის „გამოხსნა საღვთო საქმედ იყო მიჩნეული“⁷². XVI ს.
ხელნაწერი წიგნის მინაწერი გვამცნობს: რომ „მას ჟამს, ოდეს მეფე
ბატონი სუიმონ ურუმთაგან დატყვევდა და ჩვენ ხონთქართანა ელ-
ჩად წავედით და ეს წიგნი დატყუეებული ვიპოვნეთ და დავისენით
და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად“.

თურქთაგან მიტაცებული მესხეთიდან ქრისტიანული კულტურის
ეროვნული ძეგლების დიდი ნაწილი დედა საქართველოს უმეტესწილად
გამოსყიდვის გზით უბრუნდებოდა. მაგალითად, რომელიღაც ვაჭარ
ამირჩანას ჩამოუტანია ათაბაგთა ოჯახში თავმოყრილ ხელნაწერთა
დიდი განძი, რომელიც დომენტი II კათალიკოსს შეუბრუნა ორი ათას
მარჩილად.

ქართველი მამულიშვილი პირველი შეძლებისთანავე ცდილობდა
შტერთაგან ნადავლად წარტაცებული წიგნის დახსნას, გამოსყიდვას,
„წიგნი ესე საღმრთოა შაჰაბაზიშვილმა მხითარ დავისენ თათართა
ხელისაგან შამახიას და ყარაღაშვილისა შალიკასა მივეც მისთვის და
ჩემისა სულისათვის. ვინც ეს წიგნი ნახოთ და წაიკითხოთ, თუ ჩვენ
ორთათვის შენდობასა ბრძანობთ, რომელთა დაგვისხსნია თათართა ხე-
ლისაგან და რომელიც საქართველოში მოგვიტანია“. მ. ჯანაშვილის
ცნობით, მრავალგზის ტყვეობისგან გამოხსნილი ეს წიგნი რუსეთშიაც
ყოფილა⁷³...

ბუნებრივია, დამკვეთის მიერ გაფრთხილებული წიგნის გადამწერი
დიდ სიფრთხილეს იჩენდა ტექსტის ზუსტად გადაწერისას. მაგ., შიო
მღვიმეს 978 წელს გადაწერილი წიგნი ასე იწყება: „გულმოდგინედ
ვიხარკე, რათა უცდომელად დავწერო და კულად შევაწამე და სადაც
ვიპოვე გინა თუ დაკლებული, ანუ შემატებული ვიდრე ასოდ ერთა-
დამდე, ყოველივე განვმართეო“ და თქვენც, ვინც გადაწერთ, „ეგ-
რეთვე ყავითო“ — ანალოგიურ მინაწერს არა ერთს ვხვდებით⁷⁴.

72 უირომის გამოხსნის შედეგად განთავისუფლდა რამდენიმე ათასი ქართველი
და სომეხი ტყვე. ქართველები სამშობლოში დაბრუნებულან. ამათგან სოფ. მარ-
ტყოფში დაბრუნებულა „ყიროში თათრის ხელში ტყვეთ ნაყოფი მარტყოფელი
ღვთისა მარუაშვილის ქალი ანა“, რომელსაც 1741 წ. თითქო თბილისში დაბეჭდი-
ლი „მარხვანი“ შეუწირავს მარტყოფის ღვთაების საყდრისათვის (იხ. ა. იოსელი-
ანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, 1980, გვ. 145).

73 მ. ჯანაშვილი, საისტორიო-სამიბლიოგრაფიო წერილები. — ივერია,
1889, № 24.

74 თ. ეორდანი, ქრონიკები ტ. 1, გვ. 123.

მე-13 საუკ. ხელნაწერში მოიპოვება ასეთი მინაწერი: „ესე მე ხუ-
დად თბილელმან დაეწერე, — ამა წიგნსა გარდევცილდე და ფასი არა
მქონდა რომე მეყიდა და ასრე დარჩა ტყუეობასა შიგან; ვინცა ქართვე-
ლი კაცი გარდევცილოთ, ანუ შეეყაროთ, რათამცა ეგებოდეს, ესე წიგნი
დაიხსნათ ტყუეობითგან“. შემდეგ იმავე წიგნს სხვა ხელით არშიაზე
აქვს მიწერილი: — „ცოდვანი შეუნდევს ღმერთმან გიორგის, ამა
წიგნისა დამხსნელისა ტყვეობისაგან“⁷⁵.

არაგვის ერისთავი რაფიელი მის მიერ გადაწერილი „არჩილიანის“
ანდერძში გადმოგვცემს. „...ჩვენნი მამა-პაპათ ოჯახი მრავალ ჭერ აეკ-
ლოთ... საერო წიგნი აღარ იყო ჩვენს სახლში. ამისათვის... რაიცა
შემძლო, წიგნები გადავსწერე, ზოგი სხვასა გადავაწერინე და შეე-
კრიბე წიგნებო“. როგორც ჩანს, ერისთავიანთ ოჯახი არ განიცდიდა
საეკლესიო წიგნების ნაკლებობას⁷⁶.

მონგოლთა შემოსევებით დაზარალებენ ეკლესია-მონასტრები. კა-
ხეთსა და ჰერეთში, ჩანს, განსაკუთრებით იგრძნობოდა საეკლესიო
წიგნთა ნაკლებობა. ამ მხარეში უმოგზაურია საქართველოს კათალი-
კოსს ექვთიმეს. მის მიერ 1310 წელს დაწერილ „ანდერძში“ ვკითხუ-
ლობთ: — „ექვთიმე მიბრძანა ქურმუხისა მთავარეპისკოპოსსა და ყო-
ვლისა მთიულისა წინამძღვარსა კირილ დონაურსა გარდაწერინებად
სახარებისა და წარგზავნად თვითეულისათვის ეკლესიისა. მეცა გარ-
დავაწერინენ კაკისა წმიდისა ბარბარეს ტაძრისა მღვდელსა იასე ქი-
ტიაშვილისა და ათთორმეტთა მისთა მოწაფეთა და წარგზავნენ საყდარ-
თა მონასტრთა და შეიდთა სასწავლებელთა თავსმდგომთადმი და
ჯუბრძანე სწავლებად: სჯული ჭეშმარიტი და ფილასოფოსები, მამათა
ცხოვრება, ქართლისა ცხოვრებაჲ და ცხოვრება ალვანისაჲ, ესე იგი
არს საეანისაი, რომელი დაწერნა პეტრე ლაგაძემან და ვინმე სომეხმან
გადაიღო იგი და საკუთრად დაწერილად გამოაცხადა და სომეხთაც
ადვილად იწამეს ჩვეულებისამებრ“⁷⁷.

მეტად საყურადღებო დოკუმენტია. „ქართლის ცხოვრებასთან“
ერთად აქ სასწავლო წიგნადაა გამოცხადებული „ცხოვრება ალვანი-
საჲ“, ანუ მოძმე ალბანეთის ისტორია. ხალხი, რომელმაც ვერ გაუძლო
არაერთ საუკუნეთა ქართველებს და ასიმილირების გზას დაად-
გა, არსებითად გაჰქრა, დაიკარგა და გაქრა მათი ისტორიაც (ა. შანი-
ძემ და ი. აბულაძემ აღმოაჩინეს ალბანთა დამწერლობა, მაგრამ ალბა-
ნურ ხელნაწერ ძეგლებს ჩვენამდე ნაკლებად მოუღწევია).

⁷⁵ მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, Описание... III, გვ. 49, 50.

⁷⁶ თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. 1, გვ. 123.

⁷⁷ იხ. მ. ჭ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, გვ. 205—206.

ხელნაწერ და ბექდურ ქართულ წიგნთა ფასებსა და მათ თანაფარ-
ლობაზე 1791 წ. დაწერილ ხონის ტაძრის სიგელში ვკითხულობთ,
რომ მთავარეპისკოპოსმა ანტონმა შეიძინა (ფასის დასახელებით) და
მერმე ამ ეკლესიასვე გადასცა წიგნები: — „სახარება მარკოზისა და
ლუკასი — 80 მარჩილად, სამღვდელმთავრო კონდაცი, კარგი შეკე-
რილი — 27 მარჩილად, დოღმატიკა შემოკლებული — 22 მარჩილად;
დამასკელის წიგნი, სტამბისა, 5 მარჩილად, მთავარანგელოსის წიგნი —
6 მარჩილად, სვინაქსარი — 14 მარჩილად ნაყიდი, მიყიდა 15 მარჩი-
ლად, ანდრია სალოსის წიგნი — 6 მარჩილად, ყველა ეს წიგნი (გარ-
და სვინაქსარისა) მეც იმავე ფასად მქონდა ნაყიდიო“⁷⁸.

ჯერ კიდევ თათარ-მონგოლთა შემოსევების დღიდან დამკვიდრდა
საქართველოში „ტყვეობიდან წიგნის გამოხსნის“ წესი და იგი სამღვთო
საქმედ გამოცხადდა. მაგალითად XIII საუკუნის ხელნაწერი წიგნის
აზრიაზე მიწერილია: „ცოდვანი შეუნდევს ღმერთმან გიორგის, ამა
წიგნისა დამხსნელსა ტყვეობისაგან“; როგორც ვხედავთ, წიგნის „გა-
მოხსნა“ ცოდვა-მადლის განკითხვას უკავშირდება.

ასევე მოქცეულა მღვდელი გერმანე, რომელიც წიგნის მინაწერით
გვაუწყებს: „მე ფ'დ ცოდვილმან მღვდელ-მონაზონმან გერმანემ ფრი-
დი სურვილი და ტრფიალება მქონდა წიგნისა ამის, და ახალციხელი
მღვდელი იოანე გავგზავნე ვარძიას და იმან მიყიდა წმინდა ესე მათეს
თავის თარგმანი. ფასი მივეც შეიდი თუმანი, ორი თუმანი თავის გა-
სამრჯელო... ხუთი მინალთუნი შესაკრავი. მაგრამ თუ მეცნიერი კაცი
გასინჯავს, ფასი არ სძეს. ვინც იხილვიდეთ, შენდობით მოიქსენიებ-
დეთ. სრულ იქმნა წიგნი ესე იანვარს 1. 1712 წელს“⁷⁹.

ძველ საქართველოში სავსებით კანონზომიერად მოითხოვდნენ
წიგნისადმი ფაქიზსა და მოკრძალებულ დამოკიდებულებას. რომ წიგნი
არ დაკარგულიყო. ან ზიანი არ მიეყენებინათ მისთვის. ამიტომ შეა-
ჩვენებდნენ და წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ იმათ, ვინც წესებს
არ იცავდა და წიგნს დაუდევრად ეპყრობოდა. მაგალითად, XVII ს.
ხელნაწერ წიგნს მიწერილი აქვს: „წყვეულ იყოს ის კაცი თუ ქალი,
თხოვნით წარღოს და ამის პატრონს დაავიწყდეს და აღარ აღმოუჩინოს,
წყვეულ იყოს, რომელსაც აქედან ამბავი მოეწონოს, ან რვეული ამო-
ვლიჯოს და ან ფურცელი ამოიხიოს და ან უბრალოდ არაზინებდა
ბლარჯვა დაუწყოს“... აქ ყველაფერი გარკვევითაა თქმული. მსგავსი
გაფრთხილებანი კი ხშირადაა მიწერილი როგორც ხელნაწერ. ასევე
ძველ სტამბურად გამოცემულ წიგნებზეც.

78 იხ. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, გვ. 260.

79 თ. ეორდანიია, ქრონიკები, ტ. III, თბ., 1957, გვ. 42.

წიგნების დაცვას და მათ შესწავლას მამა ანდერძით უბარებს. შეი-
ლებს. მაგ., იოანე ქართველიშვილი თავის მემუარებში შეიღებს ქო-
ნების სახით (ნაცვლად) წიგნს უტოვებს: — „ყმა არა გრჩებათ, მა-
ბული და სხვა ასეთი, რომ იმის გარიგება ანდერძად დაგიწეროთ,
წიგნები დარჩება. ეცადეთ... დაისწავლოთ არ დაპყიდოთ და უბრალოდ
არ დაჰფანტოთ“⁸⁰.

გვიანფეოდალურ საქართველოში, შინაფეოდალური ბრძოლების,
ირან-ოსმალეთის ხშირ შემოსევათა შედეგად და მესხეთის დაპყრობის
გამო, არაერთი ქართული სავანე დაიქცა და მწიგნობრული კერები
მოიშალა, სამუდამოდ განადგურდა ზოგი წიგნთსაცავი და იშვიათი
წიგნები, ბევრიც დაატყვევეს. მაგ., დ. გურამიშვილის თქმით: „...ჩვენ-
ში ლეკთა დავლამა, წიგნი წარსტყვევნა“.

ქართული წიგნის ტყვეობიდან გამოხსნისათვის საქართველოში
რომ საყოველთაოდ ბევრს ზრუნავდნენ, ამის შესახებ კარგად იცოდ-
ნენ დამპყრობლებმა, რომლებიც ტყვე წიგნს კი არ სპობდნენ, არა-
მედ უფროთხილდებოდნენ ამ ნადავლს. — ელოდებოდნენ წიგნის ტყვე-
ობიდან გამოხსნის მსურველს. ამის შესახებ ერთ-ერთ გამოხსნილ
წიგნს ასეთი წარწერა შემოუნახავს: „ეს სკულის კანონი მე ანჩის
ხატის დეკანოზმან დავით, თამაზ-ხან რომ ქალაქში შემოვიდა, მესამე
დღეს დავიხსენ თათარისაგან, სვეტიცხოვლისა იყო და ისევე სვეტი-
ცხოველსა შეეწირე სულისა ჩემისა სახსრად და ძისა ჩემისა მიქელის
სადღეგრძელოდ. შენდობას ბრძანებდეთ“⁸¹. ლეკთაგან განსაკუთრე-
ბით ბევრი წარტყვევნილი წიგნი იქნა გამოსყიდული.

ვარძის ბიბლიოთეკიდან მხოლოდ ორად ორი წიგნი შემოგვრჩა.
ეს არის XII საუკუნის ვარძის „ოთხთავი“ და ვარძიაში მოღვაწე
იოანე შავთელის „გალობანი ვარძიის ლეთისმშობლისანი“; როგორც
XVI ს. „სახარების“ მინაწერი მოგვითხრობს, „ეს წიგნი ქართველმა
ბატონიშვილებმა სპარსეთის ბაზარზე იყიდეს და კვლავ ვარძიას დაუ-
ბრუნეს“.

ყურადღებას იპყრობს თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა თბილისი-
დან 1795 წ. გატაცებული წიგნის შესახებ, რომელიც 1804 წ. ირანში
უპოვნია და ასეთი ზედწარწერით შეუქცია: „საქართველოს მეფის ძე
თეიმურაზ ვიყავ რა თერანს ხელმწიფებასა ფათალი შაჰისასა, ესე
წიგნი თერანს მუნ ტყვეს ვისმე ტფილელს დედათაგანს გამოგზავნა,
რომელიც, რომ ტფილის ადამაჰმადხანის მოსვლის ყამს ტყვე ქმნი-

⁸⁰ ა. იოსელიანი, იოანე ქართველიშვილის მემუარები, თბ., 1957.

⁸¹ იხ. პ. კარბელაშვილის ზემოთ დასახელებული რეკულის გვ. 59. რომელიც
ხელნაწერთა ინსტიტუტში თ. უორდანიას ფონდშია დაცული.

ლიყო⁸². ასეთი მაგალითები ბევრია. — დასკვნას მკითხველი გააკეთებს.

5. საქართველოს საზღვარღო-სამონასტრო ბიბლიოთეკები უცხოეთში.
უხანოვნავი ფურცელი დიდი მემოგრობის ისტორიიდან

ძველი ქართული სამონასტრო ბიბლიოთეკებიდან, რომელნიც საკმაოდ არსებობდა საქართველოსა და საზღვარგარეთის ცნობილ სამონასტრო ცენტრებში, ჩვენ აქ ათონის ივერიის სამონასტრო ბიბლიოთეკაზე შევჩერდებით. მწიგნობრული კულტურის ამ უდიდესი ცენტრის მოღვაწეობა ჩვენს ყურადღებას იმ მხრივაც იმსახურებს, რომ მან, როგორც ამაში დავრწმუნდებით, შესანიშნავი ფურცელი ჩაწერა მოძმე რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიაში.

ათონის ივერიის ქართველთა მონასტერს იერუსალიმის, პალესტინის, სინას მთის, ბულგარეთისა და სხვა მონასტერთა შორის უმდიდრესი წიგნთსაცავი ჰქონდა. მაგალითად, ათონის მონასტერში XI—XII საუკუნეებში ორი წიგნთსაცავი ყოფილა, რომელთაგან ერთი „დიდი წიგნთსაცავად“ იწოდებოდა, სადაც დაცული ყოფილა ცნობილ უცხოელ ავტორთა წიგნები, აგრეთვე ყველა ქართული და ქართულად ნათარგმნი ხელნაწერი. მათი ბერძნულ-რომაული დედნები, გიორგი მთაწმიდელის, იოანე და ექვთიმე ათონელების ხელნაწერებთან ერთად აქ ინახებოდა გამოჩენილ მეცნიერთა ძვირფასი ხელნაწერი ძეგლები. ასეთი წიგნთსაცავები სხვა მონასტრებშიაც ყოფილა და, როგორც ირკვევა, შესაფერი სააღრიცხვო კატალოგებიც ჰქონიათ⁸³. მაგ., ნ. მარმა სინას მთის ხელნაწერების გაცნობისას № 92 ხელნაწერის ეტრატის პალიმფსესტზე აღმოაჩინა X საუკუნის სამონასტრო წიგნთა კატალოგის ნაწყვეტი, რომელშიაც 22 წიგნის სათაურია შემონახული; მათ შორის „მოქცევაჲ ქართლისაჲც“. ზოგი თხზულება ორ-ორ და მეტ ცალდაც აღმოჩნდა, ამათგან ექვსცალიანი წიგნიცაა დასახელებული. სულ 52 ხელნაწერია მოხსენიებული⁸⁴.

ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერი წიგნების ფონდი მდიდრდებოდა არა მხოლოდ ათონელ მოღვაწეთა მიერ საჭირო წიგნების თარგმნითა და გადაწერა-გამრავლებით — ექვთიმე მთაწმინდელს 90 წიგნი გადაუწერია, არამედ წიგნების შეწირულებების გზითაც, მაგალითად გიორგი მთაწმიდელის ცნობით თორნიკეს 7 წიგნი შეუწი-

⁸² იხ. პ. კარბელაშვილის ზემოთ დასახელებული რეჟული, გვ. 56.

⁸³ ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები 1. გვ. 15—16.

⁸⁴ Н. М а р р. Предварительный отчет о работах на Синая.—Сообщ. Палест. общ. 1903, книга XIV, с. 45.

რავს⁸⁵. ამავე ათონის აღაპების მიხედვით XI—XII სს-ში მონასტრი-სათვის სვიმონ ხეიკელს შეუწირავს 5 ხელნაწერი, პეტრე ხუცესს — 8, იოანე რუს-ყოფილს — 5⁸⁶.

ათონზე ბიბლიოთეკა XI საუკუნეში დაუარსებიათ ექვთიმე და გიორგი ათონელებს. ამ ბიბლიოთეკის წიგნთსაცავებში დიდძალმა, ბერძნულმა, რომაულმა, ქართულმა და სხვა ენოვანმა ლიტერატურამ მოიყარა თავი, რომელიც სისტემატურად მდიდრდებოდა. ათონის სა-მონასტრო ბიბლიოთეკა XIX საუკუნიდან ქვეითდება, მცირდება მისი, ქართულენოვანი წიგნადი ფონდი, მაგ., 1883 წ. ათონის ივერიის მონასტრის ეწვია და მის ქართულ ხელნაწერებს გაეცნო პროფ. ალ. ცაგარელი; მან ამ დროს ათონის წიგნთსაცავში იპოვნა მხოლოდ 86 ხელნაწერი და თბილის-ქუთაისში და მოსკოვში დაბეჭდილი წიგნები, — მათ შორის თბილისში დაბეჭდილი: 1. ლოცვანი. 1710 წ.; 2. კონდაკი, 1751 წ.; 3. დავითნი, 1763 წ.; 4. დავითნი, 1795 წ.; ქუთაისში: სოლომონ მეორის სტამბაში 1803 წ. დაბეჭდილი კურთხევანი და მოსკოვში მეფე ბაქარის ნებართვით იოსებ სამეხელის სტამბაში 1738 წ. დაბეჭდილი ზატიკი⁸⁷.

ა. ცაგარელმა აქვე ნახა 1836 წლის ათონის სამონასტრო ბიბლიოთეკის ქართული წიგნების სია, რომელშიც აღრიცხული იყო 283 წიგნი, აქედან კარგად ჩანს XIX ს. 30-იან წლებიდან თუ როგორ კნინდებოდა (მონასტერთან ერთად თვით) ათონის ივერიის მონასტრის ქართული ბიბლიოთეკა⁸⁸.

ალ. ცაგარელის მონაცემებით უკეთესი მდგომარეობა არც ძველ ქართულ სხვა სამონასტრო ცენტრებში ყოფილა. მაგალითად, XIX ს. 80-იან წლებში მას იერუსალიმის ჯვრის მონასტერში 147 ხელნაწერი უნახავს, ხოლო სინას მთის მონასტერში — 93 ხელნაწერი. აქ მოტანილი რიცხობრივი მაჩვენებლები უცხოეთში მოქმედი მწიგნობრობით სახელმოხვეპილი მონასტრების წიგნთსაცავთა ოდინდელი სიმდიდრის გამომხატველად, რა თქმა უნდა, ვერ გამოდგება, მაგრამ თავისთავად იგი საგულისხმოდ და მეტად საყურადღებოდ ფაქტია, რომელიც გარკვევას მოითხოვს.

XIX საუკუნიდან საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს სამეფო ხელისუფლებისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით, სხვადასხვა მიზეზების გამო, უცხოეთში მოქ-

⁸⁵ იხ. ცხოვრება იოანესა და ეფთვიმესი, 1901, გვ. 17.

⁸⁶ ათონის კრებული, გვ. 217, 223 და 227.

⁸⁷ А. Ц а г а р е л и. Сведения о памятниках грузинской письменности. СПб, Вып. I, 1886, стр. 16.

⁸⁸ იქვე, გვ. 97.

მედი ქართული საეკლესიო-სამონასტრო ცენტრები უყურადღებოდ და, არსებითად, უპატრონოდ დარჩა. ამის შესახებ ბევრი იწერებოდა. ქართული მოღვაწეებიც ჩადიოდნენ ადგილზე, მაგრამ ამაოდ. იქ მოღვაწე ქართველი ბერები და მათი მესვეურები დიდხანს რაიმე დახმარების გარეშე იღვწოდნენ და იცავდნენ ქართულ ეროვნულ დიდ საგანძურებს. მაგრამ იმის გამო, რომ უცხო ძალები, ძირითადად ბერძნები, მათ დევნიდნენ, ავიწროვებდნენ და ყოველ მხრივ ცდილობდნენ დაპატრონებოდნენ მართლმადიდებელ ქართველთა ამ ძველ სავანეებს, ქართველი ბერების რაოდენობა მცირდებოდა. დროთა ეითარებაში ქართულ სახელგანთქმულ სამონასტრო მდიდარ წიგნთსაცავებს და თვით მონასტრებს უცხოელები დაეპატრონენ. ასეთ პირობებში თანდათანობით, ბუნებრივია, შემცირდა ხელნაწერი წიგნების ოდინდელი სიმდიდრე. მაგალითად, ათონის ივერიის მონასტრის მე-17 ს. ნახევარში იმდენად ძლიერი და მდიდარი წიგნსაცავი ჰქონდა, რომ ქართული მონასტრის მესვეურებმა დიდი მეგობრული დახმარება აღმოუჩინეს ერთმორწმუნე რუსეთის მართლმადიდებლურ საპატრიარქოს; მათ რუსეთიდან საგანგებო დავალებით გაგზავნილ არსენ სუხანოვისათვის 156-მდე უნიკალური ხელნაწერი (მათ შორის 4 ნაბეჭდი) წიგნი გადაუციათ და კიდევ დამატებით 14 წიგნი არქიმანდრიტ დიონისეს ხელით წარუგზავნიათ რუსეთის მეფისა და პატრიარქ ნიკონისათვის.

მე-17 ს. ორმოცდაათიან წლებში რუსეთის პატრიარქმა ნიკონმა მიიღო გადაწყვეტილება რუსულ საეკლესიო წიგნთა დედნების საფუძველზე გამართვისა და გამრავლების შესახებ. ამ გადაწყვეტილების შესაბამისად შეუდგნენ ბერძნულ დედნებთან გულდასმით შეჭერებას, ახალი თარგმანების დამზადებას. მაგრამ ვინაიდან რუსეთის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ასეთი წიგნები ნაკლებად არსებობდა (სულ 6 წიგნი აღმოჩნდა), ამიტომ ნიკონმა ბერძნული დედნების შესაძენად 1654 წელს ათონსა და, საერთოდ, ქალკედონის ნახევარკუნძულზე მიაკლინა არსენ სუხანოვი, რომელმაც გაამართლა ნიკონის იმედები; მან გულდასმით მოიძია ამ მხარის მონასტრებში საჭირო წიგნები და 15 მონასტერში შესძლო 498 წიგნის შეძენა. მათ შორის 156 დასახელების წიგნი მხოლოდ ათონის ივერიის მონასტრიდან მიუღია. ეს ფაქტი ბევრის მეტყველია. იგი სრულ წარმოდგენას იძლევა მასზე, თუ რაოდენ მდიდარი იყო ათონის ივერიის ბიბლიოთეკა, წიგნთსაცავი ჯერ კიდევ მე-17 ს. რა უნიკალურ განძს ფლობდა. თუ რა შინაარსისა იყო ათონის ივერიის მონასტრიდან წამოღებული წიგნები, ამის აღწერილობა მოცემული აქვს ს. ბელოკუროვის თავის ნარკვევში „Археуми“

Суханов⁸⁹, რომელიც რამდენადმე ნათელ წარმოდგენას იძლევა ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკის სიმდიდრეზე, მის მრავალფეროვნებაზე. არსენ სუხანოვს წამოუღია უაღრესად საინტერესო წიგნები, რომლებიც შეეხებოდა როგორც ღვთისმეტყველებას, ისე ფილოსოფიას, ისტორიას, ლიტერატურას, გეოგრაფიას, მათემატიკას, მედიცინას და სხვ. მაგალითად, ასეთებია: სტრაბონის გეოგრაფია, 17 წიგნად (მე-15 საუკ.), ბერძენი ფილოსოფოსების ბიოგრაფიების კრებული (მე-16 ს.), არისტოტელეს გამოკვლევები ლოგიკასა და ფიზიკაში (მე-17 ს.), სოფოკლეს ბიოგრაფია და ტრაგედიები: ელექტრა, მეფე ოიდიპოსი (მე-14 საუკ. ხელნაწერი), ჰომეროსის ოდისეა, შენიშენებით (მე-13 საუკ.), ორიბაზის სამედიცინო წიგნები, 4 წიგნად (მე-16 საუკ.), ვალენის სამედიცინო თხზულებათა კრებული (მე-15—16 საუკ.) და სხვ.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს თუ რაოდენ ფართო იყო ათონის ივერიის მოღვაწეთა ინტერესები და მდიდარი მათი ბიბლიოთეკა მე-17 ს. შუა წლებში. ბუნებრივია, 156 წიგნის გაცემა შეეძლო ისეთს წიგნთსაცავს, რომელსაც მოეპოვებოდა სხვა რამდენიმე ან ერთი ზედმეტი ცალი მაინც ამ გაცემული წიგნებიდან ისე, რომ წიგნთსაცავი არ გაღარიბებულიყო.

წყაროებიდან ისიც ირკვევა, რომ 6 წლის შემდეგ, 1660 წ. 15 თებერვალს, ათონის ივერიის მონასტრიდან მის მესვეურთ არქიმანდრიტ დიონისეს მეშვეობით რუსეთში დამატებით გაუგზავნიათ 14 წიგნი. ამის შესახებ ათონის მონასტრის გამგებელნი რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს სწერდნენ: „По повелению превысочайшего вашего царства, книг многих, добрых и надобных по счету 156 книг, которые сам выбрал из книгохранительного места нашего монастыря: да мы же послали с архимандритом Дионисием иных книг 14...⁹⁰“.

საგულისხმოა, რომ სუხანოვის მიერ წამოღებულ ათონის ქართული მონასტრის 156 წიგნს შორის 4 წიგნი სტამბურადაა დაბეჭდილი — ფრანკფურტისა და ფლორენციის სტამბებში — 1499, 1527, 1558 და 1581 წლებში. ეს ფაქტი იმაზეც მეტყველებს, რომ ივერთა მონასტერი, სადაც ქართველი მამები მოღვაწეობდნენ და ახლო კავშირში იმყოფებოდა საქართველოსთან, ადრინდელ კარგად იცნობდა ევროპაში ახლად დანერგილ წიგნის ბეჭდვას, სტამბებს და სარგებლობდა ახლად გამოცემული ბეჭდური წიგნებით.

არსენ სუხანოვი კარგად იცნობდა საქართველოს; აქ იგი ორჯერ იყო — პირველად 1637—1640 წწ., მეორედ 1652 წ. იგი კარგად იყო ინფორმირებული ათონის ივერიის დიდი მწიგნობრული კერის მო-

⁸⁹ С. Белокуров, Арсеній Суханов, ч. I, М, 1891.

⁹⁰ იქვე, გვ. 11.

ღვაწეობით და იმედი ჰქონდა ქართველ მწიგნობართა დახმარებისა; როცა 1654 წ. პატრიარქმა არსენი საბერძნეთში მიავლინა, მან თან წაიღო პატრიარქის წერილი ათონის ივერიის მონასტრის ქართველი ბერებისადმი; ნიკონი წერდა, რომ მას (სუხანოვს) დახმარებოდნენ წიგნების გასიჩქვასა და შექენაში.

ამ პერიოდში საქართველო და ქართველთა მონასტრები მეტად მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. იერუსალიმში თურქეთის ხელისუფალნი ქართველ ბერებს და ქართულ სამონასტრო კერებს ყოველმხრივ ავიწროვებდნენ.

სინას მთაზე ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი ქართული ხელნაწერების შესწავლისას ცარიელ კაბადონზე ასეთ წარწერას წააწყდნენ: „ვტოვებთ სინას მთის მონასტერს ბერძნების ძალმომრეობის გამო. ძვირფასი ნივთები და ქურქველი დამალულია გამოქვაბულში, თუ ოდესმე ქართველები დაეპატრონებით მონასტერს, მოიხმარეთ“.

არც ათონის ივერიის ქართველთა მონასტერში იყო ამ პერიოდში კარგი მდგომარეობა; მაგ., 1652 წ. ათონიდან ქართველების მონასტრის არქიმანდრიტი კლიმენტი, მახლობლებით, მოსკოვში ჩავიდა შეწირულების მისაღებად. მას ამავე დროს მეფისათვის მოხსენებით მიუმართავს და უთხოვია, რომ მოსკოვის ერთ-ერთი მონასტერი ათონელი ქართველი ბერებისათვის გადაეცა. პატრიარქ ნიკონის მხარდაჭერით 1653 წ. 21 იანვარს ათონელ ქართველებს გადასცეს მოსკოვის ნიკოლსკის მონასტერი კრემლის მახლობლად.

შემდეგში, როგორც კარგადაა ცნობილი, რუსეთში გამგზავრებული ქართველების თავშესაფარი, პირველყოვლისა, ეს მონასტერი იყო. პატრიარქის მოციქულ არსენ სუხანოვს, როცა ათონის ქართველების მონასტრის მესვეურთ ეწვია, მონასტრის ბიბლიოთეკიდან გულუხვად დაუთმეს ხელნაწერი წიგნები...

ათონის მონასტრიდან შექენილი ხელნაწერი წიგნები, როგორც აღინიშნა, უმეტესწილად რუსულ ენაზე არარსებული წიგნების სათარგმნელად და დასაბეჭდად ესაჭიროებოდათ⁹¹, მაგრამ, ამ დროს, რუსეთში, საეკლესიო სამღვთო წიგნების გარდა, ბერძნულ-ლათინური სხვა ხელნაწერებიც ესაჭიროებოდათ. ნიკონ პატრიარქი, ჩანს, მოსკოვში „ბერძნულ-ლათინური“ სკოლის გახსნისათვის ზრუნავდა და საამისოდ საჭირო ლიტერატურას აგროვებდა. მაგ., ბელოკუროვის ნაკლული სიის მიხედვით ათონის ივერიის ქართველთა მონასტრიდან რუსეთში წამოუღიათ სწორედ ასეთი წიგნები: 1. სოფისტ ათენელ ნავკროტელის ბრძენთა მეჯლისი; 2. დემოსთენის ოლიმპიურ სიტ-

⁹¹ ი. ციციკაძე, დიდი მეგობრობის ისტორიიდან. — იხ. გვ. „კომუნისტი“, 1962, იანვრის 10.

ყვათა მეორე და მესამე ნაწილი; 3. დიოგენ ლაერტის ბერძენ ფილოსოფოსთა მოკლე ბიოგრაფიები; 4. თუკიდიდეს ისტორია დანართით; 5. ალექსანდრე სალიანის 12 წიგნი თერაპიის შესახებ; 6. დემოსთენის 4 სიტყვა; 7. ესქილეს 2 სიტყვა; 8. გეოგრაფ პავსანის საბერძნეთის აღწერილობა. 9. ორიბაზ მკურნალის 9 წიგნი სააქიმო; 10. ნაწყვეტები ჰომეროსის ილიადიდან; 11. სოფოკლეს ტრაგედიები — აიაქსი, ელექტრა და მეფე ოიდიპოსი, განმარტებითურთ და სოფოკლეს ბიოგრაფიით (მე-14 ს. ხელნაწერი); 12. ტირან ფილარდის 145 წერილი სხვადასხვა პირებისადმი და 73 წერილი რომელ ბრუტოსისადმი; 13. ესქილეს ბიოგრაფია და მისი ტრაგედიები; 14. პოეტ ჰესიოდეს შრომები და ღლები; 15. ალექსანდრე მაკედონელის ისტორია; 16. ეზოპეს იგავები; 17. არისტოტელეს თხზულებანი ლოგიკისა და ფიზიკის შესახებ, სქოლიოებით; 18. ლიბანიოს სოფისტის სიტყვანი, მოკლე ბიოგრაფიით; 19. კატონის, ჰერმესის, სიბილას, ეკრიპიდეს, ჰესიოდეს და სხვ. პოეტურ თხზულებათა კრებული, 20. არისტოტელეს კატეგორიების შესავალი.

გარდა აქ დასახელებული 20 წიგნისა, რომლებიც ათონის ივერთა მონასტრიდან წაღებული 156 ხელნაწერის მცირე ნაწილია, ს. ბელოკუროვის კატალოგ-აღწერილობაში კიდევ 26 ხელნაწერია დასახელებული, რომელთა სათაური და შინაარსი, სამწუხაროდ, ჩვენთვის დღემდე გაურკვეველი რჩება, მიუხედავად ამგვარი ვითარებისა, ცნობები და მასალები, რაც ჩვენთვის ცნობილია და ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა, იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების საფუძველს.

ათონის ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკიდან 156 ხელნაწერის არსენ სუხანოვზე გადაცემის ფაქტი და აქ დასახელებული 20 ხელნაწერის ნუსხა-კატალოგი (ნაწყვეტი) ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა. იგი სავსებით ნათელ წარმოდგენას იძლევა ამ ბიბლიოთეკის პროფილსა და სიმდიდრეზე. აქ აღნიშნულის მნიშვნელობა განუსაზღვრელად დიდია ჩვენთვის იმიტომაც, რომ დღემდის უცნობია ათონის ბიბლიოთეკაში ძველთაგანვე დაცულ ხელნაწერთა მთლიანი საგანძურის ადგილსამყოფელი.

მე-17 ს-ის რუსი მოღვაწეებისა და ათონელი ქართველ ბერების მეგობრულმა ურთიერთობამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ივერიის მონასტრის ხელნაწერთა ერთი ნაწილი მაინც იხსნა დატაცებისაგან და დღეს შესაძლებლობა გვაქვს ამ შესანიშნავი მემკვიდრეობით სარგებლობისა. ეჭვი არაა, შემდგომი კვლევა-ძიება სრულად დაადგენს

ათონიდან წამოღებულ ხელნაწერთა როგორც ადგილსამყოფს, ასევე მათ სახელწოდებებსაც⁹².

ათონის ქართველთა მონასტერში მწიგნობრულ-შემოქმედებითი და მთარგმნელობითი მუშაობა, როგორც ჩანს, მე-18 საუკუნეში აღმავლობით მიიწევედა წინ. აღნიშნულის ნათელსაყოფად ჩვენ აქ მხოლოდ ერთ ცნობას მოვიტანთ.

1727 და 1744 წლებში ათონის ქართველთა მონასტერს ორგზის სწვევია რუსი მოგზაური ვ. ბარსკი, რომელსაც თავის აღწერილობებში საკმაო ცნობები დაუტავს ქართველთა სამონასტრო წიგნთსაცავების შესახებ. ვ. ბარსკის ცნობით ათონის სხვა მონასტრების წიგნთსაცავებზე უფრო დიდი და უძველესი ხელნაწერების შემცველი ყოფილა ქართველთა ივერიის მონასტრის წიგნთსაცავი. ქართული წიგნებისა და სიგელ-გუჯრების გარდა ამ წიგნთსაცავებში ყოფილა ბერძნული და ლათინური სხვადასხვა შინაარსის წიგნებიც. ბარსკის ცნობით მაშინ აქ ყოფილა დაცული 3000 ხელნაწერზე მეტი, რომელთაგან ზოგი იმდენად იშვიათი იყო, რომ სხვაგან არსად იშოვებოდაო⁹³.

ბარსკის ეს ცნობა მრავალმხრივ საინტერესო დოკუმენტია, იგი წარმოდგენას იძლევა ათონის ქართველთა მონასტრის ნაყოფიერ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაზე, იმ მტკიცე მეგობრულ კავშირზე, რომელიც ათონელ ქართველ მოღვაწეებსა და რუსეთის საეკლესიო და საზოგადო მოღვაწეთა შორის ადრინდანვე დამკვიდრებულა. ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ორი მოძმე, ერთმორწმუნე ხალხის კულტურის სფეროში გამოვლენილი ასეთი შემოქმედებითი თანამშრომლობა ბევრად შორდება მე-17 საუკუნის ფარგლებს და თავისი ცხოველყოფილობით მომდევნო ეპოქებში ახლებურად ვლინდება.

გიორგი და ექვთიმე ათონელთა ბრწყინვალე ფილოლოგიურ-ტრადიციული სკოლიდან არსენ სუხანოვის მიერ რუსეთში ჩატანილი ბერძნულ-ლათინური და სხვა ენოვანი ხელნაწერი ძეგლები, ხშირ შემთხვევაში, სხვა წყაროებთან ერთად დედნებად გამოიყენებოდა

⁹² ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევარი მ. შენგელია ათონის ივერიის მონასტერში მოქმედი საავადმყოფოს და ხელნაწერი სამედიცინო წიგნების შესწავლამ დაარწმუნა, რომ ათონში მკურნალობის საქმე სათანადოდ ორგანიზებული იყო და, რეაქციულ ძალებთან შედარებით, პროგრესული ძალები დომინანტობდნენ (იხ. მისი ნაშრომი „მედიცინის განვითარების ზოგიერთი ძირითადი საკითხი საქართველოში“, თბ., 1961, გვ. 128—131).

⁹³ Пешеходца Василя Григорьевича Барского—Палки—Албава, уроженца Киевского, Монаха Антиохийского, путешествия к св. Местам. в Европе, Азии и Африке находящимся, предпринятое в 1723 г. и оконченное в 1747 г. им самим написанное. Изд. СПб., 1793, II, с. 591—592.

რუსულ ენაზე სტამბურად გამოსაცემ საეკლესიო და საერო წიგნთა მომზადებისათვის.

მე-18 საუკუნის 30—40-იანი წლებიდან, როცა რუსეთში გახშირდა ქართული წიგნების ბეჭდვა (ბაქარი, ათანასე ამილახვარი, ვაიოზ არქიმანდრიტი), გაღრმავდა რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური და კულტურული კავშირი, საეკლესიო რუსულ წიგნებთან ერთად ქართულ სასულიერო წიგნთა ტექსტების დადგენისას და სასტამბოდ მომზადებისას ქართულ სტამბებში იყენებდნენ წმინდა მამების იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელთა და სხვათა ბერძნულიდან ქართულად უზადოდ თარგმნილ ხელნაწერებს, რომელნიც საქართველოსთან ერთად მოქმე რუსეთშიაც დიდი პატივით სარგებლობდნენ.

ზედმიწვევით მაღალი ფილოლოგიური ოსტატობით და საგნის ღრმა ცოდნით ითარგმნებოდა ქართულ ენაზე ყველაზე საუკეთესო და უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები, რაც კი მაშინ მსოფლიოში არსებობდა. ეს ტრადიცია ქართული მწერლობისა არასოდეს არ ჩამოკვდა. XVIII ს. მეორე ნახევარში, როცა რუსეთის წიგნთსაცავები ბევრად უფრო გამდიდრდა და გაძლიერდა, ქართველი გამოჩენილი მეცნიერნი აღრმავებდნენ მეგობრულ და შემოქმედებით კავშირს რუსეთთან.

იმის ნათელსაყოფად თუ რაოდენ ნაყოფიერი იყო ჩვენი დიდი თანამემამულე ანტონ 1-ის მთარგმნელობითი მოღვაწეობა რუსეთში XVIII ს. 50—60-იანი წლების მიჯნაზე, ამის შესახებ თვით ანტონ პირველს მოვუხსინოთ.

„ანტონ კათალიკოსი თავისი ნაშრომის „ახლადქმნილი ღრამბატიკა ქართულისამებრ ენისა“ წინასიტყვაობაში წერდა:

„...ოდეს როსიასა შა ყოფასა ჩემსა მრავალთა სხუა და სხუათა ენათაგან გარდამოღება ვჰყავთ სათუთოხსა წიგნისა და პარაკლიტონისა, და ტიპიკონისა, და ალექსანდრე დიდისა ისტორიათა კენტოს კურციოსისაგან ქმნილთა ათთა წიგნთა და ფილოსოფიისა სრულისა... და კათილორიანი არისტოტელესნი; და მუნვე როსიასა შა ყოფასა ჩემსა ვიკიტხვიდი ელინურისა, და ლათინურისა, და ფრანცისულისა, და იტალიანურისა, და გერმანულისა და რუსულის ენათა მეცნიერთად, ედ ვითარიმე იყო გუარი ქმარებად ნაწილთა სიტყუსათა, და სახეთა მათთა, ენათა მათ შორის თქმულთა და მომიგებდიან, და საცნაურ ჩემდა ჰყვიან, ესრეთ დაველოვნებულ-იქნა უმეტეს გონება ხელოვნებისა ამის მიმართ“⁹⁴.

ანტონ კათალიკოსს თავისი მოწაფენი ჰყავდა, მან შექმნა სკოლა. მას გვერდში ედგნენ განათლებული მიმდევრები. რომლებიც ანტონის

⁹⁴ თ. ეორდანიი, ქრონიკები, ტ. III, გვ. 303.

მიერ შექმნილი ქართული ენის გრამატიკის ნორმებით ხელმძღვანელობდნენ. ისინი ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ როგორც ხელნაწერ ქართულ წიგნთა, ასევე სტამბებში XVIII ს. მეორე ნახევრიდან ქართულად დაბეჭდილ წიგნთა გავრცელებაში.

ანტონის მოღვაწეობა რუსეთში მრავლისმთქმელია. რუსი და ქართველი ხალხების შემოქმედებით-მეცნიერული თანამშრომლობის კარგი მაგალითის გარდა იგი ნათლად მეტყველებს ანტონ 1-ის დაუცხრომელ შრომასა და რულუნებაზე ქართული მეცნიერებისა და კულტურის მაღალი დონის, მისი პრესტიჟისა და პოზიციების საკაცობრიო მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის მოთხოვნის დონემდე აყვანილსათვის. იგი ენერგიულად იღვწოდა იმ დიდი ტრადიციების ახალ საფუძველზე აღორძინებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა განვითარებულ ფეოდალურ საქართველოში — ხანძთელის, ათონელების, ოპიზრებისა და დიდი რუსთველის ოქროს ხანაში.

მიუხედავად ამისა ანტონ 1-ლის მოღვაწეობას, მის კლერიკალურ-არქაისტულ მსოფლმხედველობასა და ზოგიერთ პრაქტიკულ მოქმედებას ახასიათებდა სერიოზული ნაკლოვანებანი, რომელთაც თავი იჩინეს როგორც ქართული წიგნისა და მწიგნობრობის განვითარების, ასევე ვეფხისტყაოსნისადმი მცდარ დამოკიდებულებაში (ამის შესახებ ქვემოთ).

ხალხის რწმენით და ასევე საისტორიო წყაროებით ძველთაგანვე დაკვიდრდა რწმენად ქეუელი თვალსაზრისი მასზედ, რომ საქართველო იმთავითვე მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა იყო, ხოლო თვით მარიამი — საქართველოს მცველ-მფარველ სასწაულთმოქმედ უძლიერეს ღვთაებად მოვლენილი. საქართველოში დიდი რაოდენობით შენდებოდა მარიამ ღვთისმშობლის სახელობის საყდრები და მრავლდებოდა ღვთისმშობლის ყოვლისშემძლე ხატები.

ათონის ივერიის ბერებმა X საუკუნეში (999 წლის 27 აპრილს) მონასტერში ღვთისმშობლის ხატის სასწაულებრივ მოქმედებათა დამკვიდრების შესახებ სათანადო ისტორიული ცნობები შემოგვინახეს „ათონის მთის აქტების სახით“⁹⁵,

ჩვენამდე ასევე მოღწეულია არა ერთი ქართველი სასულიერო მოღვაწის წერილობითი გადმოცემები „ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის“ შესახებ⁹⁶.

95 1970 წ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოსცა „ათონის ივერთა მონასტრის აქტები“. ობ. გეორგიკა, ტ. VIII, გვ. 257—270.

96 ოს. ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, პლ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1852, გვ. 36—39 და ელ. მეტრეველის გამოცემა, თბ., 1956, გვ. 18—19; ასევე ი. გელევანიშვილი, მიმოსვლა, პლ. იოსელიანის გამოცემა, 1852, გვ. 31—32.

XVI საუკუნეში ათონზე „ივერიის ღვთისმშობლის ხატისათვის“ საგანგებო ტაძარი აუგია აშოთან მუხრანბატონს. იგი ძვირფასად მოუპედია და შუემკია ყვარყვარე სამცხის ათაბაგ-ჩაყელ ცინისკვარელს ზედწარწერით, რომელიც 1849 წელს ათონის მთაზე მოგზაურობისას გადმოუწერია პლ იოსელიანს⁹⁷.

ამ გზით „ივერიის ღვთისმშობლის ხატის“ სასწაულმოქმედება — ძლევა მოსილება ფართოდ ვრცელდებოდა; ვინაიდან იზრდებოდა ინტერესი თვით ხატისადმი, მისი ხილვისა და მასზე ლოცვისადმი, — იწყეს ამ ხატის ასლის გადაღება, რომელიც პირველად ათონზევე შეუსრულებიათ. აღნიშნული ხატის ერთ-ერთი ასლი დაცულია მცხეთის დედათა მონასტერში. „ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის“ მეორე ასლი ივერიის ათონის მონასტრიდან წარმოგზავნილმა წმინდა მამებმა არქიმანდრიტ ლავრენტის მეთაურობით მოსკოვში 1652 წელს ჩაასვენეს. სასწაულმოქმედი ხატის ათონიდან ჩასვენებას პატრიარქი ნიკონი და მეფე ალექსი მიხეილის ძე ზეიმით შეხვედრიან. იგი თავდაპირველად ნიკოლსკის ბერძნულ მონასტერში დაუსვენებიათ. მეფის რუსეთის ხელისუფლებას და მღვდელთმთავარ ნიკონს „ივერიის ღვთისმშობლის ხატის“ მოსკოვში ჩამოსვენების ზეიმის დღეებში (და არა ოთხი წლის შემდეგ) ათონის ივერიის მონასტრისა და ქართველთათვის სამუდამოდ უბოძებიათ ნიკოლსკის მონასტერი. „ივერიის ღვთისმშობლის ხატი“ ალექსი მიხეილის ძის ბრძანებით მოსკოვის კრემლის მიძინების ტაძარში გადაასვენეს. ნაპოლეონის შემოსევის დროს, 1812 წ., ხატი იმპერატორის ბრძანებით დროებით ქ. ვლადიმირში გადაუმალავთ⁹⁸.

97 იხ. ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, თბ., 1852, გვ. 38; შდრ. გ. შარაძე, პეტრე პირველიდან ლეე ტოლსტოიძემ, თბ., 1986, გვ. 62.

98 იხ. ბ. ანდრონიკაშვილი, წარსულის სურათები, თბ., 1983, გვ. 6. ფიქრობენ რომ ეს აქტი თითქოს უნდა მომხდარიყო 1669 წელს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს აქტი, ანუ მონასტრის ბოძება, უნდა ყოფილიყო იმავე წელს, როცა „ივერიის ღვთისმშობლის ხატის“ ათონიდან მოსკოვში ჩატანა არქიმანდრიტ ლავრენტის თაოსნობით განხორციელდა. ესე იგი 1652 წ. და არა 1669 წ. „ივერიის ხატმა“ რუსეთში მალე მოიპოვა პოპულარობა. ორი წლის შემდეგ, 1654 წ., მეფე ალექსი მიხეილის ძის ჯარს პოლონეთის მეფის იან კაზიმირის წინააღმდეგ ბრძოლაში წინ „ივერიის ღვთისმშობლის ხატი“ მიუძღოდა. ამავე ბრძოლაში მონაწილეობდა მოსკოვში 1653 წელს ჩასული თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ერეკლე I (იხ. დროს უფლისწული).

ათონის ივერიის ხატის მოსკოვში ჩამოსვენება და რუსეთის სამეფო კარზე უფლისწულ ირაკლი დავითის ძის წარგზავნა კარგად მოფიქრებული კოორდინირებული პოლიტიკური აქტი უნდა ყოფილიყო როგორც საქართველოს სამეფო ხელისუფლების, ასევე ათონის ივერიის მონასტრის წმინდა მამების ერთობლივი გადაწყვეტილებით. იხ. ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედია, ტ. 24, 1894, გვ. 772.

„ივერიის ღვთისმშობლის ხატმა“ ასევე რუსეთის მოსახლეობაშიაც სასწაულმოქმედის სახელი დაიმკვიდრა. ამიტომ „ივერიის ღვთისმშობლის ხატის“ ასლები გაუმრავლებიათ და ერთი მათგანი ტოლსტოების საგვარეულოშიაც მოხვედრილა; იგი, როგორც გამოირკვა, რუსეთის დიდი მწერლის ლ. ტოლსტოის სალოცავი ხატი ყოფილა. „ივერიის სასწაულმოქმედ ღვთისმშობლის ხატს“ ტოლსტოების ოჯახში საპატიო ადგილი სჭერია⁹⁰.

⁹⁰ გ. შარაძე, პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე, თბ., 1986, გვ. 64.

ქართული წიგნის გეგმის სათავეებთან

1. ქართული წიგნის რომში დაბეჭდვის პროგნოზი და ისტორიული ვითარება

ქვეყნის უღრესად რთულ საშინაო და საგარეო ისტორიულ პირობებში განხორციელდა პირველი ქართული წიგნის სასტამბოდ მომზადება და გამოცემა. არაა შემთხვევითი, რომ ქართული ანბანი უცხოეთში ჩამოასხეს და ქართული წიგნი პირველად დაიბეჭდა არა საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ. რომში, მოგვიანებით კი მოსკოვში; მაგრამ უცხოეთში დაბეჭდილი ქართული წიგნების საფუძველჩამყარებელი და განმანხორციელებელი ყველგან ქართველი ღირსეული მამულიშვილი და თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწე იყვნენ.

მეფე თეიმურაზ I-ის მიერ რომში დიპლომატიური მისიით წარგზავნილი ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის ნიკოლოზ ომანის ძე ჩოლოყაშვილის (ბერობაში — „ნიკიფორე ბერად“ და „ნიკიფორე ირბახად“ წოდებული) სახელთან განუყრელადაა დაკავშირებული პირველი ნაბეჭდი ქართული წიგნების რომში გამოცემის საქმე.

შაჰ აბასის ველურ ურდოებთან ახლად ომგადახდილი იყო საქართველო, როცა მე-17 ს. 20-იან წლებში რომში მიმდინარეობდა მზადება ქართული წიგნის დასაბეჭდად. ამ დროს საქართველო დარბეული და დამარცხებულია, მაგრამ ნებისყოფა გაუტეხელი და მომავლის რწმენითაა აღჭურვილი. თავისუფლების მოყვარე ხალხი იარაღს არ ჰყრიდა, ბრძოლას აგრძელებდა, სააკაძისებურს, და ერთგულ მოკავშირეებთან ილტვოდა დახმარებისათვის.

მეფე თეიმურაზ პირველი, ამ დიდი განსაცდელის ჟამს, ქრისტიან-კათოლიკური სამყაროს მესვეურ რომთან, ესპანეთსა და ერთმორწმუნე მართლმადიდებლურ რუსეთთან აღრმავებდა კავშირს. თეიმურაზმა რომში თავისი მისიანდო, დიდად განათლებული მოღვაწე,

ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი მიავლინა, ხოლო რუსეთის სამეფო კარს მოგვიანებით თვით მეფე ეწვია პირადად.

ესეთ ისტორიულ პირობებში უაღრესად სიმბოლურია და სრულებითაც არაა შემთხვევითი ის ფაქტი, რომ მწიგნობრული კულტურის კლასიკური შემკვიდრების ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, თავდაპირველად რომი, ხოლო შემდეგ მოსკოვი (ე. წ. ეს „ახალი რომი“) გვევლინება პირველი ქართული წიგნის ბეჭდვის კერად. საქართველოს ისტორიულად რომთან, ისე როგორც მოსკოვთან, ახლო კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობანი აკავშირებდა და ამეგობრებდა. იდეა ქართული სტამბის დაარსებისა ეკუთვნის ვატიკანს, რომელსაც მიზნად ჰქონდა კათოლიკობის საქადაგებლად ქართველთა შორის გავრცელებინა საკირო წიგნები, მაგრამ ამ იდეის ხორც-შემსხმელად, ფაქტიურად, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, ანუ ნიკიფორე ირბახი გვევლინება.

1629 წ. რომში დასტამბული ქართული წიგნების გამოცემათა შესახებ, ამ წიგნების თავფურცლებზე დამოწმებული სატიტულო მონაცემების გარდა, ჩვენ, შეიძლება ითქვას, დოკუმენტური ხასიათის ხელშეახლები სხვა ახალი მასალა თითქმის არ მოგვეპოვებოდა. ამიტომ ქართული ნაბეჭდი წიგნის საიუბილეო 300 წლისთავისადმი მიძღვნილ ნაშრომებში მკვლევარნი იძულებული იყვნენ არსებითად გვერდი შეეველოთ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნების შექმნის ისტორიისათვის, ან კიდევ თვით ამ წიგნებზე შემორჩენილი ზოგადი ხასიათის ცნობებით დაკმაყოფილებულიყვნენ.

ამ ხარვეზის შევსებას ისახავდა მიზნად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1963 წ. 15 მარტს ვატიკანის „ბიბლიოთეკა აპოსტოლიკისადმი“ ქართული ნაბეჭდი წიგნების ისტორიის თაობაზე შეკითხვის გაგზავნა.

საპასუხო წერილებით გაირკვა, რომ რომში 1629 წ. დასტამბული ცნობილი ქართული წიგნების: „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“, „ქართულ-იტალიური ლექსიკონის“ და სხვათა გარდა არსებობდა მანამდე ჩვენთვის უცნობი ქართულად დაბეჭდილი ნაშრომი, რომლის ავტორად ნიკიფორე ირბახს, მეფე თეიმურაზ პირველის ელჩს, ასახელებდნენ. ესაა ნაშრომი, რომელიც ქართულ პუბლიკაციაში შემოკლებით „ლიტანია ლაურეტანად“ იხსენიება.

1977 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თაოსნობით იტალიაში განხორციელებულ სამეცნიერო მივლინებას, ვატიკანს დაქვემდებარებულ „პროპაგანდა ფიდეს“ არქივთსაცავეხსა და ბიბლიოთეკებში მუშაობას სასურველი შედეგები მოჰყვა. ფარდა აეხადა ნიკიფორე ირბახის ევროპაში ელჩობისა და რომში ქართული წიგნების ბეჭდვის საფუძვლის ჩაყრის, ნიკიფორეს „ლიტანია ლაურეტანად“

DITTIONARIO GIORGIANO E ITALIANO.

COMPOSTO DA STEFANO PAOLINI
con l'aiuto del M.R. P. D. Niceforo Irbachi
Giorgiano, Monaco di S. Basilio.

AD VSO DE' MISSIONARIL
della Sagra Congregazione de Propaganda Fide.



IN ROMA,
Nella Stampa della Sagra Congr. de Propag. Fide.
C I D C X X I X.

CON LICENZA DE' SUPERIORI.

სტეფანე პაოლინის ქართულ-იტალიური, ლექსიკონის თავდურცელი
რომი, 1629. დაატარავებულია 1/2-ით.


წოდებული ერთგვერდიანი ლათინური ლოცვის სტამბურად დაბეჭდილი სრულფასოვანი ქართული თარგმანისა და თეიმურაზ I-ის ელჩობის ერთიან ისტორიას. მთელი ეს მოსაზრადებელი, მეტად ნაყოფიერი მუშაობა წინ უძღოდა და ორგანიზებულად იყო დაკავშირებული პირველი ქართული წიგნის დაბეჭდიდან 350 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულის — „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემების“ აკადემიურ პუბლიკაციასთან, რომელიც ა. ჩიქობავასა და ჯ. ვათეიშვილის წინასიტყვაობით, გამოკვლევებითა და რედაქციით 1983 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „ხელოვნებამ“.

საიუბილეო კრებულში დაბეჭდილია თბილისში, ლენინგრადასა და რომში დაცული პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემებისა („ქართული ანბანი ლოცვებით“, სტეფ. პაოლინისა და ნიკ. ირბახის „ქართული-იტალიური ლექსიკონის“, ფრ. მ. მაჯოს „ქართული გრამატიკის“) და ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცული „ლიტანია ლაურეტანას“ ქართული თარგმანის ნაბეჭდი ტექსტის ფოტოტიპური ასლები. ამ კრებულის გამოცემა რომში ქართული წიგნის ბეჭდვის დაწყებას უძღვნება, მაგრამ იგი არსებითად ქართული წიგნის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთგვარ სიმბოლურ დიდებულ ძეგლადაც გვესახება არა მხოლოდ თავისი ხასიათით, არამედ გამოცემის ზედმიწევნით მაღალი დონითაც.

1453 წ. საქართველოს მეზობელი ბიზანტიის იმპერია ოსმალებმა დაიპყრეს. ამიერიდან საქართველო აგრესიულად განწყობილ მუსლიმანურ გარემოცვაში მოექცა და ევროპასთან კავშირი შეწყდა. ამდენად რომში 1620 წელს დასტამბული ქართული წიგნების გამოქვეყნება შეიძლება განვიხილოთ, როგორც პირველი შედეგიანი ნაბიჯი ამ მტრული ბარბაროსული გარემოცვის გარღვევისა და კულტურის სფეროში დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან აქტიური კავშირურთიერთობის აღდგენის დაწყებად¹.

¹ ფრანგი ქართველოლოგის მარი ბროსეს ნაშრომების გამოქვეყნებამდე დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეები ერთ-ერთ უძველეს ენას — ქართულს მხოლოდ ნ. ირბახისა და ს. პაოლინის „ქართული-იტალიური ლექსიკონითა“ და ფ. მ. მაჯოს „ქართული გრამატიკით“ იცნობდნენ.

სიმბოლურია ქართული კულტურის ისტორიის ორი დიდი საიუბილეო თარიღის თითქმის ერთდროულად აღნიშვნა: 1978 წელს იაკობ კურტაველის უკვდავი ნაწარმოების დაწერიდან ქართული ლიტერატურის 1500 წლისთავის, ხოლო 1979 წელს — 350 წელი სტამბური წესით ქართული წიგნის რომში გამოქვეყნება: საერთო მათ შორის, ქართული კულტურის ისტორიის ამ უდიდეს ფენომენთა შორის, ძალზე ბევრია, ორთავეს ქართული კულტურის დიდ საგანძურში უარესად საპატიო ადგილი უჭირავს.



„ლექსი იბჭივეთ“ ფრანსი

Dittionario Giorgiano-Italiano.

ს A

| | | |
|----------------------|-----------------------|--------------|
| აბანო | abano, | Bagno |
| აბაროგა | abaroga, | Ma che? |
| აბახი | abachi, | Dilà. |
| აბრეშო-ში | abresciomi, | Seta. |
| აგეხა | agheba, | Compunzione. |
| აგმოზენებელი | agmozenebeli | Bialtemare. |
| აგმოლაული | agmolauli, | Oriente. |
| აგმოლაულია | agmolaulisa, | Orientale, |
| ადული სეფაზ- რული | adula scfaz- ruli, | Incollante. |
| ადული | aduli, | Facile. |
| ადულია | adulid, | Facilita. |
| ადი | adi, | Di. |
| ადიდება | adideba, | Inondatione. |
| აერა | aera, | Aria. |
| აელი | aetili, | Coprire. |
| აუადარი | auadari, | Ammalarsi. |
| აუადაჟამო | auadaspamo, | Maltrattare. |
| აუადაჟარე | auadaspare, | Maltrattato. |

A 2 აქლ

1628 წლის 20 ივნისს „პროპაგანდა ფიდეს“ საგანგებოდ უმსჯელია იბერიის მეფე თეიმურაზ I-ისაგან პაპისადმი გაგზავნილ წერილზე. ამ წერილში, რომელიც რომში ჩაიტანა მეფის ელჩმა ნიკიფორე ჩოლოყაშვილ-ირბახმა, ქართველი მეფე თეიმურაზი ითხოვდა შუამდგომლობას ესპანეთის მეფესთან ესპანეთ-საქართველოს სამხედრო კავშირის დადებაზე ურჯულოთა ძალმომრეობის აღსაკვეთად, თუ თურქნი და სპარსნი კვლავ გამოილაშქრებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. ამ სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საქართველოს რწმუნის საკითხი. გაირკვა, რომ ქართველები, თუ მოკავშირე არ ეყოლათ ურჯულოთა წინააღმდეგ, შეიძლება განდრკნენ „ქეშმარიტი კათოლიკური სარწმუნოებისაგან“.

კათოლიკური სარწმუნოების გასაძლიერებლად „პროპაგანდა ფიდეს“, პირველ ყოვლისა, საჭიროდ მიუჩნევია ქართული ასოების პუნსონებისა და მატრიცების შექმნა და როგორც სასულიერო, ისე საერო ქართული შრიფტის ჩამოსხმა, რათა ამიერიდან შეძლებოდათ მისიონერთათვის წიგნების ბეჭდვა. 1629 წ. 1 აგვისტოს „მიძღვნაში“ რომის პაპ ურბან მერვესადმი აღნიშნულია, რომ „ამ ენის ფრიად მოხერხებული და მშვენიერი ასოებიც ჩამოვასხმევინეთ. ამაში ყველაზე მეტად იგივე მამა ნიჩეფორემ გავვიწია დახმარება, რომში ყოფნისას ჩაგვაწერინა ქართული ანბანი და რამდენიმე ათასი სიტყვა ამ ენაზე... უკვე დაიბეჭდა ანბანი და ფსალმუნი ხსენებული ლექსიკონითურთ სახელმძღვანელოდ მისიონერთათვის... ლექსიკონი მთლად სრული არაა, რადგან დრო ცოტა იყო; თანაც სტეფანო პაოლონის ჩემი მითითებით უნდა შეერჩია უფრო მეტად გავრცელებული სიტყვები... თხრობაში, საუბარში, ანგარიშში... რადგანაც ჯერ ევროპაში ამ ენაზე აქამდე არაფერი დაბეჭდილა, იხილა თუ არა ამ წიგნმა მზის შუქი, მყისვე გადავწყვიტე იგი მომეძღვნა... თქვენი უწმინდესობისათვის...“

სარწმუნოების გამავრცელებელი წნ. კონგრეგაციის სტამბაში, 1 აგვისტო 1629 წ. თქვენი უწმინდესობის უმორჩილესი, უერთგულესი და ყოვლად მდაბალი მსახური აკილე ვენერიო“².

რომის პაპ ურბან მერვისადმი აკილე ვენერიოს ზემოსხენებული მიძღვნა აღმოჩნდა „პროპაგანდა ფიდეს“ არქივთსაცავებში სხვა ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად, რომელნიც შუქს ჰფენენ რომში პირველ ნაბეჭდ ქართულ წიგნთა გამოცემაში ნიკიფორე ირბახის ღვაწლს და ასევე ევროპაში მისი დიპლომატიური მოღვაწეობის არა ერთ მხარეს.

² ა. ჩიქობავა, ქ. ვათეიშვილი, პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები, 1983, გვ. 15.

ნიკიფორე ჩოლოყაშვილ-ირბახს ევროპაში 1626—1628 წწ. ელჩობა, დიპლომატიური მისიით, რომის პაპსა და ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სთან არ აღუწერია ისე, როგორც ეს ერთი საუკუნის შემდეგ საბა-სულხან ორბელიანმა რომსა და საფრანგეთში 1714—1716 წწ. თავისი ელჩობა დოკუმენტური სრულყოფით აღწერა; მაგრამ 1983 წ. ზაფხულში ევროპის ზოგიერთ არქივში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი ისტორიული საბუთები და რომში დაბეჭდილი ქართული წიგნები ერთგვარად აღადგენენ ნიკიფორე ირბახის ევროპაში მოღვაწეობის, მისი დიპლომატიური მისიის სრულ სურათს.

თეიმურაზ I-ს კარგად ესმოდა მაშინდელი საერთაშორისო ვითარება, ირან-ესპანეთს შორის (ესპანეთის ელჩობის წარუმატებლობა ირანში) დიპლომატიური ურთიერთობის გამწვავება, როგორც ჩანს, მას სურდა გამოეყენებინა საკუთარი ინტერესებისათვის, ირანის საწინააღმდეგო კოალიციის შესაქმნელად, რაც თავის დროზე სწორად შენიშნა ნ. ნაკაშიძემ³.

ნ. ირბახის ევროპაში დიპლომატიური მისიით გაგზავნის შესახებ, ვიდრე ახალი საარქივო მასალები აღმოჩნდებოდა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში არა ერთი გაუგებრობა და აზრთა სხვაობა არსებობდა. დღეისათვის ჩვენთვის ბევრი რამ გაირკვა, ბოლო მოეღო ასეთ ვითარებას. ახალი მასალების გამოვლინებით, მაგრამ ამ მიმართებით კვლევა-ძიება მომავალშიაც უნდა გაღრმავდეს. ამას ჩვენი ისტორიოგრაფიის ინტერესები მოითხოვს⁴.

ქართულ-იტალიური ლექსიკონი ანბანით, რომელიც 3084 სიტყვას შეიცავს, განკუთვნილია იტალიელ მისიონერთათვის, რომლებიც საქართველოს კათოლიკურ სარწმუნოებაზე მოქცევისათვის ქართულ ენის შესწავლით იყვნენ დაინტერესებულნი.

ქართული ანბანის უცხოეთში ჩამოსხმა, ისე როგორც პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს, ბუნებრივია, არ შეეძლო. ამ საქმით დაინტერესებულმა სტეფანო პაოლინი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილთან ერთად, მოკლე დროში შეადგინა ქართულ-იტალიური ლექსიკონი, რაზედაც წიგნის თავფურცელი იუწყება: „ლექსიკონი ქართული და იტალიური. შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველ ნიკიფორე ირბახის, წნ. ბასილის (წესის) ბერის დახმარებით — სახმარად სარწმუნოების გამაგრებელი სასულიერო

3 ნ. ნაკაშიძე, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის პირველ ნახევარში, 1968, გვ. 91.

4 იხ. ჯ. ვათეიშვილის წერილები: 1. ერის საგანძურს შეემატა და ნიკიფორე ირბახის ნაკვალევზე. — გაზ. „კომუნისტის“ 1983 წ. 31 ივლისის, 1 აგვისტოს და 4 აგვისტოს ნომრები. ასევე ი. ტაბალუას „ეპისტოლე ესე“, თეიმურაზ I-ის წერილები ვატიკანში. — გაზ. „კომუნისტის“, 1982 წ. 23 თებერვალი და სხვ.



სწავაგებოდა მანძილსა მათსა ღვთაობისა
 იქმნის, სწავლისა ქართლისა, ამჟამად
 აღს. ღვთაობისა დაჟიჟი ქაქის, ამჟამად
 იგი სწავსა მისე ღვთაობა, ღვთაობისა
 დაჟიჟი, ამჟამად სწავსა მათსა დაჟიჟი

სურ. 19. სახარება. თბილისი. 1709 — იოანე მახარებლის ესტამპი.

საზოგადოების მისიონერთა. რომი. 1629 წ.“ ამასთანავე, ამ უკანასკნელ ხანს გაირკვა, რომ ნიკიფორე ირბახს ქართულად უთარგმნია „ლიტანია ლაურეტანა“, რომელიც სტამბურად დაბეჭდილა.

რომში დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნებით დასაბამი მიეცა ქართული წიგნის ბეჭდვას. ხალხის სულიერი ეროვნული კულტურის ამ დიდი წამოწყების მნიშვნელობაზე მსჯელობა აქ, ვფიქრობ, ზედმეტია⁵.



XVII—XVIII საუკუნეებში საქართველო აუნაზღაურებელი მსხვერპლის ვალეებით აგრძელებდა ბრძოლას და მტრულ მაჰმადიანურ აგრესიებს უმკლავდებოდა სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლებით. იგი სისხლიდან იცლებოდა უთანასწორო ბრძოლებში, მაგრამ იგერიებდა შაჰ აბასისა და თურქ დამპყრობთა ფანატიკურ თავდასხმებს, იცავდა სამშობლოს, ეროვნულ კულტურას, ქართულ მწიგნობრულ განძეულობას. ომებსა და ხანძრებში გამოტარებულ ძირძველ მწერლობას.

სამეფო-სამთავროებად დანაწილებულ საქართველოს უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლებს შინაფეოდალური აშლილობაც ემატებოდა. ამ შინაფეოდალური ქიშპის და ბრძოლების დამლუპველი პოლიტიკურ-ბედუქულმართი გავლენის შესახებ ერთი, უაღრესად ბრძნული, მინაწერი შემოუნახავს ყანჩაეთის ეამგულანს. იქ ნათქვამია: „საქართველოს დარბაისელნი: მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახვარი, ერთმანეთის მტერნი და მოქიშპენი იყვნენ; არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამით ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდნენ, ვერც არას სხვა მტერი წაართმევდა რასმე“⁶. საოცარი გულწრფელობითაა აქ თითქმის ყვე-

⁵ ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე რომში აღნიშნულით არ ამოიწერება. 1643 წ. რომში დაიბეჭდა ფ. მაჭოს ქართული ენის გრამატიკა, რომელიც 1670 წ. ბელგორედ გამოიცა.

მაჭომ, რომელიც 1637 წლიდან 1642 წლამდე საქართველოში მოღვაწეობდა, შეისწავლა ქართული ენა და გამოსცა გრამატიკა. მოგვიანებით, 1681 წელს, რომში დაიბეჭდა რიგით მეხუთე ქართული წიგნი, ესაა კატეხიზმის თარგმანი.

გამოჩენილ მამულშვილსა და განათლებულ მოღვაწეს საყურადღებო გამოკვლევა მიუძღვნა გულჩინა აკოფაშვილმა; ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, ნიკიფორე ირბახი. თბ., 1977.

⁶ ე. თაყაიშვილი, ყანჩაეთის ეამგულანი. თბ., გვ. 22—26 (რუს.).

ლაფერის თქმული, ცხადად და გასაგებად. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, კნინდებოდნენ თვით სამეფო ხელისუფალნიც, იქამდე, რომ ზოგს „სახელი მეფე რქმევია, თორემ მართებული არა უქნევიანებათ რა, როგორც ამათა სდომებით, ისე უსამართლებიათ და ურიგებიათ“⁷ — წერდა ვახტანგ VI.

საქართველო, ამგვარ უაღრესად წინააღმდეგობრივ და რთულ პირობებში, რამდენადმე ახერხებდა რუსთაველის ეპოქიდან მომდინარე მწიგნობრულ-ლიტერატურული უმდიდრესი ტრადიციების დაცვას.

ეს ტრადიციები, არსებითად, რუსთაველის სიბრძნისა და გენიის ეროვნულ ტრადიციებად ყალიბდებოდა და იგი ხალხის სულიერი სიმტკიცის, მისი იდეურად დამრავლებელ, ყოვლისმძლე ძალად აღმოჩნდა, რომელიც მტრის ბასრ ხმალზე ბევრად ძლიერი იყო.

თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის ურდოებთან უთანასწორო ბრძოლებგადახდილი საქართველო მე-17 საუკუნის 30-იანი წლებიდან შედარებით მშვიდობიან ცხოვრებას იმკვიდრებს. იგი აღრმავებს კავშირს ერთმორწმუნე რუსეთთან და ამავე დროს კარს უღებს დაწინაურებული ევროპის — რომის კათოლიკური ეკლესიის მისიონერებს, რომელნიც დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოსადმი.

საქართველო ევროპელი ვაჭრების, კათოლიკე მისიონერებისა და მეცნიერ მოგზაურების მიმოსვლის ასპარეზად და საქმიანი ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთ ქვეყანად იქცა. ამ პერიოდის გამაჰმადიანებული მეფენი, როსტომი და ვახტანგ მე-5, თავიანთი მშვიდობიანი, გამჭირაბი მოღვაწეობით ქართლ-კახეთის აღმავლობისათვის, ერთგვარად, ნიადაგს ამზადებდნენ.

თბილისი ამ პერიოდში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ერთ-ერთ დიდ სავაჭრო-სააღმსახურებო ქალაქად იქცა. გორთან, ქუთაისსა და ახალციხესთან ერთად აღორძინდა და დაწინაურდა სხვა დაბა-ქალაქებიც. საქართველოში დიდი რაოდენობით შემოდიოდა უცხოეთის საქონელი. მაგ., ფრანგ მოგზაურ ჟან შარდენის ცნობით „თბილისი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია, მკვიდროდა და დასახლებული. თბილისში უფრო მეტ უცხოელს შეხვდები, ვიდრე სხვაგან ჰადმე. აქ გაჩაღებულია დიდი ვაჭრობა“. იგი მოხიბლა ვახტანგ მეხუთის სამეფო სასახლის წარმტაცმა არქიტექტურამ, მეფის სტუმართმოყვარეობამ და სასახლის მდიდარმა ბიბლიოთეკამ.

მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში ქართლში მუშავდებოდა იდეური და იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის ახალი საშუალებანი. საამისო ძლიერი ძა-

7 ქართული სამართლის ძეგლები. 1, 1963, გვ. 479, ი. დოლიძის რედაქციით.

ლები, როცა ისინი ესოდენ საჭირონი გახდნენ, საკმარისად აღმოაჩნდა ქვეყანას. ამ პერიოდში მოღვაწეობდნენ პროგრესული ძალები, რომელთაც დიდი მონაწილეობა მიიღეს „ქართლის ცხოვრების“ გამართვაში. გიორგი XI-ს დავალებით საბა ორბელიანმა შეადგინა „სიტყვის კონა“, მ. თანაშვილმა დაამზადა „ვეფხისტყაოსნის“ ძვირფასი ხელნაწერი; გიორგი XI, ლევან III, არჩილ II, ვახტანგ VI ერთობლივი მზრუნველობით გაღრმავდა საეკლესიო-საგანმანათლებლო, მაჰმადიანობის საწინააღმდეგო მოძრაობა. თბილისში დაარსდა კეთილმოწყობილ სტამბა.

დროებითი მშვიდობიანობის წლები ქართველმა ხალხმა, მისმა მოწინავე შვილებმა ნაყოფიერად გამოიყენეს საქართველო, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის, მწიგნობრობის, ძეგნიერებისა და ლიტერატურის წინსვლისათვის.

საქართველო დიდ ინტერესს ამჟღავნებდა დაწინაურებული ევროპული კულტურისადმი. ქართველი პატრიოტები და პოლიტიკური მოღვაწენი შეეცადნენ ევროპის ქრისტიანი კათოლიკური სახელმწიფოების დაინტერესება და მისწრაფება კათოლიკობის გავრცელებისათვის საქართველოში გამოეყენებინათ ირან-ოსმალეთის მძლავრობის ასალაგმავად და ქვეყნის იძულებითი გამაჰმადიანებისაგან თავდასაღწევად. ისინი ამ გზითაც ფიქრობდნენ საქართველოს გამოსწავას. მოწინავე ევროპული კულტურისათვის ხანგრძლივად დახშული კარის გაღებას, რათა ქვეყანა აზიური ჩამორჩენილობისა და მტრული ბარბაროსული გარემოცივიდან გამოეყვანათ.

მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებით არ ამოიწურებოდა. მისიონერთა შორის იყვნენ სპეციალურ ცოდნას დაუფლებული ექიმები, ასტრონომები, მხატვრები, გეოგრაფები, მწიგნობარნი და სხვ.

მისიონერები ზეპირი პროპაგანდითა და პრაქტიკული მოღვაწეობით არ იფარგლებოდნენ. მათ XVII ს. 60-იან წლებში თბილისში დაარსეს ოთხწლიანი სკოლა, სადაც თეოლოგიასთან ერთად ისტორია, ქართული და ლათინური ენები, ასტრონომია, მედიცინა და ზოგი სხვა მეცნიერების საფუძვლები ისწავლებოდა. სწავლის მსურველნიც ბლომად აღმოჩნდნენ და ზოგი მათგანი უმაღლესი განათლების მისაღებად რომშიც იგზავნებოდა. კერძოდ, საბა-სულხან ორბელიანი იმდენად გაიტაცა კათოლიკურმა მოძღვრებამ, რომ მართლმადიდებლობაზეც კი აიღო ხელი, ხოლო ვახტანგ VI-მ პატრებისგან ასტრონომიული მეცნიერება შეისწავლა⁸. ვახუშტი ბაგრატიონმაო, გვაუწყებს „ვახტან-

⁸ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ. 1902, გვ. 339.

განს— ავტორი ფავლენიშვილი, „...სულ აღასრულა ყოველი სწავ-
ლა ლათინთა ფრანგული“, აღორძინების პერიოდში საქართველოს
ეკონომიკური და კულტურული აღმავლობა მიმდინარეობდა ევროპას-
თან ურთიერთობის გზით, მაგრამ 1720-იანი წლებიდან, როცა ირან-
ოსმალეთის აგრესიების გაძლიერების გამო კათოლიკურ ევროპასთან
საქართველოს ურთიერთობის გამოცდის დღე დადგა, გამოაშკარავდა.
რომ საქართველოს მოკავშირედ მისგან დაშორებული ევროპა და კათო-
ლიკური რომის ეკლესია ნაკლებად გამოადგებოდა, საქართველოს
მტრული გარემოცვისაგან გამოსხნისა და მშვიდობის დამყარებისათვის
ერთადერთ რეალურ ძალად თვით საბამ, ვახტანგ VI და მისმა ხელი-
სუფლებამ ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირი იწამა⁹, მაგრამ ბედმა
უმტყუნა. რუსეთს არ აღმოაჩნდა ძალები ამ დახმარებისათვის.

იმ ევროპელთა შორის, რომლებიც დაინტერესდნენ ქართული ენი-
თა და მწერლობით. განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მე-
16—17 საუკუნეების გერმანელ მოგზაურსა და დიპლომატიურ მო-
ღვაწეს სოლომონ შვაიგერს (1551—1622). შვაიგერმა 1608 წ. ნიურნ-
ბერგში დაბეჭდა წიგნი „ახალი ჩანაწერები მოგზაურობისა გერმანი-
იდან კონსტანტინეპოლსა და იერუსალიმამდე“ (განმეორებით იგი
1964 წელს გამოიცა).

კონსტანტინეპოლსა და იერუსალიმში მოგზაურობისას სოლო-
მონ შვაიგერი ახლო გასცნობია იქ მყოფ ქართველებს, მათ სარწმუ-
ნოებას, ისტორიას, ადათ-წესებს, ენასა და დამწერლობას.

ქართველებს — წერს შვაიგერი — მშობლიური ენა გააჩნიათ და
წირვა-ლოცვას თავიანთ დედა-ენაზე აწარმოებენ. ერთმა ქართველმა
ბერმა. ვინმე მამა იოსებმა, შვაიგერს, მისივე თხოვნით, წიგნაკში
ჩაუწერა ქართული ანბანი და ფსალმუნის დასაწყისის სამი მუხლი,
შემდეგ კი ქართული ანბანიცა და ფსალმუნის მუხლებიც, პარალელუ-
რად მიწერილ ლათინურ ასოებთან ერთად. შვაიგერმა ისინი შეიტანა
თავის 1608 წ. გამოცემულ წიგნში.

ამ ჩანაწერებიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ ქართული ან-
ბანის ნუსხა, ხუცური დამწერლობის ნიმუშები,

გერმანულად ნათარგმნი ფსალმუნის ქართულ ტექსტებს სამწუ-
ხაროდ ჩვენამდე იმ სახით არ მოუღწევია, როგორც ეს თავდაპირვე-
ლად ქართველ ბერს იოსებს ჩაუწერია.

მიუხედავად ამისა, შვაიგერის მიერ 1608 წელს გამოცემული
წიგნი დიდად საყურადღებოა, როგორც ქართული შრიფტის სტამბუ-

⁹ შ. რევიშვილი, გერმანული ეტიუდები, თბ., 1977, გვ. 81—85 გ. ნათა-
ძე, საუკუნის სიღრმიდან, — ჟურნ. „დროშა“ № 11, 1961, გვ. 6—7.

რად დაბეჭდვის პირველი ნიმუში. ეს შრიფტი 21 წლით უფრო ადრეა ჩამოსხმული (დაბეჭდილი) ნიურნბერგში, ვიდრე 1629 წელს რომში დაიბეჭდებოდა ქართული წიგნი.

2. თბილისში სტამბის დაარსების თარიღის საკითხისათვის

(მოკლე ისტორიოგრაფიულ-კრიტიკული ექსკურსი)

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის რომში გამოსვლიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ მომწიფდა იდეა და, როგორც ირკვევა, პრაქტიკულადაც გადაუდგამთ ნაბიჯები ქართული სტამბის თბილისში დაარსებისთვის.

ამგვარი მოძრაობა თითქმის ერთდროულად დაწყებულა როგორც იერუსალიმ-კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქო კარზე, ასევე საქართველოშიაც XVII ს. 80-იან წლებში. ამ წამოწყებას იერუსალიმში მეთაურობდა პატრიარქი დოსითეოსი, რომელიც ახლო იცნობდა საქართველოს, ხოლო საქართველოში — მეფე არჩილ მეორე, მეფე გიორგი XI და სხვ.

იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქო ძველთაგანვე დიდი გავლენით სარგებლობდა საქართველოში. იგი მკვიდროდ იყო დაკავშირებული როგორც საქართველოს საზღვარგარეთულ სამონასტრო ძველ ცენტრებსა და ქართული ეკლესიის მღვდელმთავრებთან, ისე ქვეყნის გამგებელ მეფე-მთავრებთან. იერუსალიმის საპატრიარქო საქართველოში ფლობდა მეფე-დიდებულთა მიერ შეწირულ საკმაოდ დიდი რაოდენობის მამულს, ჰყავდა ყმა გლეხები, რომელთაგან მნიშვნელოვანი შემოსავალი ჰქონდა ბეგარა-ვადასახადების სახით.

XVI—XVII საუკუნეებში, როცა ირანისა და თურქეთის აგრესიები გაძლიერდა, ახლო აღმოსავლეთისა და, კერძოდ, საქართველოს ქრისტიანული ეკლესია მძიმე განსაცდელში აღმოჩნდა. სოფლებსა და ქალაქებთან ერთად ნადგურდებოდა ეკლესია-მონასტრები, მიმდინარეობდა პროცესი ქრისტიანთა იძულებითი გამაჰმადიანებისა. ხშირბა შემოსევებმა მოშალა მწიგნობრულ-სამწერლობო კერები, შეამცირა სამღვდელმსახურო საჭირო წიგნები კულტმსახურების სხვა აუცილებელ საგნებთან ერთად, რაც დიდ საშიშროებას უქმნიდა ქრისტიანულ ეკლესიას.

ამგვარ რთულ ისტორიულ პირობებში ჩვენ სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მოღვაწის, პატრიარქ დოსითეოსის, დაინტერესება და ზრუნვა ქართული საეკლესიო წიგნების სტამბურად გავრცელებისათვის. ამ უკანასკნელზე ნათელ წარმოდგენას იძლევა წერილი, რომელიც

დოსითეოსს 1683 წ. სახელოვანი მეფისა და მგონის არჩილ მეორისადმი მიუწერია. თავისი დროის ამ ორი დიდი სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწის კავშირთაერთობა და ერთობლივი ზრუნვა ქართული წიგნის სტამბურად ბექდვის შემოღებისათვის, როგორც ისტორიული ფაქტი, თავისთავად უაღრესად საინტერესოა. ბართში ვკითხულობთ: „...ჩივილის¹⁰ გარდა სიხარულიც მინდა გაცნობოთ. ქართულად ბექდვის შემოღება გადაწყვიტეთ, დაე, ქართული წიგნებიც ისე იბეჭდებოდეს აქ. როგორც ბერძნული. სხვათაგან ბევრს ვზრუნავთ ქართველებზე. როგორც კი დავაპარულებთ, შეგატყობინებთ. მანდ ერთი ბერია. სახელად ტიმოთე, ყოფითა და ზნით კეთილმართალი და ჩვენი გამოზრდილი, მისი მეშვეობით მოიწერე ხოლმე ჩვენთან წერილები. ასე გავიგებთ თქვენი ცხოვრების ამბავს. 1683 წ. 23.IX.“

დოსითეოსი მოკოთხეავს ლოცვა-კურთხევით უთვლის არჩილის მეუღლესა და შვილებს. დასასრულ. კეთილი სურვილებით ბართზე ხელს აწერს — „იერუსალიმის პატრიარქი, შენზედ მლოცველი დოსითეოსი“¹¹.

იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი მართლმადიდებლური ეკლესიის უდიდესი მოღვაწე და საქართველოსთან დაახლოებული პირი იყო. დოსითეოსი (დაიბადა 1641 წ. პელოპონესში, იერუსალიმის პატრიარქია 1669—1707 წწ., ანუ სიკვდილამდე) დიდად განათლებული პირი იყო, იგი იცავდა მართლმადიდებლობას, აღადგინა ბერძნული სტამბა და გახსნა სკოლები კონსტანტინეპოლში. დოსითეოსი საქართველოს 1681 წ. თებერვალში ეწვია. მან ახლო ურთიერთობა დაამყარა გიორგი XI-სთან, ლევან ბატონიშვილსა და არჩილ მეფესთან, მეფე-დიდებულებმა შეაგროვეს დიდძალი ფული. მათ საკუთარი ოჯახებიდან გამოიტანეს მამაპაპური განძი და ძვირფასეულობა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ვალების დასაფარავად. ჯვრის მონასტრის კეთილდღეობისათვის თუ რაოდენ ზრუნავდა ქვეყანა, ამის შესახებ დოსითეოსი არჩილ მეფეს ზემოთ აღნიშნულ ბართში ასე სწერს: „ლე-

¹⁰ ჩივილში დოსითეოსი გულისხმობს და არჩილ მეფეს მოახსენებს: თუ რაოდენ დიდი შეწირულება გაიღეს გიორგი XI და ლევან ბატონიშვილმა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ვალების დასაფარავად (ამაზე ქვემოთ).

¹¹ ა. თაარ ტრეპის პუბლიკაცია — ქართული წყაროთმცოდნეობა, წ. 3, თბ., 1971, გვ. 248—255.

არჩილ მეფისადმი მიწერილი დოსითეოსის წერილი, ბერძნულ ენაზე დაწერილი. უთარგმნია თარგიან კონსტანტინე ქრისტეფოროვს. რუსეთის არქივში შემონახულია ბერძნულიდან რუსულ ენაზე თარგმნილი ტექსტი. ამ წერილის ბერძნულ ორიგინალში სამი სტრიქონი ქართულად ყოფილა დაწერილი. რომელიც ენის უტოლინარობის გამო ვერ უთარგმნია ქრისტეფოროვს და, ამდენად, ეიღრე დედანი აღმოჩნდებოდას, რჩება უცნობად ჩვენთვისაც.

უნამა თავისი ცოლის ლალის ჭვიანი წყვილი საყურე მოგვცა — 1800 ტალერად გაეყიდეთ. შენმა ძმებმა მამათქვენის შუბის წვერი, უნაგირი, ქამარი და ხანჯალი მოგვცეს. უნაგირი 2500 ტალერად, შუბის წვერი 2000 ტალერად, ქამარი 1000 ტალერად, ხანჯალი კი 1200 ტალერად გაეყიდეთ: ეს ფულები, სხვა შეწირულებასთან ერთად, ჯვრის მონასტრის ვალებმა წაიღო“.

დოსითეოს პატრიარქის მეშვეობით გიორგი XI-მ (ქართლის სამეფო ოჯახმა) გადაიხადა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის დავალიანება. მას დოსითეოსისათვის ძვირფასეულთან ერთად გადაუცია 60.000 მარჩილი ფულად, გარდა ამისა „...გავგზავნეთ ჩვენი კაცები გილანს: — აბრეშუმში უნდა იყიდონ და ცხრა თვეში უნდა იზმირს მიიღონ და როდესაც გაყიდონ აბრეშუმში. ფასი ბატონმა პატრიარქმა უნდა გამოართვას ბურსას. ანდა სტამბოლს... პატრიარქმა ამით ქართველთა მონასტერი დაიხსნასო“¹².

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით გიორგი XI-მ დოსითეოს პატრიარქის წინადადებით მოშალა მიცვალებულთა ბოლომოუღებელი დატირებს ძველებური წეს-ადათები¹³.

თ. ჟორდანიამ ჯერ კიდევ 1885 წ. გამოქვეყნებულ წერილში, როცა იგი არ იცნობდა დოსითეოს პატრიარქისა და აზიჩილ მეფის აქ შოტანილ მიწერ-მოწერას. აღნიშნა, რომ იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს გიორგი XI-სა და საქართველოს სამეფო სასახლესთან დაახლოებულ ბევრ სხვა პირთან ერთად ახლო იცნობდა და წლების მანძილზე მასთან იყო დაკავშირებული ვახტანგ VI. იქ მოკრძალებით ნათქვამია: — „მცირეოდენი საფუძველი ნებას გვაძლევს ვარაუდით ვსთქვათ, რომ ვახტანგს, როდესაც ის უსაქმოდ იმერეთში იმყოფებოდა, მოლაპარაკება ჰქონდა [სტამბის მოწყობილობის შესახებ] იერუსალიმის პატრიარქთან დოსითეოსთან. რომელიც 1696—1697 წწ. საქართველოში მოგზაურობდა“¹⁴.

12 Акты... т. I, гл. 26—27. ქრისტეს ქალაქში, იერუსალიმში, ქართველთა მონასტერი დააარსა IV საუკუნეში საქართველოს პირველმა ქრისტიანმა მეფემ წმინდა მირიანმა. იქ, სადაც ქრისტე ჯვარს აცეცა, მოკლე ხანში ქართულ საზღვარგარეთულ-რელიგიურ-მწიგნობრული და კულტურულ-საგანმანათლებლო მცირე კერა დიად ცენტრად იქცა. XI საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს სამეფო კარის სახსრებთან და ცნობილი მოღვაწის გიორგი პროხოროსს მზრუნველობით იერუსალიმში აშენდა ჯვრის მონასტრის დიდი კომპლექსი. ხელნაწერების დიდი ნაწილი იერუსალიმის ბიბლიოთეკაშია დაცული. ხოლო ამ ხელნაწერთა ნაწილი (XIII საუკუნის ჩათვლით) მიკროფილმზეა გადაღებული და თბილისში ინახება.

¹³ ვახუშტი. საქართველოს ისტორია, I, თბ., 1885, გვ. 10.

¹⁴ თ. ჟორდანიძე. — ჟურნალი „ივერია“, 1885, X, გვ. 103—104.

ახლად აღმოჩენილი საბუთით სიზუსტით და გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ 1680-იან წლებში ქართული წიგნის ბეჭდვასა და სტამბის დაარსებაზე დოსითეოს პატრიარქს საქმიანი მიწერ-მოწერა ჰქონდა არჩილ მეფესთან: სასტამბო დაზგის მოწყობის აზრი არჩილს, გიორგი XI-სა და მათ ძმისწულს — ვახტანგს — გვაუწყებს თ. ჟორდანიას — უნდა დაბადებოდით იერუსალიმის დოსითეოს სწავლული პატრიარქის (1669—1707) მეშვეობით. ამ უკანასკნელს ერთი ზამთარი გელათის მონასტერში გაუტარებია¹⁵.

პოლ. კარბელაშვილი თავის ნაშრომში „იერარქია საქართველოს ეკლესიისა“ (თბ., 1900 წ.) აღნიშნავს, რომ კათალიკოსი „დომენტი (1704—1724, 1738—1742), ლევანის ძე, ძმა ვახტანგ მე-6 სკულმდებლისა. პატრიარქ დოსითეოსს გაჰყვა. პატრიარქმა დოსითეოსმა დომენტი იეროდიაკონად აკურთხა. აქ დომენტი დაუმეგობრდა სტამბის გამგეს, შეისწავლა წიგნის ბეჭდვის საქმე, ნატრობდა დღედაღამ, — როდის ეღირსებოდა თავის საშობლოში სტამბის გახსნასა... დომენტი, რომელიც 1704 წ. აირჩიეს კათალიკოსად, შეუდგა სტამბის გამართვას. ამ სასიკადადლო საქმეში დომენტის დაეხმარა ვახტანგ მე-6“. [1705] სტამბა მზად იყო. აქ შრომობდნენ: ნიკოლოზ ორბელიანი, გერმანე, კვიპრიანე სამთავნელი, ანჩისხატის დეკანოზი იოსებ, გრიგოლ მხატვარი და სხვ.

კვიპრიანე სამთავნელი ბერძნული ენის კარგი მცოდნე იყო. მისივე ანდერძით ვგებულობთ, რომ „ბერძნულთა წიგნთა და ენისა სწავლულ ვიყავ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან“¹⁶.

თ. ჟორდანიას ცნობით დოსითეოს პატრიარქს საქართველოში მოგზაურობისას თან ახლდა ორი თანამგზავრი — „დეკანოზის შვილი მიქელი“ და „ბერძენი არქიმანდრიტი სერგიოსი“, რომლებიც შემდეგ „მშრომელად გახდნენ ტფილისში დაარსებულ ქართულ სტამბაში“¹⁷.

„ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილ მიქელი“-ს. გვარად მიქაძის. ასეთი დაახლოებება დოსითეოს პატრიარქთან იმაზეც მიგვანიშნებს, რომ იშტვანოვიჩის თბილისში ჩამოსვლა-მოღვაწეობის დროისათვის მიქელი, ნ. ორბელიანთან, დეკანოზ იოსებთან და სხვ. ერთად, სასტამბო საქმის გამოცდილ მუშაკად იყო აღიარებული, მაგ., 1712 წ. თბილისში დასტამბული ვეფხისტყაოსანი „გაიმართა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა“. „აქვე აღნიშნულია, რომ „მიქელი მესტამბე იყო“ და მიქელის თაოსნობით „დაეცრულა ბეჭდვა ამ წიგ-

15 თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 482—483.

16 „ეურთხევანი“, 1713, კვიპრიანეს ანდერძი.

17 თ. ჟორდანიას, დასახ. წერილი. — ჟურ. „ივერია“, 1885, X, გვ. 103—104.

ნისო“¹⁸. იმტვანოვიჩის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1712 წლიდან თბილისის სტამბას მართავს დეკანოზის შვილი მიქელი, რომელიც მას უძღვება ოფიციალურად. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა ვარაუდისათვის, რომ მიქელს, მსგავსად კეპრიაზე სამთავნელისა. დომენტი კათალიკოსისა და ანთიმოზ ივერიელისა, სასტამბო საქმით დაინტერესება ასევე დოსითეოსის ხელშეწყობით შეეძლო. მიქელი აქტიური მონაწილე უნდა ყოფილიყო დომენტი კათალიკოსის სახელთან დაკავშირებული თბილისის პირველი სტამბის დაარსებისა და ამუშავებისა, სადაც 1705 წ. „დავითნი“ დაუბეჭდავთ.

დოსითეოს პატრიარქის ბარათი არჩილ მეფესაღმი ერთ-ერთ სანდო წყაროდ წარმოვიდგება ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვის სათავეების ისტორიის მეცნიერულ საფუძველზე დაფუძნებისა და კვლევა-ძიების სწორად წარმართვისათვის. ამ ბარათით კარგად ჩანს, თუ რაოდენ დაწინაურებული იყო XVII საუკუნის მეორე ნახევარში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში სასტამბო მეურნეობა.

საგულისხმოა დოსითეოსის განცხადების კატეგორიულობა. იგი არჩილ მეფეს სწერს: „მინდა გაცნობოთ. ქართულად ბეჭდვის შემოღება გადავწყვიტეთ აქ, დაე ქართული წიგნებიც ესე იბეჭდებოდეს აქ, როგორც ბერძნული... როგორც კი დავასრულებთ, შეგატყობინებთ“. რა ირკვევა? XVII ს. 80-იანი წლების დამდეგს დოსითეოსის თაოსნობით გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს კონსტანტინეპოლში ქართული წიგნების ბეჭდვის დასაფუძნებლად. სადაც ბერძნული წიგნები უკვე იბეჭდებოდა. მაგრამ რა გზითა და რა საშუალებით მიიღწეოდა ეს, წერილში არაფერია თქმული. ამგვარი მოღვაწეობისათვის საპატრიარქო კარზე ნიადაგი შემზადებული უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების ერთ-ერთ არგუმენტად ისიც გასათვალისწინებელია და ანგარიშგასაწევი, რომ იმ პერიოდში დოსითეოსთან დაკავშირებული არიან ანთიმოზ ივერიელი და დომენტი — ვახტანგ VI ძმა. რომელიც 1704 წ. კათალიკოსად დაჯდა.

ოთარ გვინჩიძემ 1773 წ. გამოაქვეყნა მონოგრაფია — „ანთიმ ივერიელი“, მასში სხვა საკითხებთან ერთად გაშუქებულია ანთიმოზ ივერიელის მოღვაწეობა, სასტამბო მეურნეობისა და წიგნის ბეჭდვის საქმის განვითარებაში მისი მონაწილეობა ვახტანგ VI სამეფოში ქართული სტამბის გამართვისას¹⁹.

ო. გვინჩიძე მართებულად ფიქრობს, რომ ანთიმოზ ივერიელმა სტამბის გამართვა და წიგნების ბეჭდვის ორგანიზაცია ვლახეთში და-

¹⁸ ვეფხისტყაოსნის თავფურცელი და მეფე ვახტანგ VI-ის განმარტების დასაწყისი.

¹⁹ ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, თბ., 1973, გვ. 14—95.

იხლებადაც, ანუ 1690-იან წლებამდე, შეისწავლა. წიგნში ნაჩვენებია, როგორ გამოისყრდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა კონსტანტინეპოლში ტყვეობიდან ანთიმოზ ივერიელი და რა უდიდესი ამაგი დასდო ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ანთიმოზის აღზრდა-განათლების სწორად წარმართვას. მან ქ. იასაში 1682 წ. დააარსა ბერძნული სტამბა, რომელშიაც, გვინჩიდის ვარაუდით, ანთიმოზს შეეძლო სტამბის საქმესა და წიგნების ბეჭდვაში დახელოვნება²⁰.

ო. გვინჩიდის კატეგორიული განცხადებით, ანთიმოზ ივერიელს სხვა ადგილს არ შეეძლო სტამბის გამართვისა და წიგნის ბეჭდვის საქმის შესწავლა, რადგან სტამბა არ არსებობდა არამცთუ იერუსალიმსა და კონსტანტინეპოლში (სადაც მან მეოთხედი საუკუნე იცხოვრა პატრიარქ დოსითეოსთან), არამედ ასევე ანტიოქიასა, ალექსანდრიასა. ელახეთსა და რუმინეთის სხვა ქალაქებში, მაგ., XVII ს. 30-იან წლებში თურქებს კონსტანტინეპოლში მოქმედი ბერძნული სტამბა გაუქმებიათ და დიდი ხნის განმავლობაში აღარ მოქმედებდა იგი. გვინჩიდის აზრით, რაკი არცერთ ამ ქვეყანაში სტამბები არ არსებობდა XVII საუკუნის მეორე ნახევარში, „ანთიმ ივერიელი მესტამბეობას დაუფულა ან რუსეთში, ან პატრიარქ დოსითეოზის მიერ ქ. იასაში დაარსებულ სტამბაში“²¹.

დოსითეოს პატრიარქის თაოსნობით საპატრიარქო ბერძნული სტამბის კონსტანტინეპოლში არსებობას შ. კურდღელაშვილი ჯერ კიდევ 1954 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში ვარაუდობდა. ეს ვარაუდი გამართლდა 1971 წ. გამოქვეყნებული თ. ტიგაძის პუბლიკაციით — დოსითეოს პატრიარქის აღრე უცნობი წერილით არჩილ მეფისადმი, რომელიც 1683 წლის 23 ნოემბრით თარიღდება.

კონსტანტინეპოლში სტამბის არსებობას განამტკიცებს სხვა გამოქვეყნებული ნაშრომიც²², რომლითაც ირკვევა, რომ იმავე 1682 წელს დოსითეოს პატრიარქს კონსტანტინეპოლში დაუბეჭდია წიგნი, რომელიც იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთეს 1709 წ. 27 ივნისს უჩუქნა შეედი მეცნიერის მ. ენემანისათვის, რომელიც კონსტანტინეპოლში სამეცნიერო მიზნებით მოგზაურობდა.

გ. ლეონიძემ, როგორც ცნობილია, 1951 წელს აღნიშნა, რომ მესტამბე ანთიმოზ ივერიელი სასტამბო ხელოვნებას დაუფლებია თავდაპირველად კონსტანტინეპოლში. გ. შარაძეს ასევე დასაშვებად მიაჩნია, რომ „დოსითეოს პატრიარქი თავის სტამბაში 1682 წელს

20 ო. გვინჩიძე. იქვე.

21 იქვე. გვ. 94--95.

22 გ. შარაძე. მიკლოუს კიზო ტოტფალუში და ქართული სტამბა, თბ., 1982,

ქართული წიგნების ბეჭდვის წამოწყებას, როცა არჩილ მეფეს ზემოდასახელებულ წერილში ატყობინებდა, ამას სწორედ ანთიმოზ ივერიელის იმედით აპირებდა²³.

ასეთია სინამდვილე, რომელსაც წყაროთა უქონლობის გამო შეკლებარი ო. გვინჩიძე ანგარიშს ვერ უწევდა მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

ანთიმოზ ივერიელი (1650—60 წწ. — 1716 წ.) ახალგაზრდობაში (16 წლის ასაკში) საქართველოდან გაიტაცეს ტყვედ და კონსტანტინეპოლში გასასყიდად ჩაყვანილი მონობიდან დაიხსნა იერუსალიმის პატრიარქმა²⁴.

ანთიმოზ ივერიელის პატრიარქის მიერ გამოსყადვის მოტივად შეკლებარნი (მაგ., კურდღელაშვილი) იერუსალიმის საპატრიარქო კარზე ქართულის მცოდნე თარჯიმანის საჭიროებით ხსნიან. ამის საბუთად მოაქვთ დოსითეოსის წერილი საქართველოს კათალიკოსისადმი, სადაც ვკითხულობთ: „თქვენი წერილები მეტად საგულისხმოა, მაგრამ ვინ გვითარგმნის ჩვენ ყოველივე ამას, თარჯიმანი არა გვყავს, ათასჯერ მომიწერია თქვენთვის, რომ გამოგვიგზავნეთ აქ ერთი ყრმა აღსაზრდელად განსწავლისათვის და თქვენთან მიმოწერის საწარმოებლად, მაგრამ თქვენ ეს არ გააკეთეთ“²⁵. ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ო. გვინჩიძის დაკვირვება იმის შესახებ, რომ ივერიელის 23 წლიანი მოღვაწეობა საპატრიარქოს კარზე არ შეიძლებოდა მხოლოდ თარჯიმნობით შემოვზღუდოთ. ავტორი სწავლობს საპატრიარქოს წინაშე მდგარ ძირეულ კულტურულ ამოცანებს და ფიქრობს, რომ საპატრიარქოს „ნომერ პირველი პრობლემა იყო სასტამბო საქმის მოგვარება“²⁶. აქედან გამომდინარე იგი საესებით მართებულად აყენებს კითხვას: „რატომ უნდა გამოვრიცხოთ ის შესაძლებლობა, რომ პატრიარქ დოსითეოსსაც ჰქონოდა ანალოგიური მიზნები ბერძნულ სტამბასთან დაკავშირებით, სადაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ანთიმ ივერიელს როგორც შესანიშნავ მხატვარს, გრავიორსა და კალიგრაფს“²⁷. ანთიმოზ ივერიელს განსაკუთრებით დიდი სარგებლობა

23 იქვე. გვ. 176.

24 შეკლებარები აკად. გ. ლეონიძე, ფ. ჭინჭიხაშვილი ფიქრობდნენ, რომ იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა ანთიმოზ ივერიელის მონობიდან გაპოსყიდა 1666 წ. შესწლო. ო. გვინჩიძემ ვაარკვია, რომ დოსითეოსი პატრიარქად 1669 წ. აკურთხეს, 1666 წ. კი იერუსალიმის საპატრიარქოს განაგებდა ნექტარიოსი, ე. ი. ანთიმოზი მონობიდან დაუხსნია დოსითეოს პატრიარქის წინამორბედ ნექტარიოსს (იხ. ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, გვ. 21, თბ., 1973, ასევე გვ. 60).

25 წერილი მოგვყავს შ. კურდღელაშვილის წიგნის — ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 23-ის მიხედვით.

26 ო. გვინჩიძე, ანთიმ ივერიელი, გვ. 59.

27 იქვე.

შეეძლო მოეტანა პატრიარქ დოსითეოსის იმ ჩანაფიქრის განხორციელებით, რომლის შესახებაც იგი არჩილ მეფეს სწერდა — „კონსტანტინეპოლში გამართულ საპატრიარქო სტამბაში ბერძნულ წიგნებთან ერთად ქართული წიგნების ბეჭდვის ხორცშესხმავზე“. მართლაც, ისმის საკითხი: რისი და ვისი იმედით შეეძლო აღეთქვა სახეიმიოდ დოსითეოსს მეფე არჩილისათვის კონსტანტინეპოლში ქართული წიგნების ბეჭდვის მოწყობის შესახებ, თუ მას არ ეყოლებოდა სასტამბო საქმისა და ქართული ენის მცოდნე პირი? ასეთად საპატრიარქოს კარზე იმ დროს მხოლოდ დომენტი ბატონიშვილი და, აგრეთვე, ანთიმოზ ივერიელი შეიძლება ვიგულოთ; მათ ამასთანავე შეეძლოთ დოსითეოსისათვის ესოდენ საპირო თარჯიმნობაც გაეწიათ საქართველოს კათალიკოსსა და მის საეკლესიო უწყებასთან. ამიტომ, ბუნებრივია, მიწერ-მოწერასაც თავისუფლად აწარმოებდნენ. პატრიარქ დოსითეოსის წერილიდან ჩანს, რომ კონსტანტინეპოლში არსებობდა სტამბა, სადაც, ამასთანავე, განზრახული იყო წიგნების ქართულად ბეჭდვაც, ამიტომ არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ ანთიმოზ ივერიელი ამ დარგში დაოსტატებისათვის იასში ან რუსეთის რომელიღაც ქალაქში გამგზავრებულიყო. ჩვენთვის ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომაც ენიჭება, რომ სწორედ აქ, კონსტანტინეპოლში, დოსითეოსთან ჩადის და დიდი ხნით რჩება დომენტი (კათალიკოსი), ვახტანგ VI ძმა: იგი ახლო ეცნობა ანთიმოზ ივერიელს და მასთან მკიდრო მეგობრული ურთიერთობის დამყარების საფუძველზე სწავლობს სტამბის გამართვისა და წიგნის ბეჭდვის საფუძველებს.

ის ფაქტი, რომ კონსტანტინეპოლში, სადაც ანთიმოზ ივერიელი იმყოფებოდა და დოსითეოსის ცნობით XVII ს. 80-იან წლებში მოქმედებდა ბერძნული სტამბა, ქართული წიგნის ბეჭდვისათვის ასევე თითქოს მომზადებული ყოფილან, — საფუძველს იძლევა იმისას, რომ აქვე უნდა მომზადარიყო მოკრა და ჩამოსხმა ქართული ანბანისა ქართული წიგნის დასაბეჭდად, რომელსაც, ეჭვი არაა, თავისი გავლენა შეეძლო მოეხდინა საქართველოში სტამბისა და წიგნის ბეჭდვის გაჩენა-განვითარებაზე. ასეთ ისტორიულ ვითარებაში, XVII—XVIII სს მიჯნაზე, მეფე არჩილ II, ლევან III, გიორგი XI და ქართლის გამგებელ ვახტანგ VI თაოსნობით და დომენტი კათალიკოსის მოქმედებით მოსახერხებელი გამზდარა თბილისში პირველად მარტივი სტამბის გამართვა; ამ სტამბაში დაბეჭდილი წიგნი პ. კარბელაშვილს აღნიაშვილების ოჯახში უნახავს. ავტორი ხელდადებით ასეთებად ანახელებს თბილისში 1705 წელს დასტამბულ „ოდისს“ და „დავითს“²⁸. ამრი-

²⁸ საქართველოს ისტორიის XVII—XIX სს. ქრონიკები. ტექსტი გამოსაცემად მოაზრდა. გამოკლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ა. იოსელიანს.

ვად. ვახტანგ VI-ს მიერ დაარსებულ სტამბას იშტვანოვიჩის ხელმძღვანელობით, ირკვევა, წინ უსწრებდა თბილისში მოქმედი მარტივი სტამბა.

სტამბის განახლებას, როგორც წესი, ძალიან ხშირ შემთხვევაში ახლად დაარსებულ აცხადებდნენ. მაგ., 1712 წელს იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთეს დახმარებისათვის მიუმართავს ანთიმოზ ივერიელი-სათვის იერუსალიმში სტამბის დაარსების შესახებ. სადაც ებრაელ სამღვდლოებას, როგორც ჩანს, ჰქონდა ებრაული სტამბა, აქვე არსებობდა ბერძნული სტამბაც. აქაც, რასაკვირველია, ძველი სტამბის რეკონსტრუქციაცაზა მსჯელობა და არა ახლის დაარსებაზე. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმდენად დაწინაურებული იყო რუმინეთში სასტამბო მეურნეობა და შორს წასული წიგნის ბეჭდვა ანთიმოზ ივერიელის მეთაურობით, რომ ძველი სტამბების განახლება, როგორც ირკვევა, ხელახლად დაარსებულ ცხადდებოდა.

ანალოგიურ შემთხვევასთან შეიძლება გვქონდეს საქმე ანთიმოზ ივერიელის მიერ თბილისში ვახტანგ VI სამეფო კარზე წარმოგზავნილ იშტვანოვიჩის ნაღვანზე. იშტვანოვიჩის მიერ მოძველებული ან ტექნიკურად დაბალ დონეზე გამართული ქართული სტამბის საფუძვლიანი რეკონსტრუქციის დამთავრების თარიღი, 1709 წელი, თბილისში სტამბის ახლად დაარსების თარიღად მიუჩნევიან. ბუნებრივია, ერთი წლის (1708 წ.) წინ თბილისში ჩამოსულ მიხაის სტამბის დაარსება არ შეუძლო. აქ აღნიშნული ფაქტები სერბოზულ ჩაფიქრებას და ჭეროვანი მეცნიერული დასკვნის გაკეთებას გვაძლავს იმისათვის, რომ მშობლიური თბილისის პირველი სტამბის დაარსება ტრადიციულად დამკვიდრებული (1709 წ.) თარღიდან რამდენიმე წლით ადრე გადაადგილდეს. აქ აღნიშნულს წინააღმდეგ თქმა იმისა, რომ აღმოსავლეთის მართლმადიდებელ-ბერძნული ეკლესიის მესვეურთა (იერუსალიმის, კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის და სხვ.) საპატრიარქოებში არსად სტამბა არ არსებობდა, როგორც დავრწმუნდით, არგუმენტად არ გამოდგება, არასწორია.



გ. ლეონიძემ „ქების ლექსთან“ ერთად მოიპოვა 1709 წ. თბილისში დაბეჭდილ „სახარებაში“ ჩაკრული წერილი რუმინულ ენაზე ანთიმოზ ქართველის ხელმოწერილი და გოსპოდარისადმი მირთმეული, სადაც ნათქვამია: „ესე წმიდა წიგნი (სახარება) ეძღვნება მაღალს გოსპოდარს. ეს წიგნი ახალი ნაყოფია, რომელიც აღორძინდა ივერიის

ანმა, თბ., 1980. ქვემოთ შემოკლებით ვუთითებთ: ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები.

მიწაზე შენი შეწევნით და ესე მიწა გამდიდრდა თავისი ბექლურო სიტყვით. ისევე. როგორც გამდიდრდა ბექლური სიტყვით არაბეთი, ელადა და უნგრო-ვლახეთი.

როგორც სამოთხიდან გამომდინარეობენ მდინარენი ფისონი, გეონი. ტიგროსი და ეფრათი. რომელნიც ამდიდრებდნენ მიწას ნაყოფიერებით. მაგრამ ხან ზიანიც მოჰქონდათ, ასევე შენის დახმარებით გაიფურჩქნა სტამბური სიტყვა ამ ოთხ ქვეყანაში, მოჰქონდა რა მხოლოდ სარგებლობა ამ ქვეყნებისათვის. ამისათვის სახელი შენი იცხოვრებს საუკუნეებში.

მაისის 28, 1710 წელი.

უღრესად შენი ერთგული და მუდამ შენზე მლოცველი ანთიმ, მიტროპოლიტი უნგრო-ვლახეთისა²⁹.

დიდმნიშვნელოვანია აგრეთვე მეორე საბუთი: ანთიმოსის წერილი იერუსალიმის პატრიარქისადმი, დათარიღებული 1713 წლის აპრილის 6-ით. ამ წერილით ანთიმოზი აცნობებს პატრიარქს, რომ საქართველოდან 1712 წელს წამოსული მესტამბე მიხეილ დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ მშვიდობით მისულა დანიშნულ ადგილს. „მსგავსად გოსპოდარისადმი მიმართვისა, წერს ქ. შარაშიძე — ანთიმოსის ამ წერილსაც იმ დასკვნამდის მივყავართ, რომ ანთიმოსს უშუალო მონაწილეობა მიუღია მესტამბის გამოგზავნაში, რომ ანთიმოსის მოწაფე მიხაილ მესტამბე საქართველოში გაგზავნილი ყოფილა არავლახთა მეფის არჩევნით, როგორც ეს „ქების ლექსის“ სტროფებშია წარმოდგენილი. არამედ ანთიმოსის რეკომენდაციით“³⁰.

ქრისტინე შარაშიძე დაასკვნის, რომ:

I. ვახტანგს უნგროვლახეთიდან გამოუწერია მხოლოდ მესტამბე (მიხაილ უნგროვლახელი).

II. სტამბის მოწყობილობა თბილისში გაუქვთებიათ.

III. მიხაილ უნგროვლახელს სასტამბო მოწყობილობის ნაწილი დაუმზადებია საკუთარი ხელით (ამ შემთხვევაში „მოქმედი“ იყო პირადად მიხაილი).

IV. სტამბის იარაღების ნაწილი იმავე მიხაილის მითითებით, მაგრამ ადგილობრივი ხელოსნების ხელით გაკეთებულა.

ამ წერილმანების გარკვევას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს: რაკი უნგროვლახელ მესტამბეს საკუთარი ხელით, ადგილობრივი ოსტატების ნიშველიებით, შეეძლო სტამბის მთელი მოწყობილობის გაკეთება.

²⁹ გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის, — ჟურნ. დროშა, 1951, № 2, გვ. 18.

³⁰ ქრისტინე შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 90..

სტამბის მზამზარეული იარაღებს შორი და სახიფათო გზით მოტანას არავეითარი აზრი არ უნდა ჰქონოდა³¹.

ანთიმოზ ივერიელის ბარათი გოსპოდარისადმი: ბევრ სხვა უტყუარ დოკუმენტთან ერთად ერთხელ და სამუდამოდ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ვახტანგ VI სტამბის გამართვაში აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი თანამემამულე ანთიმოზ ივერიელი, ამის შესახებ კი სრულიად დუმს და ერთი სიტყვითაც არაფერია თქმული ვახტანგის სტამბიდან გამოსული წიგნების საგამომცემლო მონაცემებში — როგორც მათ თავფურცლებზე, ასევე ანდერძებსა და უბრალო მინაწერებშიაც. ეს ფაქტი ერთგვარად იმის საფუძველსაც იძლევა, რომ ჩვენ ეპევი შეგვეპაროს ამ წიგნზე გაკეთებული ასევე სხვა საგამომცემლო მონაცემების ობიექტურობაში. ან იქ აღწერილია ყოველივე ისე, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, ან სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციულ-სუბიექტური ხელი ურევია საქმეში და ამდენად ამ მინაწერებით იჩრდილება სტამბის ნამდვილი ისტორია. მეცნიერული კვლევა-ძიება ერთხმად აღიარებს იმ დიდ როლს თბილისის ე. წ. ვახტანგ VI სტამბის დაარსება-აღორძინებაში, რომელიც ანთიმოზ ივერიელს მიუძღვის (გ. ლეონიძე, ო. გვინჩიძე, ქ. შაარშიძე, შ. კვასხვაძე და სხვ.), მაშინ რატომ სდუმს ვახტანგ VI მთელი სტამბური პროდუქცია და არაფერს ამბობს ამ ფაქტის შესახებ?

ჩვენ არაფერს ვიტყვოდით, რომ მხოლოდ ანთიმოზის მიმართ ჰქონდეს ადგილი ამგვარ დამოკიდებულებას (ამაზე ქვემოთ); ასეთი გაურკვეველობის ვითარებაში, ძალაუფლებურად, დაეკებას იწვევს ვახტანგ VI სტამბაში 1709 წელს დაბეჭდილი „სამოციქულოს“ ბოლოსიტყვაობის კატეგორიული განცხადება, სადაც ვკითხულობთ: „ოდეს განაგებდა საქართველოსა ძმისწული კეთილმორწმუნის მეფის არჩილისა და სახელოვანის მეფის გიორგისა და ძე ბატონის ლევანისა, ღთისმოყვარე, განათლებული ვახტანგ, იგულსმოდგინა და მოიღო სტამბა ვლახეთით, რომელი აროდეს ყოფილიყო საქართველოში“³². მართალია, პანეგირიკული თვითგანმადიდებლური ამგვარი მინაწერები სტამბის მფლობელი მეფის საამებლად, როგორც აღინიშნა, მართო ვახტანგ VI სტამბიდან გამოსულ წიგნს არ ახასიათებს; ასე იყო მეტნაკლებად სხვა არაერთ სამეფო ხელისუფლებას დაქვემდებარებულ იმდროინდელ სტამბის მეპატრონე ქვეყნებში (მაგ., რუსეთში). იქ გამოცემული წიგნების საგამომცემლო მონაცემები ასევე ადასტურებენ მსგავს მინაწერ გალაჭარბებებს.

31 იქვე, გვ. 93.

32 ქართული წიგნი, 1941, გვ. 13.

მაგრამ ვახტანგ VI სტამბიდან გამოსულ წიგნთა მინაწერები ბევრად შორდება საერთოდ აღიარებულ ამ ტრაფარეტს; ისეთი შთაბეჭდლება იქმნება, რომ თბილისის სტამბის როგორც დაარსების ისტორია, ასევე მისი მთელი მეტად საინტერესო საქმიანობა თითქოს ძალზე გაღარიბებულია და ერთგვარად გაუბრალოებულიც. აქ აღნიშნულს არაერთი ფაქტი ადასტურებს, მაგალითად: 1. საგამომცემლო მინაწერები ვახტანგ VI სტამბის წიგნებზე ასევე უგულვებელყოფენ ვახტანგ VI წინამორბედ მეფე-დიდებულთა არჩილ II-სა და გიორგი XI-ს მეთაურობით გაწეულ ღვაწლს და დაუცხრომელ ზრუნვას ქართული სტამბის დაარსებისათვის. 2. ერთ სიტყვასაც ვერ შეხვდებოდა კაცი იერუსალიმის პატრიარქების დოსითეოსისა და ხრისანთეს ღვაწლის შესახებ, რომელთაც უდიდესი ამაგი დასდეს თბილისში როგორც სტამბის დაარსებას, ასევე მის ტექნიკურ რეკონსტრუქციას, ვახტანგ VI-მ ხომ პირადად ხრისანთეს მიმართა დახმარებისათვის? 3. სრულიად გვერღმველია ქართული ეკლესიის მესაქის დომენტის როლი და მონაწილეობა თბილისის სტამბის როგორც დაარსებაში. ასევე საქმიანობაში, საღვთო წიგნების ბეჭდვის საქმეში (ამაზე ქვემოთ, როცა მოგვიანებით ანტონ I ფაქტიურად სათავეში ედგა ერეკლე II-ის სტამბას).

გ. ლეონიძის აზრით საქართველოში პირველი სტამბის მოწყობის ერთ-ერთ მთავარ მონაწილედ ითვლებოდა რუმინეთის დიდი კულტურული მოღვაწე ანთიმოზ ქართველი (ანთიმოზ ივერიელი, 1650—1717). მან სტამბების მთელი ქსელით დაფარა თავისი მეორე სამშობლო, რის შედეგადაც უნგროვლახეთი მთელი აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნების წიგნებით მომპარაგებელ ცენტრად გადაიქცა. ანთიმოზ ივერიელი მშობლიურ ქართულ და რუმინულ ენასთან ერთად ფლობდა უცხო ენებს და მისსავე სტამბებში 1691—1716 წწ. იბეჭდებოდა ბერძნული, რუმინული (სლავური ასოებით), ბერძნულ-რუმინული, ბერძნულ-არაბული და სლავური წიგნები³³.

ვახტანგ VI სტამბიდან გამოსულ ვერცერთ წიგნში ანთიმოზის სახელმა, როგორც აღინიშნა, ვერ ჰპოვა ასახვა.

ქართულ (და არამართო ქართულ) სამეცნიერო ლიტერატურაში დიდძალა კამათი და აზრთა სხვაობაა ძირეული საკითხის — თვით პირველი ქართული სტამბის დაარსების თარიღის შესახებ. ამ საკითხის სწორად გადაჭრას აძნელებს და ხელს უშლის როგორც ისტორიულ წყაროთა და ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა საგამომცემლო მონაცემების შეუსაბამობანი, ასევე თვით ამ წიგნების ანდერძთა მინაწერებში არსებული წინააღმდეგობანი და ურთიერთის

33 ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის, გვ. 174—175.

გამომრიცხველი ცნობები. მაგ., 1711 წ. ნაბეჭდი სახელმძღვანელოს ავტორის გერმანეს ანდერძში ნათქვამია, რომ „ამან (ვახტანგმა) მოიხენა სტამბა ქვეყნით ვლახეთით“. ამასვე წერს ნ. ორბელიანი 1709 წ. „სახარების“ ანდერძში — „მოილო სტამბა ვლახეთით“, ხოლო თვით ვახტანგ VI თავის ანდერძებში, რომელიც კი ახლავს მის გამოცემებს, მხოლოდ მესტამბის მოყვანას გვაცნობს — „მოვიყვანე მესტამბე ვლახეთით და გავაკეთე სტამბაო“ — აშკარა შეუსაბამობა³⁴.

ამგვარი შეუსაბამობანი, სამწუხაროდ, ხელს გვიშლის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში და მისაზრდობელია დაუსრულებელი აზრთა სხვაობისა, რომელიც დღესაც გრძელდება. ვფიქრობ, საქირთა ფრთხილი და მეცნიერულად მკაცრი კრიტიკული დამოკიდებულება მთელი იმ მდიდარი მასალისადმი, რომელიც ვახტანგის სტამბიდან გამოსულ წიგნთა საგამომცემლო მონაცემებმა შემოგვინახა. ამ ანდერძების მონაცემთა შინაარსს თუ სათითაოდ დაუეყვირდებით და მთლიანობაში გავაანალიზებთ, აშკარად შევნიშნავთ იმის ტენდენციას, რომ თბილისის სტამბის როგორც დაარსება, ასევე მთელი მისი საქმიანობა მხოლოდ ვახტანგ VI სახელს დაუკავშირონ და მით შემოიფარგლონ. არ გაუწიონ ანგარიში და გვერდი აუარონ თბილისის სტამბის დაარსების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორც ამას არაერთი სანდო ისტორიული წყარო და დოკუმენტი ადასტურებს.

კარგადაა ცნობილი, თუ რაოდენ დიდ როლს ასრულებდნენ წიგნის ბეჭდვის საქმეში ეკლესიის მესაქენი საზოგადოდ და, კერძოდ, საქართველოში. საკმარისია გავიხსენოთ ანტონ I როლი (1749—1788 წწ.) ერეკლე მეორის ღრონდელ სტამბაში, წიგნის საგამომცემლო მონაცემებით მეფის შემდეგ ანტონი უაღრესი პატივისცემითაა მოხსენებული, იგი თითქმის ყოველი გამოცემის რედაქტორია, წარ-

³⁴ იმის ნათესაყოფად, თუ რაოდენ სპირითა კრიტიკული დამოკიდებულება ნაბეჭდ წიგნებზე დართული საგამომცემლო მონაცემებისა და ანდერძ-მინაწერებისადმი, აქ მოვიტანთ 1803 წ. ქუთაისის სტამბაში დაბეჭდილი „სახარების“ ბოლოს ასეთი შინაარსის მინაბეჭდს; „ბრძანებითა მათის უმაღლესობისათა მიწოდებულ იქმნა რუსეთით მოსამსახურედ და გაკეთდა სტამბა ესე ხელთა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა. დაზღვის მმართველობითა და სტამბის ამის სახმართა ზედა გარჯითა პაიჭაქის გიორგისითა. სტამბის ამის მეშენი გუვერდებით ყოველგან შენდობას“ (იხ. ქართული წიგნი, 1941, გვ. 83).

ამ მინაწერზე დაყრდნობით ზოგნი ქუთაისის სტამბის დაარსების თარიღად 1803 წ. დებდნენ და მის დამაარსებლად ო. ზუბაშვილს მიიჩნევდნენ. სინამდვილეში ქუთაისის სტამბაში ჯერ კიდევ 1800 წ. დაიბეჭდა „ღვთისნი“, რომლის ანდერძიდან ვგებულობთ: სტამბა მეფის ბრძანებით „მისმა მონამ პაიჭაქე გიორგი მესტამბემ გაუკეთე ქუთაისს, ვითა ჯერ იყო“-ო (იხ. ქართული წიგნი, გვ. 77). შემოადინებულში ისაა საყვირბითა, რომ პაიჭაქე თით უდასტურებს რაზმაქსს, რომ სტამბა 1803 წელს გაკეთდაო. ასეთ პირობებში განა მოუღონდელია, რომ ვახტანგ VI: სტამბის წიგნთა ანდერძებშიც ასევე იყო უწესტობანი?

მმართველი სტამბისა და მისი ფაქტიური გამგებელი. მეფე ერეკლეს მონაწილეობა მხოლოდ საფასეთა წარგებაში და სტამბის ტექნიკურ გაუმჯობესებაზე ზრუნვაში ვლინდება.

საესვებით საწინააღმდეგო ვითარებაა და სულ სხვა მდგომარეობას ვხვდებით ვახტანგ VI დროინდელ სტამბაში. აქ 1709—1719 წწ. არც ერთ გამოცემას არ აღუბეჭდავს ქართული ეკლესიის მესაქის მწიგნობარ დომენტი კათალიკოსის სახელი, მისი მონაწილეობა სალეთო წიგნთა ბეჭდვის საქმეშიაც კი, გარდა ერთი წიგნისა — „კურთხევა ეკლესიისა“, რომელიც 1720 წელს დაიბეჭდა²⁵.

დომენტი კათალიკოსი, ძმა ვახტანგ VI, თავისი დროის თვალსაჩინო მოღვაწე და მწიგნობარი იყო²⁶. მან ააღორძინა დაცემის გზაზე მდგარი ქართული ეკლესია; მისი კათალიკოსობის დროს გაძლიერდა მონასტრები. გაიხსნა სკოლები. დომენტი მონაწილეობას ლეზულობდა სამართლის წიგნის შედგენაში და სხვ. რაც მთავარია, არსებობს მეტად საყურადღებო მოსაზრება, რომლის მიხედვით დომენტი კათალიკოსი იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსსა და ანთიმოზ ივერიელთან ერთად XVII—XVIII სს. მიჯნაზე მეფე გიორგი XI დახმარებით თბილისში დაარსებული სტამბის აქტიურ მონაწილედ არის აღიარებული.

ამჯერად გვინდა საგანგებოდ შევჩერდეთ მკვლევარ პ. კარბელაშვილის ცნობებზე, რომელთაც სხვა წყაროებსა და მასალებთან ერთად სათანადო მნიშვნელობა ენიჭება ამ პრობლემის მეცნიერულად გადაწყვეტაში.

XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. დასაწყისში თბილისის სტამბის არსებობის შესახებ უცხოელ ავტორებთან ერთად პ. კარბელაშვილს თავის არაერთ ნაშრომში ანგარიშგასაწევი მოსაზრებანი აქვს განვი-

²⁵ ვახტანგ VI სტამბის გამოცემებიდან ერთადერთი წიგნია 1719—1720 წწ. გამოქვეყნებული „კურთხევა ეკლესიისა“, სადაც დომენტი კათალიკოსი იხსენიება და თან ახლავს მისივე ანდერძი — „დომენტი სანატრელი და ყოვლად წმინდაა წყალობითა ღმრთისათა კათალიკოზი მცხეთისა. ქართლისა, რანისა, კახეთისა, სრულიად ოსეთისა, სამცხე-საათაბაგოსა მაკურთხეველი“. ეს კურთხევა ეკითხა ვითარებისაგან მწერალთაგან გარყვნილიყო... „ვიძიეთ და ეპოვეთ ბერძნელისაგან და აწ ქართულად გარდმოვათარგმნიეთ უნაკლულად სამთავნელ ეპისკოპოსს უფალსა კვიპრიანეს, რამეთუ კეთილად სწავლულ იყო ბერძულთა ენისაგან“ (იხ. ქართული წიგნი, 1, 1941 წ.).

²⁶ მაგ., ქართველ წმინდანთა ცხოვრების კრებული, გადწერილი გარეჯის უდაბნოში 1713 წელს გაბრიელ საგინაშვილის მიერ (ხელნაწ. A-130). ხელნაწერის მიწაწერი ანდერძით დასტურდება, რომ მისი პირველი შემდგენი ყოფილა დომენტი კათალიკოსი. მასში 19 წმინდანს მწერალებია შეტანილი (იხ. ე. პეტრეველი, ქართული აგიოგრაფიის კრებული და მისი შემდგენელი. პუბლიკის სახ. თბილისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1950. გვ. 416—417).

თარებული. ჩვენ მიერ გამოქვეყნებულ ქრონიკებში პ. კარბელაშვილი კატეგორიულ ფორმებში დასძენს, რომ „1705 წ... კათალიკოზმა დომენტიმ თბილისში გამართა სტამბა, დაბეჭდა ოდიკი, დავითნი“. კარბელაშვილი აქვე მიუთითებს ადგილზე, სადაც თბილისის სტამბაში დაბეჭდილი აღნიშნული წიგნები იმ დროს ინახებოდა. იგი ასეთად ასახელებს აღნიშნულის ოჯახს³⁷.

ოდიკი — კათალიკოს კ. ცინცაძის განმარტებით წარმოადგენს „აბრეშუმის ან ტილოს ოთხკუთხედს, რომელზედაც შუა ადგილს გამოხატულია იესო ქრისტეს საფლავად დადება; ხოლო კუთხეებში მახარებლებისა და წარწერით ნაყურთხ-დამამზადებლის სავედრებლით“ (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კ. ცინცაძის ფონდი № 119). ოდიკის გარეშე საეკლესიო წესით სავედრებელი (ლიტურგიის) წირვის შესრულება აკრძალული იყო.

ჩვენში ორი სახის ოდიკია ცნობილი: ხელით ნაკეთები — დაწერილი და სტამბურად დამზადებული. ვახტანგ VI ოდიკი დამზადებულია დოსითეოს პატრიარქის მიერ, რომლისგანაც შეუქმნია „ოდიკის ბეჭედი“, ანუ ოდიკის მზამზარეული კლიშე. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია, იგი ადასტურებს, რომ თბილისში არა 1709 წლიდან, არამედ უფრო ადრე (1706 წლამდე) არსებობდა სტამბა.

ვახტანგ VI-ის სავედრებელ ოდიკზე გარს აწერია ხუტური ასომთავრული ჩართვით. „...ჩვენ ძირმოდგმით ღთივ გვირგვინოსანმან მეფეთაგან აღმოცენებულმან ძის ძემან მეფის ვახტანგისამან და ძემან ლევანისამან ბატონიშვილმა ვახტანგ მოვიხვენ ბეჭედი ესე ოდიკისა წ-სა ქალაქისა იერუსალიმისა სანატრელისა პატრიარქის დოსითეოსის მიერ შესანდობლად ცოდვათა ჩემთა, შეუწდონ ღმერთმან ვახტანგს მეუღლით, ძით და ასულით შესაწირავი საღმრთო და სამღვდელო შეწირული და განწმენდილი წმინდისა კათოლიკე ეკლესიისა და კვართსა,

37 ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980, გვ. 45. სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ XIX ს. 1-ლ ნახევარში გამოითქვა მოსაზრება, რომ „Первая типография заведена была в Тифлисе во второй половине XVII столетия при царе Арчиле, в ней напечатано было несколько книг церковных“ (Энциклопедический лексикон А. Плюшара, т. 15. 1838, с. 424).

1705 წ. თბილისში დაბეჭდილ დავითნს ასახელებს არაერთი ევროპელი მკვლევარი — გერმანელი კარლ ფაოლმანი, რუმინელი ისტორიკოსი ჭორჯა ონესკუ, ფრანგი ისტორიკოსი ე. პიკო და სხვანი. თბილისში ვახტანგ VI მიერ სტამბის გაჩახლებამდე ანუ 1709 წლამდე რომ სტამბა არსებობდა. ამს არაერთი მკვლევარი იზიარებს, მაგ., პ. კარბელაშვილთან ერთად პ. ო. ალ. ხახანაშვილი და სხვ. (იხ. მისი Очерки по истории груз. словесности, том III, გვ. 366—368), ამ უკანასკნელად ამავე საკითხს დაუბრუნდა და მოკლედ შეეხო ო. კასრაძე ნარკვევში — ავეჯი ქართული ნაბეჭდი წიგნები, თბ., 1973.

საუფლოსა და მირონ ღმერთმყოფლისა ზედა მქდომარისა სანატრელისა კათალიკოსის მიერ ქ³⁸კს ტყე“³⁸.

ამრიგად ირკვევა, რომ 1709 წლამდე (1705 წ.) დომენტი კათალიკოსის სტამბა არსებობდა დოსითეოს პატრიარქის მზრუნველობითა და ხელშეწყობით. ვახტანგ VI-ს კონსტანტინეპოლიდან ასევე მოუთხოვია და მიუღია „ოდიკის“ მზამზარეული კლიშე. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანია სტამბის არსებობის დასადასტურებლად.

თბილისში სტამბა 1709 წლამდე რომ არ არსებულებოდა, მაშინ ვახტანგ VI იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს ვისთვის თხოვდა ოდიკის კლიშეს? და როცა დოსითეოსი აგზავნიდა საქართველოში ოდიკის კლიშეს, ბუნებრივია, მან იცოდა, რომ თბილისში სტამბა მოქმედებდა და შეეძლო ამ კლიშის გამოყენება.

3. კარბელაშვილის ცნობით დომენტი კათალიკოსის სტამბაში ჯერ კიდევ 1705 წ. დაიბეჭდა „დავითი“, რომელიც ინახებოდა აღნიშნული ოჯახში. მისივე უწყებით აქვე დაუბეჭდავთ „ჟამნი“, მაგრამ ის არ უთითებს „ჟამნის“ დაბეჭდვის როგორც თარიღს, ასევე პოვნის ადგილს.

ქრონიკებში ქართული სტამბის შესახებ არაერთი ცნობაა შემონახული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით: მაგ. „ტუა—1703 წ. არჩილ მეფემ გოლოვინის პირით პეტრე დიდს ქართული სტამბის გახსნა სთხოვა მოსკოვს.

1704 წ. ბატონიშვილი დომენტი დაადგინეს საქართველოს კათალიკოზ პატრიარქად. დომენტი იყო იერუსალიმში. ცნობობდა ჯვარის მონასტერში³⁹. 1699 წ. იყო გზად, გამოჰყვა ანთიმოზ

³⁸ იხ. პ. კარბელაშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 131—133. პ. კარბელაშვილის გარდა ეს ოდიკა აღწერეს მ. ჯავახიშვილმა. Каталог предметов церковного Музея Грузинского духовенства, 1914, გვ. 37 და კ. ცნცაძემ (იხ. მისი პირადი არქივი, დატული ხელნაწერთა ინსტიტუტში). დომენტი დადი მოსარჩლე და მზრუნველი იყო ეკლესიისა. მაგ., 1723 წ. ოსმალთა მიერ საქართველოს დაპყრობის დღეებში ქართლას საეკლესიო მთელი ქონება დომენტის განჯარგულებით გერგათის ეპარქიასა და ლარგეისის საგანძურებში დახიზნეს.

³⁹ ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980. XI ს. დამუშავებისათვის ეგვიპტელებმა დაანგრიეს იერუსალიმის ქართველთა მონასტერი, რომელიც IV საუკუნიდან მოქმედებდა. მეფე ბაგრატ IV და მისი დედის მარიამ დედოფლის შეწირულებით მღვდელ-მონაზონმა პრობორემ (ერისკაცობაში გიორგიმ) XI საუკუნის ნახევარში განაახლა ეს საფანე — ააგო ჯვრის მონასტერი, სადაც მრავალი ქართველი მწიგნობარი საუკუნეების მანძილზე მოღვაწეობდა, მათ შორის გენიალური მგოსანი რუსთაველი.

ქართულ ეკლესიას ჯვრის მონასტერთან კავშირი, იქ დატული ქართული მწერლობის ნაგულებისა და წმინდა რელიკვიებისადმი ინტერესი არასოდეს არ შეუნელებია. მაგ., საქმარისთა აღნიშვნის, რომ სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა დავით

ეპისკოპოსს ვლახეთისკენ, მოვალეებისაგან დატყვევებული ჯვარის მონასტერის დასახსნელი შესაწირავი მეფე გიორგიმ ამა დომენტის [თავის ძმისწულს] გაატანა იერუსალიმში“.

ამრიგად, XVII—XVIII სს. მიჯნაზე, 80-იანი წლებიდან, უკვე მომწიფებულია, გააქტივებულია საზოგადოებრივი აზრი და მზადდება ნიადაგი როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ სტამბის დაარსებისა და წიგნის ქართულად ბეჭდვისათვის. როგორც ჩანს, იერუსალიმში ამ საქმით დიდად იყო დაინტერესებული. ეკვი არაა, რომ ატრიაჩის ამ დაინტერესებას განაპირობებდა მრავალი მიზეზი. პირველ ყოვლისა, საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული დონე, სამეფო კარისა და პატრიოტ-მამულიშვილთა ენერგიული მოქმედება სტამბის დაარსებისათვის. ეს კარგად ჩანს არჩილისადმი გამოგზავნილი იერუსალიმის პატრიაჩის ბარათიდანაც.

ამასთანავე, საქართველოში 1709 წლამდე სტამბის არსებობის ფაქტი მთელი სიციხადით დასტურდება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი, ოფიციალური, ზუსტად დათარიღებული დოკუმენტით, ესაა მეფე არჩილ მეორეს წერილი 1703 წლის 2 ივლისისა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ გოლოვინისადმი გაგზავნილი, რომლითაც თხოვდა შუამდგომლობას: „...у государя повеления напечатат в типографии нехолько церковных книг на грузинском языке для всеобщаго употреблення в его отечестве. В Грузии же печатание ограничено по недостатку литер и людей“⁴⁰.

დალიანმა სიყვდილის წინ (გარდიცვალა 1853 წელს) მეუღლეს დაუტოვა ანდერძი. როგორც ამას დავითის წინაპრები ტრადიციულად იცავენენ, იერუსალიმში შეწირულებანი გაეგზავნა.

დედოფალმა ეს ანდერძი შეასრულა და 1856 წ. შეწირულებასთან ერთად წერილი მიწერა პატრიაჩეს, რომლითაც ვგებულობთ, რომ დალიანს იერუსალიმის მონასტრისათვის შეუწირავს სამი ათასი მანეთი ვერცხლის ფული. ასევე ათონის ივერიის მონასტრისათვის დავითს შეუწირავს სამი ათას შვიდასი მანეთი ვერცხლით, აგრეთვე ერთი უთი ვერცხლის ქურქელი, ეპისკოპოს — კუონდიდელ ანტონის სულს საცხონებლად (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1988 წ. 17 მარტი. ს. კილიას პუბლიკაცია „მამულიშვილური თაოსნობა“). მასში მოწოდებასავით ქდერს „დავიბრუნოთ ჩვენი მამაპაპის ნაამაგარი საზღვარგარეთელი კულტურული სამონასტრო კერები“.

აღნიშნულს კარგად ადასტურებს 1987 წ. ოქტომბერში სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიაჩე ილია II-ის ისრადეში მოგზაურობა და მასთან დაკავშირებული ფრიად საყურადღებო მოვლენები (იხ. ილია II-ის ინტერვიუ მწერალ გურამ ბათიაშვილთან. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 11 დეკემბერი 1987 წ., გვ. 12—13, „გვმართებს რწმენა და სიყვარული“).

⁴⁰ Книга, исследования и материалы, т. III, 1960, с. 269.

როგორც ვრწმუნდებით, არჩილ მეორე 1703 წ. ივლისში გადა-
ქრით ადასტურებდა, რომ ამ დროს საქართველოში (ცხადია, თბილის-
ში) უკვე არსებობდა და მოქმედებდა სტამბა, ოღონდ სუსტი წარმა-
ლობისა. ეს ფაქტი, ვფიქრობ, განმარტებასა და კომენტარს არ საჭი-
როებს.

მხილ იშტვანოვიჩმა, რომელიც 1708 წ. ჩამოვიდა თბილისში
აზა სტამბის დასაარსებლად, არამედ სტამბის გასამართავად, მართლაც
უმოკლეს დროში მოაწყო სტამბის განახლება და დიდტანიანი წიგ-
ნების გამოცემა. ეს კი შეუძლებელი გახდებოდა, რომ მას არასრულ-
ყოფილი სტამბა და საჭირო კადრები თბილისში ადგილობრივ არ და-
ხვედროდა.

ირკვევა, რომ დომენტი კათალიკოსს, მიუხედავად იმისა, რომ
სუსტი ტექნიკური აღჭურვილობის სტამბა ჰქონდა, ჰყოლია ისეთი
ოსტატები, როგორც იყვნენ: მიქელი, ნიკოლოზ ორბელიანი, ბერ-
ძენი იოაკიმე და სხვანი. მიხაის ისინი შეეძლო გადაეშაადებინა ასევე
განახლებული სტამბის კვალიფიციურ მუშაკებად⁴¹. ასეთია ისტორიუ-
ლი სინამდვილე: ფაქტები და არგუმენტები, რომელნიც ამტკიცებენ,

41 პ. გუგუშვილი თავის მონოგრაფიაში — „ქართული წიგნი“, რომელიც
1929 წელს გამოიცა, სხვათა შორის ყურადღებას ამახვილებს ერთ მეტად სა-
გულისხმო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაზე. ავტორი უყვირდება იმ ფაქტს,
რომ 1708 წელს თბილისში ჩამოსული მ. იშტვანოვიჩი იმ საწარმოს, რომელიც
მან ვახტანგ VI დავალებით გამართა, ყველა საგამომცემლო მონაცემში უწოდებს
იზა უნგროვლახურ „ტიპოგრაფიას“ (Типография), არამედ სტამბას. „როგორც
ჩანს, — წერს პ. გუგუშვილი — სახელწოდება „სტამბა“ ქართველებს ტფილისში
სტამბის გახსნამდე სცოდნიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი არა სტამბას, არა-
მედ თვით უნგროვლახელის სიტყვით „ტიპოგრაფიით“ მოიხსენიებდნენ მას. („სტამ-
ბა“ აღბათ იტალიური ენიდანაა შემოღებული“, (იხ. გვ. 51). ის აზრი, რომ
„ქართველებს თბილისში სტამბის გახსნამდე სცოდნიათ სახელწოდება „სტამბა“,
მოკლებულია დამაჯერებლობას. ქართულ ენასა და ხალხურ მეტყველებაში სა-
ხელწოდება „სტამბა“ ისე ვერ დამკვიდრდებოდა (და ისიც იქამდე, რომ იშტვა-
ნოვიჩიც კი აქმულებინა თავისი ანდერძ-მინაწერებში ყველგან სტამბა დაეწერა,
მისთვის მშობლიური „ტიპოგრაფიის“ ნაცვლად), რომ აქ თბილისში 1709 წლამ-
დე სტამბა არ არსებულებოდა. XVIII ს-ის დამდგმისათვის სიტყვა სტამბა ქართულ
მეტყველებაში იმდენად გავრცელებული და გამჭდარი ყოფილა საქართველოს
მცხოვრებთა ენობიერებაში, რომ ამ ფაქტს თვით მიხაიცი კი უნდა აქმულებინა და
გაეკლენა მოეხდინა მისზე, ბუნებრივია, რომში 1629 წლიდან ქართული წიგნების
ბეჭდვას, ქართველი მოღვაწის თავკაცობით, თვით სახელის ცნების — სტამბის გა-
ქრთვებაშია თავისი წვლილი უნდა შეეტანა. მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ
მიხაის თბილისში ჩამოსვლამდე სტამბა უნდა მოქმედებდეს, ფუნქციონირებდეს.

რომ თბილისში სტამბა არსებობდა და მოქმედებდა უფრო ადრე, ვიდრე 1709 წელს ვახტანგი დააარსებდა.



უნგროვლახელი ოსტატის იშტვანოვიჩის ჩამოსვლამდე თბილისში სტამბის არსებობა სხვა წყაროებითა და ფაქტებითაც დასტურდება, ასეთებია:

1. „ქების ლექსი“ (პოემა), რომელიც რუმინეთში იპოვა გ. ლეონიძემ, 1709 წელს თბილისში დაბეჭდილი „სახარების“ ეგზემპლარში ჩადებული.

2. თსუ წიგნთსაცავში შემონახული დაზიანებული „დავითნი“, რომელიც უფრო ადრე უნდა იყოს დაბეჭდილი, ვიდრე ვახტანგ VI სტამბა დაარსდებოდა. იგი, „დავითნი“, 1705 წელს უნდა იყოს დაბეჭდილი თბილისში დომენტი კათალიკოსის მიერ, რომლის შესახებაც სხვა ცნობებთან ერთად პ. კარბელაშვილი ასე დაბეჭითებით გვარწმუნებს.

3. ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების გრაფიკული ხელოვნების თვალსაზრისით სპეციალისტთა მიერ მტკიცედ მიღებული მეცნიერული დასკვნა, რომელიც ასევე ადასტურებს თბილისში 1709 წლამდე სტამბის არსებობის ფაქტს.

შევჩერდეთ თითოეულ აქ დასახელებულ დასკვნით წყაროებსა და საბუთებზე თანმიმდევრობით.

„ქების ლექსში“, რომელიც გ. ლეონიძემ მოიძია, ჩვენის აზრით, სიზუსტითაა გადმოცემული ნამდვილი ისტორია, თბილისში სტამბის დაარსების მოვლენები, თუ ამას ჩვენ ღრმად ჩაუკვირდებით.

ჩვენ ზემოთ დავრწმუნდით, თუ რა როლი უნდა შეესრულებინა თბილისის სტამბის დაარსების საქმეში იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს, კათალიკოს დომენტსა და ანთიმოზ ივერიელთან ერთად, XVII—XVIII სს. მიჯნაზე. „ქების ლექსის“ მიხედვით ირკვევა, რომ ვახტანგ VI თბილისის სტამბის განახლებისა თუ დაარსების მიზნით ტრადიციისამებრ კვლავ იერუსალიმის პატრიარქ ხრისანთესათვის მიუმართავს (დოსითეოსი 1797 წ. გარდაიცვალა). ხრისანთეს თავის მხრივ ვახტანგ VI წერილი, შუამდგომლობით, გადაუგზავნია უნგროვლახეთის გოსპოდარის — ბრანკოვიანუსათვის, ვითარცა მართლმორწმუნე ქრისტიანთა მფარველისათვის. ამ უკანასკნელს საქართველოში სტამბის გასამართავად შეურჩევია მ. იშტვანოვიჩი (საფიქრებელია, ანთიმ ივერიელის რჩევით) და გაუგზავნია ხრისანთესთან მითითებათა მისაღებად. ხრისანთესაგან დამოძღვრილი იშტვანოვიჩი საქართველოს სწევ-

ვია სტამბის გასამართავად (სარეკონსტრუქციოდ). აქ აღნიშნულის შე-
სახებ ლექსის მე-4 სტროფში ნათქვამია: პატრიარქმა ხრისანთემ „ვლა-
ხეთს გაგზავნა ჩაფარი, როგორც რიგი და წესიანო“⁴².

პატრიარქმა „ვლახთა მეფეს შეუთვალა: „მაღალო და კარგად
ზრდილო, თქვენცა ნახეთ წიგნი ესე (ვახტანგის წერილი — ა. ი.) მარ-
თალი და უსაცილო“ მე-5 სტრ.).

აქედან კარგად ჩანს, რომ თბილისის სტამბის განახლების თუ
დაარსების საქმეს, ვახტანგ VI მოქმედებას, პატრიარქი ხრისანთე წარ-
მართავს. როგორც ირკვევა, უნგროვლახეთის მთავარ ბრანკოვიანუს
ბრძანება მიუცია მიხაილისათვის: „წადი, პატრიარქს ვახელ, თვით
კარგად გიცნობს ვლახელად... „პატრიარქმა გამოგზავნა აქ მიხაილ
კარგად ზრდილი“ (მე-8 და მე-9 სტრ).

მე-11 სტრ. მიხაი გვამცნობს:

„მე ოსტატი რა აქ მოველ და ხელმწიფე ვახტანგ ვნახე
რაცა ბრძანა, აგრეცა ექენ, არ ვისევდე, არც ვიახე“.

მე-12 სტრ. ვგებულობთ:

„სტამბა გასრულდა, გათავდა, რაც იყო მისი წესები,
ნება მიეცათ ქართველთა სულთაგან უამესები,
რიგი შეიქნა სჯულისა, მეორედ დანათესები,
სხვაც გარდაცვილან მეფენი, რომ ვერ უქნიათ ესები“.

აქ მოტანილ სტროფებს და მთლიანად „ქების ლექსს“ დიდი მნი-
შვნელობა ენიჭება ქართული სტამბის ისტორიის არა ერთი ბუნდო-
ვანი საკითხის გაშუქებისათვის, როგორც პირველწყაროს.

პირველ ყოვლისა, ირკვევა, რომ ვახტანგ VI თბილისში სტამბის
(დაარსებისა თუ) განახლების საქმე იერუსალიმის პატრიარქის ხრისან-
თეს დახმარებით დაუწყია.

თბილისის სტამბის ისტორიისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას
იქცევს მე-12 სტროფი. აქ გარკვევითაა თქმული, რომ უნგროვლახე-
თიდან 1708 წ. ჩამოსულმა მიხაილ იშტვენოვიჩმა სტამბა კი არ დაა-
არსა თბილისში, არამედ წინათ არსებული დაბალ ტექნიკურ ბაზაზე
მოქმედი თბილისის სტამბა წესისამებრ სრულყო: „სტამბა გასრულდა,
გათავდა, რაც იყო მისი წესები“ და ამით „ნება მიეცათ ქართველთა
სულთაგან უამესები“, ე. ი. შეეძლოთ მათ ეზეიმათ გამარჯვება, იმ
საქმის სრულყოფით, რომელიც ადრე სუსტად ყოფილა დანერგილი,
ხოლო ეხლა „რიგით შეიქნა სჯულისა, მეორედ დანათესები“, აქ სავსე-
ბით ამკარადაა თქმული, რომ იმდენად დიდად გარდაიქმნა, გაუმჯო-

⁴² „ქების ლექსი“ (პოემა), დაიბეჭდა ჟურნ. „დროშაში“, 1951 წ. № 2, გვ. 18.

ბესდა აღრინდელთან შედარებით სტამბა თბილისში იშტვანოვიჩის თაოსნობით და ვახტანგ VI ბრძანებით — „რაცა ბრძანა, ეგრეცა ვქმენი“, — რომ თავიდან გასაკეთებელი, ანუ „მეორედ დანათესები“ — გამხდარა; ამ მოსაზრებას ურყევად განამტკიცებს მე-12 სტროფის უქანასკნელი სტრიქონი, სადაც ვკითხულობთ: „სხვაც გარდაცვლილან მეფენი, რომ ვერ უქმნიათ ესები“. აქ გარკვევითაა თქმული, რომ ვახტანგ VI გარდა სტამბის გამართვისათვის საქართველოში სხვა გარდაცვლილ მეფეებსაც ბევრი უღვაწიათ, მაგრამ ასეთი უზადო რამ მათ ვერ შეუქმნიათ და ისე გარდაცვლილანო. ასეთ მეფეებად ავტორი აქ უნდა გულისხმობდეს მეფე არჩილს, გიორგი XI, ლევან III, რომელთაც მართლაც რომ ბევრი იღვაწეს ქართული სტამბის დაარსებისათვის; როგორც ჩანს, დააარსეს, მაგრამ სასურველ შედეგებს მაინც ვერ მიაღწიეს⁴³. ვახტანგ VI, როგორც ჩანს, თვითონვე აღიარებდა მის წინამორბედ მეფე-დღეებულთა ღვაწლსა და ამაგს ქართული სტამბის დაარსებაში. ლექსის მე-13 სტროფში ვკითხულობთ: „მეფეს ტყბილად გაეცინა, რა მიხაილ ესე ჰკადრა“. წინამორბედებმა

43 ზ. კვიციანი თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობის დებუტატთა საკრებულოს 1909 წელს მიმართა ვრცელი მოხსენებითი ბარათით, სადაც საბუთებად და მოითხოვდა ვახტანგ VI სტამბის ორასი წლისთავის საიუბილეო თარიღის აღნიშვნას. ავტორი აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით საგანგებოდ ამბავებდა ყურადღებას ქართლის მეფის გიორგი XI და ლევან III დიდ როლზე თბილისში სტამბის დაარსებაში. „თავდაზნაურობა და მთელი ქართველი ხალხი ეკლდებოდა აღნიშვნის ეს ეროვნული დღესასწაული რითმე — წერდა კვიციანი, — გნებავთ საეკლესიო პანაშვილით მეფე გიორგი XI და ლევან III, როგორც დიდი და ენერგიული მოამაგისა (და მის შემდეგ ჩამოთვლის სხვებს — ა. ი.)... ქართული სტამბის სხვა დამაარსებლებთან ერთად“ (იხ. საქ. ცენტრარქივი, ფონდი 214; საქ. 3595, გვ. 3—5). ლევან III და გიორგი XI-სთან ერთად თბილისში სტამბის დაარსებისათვის სხვანიც იღწვოდნენ 1709 წ-მდე ბევრად ადრე. ვიღრე ვახტანგ VI მკრ იშტვანოვიჩის თბილისში მოწვევა მოხდებოდა.

ქართული კულტურის დიდი მეცენატი მეფე გიორგი XI, რომელაც ავღანეთში (ყანდაარში) ტრაგიკულად დაიღუპა 1709 წელს, არა მხოლოდ სტამბის დაარსების ერთ-ერთი დიდი ინიციატორი იყო, არამედ მისი მითითებით შეუქმნია გულხან-საბა ორბელიანს უკნდავი ლექსიყაჩი; ამის შესახებ თვით საბა შემდეგს გვაუწყებს: — „ვინათგან პატროსანი ესე წიგნი დაკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ. ვახტანგ მეფის ბიძამ. გიორგი მეფემ, მიბრძანა ამისი ხელყოფა და რაოდენ ძალმედვა ავღწერე“, გიორგი XI ზრუნავდა მსგავსი ბევრი სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმისათვის. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს. რომ დიდი საგანმანათლებლო ეროვნული საქმენი, რომელნიც დღეს ვახტანგ VI სახელთანაა დაკავშირებულნი, ბევრად ადრეა დაწყებული და უფრო ღრმა ისტორიული საფუძვლები მოუპოვება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ვახტანგ VI თბილისში გამოცემულ წიგნთა თავმურცებზე მხოლოდ ზოგჯერ აღნიშნავს გიორგი XI ღვაწლს.

ლევწეს და დააარსეს სტამბა. მაგრამ ვახტანგს ეამაყება, რომ ამის მსკავისი მათ არაფერი შეუქმნიათ.

ამრიგად, 1709 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდილი „სახარების“ ეგზემპლარში ჩადებული უნგროვლახეთის მთავრის ბრანკოვიანუს, პატრიარქ ხრისანთესა და ვახტანგ VI „ქების ლექსი“, შეიძლება ითქვას, მთელი პოემაა, სადაც ისტორიული პირველწყაროს ენით პოეტურადაა გაცოცხლებული რეალურ-ისტორიული მდგომარეობა იმ ვითარებისა, თუ ვის მიერ და რა პირობებში იქნა მოწვეული მ. იშტვანოვიჩი თბილისში სტამბის არა დასაარსებლად, არამედ გასანახლებლად; ამ პოემიდან ზედმიწევნითი სიზუსტით ჩანს თუ რა მდგომარეობა დახვდა მას საქართველოში. პირველ ყოვლისა მას თბილისში დახვდა სტამბა, რომელსაც ხელახლავ „მეორედ დანათესები“-ვით აღდგენა ესაჭიროებოდა; მისი ხელმძღვანელობით, მართლაც, „სტამბა გასრულდა, გათავდა რაც იყო მისი წესები“. როგორც ამას ვახტანგ VI მოითხოვდა. პოემიდან, როგორც დავრწმუნდით, კარგად ჩანს, რომ ვახტანგ VI პატრიარქს თავისი წერილით მხოლოდ სტამბის ოსტატს — „ხელოვანს“ თხოვდა „სტამბის გასასრულებლად“ და არა სტამბის დასაარსებლად. პოემაში სტამბის დაარსებაზე ერთ სიტყვასაც კი ვერ შეხვდება კაცი.

ჩვენ არც ის მიგვაჩნია შემთხვევით მოვლენად, რომ ეს პოემა აღმოჩნდა იშტვანოვიჩის მიერ თბილისში პირველად დაბეჭდილ „სახარებაში“.



„დავითნი“ მეორედ 1709 წელს გამოიცა თბილისში; სად, როდის და რომელ ქართულ სტამბაში განხორციელდა „დავითნის“ პირველი გამოცემა?

1708 წელს თბილისში ჩამოსულმა მიხაიშ მსხვილი ნუსხა ხუცუარი შრიფტით დაბეჭდა 1709 წელს სამი მოზრდილი წიგნი: — „სახარება“, „სამოციქულო“ და „დავითნი“. ამათგან „სახარებას“ და „სამოციქულოს“, ორთავეს, თან ერთვის საგამომცემლო ერთნაირი განმარტება: სახარება — „საღმთო და სამღვდელო სახარება აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზე“ და სამოციქულო სამღვთო და სამღვდელო აწ ახალი და პირველ დაბეჭდილი ქართულს ენაზე“⁴⁴, და ორივენი — „სახარება“ და „სამოციქულო“ ზოგჯერ გაერთიანებულია ერთ ყდაში.

⁴⁴ ქართული წიგნი 1, აღწერილობა 1.

რაც შეეხება „დავითს“, იგი განცალკევებითაა აკინძული და თან ახლავს ასეთი შინაარსის საგამომცემლო ცნობა: „აწ მეორედ დაბეჭდილი“⁴⁵. ასეთ პირობებში, დასაშვებია, თბილისში ვლახეთიდან ჩამოსულ მიხაის, სახელდახელოდ, იმდენად გაემართა ძველი სტამბა, რომელიც მას აქ უნდა დახვედროდა, რომ, ვიდრე სრულად ჩამოასხამდა ახალ შრიფტებს (ნუსხა ხუცურსა და მხედრულს), გამოეყენებია შემორჩენილი შრიფტი, რომლითაც შეძლებდა სამივე წიგნის — სახარების“, „სამოციქულოსა“ და „დავითის“ დაბეჭდვას.

ამრიგად, ვახტანგ VI გამომცემლობა ოფიციალურად განგვიპარტავს, რომ „დავითი“, რომელიც 1709 წელს იშტვანოვიჩმა გამოსცა, უფრო ადრე ყოფილა სტამბურად გამოცემული, ვიდრე იგი ვახტანგის სტამბაში მეორედ გამოიცემოდა. თითქოს ყველაფერა ნათელია და განმარტებას არ საჭიროებს, — მაგრამ სამწუხაროდ ამ ფაქტს გვერდს უვლიდა თვალსაჩინო მკვლევარი ქ. შარაშიძე და ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ „დავითი“ პირველად დაიბეჭდა 1709 წ. ვახტანგის სტამბაში.

რა საბუთებს ემყარება მოსაზრება იმის შესახებ, რომ თსუ-ში დაცული „დავითი“ პირველად 1709 წელს ზემოაღნიშნულ „სახარებისა“ და „სამოციქულოსთან“ ერთად შეიძლებოდა დაბეჭდილიყო? ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს იმის მტკიცებისათვის, რომ „დავითი“ 1709 წ. ვახტანგის სტამბაში ორჯერ დაიბეჭდა, რადგან ჩვენამდე არ მოუღწევია ისეთ წიგნებს, რომლებიც მოსაზრების საბუთად გამოდგებოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის ძველ ბეჭდურ ქართულ წიგნთა ფონდში 1939 წ. აღმოჩნდა უთავფურცლო და ბოლოდაზიანებული „დავითი“ (დაცულია უნივერსიტეტის წიგნსაცავში — HF:146). მცირეფორმატიანი წიგნის მსხვილი შრიფტით ბეჭდვა, ქ. შარაშიძის შენიშვნით, „მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გასაგები, თუ ვივარაუდებთ, რომ თბილისის სტამბას ამ გამოცემის ბეჭდვის დროს არც საშუალო ზომისა და არც წვრილი ნუსხური შრიფტი არ გააჩნდა“⁴⁷. ამ უკანასკნელს კი ფაქტები

45 იქვე, გვ. 7.

46 იხ. ქ. შარაშიძე. დასახ. ნაშრ. გვ. 130—131 და ქართული წიგნი 1. გვ. 12.

47 იქვე.

ადასტურებს, სწორედ ერთი წლის შემდეგ, ანუ 1710 წ., ტფილისის სტამბა „ნაირნაირი“ ზომის შრიფტს იყენებდა „კონდაკის“, „ჟამნისა“ და „ლოცვანის“ დასაბეჭდად. ხმარობდა, აგრეთვე, პირველად ჩამოსხმულ მხედრულ შრიფტს, ნუსხა ხუცურ ახალ შრიფტთან ერთად. რომელნიც საფუძველშივე განსხვავდება „დავითნის“ (HF:146) მკირეფორმატიანი წიგნის მსხვილი შრიფტისაგან.


ქ. შარაშიძის შენიშვნით, თითქო ასეთი მდგომარეობა თბილისის სტამბაში მხოლოდ 1709 წელს იყო, დაასკვნის ავტორი. მაგრამ მას თავის დიდტანიან ნაშრომში ერთხელაც არ დაუყენებია კითხვა — საიდან მოხვდა ეს შრიფტი 1709 წ. ვახტანგ VI სტამბაში?

ნუთუ ერთბაშად სასწაული მოხდა, რუმინეთიდან ხელცარიელი იშტვანოვიჩის ჩამოსვლიდან (1708 წ.) სულ მოკლე ხანში — რამოდენიმე თვეში სტამბის 1709 წლის მდგომარეობა უკვე ერთბაშად ამაღლდა და იქამდე, რომ თითქმის არაფრით აღარ ჩამოუვარდება 1710 წლისას? ამას ამტკიცებს არა მხოლოდ მხედრული და ნუსხახუცური შრიფტების ნაირნაირი ზომა, ნაირსახეობა და რამდენიმე ფერის საღებავის გამოყენება, არამედ სტამბის პროდუქციის უმაგალითოდ მეტად მაღალი მთლიანი სახეც და პროდუქციის ხარისხიც.

ისმის კითხვა — ვის უნდა დაემზადებია ეს შეუფერებელი მსხვილი ხუცური შრიფტი და დაებეჭდა მკირე ზომის (13×9) „დავითნი“ ანე ყოვლად შეუფერებელ-შეუსაბამი? აღნიშნული „დავითნი“ მართალია დაბეჭდილია ძირითადად იმავე შრიფტით, მაგრამ, როგორც ჩანს, რამდენიმე წლით ადრე, იშტვანოვიჩის ჩამოსვლამდე, თბილისში მოქმედ სტამბაში არსებული მოძველებული შრიფტით. 1709 წ. ახლად ჩამოსულ იშტვანოვიჩს, ეკვი არაა, უნდა გამოყენებინა თბილისის სტამბის ძველად ჩამოსხმული შრიფტი და ასევე ლარიბული შემკულობა „სახარების“ და „სამოციქულოს“ ბეჭდვისას. თუმცა აქ შავი საღებავის გარდა წითელიცაა გამოყენებული, და ორთავე ბევრად მაღლა დგას „დავითნის“ აღრინდელ გამოცემაზე, რომელიც 1705 წელს უნდა დაებეჭდათ.

1709 წ. გამოცემულ „სამოციქულოში“, მთავრული შრიფტით, ბაგრატიონთა გერბის ქვემოთ დაბეჭდილია „ბეჭდის იგავი“ ლექსად, რომლის ბოლო სტროფი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. საქართველოში სტამბის დაარსების შესახებ.

ՃԻՎԱԿԱՆ :



ԿԵՐՈՐԿ . ԻԿ .

ՆՍԻՄԸ ԳՆԱՆԻՆ : ՍԴ .

Ամսօրս մի զապիս յիս Զք ղև ծո
 շար ին . մի շարի Զք ծառակ
 շարիս կրօնին օ . Կրօնին իս
 ուր ին մի ուր իս . Կրօնին
 ծառակ յիս յուր ի կրօն . Կրօնին
 յիս . Կրօնին իս մի յիս . Կրօնին
 Կրօնին իս մի . Կրօնին
 մի իս յիս . Կրօնին յիս մի . Կրօնին
 մի յիս . Կրօնին իս մի . Կրօնին
 մի յիս . Կրօնին իս մի . Կրօնին
 մի յիս . Կրօնին իս մի . Կրօնին
 մի յիս . Կրօնին իս մի . Կրօնին
 մի յիս . Կրօնին իս մի . Կրօնին
 մի յիս . Կրօնին իս մի . Կրօնին
 մի յիս . Կրօնին իս մի . Կրօնին

„სტამბას ბექლადნენ ფრანგნი და რუსნი და მერე ვლახელნი.
აქ არსად იყო აროდეს, ვერ ვპოვეთ მისნი მნახველნი.
გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახველნი“...

ჩვენს ყურადღებას აქ იპყრობს ცნობა — „გიორგის მეფობაშიგან ვახტანგ აკვირვა მნახველნი“. ანუ სტამბის გამართვით ვახტანგმა განაცვიფრა მოსახლეობა გიორგი XI მეფობის დროსო. როგორც ირკვევა, ბევრს ეეკვებოდა ამ საქმის ხორცეშესხმა, ქილიკობდნენ ამ წამოწყების მიმართ და „მმნახველნი“-ც გაჩენილან, მაგრამ ყველა გამტყუნდა, რადგან სტამბა ამოქმედდა.




ბაგრატიონთა სამეფო გერბი ვახტანგ VI სტამბის წიგნთა გაფორმების დიდ ელემენტად და წიგნის ბექლდვის საქმის სამეფო კართან განუყრელ კავშირზე მიგვანიშნებს.

„სამოციქულოს“ თავფურცელზე ვკითხულობთ: დაიბეჭდა „...ემა-სა ამალღებულისა და სახელოვანისა საქართველოს მეფისა უფლისა გიორგისა. იესიან დავითიან სოლომონიანისსა შრომითა ფრიადითა და და წარგებითა საფასეთათა ...საქართველოს განმგებელისა ბატონიშვილისა... ვახტანგ ლევანის ძისათა“... გიორგი XI ქართლში, როგორც იცით, უკანასკნელად მეფობდა 1703—1709 წლებში. ვახტანგ VI ამ პერიოდში დააარსა სტამბა და დაბეჭდა წიგნები. ამას ვერ იტყოდნენ თუ 1709 წლამდე თბილისში სტამბა არ იარსებებდა, რადგან სწორედ ამ წელს ავღანეთში დაიღუპა გიორგი XI. ეს წყარო საგულისხმოდ დოკუმენტია და ერთგვარი პირველწყაროც, რომ 1703 წლიდან დაწყებულ საქმეს შემდეგი მოჰყვა და 1705 წ., ხოლო 1709 წ. მეორედ თბილისის სტამბაში დაიბეჭდა „დავითნი“.

კვლევა-ძიებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ აღნიშნული „დავითნი“ პირველად თბილისის ადრინდელ, — ტექნიკურად გაუმართავ სტამბაში 1705 წელს უნდა იყოს დაბეჭდილი, — უფრო ადრე, ვიდრე იმტვანოვიჩი ჩამოვიდოდა თბილისში და ჩაატარებდა ძველი სტამბის პირველი რიგის სარეკონსტრუქციო სამუშაოებს იმ მიზნით, რომ

1709 წელსვე განეხორციელებინა სამი მოზრდილი წიგნის — „სახარების“, „დავითნისა“ (მეორედ) და „სამოციქულოს“ დაბეჭდვა.



სურ. 21. ვეფხისტყაოსანი. ბაგრატიონთა ღერბი გიორგი XI-ის ინიციალებით.

ქრ. შარაშიძე თავის ნარკვევში — „ქართული შრიფტი ამსტერ-
დამში“ (1686—87 წწ.) შენიშნავს, რომ არჩილის მიერ მოსკოვში 1705 წ.
დაბეჭდილი „დავითნის“ უღეფექტო ეგზემპლარი არჩილს მოსკოვეუ-

რი ცალია. რაც შეეხება ლონდონის წიგნთსაცავის ქართულ უთავფურცლო და უთარილო „დავითნს“, რომლის ერთი ფურცლის ფოტოპირი საქართველოში გადმოგზავნეს, არც ტფილისში გამოცემულ და არც მოსკოვში გამოცემულ 1705 წ. დაბეჭდილ „დავითნის“ შრიფტს არ ესადაგება. ამის შესახებ ქრ. შარაშიძე წერს:

„ლონდონის წიგნთსაცავის „დავითნი“, რომლის ერთი ფურცლის ფოტოპირიც გადმოგვიგზავნა ბიორკობმა, არ არის არც მოსკოვს 1705 წლის გამოცემა და არც ტფილისში 1709 წელს დაბეჭდილი წიგნი. ცნობილია, რომ ტფილისის სტამბიდან 1709 წლამდე წიგნი არ გამოსულა, — წერს შარაშიძე — ლონდონის წიგნთსაცავის დავითნი გაცილებით უფრო გვიანდელი გამოცემა გამოდგა. საქართველოში მოიძებნა მხოლოდ ერთი უთარილო ცალი ამ გამოცემისა“. ამრიგად, როგორც ეს ჩვენი ვარაუდით ირკვევა, ლონდონის წიგნთსაცავში მოხვედრილი „დავითნი“ თბილისის სტამბაში 1705 წელს დაბეჭდილი დავითნის ცალი უნდა იყოს. აქედან ისიც ჩანს, რომ ქ. შარაშიძემ ადრინდელი შეხედულება შეიცვალა (იხ. მისი პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722) თბ., 1955).

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მეორე ეგზემპლარი 1705 წ. თბილისში დაბეჭდილი „დავითნისა“ თავის დროზე აღნიაშვილების ოჯახში მკვლევარ პ. კარბელაშვილს უნახავს. ამ ორ ეგზემპლარს ასევე ემატება თბილისის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული „დავითნი“. ეს ბეჭდური ეგზემპლარები 1705 წელს თბილისში დაბეჭდილი „დავითნის“ ჩვენამდე მოღწეული ცალები უნდა იყოს თვით ქ. შარაშიძის აღიარებითაც (რომელსაც იგი ადრე უარყოფდა).

ამრიგად, თბილისში 1705 წ. მოქმედი სტამბა, თავისი შრიფტით, 1709 წ. ჩატარებული სათანადო წინასწარი რემონტის საფუძველზე (ვიდრე მისი ძირეული რეკონსტრუქცია და „გამართვა“ მოხდებოდა), თითქოს აგრძელებს მუშაობას თვით იმტვანოვიჩის ხელმძღვანელობით. 1710 წელს თბილისის სტამბა ძირეულად რეკონსტრუირებულია; ახალი შრიფტი, როგორც ნუსხური. ასევე მხედრული, დიდი ოსტატობითა და მზაფებული, სტამბა გამართულია და უზადოდ იწყებს მუშაობას.

ვახტანგ VI-ის სტამბაში ახალი შრიფტის ჩამოსხმისა და წიგნის გრაფიკული ხელოვნების საკითხებზე მკვლევართა შორის აღ-

რიდანვე არსებობდა აზრთა სხვაობა. მაგ., მეკლევარი შ. კურდღელაშვილი თავის ნაშრომში დასძენს, რომ „მესტამბე მიხაილ სტეფანოვიჩი თბილისში დაახლოებით 1708 წ. მაისში ან ივნისში ჩამოსულა“. 6—7 თვის შემდეგ იბეჭდება წიგნები. უნგრეთიდან სტამბის მოწყობილობასთან ერთად უნდა ჩამოეტანათ ქალაღი, კლიშე და მსხვილი ნუსხა-ბეტური შრიფტი. 1709 წ. სამი წიგნის — „სახარებისა“, „დავითნისა“ და „სამოციქულოს“ დაბეჭდვა სხვა პირობებში ვერ მოესწრებოდა. მაინც საღ დამზადღა შრიფტი — რუმინეთში თუ თბილისში? შ. კურდღელაშვილი ფიქრობს, რომ ჩამოიტანეს რუმინეთიდან⁴⁹, ქრ. შარაშიძეს აზრით მიხაიღ იგი თბილისში ჩამოსხა.

ბ. გორდღეზიანის აზრით ჩამოტანიღ სტამბის „გამართვას, ასოების ამოქრა-ჩამოსხმასა და ღიღტანიანი სახარების დაბეჭდვას... ორი წელი მაინც დასჭირღებოღა“⁵⁰.

ბ. გორდღეზიანი და შ. კვასხვაძე ფიქრობენ, რომ მიხაი მესტამბე თბილისში 1701—1702 წწ. ანღა 1706—1707 წწ. უნღა ჩამოსულიყო, რომ 1709 წლამღე ჩეეტარებინა საჭირო მოსამზადებელი მუშაობა უღარესად შეშქიდროებულ ვაღებში. რათა ამავე 1709 წელს უზრუნველყო დასახელებული სამი სოღიდური წიგნის დაბეჭდვა და საჭირო გრავიურებით მათი შემკობა.

1952 წ. „ხეღოვნებამ“ გამოსტა შაღვა კვასხვაძის ნაშრომი — „ქართული წიგნის გრავიკული ხეღოვნება, ვახტანგ VI სტამბის წიგნი“. ამ საინტერესო გამოკვლევაში სხვა მრავალ საკითხთან ერთად სტამბის დაარსების ისტორიაზედაც არის საუბარი. აეტორის აზრით, „ვახტანგის სტამბის ქართული წიგნი მისი ტექნიკური განხორციელების მხრივ, არამეტუ ღიღათ. არამედ არსებითად ანთიმოზ ქართვე-

49 შ. კურდღელაშვილი, ქართული სტამბის ისტორიიღან, 1959, გვ. 46—49. ჩვენ ზუსტად არ ვიკით როღის ჩამოიღღა თბილისში ვახტანგ VI მოწვევით მიიღიღ იშტვანოვიჩი — ვარღღობენ 1708—1709 წწ. იგი უკან. სამშობლოში, გაემგზავრა თბილისიღან 1711—1712 წწ. მიღნაზე. ერეკლე მეორის მიერ თბილისის მოქვლებული სტამბის გასანახლებღღ სტამბოღიღან 1781—1782 წწ. მოწვეული მესტამბე თბილისში 1783 წლამღე დარჩა სტამბის სარეკონსტრუქციო საღუშაოების დასამთავრებღღად, ე. ი. იმღენივე ღრო დასჭირღღ, რაც იშტვანოვიჩის ვახტანგის სტამბის გამართვისთვის. მაგრამ ღღემღე არაღის მოსეღღა აზრად ემტკიცებინა, რომ „ტირაკუე ოპანიანმა 1780-იან წლებში თბილისში სტამბა დაარსაო“. მაშინ სტამბის დაარსება რთული პროცესი იყო. უცხოეთიღან ჩამოსულ ისტატს ორ-სამ წელიწადში მხოლოდ აღღგენა-განახლება შეეშლო სტამბისა და არა დაარსება.

50 იბ. ბ. გორდღეზიანი, პირველი ქართული სტამბა და მისი მეურნეობა.— მნათობი. № 1. 1950 და მისივე ქართული მხედრული შრიფტი, თბ., 1955.

ლისა და მისი წარმოგზავნილი კაცისაგანაა დავალებული. ვახტანგის ქართულ წიგნს სტილისტიკური ნიშნების მიხედვით, როგორც მთლიანი ანაწყოები გვერდის შრიფტის, ისე დეკორატიულ-ორნამენტული გადაწყვეტისა, ილუსტრაციებისა თუ თვით ლერბის მოთავსების მხრივაც. მათი დედნების მიხედვით საერთო არაფერი არა აქვს⁵¹.

მკვლევრის აზრით „ვახტანგის წიგნებისა და ანთიმოზის წიგნთა დამსურათებელი მხატვარ-გრავიორები ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული სამხატვრო სკოლიდან ყოფილან გამოსულნი. ამის მიხედვით დადასტურებულად შეიძლება ჩათვალოს, რომ ქართულს სამხატვრო სკოლას საერთო არაფერი ჰქონია ანთიმოზ ივერიელის სამხატვრო სკოლასთან და, მაშასადამე, არც მიხეილ უნგროვლახელთან“⁵².

მაგრამ მკვლევარი საერთოდ არ უარყოფს ანთიმოზის სტამბის პროდუქციის ზოგიერთ გავლენას ვახტანგის სტამბის პროდუქციაზე.

რაც შეეხება ვერსიას, რომ ანთიმოზმა რუმინეთში ჩამოასხმევინა ქართული შრიფტი, იქვე დაბეჭდა ქართული წიგნი და თბილისში გამოგზავნაო, შალვა კვასხავაძის შეხედულებით, „ეს ცნობა არა მარტო დაექვევბას იწვევს, არამედ დაუჭერებელიცაა. დაუჭერებელია, რადგან ბეჭდვა თავისთავად ისეთი რამის (შრიფტის, წიგნის დედანი, რედაქცია, კორექტურა) ქონას გულისხმობს, რაც ანთიმოზისათვის უდავოდ ხელმიუწვდომელი იქნებოდა“⁵³.

ფაქტების ლოგიკაზე დაყრდნობით ავტორი თბილისში სტამბის დაარსების თარიღად 1701—1702 წლებს მიიჩნევს⁵⁴.

შალვა კვასხავაძემ 1959 წ. გამოაქვეყნა ნარკვევი „პირველი სტამბის წიგნთა გრაფიკის თავისებურებანი“⁵⁵. მკვლევარი ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა შემკულობის კომპოზიციისა და გრაფიკის სტილის სპეციალურად შესწავლამ კიდევ ერთხელ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ თბილისში წიგნის „ბეჭდვის საქმისა და სტამბის შემოღების თარიღად შეიძლება დაიდოს მხოლოდ ერთადერთი თარიღი, 1701—1702 წწ.“.

შ. კვასხავაძე ფიქრობს და ასაბუთებს, რომ ამ „წიგნების მხატვრული მხარე შექმნილია ქართველი მხატვარ-გრავიორებისა და კალიგრაფების მიერ, რომ XVIII ს. დასაწყისისათვის თბილისში ყოფილან

51 შ. კვასხავაძე, ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, გვ. 193.

52 იქვე, გვ. 215.

53 იქვე, გვ. 226.

54 იქვე, გვ. 236.

55 იხ. ეურნ. დროშა, 1959, № 4, გვ. 18.

წიგნის კაზმულობასა და შრიფტზე მომუშავე მხატვრები. აშკარად ჩანს, რომ ყველაფერი მიუღიათ შედეგად იმ დიდი შემოქმედებითი ძიებისა და მუშაობისა, რაც ჩვენში უწარმოებიათ მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულისა და მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისისათვის“. მართლაც, ჩვენ ამ წიგნებში ვხვდებით გრავეურებს ქართული სახელმწიფო გერბისა და მეფე ვახტანგ VI-ს პორტრეტებისა; შრიფტთა გრაფიკული მონათულობა სანიმუშოა, როგორც ნუსხურის, ასევე მხედრულისა. ამ სტამბაში მხედრული შემოღებული იყო ნუსხურის პარალელურად, ხოლო წიგნთა შრიფტის გრაფიკული მონაზულობა და ნახატის ადგილობრივი ქართული წარმოშობა ექვს ან ბადებს.

შ. კვანახვიძის დაკვირვებით ვახტანგ VI-ის სტამბასთან ორა საგრავეორო თბილისური ქართული სამხატვრო სკოლა არსებობდა. ქართულისაგან განსხვავებულია ერთადერთი „ჯვარცმის“ კომპოზიცია, რომლის გრავეურაზე შემსრულებელი იონიკინი ბერძნულად აწერს; წიგნის „კონდაკის“ მხატვარ-გრავეორია „მარკოზი“, მთავარ დიაკვანი ვახტანგ VI-ის სამეფო კარისა.

„ვახტანგის წიგნის გრაფიკის ორიგინალობისა და სასტამბო საქმისათვის საწყისი თარიღის დადგენისათვის — შ. კვანახვიძის აზრით — განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა... პირველი დათარიღებული ქართული გრავეურა... ამ გრავეურაზე მთავარდიაკვან მარკოზს ამოუყვებია: „გაკეთდა ხელითა ჩემითა ცოდვილითა“ 1708 წელსო. ამ თარიღის აღმოჩენით საბოლოოდ გაირკვა და დადასტურდა, რომ ვახტანგის სტამბის წიგნთა შემზადება (მხედველობაში უნდა მივიღოთ სამი წიგნი) გაცილებით ადრეა დაწყებული, ვიდრე ეს აქამდე გვეგონა. ასეთ თარიღს მოითხოვს საქმის ფაქტიური მდგომარეობაც. კერძოდ: გამოცემული წიგნებისათვის საჭირო შრიფტისა და გრავეურათა თუ ორნამენტთა დამზადებისა და ბეჭდვისათვის საჭირო და აუცილებელი დროც“.

შ. კვანახვიძის მიერ მარკოზის გრავეურის მეცნიერულად შესწავლა და მასზე (1708 წლის) თარიღის ამოკითხვა იმდენად დიდი არგუმენტია თბილისში 1709 წლამდე სტამბის არსებობისა, რომ იგი, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს.

კვანახვიძისავე აზრით ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი „უამნი“-ს შრიფტი და დასურათება, მისი ქართულ-თბილისური წარმოშობაც უდავოა. მისი ავტორია ქართველი მხატვარი-გრავეორი, თბილისის სიონის მხატვარი გიორგი. უკანასკნელი ერეკლეს სტამბაშიც განაგრძობს მოღვაწეობას (სიგელით აჯილდოვებენ). გორგის ეკუთვნის „პარაკლიტონის“ ვედრების კომპოზიცია — წმინდა ნანოს. ლეთისმშობლისა და ანდრია პირველწოდებულის გამოხატულებანი. იგი

ცუარება ვადმოცემას. საქართველოს მოქცევასა და მის წილხვედრი-
ლობაზე რომ მოგვითხრობს.

ავტორის აზრით დაზგური გრაფიკისა და ბექდური ხელოვნების
დამკვიდრება მოასწავებდა ხელოვნების დემოკრატიზაციას. ყოველი-
ვე ამას. ბუნებრივია. ესაქიროებოდა მომზადებული სპეციალისტები,
ტრადიცია. რაც ერთბაშად და უცბად ვერ შეიქმნებოდა მესტამბე იმ-
ტვანოვიჩის თბილისში ჩამოსვლის პირველსავე წელს.

თუ ჩაუფიქრდებით რეალურ ისტორიულ ვითარებას და მოვახ-
დენტ სანდო წყაროთა და ცნობების კრიტიკულად გაანალიზებას
XVIII ს. დასაწყისში (1709 წლამდე) თბილისში სტამბის არსებობის
შესახებ. უნდა ვაღიაროთ. რომ მიხაი იმტვანოვიჩის თბილისში ჩა-
მოსვლამდე და ვახტანგ VI სახელთან დაკავშირებული რეკონსტრუქ-
ციური სტამბის ახალი ტექნიკის საფუძველზე გახსნამდე თბილისში
არსებობდა და მოქმედებდა დაბალი ტექნიკური შეიარაღებულ სტამბა,
რომელშიაც იბეჭდებოდა და ფორმდებოდა წიგნები. მზადდებოდნენ
მესტამბენი და იქმნებოდა წიგნის ბეჭდვის ტრადიცია.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველი გახდა იმისა, რომ 1708
წელს თბილისში ჩამოსულ მიხაი იმტვანოვიჩის უმაგალითოდ მოკლე
დროში მიეღწია დიდი გამარჯვებისათვის.

თბილისის ადგილობრივი სტამბის მუშაკთა მაღალკვალიფიციურად
გაღამზადებით. იმტვანოვიჩის თავკაცობით, განხორციელდა ტექნიკურ-
რად სუსტი სტამბის ძირეული გარდაქმნა-რეკონსტრუქცია. ამის შე-
დეგად წარმოიქმნა მაღალტექნიკურ დონეზე გამართულ-განახლებუ-
ლი სტამბა, რომელსაც ემსახურებოდნენ სტამბის საქმეს დაუფლე-
ბულ მუშაკთა შესანიშნავი კადრები. ამიტომ იყო, რომ 1709—22 წწ.
თბილისში სანიმუშოდ იბეჭდებოდა წიგნები, რომლებიც მაშინდელი
ევროპისა და რუსეთის საუკეთესო გამოცემებს არაფრით ჩამოუვარ-
დებოდა. ამის მაგალითად ვეფხისტყაოსნის დასახელებაც კმარა.

რა ირკვევა? XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ქართული სტამ-
ბისა და წიგნის ბეჭდვის განვითარებისათვის ორი ტენდენცია და ძი-
რეული კერა არსებობდა: ერთი დასავლურ-კათოლიკური სამყარო,
რომის პაპისა და მისი მისიონერული კონგრეგაციის სახით, რომე-
ლიც ესწრაფოდა საქართველოში კათოლიკური ეკლესიის გავლენის
შოპოვებას: ხოლო მეორე — აღმოსავლურ-მართლმადიდებლური სამ-
ყარო იერუსალიმის საპატრიარქოს სახით, რომელიც ცდილობდა
მართლმადიდებლური მდიდარ-მწიგნობრული კულტურის მქონე სა-
ქართველოში (რომელიც რთულ მაჰმადიანურ გარემოცვაში იმყოფე-
ბოდა) ან კიდევ საქართველოს საზღვრებს გარეთ დაეარსებინა სტამ-
ბა და მოეწყო ქართული წიგნის ბეჭდვა, როგორც ამას ჰქონდა აღ-

გილი ერთმორწმუნე რუსეთში, XVIII ს. დამდეგიდან, არჩილ მეფის მეთაურობით.

იერუსალიმის საპატრიარქო კარისა და ანთიმოზ ივერიელის დახმარებით ვახტანგ VI-მ ვლახეთიდან მოიწვია მესტამბე დიდოსტატი მიხაილ იშტვანოვიჩი. მან უმოკლეს დროში ძირეულად გარდაქმნა და განაახლა ტექნიკურად სტამბა, გადაამზადა სტამბის მუშაკები და გამართა სანრმეშო სტამბა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული ხალხის სულიერი კულტურის განვითარებაში.

ასეთი იყო ისტორიული სინამდვილე, მისი განვითარების ტენდენცია და შესაძლებლობანი, მაგრამ ამ შესაძლებლობათა სინამდვილედ გადაქცევისათვის. ანუ ქართული წიგნის ბეჭდვისა და ქართული სტამბის კერების დამკვიდრებისათვის ყველგან. უცხოეთში თუ მშობლიურ საქართველოში, — იქნებოდა ეს რომის კათოლიკური მიხაილის კონგრეგაცია, იერუსალიმ-კონსტანტინეპოლის საპატრიარქო, თუ რუსეთის სამეფო კარი — ქართული წიგნის ბეჭდვასა და ქართული სტამბის როგორც დაარსებას, ასევე მათ მუშაობას ყოველთვის ქართული პატრიოტები და მამულიშვილები ედგნენ სათავეში. დაუღალავი შრომით წარმართავდნენ ისინი და დიდი ოსტატობით იყენებდნენ ყველა შესაძლებლობას ქართული წიგნის, ამ უზარმაზარი ძალის, გავრცელება-გამრავლებისათვის.

ძალთა ამ კვილილში XVII—XVIII სს. მიჯნაზე, როგორც ვრწმუნდებით, აღორძინების გზაზე დამდგარ ქართლის სამეფოში შეშაღდა პირობები, — შეიქმნა პატრიოტთა ძლიერი ჯგუფი, იერუსალიმის საპატრიარქო კარის მხარდაჭერით. თბილისში ქართული სტამბის დაარსებისათვის. ვახტანგ VI და მისი ძმა დომენტი კათალიკოსი უნდა უკუთვნოდეს სწორედ იმ პატრიოტ-მამულიშვილთა ჯგუფს. რომელმაც მაქსიმალურად გამოიყენა შექმნილი ისტორიული პირობები და ილონა თბილისში პირველი ქართული სტამბის დაარსებისათვის. ჩვენ განვიხილეთ და აქ აღარ გავიმეორებთ თუ რა პირობებში მოხდა ეს და რას წარმოადგენდა ე. წ. დომენტის სტამბა. ერთი კი უდავოა, 1708 წელს, როცა იშტვანოვიჩი თბილისში ჩამოვიდა. თბილისელთათვის „სტამბა“ უკვე იმდენად ფართოდ ცნობილი დაწესებულება ყოფილა, რომ თვით მიხაილსაც კი ეს სახელი მისთვის მშობლიურ „ტიპოგრაფიაზე“ მალე დაუყენებია და თავის ანდერძებში ყველგან სტამბას წერს.

ვახტანგ VI სტამბა თბილისში

„ტფილისის, იმერეთისა და მოსკოვის სტამბებიდან მაშინ გამოვიდა წინებული გამოცემები: ბიბლია, ვეფხისტყაოსანი და სხვა მრავალი წიგნი, რომლებსაც ევროპა მაღალ შეფასებას მისცემდა, რომ გასცნობოდა მათ“.

მარი ბროსე.

ქართული ეროვნული კულტურის განვითარების ისტორიაში ვახტანგ VI სტამბა განსაკუთრებული მნიშვნელობის დიდ მოვლენად წარმოგვიდგება. ესაა XVIII საუკუნის დასაწყისში თბილისში აღმოცენებული და ევროპული კულტურის დონეზე გამართული ახალი ტიპის სტამბა. რომლის ბადალს ფეოდალური საქართველოს მომდევნო პერიოდში ვერ ვხვდებით.

აქ დაბეჭდილი წიგნები საოცრად წარმატცი შრიფტითა და შესანიშნავი გრაფიკებითაა ილუსტრირებული და სანიმუშოდ გაფორმებული. სტამბაში პირველად განხორციელდა ნაირ-ნაირი ზომის მხედრული შრიფტის ჩამოსხმა და სასულიერო საღმრთო წიგნებთან ერთად საერო წიგნების ბეჭდვა. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც 1712 წ. დაისტამბა ვახტანგ VI რედაქციითა და გამოკვლევით.

ეს დიდებული სტამბა სავსებით კანონზომიერადაა დაკავშირებული განათლებისა და მეცნიერების ამაგდარ, ქვეყნის გამგებელ ვახტანგ VI სახელთან¹.

სტამბამ სულ 15 წელიც კი (1709—1722) ვერ იარსება. ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გართულებათა გამო სტამბის არსებობა საერთოდ მეტად დღემოკლე აღმოჩნდა, გარდა ამისა ვახტანგ VI ირანში გაწვევას შედეგად სტამბა მხოლოდ დროგამოშვებით ახერხებდა მუშაობას.

¹ ვახტანგ VI სტამბას ქ. შარაშიძემ მიუძღვნა საინტერესო გამოკვლევა — „პირველი სტამბა საქართველოში“ (1709—1722), თბ., 1955, სადაც მონოგრაფიულადაა შესწავლილი სტამბის ისტორია.

არაბელსაყრელი ისტორიული პირობების გამო სტამბა, ევროპის ცივილიზაციის ეს მონაპოვარი, ქართველი ხალხისათვის შედარებით გვიან გახდა ხელმისაწვდომი. მაგრამ ამასთანავე სავსებით კანონზომიერია, რომ პირველი ქართული სტამბა ეკონომიკურად დაწინაურებული ქართლის სამეფოს ცენტრში — თბილისში მოეწყო და ქართლის ხელისუფალთა ხელში ქვეყნის იდეურ-პოლიტიკური გავლენის გაღრმავებისა და საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ძლიერ იარაღად გადაიქცა.

ვახტანგ VI თბილისში სტამბის განახლების, გამართვის თუ ახლად დაარსების მიზნით ბევრი იღონა. იერუსალიმის პატრიარქთა — დოსითეოსისა და ხრისანთეს დახმარებით იგი კავშირს აწყობს უნგრულახეთის გოსპოდართან და საეკლესიო მოღვაწესთან, მეცნიერსა და სტამბის საქმის დიდ სპეციალისტთან ანთიმოზ ივერიელთან — ჩვენს სახელოვან თანამემამულესთან.

უნგროვლახეთიდან, როგორც ვიცით, ვახტანგ VI მოწვევით მხოლოდ ერთი სპეციალისტი — მიხაილ უნგროვლახელი იშტვანოვიჩი ჩამოვიდა. დანარჩენი მესტამბენი ქართველები იყვნენ. ვახტანგ VI-მ ამ ახალ წამოწყებას სპეციალური „სტამბის სახლები“ აუგო². ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა არასრული სია კი ასეთია:

1. 1709 წ. — სახარება, 304 გვერდი;
2. 1709 წ. — დავითნი, 295 ფურცელი;
3. 1709 წ. — სამოციქულო, 442 გვერდი;
4. 1710 წ. — კონდაკი, 212 გვერდი;
5. 1710 წ. — ლოცვანი, 291 გვერდი;
6. 1710 წ. — ჟამნი, 385 გვერდი;
7. 1710 წ. — ჟამნი, 424 გვერდი;
8. 1710—1711 წწ. — ბიბლია, 408 გვერდი;
9. 1711 წ. — გერმანე „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღუარსა სწავლება მოწაფისა“, 411 გვერდი;
10. 1711 წ. — დავითნი, 286 გვერდი;
11. 1712 წ. — დავითნი, 415 გვერდი;
12. 1712 წ. — ვეფხისტყაოსანი, 353 გვერდი;
13. 1713 წ. — კურთხევანი, 627 გვერდი.
14. 1716 წ. — დავითნი, 415 გვერდი;
15. 1717 წ. — ლოცვანი, 291 გვერდი;

²თ. ეორდანიას „ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები“, გვ. 98.

16. 1717 წ. — ემნი. 444 გვერდი;
17. 1719—1720 წწ. — კურთხევა ეკლესიისა, 79 გვერდი;
18. 1720 წ. — პარაკლიტონი, 453 გვერდი;
19. 1721 წ. — ქმნულების ცოდნის წიგნი, 148 გვერდი;
20. 1722 წ. — ემნი, 336 გვერდი.

ვახტანგ VI. როდესაც თბილისში სტამბის მოწყობას შეუდგა (1709 წ. წინა პერიოდში). აზრადაც არ მოსვლია, მოსკოვისათვის მიემართა დახმარებისათვის. ერთ-ერთი მიზეზი ამისა მოსკოვის პოლიგრაფიული ბაზისა და ტექნიკის ჩამორჩენილობაც იყო. ამას ისიც ადასტურებს, რომ პეტრე პირველმა, რუსული სამოქალაქო შრიფტის შემოღების მიზნით, XVIII ს. 10-იან წლებში, სასტამბო შრიფტის დასამზადებლად ამსტერდამს მიმართა (იხ. ბროკჰაუზ-ეფრონის ლექსიკონი, წ. 18. LXV. გვ. 511).

1710 წ. გამოცემული კონდაკის ბოლოს დაბეჭდილია რუმინული ლექსი ქართული ასოებით. ლექსის ქართული თარგმანი ასეთია: „ქ. ვითარცა უცხონი იხარებენ ხილვასა ზედა თვისთა სამკედრებელთასა და ზღუათა შინა მავალნი — ხილვასა ზედა ნავთსაყუდელთასა. ეგრეცა მესტამბენი იხარებენ განსრულებასა ზედა წიგნთასა“³. აქედან ჩანს თუ რა ზეიმით ეგებებოდნენ თბილისში ნაბეჭდი წიგნის გამოცემას.

ვახტანგი ბევრს ზრუნავდა და არაფერს იშურებდა იმისათვის, რომ სასარგებლო წიგნი ხალხში გასულიყო. ამიტომ ვახტანგის სტამბაში წიგნთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხედრული შრიფტით დაიბეჭდა, მათ შორისაა, როგორც აღინიშნა, შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. 1712 წ.: ორიგინალური სახელმძღვანელო „სწავლა თუ ერთარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“, 1711 წ., მეცნიერული ნაშრომი — „ქმნულების ცოდნის წიგნი“ (ვარსკვლავთმრიცხველობა). 1721 წ. და სხვ.⁴

ქართული სტამბის ისტორიის მკვლევარი ხელოვნებათმცოდნე შ. კვანცვანიძე მიუთითებს, რომ ვახტანგ მეექვსის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები მხატვრული გაფორმებით არ ჩამორჩებიან ევროპაში მდროს

³ ქრ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 188. 1721 წელს დაბეჭდილი წიგნი ე. წ. „ქმნულების ცოდნის წიგნი“ (ვარსკვლავთმრიცხველობა) თავლება შიირით;

⁴ მენავე ლელვა-გვემული განეროს ზღვისა წყრომასა, გალატონი და ხერონი რა მორჩენ თესსა შრომასა. მათს სიხარულსა ვინ დასთვლის, ანუ შევებისა ზომასა. და მესტამბე მათგან უადრეს იქს სიხარულის ნდომასა (იქვე, გვ. 207).

⁴ ქართული წიგნი, 1941. კვიპრიანე სამთავნელის ანდერძი, № 16, გვ. 22.

დაბეჭდილ წიგნებს, ქართული წიგნის შინაარსობრივ სიღრმეზე შეუ-
ნელებელ ზრუნვასთან ერთად: ეს კი იმის მან-შნებელიცაა, რომ სა-
ქართველოში ძველთაგანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა
და დიდი ტრადიცია შემუშავდა ხელნაწერ წიგნთა მხატვრულად გა-
ფორმება-მოკახმვისათვის. საკმარისია გავიხსენოთ ბექა და ბექენ
ოპიზართა მიერ მხატვრულად გაფორმებული წიგნები. ძველმა გამო-
ცდილებამ. ბუნებრივია, თავი გამოიჩინა. გამდიდრდა და თვისებრივად
ახალი განდა მას შემდეგ. რაც თბილისში ამუშავდა ვახტანგ VI-ის
სტამბა და დაიწყო წიგნების სტამბურად ბეჭდვა.

ვახტანგის სტამბის წიგნთა შრიფტი და მხატვრული გაფორმება
ნიუწვდომელი ხდება მე-18 ს. მეორე ნახევრის როგორც საქართველო-
ში. აგრეთვე რუსეთში მოქმედი ქართული სტამბებისათვის.

ვახტანგ მეექვსის მისანდო თანაშემწე მიქელი პროგრესული პი-
რია და ქეშმარიტი განმანათლებელი. მიქელი ფეოდალურ საქართვე-
ლოში იღვწის სტამბის ახალ საფუძველზე დაფუძნებისათვის. თბილი-
სის სტამბა თითქმის მთლიანად მეფის ხელისუფლებასადმი დაქვემ-
დებარებული.

ვახტანგის სტამბაში იბეჭდებოდა არა მხოლოდ საეკლესიო და
ლიტერატურული წიგნები, არამედ ისეთებიც, რომელთაც დიდი მნი-
შვნელობა ჰქონდა მოსწავლეთა აღზრდისა და თვითშეგნების ამაღ-
ლებისათვის. ასეთია. მაგალითად, 1711 წელს გამოსული „სწავლა“.
„თუ ვითარ მართებს მოძღვარს სწავლა მოსწავისა“⁵. ეს სახელმძღვა-
ნელო შედგენილია გერმანე მღვდელ-მონაზონის მიერ. ავტორი წიგ-
ნის დანიშნულებას ასე განსაზღვრავს: „ესოდენ ვიძუშაკე. რათა იყ-
თხედენ და ისწავლიდენ ყრმანი ახლად მოსწავლენი და მეცნიერებად
ღვთისა მოვიდოდენ და არ იყვნენ ჩვენგან განშორებულთა მწვალე-
ბელთ შვილთაგან დაწუნებულნი და სიტყვა ეუბებლნი“.

გერმანეს ეს სახელმძღვანელო დაუწერია მარტივო. გასაგები ენით.
„ამისთვის დაესწერე საეროს სიტყვითა, რომ ახლად მოსწავლენი ყრმა-
ნი სიადვილისათვის მსწრაფლ ზედ მიიწეოდენ და უცთომელად დაი-
სწავლიდენ და ესრეთ მეცნიერებად აღიყვანებდენ გონებასა მათსა
ხელვად ღვთისა“.

სახელმძღვანელოს დაბეჭდვის ინიციატორად გერმანეს გამოყვა-
ნილი ჰყავს ვახტანგი. იგი წერს: „ესეცა არ უკულებელსყო ყრმათა-
თვისცა დიდად მოღვაწემ და სწავლა-შემატების გულსმოდგინემ, სუ-
ლიერად და ჯორციელად გამგეობის ტრფიალმან ბატონიშვილმა ვახ-
ტანგ და დაბეჭდვინა თვისთა: საფასეთა წარსაგებელითა“⁶.

5 იხ. ქართული წიგნი. 1941. № 5, გვ. 9.

6 იქვე, ნიკოლოზ ორბელიანის ანდერძი. № 18, გვ. 25.

სწავლა: თუ ვითარ მართებს მ
ღვანსა სწავლება მწათვისა:

აწ ბეჭდული ქართულისა ენა
სა ხელა: ქაშა შეფო ბისა უბსა
უბსა ქაიხოსროსსა:

ღ შრო მათა: ცაშეგებვისა მის
ისა: უბსა უბსა ვაბტანგისა:

შემა კლიბით თქმული ღვარო
გებული გერმანე მღდელი მ
ნასონისაგან:

ველითა მისაიღოს ცეთანეს მისა
უნერო ვლასელითათა:

ქალაქა ცუდილისსასა: ილია:

ერთი წლის შემდეგ მიხაილ უნგროვლახელი საქართველოდან ამშობლოში გაემგზავრა მოსკოვის გზით.

ქართველი ხალხის დიდმა მეგობარმა მიხაილ უნგროვლახელმა აუვისი ხანმოკლე მოღვაწეობით თბილისის სტამბის აღორძინების საქმეში წარუშლელი კვალი დასტოვა. ტექნიკურად გამართა სტამბა და რამზადა ამ ახალი სტამბის მუშაყთა შესანიშნავი კადრები. ასეთებად ვევლინებინან: ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიქელი, გიორგი ხატვარი, გაბრიელ მღვდელი, აბრამ სალუყაზანაშვილი, ნიკოლოზ არბელიანი, გერმანე მღვდელმონაზონი, კეიპრიანე სამთავნელი და სვ. საქართველოდან მიხაილის წასვლის შემდეგ, სტამბის გამგეულად და 1712 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისა“ და „დავითნის“ ამშართველ-რედაქტორად ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილი მიელი იხსენიება⁸.

1. ქართლის სამეფოს მდგომარეობა ვეფხისტყაოსნის ბავაღის
პერიოდში

რუსთაველის გენიალური ქმნილების 1712 წ. გამოცემის ავარგზე მეცნიერული მსჯელობა გვავალებს ქართლის სამეფო პოლიტიკური ვითარების რეალურად შექმნილი მდგომარეობის მოკლედ, აღონდ გულდასმით გათვალისწინებას.

XVII ს. მიწურულისა და XVIII ს. პირველი მეოთხედის ქართლის სამეფოში უარჩესად რთული პოლიტიკური ვითარება შეიქმნა. რანს ავლანეთის გამანთავისუფლებელი მოძრაობით შერყეული ფლობლობის შენარჩუნება ქართველთა მამაცი ლაშქრისა და მისი ამოცდილი მეფე-სარდალის გიორგი XI-ის ძალის გამოყენებით სურდა აღაეწყვიტა. ამ მიზნით ირანში მყოფ ლევან მეფეს (ვახტანგის მამას) სჰმა გაანდო თავისი ჩანაფიქრი: აღუდგინოს მეფობა ქართლში გიორგი XI და დანიშნოს... იგი ირანის სჰასალარად, ლევანს კი ავალებს: ართლში გიორგისათვის მძლავრი ლაშქრის შეყრას ავლანეთში სალაშქროდ; გიორგი XI-ს უკან დაბრუნებამდე ქართლის სამეფოს ჩაიშინად ეახტანგ ლევანის ძე დაენიშნათ.

1703 წ. შჰმა გიორგი XI-ს ოფიციალურად უბოძა ქართლის მეფობა და ირანის სჰასალარობა: ხოლო მეფე ერეკლე I-ს, სანაცვლოდ, ახეთის მეფობა და ყულარალასობა, კახეთში ერეკლეს ვაგი. დავით, ასევა მეფედ, თვითონ ერეკლე I კი ირანში გაიწვია.

ყენთან მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად 1703 წ. 15 ილისს გიორგი მეფის მაგიერ ქართლში ისჰანადან მობრძანდა მისი

⁸ იქვე, № 9, გვ. 16.



ԱՄՈՒՆՆԱԿԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԿԱՆՈՒԹՅԱՆ

Ըր քննա ճշմար ճշգրտման Իրանաստու պիւնիճի :

Կեմե բժշտապարտու ճշ կրկնատարիւնե Երբեմն
տարտան ժողովուր . Օմեւ Օմեւ ԱՆՕՃ ԱՆԵՆ
Կղևղի ճշգրտաբն Նառամանիւնիւնե օ

Սնամառ դժմառ ճշ քննչոյառ կարել դառառ . Ձրն
առ ձրճճչոյառ ճշ զնիւտապարտու Երբեմնտար
տան զննչոյառ ճշ Կրկնայարտու տարտ Օմեւ
Կարգեհչ Եղիմնն ժուրառ օ

Կարճեառ քն ղեղ կարառ Կիսանն ձրճոյա ձանե
նանեւ Օմեւտան քրտանեառ :

Կրտառ ժողկրճչոյ ժուրառ Եղարեհոյ քրտանե
Օմեւնապարտեղտանե .

ՓԵՆԵՓԵՆ ԲՓ ԿՆԿԵԿԵՆԵՆ .

Իկնե : Իրնըղն բիդա : Հան քրտճն ճշ զանեառ օ

მა ლევან მეფე. მეფე ლევანმა „განაგო აქაური საქმენი“ და მოკლე დროში წარუვლინა მეფე გიორგის დამატებით ორი ათასი რჩეული ქართველი მხედარი ქირმანში. ქართლიდან ცოტა ხნის შემდეგ ლევან მეფე წავიდა ისპაანს, ჭანიშინად დაუტევა თვისი შვილი ვახტანგ ქართლში. „იესე თან წაიყვანა“⁹.

მეფე გიორგიმ დიდი გამგზავნა და გმირობა გამოიჩინა. შაჰის ყველანი ურჩნი დაამშვიდა, რამეთუ ხოსროშა და შადადა მყრობელნი ბელუქისანი მოვიდნენ წინაშე მისსა შიშით შეძრწუნებულნი და თაყვანისმცემელნი¹⁰.

თავის დროზე ქართლში გამეფებულმა ერეკლე I-მა ქართლის ციხეებში სპარსთა მეციხოვნენი ჩააყენა — თბილისში, გორში, სურამში და სხვ. ტყვეთა სულიდა ყიზილბაშებმა გაააქტიურეს. „იცვლებოდა ქცევა-ზენი ქართლისანი და იქცეოდნენ უმეტეს ყიზილბაშთა ზნე-წესთა“ — წერდა შეშფოთებით ვახუშტი ბაგრატიონი.

ამრიგად, ვახტანგ ლევანის ძემ მეტად მძიმე შემკვიდრეობა მიიღო.

გიორგი მეფემ ქართველთა და ირანელთა ჯარებით დროებით ჩააქრო აჯანყებანი, რომლებიც შაჰის ხელისუფლებას დამხობით ემუქრებოდა. ამ მოვლენით კმაყოფილი ყვენი საქართველოს სამეფოს საშინაო საქმეებში თითქოს ნაკლებად ერეოდა. ამას კარგად იყენებდა ქართლის სამეფოს ჭანიშინი ვახტანგ VI სამეფოს განმტკიცებისა და კულტურულად დაწინაურებისათვის.




ვახტანგ VI ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა მუხრანის ბაგრატიონთა ახალი სამეფო დინასტიის შესანიშნავ წარმომადგენელთა საუკეთესო ტრადიციებისა. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო საბასულხანის, გიორგი XI-ს, ევროპულად განსწავლული მისიონერი პატრების ხელმძღვანელობით და, პირველ რიგში, შამის ლევან მეფის დიდ ოჯახში.

ვახტანგ VI იყო ენციკლოპედიური განათლების კაცი, სახელმწიფო და სამხედრო საქმის კარგი მცოდნე. კულტურისა და მეცნიერების დიდი მეცენატი. მემატიანის ცნობით. ჯერ კიდევ ვიდრე ჭანიშინი გახდებოდა, „ბატონიშვილი ვახტანგი მოვიდა [1701 წ.] შემო-

⁹ ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1989, გვ. 44—45.

¹⁰ ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე. ჩუბინოვის გამოცემა. სანკტებტერბურგი, 1854, გვ. 68: ვახტანგ მეექვსე, ლქსები და პოემები. აღ. ბარამიძის რედაქციით. თბ., 1975.

დვომახედ შამის საუფლისწულოში და დადგა სურამს; შემოიკრიბა. თავისთან საუკეთესო მწერალი მწიგნობარი, საბას თანამშრომლობით; შეადგინა დასტურლამა. სამართლის წიგნი, შეკრიბა სიგელ-გუჯარნი და ქართლის ცხოვრების შატანენი, მოაგროვა ხელნაწერნი“¹¹.



სურ. 24. დავითნი. 1711. თაფურცელი.

¹¹ ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980, გვ. 45--46; შ. ქიქოძე, ვახტანგ VI-ის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა. „მეცნიერება“, თბ., 1988.

ქართლის მეფის მოადგილედ ანუ სამეფოს ჯანიშინად დანიშნულ ვახტანგ VI დიდი წარმატებით აგრძელებდა სამეფოს კულტურულად აღორძინების ღირსშესანიშნავ წამოწყებებს. ამასთანავე ამჟღავნებდა სახელმწიფოს მართვის კარგ უნარს. იბრძოდა თავგასული ფეოდალებს — ერისთავებისა და სხვა რეაქციული ძალების ალაგმვისათვის: ჩამოაყალიბა სამეფო „მცველი ლაშქარი“, იღვწოდა ქართული ეკლესიის გადახალისებისა და განმტკიცებისათვის — დაუბრუნა მათ თავადთან მიტაცებული მამულები და კათალიკოსად დანიშნა რუსეთიდან ახლად დაბრუნებული თავისი ძმა დომენტი.

ვახტანგი მფარველობდა სამეფოს პატრიოტ პროგრესულ ძალებს, ეროვნული ქართული კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისათვის თავდადებულ ადამიანებს, ყველა იმას, ვინც საშობლოს გამოხსნისა და ევროპულ-კულტურული აღორძინებისათვის იღვწოდა, იყვნენ ქადაგნი სამართლიანობისა, მამხილებელი ეგოიზმისა და ტირანული ძალმომრეობისა, საკუთარი სარწმუნოებრივი სჯულის დამგმობ-რენე-გატობისა, ქვეყნის „გათათრებისაგან“ გადარჩენისათვის. ვახტანგი დიდი გულმოდგინებითა და რუღუნებით აგრძელებდა ბიძის, მეფე გიორგი XI-სა და მამის, ლევანის, მიერ დანერგულ კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებებს. ამასთანავე, ვახტანგ VI თვითონ გამოდის ინიციატორად, ქვეშაირთ ორგანიზატორად და აქტიურ მონაწილედ საქართველოს ოთხსაუკუნოვანი (XIV—XVII) ისტორიის აღსადგენად. იგი „ახალი ქართლის ცხოვრების“ ისტორიის დასაწერად „სწავლულ კაცთა“ საგანგებო კომისიას ჰქმნის, ბერი ეგნატაშვილის მეთაურობით.

ვახტანგ VI მეთაურობით თბილისში განახლდა და ამუშავდა უახლეს ტექნიკაზე დამყარებული ეროვნული სტამბა. დაიწერა ვახტანგის საკანონმდებლო ძეგლები და დასტურლამა, რითაც „სჯულმდებელი“ მეფის წოდება დაიმკვიდრა.

ვახტანგ VI უნდა ვემადლოდეთ იმ დიდი მასშტაბის ფილოლოგიურ-ტიქსტოლოგიური მუშაობის გადრმავებას, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერულად დადგენა-გამართვასთან, პირველად სასტამბოდ მომზადების, მისი ბეჭდვის, „თარგმანების“ ანუ კომენტარებისა და ლექსიკონის დართვის დიდ საქმეებთან ერთად, რითაც მკვიდრი საძარკველი ჩაეყარა რუსთველოლოგიას, როგორც მეცნიერების ცალკე დარგს.

ამავე პერიოდში გაძლიერდა მეფის ხელისუფლება. ნეტ-ნაკლებად განვითარდა საქალაქო ცხოვრება, სოფლის მეურნეობა. აღებმიცე-მობა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე გიორგი XI თანმხლებ ქართველთა ლაშქრითა და ირანის ძალებით ამყარებდა წესრიგს შაჰის ირანის

ზეპოთ დასახელებულ პროვინციებში. შაჰის უღლის დამხობისათვის განმათავისუფლებელი ბრძოლა კი ღრმავდებოდა... ამიტომ გიორგი XI-მ შეაპოხე მირ-ვეისი შეიპყრო, შაჰის კარზე გაეზავნა და არაერთი სხვა ღონისძიებანიც განახორციელა. მტრებმა კი ყვენის კარი გიორგი XI-ს წინააღმდეგ ცილისწამების გავრცელების კერად გამოიყენეს. მირ-ვეისი და ყვენის კარისკაცი ასმენდნენ ქრისტიან გიორგის; და როცა მიო-ვეისი შაჰის კარიდან სამშობლოში გაისტუმრეს, მან შეიწო მონაწილეობითა და ვერაგული ლაღატით გიორგი XI-ის ჰოცვლა და მისი ლაშქრის დარბევა. მირ-ვეისმა მეფის გულსაკიდი ჯვარი შაჰის კარზე გაეზავნა. ეს მოხდა 1709 წ. 21 აპრილს ყანდაარში.

მაგრამ ქართველ მეფეთა და ლაშქართა ბრძოლები ამით არ დამთავრებულა. იგი წლობით გრძელდებოდა. 1711 წ. ქართველი მეომრების მხარდამხარ ბრძოლებში დაიღუპნენ გიორგი XI ყაი ალექსანდრე და ვახტანგის უფროსი ძმა მეფე ქაიხოსრო ლევანის ძე. რომელსაც თან ახლდა საქართველოდან ახლად მობილიზებული 1500 მეომრისგან შემდგარი რჩეული ამალა¹². ძირმოპალი ირანის ტახტის მპყრობელის ბრძანებით ავღანეთის ამბებში იძულებით ქართლის დიდი ძალების ვერაგულად ჩათრევამ და ლაღატმა შეარყია ქართლის საინფოს წინსვლა¹³ და შეიწირა მრავალი მეომრისა და მეფე-მთავრის სიცოცხლე¹⁴. გართულდა სამეფოს მართვა; გამრავლდნენ მედროვენი და ტახტის მაძიებელნი (მაგ. ავღანეთში დაღუპული მეფე ქაიხოსროს ნომდევნი ძმა (1712 წ.) ყაენის (ჰუსეინ I) კარს ეახლა მეფობის საბოძებლად).

ასეთ პირობებში ვახტანგ VI იძულებული გახდა ქართლის სამეფოს 1712 წ-ს აპრილს გასცლოდა და დროებით დაეტოვებინა; ქართლის გამგებლად თავისი ძმა სვიმონი (1712—1714 წწ.) განაწესა და შაჰს ეახლა¹⁵. ვახტანგ VI-ის შაჰის კარზე ყოფნა გაკვიანურდა. ვახტანგი ქირმანში გაეზავნა შაჰმა. კრიზისი ქართლში ღრმავდებოდა, ვახტანგი არ დათანხმდა შაჰს მაჰმადიანობის შიღებაზე, სჯულის უარყოფას ვახტანგ VI ამჯობინებს მეფობა შაჰმა გადასცეს მის ერთ-ერთ მაჰმადიან ძმას „— გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიანნი და მათ გადაეცითო“¹⁶ — აქ ვახტანგის გამაჰმადიანებულ ძმებად სვიმონი და იესე ივულისხმებიან. რაკი იესე მეტი პოპულარობით სარგებლობდა, 1714

¹² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., გვ. 402.

¹³ ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980, გვ. 45—46.

¹⁴ ქართლის ცხოვრება, ჩუბინოვის რედაქციით, სპბ. 1854, გვ. 73—76.

¹⁵ ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, თბ., 1967, გვ. 150.

¹⁶ ეახუშტი, ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, გამოც. ჩუბინოვისაგან, ს. პეტერბურგი, 1834, გვ. 78.

შესტამბე მისაიღოსტ
 უფანე შევიღოსა სუნგ
 რთ-ვლოასეღოისათა:
 არეებელოად ქრისტ
 იანეთას სუღოისათვის:
 ქალოაქსა გუვილი
 სისასა:
 ქრისტეს აქეთა: სტრი:

წლიდან ქართლის ტახტზე იესე დაჯდა. ამ დროს ტახტზე ასვლის სურვილი, სრულიად მოულოდნელად, განუცხადებია ვახტანგის ძმას, კათალიკოს დომენტის, რომელსაც ასევე გაუმჟღავნებია სურვილი ცოლის შერთვისა და მაჰმადიანობაში გადასვლისა. საოცარია... მაგარა მთაქრთა...

თბილისში ამ დროს შაჰის ცნობილი აგენტი ვინმე ხოლოფა გამოჩენილა. თუ იგი მოიხელთებდა, ნება ჰქონდა მიცემული შაჰისაგან „დაეპყრო ქართლი“ (სვიმონი ირანში წარევილინა) და ქვეყნის გამგებლად გამხდარიყო¹⁷. ხოლოფასა და სვიმონს ამგვარად შექმნილ რთულ ვითარებაში ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ თითქოს საერთო ენა გამოუნახავთ, არაგვისა და ქსნის ერისთავებთან ერთად, და მოუხსენებთ შაჰისათვის: „ვახტანგმა ყურანი დასწვაო“, ამიტომ „არღარა ნებავდათ ვახტანგი და შეფედ იესე უნდოდათო“.

გამეფებულ იესეს თბილისში შემოსვლამ (10.1.1714 წ.) მძიმე მდგომარეობა და სიტუაცია შექმნა ქალაქში. ვახტანგის მომხრენი ამ დროს აქტიურად მოქმედებდნენ. საბა საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკოს ეახლა. პროგრესული ძალები, რომელნიც გამაჰმადიანებულ იესეს გამეფების მოწინააღმდეგენი იყვნენ, იძულებით ჩამოშორდნენ ბევრ კეთილად წამოწყებულ საქმეს და ზოგი სულ გაეცალა ქალაქს. მაგ., ვახტანგის მეუღლე დედოფალი რუსუდან რაქვას გაიხიზნა ორ შვილით. იესეს გამეფებასთან ერთად კათალიკოსი დომენტი აღდგათვის უფლებებში. ქართლის ჯანიშინის თანამდებობაზე ფორმალურად დატოვებული სვიმონი ისპანიდან მომავალ ახალ მეფეს იესეს, აღფრთოვანებით შეგებებია საზღვარზე — „გატეხილ ხიდს“ გაღმა¹⁸. ყოველივე ეს დიდ ზიანს აყენებდა და სპობდა ვახტანგის ეროვნულ, უაღრესად პროგრესულ წამოწყებას, უშედეგო იყო ევროპაში საბას ელჩობაც. ასეთ პირობებში ტყვეობაში მყოფი ვახტანგი თავისი მომხრეების რჩევით კომპრომისულ დათმობაზე წავიდა... ყვენამა მას ქართლი კვლავ უბოძა (მეფე იესე გადააყენა). ვახტანგი, რაც ირანის სპასალარობაც დაეკისრა, სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის გამო ერთხანს ირანში დარჩა, ხოლო ქართლის მეფობას ბაქარ ვახტანგის ძე ასრულებდა.

ბაქარის გამეფებას (1716—1719 წწ.) თან მოჰყვა რეაქციული ძალების — ვახტანგ VI სამეფო პოლიტიკის მოწინააღმდეგე ჯგუფების და პირთა წინააღმდეგ ანგარიშსწორების გაძლიერება: დაპატარებანი თვალთ ამოხდა (მუხრანბატონ ერეკლეს), მოშობა (პაპუნა დიასა

¹⁷ ვახუშტი, იქვე, გვ. 78.

¹⁸ იქვე, გვ. 79.

მიძეს), მკაცრად გაუსწორდა ერისთავს; ექსორიაცო არა ერთი მოწინააღმდეგე და სხვა. ყოველივე ეს ძვირად უჯდებოდა ქართლს.

1716 წ. თბილისსა და მთელ ქართლში ეპიდიემია გავრცელდა, რომელმაც აღამიანთა დიდი მსხვერპლი გამოიწვია. მაგ., ამოწყდა ვახტანგის ძმის სვიმონ ჯანიშინის ოჯახი და ბევრი სხვა.

ვახტანგ VI ქართლის სამეფოში სპარსეთიდან 1719 წელს დაბრუნდა ისე, რომ ირანის სპასალარს ირანის სასარგებლოდ არ უბრძოლია. მას აქ დახვდა თავისი სამეფოს საშინაო დიდი აშლილობა და უღარესად გართულებული საგარეო ურთიერთობა, რამაც განაპირობა კულტურულად დაწინაურებული ქართლის სამეფოს დასუსტება. ვახტანგი დაუპირისპირდა რეაქციულ მოღალატე თავადებს, ქსნისა და არაგვის ერისთავებს, დალაშქრა ოსეთი, დაიმორჩილა ზოგი ორგული თემი და მძიმედ დახარკა ისინი.

ამავე პერიოდში ვახტანგ VI-მ საბოლოოდ შეაქცია ზურგი ძირმომპალ ირანს და პოლიტიკური და მეგობრული კავშირი დაამყარა გაძლიერების დიდ გზაზე დამდგარ რუსეთთან.

რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დამყარებას საფუძვლად დაედო პეტრე I-ის მიერ 1721 წ. ნოემბერში ვახტანგ VI-დმი გამოგზავნილი წერილი. წერილი ეხებოდა კასპიის ზღვის სანაპიროებზე პეტრე პირველის ლაშქრობისათვის მზადებას და ამ ლაშქრობაში ვახტანგ VI მონაწილეობით ერთობლივ მოქმედებას სპარსეთის წინააღმდეგ. ვახტანგმა მიიღო პეტრეს ეს წინადადება და აღუთქვა. რომ ამ ლაშქრობაში სომეხ მეომრებსაც მიაღებინებდა მონაწილეობას. ამ წამოწყების მზადების პროცესში, 1722 წ. მარტში, ყეენმა ირანის შაჰის გვარდიის უფროსად ვახტანგის ძე ბაქარი დანიშნა. ბაქარს პეტრესთან კავშირი სახიფათოდ მიაჩნდა და მამის პოლიტიკას არ იზიარებდა. ბაქარს იმავე წლის მაისში ჯარი შეუყრია და ირანის მიმართულებით დაუძრავს კიდევ, მაგრამ ირანზე გულგატეხილ ვახტანგს ეს ლაშქრობა მოუშლია. ამასობაში ავღანელებმა ისპაანი დაიპყრეს და სეფიანთა დინასტიაც დამარცხდა. ირანის შაჰის დამარცხების მთავარ მიზეზად მიიჩნეის ის, რომ ვახტანგმა არ აღმოუჩინაო ირანს დახმარება.

1722 წ. დამლევს და 1723 წ. დასაწყისში ქართლის მდგომარეობა უკიდურესობამდე გართულდა. ირანის ახალი შაჰი ურჩი ვახტანგის დასასჯელად სალაშქროდ ემზადებოდა. ხოლო ქართლის საზღვრებზე თურქეთი ასევე ჯარებს უყრიდა თავს. კონსტანტინე კახთა მეფე სარგებლობდა შექმნილი მდგომარეობით და შაჰთან კავშირის გაღრმავებით თბილისისა და მთლიანად ქართლის დაპატრონებაზე ოცნებობდა. შაჰის ბრძანებით თბილისში მყოფმა გარნიზონმა ქალაქს სროლა აუტეხა. კონსტანტინე თავისი და ლეკთა დაქირავებული ჯარებით ამოქმედდა და განჯისა და ერევნის ხანებთან ერთად 1723 წ. გაზა-



ԱՄՆԱԿՆԵՐԻ ՎԵՐԸ



Երեցն Լիսիցու
 Կոնստանտինոս Գրիգոր
 Երեցն Ստեփանոս Գրիգոր
 Երեցն Կիրակոս Գրիգոր
 Երեցն Կրիստոս Գրիգոր
 Երեցն Կրիստոս Գրիգոր
 Երեցն Կրիստոս Գրիգոր
 Երեցն Կրիստոս Գրիգոր
 Երեցն Կրիստոս Գրիգոր
 Երեցն Կրիստոս Գրիգոր
 Երեցն Կրիստոս Գրիգոր

Գրիգոր Բարսեղ Կողբացի
 Գրիգոր Կաթողիկոս
 Գրիգոր Կողբացի
 Գրիգոր Կաթողիկոս
 Գրիգոր Կողբացի
 Գրիգոր Կաթողիկոս
 Գրիգոր Կողբացի
 Գրիգոր Կաթողիկոս
 Գրիգոր Կողբացի
 Գրիգոր Կաթողիկոս
 Գրիգոր Կողբացի
 Գրիգոր Կաթողիկոս
 Գրիգոր Կողբացի
 Գրիգոր Կաթողիկոս
 Գրիգոր Կողբացի
 Գրիգոր Կաթողիկոս

ფხულზე თბილისი დაიპყრო და ბარბაროსულად გაძარცვა. ვახტანგი, ცხინვალში გაიხიზნა. ამავე წლის ივნისში ქართლში შემო-
კრილი ოსმალები თბილისს მოადგნენ. კონსტანტინე უბრალოველად
გაეცალა ერთიანად გაძარცველ ქალაქს.

მართალია, პეტრე I 1722 წ. აგვისტოში ატყობინებდა ვახტანგს,
რომ მისი ჯარები კასპიის ნაპირებზე უკვე მოქმედებდნენ. მაგრამ
განჯაში მდგომი ქართველ-სომეხთა ლაშქრის, რომელსაც სარდლობდა
ვახტანგ VI, რუსეთის მხედრობასთან შეერთება შეუძლებელი აღმო-

| | | |
|----|------------------------|----|
| ონ | ქსენოზი აუგუსტინოვიჩი | |
| ონ | პეტროს აუგუსტინოვიჩი | |
| ონ | პეტროს აუგუსტინოვიჩი | 60 |
| ონ | კეკელიძე აუგუსტინოვიჩი | 60 |
| ონ | პეტროს აუგუსტინოვიჩი | 60 |
| ონ | პეტროს აუგუსტინოვიჩი | 60 |
| ონ | პეტროს აუგუსტინოვიჩი | 60 |
| ონ | პეტროს აუგუსტინოვიჩი | 60 |
| ონ | პეტროს აუგუსტინოვიჩი | 60 |

სურ. 27.

ჩნდა. პეტრე I-ის 1722 წ. კამპანია მოუმზადებელი აღმოჩნდა. იგი
ვკან გაბრუნდა, ლაშქრობის განახლება კი 1723 წლისათვის გადაი-
ტანა. ამასობაში თურქებმა აღმოსავლეთ ამიერკავკასია დაიპყრეს. რაც
რუსეთმა ოვიციალურად სცნო. ქართლში თურქებმა ვახტანგის გამაპ-

ნადიანებული ძმა, იესე გაამეფეს, ხოლო იმედდაკარგული ვახტანგი 1724 წლის ივლისში, დიდი ამალით და მახლობლებით, რუსეთს გადაიქცეწა.

ქართლის სამეფოს დამხობითა და „რჩეულ კაცთა“ რუსეთში გადახვეწით ქართველმა ხალხმა, მისმა სახელმწიფოებრიობამ. კულტურამ და მეცნიერებამ, უდიდესი დანაკლისი განიცადა. 1724 წლიდან 1744 წლამდე ქართლ-კახეთის სამეფოები მორიგეობით ჯერ თურქეთისა და შემდეგ ირანის მჩაგვრელური უღლისა და უმძიმესი ხარკის გადახდის ურთულეს სფეროში მოექცა, უმეფოდ დარჩენილი ქართლი გაჩანაგდა...

ვაიძარცვა ქალაქები და სოფლები, ეკლესია-მონასტრები, ჩაკვდა საშწერლობო კერები, ვახტანგმა და მისმა დიდმა ამაღამ თან წაიღო რჩეული ქართული წიგნები, რომლებიც კი გადაურჩა მოსპობას და მტრის მიერ გატაცებას.

მხოლოდ 1744 წელს თეიმურაზ-ერეკლეს გამეფებით ქართლ-კახეთის სამეფოები განვითარების ახალ სტადიაში შევიდნენ.

ასეთია მოკლედ ვახტანგის დროინდელი ქართლის სამეფოს ბედ-უკუღმართი პოლიტიკური ცხოვრების რთული პირობები, რომელშიც მოქმედებდა ახლად ფეხადგმული თბილისის სტამბა, სადაც 1712 წელს პირველად განხორციელდა ვეფხისტყაოსნის ბეჭდვა და დასაბამი მიეცა რუსთველოლოგიას, როგორც მეცნიერების ახალ დარგს.

2. გენეიერული რუსთველოლოგიის სათავესთან

ივ. ჭავჭავაძის შეხედულებით „ვეფხისტყაოსნისა და შოთას გამო გაჩაღებული ბრძოლა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ხან მიწვდებოდა, ხან კიდევ გაღვივდებოდა ხოლმე, ძველი საქართველოს საზოგადოებრივი აზრისა და ქართული მწერლობის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საგულისხმო საკითხთაგანია“¹⁹. ჩვენ აქედან მხოლოდ XVII ს. მეორე ნახევარსა და XVIII ს-ის დამდეგისათვის შექმნილ ვითარებაზე შევჩერდებით.

ბრძოლას ვეფხისტყაოსნის გამო განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიუღია XVII საუკუნეში, როცა შაჰ-აბასის ურდოებთან ომგადახდით, აღორძინების ხანაზე გარდამავალ ქვეყანას ჭრილობები ჯერ კიდევ არ მოშუშებოდა; როცა ლიტერატურაში ფეხმოკიდებული იყო სოფლისა და ბედის სამღურავ-მელანქოლიური მოტივები, ძლიერდებოდა მონარქიული ხელისუფლების რღვევა, ფეოდალურ აშლილობასთან

¹⁹ ივ. ჭავჭავაძის, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956.

ერთად პატრონჳური ტრადიციების საბოლოოდ გაქრობა; როცა უკვე დაქონდა: „ემისა ყოველი ბატონისა არს“.



სურ. 28. ვახტანგ VI.

„ვახტანგ VI-ის და მის დროინდელ მეცნიერთა მუშაობა წერილობით ბეგლებზე იყო ყოველთვის დამყარებული. ხელნაწერთა ტექსტის შეცვლას იბრუნებდა ვერ ბედავდნენ. მაშინაც როდესაც შეცდომა ცხადი იყო. მათ საზრუნავს ბევრი ძველის შეურყვნელად და სიფრთხილით დაცვა შეადგენდა. ამისათვის საუკეთესო ხელნაწერებს ეძებდა და უმჯობესნი მათგანნი ჰქონდათ ამ მიზნით გამოყენებული. ასე მოიქცა იგი ქართლის ცხოვრების აღდგენა-გადარჩენისა და გავრცელებისათვის ზრუნვის დროს... ქართული სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ძეგლების შეკრებისა... და შედგენისას“²³.

პირველ ყოვლისა, ვახტანგ VI-მ და მისმა ერთგულმა თანამებრძოლებმა გადაარჩინეს რუსთაველის ვეფხისტყაოსანი ყალბისმქმნელ დამლუბველთაგან. რაც შექმნილ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მას მოელოდა.




ვახტანგ VI-სა და მის თანამებრძოლთა მიერ ვეფხისტყაოსნის ტექსტის სასტამბოდ მომზადებას წინ უძღოდა მეცნიერულად ღრმად გააზრებული და კარგად მოფიქრებული მუშაობა, დროთა განმავლობაში მიმბაძველთ ჩანართებისგან ტექსტის განტვირთვისა და გადასწერთა უნებლიე შეცდომების გათვალისწინებით.

ვახტანგ VI შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების ტექსტის დადგენიას მხოლოდ შერჩეულ ხელნაწერებს ემყარებოდა. მან „პოემის ყველა საუკეთესო ხელნაწერი შეაგროვა. მათგან უკეთესს და უძველესი რედაქციის შეარჩევა შესძლო და ამ რედაქციის ტექსტი პირველად სტამბურად დაბეჭდა“²⁴.

ვეფხისტყაოსნის 1712 წ. გამოცემით საფუძველი ჩაეყარა მეცნიერულ რუბინოლოგიას. დღეს დადგენილია, რომ ვახტანგ VI 1712 წლის ვეფხისტყაოსნის სტამბურად გამოცემას საფუძველად დაედო XVII ს-ის სარდალ-სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილის შეკვეთით, ცნობილი მწერლის იოსებ თბილელის მიერ გადაწერილი „ზაზასეული ვეფხისტყაოსანი“ (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში — Q-1082). უკანასკნელ ხანებში პროფ. ს. ციციშვილის მიერ ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ ეს ფაქტი ცხადად დაასაბუთა.

²³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 22.

²⁴ იქვე, გვ. 8.



ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამმართველი მიქელი გვარწმუნებს, რომ 1712 წელს დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი ისეთივეა, როგორც ის იყო ავტორის (რუსთველის) მიერ ხელით დაწერილი. იგი წერს: „აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ხელითა...“

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობრივი მრწამსისა და 1712 წლის გამოცემის ტექსტოლოგიურ-მეთოდოლოგიური მეცნიერული პრინციპების სიღრმისეულად შესწავლამ გამოარკვია ვახტანგ VI-ის და მის უახლოეს თანამშრომელთა არა ერთი სახელმძღვანელო მოსაზრების სიმტკიცე.

რაც შეეხება რუსთაველის რელიგიურ-აღმსარებლობით რწმენას, იგი ქრისტიანი მართლმორწმუნეა; ამ სარწმუნოების მიდრეკილებამ პიიყვანა და უბიძგა მგოსანს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ბერად აღკვეცა. თეიმურაზ ბაგრატიონიდან მომდინარე ამ აზრს დღეს უყოყმანოდ იზიარებენ მკვლევარნი.

როცა რუსთაველის მსოფლმხედველობრივ-რელიგიური მრწამსის შესახებაა მსჯელობა, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ პოეტის ნეოპლატონურ მსოფლგაგებასა და შეხედულებას, რომელიც ჯერ კიდევ ისტორიკოსმა პლ. იოსელიანმა შენიშნა პირველად²⁵. ეს დეპულემა გაიზიარეს მკვლევარმა რუსთველოლოგებმა — იუსტ. აბულაძემ, ვუკ. ბერიძემ, ნ. მარმა, შ. ნუცუბიძემ და სხვ. მათ პლ. იოსელიანის მიერ აღძრული დებულება რუსთაველის ნეოპლატონურ შეხედულებათა შესახებ ახალი განმარტავადებელი მასალებით დაასაბუთეს და გამამდიდრეს²⁶.

მე-17 საუკუნეში, როგორც ჩანს, ცხოველმყოფელური განსჯისა და საყოველთაო საზრუნავ წმიდათაწმიდა საქმედ მიუჩნევიათ ვეფხისტყაოსნის იმ სახით აღდგენა და დაცვა, როგორც იგი გენიალური რუსთაველის მიერ თავდაპირველად დაიწერა და გავრცელდა.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის შებღალვა-გაყალბება ორი მიმართულებით ხდებოდა: ჯერ ერთი, წიგნის გადამწერების მიერ, გადამწერის პროცესში, უნებლრე შეცდომების ან მცირე შესწორების (სიტყვის შეცვლით) შეტანით არაერთი შეცდომის დაშვებით. მეორე მხრით, დროთა განმავლობაში ამა თუ იმ მწერალს, მელექსეს მთელი რიგი სტროფები, თავები და ეპიზოდები ჩაურთავს „ვეფხისტყაოსანში“ და ამ გზით შეურყვნია გენიალური ნაწარმოები²⁷. შექმნილა მანვე განწყობილება, რომ თითქოს ასეთ გადამწერთ და მელექსეთ თავიანთი უადგილო შესწორება-ჩამატებებით თავი იმდენად მოჰქონდათ,

25 ვ.ბ. კაკიაზი, 1870. № 13. შოთა რუსთაველი.

26 გ. შარაძე, პლ. იოსელიანი რუსთველოლოგი, თბ., 1920, გვ. 162—63.

27 ა. კაკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941, გვ. 321.



ეს მუცლები უოვლს ჳვირნაძალს შუა ლაშინის თქვიით
 სასოთა ჳ შესავედრებელთ ქრისტ
 იანეთათ ურცხსუნებელთ შუამდგ
 თაშელთა ჳ მბაღებელისა მიმართ მი
 თვალიულოთ ჳ შეწყენარებულთ ნუ
 უტუ

რომ ზოგი მათგანის სახელი ცნობილი გამხდარა თანამედროვეთათვის და ზოგმა ჩვენამდეც კი მოაღწია. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ამგვარ შერყენაში მონაწილეობა მიუღია მეფე თეიმურაზ პირველის თანამედროვეს. პოეტ იოსებ სააკაძე თბილელს²⁸, აგრეთვე ნანუჩა ანუ ნანუჩარ ციციშვილს. რომელიც არჩილ მეფის თანამედროვეა.

მეფე-მგონებში თეიმურაზი და არჩილი. როგორც ეს კარგად ჩანს, შემწვითებული იყვნენ მათი უსაქციელობით და ხმას იმაღლებდნენ ამგვარ მოქმედებათა წინააღმდეგ. არჩილ მეორე ნანუჩა ციციშვილის „ნამოღვაწაოს“ ასეთ სამარცხვინო შეფასებას აძლევს:

„ნანუჩას რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,
საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუშღვრევია“²⁹.

როგორც ირკვევა, XVII საუკუნეში ვეფხისტყაოსნის მამბაძველ-გაწყალბებელ მელექსეთა წინააღმდეგ საზოგადოებრივ პროგრესულ ძალებს გაულამქრიათ. უმხელათ და დაუგმათ მათი შეუწყნარებელი ზენე მოქმედება; ამასთანავე, ამავე ძალებს ჩათლად გაუთვალისწინებიათ „ვეფხისტყაოსნის“ უკვი დამახინჯებული ტექსტის დაუყოვნებ-ლევ (ე.ი. გვიან არ იყო) მეცნიერულად გამოკვლევა, განხილვა, (წყალებე-ჩანართთაგან, გადამწერთა) და ყოველგვარ შეცდომებისა-გან გაწმენდა. რათა პოემას თავისი თავდაპირველი სახე სრულყოფი-ლევ დაბრუნებოდა.

XVIII საუკუნის დამდეგისათვის ამ ისტორიული ძნიშვნელობის დიდი ეროვნულ-კულტურული საქმის განხორციელება დაეკისრა დი-დად განათლებულ მეფის ძეს, ქართლის სამეფოს გამგებელს ვახტანგ ლევანის ძე ბაგრატიონს.

შორსმჭერეტ მეფე-შემოქმედს წილად ხვდა ბევრი სხვა, ასევე გადაუდებელი, დიდი საქმის თავმობმა, რომელთაგან ჩვენ აქ „ვეფხის-ტყაოსნის“ გამოცემასთან დაკავშირებულ ერთ საკითხზე შეჩერდებ-ბით.

ეს საკითხია გადამწერთაგან შერყენილი „ქართლის ცხოვრების“ გასწორება. ასევე ტექსტის მეცნიერულად გამართვის და მისი ოთხ-საუკუნოვანი XIV—XVII სს. ისტორიის აღსადგენად ვახტანგის მიერ მეცნიერთა, ანუ „სწავლულ კაცთა“. საგანგებოდ შერჩევა, მოწვევა ბერი ეგნატაშვილის თაოსნობით.

ამ უაღრესად რთული დავალების განსახორციელებლად „მეცნიერ კაცებმა“ თუ რა მუშაობა ჩაატარეს. ამის შესახებ (თბრობა მესამე პი-

²⁸ ს. ციციშვილი, ვეფხისტყაოსნი. ვახტანგისეული რედაქცია. 1957, გვ. 24—25.

²⁹ „არჩილიანი“. ა. ბარამიძისა და ნ. ბე-ტენიშვილის გამოცემა, თბ. 1937. ტ. II, სტრ. 28.

« Բնական լեզուները որպես կանոն

Եւս ընդ որ ինչպէս լեզուները որպէս կանոն
եկող ձևերու մտայնութիւնը ցոյց տալով լեզուները
պէս կրկին ցրտանում են իրենց ինքնին ի
որպէս լեզուները իրենց ինքնին ի
ցրտանում են իրենց ինքնին ի
ընդ որ ինչպէս լեզուները որպէս կանոն
եկող ձևերու մտայնութիւնը ցոյց տալով լեզուները
պէս կրկին ցրտանում են իրենց ինքնին ի
որպէս լեզուները իրենց ինքնին ի
ցրտանում են իրենց ինքնին ի

հիմ

Օրպէս լեզուները ինչպէս լեզուները որպէս կանոն
եկող ձևերու մտայնութիւնը ցոյց տալով լեզուները
պէս կրկին ցրտանում են իրենց ինքնին ի
որպէս լեզուները իրենց ինքնին ի
ցրտանում են իրենց ինքնին ի
ընդ որ ինչպէս լեզուները որպէս կանոն
եկող ձևերու մտայնութիւնը ցոյց տալով լեզուները
պէս կրկին ցրտանում են իրենց ինքնին ի
որպէս լեզուները իրենց ինքնին ի
ցրտանում են իրենց ինքնին ի

Եւս ընդ որ ինչպէս լեզուները որպէս կանոն

Եւս ընդ որ ինչպէս լեզուները որպէս կանոն
եկող ձևերու մտայնութիւնը ցոյց տալով լեզուները
պէս կրկին ցրտանում են իրենց ինքնին ի
որպէս լեզուները իրենց ինքնին ի
ցրտանում են իրենց ինքնին ի
ընդ որ ինչպէս լեզուները որպէս կանոն
եկող ձևերու մտայնութիւնը ցոյց տալով լեզուները
պէս կրկին ցրտանում են իրենց ինքնին ի
որպէս լեզուները իրենց ինքնին ի
ցրտանում են իրենց ինքնին ի

რითა) — „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ:

„პატრიოსანსო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება გარყვნილიყო, რომელიმე მწერალთა მიერ დო რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან აღარა წერებულყო... ვახტანგ ძემან ლეონისაგან და მისწულმან სახელოვანის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხვნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაში იპოვნა და შეამოწმეს რა რომელი გარყვნილ იყო, გამართეს და სხვადა წერილნი მოიხვნეს“³⁰.

როგორც ვხედავთ, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ასევე გარყვნილიყო ქართლის ცხოვრება, „რომელიმე მწერალთა (გადამწერთა) მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან აღარ წერებულყო“ — ესაა XIV—XVII საუკუნეების ისტორია. ვახტანგ VI-ს „სწავლულ კაცთათვის“ დაუკისრებია როგორც „გარყვნილი“ ქართლის ცხოვრების გამართვა, ასევე ოთხსაუკუნოვანი ისტორიის ახლად დაწერა.

მემატიანეს ცნობით, როგორც აღინიშნა, ჭერ კიდევ „1701 წელს ბატონიშვილი ვახტანგი მოვიდა შემოდგომაზედ მამის საუფლისწულოში და დადგა სურამს. შემოიკრიბა თავისთან საუკეთესო მწერალმწიგნობარნი, საბას თანამშრომლობით შეადგინა დასტურლამალი, სამართლის წიგნი, შეკრიბა სიგელ-გუჯარნი და ქართლის ცხოვრების მატიანენი. მოაგროვა ხელნაწერნი“³¹.

ამრიგად, „ქართლის ცხოვრების“ გამართვასა და სამსაუკუნოვანი ისტორიის აღდგენასთან ერთად, ბუნებრივად დაისვა საკითხი ასევე: შერყვნილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენისა და დასტამბვის შესახებ. რაც, როგორც ვიცით, 1712 წ. განხორციელდა. პირველს თუ ბერი ეგნატაშვილი თავკაცობდა, ბუნებრივია, მეორეს ვეფხისტყაოსნის გამმართველი მესტამბე მიქელი მიქაძე უნდა გაძღოლოდა.

პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენს დრომდე მცირე რაოდენობით გადარჩა. სულ ცნობილია და აღწერილია 20 ცალი — ამთაგან არც ერთი არაა დაუზიანებელი — ზოგს რა აკლია და ზოგს რა. მაგრამ მათი ურთიერთშეჭერებით მოხერხდა პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის აღდგენა იმ სახით, როგორც ეს ვახტანგ VI-ის რედაქციით 1712 წელს გამოიცა.

1937 წ. რუსთაველის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენილი სრული ტექსტი. ა. შანიძის მიერ აღდგენილ გამოცემას დართული აქვს სპეციალური გამოკვლევა. აღნიშნული სრულ წარმოდგენას იძლევა მის დე-

³⁰ იხ. ქართლის ცხოვრება. ს. ყაუხჩიშვილის რედ., ტ. I, თბ., 1955. გვ. 024.

³¹ იხ. ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, გვ. 44.

დანზე. იგი ხელს უწყობს რუსთველოლოგიის დარგში კვლევა-ძიების გაღრმავებას.

ფეოდალურ საქართველოში რეაქციულ-კლერიკალური წრეები მუდამ არსებობდნენ. ისინი, როგორც ირკვევა, რუსთაველის გენიალური პოემის წინააღმდეგ იმთავითვე იბრძოდნენ არა მხოლოდ იდეურად, არამედ მისი ფიზიკურად მოსპობისათვისაც კი. ამას ჩვენამდე მოღწეულ ქართულ წყაროებთან ერთად ადასტურებს აგრეთვე რუსი ღვთისმეტყველ-მკვლევარის ბოლხოვიტინოვის ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი „ისეა მოსპობილი, რომ ახლა ფრიად იშვიათად თუ იპოვება“.

რუსთაველის წინააღმდეგ მკაცრად გაულაშქრია მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს: „ესე რუსთველი იყო — წერს გაბაშვილი. — მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ბოროტი ბილწიერება და განრყვნა ქრისტიანობა“, — აი პოზიცია კლერიკალ-რეაქციული სამღვდელთა, რომელიც უპირისპირდება რუსთაველის მაღალ და უაღრესად პროგრესულ იდეებს.

„ვეფხისტყაოსნის“ 1712 წ. დასტამბულ ეგზემპლართა ნაწილი რომ გაუნადგურებიათ, ამას წყარონი ადანსტურებენ, ოღონდ ბუნდოვანებითაა მოცული ამ დანაშაულის ჩამდენის ვინაობა; კლერიკალ სამღვდელთა იდეური ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ მართალია საამისოდ ფონსა და გარემოს თითქო ჰქმნიდა, მაგრამ იგი ვერ გამოდგება არგუმენტად მათ მიერ დიდი წიგნის ფიზიკურად განადგურებისათვის. ბევრად მკვიდრი საფუძველი არსებობს იმისა, რომ ეს ბოროტება, შექმნილ სიტუაციაში, შეეძლო ჩაედინა წიგნის გადამწერ რომელიმე მომხვეპელ უპატიოსნო პირს (ასეთება, თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით, როგორც დავრწმუნდით, საკმაოდ ყოფილან), რომელიც უსახსროდ და უსაქმოდ დარჩა წიგნის სტამბურად ბეჭდვის შემოღებით.

ვახტანგ VI დიდი დამსახურებაა, რომ სტამბურად პირველად დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ და წინ წარუმძღვარა ვრცელი „თარგმანი“, ანუ განმარტება-კომენტარი. ვახტანგი მეფის შეუვალი პრესტიჟითა და დიდი ტაქტით შეეცადა თავის „თარგმანში“ გაებათილებინა კლერიკალ-რეაქციონერთა საშინელი ბრალდებანი და ცხადეყო ვეფხისტყაოსნის მაღალზნეობრივი იდეების უმწიკვლობა.

ვახტანგი შთამაგონებლად აცხადებს: — „მე ვსწერ... გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა შემსკველეთა ამას უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა სამეძაოდ თარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაოსა“.

ვახტანგ მეფე გაბედულად უპირისპირდება მათ და თავის ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნევს ავი საქმის დაშლას. იგი ესარჩლება „ვეფხისტყაოსანს“ და იცავს მის მაღალ ჰუმანურ იდეებს: „ღვთისა და კაცის წინაშე მე ასე მოქობინებია და ამას იქით მკითხველთ იცით: მე უბოლო ვიყავ და კიდევ უბრალო ვარ, ქვეყნის უფროსნი ავის დამშლელი ხამს და ამად დაეშვერა“ (ხაზი ჩვენია — ა. ი.). ასეთია თავისი მეცნიერული მნიშვნელობით და პოეტურ-განმანათლებლურ-დიდაქტიკური ღრმა იდეებით გამსჭვალული ვახტანგ VI-ის ცნობილი „თარგმანის“, ანუ კომენტართა. ხასიათი, რომელიც „ვეფხისტყაოსანს“ 1712 წ. დასტამბულ გამოცემას თან ახლავს, „თარგმანი“, ანუ კომენტარი. შუასაუკუნეობრივი კლერკალური რეაქციის წინააღმდეგაა მიმართული.

1712 წლის პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი კრიტიკულადაა დადგენილი. გაბედულადაა განტვირთული მიმბაძველ-გამსალბებელთა „მონაჩმახისაგან“ — ტექსტი 1587 სტროფს (შაირს) შეიცავს. მაშინ როდესაც XVII ს-დან მოღწეული ხელნაწერები 2300 სტროფს (შაირს) აღემატება. ვახტანგის (კომისიის) ვეფხისტყაოსნის მოკლე რედაქციის დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჩვენამდე მოღწეული არცერთი ხელნაწერი მას არ ესადაგება³².

ისმის საკითხი: რას უნდა ემყარებოდეს ვახტანგის (კომისიის) 1712 წ-ს პირველნაბეჭდი მოკლე გამოცემა — რომელიმე ძველ ხელნაწერს თუ ვახტანგის (კომისიის) მიერ შემუშავებულს, გამართულსა და რედაქტირებულ-გასწორებულს?

ესაა საცილობელი საკითხი სპეციალისტთა შორის. რომელიც აღრიღანვე დაიწყო.

მაგ., „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის მეორე ბეჭდური გამოცემის რედაქციამ 1712 წლის გამოცემას 48 შაირი დაუმატა, რომელთაც ვახტანგის ვაჟოცემამ ვერ ვხვდებით³³. ამრიგად, უნდობლობამ ვახტანგის გამოცემისადმი ფეხი ადგა. მეფის ავტორიტეტი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი დაკანონებულიყო. კიდევ მეტი, თუ მ. ბროსემ 1841 წ. მიუმატა რამდენიმე სტროფი, იონა მეუნარგამ 1850 წ. გამოსცა ვეფხისტყაოსნის ტექსტი, რომელიც აღრიღულ ვახტანგისეულ გამოცემაზე საგრძნობლად ნაკლებია — 1576 დახვეწილი სტროფი.

³² შოთ. ოქსთაველი ვეფხისტყაოსნის 1712 პირველი ბეჭდური გამოცემის 1907 წ. ა. შანიჩის მიერ აღდგენილი გამოც., გვ. 388.

³³ იქვე, გვ. 359. ვახტანგ VI-ის და თეიმურაზ ბაგრატიონის შემდეგ შაირ ბროსეს წილად ხელა შეეჭმნა ახალი ეტაპი რუსთველოლოგიის დიდ დარგში; ისევე, როგორც დასაუდებელია მისი წვლილი ვეფხისტყაოსნის მეორე ბეჭდური გამოცემა საქმეში, რომელიც 1841 წელს პეტერბურგში თეიმურაზ ბაგრატიონის, დავით ჩიბრაძევილისა და ზაქარია ფაღვანდიშვილის მონაწილეობით განსორციელდა.

ე. თაყაიშვილმა ამ მიმართულებით მეტად საინტერესო მუშაობა ჩაატარა. მან 1908 წელს დაბეჭდა ვრცელი აღწერილობა პოემის 24 ხელნაწერისა და გააკეთა მეცნიერული დასკვნა: ვახტანგ მეფეს გაუცხრილავს ვეფხისტყაოსანი იმ დანართი შაირებისაგან, რომლებიც შიგ XVII საუკუნეში გაჩენილან, ეს აზრი (სხვა საბუთიანობით) კ. კელიძემ და კ. ჭიჭინაძემ გაიზიარეს³⁴.

დ. კარიჭაშვილი 1913 წ. ამის საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა: ვახტანგის რედაქცია ემყარება ერთ ხელნაწერს და დაბეჭდილია იმ სახით, როგორიც ხელნაწერი იყო. დ. კარიჭაშვილის ეს აზრი გაიზიარეს ი. აბულაძემ, ს. კაკაბაძემ და პ. ინგოროყვამ.

ცნობა 1712 წ. გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ დედნის შესახებ ა. შანიძემ აღმოაჩინა თვით ვახტანგის (თუ კომისიის) „თარგმანში“, რომელიც კომენტარის სახით თან ერთვის ამ გამოცემას³⁵.

პირველნაბეჭდი პოემის სატიტულო გვერდს თავზე აწერია: ვეფხისტყაოსანი და მოხსენებულია ორი პიროვნება: ვახტანგ VI და მიქელი.

პირველს სრულად ასეთი წარწერა ახლავს: „აწ ახალი დაბეჭდული ქართულსა ენასა ზედა ჟამსა ამაღლებულისა საქართველოს მკყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისსა შრომითა და წარსაგებელითა მისივე მკყრობელისათა“.

მეორეს (მიქელის): — „გაიმართა კელითა კელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა: ქალაქსა ტფილისისასა“.

აქედან პირველყოვლისა ნათლად ირკვევა: 1712 წლის ვეფხისტყაოსნის ბეჭდურად გამოცემაზე ვახტანგ VI-ის შემდეგ და, მასთან ერთად, დიდი ამაგი მიუძღვის მიქელს, რომელიც ოფიციალურად აღიარებულია პოემის (შერყენილ-დამახინჯებული ტექსტის) გამმართველად.

საბა-სულხან ორბელიანი თავის ლექსიკონში ამ ცნების ასეთ განმარტებას გვაძლევს: გამმართველი — „გამართუა — მრუდის გასწორება, გინა ფრინველთ გაწურთა, გინა მოშლილის ჩანგის გაწყობა“. დიდი საბა-სულხანის ეს განმარტება ორიენტირს იძლევა და გვეხმარება სწორად ჩაეწვდეთ და გაევიგოთ ვეფხისტყაოსნის „გამმართველი“ მიქელის ფუნქცია-მოვალეობათა არსი. მიმბაძველთაგან გარყვნილი და გადამწერთაგან დამახინჯებული პოემის ტექსტის მეცნიერულად (ცნების საბასებური განმარტებით) დადგენასა და გამართვაში — „მო-

³⁴ იქვე, გვ. 390.

³⁵ იქვე, გვ. 390—391.

შლილი ჩანგის გაწყობა“ და „მრუდისა გასწორება“ უკეთესად არ ითქმება.

როგორც ვხედავთ, ვახტანგ VI-ს „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილის „გარყვნილი“ ტექსტის მეცნიერულად „გამართვა“ „მეცნიერ-კაცთათვის“ მიუზღვია. არ შეიძლება დაეკვებაც კი მასში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შერყვნილი ტექსტის მეცნიერულად გამართვა ვახტანგ VI-ს „ქართლის ცხოვრებაზე“ თუ უფრო მეტად არა, ნაკლებ მაინც არ აინტერესებდა.

ვახტანგ VI-ს, როგორც მეფე-პოეტსა და მეცნიერს, სხვაზე უკეთ უნდა ჰქონოდა წარმოდგენილი და კარგად გათვალისწინებული თუ რაოდენ დიდი იყო პასუხისმგებლობა შთამომავლობის წინაშე გენიალური რუსთაველის პოემის უკვე შერყვნილ-დამაზინჯებული ტექსტის გამართვისა და „თარგმანების“, ანუ მეცნიერულ-კრიტიკული კომენტირებისა და „გამართული“ ტექსტის სტამბურად დაბეჭდვა.

ამიტომ, როცა ვახტანგ VI „ქართლის ცხოვრების“ გარყვნილი ტექსტის მხოლოდ შევსება-გამართვისათვის (და არა მისი სტამბურად დაბეჭდვისათვის) საგანგებოდ „მეცნიერ კაცთა“ სათანადო კომისიას ჰქმნიდა (როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ), ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვეფხისტყაოსნის მიმზადებელთაგან შერყვნილი და გადამწერთაგან დამაზინჯებული პოემის ტექსტის ჭეროვნად აღდგენის, მისი გამართვის, სასტამბოდ მომზადებისა და დაბეჭდვისათვის ასევე ტექსტოლოგ სწავლულ კაცთაგან შესაფერი (ჯგუფი, კომისია, ან სანდო) პირნი უნდა შეერჩია. მეცნიერული კვლევა-ძიებით დგინდება, რომ 1712 წლის ვეფხისტყაოსნის გამოცემაში მოცემულია თვით ვახტანგის (კომისიის) მოღვაწეობის არსი, იგი აისახა ვახტანგისავე „თარგმანში“, რომელიც კომენტარის სახით თან ერთვის გამოცემას. ეს ფაქტი ჭერ კიდევ 1936 წელს შენიშნა ა. შანიძემ და ნათლად და დოკუმენტურად წარმოადგინა ვეფხისტყაოსნის პირველ-ბეჭდური გამოცემის 1937 წ. ფოტორეპროდუქციულ გამოცემაში³⁶.

თუ რაოდენ ნაყოფიერი ტექსტობრივ-რედაქციული წინასწარი მეცნიერული მუშაობა ჩაუტარებია ვახტანგ VI-ს (კომისიას), ეს კარგად დასტურდება სასტამბოდ მომზადებულ ხელნაწერ ტექსტში — ცალკეული სიტყვებისა და შაირების ჩვენებით³⁷. მაგალითად, აქ ვახტანგს გაუსწორებია სიტყვები: „შ ე ვ მ ა რ თ ო — შ ე ვ ჰ კ ა დ რ ო“, „ქვეწვა, ვით კლდისა ნ ა პ რ ა ლ ს ა ვეფხი პირ-გამეხებული“—

³⁶ იხ. შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის 1712 წლის პირველი ბეჭდური გამოცემის ა. შანიძის მიერ აღდგენილი, 1937 წ. გამოცემული ტექსტი, გვ. 390—393.

³⁷ იქვე, გვ. 391—392.

გაუსწორებია: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხი პირ-გამეხებულ-ლი“. ვახტანგის (კომისიის) დედანში ყოფილა: „რადგან თავი სიცრუეა ყოლისა უბადობისა“ — გაუსწორებია: „უბედობისა“. ან კიდევ: „ყო-ვლნი ტიროდეს, მოსტქმიდეს, მერამე დასწყენარდეს გვიანად“ გაუსწორებია: „დადუმდეს“ და სხვ.

ამასთანავე 1712 წ. გამოცემაში ვახტანგს (კომისიას) არ შეუტანია მთელი რიგი ყალბი სტროფ-შაირები, მათ შორის ვახტანგის (კომისიის) „თარგმანში“ (კომენტარში) შემორჩა შეიდი შაირი³⁸.

კომისიას, მიქელის ხელმძღვანელობით, უაღრესად ნაყოფიერად უმუშავნია ვახტანგისეულ გამოცემაში შეტანილი ლექსიკონისა და „თარგმანში“ ახსნილი სიტყვებისათვის საჭირო მასალების მომზადებაზე³⁹. მიუხედავად ამისა, 1712 წ. ბეჭდურ გამოცემაში საქმაოდ გაპარულა კორექტურული შეცდომები, რომელთა სია და გასწორება მითითებულია 1937 წლის აღდგენილ გამოცემაში⁴⁰.

ამრიგად დასტურდება: ვახტანგის (კომისიას) „თარგმანისას“ (ტექსტის დადგენისას) ხელთ ჰქონია ვრცელი ხელნაწერი დედნები; დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი კი სხვაგვარად არის წარმოდგენილი: მასასადამე, ვახტანგს (კომისიას) „გაუცხრილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტი. პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა არის შეგნებულად შემოკლებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი, ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი არის შეძლებისამებრ კრიტიკულად დადგენილი ტექსტი“⁴¹. 393—394 გვერდებზე წარმოდგენილია გამოტოვებული შეიდი შაირის ტექსტი⁴².

ი ს მ ი ს ს ა კ ი თ ხ ი — ვინ იყო მიქელი? რა შეხედულებისა იყო იგი ვეფხისტყაოსანზე და რა საფუძველზე მიანდო ვახტანგ VI მას ვეფხისტყაოსნის გამართვისა და გამოცემის საქმე? პირველ ყოვლისა, ირკვევა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დიდ მნიშვნელობაზე, მის განმანათლებლურ უაღრესად დიდ როლზე ვახტანგ VI და მიქელი მთლიანად ერთი აზრისა და რწმენისა ყოფილან თავიანთი „გულთა სმენით“.

მესტამბე მიქელი 1712 წ. დაბეჭდილ „ვეფხისტყაოსანში“, თან დართულ რამდენადმე საგამომცემლო ხასიათის ლექსით, გვევლინება იდეურ თანამზრახველად ვახტანგ VI პროგრესულ, არსებითად სწორად

38 იხ. იქვე, გვ. 392—393.

39 იხ. იქვე, გვ. 367—387.

40 იქვე, გვ. 393.

41 იქვე, გვ. 393.

42 იქვე, გვ. 393—394.

შეხვედულებისა, რომელიც ვახტანგისეულ თანდართულ „თარგმანებაში“ — ანუ განმარტებაშია ასახული. მიქელი წერს:

— „აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი კელისა. უგბილა ფრიად სასწაელო, გონიერთ გულთა თმენისა, მეფის ვახტანგის ბძანებით და სიბრძნით კეთილ მქნელისა და ნაღვაწი მისის მლოცვლისა მესტამბე მიქაელისა. დაერუღა ესე წიგნი, ქორანიონს უნსა სმულსა ყველაქასა უხაროდა რიტორსა და კმა უსულსა საწლოთა და საეროცა ვისაცა აქუს სმენა გულსა და უწაველსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა გულს უსრულსა.“

მიქელის ღვაწლი ვეფხისტყაოსნის გამმართავ-დამდგენის ღვაწლია. ეს მისია მიქელს საბა-სულხან ორბელიანის ზეობაში, მეფისა და დიდი საბას განბჭობა-არჩევანით უნდა დაკისრებოდა.

არ არის საჭირო ბევრი ფიქრი იმისათვის. რომ ვახტანგ VI „თარგმანება“ კომენტარში ჩამოყალიბებული სწორი კონცეფცია ვეფხისტყაოსნის სახალხო მისიის შესახებ როგორც ღვთისმოსაეთა, ისე ერისკაცთათვის, ვისაც აქუს უნარი გაგებისა, გონება და „სმენა გულისა“, არსებითად იგივეა; რაც ვეფხისტყაოსნის გამმართველმა მიქელმა თავის ოსტროფიან აქ მოტანილ ლექსში გამოხატა.

ზემოთ მოტანილი ოსტროფიანი ლექსით ვეფხისტყაოსნის გამმართველმა მიქელმა ერთგვარად განსაზღვრა, ნათლად, სრულყოფილად და სიზუსტით ჩამოაყალიბა ის ფუნქცია. მოვალეობა და გაწეული შრომის ხასიათი, რაც მას, როგორც 1712 წლის გამოცემის ტექსტის გამმართველ მეცნიერს, ეკისრებოდა. ვახტანგ VI-მ და მიქელ მიქამე დიფერენცირებულად (თითოეულმა როგორი და კონკრეტულად რა ხასიათის სამუშაოს გაწევისა და ჩატარებისათვის) მოიპოვეს უფლება. რომ ვეფხისტყაოსნის სატიტულო გვერდზე მხოლოდ ამავდარი ორი მოღვაწის: მეფე ვახტანგ VI-სა და მეფის შემდეგ მიქელის სახელი დაწერილიყო.

ლექსის ავტორი მიქელი დიდი ტაქტით, უშუალოდით, მთელი გულანხილობით ლაკონურად გვაუწყებს, რომ ვეფხისტყაოსანი 1712 წელს გამოიცა „მეფის ვახტანგის ბრძანებით და სიბრძნით კეთილმქნელისა და ნაღვაწი მისის მლოცვლისა მესტამბე მიქაელისა“.

ამრიგად, 1712 წლის გამოცემა განხორციელდა ვახტანგ VI თაოსნობით, საფას-ხარჯებითა და ბრძანებით, რომლის სიბრძნე „ხელთაც“ კი გონიერ შემოქმედად აქცევდა. ამას მოსდევს: „ნაღვაწი მისის მლოცვლისა მესტამბე მიქაელისა“, რომელიც ამასთანავე ვეფხისტყაოსნის გამმართველი იყო. აქედან კარგად ირკვევა, რომ ტექსტის გამართვა, მისი სასტამბოდ მომზადება და დასტამბვა ასევე მიქელის ღვაწლისა და დაუცხრომელი შრომით განხორციელებულა.

აკად. ალ. ბარამიძემ საყურადღებო წერილი მიუძღვნა ვეფხისტყაოსნის 1712 წლის პირველნაბეჭდი გამოცემის 250 წლისთავს. მან მეცნიერულად დაასაბუთა, თუ რატომაა მიჩნეული აღნიშნული გამოცემა მეცნიერული რუსთველოლოგიის დასაბამად; ამასთანავე მაღალი შეფასება მისცა ა. შანიძის მიერ 1937 წელს ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემის მეცნიერულად აღდგენასა და გამოცემას.

ალ ბარამიძე წერს: „გვაოცებს ვახტანგის გულისხმიერი დაკვირვება პოემის ტექსტზე... ავტორის აზრით ვახტანგის მთავარი ღვაწლი რუსთველოლოგიაში ის არის, რომ მან რედაქციულად დაამუშავა და ბეჭდურად გამოაქვეყნა ვეფხისტყაოსნის ტექსტი. უკანასკნელი დროის კვლევანიების შედეგად გაირკვა, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი თავისებური მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემაა. ვახტანგს შეუკრებია და შეუსწავლია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები. შეძლებისდაგვარად გაუცხრილავს პოემა ჩანართებისა და დანართებისაგან. ჩამოუყალიბებია რუსთაველის პოემის ის მოკლე რედაქცია, რომელიც მრავალი გამოცემით არის ჩვენში გავრცელებული“.

ასეთია საყოველთაოდ აღიარებული შეფასება, რომელსაც იმსახურებს 1712 წლის ბეჭდური ვეფხისტყაოსანი.

აქ წარმოდგენილი პირველწყარონი და სპეციალისტთა მეცნიერული დაკვირვებანი, ვფიქრობ, საკმაოდ მკვიდრ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ კუთვნილ მიეზლოს და ერთგვარად მაინც მოხდეს მინიშნება ვეფხისტყაოსნის „გამმართველისა“ და მესტამბე-გამომცემლის მიქელის როლსა და დამსახურებას გენიალური პოემის ტექსტის მეცნიერულად „გამართვას“, აღდგენასა და დადგენაში, რაც პოემის სტამბურად პირველ გამოცემასთან არის დაკავშირებული.

ირკვევა, რომ ვახტანგ VI-ს გვერდში ედგა პოემის საიმედოდ გამმართველი და (არაა შემთხვევითი, რომ მიქელი მეფის შემდეგ დასახლებულია წიგნის ყდაზე) ერთგული თანამებრძოლი ძნელბედობის იმ რთულ ისტორიულ პირობებში, როცა პოემის სტამბურად გამოცემა ხდებოდა, რასაკვირველია, ვახტანგ VI-ის თაოსნობით; მიქელის მონაწილეობით ჩატარებული მთელი ეს მუშაობა არ შეიძლებოდა უნაკლო ყოფილიყო. მას საკმაოდ გააჩნია ჩრდილოვანი მხარეები, მაგრამ მეტად დიდია სიკეთე ამ გამოცემისა, რაც ა. შანიძემ ვეფხისტყაოსნის განახლებულ 1937 წლის გამოცემაში მეცნიერული სიღრმითა და მისთვის დამახასიათებელი კეთილსინდისიერებით სრულყოფით წარმოაჩინა. ალ. ბარამიძის მართებული შენიშვნით — 1712 წლიდან დღემდე „ვეფხისტყაოსანი“ სამოცდაათჯერ გამოქვეყნდა. ცხადია, სხვადასხვაა მათი მეცნიერული ღირებულება, მაგრამ ერთია მიზანი — რაც შეიძლება მეტად მიუახლოვდნენ საოცნებო ავტოგრაფს, გაასწო-

რონ საუკუნეთა მანძილზე შერყენილი ტექსტები, გაცხრილონ იგი გვიანდელი ჩანართებისაგან... (იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1989 წ. 18 მარტი).

2. ვეფხისტყაოსნის „გამართველ შიკელის“ ვინაობის დადგენისათვის
(ახოვრებისა და მოღვაწეობის კარგა)

თბილისში 1712 წელს, როცა ვეფხისტყაოსანი სტამბურად პირველად იბეჭდებოდა, ვახტანგ VI იძულებული იყო შაჰს ირანში ხლებოდა, ხოლო ქართლის გამგებლად თავისი ძმა სვიმონი დაეტოვებინა (1712—1714 წწ.).

თავისთავად ცხადია დიდი წიგნის დაბეჭდვისა და გამოცემისათვის პასუხისმგებლობა ვახტანგის გაწვევის შემდეგ ვეფხისტყაოსნის „გამართველს“, ხელმწიფის კარის ჯვარის მტვირთველის, დეკანოზის შვილს მიქელს ეკისრებოდა.

მიქელის როლი და დამსახურება, შეიძლება ითქვას, დღეს თავისთავად აღიარებულია, როგორც ვახტანგ მეექვსეს თანაშემწე-თანაშრომელისა, მაგრამ თვით მიქელის ბიოგრაფია, მისი ცხოვრება და ზოღვაწეობა იქამდეა შეუსწავლელი, რომ ამ შესანიშნავი მოღვაწის ნამდვილი გვარიც კი არაა გარკვეული.

მიქელის ვინაობით პირველად პოლ. კარბელაშვილი დაინტერესებულა. მან გამოთქვა საგარაუდო მოსაზრება 1713 წელს დაბეჭდილ „კურთხევანში“ მოხსენებული „მესტამზე მიქელის“ ვინაობის შესახებ და დასძინა, რომ „მგონი მესხიშვილია“⁴³.

მიქელის ვინაობის გარკვევისა და მისი დამსახურების მეცნიერულად შესწავლის საკითხი რამდენადმე გააქტიურდა „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ გამოცემებში რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების გალრმავებასთან დაკავშირებით; აზრთა სხვაობამაც კი იჩინა თავი, მაგალითად, იუსტინე აბულაძე ფიქრობდა, რომ „ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ბეჭდური გამოცემის რედაქციის ავტორად ძნელად შეიძლება ვახტანგ VI ვიგულოთო“...

⁴³ ხელნაწერთა ინსტიტუტის თ. ყორღანიას ფონდის საქმეში № 391/92 შემორჩენილ პ. კარბელაშვილის მასალებში ქართული სტამბის შესახებ (იხ. რვეული, გვ. 24).

კ. კეკელიძე უფრო კატეგორიულ დასკვნებამდე მიდიოდა და იმ აზრს იცავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის ტექსტის რედაქტორი ვახტანგ VI არ ყოფილა — მას ეკუთვნოდა იდეა, ხელმძღვანელობა და გამოცემას დართული კომენტარები, ხოლო გამოცემის ფაქტიურ რედაქტორად კ. კეკელიძე მიიჩნეოდა ხელმწიფის კარის ჯვარის მტვირთველის, დეკანოზის შვილს მიქელს (იხ. თსუ შრომები, ტ. X, 1939 წ. და მისივე „ეტიუდები“, ტ. IV, 1957), ოღონდ ამის დასაბუთება და მიქელის ვინაობის გარკვევა მას არ უცლია.

აკაკი შანიძე ზომიერებას იჩენდა და დასაშვებად მიიჩნეოდა მხოლოდ იმ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის რედაქციის ავტორი, შესაძლოა, მარტო ვახტანგი არ ყოფილიყო.

ალ. ბარამიძე მიქელს ვერ თვლის ისეთ მოღვაწედ, რომელმაც გაასწორა „ვეფხისტყაოსანი“, შეადგინა დასაბეჭდი ტექსტა და გამოაქვეყნა თავისი რედაქციით (იხ. შოთა რუსთაველი და მისი პოემა, 1966, გვ. 412—414).

მიქელის პიროვნულ-ბიოგრაფიული საკითხებისა და საკუთრივ მიქელის გვარის დადგენას მიეძღვნა საგაზეთო წერილი ო. კასრაძისა და საეურონალო ნარკვევი რ. ფიცხალაიშვილისა⁴⁴.

ო. კასრაძემ თავის მცირე საგაზეთო წერილში შეძლო მხოლოდ საკუთარი შეხედულების გადმოცემა, რომელსაც მეცნიერული დასაბუთება აკლია. ავტორის აზრით „ვეფხისტყაოსნის“ გამმართველი მეტამზე მიქელი ხელმწიფის კარის ჯვარის მტვირთველ იესე გარსევანიშვილის ძე, ანუ გვარად გარსევანიშვილი იყო; ისტორიული წყაროებით კი დადგენილია, რომ იესე გარსევანიშვილის არც ერთ ვაჟს მიქელი არ რქმევია. ამდენად მტკიცება იმისა, რომ მესტამზე მიქელი გვარად გარსევანიშვილი იყო, მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს.

რ. ფიცხალაიშვილი არსებითად ფართოდ შეეხო ამავე პრობლემას — სოლიდური ნარკვევი მიუძღვნა ორი საეურონალო წერილის სახით. ავტორი ქეშმარიტების დასადგენად მდიდარ მასალებს და საჭირო ლიტერატურას იყენებს, მაგრამ ხშირად შორეულ წიაღსვლებთან ერთად. ვარაუდებსა და ლოგიკურ მსჯელობებზე დაყრდნობით, აცხადებს, რომ მესტამზე მიქელი გვარად თითქო კაეკასიძეაო. ავ-

⁴⁴ რ. ფიცხალაიშვილი, ვეფხისტყაოსნის პირველი მბეჭდავი მიქელი. — უფრ. „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერია, 1984 წ. № 2 და № 3; ო. კასრაძის წერილი დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 1980 წ., 18. 1. № 3).

ტორი აქვე იმოწმებს ჩვენს პუბლიკაციას — იესე ბარათაშვილის ცხოვრება ანდერძს (გამოცემა 1950 წ.), სადაც მიქელიც იხსენება და ამაოდ გვარწმუნებს, რომ „იესე ოსეშვილის ნამდვილი გვარი თითქო დღემდე უცნობია საქართველოს ისტორიისა თუ ქართული მწერლობის მკვლევართათვის“.

ავტორი დარწმუნებულია, რომ მან კვლევა-ძიებით პირველმა დაადგინა არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამმართველი მიქელის გვარი, არამედ, ამასთანავე, მეფე ერეკლეს მდივანბეგის, ქართული მემუარული მწერლობის ფუძემდებლისა და თვალსაჩინო პოეტის იესე ოსეშვილის ნამდვილი გვარი. ავტორის დასკვნით მიქელთან ერთად ოსესძე იესეც გვარად კავკასიძე იყო.

რაკი სიტყვამ მოიჩანა, შეიძლება აქვე ვთქვათ, რომ სინამდვილე ასეთია: „ვეფხისტყაოსნის“ გამმართველი მესტამბე მიქელის და იესე ოსეშვილის შთამომავლობითი ნამდვილი გვარი მიქაძეა და არა კავკასიძე⁴⁵.

მიქელ მესტამბე და იესე ოსეს ძე მამაპაპით რომ მიქაძენი (და არა კავკასიძენი) იყვნენ, ჩვენ აქ მოგვაქვს უდავო ისტორიული საბუთი, ესაა განჩინება, რომელიც 1558 წელს განუახლებია მეფე ლუარსაბ პირველს.

ამ საბუთში ვკითხულობთ: „ესე განაჩენი განუახლეთ ჩვენ მეფედ მეფემან ლუარსაბ ამას ზედა, რომელი ჭვარის მტვირთველი კარის ჩვენისა შეისარჩლენ მიქაძე ამროსი და თორელი ქაბულ. თორელმა იჩივლა, ბოლნისთა სახასადრო და შემალეობის სარგო საერთო არისო. ამაზე მიქაძემ ძველთა მეფეთა სიგელნი წარმოადგინა, რომელ საკუთარი მისი იყო. აგრეთვე დიდმა მნათობმა კათალიკოსმა ზებედემ უწამა გუჯართა გარჩევით და გამოძიებით. ამისათვის ჩვენც ესრეთ დაუმტკიცეთ ყოველი საჭვარის მტვირთველო სარგო საერთოდ ელვასთ და ბოლნისთა ათე-

⁴⁵ აქ აღძრული და გადაწვეტილი საკითხების არა ერთი მხარე და ფაქტი სპეციალურადაა განხილული ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში, რომელაც მომზადდა ჩვენი მასწავლებლის აკად. ივ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით; დისერტაცია დავიდაცია სამაშულო ომის დაწყებამდე. სულ მოკლე ხანში ჩვენ ფრონტზე გავიწვიეს და ჩვენი დისერტაციის არც ერთი ნაწილი დღემდე არაა გამოქვეყნებული. დაიბეჭდა მხოლოდ ავტორეფერატი, სათურით: — „იესე ბარათაშვილის სამოხელეო მოღვაწეობა, მეურნეობა და ლიტერატურული შემოქმედება“, (თბ., 1941 წ.).

არამიდან დაბრუნების შემდეგ 1950 წელს გამოვაქვეყნე იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძის ტექსტი, ჩვენ მიერ ახლად მიკლუელ უცნობ ხელნაწერებზე დაყრდნობით ჩვენივე რედაქციით, სადაც, იესეს თბილისელ სიონელ მიქაძეთა ვინაობის, კულტურული და სამეცნიერო-ლიტერატურული მოღვაწეობის შესწავლასთან ერთად, იესე ოსეს ძისა და მიქელ მესტამბის ვინაობისა და გვარის დასადგენად, გამოყენებული გვაქვს ყველაზე უმნიშვნელოვანესი მასალა და დოკუმენტური პირველწყარო.

ული (sic!) საკუთრად მიქაძე ამბროსი დეკანოზისათვის დაგვიც, რადგან ძველთაგანვე ესრედ განწესებულა, ჩვენც ეგრეთვე დაგვიმტკიცებია და ეგრედმცა ჰკიან უცვალებელად. ყოველთა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

დამტკიცდა აპრილის 3 ქკს სემ 1558 წ.“ (ადგილი ბექდისა)⁴⁶.

1558 წ. 3 აპრილის განჩინებაში მიქაძე ამბროსი, რომელიც მიქელისა და იესეს წინაპარია, ორგზისაა მოხსენებული.

საქართველოს სამეფო კარზე, როგორც ჩანს, რამდენიმე ჯვარის მტვირთველი ყოფილა: აქ ორია დასახელებული — „მიქაძე ამბროსი და თორელი ქაბულ“ (აქ მოტანილი საარქივო საქმე ეხება იესე მიქაძე-ბარათაშვილის შთამომავლობის თავადობის წოდებაში დამტკიცებას, რომელიც მოგვიანებით სადავოდ აქციეს ძირძველმა ბარათაშვილებმა). ამ საქმეში მოხსენებული ამბროსი მიქაძე, როგორც ჩანს, მღვივანბეგ იესე ოსეს ძე მიქაძისა (ბარათაშვილისა) და 1712 წ. თბილისში დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის რედაქტორ-გამომცემელ მიქელის საერთო წინაპარია. ამას მთელი სიცხადით გვიდასტურებს დიდებული მემუარისტის იესე ბარათაშვილის (იესე მიქაძეს ბარათაშვილობა მეფე ერეკლემ უწყალობა) „ცხოვრება-ანდერძი“, სადაც გულდასმით და სიზუსტით გადმოცემულია ისტორიული ფაქტები მიქელ მიქაძის შესახებ⁴⁷.

საარქივო დოკუმენტებით კარგად ირკვევა, რომ XVI ს. თბილისში მცხოვრებ ამბროსის შვილს რქმევია ხარიტონი, შვილიშვილს კი იესე. ისინი სიონის საყდრის მსახურად და სამეფო კარზე შემკვიდრობით ჯვარის მტვირთველად იწოდებian. იესე სიონის დეკანოზს ხუთი ვაჟი ჰყოლია; 1. მიქელი, 2. ეფთვიმი, 3. გაბრიელი, 4. დავითი და 5. ოსე (1698—1758) მიქაძენი⁴⁸.

ოსეს ვაჟებია: 1. იესე ოსეს ძე (მიქაძე-ბარათაშვილი), ცნობილი მემუარისტი (1729—1786); და 2. ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, ერეკლე მეორის სტამბის გამოჩენილი მუშაკი, დეკანოზი იოანე ოსეს ძე (1750—1801)⁴⁹. გაბრიელის შვილები არიან გამოჩენილი მწიგნობრები — ნიკოლოზ (1720—1780) დეკანოზი (კალიგრაფი, მესტამბე) და ზაქარია ყოფილი — ამბროსი ნეკრესელი⁵⁰ (1728—1812). მიქელი, ეფთვიმი და დავითი უძეოდ გადასულან.

46 საქართველოს ცენტრარქივი, ფ. 213, ანაწ. 1, საქ. 115.

47 იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, თბ., 1950, გამოსცა ა. იოსელიანმა.

48 საქართველოს ცენტრარქივი, ფ. 213, ანაწ. 1, საქ. 115.

49 იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის რედ. თბ., 1950.

50 ვ. ბერიძე, ქართველი ოსტატები; თბ., 1967, გვ: 174—185.

უფთვიმს 1730-იან წლებში ტფილელის თანამდებობა სპერია. „ტფილელად ბიძა ჩემი ეფთვიმი ბრძანდებოდა“ — წერს იესე ოსეს ძე⁵¹. „სამწყსო ტფილელისა იყო და მამა ჩემი იყო სახლთუხუცესი ტფილელისა“; თბილისში ნადირშაჰის მოსვლის გამო 1735 წელს ტფილისიდან მოშორებით „წვერის ციხეში გამგზავნეს და მუნ ვიზდებოდი... და დიდი პატივისცემა მქონდა აზნაურთაგან, მლუდელთაგან და გლეხთაგან“. ამის მიზეზად იესე თვლის სატფილელოში ბიძამის ეფთვიმისა და მამამის ოსეს დიდ გავლენას.

„მამა ჩემი იყო და ბიძა ჩემები მლუდელნი წმინდისა ეკლესიისა... წვრილნი მეცნიერებითა საფილასოფოსათა და საეკლესიოთა წერილთათა და მდიდარნი წიგნთა მრავალთა შემკრებელობითა“⁵². ისინი უოფილან აგრეთვე „მოდღვარი ერისა, დიდი ქადაგი ეკლესიისა“. სიონის დეკანოზის შვილი ტფილელი ეფთვიმე 1740 წ. მაისის 22 გარდაცვლილა. გვაუწყებს ათანასე ამილახვარი. როცა ეს მოხდა, „მე ამილახვარის შვილი ათანასი მროველად ვიყავი, პატრიარქი დომენტიმ ტფილელად მომცვალა 7 ივლისსო“⁵³. და ცოტა ქვემოთ, თავის ანდერძნამაგში სათბილელოსადმი, გვამცნობს: „ტფილელი ეფთვიმის გარდაცვალების შემდეგ მისი ძმა „დეკანოზის შვილი მიქელი მოკვდა“-ო⁵⁴.

ასეთია ისტორიულ წყაროებზე დამყარებული ნამდვილი გენეალოგია უაღრესად განათლებულ მიქაძეთა დიდი საგვარეულოსი — ვეფხისტყაოსნის გამმართველ მიქელის, იესე ოსეს ძე მიქაძე-ბარათაშვილისა (მემუარისტის და მგონის) და სხვ.

„ამას (მიქელს — ა. ი.) ვალი დარჩა მოქ. შერმაზანას თუშუასი ოთხი თუმანი, — გვაუწყებს ათანასე ტფილელი, — მოვალეს მე მივეცი. ეს ნახევარი დუქანი მე დავიკირეო“⁵⁵. ასევე შეუწირავთ სიონის საყდრისათვის (მიქელის კუთვნილი). „საღლესასწაულო“ სამი სტამბის და „მარხვანი“ სტამბის⁵⁶.

⁵¹ იესე ბარათაშვილის ცხოვრება — ანდერძი, გვ. 3—4.

⁵² იქვე.

⁵³ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. V, თბ., 1913, გვ. 55.

⁵⁴ მროველობიდან ტფილელად მოცვლილმა ათანასე ამილახვარმა ტფილელის თანამდებობაზე დაჰყო 1752 წლამდე, ვიდრე მას ერეკლე მეორე ელჩად წარგზავნიდა რუსეთის სამეფო კარზე მყოფილთან ერთად, საიდანაც ათანასე სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. მიქელ მიქაძე ეახტანგ VI სამეფო კართან მკიდროდ დაკავშირებული პირი იყო თავისი მალაღი მწიგნობრული კულტურითა და ერთგულებით. მიქელ მიქაძის მიერ ისტორიული მნიშვნელობის არა ერთი საბუთია დაწერილი, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევია.

⁵⁵ ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წიგ. V, თბ., 1913, გვ. 55.

⁵⁶ იქვე, გვ. 58—59.

იესე ბარათაშვილი თავის მემუარებში ასევე აგვიწერს უძეოდ გარდასული მისი ბიძების, მიქელისა და დავითის, კუთვნილი მამაპაპისეული ქონების საკითხს და აქვე ეხება ათანასე თბილელის მიერ გარდაცვლილი მიქელ მიქაძის კუთვნილი ღუქნის ნახევრის დაქერის უსამართლობას. იესე წერს:

„მამის ჩემის ძმა იყო, დავით ერქვა... ეს დავით უშვილო იყო... ტფილელის ქარვასლას ქვეით პაპის ჩემისა ღუქანი იყო. ნახევარი ბიძის ჩემის მიქელისა იყო (ვეფხისტყაოსნის თანარედაქტორ-გამომცემლის — ა. ი.), ნახევარი დავითისა. მიქელი უშვილოდ ამოვარდა“. იესე განაგრძობს: „ათანასი ტფილელმა სასახლე იმისი ჩემს ბიძაშვილს, ნიკოლოზ ღუქანოზს (ასევე ცნობილ მესტამბე-მწიგნობარს — ა. ი.) მისცა, მამაჩემს წილი არ დაუდვა, ავთაჲ ქნა... ღუქნის ნახევარი მიქელის წილი თვითან (ათანასემ — ა. ი.) დაიჭირა და ნახევარი ღუქანი — დავითას. თავისი წილი ესეც გირაოდ დაედვა... სიკუდილის ღღეს... ანდერძი ეთქვა დავითს, მამულიც ჩემს ძმისწულუმს ქონდესო და ვალეზიც იმათ გადაიხადონო. ეს წიგნი რომ მოგვივიდა, მე და ჩემმა ბიძაშვილმა ღუქანოზმა (მესტამბემ — ა. ი.)... ვალეზი მივეცით და თამასუქები დავიხსენით. ღუქანოზმა ღუქანი თვითონ ირჩივა და სახლები შე დამანება... ერთმანეთს წიგნები მივეცით... ჩორსოსთან რომ ეს ჩვენი ძველი სახლებია, პაპა ჩემი იქ დაბადებულა“⁵⁷.

ისინი უღაოდ მამაპაპით „ხელმწიფის კარის ჭვარის მტვირთველის და სიონის საყდრის ღუქანოზის შვილებად“ იწოდებიან.

ამრიგად, მიქაძე მიქელი, რომლის თანარედაქტორობით 1712 წ. თბილისის სტამბაში ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდა და „გაიმართა ხელითა ჯელმწიფის კარის ღუქანოზის შვილის მიქელისათა“, როგორც ჩვენ ისტორიული წყაროებით ვრწმუნდებით, იყო სიონის ღუქანოზ იესე მიქაძის შვილი (მამის ძმა, ანუ ბიძა იესე ოსეს ძე მიქაძე — ბარათაშვილისა).

თუ გავითვალისწინებთ იმ რთულ ისტორიულ პირობებს, რომელშიაც ქართლის სამეფო მოექცა 1712 წლიდან, სტამბაში მომხდარი მოვლენებიც გასაგები გახდება. ვახტანგ VI ერთგულ მიქელსა და სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად სასტიკი დევნის ობიექტები ხდებოდან ორბელიანები; ამ დროს 1714—1715 წწ.-ში სტამბა წყვეტს მუშაობას. დევნა და დარბევა განიცადეს ასევე თბილისის სტამბის ცნობილმა

57- იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოცემა, თბ.. 1950, გვ. 82—83.

მოღვაწეებმა. მაგ.: ნიკოლოზ ორბელიანი (ძმა საბასი) და გერმანე ამიერიდან აღარ არიან რედაქტორები (ან ანონიმ რედაქტორებად უნდა გვევლინებოდნენ), ხოლო მიქელი საერთოდ წყვეტს მუშაობას სტამბაში.

1716 წ. დაბეჭდილი „დავითნის“ თავფურცელზე მეფედ იხსენიება იესე: სტამბის „გამმართველად“, ნ. ორბელიანისა და მიქელის ნაცვლად, გაბრიელ — გარსევან ყოფილი, ხოლო „სტამბის მეურნედ“ — გიორგი მხატვარი, როგორც ჩანს, სტამბაში დიდი ცვლილებები მომხდარა: წიგნთა თავფურცელის ტექსტებში ვახტანგის სტამბის ძველი მუშაეები აღარ იხსენიებიან. ასეთ ვითარებაში თითქოს საესეებით ბუნებრივი და კანონზომიერი უნდა იყოს მიქელის სტამბიდან წასვლა.

მიქელის იდეალები — ვახტანგ VI ირანში 1712 წ. გაწვევითა და იქ დაპატიმრებით, ხოლო აქ მაჰმადიანი იესეს გამეფებით — შერყვა. 1724 წ. ავბედითა ამბებმა — ვახტანგ VI დიდი ამალით რუსეთში გადახვეწამ — საქართველოს უბედურება მოუტანა. ქვეყნის ჭერ თურქებისა და შემდეგ სპარსთაგან დაპყრობისა და ძარცვა-გლეჯის ასპარეზად გადაქცევამ — მიქელი გატეხა მორალურად და ნივთიერად დასცა. იგი, როგორც დავრწმუნდით, 1740 წელს, ვალებში ჩავადნინი, გარდაიცვალა (და არა 1724 წელს).

აი ყოველივე ის, რაც დღეს-დღეობით ისტორიულ წყაროებით ვიცით და გაირკვა 1712 წელს დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის გამმართველის, ხელმწიფის ჭვარის მტვირთველის, დეკანოზის შვილის მიქელ მიქაძის ვინაობისა და მოღვაწეობის შესახებ⁵⁸.

თუ რაოდენ დიდი იყო ღვაწლი ვახტანგ VI და გავლენა თანამშრომლებზე თვით სამეფოში და მის ფარგლებს გარეთ, ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი შემდეგს გვაუწყებს: ვახტანგ VI „მორჩილებდნენ იმერნი, უსმენდნენ კახნი, მოილო მბეჭდველობა ელახეთილამ და განამრავლნა წიგნნი, განაწყუნა სპანი როქითა მცველად თვისად, დასწერა წიგნი სამართლისა და მით სჯიდიან მსაჯულნი, მოშალა ტყვის სყიდვა, დაამდაბლნა თათარნი და უმეტეს ტფილისის ციხის მცველნი, აღამაღლნა ქართველნი, გაიღო რუნი და აღაშენნა მრავალნი დაბნები“. (იხ. აღწერა სამეფოისა საქართველოსა, გვ. 485).

⁵⁸ მიქელ მიქაძის გარდაცვალების შემდეგ მიქელის ტრადიცია გააგრძელა მისმა ძმისშვილმა, ცნობილმა კალიგრაფმა და მესტამბემ, სიონის დეკანოზის შვილმა ნიკოლოზ მიქაძემ, რომელიც 1770-იან წლებში მესტამბეთუხუცესად იწოდებოდა. მაგალითად, 1772 წლის მარტში ქ. თბილისში დაიბეჭდა „პარაკლიტონი“ მესტამბეთუხუცესისა სიონის დეკანოზის ნიკოლოზისათა და უღირსის ხუცის მხატვრის იოანესათა.

მეფე ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის სტამბა
თბილისში

1724 წ. მეფე ვახტანგ VI თანმხლებ 1500-მდე რჩეულ კაცთა ამალით რუსეთში გადახვეწა, რომლის შედეგად ქართლის სამეფო უმეფოდ დარჩა, ჩვენი ქვეყნის დიდი უბედურება იყო. მეფისა და მისი ამალის ამგვარი საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას წინ უძღოდა მოვლენები, რომელნიც ერთგვარად განაპირობებდნენ ამ ბედუქუღმართობას.

1723 წ. დამდევს, ვიდრე ისპაანს დაიპყრობდნენ (10 სექტემბერი) და ყვენს გადაყენებდნენ, ყვენმა მოასწრო შური ეძია მეფე ვახტანგზე, ქართლის სამეფო კახბატონ მაჰმად-ყული ხანს „უწყალობა“ და იგი თბილისზე ამხედრა ლეკთა დიდი ჭარბებით. მათ მოახერხეს ქალაქის დაპყრობა. გაძარცვა და აოხრება ისე, რომ თვითმხილველი და თანადამხდური მემატინანეს ცნობით მსგავსი უბედურება თბილისს რშვიათად რომ ოდესმე დატყდომოდა თავსო. ჩანს, ძარცვა-გლეჯაში დახელოვნებულმა ლეკმა ფეოდალებმა ეს ველურ-ბარბაროსულად სრულყოფით განახორციელეს.

თბილისზე მოსალოდნელი უბედურება, ირკვევა, დროულად გაითვალისწინეს ვახტანგის სამეფო კარისა და საეკლესიო უწყებების პატრიოტ-მამულიშვილებმა და მიიღეს საჭირო ზომები ისტორიული რელიკვიებისა და, პირველ რიგში, სტამბისა და ხელნაწერი წიგნების საიმედოდ ადგილს გახიზნისათვის. მემატინანის ცნობით, 1723 წ. დამდევს „ყოველი სვეტიცხოველის სამკაული ლარგვისის იყო გახიზნული, — გვირგვინი გ. ხატი მურასა დ, ბისონი ვ. წიგნი მრავალი და გუჯარნი სრულიად. ყოველნი სამსახურებელნი დიდისა და კათოლიკე ეკლესიისა, ოდეს ურუმთ შეიპყრეს ყოველი საქართველო... თავრიზამდე და ლეკთა ააოხრეს კახეთი და საქართველო“¹.

¹ ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980. გვ. 53.

სვეტიცხოვლისგან დახიზნულ წიგნებსა და ნივთებზე მოტანილი ცნობები ტიპიური მოვლენაა, ბუნებრივია, ასეთსავე ზომებს სხვა დაწესებულებანი და უწყებანიც განახორციელებდნენ, მაგალითად, 1723 წელსვე უნდა განხორციელებულიყო ვახტანგ VI სტამბის, ჯაბახანის, ზარაფხანისა და სხვათა დემონტაჟი, მათი დახიზვნა და საიმედოდ შენახვა იმ მიზნით, რომ საქიროების დროს აღდგინათ ისინი. 1740-იან წლებში ქართლ-კახეთის ახლად აღდგენილ თეიმურაზ-ერეკლეს სამეფოში განახლდა ვახტანგ VI დროინდელი როგორც სტამბის, ასევე ჯაბახანის, ზარაფხანისა² და სხვათა მუშაობა.

ამრიგად, 1723 წელს ვახტანგის სტამბა და სხვა სახელმწიფო საწარმონი მოიშალა, მაგრამ ისინი არ გამჭრალან; ქართველმა პატრიოტებმა, მომავლის იმედით, წიგნები, სტამბისა და სხვა არაერთ საწარმთა მოწყობილობა-იარაღები საიმედოდ გადაამალეს და დაიკვეს, მტრის რისხვას ააცდინეს იმ რწმენით, რომ ადრე თუ გვიან ბოლო მოეღებოდა მტრის თარეშს. ასეც მოხდა. ოსმალთა და ყიზილბაშთა საქართველოში 1740-იანი წლებიდან დაემხო, — „ქართველობა აღდგა“, — ილიძეებს მისწრაფება სტამბის, ისე როგორც სხვა არა ერთ საწარმთა აღდგენისა და მათი მუშაობის განახლებასათვის. ეს უკანასკნელი კი მამა-შვილის — მეფე თეიმურაზ-ერეკლეს თაოსნობით ხორციელდებოდა.

ირან-ოსმალეთის ბატონობის პერიოდში დიდი უბედურება გადახდა ქართველ ხალხს. ქვეყანა მძიმე ხარკებით დაქვეითდა ეკონომიურად და პოლიტიკურად, დაკნინდა ეროვნული კულტურა და განათლება.

ირან-ოსმალეთის 20 წლიანი მორიგეობითი ბატონობის პერიოდში, მე-18 ს. 40-იანი წლების საქართველოში, არამცთუ დაქვეითებულა ქვეყნის კულტურა და განათლება, არამედ თვით წარმოდგენაც კი ცოდნისა და განათლების შესახებ იქამდე შეეცვლილა, რომ წერა-კითხვის, სამხედრო საქმისა და გალობის საფუძვლების ცოდნა, თურმე, იმ ძნელ დროს განათლებად ყოფილა მიჩნეული. ვახუშტი ბატონიშვილი ამის შესახებ შემოთავებით წერს: „არს ჟამი რაოდენიმე — არლარა ისახელების ცოდნა თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამხედროსაგან კიდე და ჰგონებენ დიდ მცოდნეობად“³, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

1744—1747 წლებში ბოლო მოეღო ყიზილბაშთა ბატონობას საქართველოში. აღდგა ქართლ-კახეთის სამეფოები თეიმურაზ-ერეკლეს გამჭრიახი პოლიტიკით. მათ ანტონ I კათალიკოსთან ერთად დიდი

² იესე ბარათაშვილი, ცხოვრება ანდერძი თბ. 1950.

³ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა საქართველოსა. 1941, გვ. 32.

ყურადღება მიაქციეს დაცემული ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის⁴ აღორძინებას, იზრუნეს სტამბის გამართვაზეც.

ვახტანგის სტამბის აღდგენა მოხდა 1749 წ. იმავე 1749 წელს გამოცემულ „დავითნის“ თავფურცელზე ვკითხლობთ: „...ბრძანები: თა ამაღლებელისა მეფისა ჩვენისა თეიმურაზ ერეკლეს ძისათა, სრულიად ქართლისა მპყრობელისათა და ძისა მისისა მეფე ერეკლე თეიმურაზის ძისათა, კახთა მპყრობელისათა. კურთხევითა სრულიად საქართველოისა პატრიარქის მეფის ძის ანტონი ნეტარისათა დაიბეჭდა წიგნი ესე ფსალმუნთა წარსაგებელითა საფასეთათა ბეჭდისა ამის განმანსაღებელისა კახთა მეფისა ერეკლე თეიმურაზის ძისასა, სამეფოსა ქალაქსა ტფილისს, პალატსა საპატრიარქოსა. დასაბამითგან 7147. განხორციელებითგან ღმრთის სიტყვისა 1749 სრულ იქმნა თვესა ოქტომბერსა. მესტამბე ამისი სიონის დეკანოზი (ნიკოლაოზ). დაზვის მმართველი ჯ-ის საყდრის დეკანოზი იოანე“⁴.

ერეკლეს სტამბაში 1751 წ. მეორე წიგნად ანტონ I კათალიკოსის „ქადაგება“ დაიბეჭდა. ესაა პირველი ორიგინალური ნაწარმოები აქ დაბეჭდულ წიგნებს შორის. ამავე წელს დაიბეჭდა კონდაკი.

სტამბაში მუშაობა საპატიო საქმედ ითვლებოდა, ხოლო მისი მუშები გარკვეული შეღავათებით სარგებლობდნენ. მაგალითად, დავით ხუცესს 1784 წელს სტამბაში მუშაობის დროს მორიგე ლაშქარში გასვლა ზედა წილად, მღვდელმა ერეკლეს არზა-საჩივარი მიართვა. ერეკლემ ბრძანება გასცა: „...ეს დავითი ღვდელი სტამბაში განწესებულია, ესეც საქვეყნიერო და სჯულის სამსახურია. ამას მორიგეთ ნუ გამოიყვანთ“. აქედან კარგად ჩანს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევდა მეფე სტამბას, როგორც „საქვეყნო საქმეს“. 1763 წლამდე, გარკვეულ მიზეზთა გამო, ახლად აღდგენილ სტამბაში მხოლოდ 3 წიგნი დაიბეჭდა.

1755 წ. ანტონ I კათალიკოსობიდან გადააყენეს მართლმადიდებლობიდან კათოლიკური რწმენის მიღების ბრალდებით და რუსეთში გადაასახლეს. რუსეთში ანტონმა თავი იმართლა და დიდ თანამდებობასაც მიიღწია, საიდანაც 8 წლის შემდეგ დაბრუნდა მეფე ერეკლეს მოწვევით. როგორც კი რუსეთიდან დაბრუნდა ანტონ I. მან 1763 წელსვე თბილისში განაახლა სტამბა და შეუდგა წიგნების ბეჭდვას. თუ 1749 წ. სტამბა აღდგენილ იქნა „პალატასა შინა საპატრიარქოსა“, 1763 წ. სტამბა უკვე „ეზოსა სამეფოსა“ გადაუტანიათ.

1763 წ. სტამბამ კარგად დაიწყო მუშაობა. დაიბეჭდა „დავითნი“ და „ლოცვანი“. 1764 წ. მხოლოდ „კურთხევანის“ დაბეჭდვა შესძლეს. ამის შემდეგ 1782 წლამდე მხოლოდ ორი წიგნი დაიბეჭდა.

⁴ ქართული წიგნი, 1941.

1764 წ. დაბეჭდილ „კურთხევანს“ ასეთი მინაწერი ახლავს: „ირაკ-ლი მეორისა, მეფისა ყოვლისა საქართუმლომასა... კურთხევეითა უნეტარესისა და უწმიდესისა ანტონი პატრიარქისა ყოვლისა საქართუმლომასათა. დაიბეჭდა წიგნი ესე კურთხევანი სამეფოსა ქალაქსა ტფილისს. ეზოსა სამეფოსა, წელსა ჩლად (1764) თვესა აპრილის კმ (29)“. „კურთხევანს“ თან ერთვის ანტონის აკროსტიხი, რომლის კიდურწერილობაა: „ირაკლი მეფე საქართუმლომასა“. ამრიგად, სტამბის მუშაობა 1763 წელს განახლდა, მაგრამ ირკვევა, რომ წიგნები აქ იშვიათად და დროის დიდი წყვეტილებით იბეჭდებოდა, ჩანს ვანტანგისეული სტამბა მოძველდა. იგი განახლებას საჭიროებდა.

ასეთ პირობებში დაისვა საკითხი მოძველებული სტამბის განახლების შესახებ. ერეკლემ იწყო ძებნა სათანადო პირებისა, რომლებიც თავს იღებდნენ სტამბის მოწყობილობათა შექმნას და მოტანას უცხოეთიდან. ერეკლესთან გამოცხადდა ვინმე „ბერძენთა ნათესავი“ მელიტონი და მოახსენა: „საძიებელი ეგე შენი ვერა სადა იპოო, უკეთუ არა დიდსა პოლისსა შინა“. ერეკლემ მელიტონი სტამბოლს მიავლინა, სადაც მან სასტამბო მოწყობილობა იშოვნა და სათანადო ოსტატიც — ტირაყუ პოლოს ოპანესიანი კონსტანტინოპოლელი დაითანხმა თბილისში სამუშაოდ წამოსვლაზე⁵. 1781—83 წწ. თბილისში სტამბა საფუძვლიანად იქნა განახლებული.

მეფე ერეკლეს სტამბის განახლება 20.000 მანეთი დაუჯდა.

1783 წელს განახლებულმა სტამბამ 1795 წლამდე მეტად ნაყოფიერად იმუშავა. აღსანიშნავია, რომ ერეკლეს მიერ აღდგენილ სტამბაში პირველად თუ ნუსხური შრიფტით ბეჭდავდნენ. 80-იან წლებში ზმარებაში შემოდის მხედრულიც.

განახლებული სტამბა მეფემ იჯარით გადასცა სამეფო კართან დაახლოებულ მღვდელ ქრისტეფორე კეყერაშვილს იმ პირობით, რომ მოგების ნახევარს სამეფო ხაზინაში შეიტანდა. სტამბისათვის საჭირო ქალაქის შექმნას სამეფო ხელისუფლება კისრულობდა.

80-იანი წლებიდან განახლებული და კეთილმოწყობილი სტამბა (რომელიც ძვირად დაუჯდა სამეფო ხაზინას) გადაეცა საეკლესიო უწყებას. XVIII ს. მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზ-ერეკლეს და განსაკუთრებით გიორგი XII საეკლესიო პოლიტიკა ძალზე კონსერვატული და დრომოკმული იყო. ისინი იმდენად ბევრს ზრუნავდნენ ეკლესიისათვის და განიცდიდნენ მისი დიდი მესაკრის ანტონ I-ის გავლენას, რომ ღრმად მორწმუნე მეფეებად დარჩნენ. შემთხვევითი არაა, რომ ასეთ პირობებში ერეკლე მეორე

275

⁵ А. А. Цагарели. Сведения о памятниках грузинской письменности, т. I, гл. XI—XII.

ერთმორწმუნე რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავებისათვის ადვილად გაიტაცა ეკატერინე მეორის „იდეალებმა“ — ე. წ. ძველი ელადის აღდგენის პროექტმა, რომელიც ქრისტიანობის დაცვის დროში უნდა განხორციელებულიყო. სინამდვილეში ამ „წმიდათა წმიდა“ დროშას ეფარებოდა ცარიზმის იმპერიალისტური მისწრაფებანი სამხრეთში, სადაც ასევე გამათავისუფლებლის როლში გამოდიოდა.

ქრისტეფორე კევერაშვილი 1793 წ. დაბეჭდილი „მარხვანის“ ან-დერძში (რომელსაც თან ერთვის მის მიერ გამოცემული წიგნების სიაც) წერს: „მებრძანა უკეთილ-მსახურესისა და უმაღლესისა ჯელ-მწიფისა ყოვლისა საქართუელოჲსა ირაკლი მეორისა, მე, მისსა მონასა, მისის უმაღლესობის კარის მღვდელს მარტყოფელს კევერაშვილს ქრის-ტეფორეს განმგეობაჲ და ზედა მხედუელობაჲ სტამბისა, რომლისა სურვილი ფრიადი მაქუნდა. და დაბეჭდუ შრომითა და საფასითა ჩე-შითა მხედრული დაუჭდომელი უ (400) და კიტაიის სიბრძნე უ (400), ლოცუანი ჩ (1000), სახარება ყ (800), დავითნი ჩ (1000), სამოციქუ-ლო ჩ (1000), კვალად დაუჭდომელი ჩ (1000), ეჰანი ჩ (1000); კვა-ლად სახარება ყ (800); და მარხუანი ჩ (1000)... ესე ყოველნი ზემო-ხსენებულნი წიგნნი დამიბეჭდაეს ხარჯითა ჩემითა“⁶.

ერეკლე II-ის და ანტონ I-ის მიერ 1749 წელს თბილისში აღ-დგენილმა და განახლებულმა სტამბამ 1795 წლამდე იმუშავა. აქ დაიბეჭდა 28 წიგნი. მათ შორისაა:

1. 1749 წ. — დავითნი, 345—17 გვ.
2. 1751 წ. — ანტონ პირველი, ქადაგება, 32 გვ.
3. 1751 წ. — კონდაკი, 216 გვ.
4. 1763 წ. — დავითნი, 430 გვ.
5. 1763 წ. — ლოცუანი, 46 გვ.
6. 1764 წ. — კურთხევანი, 571 გვ.
7. 1768 წ. — ეპისკოპოსთა მიმართ, 13 გვ.
8. 1772 წ. — პარაკლიტოს, 583 გვ.
9. 1782 წ. ოპანესიანი პოლოს, შესხმა პირუშლი ახლისა ამის წიგნთ საბეჭდავისათუს, 30 გვ.
10. 1783 წ. — კონდაკი, 320 გვ.
11. 1784 წ. — დაუჭდომელი, 4 გვ.
12. 1784 წ. — კიტაიის სიბრძნე, 128 გვ. ტირაჟი 400.
13. 1784 წ. — კურთხევანი, 677 გვ.

⁶ ქართული წიგნი, გვ. 69. სტამბის იჯარით გაცემით, როგორც ჩანს, ბევრად გაუმჯობესდა სტამბის მუშაობა, მაგრამ სამეფო ხელისუფლებამ სტამბის ხელიდან გაშვებით ბევრი დაკარგა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის დეცენტრალიზა-ციის გზაზე.

14. 1784 წ. — ლოცვანი, 397 გვ. ტირაჟი 1000.
15. 1786 წ. — სახარება, 391 გვ. ტირაჟი 800.
16. 1788 წ. — ზატიკი, 506 გვ.
17. 1788 წ. კუმრეჟის, ძლევისათვის და შეწვევისა მხედრობათასა,

13 გვ.

18. 1783—1788 წ. — დავითნი. 457 გვ. ტირაჟი 1000.
19. 1790 წ. — დავითნი, 438 გვ. ტირაჟი 1000.
20. 1790 წ. — დაუჯდომელი, 224 გვ. ტირაჟი 1000.
21. 1791 წ. — ჟამნი, 763 გვ. ტირაჟი 1000.
22. 1791 წ. — სამოციქულო, 304 გვ. ტირაჟი 1000.
23. 1791 წ. — სახარება, 301 გვ. ტირაჟი 800.
24. 1793 წ. — კონდაკი, 236 გვ.
25. 1793 წ. — მარხვანი, 648 გვ. ტირაჟი 1000.
26. 1793 წ. — მცირე ლოცვანი, 286 გვ.
27. 1794 წ. — კურთხევანი, 551 გვ.
28. 1794—1795 წწ. — დავითნი, 516 გვ.

აქ მოტანილი წიგნების სია არასრულია, მაგრამ იგი წარმოდგენას გვაძლევს სტამბის ნაყოფიერი მუშაობის შესახებ. თბილისში დაბეჭდილი წიგნი ვრცელდებოდა მთელ საქართველოში. დავით ბატონიშვილი ამის შესახებ წერდა: „პაპისჩემის მეფე ერეკლეს დროს დაარსდა თბილისში სტამბა, სადაც მთელი საქართველოსათვის საქმალად ბევრი წიგნები იბეჭდებოდა“. სტამბა თავისი არსებობის 1749—1782 წლების მანძილზე, როგორც აღინიშნა, დიდი წყვეტილებით მუშაობდა. 1781 წლამდე სულ 8 წიგნი დაიბეჭდა. „უფრო მართებულად იქნებოდა გვეფიქრა, რომ სტამბამ კი გამოსცა წიგნი, მაგრამ ჟამთა სიავემ შთანთქა ეს გამოცემა და ჩვენამდის აღარ მოაღწია“⁷. ჩვენ არ ვიცით რა წყაროს ემყარება ავტორი, მაგრამ ასეთი რამ სავარაუდო უფრო შეიძლება იყოს.

აქ ყურადღებას იპყრობს 1790 წელს გამოცემული „დაუჯდომელის“ დანართი — „თვის დაღეგი და ღლესასწაულების ცნობა“, სადაც ქრონოლოგიური სიზუსტითაა წარმოდგენილი რელიგიურ ღლესასწაულთა ციკლი. ეს „მე გავაკეთე ვაჭართ საცნობლად, ქრისტიანენი უცხო ქვეყანაში რომ მგზავრობენო“, წერს ქრ. კეჭერაშვილი. ეს ანდერძი წარმოდგენას გვაძლევს 1790-იანი წლების საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაზეც, მის გაცხოველებულ ვაჭრობასა და აღებმიცემობაზე „უცხო ქვეყნებთან“. აი სრული ტექსტი „დაუჯდომელის“ საგამომცემლო მონაცემებისა. „დაიბეჭდა ქ. ტფილისს „დაუჯდომელი“ — ხელითა მესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილისათა. მწერ-

⁷ დ. გვრიტიშვილი, ნაკვეთები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 273.



Եվ Ոմ Նազկայիս յաշեսա :
 Անդի 'Լահոմիապաճ Ըճճիս Կըր, Կմնիւոս,
 Ըոճյաժա Միսո : 'Կըճիս իւրա ցոճճակսայիւոս,
 Բոյ ունճոյ ցոճոյրնճ ճոյրնս Դիւիւոսճ :
 'Կմիյի ցոճճակսայիւ : Եւնճ Ըոճճյաժա Մ. Կ. Ը.

ლობითა ქრისტესია ხუცის ძის დიონოსისათა.. განმგეობითა და დაზ-
გის მმართველობითა მისის უმაღლესობის კარის ხუცის ქრისტეფო-
რესითა. თვის დადგვი და დღესასწაულების ცნობა ბოლოს მე გვაე-
კეთე ვაჭართ საცნობლად, ქრისტიანენი უცხო ქვეყანაში რომ მგზავ-
რობენ, თუ გარვოსთ ვისმე რამე, ცხონებას მიბრძანებდეთ. ღმერთმა
თქვენც სასუფეველსა ცათსა ღირს გყოსთ“⁸.

მეტად ნაყოფიერი იყო სტამბის მუშაობა 1790 წლიდან 1795
წლამდე. დასახელებულ პერიოდში დაიბეჭდა 10 წიგნი.

აკად. კ. კეკელიძის შენიშვნით წიგნის ბეჭდვის აღმავლობამ ამავე
პერიოდში თბილისსა და საქართველოს საეკლესიო-სამონასტრო ცენ-
ტრებში ხელი შეუწყო ბიბლიოთეკის მძლავრი კერების აღმოცენებას
შვიდარი წიგნალი ფონდებით. ამ დროს ასევე თბილისში გამრავლდა
პირადი ბიბლიოთეკები.

„გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა სასკოლო საქმე, გაჩნდა ახალი
ზუღდე და წყაროები ლიტერატურული მუშაობისა, შემოღებულ იქნა
წიგნის ბეჭდვის ხელობა, საფუძველი დაედო ისეთ წიგნსაცავებს, რო-
გორც იყო მცხეთისა და ანტონ კათალიკოსისა. რომელთაგან უკანას-
კნელში 7000 ტომი ითვლებოდა, გაიზარდა წერაკითხვის მკოდნეთა
რიცხვი, განსაკუთრებით ქალთა შორის... გაფართოვდა ლიტერატუ-
რულ მოღვაწეთა წრე: თუ წინათ საეკლესიო ბეჭდვას სათავეში
მომეტებულ ნაწილად სამღვდლო-სასულიერო პირნი უღდგენენ, ახლა
ამ საქმეს ხელი მოჰკიდეს საერო პირებმა“⁹.

ამ მიმართულებით დიდია ანტონ I ღვაწლი, რომელიც მან XVIII ს.
მეორე ნახევრის ქართულ კულტურას, მეცნიერებასა და ლიტერატურას
დასდო.

„ანტონი... საქართველოში მრჩეველ-დამრიგებლებს ვერ ჰპოვებ-
და. ფრანგის მისიონერები იყვნენ ამ მხრით პირველ-უკანასკნელნი.
დაიხსლოვა იგინი და იწყო ლათინური ენის შესწავლა. მათი დაახლო-
ების გამო ცილი დასწამეს, — გალათინდაო. 1755 წელს წავიდა რუ-
სეთს. სინოდმა გაამართლა. 1757 წ. მისცეს ვლადიმერის ეპარქია —
მართაჲდა 1762 წ-მდე. ამ ხანში შეისწავლა ლათინური ენა... თარგმნა
ფილოსოფია ბაუმეისტერისა, დეფინიტივნი ფილოსოფია მისივე, ფი-
ზიკა ვოლფისა. 1763 წ. დაბრუნდა საქართველოში. მოიტანა თან
ბიბლიოთეკა, დაწესა სკოლები და უბრძანა იმ წიგნებით სწავლება.
კატეხიზმს კი საყდრებში ჰხსნიდნენ სახალხოლ. შეადგინა ღვთის
შეტყველება 4 წიგნად და მზამეტყველება წინააღმდეგ ლათინთა, ლოტ-
რანგთა (ლუთერიანთა — ა. ი.); სომეხთა (გრიგორიანთა — ა. ი.),

⁸ იხ. დაუჯდომელის საგამომცემლო ანდერძი.

⁹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, გვ. 69.

ათარგმნინა ქვა სარწმუნოებისა სტეფანე იავოსისკისა¹⁰. ანტონმა ასევე შეადგინა „თარგმანებად რომაელთა მიმართ ეპისტოლისა“, თარგმნა სკოლებისათვის ახლად სომხურიდამ არისტოტელის კატეგორია და რიტორიკა მხითარისა. არითმეტიკის სახელმძღვანელო ძველადვე ჰქონიათ ქართველებს. ანტონ I თავისი სკოლა გააჩნდა. მაგ., იოანე ოსეშვილი, მოწაფე ანტონ I-სა, კაცი ფილოსოფოსი, მქადაგებელი და მთარგმნელი წიგნისა „მსგავსებისათვის“ სომხურიდან. იგი იყო ტფილისის სიონის დეკანოზი, რომელიც ტფილისის სამიტროპოლიტო ეპარქიას მართავდა გერმანე ტფილელის სიბერის გამო. იოანემ 1794 წ. 25 დეკემბერს მეფე ერეკლეს მოახსენა ხოტბის შესახა.

1795 წ. ალა-მაჰმად-ხანი რომ ტფილისს ასაოხრებლად მოუახლოვდა, იოანემ მხრით გაასვენა სიონის ჯვარხატი, წიგნები და მთელი განძეულობა იხსნა დალუპვისაგან.

ერეკლე მეორის სტამბის ფაქტიურ წარმმართველ ძალად საეკლესიო უწყება გვევლინება ანტონ I-სა და მისი სკოლის წარმომადგენელთა თაოსნობით. ეს გარემოება ძალზე ზღუდავდა XVIII ს. მეორე ნახევარში თბილისში წიგნის ბეჭდვის ფართოდ განვითარებას. ამ პერიოდში მოქმედ თბილისს სტამბაში კლერიკალურ-რელიგიური შინაარსის წიგნების გარდა თითქმის არ დაბეჭდილა ლიტერატურული, ისტორიული ან ფილოსოფიური თუ სხვა ხასიათის საერო მეცნიერული ნაშრომები.

1795 წ. სექტემბერში თბილისს სპარსთა ურდო დაესხა თავს. ქალაქი და თბილისის სტამბაც ცეცხლს მისცეს. ქალაქისა და სტამბის აღდგენას მეფე ერეკლე დაუყოვნებლივ შეუდგა, მაგრამ ველარ მოასწრო. იგი 1798 წელს გარდაიცვალა.

1797 წ. ერეკლემ რუსისა და ქართველთა ჯარით განჯაზე გაილაშქრა, დაამარცხა ჯავათ-ხანი, დახარკა მძიმედ და დააბრუნა განჯიდან ალა-მაჰმად-ხანის მიერ წაყვანილი ტყვეების ნაწილი. მეფე ერეკლეს ამ დროს თან ახლდა მესტამბე მარტყოფელი ქრისტეფორე კეჟერაშვილი-ბადრიძე, რომელმაც განჯაში, თითქოს, მიაკვლია თბილისიდან გატაცებული სტამბის იარაღების ნაწილი, რომელიც ქრისტესიანებარა, და ჩამოიტანა.

საივირველია, რატომ უნდა მისულყო საქმე აქამდე!?! ისმის საკითხი. როგორ მოხდა, რომ მტრის მიერ თბილისის დაპყრობამდე და სტამბის დაწვამდე სტამბის ისეთმა დიდმა ორგანიზატორმა და ზედმიწევნით გამჭირიანმა მოღვაწემ, როგორიც ქრისტეფორე კეჟერაშვილი იყო, ვერ გაითვალისწინა და ვერ მიიღო საჭირო ზომები ერეკლე მეფის

¹⁰ იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თ. ჟორდანიას ზემოთ დასახელებულ ფონდში დატული პ. კარბელაშვილის რვეული, გვ. 40—45.



სურ. 21. ზატეი. თბილისი. 1788.

მიერ განახლებული სტამბის (რომელსაც ის იჯარით ფლობდა) დასა-
ცავად და მის გადასარჩენად შთამომავლობისათვის? ნუთუ მას არ
შეეძლო სტამბის დროულად დემონტაჟი და საიმედოდ გადაშალვა, რომ
იგი მტერს არ ჩაეზარდნოდა ხელში ისევე, როგორც ეს მოახერხეს ვახ-
ტანგ მეფის დროს (და 1723 წელსვე განახორციელეს), — რომ მას
არ დაეწყო ძებნა თბილისის სტამბის გატაცებული ნაწილებისა გან-
ჯაში, გორში... და სხვა ადგილებში?

1799 წ. დეკემბრის 22 გიორგი მეფემ უბოძა ქრისტეფორე ბადრი-
ძე-კევერაშვილს წყალობის ოქმი. იგი შესანიშნავი დოკუმენტია ქარ-
თული სტამბის ისტორიისათვის. სხვათა შორის აქ ნათქვამია: — „წა-
ხველ ალექსის ქვეყანასა, მესტამბეობა მიგელო, მოხველ, საქართველო
სამლოთ წიგნისაგან ნაკლებად იყო და თოთხმეტი ათასი სამლოთ წიგნი
დაგვიბეჭდე. 700 ტყვე გამოიყვანე განჯის ციხიდან. შენ ბერძნული ენა
იტოლი.“

ალა-მაჰმადხან ტფილისი რომ დაწო, სტამბის ქარხანაც დაეწვათ,
ჩვენ სტამბა დაგვკვირდა, გიბრძანეთ და ესეც დიდის შრომით გამართე
და მოგვართვით“¹¹.

ამ სიგელიდან ჩანს, რომ კევერაშვილმა მესტამბეობა ალექსის
ქვეყანაში, ანუ იერუსალიმის პატრიარქის ხელშეწყობით, შეისწავლა
ბერძნულ ენასთან ერთად. მას ალა-მაჰმად-ხანის შემოსევამდე 14 ათა-
სი წიგნი დაუბეჭდია და სხვ. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ
ქრისტესიას სტამბა მოგვიანებით აღუდგენია თბილისში და გიორგი
მეფისათვის მიუერთმეგია; ამ სტამბაში 1800 წელს დაიბეჭდა დავით
ბატონიშვილის საქართველოს ისტორია.

გასარკვევია ისიც, რომ შეძლო მან ასეთ პირობებში „სტამბის
გამართვა და მიერთმევა“ მეფისადმი?

XVIII ს. საქართველოში, ვახტანგ VI და თეიმურაზ-ერეკლეს მე-
ფობის პერიოდში, ეკლესიებსა და სტამბებში საკმაოდ გავრცელებუ-
ლი იყო ბერძნული ენა. თბილისის სტამბის ირგვლივ გაერთიანებული
იყვნენ დიდად განათლებული მოღვაწენი, რომელნიც მშობლიური
ენის გარდა უცხო ენებსაც — ბერძნულ, რუსულ და აღმოსავლურ
ენებს ფლობდნენ.

1711 წ. თბილისში დაბეჭდილ „დავითნში“, რომელიც „საერო-
სასოფლო“, ანუ მხედრული ანბანითაა დასტამბული, ბერძნული შრიფ-
ტით დაბეჭდილ ლექსსაც ვხვდებით — „სტრიქონები (ლექსები) ღვთი-
ურ დავითნზე“. ფიქრობენ, რომ იგი რუმინული წიგნების გავლენითაა

¹¹ ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980, გვ.
224—226.

გაპირობებული¹². ქართული სტამბის მოღვაწეთა შორის მრავალი ფლობდა ბერძნულ ენას. მაგ., ნიკოლოზ ორბელიანი, რომლის რედაქტორობით ათამდე წიგნი დაიბეჭდა, ბერძნული ენის კარგი მცოდნე იყო.

თბილისში სტამბის გახსნამდე საეკლესიო სტამბური წიგნები ბერძნულ, სლავურ და რუსულ ენებზე არსებობდა. საქართველოში ტრადიციულად უპირატესობას ბერძნულად დაბეჭდილ (წინათ ხელნაწერ) წიგნს ანიჭებდნენ, მაგ., 1709 წ. დაბეჭდილ „სამოციქულოს“ ანდერძში ნ. ორბელიანი დასძენს: „ეს წმიდა სამოციქულო და იოანეს მიმოხილვა დიდის ჭირითა ბერძენთა ბეჭდის სამოციქულოთა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გაემართე“. ბერძნული ენის ღრმა მცოდნე იყო კვიპრიანე სამთავნელი, მაგ., 1713 წელს გამოცემულ „კურთხევანში“ კვიპრიანე სამთავნელი გვაუწყებს: „...მებრძანა მე სამთავნელს კვიპრიანეს ბერძულთა წიგნთა ზედა ჩვენთა წიგნებთა შემოწმება“, რადგან „ბერძულთა წიგნთა და ენისა სწავლულ ვიყავ იმრუსალიმისა პატრიარქს დოსოთეოს თანა (საუკუნომცა არს სახსენებელი მათი)“¹³.

ბერძნული ენის მცოდნენი არიან ერეკლეს სტამბის ისეთი ცნობილი მოღვაწენი, როგორც იყვნენ: ანტონ 1 კათალიკოსი (იგი ასევე ფლობდა ლათინურსაც). ტრიფილე ჩერქეზიშვილი, ქრისტეფორე კევერაშვილი, რომანოზ ზუბაშვილი, იოანე მანგლელი, სააკაძე და სხვ. ბერძნული ენა მათ, ისე როგორც ქრისტეფორე კევერაშვილს, იერუსალიმის საპატრიარქოს კარზე — კონსტანტინეპოლში ჰქონდათ შესწავლილი.

XVIII საუკუნეში საეკლესიო ქართული წიგნის ბეჭდვა ბერძნულსა და ლათინურთან ერთად ემყარებოდა რუსულ საეკლესიო ნაბეჭდ წიგნებს. რუსული ენის შესანიშნავი მცოდნენი იყვნენ ერეკლე I, არჩილ II და მისი ძე ალექსანდრე, ქრისტეფორე გურამიშვილი, ბაქარი, ვახუშტი, ანტონ I, ქართული სტამბის მუშაკი ტაბიძე, ქართველი მოქალაქენი ასტრახანისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან, გაიოზ რექტორი — არქიმანდრიტად წოდებული და სხვა მრავალი ქართველი მწიგნობარნი, განსაკუთრებით მოსკოვის ქართველთა კოლონიიდან. მას საფუძველი ჩაუყარეს ერეკლე I-მა, არჩილ II-მ და ალექსანდრე არჩილის ძემ ჯერ კიდევ XVII ს-ში, მაგრამ XVIII ს. 20-იან წლებში ვახტანგ VI დიდი ამალით მოსკოვში ჩასვლით და ჩასახლებით უაღრესად გაძლიერდა ქართველთა კოლონია. ისინი მასობრივად დაეუფლნენ რუსულ ენას. ზოგი იმათგანი განაგრძობდა ქართული კულ-

¹² ა. შანიძე, ქართული სტამბის ისტორიისათვის.

¹³ ქართული წიგნი, გვ. 13.

ტურის, მწიგნობრობისა და სტამბის სამსახურს. საბოლოოდ კი მათი ასიმილირება-გარუსება მოხდა. ბევრმა მათგანმა დიდი სახელი დაიმკვიდრა რუსული კულტურის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეობის დიდ ასპარეზზე.

XVIII ს. 80-იანი წლებიდან რუსეთ-საქართველოს შორის ქ. გეორგიევსკში მეგობრული ტრაქტატის გაფორმების საფუძველზე, ორი ერთმორწმუნე ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებასთან ერთად, ძლიერდება კულტურული კავშირ-ურთიერთობაც. ეს უკანასკნელი თავის გამოხატულებას პოულობს ქართულ საეკლესიო წიგნთა ბეჭდურად გამოცემისას. ამიერიდან იმეიათ შემთხვევაში თუ იყენებდნენ ბერძნულ წიგნებს და უმეტესად რუსულ წიგნებს ეყრდნობოდნენ.

რუსეთთან ახლო ურთიერთობის პირობებში ქართული წიგნი გაფორმების თვალსაზრისითაც ერთობ დიდ გავლენას განიცდის რუსული წიგნისას, მაგრამ იგი რამდენადმე ინარჩუნებს თავის ოდინდელ ეროვნულ ტრადიციებს.

XVIII ს. 60-იანი წლებიდან თბილისი ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს სატახტო ქალაქია. იგი ეკონომიკურად და კულტურულად დაკავშირებულია როგორც აზიის, ასევე დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. 1770—80-იან წლებში თბილისში 20—25 ათასი სული ცხოვრობდა. რუსეთის მხედრობის საქართველოში შემოსვლით და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაფართოებით ღრმავდება პროცესი, ვითარდება ბურჟუაზიული მეურნეობრივი მანუფაქტურული წამოწყებანი და თაოსნობანი ფულად სასაქონლო ურთიერთობათა აღმავლობის საფუძველზე და მისი განვითარების კვალდაკვალ.

რუსული ენის გავლენა ემჩნევა ჭერ კიდევ 1751 წ. თბილისში გამოცემულ „კონდაკს“, რომლის ანდერძში ვკითხულობთ: „მწერალთა მიერ გარყვნილიყო და წინა უკმო, მეტ-ნაკლული... მასვე რუსულსა საღმრთოსა მსახურებისა წიგნსა... ზედა შევამოწმეთ... რაც შეეძინათ ყოველივე დაუტევეთ... რომელი უფრომსად სახმარნი იყვნენ [რუსულში], იგი ყოველივე გარდამოვიღეთ, ჩვენ ენაზე გავაწყვეთ. რუსულად გარდმოღებაში შრომობდა ზუცეს მონაზონი ეფრემი, ზედა-მხედველობითა და ქართულსა ენასა ზედა შეწყობითა მოძღვრისა და უღირსი მღვდლის ზაქარიასითა: თანა შეწვენითა ისაკ მციარისათა, მომშუშაკებული სიონის დეკანოზი ნიკოლაოზ, მცირე ამათგანი მხატვარი იოანე“.

ანტონ I კათალიკოსის რუსეთიდან დაბრუნებისა და 1763 წელს სტამბის მუშაობის განახლების შემდეგ, XVIII ს. 60-იანი წლებიდან, ეს გავლენა ბევრად იზრდება და ღრმავდება, ერეკლე მეორის სტამბაში მოღვაწეობდა რუსული ენის შესანიშნავი მცოდნე ტრიფილე

ჩერქეზიშვილი. თბილისის განახლებულ სტამბაში გამოცემული წიგნები — „კონდაკი“ (1783), „ლოცვანი“ (1784), „ჟამნი“ (1791), „კონდაკი“, „მარხვანი“, „მცირე ლოცვანი“ (1783) და „კურთხევანი“ (1794) „რუსულსა სამღთოსა მსახურების წიგნსა ზედა შემოწმებულ იქმნა მისის უწმინდესობის ილუმენის ტრიფილესაგან“. ეს წიგნები მთელ საქართველოში ვრცელდებოდა.

საუკუნეების მანძილზე აქ, თბილისში ასევე იკრებოდა ფული, არსებობდა ზარაფხანა, თოფხანა და ეწეოდნენ ზარბაზნების ჩამოსხმას. განვითარების მაღალ დონეზე იდგა სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები აზიის მეზობელ ქვეყნებთან, ჩრდილოეთ კავკასიასა და რუსეთის ქალაქებთან, საქალაქო ცხოვრება და ხელოსნური წარმოების უამრავი დარგები აღმავლობით ვითარდებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთობა თურქეთთან ბევრად განსხვავდებოდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების თურქეთთან ურთიერთობისაგან. ევროპის ქვეყნებთან სიახლოვე და კავშირ-ურთიერთობა თანდათანობით ძირს უთხრიდა თურქეთის აზიურ ჩამორჩენილობას კულტურისა და ეკონომიკის სფეროში. სტამბოლი ევროპული ქალაქი ხდებოდა. საქართველო ევროპასთან კავშირს, მართალია უაღრესად ძნელ პირობებში, მაგრამ რამდენადმე მაინც თურქეთის მეშვეობითაც ანხორციელებდა.

რუსეთ-თურქეთის 1768—1773 წწ. ომის პერიოდში თურქეთის საწინააღმდეგო საომარ ოპერაციებში რუსეთის მხედრობის მხარდამხარ საქართველოს მონაწილეობის მიუხედავად 1770-იანი წლების ბოლოს ვითარება იცვლება, ქართლ-კახეთსა და თურქეთს შორის ახლო ურთიერთობა მყარდება.

აი როგორ ახასიათებს ამ ფაქტს XVIII ს. 70-იანი წლების მიწურულის მემოტიანე. „გურგინა (ერეკლეს ელჩი — ა. ი.) მოვიდა და ხონთქარის კაცი. გაეგება ისაია უზბაშის ბაღთან მაისის 23, ქორონიკონს 466 (1778 წ.). მორათვეს ცხენი მძიმედ შეკაზმილი... ხონთქარის ნასხამი ქურჭი ბოხით მორათვეს... მოერთო [მეფე ერეკლეს] ხონთქრიდან ერთი აღმასის საათი, საათს ესე სჭირდა მეტი — წუთის აღრაბიც ჰქონდა. ვეზირ აზამს ებოძა ერთი ბურნიოთის კოლოფი. აღმასით გულქანდა და შუაზედ ლალი ჰქონდა ცერის ფრჩხილის ტოლი, რეიზ ეფენდის ებოძა ერთი ფიალა ყაეისა, ზარბი ოქროსი ჰქონდა, მძიმე იყო და აღმასით და წვრილის იაგუნდით მოოქვილი იყო. მაქთუფჩის — ერთი საათი. ამას ზურგზე მცირე აღმასი უსხდა“¹⁴. ქართლ-

¹⁴ იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 86.

კახეთის სამეფოსა და თურქეთს შორის ახლომეზობლური ურთიერთობა დამკვიდრდა.

ახალციხის კათოლიკე მღვდლების იოანე ხოჯაშვილისა და სხვათა მესხურ-ქუთათური ქრონიკები შექმნეს ასევე იმ საეპარქო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას, რომელიც ახალციხის მეშვეობით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსა და თურქეთს შორის იყო დამკვიდრებული¹⁵.

თბილისში მოქმედი სტამბისათვის საჭირო ქაღალდის დიდ ნაწილს რუსეთიდან და პერიოდულად, როგორც ირკვევა, თურქეთიდან, აგრეთვე ირანიდანაც იძენდნენ. 1743 წ. მოსკოვში დაბეჭდილი ბიბლია (სრულად) ალექსანდრიიდან მოტანილ ქაღალდზე დაუბეჭდიათ. იერუსალიმ-კონსტანტინეპოლის საპატრიარქო კარი წარმოადგენდა ასევე იმ დიდმნიშვნელოვან პუნქტს, სადაც ქართული სტამბის გამოჩენილი მუშაკნი ბერძნულ ენასა და სასტამბო მეურნეობას, წიგნის ბეჭდვას სწავლობდნენ. XVII—XVIII სს. მიჯნაზე თბილისში სავარაუდო. ე. წ. დომენტი კათალიკოზის. სტამბა პატრიარქის ხელშეწყობით მოქმედებდა. ირკვევა, რომ ეს ტრადიცია XVIII ს. მეორე ნახევარშიაც გრძელდებოდა. მაგალითად. საკმარისია დავასახელოთ სახელოვანი ქართველი მესტამბე ქრისტეფორე კეყერაშვილი (ბადრიძე), სომეხი ოსტატი ტირაკუ (და სტამბის იარაღის თურქეთიდან გამოწერა) და სხვ.. რომელთაც წიგნის ბეჭდვა და სტამბის საქმე პატრიარქის კარზე შეისწავლეს. ასე, რომ საქართველოს სამხრეთით ისტორიულად, მტრებს გარდა, დროდადრო თითქო მოყვარენიცა ჰყოლია მეზობლად.

მეფე ერეკლეს სტამბაში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი პროფესიული მესტამბენი, რომელნიც აგრძელებდნენ ვახტანგ VI ეროვნული სტამბის დიდებულ ტრადიციებს. ასეთები იყვნენ:

ზაქარია მოძღვარი გაბაშვილი — 1751 წ. — სტამბის ზედამხედველი და „ქართულისა ენისა შემწყობი“.

ისაყ მცირე — ზაქარია მოძღვარის თანამდგომელი, ანუ მოადგილე. ნიკოლოზ სიონის დეკანოზი (მიქაძე) — 1763—1764 და 1772 წწ.— „მომუშავებელი და წარმომადგენელი ასოთ“, ანუ ასოთჩამომსხმელი და მესტამბეთუხუცესი.

მიხაილ მხატურის ძე ილუმენი — 1764—1772 წწ. — „სტამბის სახმართა ზედამდგომელ-გამრჩელი“, რომელიც აგრეთვე იყო „პრობის მმართველი და გამმართველი გრამატიკისა კანონსაზედა“.

იოანე მხატვარი დეკანოზი — 1763 წ. „სტამბის ზემდეგი“.

ედიშერ თუმანიშვილი — 1764—1772 წწ., სტამბის ზედამხედველი.

¹⁵ ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980, გვ. 248.

დავით ჩუბინიძე — 1772—1794 წწ. — „დაზგის მმართველ-მწერალი და პლაკის მკრელი“.

ტრიფილე არქიმანდრიტი (ჩერქეზიშვილი) — 1793—1794 წწ. — „პოეტი და კალიგრაფ-გადამწერი. „ლრამატიკის კანონსაზედა გამმართველი და პრობის მმართველი“.

იოანე ოსეს ძე მიქაძე — 1781—1795 წწ. — „ლრამატიკის კანონსა ზედა გამმართველი და პრობის მმართველი“.

შოო ტუსიშვილი — 1783—1784 წწ. სტამბის ზედამხედველი. პოლოსა ოპანესიანი, ტირაკუ 1782—1783 წწ. „ასოს წარმომადგენელი და მესტამბეთუხუცესი“.

აბრამ ურიაყოფილი — 1764 წ. — მოსკოვი, 1786 წ. — თბილისი — „დაზგის მმართველი და სტამბის უხუცესი“.

ქრისტეფორე კეყერაშვილი ბადრიძე — 1783—1795 წწ. — სტამბის გამგებელ-მოძღვარი.

თბილისის სტამბაში, მისი არსებობის ბოლო ხანებში, ნაყოფიერად მუშაობდნენ ახალგაზრდა კვალიფიციური მესტამბენი: გიორგი პაიჭაძე, რომანოზ ზუბაშვილი, დავით ყორღანაშვილი, ზაქარია არქიმანდრიტი, დიონისე კეყერაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, თევდორე დარბაიძე, ზაქარია გოგელიძე და სხვ.

1795 წ. თბილისზე ირანელ დამპყრობთა თავდასხმამ მოსპო და მიწასთან გაასწორა სტამბა. სტამბის მუშაკების დიდი ნაწილი მტერს შეაყვდა ბრძოლებში, ხოლო ნაწილი იმერეთის სამეფოში გადაიხვეწა, მაგ., გ. პაიჭაძე და სხვ., ზოგიც ჩრდილოეთ კავკასიაში, მაგ., რომანოზ ზუბაშვილი მოზდოკში და სხვ. მათ საფუძველი ჩაუყარეს იმერეთის სოლომონ მეორის სამეფო, ხოლო მოზდოკში გაიოზ არქიმანდრიტის ქართულ სტამბებს.

1. ანტონ I-ის გავლენით ერეკლეს სტამბაში დაბეჭდილ წიგნებში შატანილი ენობრივი ცვლილებების გამო

ქართლ-კახეთის სამეფოს მართლმადიდებლური ეკლესიის საკეთ-მპყრობელი კათალიკოსი ანტონ I, მეფე ერეკლე მეორის უახლოესი თანამებრძოლი, რუსეთთან საქართველოს დაკავშირების თანამოაზრე, 1772—1774 წლების ლევან ბატონიშვილის ელჩობის მონაწილე, ქართული მწიგნობრული კულტურის დიდი ამაგდარი, ქართული მწიგნობრობისა და სტამბის გამომჩენილი მოღვაწე იყო¹⁶.

¹⁶ იგი რუსეთში ხანგრძლივად ცხოვრობდა (1755—1762 წწ.), ახლო გაეცნო რუსულ და ევროპულ საეკლესიო-ფილოსოფიურ მწერლობას და საქართველოში 1763 წლიდან დაბრუნებული აქტიურად ჩაება ქართლ-კახეთის სამეფოს საეკლესიო

მაგრამ ანტონ I-ის რელიგიურ-კლერიკალურმა მრწამსმა უარყოფითად იმოქმედა მის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე და ქართულ სტამბაში დაბეჭდილ წიგნთა ანტონისეული ქართული ენის „ღრამმატიკისა კანონის“ ნორმების მიხედვით ბეჭდვას დაკანონებაზე.

წიგნები — დაეთინი, სახარება და სამოციქულო... ქართულად IV—V სს ითარგმნა. ისინი ქართული სალიტერატურო ენის უძველეს პერიოდს განეკუთვნებიან, მათი ბეჭდური სახით გამოცემა პირველად 1709 წელს თბილისში დაარსებულ სტამბაში განხორციელდა. სამი დიდი წიგნის გამოცემა ერთ წელს ახლად დაარსებულ სტამბაში სწორედ გასაოცარი აშბაგია იმდროინდელ პირობებისათვის.

ახლად ჩამოსხმული (მე-18 საუკუნის ხელნაწერთა) ასოების მონაზულობა-დაყოფა ტექსტისა, მხატვრული გაფორმება სამკაულებისა და სურათების საშუალებით (ოთხთავში მახარებლები, სამოციქულოში სულიწმინდის მოფენა, მოციქულები პავლე და იოანე. ორივე წიგნის თავსამკაულები, მედალიონები და ღვთისმშობელი, მაცხოვარი და ნათლისმცემელი). ყოველივე ეს, აკად. ა. შანიძის მართებული შენიშვნით, უთუოდ დიდი გამარჯვება და არსებითად მოულოდნელიც კი ახლად დაარსებული სტამბისათვის.

როდესაც ახლოს ვეცნობით ამ წიგნებს, რომლებიც შემდგომ (მთლიანად ან ნაწილობრივ) რამდენიმეჯერ გამოიცა სხვადასხვა ქალაქში (მოსკოვს, თბილისს, ქუთაისს, საჩხერეს, უკანასკნელად კი 1821 წ. თბილისში), ადვილად ვამჩნევთ, თუ როგორ დაიბეჭდა ისინი პირველად ვახტანგ VI სტამბაში და რა ცვლილება განიცადეს მათ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

ანტონ I-ის მიერ დადგენილი ენობრივი ნორმებისა და ფორმების შეცვლას ვერავინ გაბედავდა, როგორც საყოველთაოდ აღიარებულს. პასუხისმგებლობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ყოველ გამოცემულ წიგნს თან ახლავს გვარი და სახელი ტექსტის გამმართველისა „ღრამმატიკისა კანონსა ზედა“ ანტონ I-ისა. ასეთები არიან ანტონის სკოლაში აღზრდილნი, უკვე გამოჩენილი ფილოლოგ-მეცნიერნი და შწიგნობარნი XVIII—XIX სს., რომელნიც სტამბაშიც მოღვაწეობდნენ.

და პოლიტიკურ ცხოვრებაში. დიდი ღვთისმეტყველი. მწერალ-მეცნიერი. როცა დიპლომატიური მისიით რუსეთში მიდიოდა, თანმხლებ ამაღაში შტატით ბიზლიოთეკარიც ემსახურებოდა (იხ. „საისტორიო მოამბე“, 51—52, თბ., 1985, გვ. 336—337. ა. იოსელიანის პუბლიკაცია. „თვისობრივად ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში“).

17 ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბილისი, 1964. გვ. 2.

ა. შანიძე სპეციალურად ჩერდება ანტონ I-ის მიერ განხორციელებულ და ქართულ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ როგორც ორთოგრაფიულ (გვ. 9—31) და გრამატიკულ (გვ. 32—63). ასევე ლექსიკურ (გვ. 64—78) ცვლილებებზე და არკვევს ანტონ I-ის გავლენას სალიტერატურო ქართულზე.

ავტორი პირველი ნაბეჭდი წიგნის ორთოგრაფიასთან მიმართებაში გადმოგვცემს, რომ ანტონი არ დაკმაყოფილდა იმ ასოთა რაოდენობით, რომლებიც მანამდე იყო ქართულ ანბანში; შემატა ასო — გ და დაურთო ხმოვანი მ, ჯ და ჯ. ანტონმა ასევე შემოიღო რუსულის გავლენით მახვილისა და სასვენი ნიშნების ხმარების ახალი წესი და გარემორთხმულთან ერთად, მთავრული ასოების ხმარების ნიკოლოზ ორბელიანის წესისაგან განსხვავებული ზოგი თავისებურება. მაგ., სახარებისა და სამოციქულოს უძველესი, 1709 წლის ვახტანგ VI-ის სტამბურ გამოცემათა სასვენი ნიშნები განსხვავდება ერეკლე II-ის სტამბის გამოცემებისგან და სხვ. საგულისხმოა, რომ 1765 წ. რუსეთში გამოცემულ ათანასე თბილელის სამოციქულოში იგივე სასვენი ნიშნებია გამოყენებული, რაც ვახტანგ VI-ის სტამბაში.

სახარების, ისე როგორც სამოციქულოს, ტექსტის გამოცემის ხელმძღვანელ-რედაქტორი (მმართველი) მღვდელ-მონაზონი ნიკოლოზ ორბელის ძე (სულხან-საბაძე ძმა) იყო. სახარების წინასიტყვაობაში ნიკოლოზი გვაუწყებს რომ ვახტანგის სტამბის დაარსებამდე საღვთო წიგნები ხელით წერაში გარყვნილიყო და მას უბრძანეს გასწორება და „ვერ ურჩევემენ“-ო. იგი განაგრძობს: „და ეს წმინდა სახარება დიდის ქირითა ბერძენთა დაბეჭდილ სახარებათა შემოწმებითა სიტყვა და ასო მეტნაკლები გავმართეთ“. მიუხედავად ამისა. ტექსტის შესწავლას ცხადუყვია, რომ ახალი აღთქმის ორსავე ნაწილში საკმაოდ იპოვება გადახვევები ძველ ხელნაწერებში წარმოდგენილი ნორმებისაგან, ზოგ ბეჭდურ უზუსტობასთან ერთად. უნგრო-ვლახელი მიხაილ მესტამბე ბოდიშს იხდის მკითხველთა წინაშე „უკეთუ ცდომილი რამეი ჩხილოთ, სიტყვა ანუ ასო, ნუ გამჭირდავთ, რამეთუ უცხო ვიყავ და უსმენელი სიტყვათა თქვენთა... ვითარცა მე ვიყავ ქართლისა უნახავი, ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი — სტამბისა“.

ჩანს, დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებია მიხაილი მისთვის დაკისრებულ საპატიო საქმეს. ცდილა ტექსტი უნაკლოდ დაებეჭდა, ძველი ხელნაწერების ენის ნორმების დაცვით, მაგრამ ამ მიზნის მთლიანად მიღწევა ვერ მოახერხა. ახალი აღთქმის ორსავე ნაწილში საკმაოდ გვხვდება გადახვევები ძველ ხელნაწერებში წარმოდგენილი ნორმებიდან. ავტორი ჩერდება ნაბეჭდი წიგნის ორთოგრაფიულ უზუსტობებზე, ასო ჯ და მ-ს სპორადულად გამოყენებაზე და დაასკვნის, რომ „ახალი აღთქმის ძველი ტექსტი საკმაოდ გაახლებულია პირველ გამო-

ცემაში, მაგრამ საერთოდ მაინც კარგად იგრძნობა ძველი ქართული ენის ძირითადი ნორმები“.

მოსალოდნელი იყო, რომ შემდგომ გამოცემებში თანდათან შესწორდებოდა რამდენადმე წამხდარი საქმე, მაგრამ გამოსწორების ნაცვლად საქმე თანდათან გაუარესდა. ცვლილებანი, რომელიც ძველი ქართული ენის ძეგლებმა განიცადეს 1709 წლიდან, ორგვარი ხასიათისაა: ორთოგრაფიული და ენობრივი, ანუ გრამატიკული და ლექსიკური, ორგვარი ცვლილება უმთავრესად ანტონ I-ის სახელთანაა დაკავშირებული“ (იხ. დსახ. ნაშრომი, გვ. 5—6).

ა. შანიძე ჩერდება ანტონ I-ის (1726—1788) როლზე, მის მრავალმხრივ მოღვაწეობაზე და იგი ყურადღებას ამახვილებს ანტონ I-ის გავლენაზე სალიტერატურო ქართულზე, მის გრამატიკულ შეხედულებაზე და არკვევს, თუ რა შემოიტანა მან ენაში და რა სახე მიეცა მისივე განკარგულებით ან მისი სკოლიდან გამოსულ მოწაფეთა მიერ დაბეჭდილ ძველი ქართული ენის ძეგლებს. ა. შანიძე გვაუწყებს:

ანტონ I-ის გრამატიკულ შეხედულებათა მიხედვით წიგნების სწორების ამბავს პირველად ვხვდებით 1764 წელს თბილისს დაბეჭდილი კურთხევის ანდერძში, სადაც მიხაილ ილუმენი შემდეგს მოგვითხრობს: „ოდეს მეფობდა საქართველოსა შინა კურთხევით მოკსენებული მეფე ვახტანგ, დროსა მას გამართულ იყო წიგნი ესე, რომელ არს კურთხევანი, ყოვლად სამღუდელოსა სამთავნელ ეპისკოპოსისა კვიპრია-ნესაგან ბერძულსა კურთხევანსა ზედა, ვითა დედანი კურთხევისა ამას მოუთხრობდა და დაბეჭდილ იყოცა. და აწ, დროსა ამას, ბრძანებითა მისისა მის კეთილ მსახურებისა მეფისა ჩუშნისა ირაკლისათა განახლდა რა და წარმოდგა ბეჭედი სტამბისა ამის და დაიბეჭდა პირველად ფსალმუნი, მეორედ კონდაკი, მესამედ კვალად ფსალმუნი და ეგრეთვე მცირედნი წიგნნი რომელნიმე სახმრად ეკკლესიისა ჩვენ ქართულთასა, შემდგომად გუშბრძანა ბეჭდუაჲ კურთხევანისა და, ვიწყევით რა ვითა დედანსა ეწერა და ორი და სამი ფურცელი დაიბეჭდა, იხილა უწმიდესობამან სანატრელისა მამათ მთავრისა ჩუშნისა ანტონისათა, რომელ გარეგან ღრამმატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩუშნი და დედანიცა, რომელსა ზედა ვჰსწერდით, და მოახსენა ძმასა თვისსა და მეფისა ირაკლის¹⁸. და ამისთვის ებრძანა მისისა გეფობისა უმაღლესობისაგან და მისის უწმიდესობისაგან მათის უწმი-

¹⁸ ირაკლი მეფე ანტონისთვის იყო არა მკვიდრი ძმა, არამედ დედისძმისშვილი. ხოლო ანტონი ირაკლი მეფისთვის — მამიდაშვილი. ანტონი ირაკლი მეფეს ყოველთვის ძმას უწოდებდა შეიძლება რუსულის გავლენით, სადაც ძმასაც ნიშნავს (родной брат) და ბრძაშვილ-მამიდაშვილ-დედისძმისშვილ-დედაშვილსაც (двоюродный брат).

დესობის გლახაკს ბერს ილუმენს მხატურის ძეს მიხაილს და გა ი მ ა რ-
თა მისაგან კანონსა ზედა ღრამმატიკისასა და და-
ბეჭდილ იქმნა, რაოდენ ახალ მესტამბეთაგან შეიძლებოდა. და ეგრეთვე
პრობისა მმართეშლიცა იგივე იყო“.

შემდეგ ანტონის ორთოგრაფია გატარებულია პარაკლიტონში, რომელიც დაიბეჭდა ტფილისის 1772 წ.

თბილისის სტამბის გადაკეთებისა და გაფართოების შემდეგ (1781—82 წწ.) ჩვეულებრივია დაბეჭდილი საეკლესიო წიგნების ანდერძებში იმის აღნიშვნა, რომ წიგნი გამართულია „ღრამმატიკისა კანონსა ზედა“, რაც ანტონ I-ის ღრამმატიკით შემოღებული წესების გატარებას გულისხმობდა.

თბილისში წიგნის ბეჭდვა შეწყდა 1801—14 წლებში. სამაგიეროდ წიგნები იბეჭდებოდა ქუთაისში 1800—10 წლებში (იმერეთი ჯერ კიდევ არ იყო შეერთებული რუსეთთან). ქუთაისის გამოცემებში აღნიშნულია წიგნის გამართვა „ღრამმატიკისა კანონსა ზედა“.

ანტონის მოწაფეთაგან, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობდნენ თავისი მასწავლებლის წესების გატარებას ცხოვრებაში, მიხაილ ილუმენს გარდა¹⁹ ცნობილი არიან: იოანე ოსესძე, ტრიფილე არქიმანდრიტი, ზაქარია არქიმანდრიტი და ვარლამ არქიეპისკოპოსი, შემდეგში პირველი ექზარქოსი საქართველოსი²⁰.

იოანე ოსეს ძეს გაუმართავს: კონდაკი (1783), ლოცვანი (1784), სახარება (1786), ზატყი (1888), სამოციქულო (1791). ეს იოანე უმცროსი ძმა იყო იესე ოსეს ძისა, რომელმაც მეტად საყურადღებო ავტობიოგრაფიული ცნობები დაგვიტოვა, საიდანაც ვტყობილობთ. რომ მისი ძმა იოანე დაბადებულა 1750 წელს. აქ იკითხება: „ქრონიკონს სულ (438) იოანე ჩემი ძმა დაიბადა. მაშინ ვიყავ მე წლისა ოცდარონისა და მესამესა ვმეწლეობდი“²¹. როცა იოანეს კონდაკი გაუმართავს და დაუბეჭდავს (1783), ის იქნებოდა 33 წლისა. 1786 წელს იგი ხუცესია, 1791 წ. კი სიონის იკონომოს-დეკანოსი.

¹⁹ ეს მიხაილ ილუმენი. ალბათ, იგივე პირია, რაც პ. იოსელიანის მიხაილ თბილელი (ანტონის „წყობილ-სიტყ.“, გვ. XV).

²⁰ აქ ჩამოთვლილთ გარდა, პ. იოსელიანი ანტონის მოწაფეებად თვლის კიდევ გაიოზს, რომელიც პირველი რექტორი იყო თელავის სემინარიისა, და დავით ალექსიშვილს. იმავე სემინარიის რექტორს გაიოზს შემდეგ („წყობილ-სიტყუაობის“ წინასიტყვაობა, გვ. XV) კარბელაშვილ სხეებსაც ასახელებს („მკითხველთა მმართ-ში ანტონის „მზა-მეტყულების“ შენიშვნებით).

²¹ იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავალით. ლექსიკონითა და საძიებლოთ ავთანდილ იოსელიანმა. თბილისი. 1950 წ. (—მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 23), გვ. 14.

ტრიფილე არქიმანდრიტი²² თავის სახელს წერს (ტრიფილე). მას გაუმართავს: მარხვანი (1793), მცირე ლოცვანი (1793) ჟამნი (1791), სამ-სავალობელი (1793), კურთხევანი (1794).

ზაქარია არქიმანდრიტს გაუმართავს: კურთხევანი (ქუთაისი, 1803). ნების კვირიაკის სახარება (ქუთაისი, 1803), სახარება (საჩხერე, 1817).

ქუთაისში 1800 წ. დაიბეჭდა დავითნი, სადაც აღნიშნულია, რომ იგი „ლრამბიტიკისა კანონსა ზედა შესწორებულ იქმნა ტფილისის დაბეჭდილს დავითნზედ. როგორც ის იყო, ისე დავბეჭდეთ“-ო, მაგრამ არ ჩანს, ვინ იყო შემსწორებელი.

ვარლამ არქიეპისკოპოსს, ქსნის ერისთავის დავითის ძეს, დაუბეჭდავს (მოსკოვს, 1805 წ.) სადღესასწაულო, დიდი ტანის 802 გვერდიანი წიგნი. მესტამბე ყოფილა გიორგი პაიჭაძე, რომელსაც დიდი დრო — 4 წელი მოუნდომებია ამ წიგნის ბეჭდვისათვის. მოკლე წინასიტყვაობაში ვარლამ არქიეპისკოპოსი დიდი კრძაღვით იგონებს ანტონ I-ს და ამბობს, რომ წიგნი ისე დავბეჭდე, როგორც თვით ანტონმა გამართაო: „უინამთგან უწმიდესმან ზათოლიკოსმან საქართველოსამ ანტონი, მეფის უესეს ძემან, მრაველითა ღეწითა და გულს-მოდგინებითა ისწრაფა განჰმევენება უნათა საქართველომსათა და მრავალნი წიგნნი ფრიად სახმარ-სასარგებლონი თვით-ჰქმნნა და მრავალნივე წიგნნი საძილოსოქოსონი, საღუთის-მეტყუჴლონი და საეკლესიონი სხუათაგან ენათა ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებულ-ჰყო ფრიადითა კეთილ-შეწყობილებითა და ვინამთგან ესეცა წიგნი სადღესასწაულო მისითა შრომითა იყო განმართულ და შეწყობილ ქართულსა ენასა ზედა, ამისთვის მეცა ვერღარა ვიქმენ შეხებად და შეცვალებად რასმე. და ვითარცა მის მიერ იყუნეს განმართულ, ყოვლითურთ ესრეთ უცვალბელად დაბეჭდულ-იქმნა, სადიდებელად წმიდისა სამებისა და სასარგებლოდ სულისა, ყოველთა ძეთა წმიდისა ეკლესიისა საქართუჴლომსათა სინოდის ჩლენი „**საქაზაზა სჩქჴჴს-სსკჴსჴს**“.

ანტონ I-ის მიერ განხორციელებული გრამატიკული ცვლილებანი თავს იჩენენ ასევე ფონეტიკის სფეროშიაც. ანტონი არ ცნობს საჭიროდ დაიცვას ზოგიერთი ფონეტიკური წესი, რომელიც საუკუნეობრივი ლიტერატურული ტრადიციით იყო დამკვიდრებული.

²² ტრიფილეს სხელი ერისკაცობაში ტიმონ დიკონი ყოფილა და ანტონს ჰხლებია რუსეთში. „ამას ეწოდა მერეთ ბერობაში ტრიფილე“ (პ. იოსელიანი. წინასიტყვაობა ანტონის „წყობილ-სიტყუაობისა“, გვ. XII).

ანტონისა და მისი მოწაფეების ჩარევის შედეგად შეიცვალა და შეირყვნა ძველი ძეგლების ორთოგრაფია. ამიტომ მეცნიერული მიზნებისათვის ამ ნაბეჭდი წიგნების გამოყენება უნდა მოხდეს კრიტიკულად.

„ვინც ძველი ქართული იცის, — წერს ა. შანიძე, — ადვილად მიხვდება, რომ ანტონს საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა იმ ენაზე, რომელზედაც იგი წერდა. ამის შედეგი იყო, რომ ძველი ენის ძეგლები შეირყვნა, ქართული სალიტერატურო ენის განვითარება შეფერხდა... ანტონის გავლენა ქართულ სალიტერატურო ენაზე უარყოფითია. ანტონისეული წესების მიხედვით გამართული ახალი აღთქმის წიგნების განხილვამ დაგვანახა, თუ რა სახე მიეცა ძველი ქართული ძეგლების ენასა და მის ნორმებს, რომლებიც საუკუნეებით იყო განმტკიცებული. ანტონის გავლენა გასცდა სასულიერო წიგნთა ფარგლებს და საერო მწერლობაშიაც გავიდა; ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე ი. ჭავჭავაძე ჩაეროდა სალიტერატურო ენის ორთოგრაფიის მოწესრიგების საქმეში“²³. ავტორს ამგვარ სუბეკრიტიკულ დამოკიდებულებასთან ერთად არ რჩება შეუმჩნეველი ანტონ I-ის ენობრივი პოლიტიკის ზოგიერთი დადებითი მოვლენა. მაგ., დადებითად მიიჩნევს სასვენი ნიშნების, კერძოდ, მძიმის, კითხვითი ნიშნის შემოღებას, რომელსაც ძახილის ნიშნის მნიშვნელობაც მისცა. ასევე უდავოდ მოსაწონია, — წერს ა. შანიძე — კომპოზიტების ნაწილების მაერთებელი ნიშნების შემოღება, ე. წ. გარემორთხმელისა, რომელიც ქართულ ნაბეჭდ წიგნებში არ იხმარებოდა; დადებითად მიიჩნევს აკ. შანიძე ასევე უმარცვლო უნის გარჩევას მარცვლოვანისაგან სიბრჯულის ნიშნის საშუალებით, რომელიც ანტონმა შემოიღო²⁴. ყოველივე აქ აღნიშნულს უალრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართული სტამბის და წიგნის ბეჭდვის ისტორიის მეცნიერულად შესწავლაში.

2. ძველი ქართული წიგნის იდეოლოგიური მრავალსი და სასიამო

წიგნი, არსებითად, იმთავითვე საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობის იდეურ სფეროს განეკუთვნებოდა და გარკვეულ როლს ასრულებდა კაცობრიობის პროგრესის გზაზე. იგი ისტორიულად მეურნეობისა და იდეოლოგიის შესაბამისობის მიჯნაზე იდგა. ამდენად წიგნის გამოსვლამ ხელოსნური ფარგლებიდან და წიგნის წარმოების მექანიზაციამ უმაგალითოდ გააცხოველა მეცნიერული აზროვნება, რო-

²³ ა. შანიძე, ანტონ I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, დბ., 1964 გვ. 75—79.

²⁴ იქვე, გვ. 75.

მელიც თავის ორბიტაში ითრევედა საზოგადოების ფართო ფენებს. წიგნის ამგვარი ძალა და მისი კულტის ზემოქმედება ხალხის ცნობიერებაზე შეინიშნებოდა და ღრმავდებოდა მაშინაც, როცა იდეოლოგიური მხარე წიგნისა ჯერ კიდევ ძველი იყო და ქრისტიანულ-საეკლესიო ხასიათს ატარებდა.

წიგნის სტამბურად ბეჭდვის განვითარებამ ყველგან და მათ შორის საქართველოშიაც შეარყია ფეოდალურ-პარტიკულარული შეზღუდულობა, მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის კულტურული ერთიანობის შეგნების ზრდას.

ფეოდალიზმის ეპოქაში ქართული მწიგნობრობა სასულიერო და საერო მწერლობა და წიგნის ბეჭდვა არსებითად იდეოლოგიური ბრძოლის ნიშნით ვითარდებოდა. ქრისტიანულ-კანონიკური თარგმანებითი მწერლობის აღორძინებასთან ერთად საქართველოში აღრდიანვე წინაურდება ეროვნულ, ქართველ ან არაქართველ (აბო და სხვ.) წმინდანთა ცხოვრების აღწერის ტრადიცია. შუა საუკუნეები, რომლებიც უმეტესწილად ქრისტიანული იდეოლოგიის ნიშნით ვითარდებოდა, მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა სფეროში შეუწინაღებელი ნაბიჯით ვითარდებოდა. ანტიკურობასთან შედარებით ქრისტიანულმა კულტურამ, როგორც ცნობილია, იმთავითვე ადამიანის პიროვნული სრულყოფის პრობლემები წამოსწია წინ და ზნეობრიობის ახალი კატეგორიები აღმოაჩინა. შუა საუკუნეების მწერლობის ეს ნიშანთვისება სხვადასხვა გზით უნავედა ქართული კულტურის სხვადასხვა სფეროში.

ქრისტიანობისა და სამშობლოსათვის თავდადებულ მოღვაწე გმირთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა, როგორც იყენენ წმინდა შუშანიკი, აბო თბილელი, ბასილ ზარზმელი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები — წმინდანად აღიარებული მეფეები — დავით აღმაშენებელი, თამარი, დემეტრე თავდადებულო, ლუარსაბ და ქეთევან წამებულნი და სხვები, ქართული საეკლესიო და საერო მწერლობის საპატიო საქმედ იქცა. ღვთიურ საქმედ ცხადდებოდა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა დიადი საბრძოლო საქმენი, რომელთაც დიდი აღმზრდელობითი და შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდათ. ქრისტიანობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობის მტკიცედ შენარჩუნებისათვის ბრძოლა რელიგიური რწმენის ფორმით ხორციელდებოდა. შუა საუკუნეების ისტორია არ იცნობდა იდეოლოგიის სხვა ოფიციალურ ფორმას, გარდა რელიგიისა და თეოლოგიისა: ამიტომ „შუა საუკუნეებმა თეოლოგიას შეუერთა და დაუმორჩილა იდეოლოგიის ყველა დანარჩენი ფორმა: ფილოსოფია, პოლიტიკა, იურის-

პრუდენცია. ამით მან ყოველი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა აიძულა თეოლოგიური ფორმა მიეღო²⁵.

ასეთ პირობებში ჭეშმარიტი „მოძღვარი — მასწავლებელი“ ისევე ითვლებოდა საზოგადო მოღვაწედ, როგორც მასწავლებელი²⁶.

გვიანფეოდალურ საქართველოში გარკვეული ისტორიული პირობების გამო აღორძინდა რენესანსულ-პროგრესული იდეური მიმდინარეობანი. თავის საწყისებს ეს ახალი მიმდინარეობა ქართულ სინამდვილეში ჯერ კიდევ რუსთაველის ეპოქაში იჩენს თავს და ცნობილია, როგორც დასაწყისი ადრეული რენესანსისა²⁷.

ძველი საქართველოდან ჩვენამდე მოღწეული წიგნების დიდი უმრავლესობა. როგორც ხელნაწერი, ასევე სტამბური, რელიგიური, ანუ საკულტო-სასულიერო შინაარსის წიგნებია. ამასთან, ადრინდინე აღმოცენდა. განვითარდა და შემოგვრჩა ქართული საერთო ლიტერატურის შესანიშნავი მემკვიდრეობა, ფეოდალური საქართველოს სამეფოსა და მეფეთა მრავალსაუკუნოვანი ისტორია „ქართლის ცხოვრების“, მრავალრიცხოვანი სიგელ-გუჯრების, იურიდიული ხასიათის სახელმწიფო სამართლის ძეგლებისა და სხვათა სახით, რომელნიც ქართველი ერის სულიერი და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების კულტურის უდიდეს განძად და თვალმარგალიტადაა აღიარებული.

მონღოლ-თათართა და ირან-ოსმალეთის შემოსევებმა ქვეყანა იდეურადაც დააქვეითა: მხოლოდ XVII საუკუნიდან თეიმურაზ პირველის. არჩილ მეორისა და სხვათა ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ახლებურად აღერდა აღორძინების ხანის პროგრესული იდეები, რომლებმაც განსაზღვრეს ქართული მწერლობის აღმავლობა და წინსვლა.

არჩილ მეფემ თავის ნაწარმოებში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ ნათლად წარმოაჩინა იმ დროს რუსთაველსა და მის ვეფხისტყაოსანზე არსებულ საზოგადოებრივ აზრთა წინააღმდეგობრიობა. დავა და ცილობა. არჩილი კარგად ხედავდა რუსთაველის მოყვარულ ფართო საზოგადოებრივ ძალებს.

არჩილი რუსთაველს ათქმევინებს:

„მეფე მოწყალე, თქვენს წიგნში, მგონ, ჩემი ქება სწერია,
ხელმწიფეე სიბრძნით საესეო, მეც რომ ვსთქვა მოსაფერია,

25 კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, 11, თბ., 1938, გვ. 478.

26 კ. მარქსი, ფ. ენგელსი სახალხო განათლების შესახებ, თბ., 1942, გვ. 101.

27 ნ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. 1, გვ. 235.

თქვენ ბატონობა შეგშენის, მე ყმა ვარ შესაფერო.
არ დაიძაღლებ ამ სიტყვას, მაშ ძალი გამოერია.

საქართველო საესე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაქქეს,
ვის ლხინი აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწუნს,
მხიარულად წაიკითხვენ, მასზედ თეაღნი არვის უწუნს,
ნუ გასწყრები, ხელმწიფეო, მოგახსენებ კიდე პასუხს.

მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე შენობს,
ამას უედან რასთვის სწუხხარ, პირად მზეო, იკრავ შენობს,
ლექსი ჩემი საამოა, გან საწყინოდ მონაშენობს?
ნუ ეპვ, მჭობდე, სიხარულითა ცუდად იკრავ დაბად შენ ნობს-28.

XVIII საუკუნეში რუსთაველის გარშემო ადრე დაწყებული იდეური დავა კვლავ გრძელდებოდა, რაც კარგად ჩანს ვახტანგ VI რედაქციითა და საფასით 1712 წელს თბილისში ბეჭდური ვეფხისტყაოსნის პირველ გამოცემაში. ვახტანგ VI ცდილობს თავის „თარგმანში“ (კომენტარში) უკუავდოს და გააბათილოს ის შეზღუდულება. თითქოს ვეფხისტყაოსანი უზნეობას ქადაგებდა. ვახტანგ VI ასაბუთებს, რომ ვეფხისტყაოსანი აღმზრდელითი მალა-ეთიკური იდეების მხატვრული ნაწარმოებია.

ვახტანგ VI-ს ამგვარ კეთილშობილურ მზრუნველობას ვერ აულავმავს მოწინააღმდეგეები, რომლებსაც იერიშიც კი მიუტანიათ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ ბეჭდურ გამოცემაზე და მთელი გამოცემის მოსპობაც უცლიათ. ალბათ, ამის შედეგია, რომ დღემდე 1712 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის ტირაჟიდან ჩვენამდე მხოლოდ 20 დაზიანებულმა ცალმა მოაღწია.

აშკარად შეინიშნება, რომ საშაირო, სააშოკო და საგმირო-სათავგადასავლო საამოდ საკითხავი წიგნებისაყენ უწევდა გული ფართო საზოგადოებრიობას, ასევე დიდი მოთხოვნა ყოფილა აღმზრდელით-სასწავლო სახელმძღვანელოებსა და სამედიცინო წიგნ-კარაბადინებზე.

ამგვარი შინაარსის საერო წიგნები რაკი ყოველდღიურ ხმარებაშია და „ხელიხელ საგომანები“, ბუნებრივია ისინი ბევრად ადრე ცვდებოდნენ და იხეოდნენ, ვიდრე საეკლესიო. საერო ნაბეჭდ წიგნთა მცირე ეგზემპლარები, რომლებიც დაღუპვას გადაურჩნენ, ოდნეადაც ვერ ასახავს მათი გავრცელების მასშტაბებს.

28 ქართული მწერლობა, ტ. 6, 1988, გვ. 348.

ვახტანგ VI-ის სამეფო ხელისუფლება სტამბის გამართვითა და სასელეეროსთან ერთად სახალხო წიგნების ბეჭდვით ცდილობდა სამეფო ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცებას.

1711 წ. დაბეჭდილი „დავითნი“ „საერო“ სოფლურად. ანუ მხედრულადაა დაბეჭდილი, ერთი წლის შემდეგ. 1712 წ., ვახტანგ VI რედაქცია და წინასიტყვაობით გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“.

მხედრულად წიგნების ბეჭდვა, რომელიც ვახტანგ VI სტამბაში დამკვიდრდა ნუსხურთან ერთად, დიდი მნიშვნელობის პროგრესული მოვლენა XVIII ს. ქართული სინამდვილისათვის; სამწუხაროდ ეს პროგრესული ტრადიცია ვერ განვითარდა ერეკლე და ანტონ I სტამბაში (აქ მხოლოდ 80-იან წლებში შეძლეს დაბეჭდვით რამოდენიმე წიგნი მხედრულად, რომლებიც ბევრად ჩამორჩება ვახტანგ VI გამოცემებს). ერეკლე მეორისა და ანტონ I სტამბაში გამოქვეყნებული წიგნების უმრავლესობა რელიგიურ-კლერიკალურია, ასეთივეა იმერეთის სამეფოსა და სათავადოში მოქმედი სტამბების თითქმის მთელი პროდუქცია. გარდა იმისა, რომ ისინი თითქმის მთლიანად ნუსხახუცურითაა დაბეჭდილი, არცერთი საერო (არაეკლესიური) წიგნი ამ სტამბებში არ დაბეჭდილა. მიუხედავად ამისა სტამბურად წიგნების გამოცემა ხალხში განათლების გავრცელებასა და ქვეყნის კულტურულად აღორძინებას ემსახურებოდა. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის. როგორც ერეკლე მეორისა და ანტონ I-ს, ისე, განსაკუთრებით, იმერეთის სტამბაში ნაბეჭდი წიგნები კლერიკალურ-რელიგიური ხასიათისაა და ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილ წიგნებზე დაბლა დგას როგორც იდეურად, ისე შრიფტით, მხატვრულ-გრაფიკურული შემკობითა და მთლიანად წიგნთა გაფორმებით.

ვახტანგ VI სტამბიდან გამოსული ნაბეჭდი საერო და საეკლესიო წიგნები რამდენადმე ასახავენ და გამოხატავენ იმდროინდელ ქართულ საზოგადოებრივ აზრს, ქართული მწერლობისა და მეცნიერების ინტერესებს. სამწუხაროდ ეს ნაკლებად ითქმის XVIII ს. მეორე ნახევარში თბილისში დაბეჭდილი წიგნების მიმართ. ამ პერიოდში გამოცემულ წიგნთა ძირითადი ნაწილი რელიგიურ-საეკლესიო შინაარსისაა. უმნიშვნელო რაოდენობით დაბეჭდილი საერო ხასიათის თითო-ოროლა წიგნი ოდნავადაც ვერ ასახავს XVIII ს. როგორც ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და მწერლობის, ისე იმდროინდელი ბევრად და-

წინაურებული მეცნიერებს მიღწევებს. ამ მხრივ ჩვენ საქმე გვაქვს შეუსაბამობასთან. XIX ს-ში ვითარება საფუძვლიანად შეიცვალა.

3. ცენზურა და მისი ზოგიერთი თავისებურება “ფეოდალურ საქართველოში”

ფეოდალურ საქართველოში, როგორც წესი, წიგნი იბეჭდებოდა „ბრძანებითა მეფისა და კურთხევითა პატრიარქითა“. ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი 20 წიგნიდან პატრიარქი დომენტი იხსენიება მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში. 1719—1720 წელს დაბეჭდილ „კურთხევა ეკლესიისა“-ში. ამის მიზეზი დღემდე აუხსნელია.

მაგ., ვახტანგ VI სტამბაში 1712 წ. დაბეჭდილი თავფურცელი გვაუწყებს: „ვეფხისტყაოსანი აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა. ჟამსა ამალღებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისა შრომითა წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა“...

სავსებით განსხვავებული მდგომარეობაა XVIII ს. 50-იანი წლებიდან. ერეკლე მეორის მეფობისა და ანტონ I კათალიკოსობის პერიოდში. მაგალითად. 1764 წელს დაბეჭდილ „კურთხევანში“ ვკითხულობთ: „დროსა უბრწყინვალესისა კეთილ მსახურსა, მპყრობელისა ირაკლ მეფისა. ყოვლისა საქართველოსა... კურთხევით უნეტარესისა და უწმინდესისა ანტონ პატრიარქისა საქართველოსა... დაიბეჭდა წიგნი ესე „კურთხევანი“ სამეფოსა ქალაქსა ტფილისს ეზოსა სამეფოსა“. მათი ერთად მოღვაწეობის პერიოდში არ გამოსულა არცერთი წიგნი, რომ ეს მტკიცედ მიღებული წესი შეცვლილიყო.

XIX ს. დასაწყისში, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, მართალია მეფის რუსეთში საგანგებო საცენზურო კანონმდებლობა არ არსებობდა, მაგრამ თავისუფალი აზრი მკაცრად იღვევებოდა. მაგ., ეკატერინე მეორის ბრძანებით ნოვიკოვი „მავნე“ აზრების გავრცელებისათვის დააპატიმრეს, ხოლო მისი წიგნები დაწვეს.

აღექსანდრე I-ის დროს, 1804 წ.. საცენზურო წესდება რუსეთში პირველად გამოიცა²⁹. 1824 წლიდან. გრაფ არაჩევევის განკარგულებათა ძალაში შესვლით, მკვიდრდება უაღრესად მკაცრი საცენზურო წესები. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის ქვეშევრდომობაში მოექცა, ქართული ბეჭდური წიგნის ბედი ცარიზმის ცენზურის შემავი-

²⁹ Сборник постановлений и распоряжений по цензуре. СПб., 1862, с. 81.

წროვებულ პირობებს დაუქვემდებარდა, რუსული საცენზურო კანონები ხელაღებით გავრცელდა საქართველოში³⁰.

საქართველოში ძველი ხელნაწერი წიგნების მიმართ საცენზურო შეზღუდვის ჩანასახები ჯერ კიდევ სტამბის დაარსებამდე შეინიშნებოდა. ვეფხისტყაოსნის მიმართ რეაქციული სამღვდლოების პერიოდული გალაშქრებანი ხომ აღნიშნულის დამადასტურებელია. რელიგიურმა ცენზურამ დიდი ზიანი მიაყენა პროგრესულ აზრს და დააქვეითა ქართული წიგნის განვითარება, ხელი შეუშალა პროგრესულ რღევების გავრცელებას³¹.

გვიანფეოდალურ საქართველოში ქართული წიგნის ბეჭდვის შემოღებასა და განვითარებას სამეფო ხელისუფლება უდგა სათავეში. ჩვენ ვიცით, რომ ვახტანგ VI სტამბა თავისი საქმიანობით ზედმიწევნით პროგრესულ და დემოკრატიულ საქმეს ემსახურებოდა. მხედრული საერო შრიფტით წიგნების ბეჭდვა პირველად აქ იქნა შემოღებული, ვახტანგ VI სტამბაში სასულიერო წიგნებთან ერთად ასევე დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საერო სასწავლო წიგნების. ქართული ლიტერატურული ძეგლებისა და სამეცნიერო წიგნების ბეჭდვას. მიუხედავად ამისა, ეკვი არაა, რომ ამგვარ სტამბაში სამეფო ხელისუფლების ცენზურა ფხიზლად მოქმედებდა.

ვახტანგის სტამბის ცენზურა, გარდა იმისა, რომ ბოკავდა საეკლესიო უწყების მონოპოლიურ ტრადიციულ უფლებებს წიგნის ბეჭდვაში, ამასთან ფხიზლად ადევნებდა თვალყურს წიგნებზე თანდართული ანდერძების მინაწერებისა და ყოველგვარი საგამომცემლო შენიშვნების შინაარსს. ჭროცა ჩვენ ვუკვირდებით ამ უკანასკნელთა შინაარსს, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ვახტანგ VI-მ ეკლესია არსებითად ჩამოაშორა სტამბას ორგანიზაციულადაც (ერთადერთი სტამბური წიგნია, სადაც დომენტი III კათალიკოზი იხსენიება) და მთლიანად სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარა, რითაც გზა გაუხსნა საერო

³⁰ რუსეთში ქართული წიგნები 1737 წლიდან 1745 წლამდე იბეჭდებოდა „ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა და... კურთხევითა სინოდისათა“. 1762—1768 წლებში ამილახვარ ათანასე თბილელს მიერ მოსკოვში დაბეჭდილი ქართული წიგნები იბეჭდება რუსეთის იმპერატორისა და უწმიდესი სინოდის ბრძანებით. ათანასე ერთხელაც კი არ იხსენიებს ქართველ მეფეს და ქართული ეკლესიის მესაკეს.

³¹ ვახტანგ VI ვეფხისტყაოსნისადმი თან დართულ „თარგმანებაში“ განმარტავდა: „მე ვსწერ... გამგებელი ქართლისა ვახტანგ წიგნსა ამას ამისთვის: უკოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსკვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა... მიუხედავად ამგვარი განმარტებისა, რომელიც შეფუების — თეიმურაზ პირველისა და არჩილ მეორიდან მიმდინარეობდნენ, ვახტანგ VI მიერ 1712 წელს დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი დევნას მაინც განიცდიდა.

მწერლობას, ეკლესია ამ ეტაპზე თუ იძულებულია დაემორჩილოს ვახტანგ VI, შურისძიება მოგვიანებით ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანს ატყდება თავს (ტიმოთე გაბაშვილი და სხვ. სწავავენ და ანადგურებენ დაბეჭდილ წიგნებს)³². ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების ანდერძებიდან აშკარად ჩანს, რომ სამეფო ცენზურა თბილისში სტამბის დაარსებას მხოლოდ ვახტანგ VI სახელს უკავშირებს.

მეფე ერეკლესა და ანტონ პირველის თაოსნობით 1749 წელს თბილისში აღდგენილმა სტამბამ 1795 წლამდე იმუშავა. 1783 წლამდე სტამბა იმყოფებოდა სამეფო ხელისუფლების გამგებლობაში და მისავე ხარჯებზე. მაგ., სტამბის რეკონსტრუქცია სამეფო ხაზინას 20.000 მანეთამდე დაუჯდა.

XVIII ს. 70-იანი წლებიდან საცენზურო შეზღუდვების არა ერთ მაგალითს ვხვდებით როგორც მეფე ერეკლესა და ანტონ პირველის სტამბაში, ასევე ზოგიერთი ხელნაწერი წიგნის მიმართაც. მეფე ერეკლე, ირკვევა, თავის საცენზურო მონოპოლიურ უფლებებს სამეფოში შემოტანილ წიგნებზეც აერყელებდა. ჩვენ აქ ერთ მაგალითზე შევიჩერდებით. 1780 წ. დამდეგს თბილისში მოიტანეს ალექსანდრე ამილახვრის მიერ 1779 წ. პეტერბურგში რუსულად დაბეჭდილი პირადად მეფე ერეკლე მეორის წინააღმდეგ მიმართული წიგნი³³. ეს წიგნი ერეკლემ გადაათარგმნინა ქართულ ენაზედ ყიზლარელ პეტრე კოტიევის ვიდრე ეს მოხდებოდა, ერეკლემ წინასწარ გაათრთხილა და უბრძანა პეტრეს — „არავის აჩვენო და არ წააკითხო ეს წიგნიო“³⁴.

მეფის ეს ბრძანება დარღვეულა, რადგან „ინება მეფის ძემან (გიორგიმ) თარგმნილისა ქართულად წარკითხვა. თხოვა მთარგმნელს მისსა, წარუკითხოს მას იგი“. როცა მთარგმნელს უთქვამს: მეფეს გადავეცი, არ მაქვსო. მაშინ გიორგის უბრძანებია ხელახლა თარგმნა: მთარგმნელს გადაუთარგმნია „14 ადგილი საგინებელი მეფის ირაკლი-სა და სხვანი ქებითნი სიტყვანი მეფის ძისა გიორგისათვის“. ეს გაუგია ერეკლეს და დაუსჯია მთარგმნელი. „ესრეთი იყო კავშირი შორის მამისა და შვილთა, მტერთა განიხარეს“³⁵ — შენიშნავს ავტორი.

32 კათალიკოსი ტიმოთე ბევრად აკარბებს ანტონ I-ს, როცა წერს: „ეს (მოთა) იყო შთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავლა ქართველთა სიწმინდისა წელ ბოროტი ბილწება და განსრუენა ქრისტიანობა“.

33 ესაა ალექსანდრე დიმიტრის ძეს (იუცხვირო: ალექსანდრეს) „გეორგი:ნი-ლი ისტორია“.

34 ავთ. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980, გვ. 145—146.

35 პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა და განწერილის რედ. გვ. 77.

ერეკლე მეფემ, პლ. იოსელიანის ცნობითვე. „მისწერა იმპერატორიკასა (ეკატერინე მეორეს) ცუდკაცობა დასჯილსა ამილანბარისა. რუსეთმან სურვილისამებრ მეფისა აღკრძალა წიგნი და იგი აცნობა ნეფეს. რათა მით განუსვენოს მას“³⁶.

საქმე ეხება პეტერბურგში რუსულად დაბეჭდილ ალექსანდრე ამილანბარის წიგნს, რომელშიაც, მეფე ერეკლეს აუგად ხსენების გარდა, განვითარებულია ვოლტერიანული იდეები. ალექსანდრე პირადად და რღებურად ბოლომდე შეუთრგებელ მოწინააღმდეგედ დარჩა მეფე ერეკლესი. რომელმაც პაატა ბატონიშვილის 1765 წ. შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებისათვის მკაცრად დასაჯა „ალექსანდრე, — უცხვირო ამილანბარად“ წოდებული.

ამ ფაქტრიდან ჩანს, რომ ერეკლე საცენზურო შეზღუდვებს და ნაკრ კონტროლს აწესებდა არა მხოლოდ თბილისის სტამბაში დასაბეჭდ წიგნებზე. არამედ რუსეთიდან შემოტანილ წიგნებზედაც.

XVIII ს. 80-იანი წლებიდან ტექნიკურად სავსებით განახლებულ სტამბაში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ესოდენ ძვირი დაუჯდა სამეფოს, დიდი ცვლილებები ხდებოდა. თბილისის სტამბა ჩამოშორდა სამეფო უწყებას და 1783 წ. სათანადო აქტის საფუძველზე, მეფე ერეკლეს თანხმობით, სტამბის ბატონ-პატრონი მოიჯარადრე მღვდელი ქრისტესია კეყერაშვილი-ბაღრიძე ხდებოდა.

მართალია, ამიერიდან სტამბაში საქმე კარგად წავიდა, წიგნების ბეჭდვა გახშირდა, მაგრამ ანტონ პირველისა და საეკლესიო უწყების გავლენა საგრძნობლად გაიზარდა. ამ უწყებასთან თავიდანვე დაახლოებული ტახტის მემკვიდრე გიორგი ბატონიშვილი შეეცადა ესარგებლა სტამბის სამეფო უწყებიდან ჩამოშორების შედეგად ცენზურის სიფხიზის მოღუწებით და საგამომცემლო ტრადიციულად დაკანონებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანას. თუ რა არასასურველი შედეგი მოჰყვა ამგვარ ცდას მეფე ერეკლეს ჩარევის შედეგად, ამის შესახებ არ რას გვაუწყებს მემატრიანე:

„1783 წელსა იწყეს საეკლესიო წერილთა ბეჭდვა ქ. თბილისს. წაშინ მოახსენეს მეფესა. რათა რუსთა წესითა შემდგომად სიტყვათა „დროსა კეთილმორწმუნისა მეფისა ირაკლი მეორისა და დედოფლისა დარეჯანისა“ დაემატოს ესეცა — „და მემკვიდრისა მათისა მეფის ძის გიორგისა“. სურვილისამებრ თვით მეფის ძისა და განსასვენებლად მათა, რომელნიცა მარადის განიზრახვიდენ მეფობისა მიტაცებასა. რწყინა ესე მეფემან... კათალიკოსმან ანტონი სტუქსა კეყერაშვილი მღვდელი და აბრამ ურიათყოფილი და... მბეჭდავნი წიგნთა, დაბეჭდილნი რამდენნიმე დაწყებთონის ფურცელნი შოითხოვა და ბრძანა მის-

36 იქვე, გვ. 79.

ცენ ცეცხლსა... ტრიფილე არქიდიაკონსა ებრძანა... საყვედური დიდი... გაბედვისათვის ბეჭდვისა და დასტამბვის რისამე, არ ნებართულისა მეფისაგან და თვით კათალიკოსისა³⁷. ყოველივე ეს იჯარით გაცემულ თბილისის სტამბაზე სამეფო საცენზურო უწყების სიფხიზლის მოდუნების შედეგი უნდა ყოფილიყო. ასევე აქ ნათლად ჩანს სამეფო ტახტისათვის ერეკლეს მემკვიდრეთა შორის იმ უთანხმოების ჩანასახის აღმკვეთი ღონისძიება, რომელმაც ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მძაფრი ხასიათი მიიღო გიორგი XII-სა და ბატონიშვილებს შორის, „რომელნიცა მარადის განიზრახვიდენ მეფობისა მიტაცებასა“.

ეკლესიათმსახურ სტამბის გამგებელთა და მუშაკთა ეს თვითნებური ცდა. რომლებიც დაახლოებულნი იყვნენ გიორგი ბატონიშვილთან, ჩაიფუშა. მეფემ მკაცრად აღკვეთა ამგვარი საიდუმლო ცნობების ბეჭდვა. რადგან იგი ჩრდილს აყენებდა ერეკლე მეორის სამეფო კარს. აქ ნათლად ჩანს სამეფო ხელისუფლების საცენზურო შეზღუდვები ბეჭდვითი სიტყვის მიმართ.

გიორგი XII რომ დიდად წყალობდა სამეფო კარის ხუცესს, მარტყოფელ ქრისტესია კევერაშვილ-ბადრიძეს, რომელიც 1783 წლიდან სტამბის მოიჯარადრე ვახდა, ეს კარგად ჩანს სიგელიდანაც, რომელიც გიორგიმ უწყალობა ქრისტესიას მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ. ერეკლე მეორის სტამბის იჯარით გაცემა და სამეფო ცენტრალიზებული ხელისუფლების უწყებიდან სტამბის ამოვარდნა მეფის ძალაუფლების საწინააღმდეგო აქტია, რომლის შემზადებაში საეკლესიო რეაქციული ძალები, გიორგი ბატონიშვილისა და ანტონ პირველის მხარდაჭერით, გადაამწყვეტ როლს ასრულებდნენ. ჩანს, ეს ფაქტი მისანედრი გამხდარა და კეუის სასწავლებელი დასკვნაც გაუკეთებიათ აქედან პროგრესულად მოაზროვნე ძალებს. ამაზე მეტყველებს იოანე ბატონიშვილის პროექტი „სჯულდებით“, რომელიც განახლებული საქართველოს სამეფო მართვა-გამგეობაში მოითხოვს კერძო მოიჯარადრისა და საეკლესიო უწყების ჩამოცილებას სტამბისგან. პროექტში ვკითხულობთ: „იყოს განათლების მოხელე. ესე იგი სკოლებისა და სხვა სასწავლებლების და სტამბისა უფროსი და ამას ჰყვანდნენ ბელქვეითნი“³⁸.

37 ზღ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. 1936. გვ. 79. 1788 წ. იბეჭდება „დავითნი“. სადაც ერეკლეს შვილები ერთობლივ იხსენება „უბრწყინვალესს, უკეთილმსახურესისა და უმცლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა საქართველოსისა; და კეთილ-მორწმუნის დედოფლისა დარეჯან დედოფლისა ასულისა. კურთხევითა უნეტარესისა უწმინდესა მეფისძის ანტონი პატრიარქისა ყოვლისა საქართველოსისათა — ჩლენისა უწმინდესისა სინოდისათა კეთილმორწმუნეთა მეფისძეთა და ასულთასა“.

38 ი. ბატონიშვილი, სჯულდება, თბ., 1957, გვ. 12.

4. მეფე გიორგი XII მიერ თბილისში განახლებული სტამბა
(1799—1800 წლები)

1795 წლის სექტემბერშივე სპარსეთის მპყრობელი ალა-მაჰმად-ხანი თბილისის აოხრების შემდეგ იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო, გახიზნულები თანდათან საკუთარ კერას დაუბრუნდნენ. დაიწყო გადამწვარი ქალაქის ფერფლიდან აღდგენა.

თბილისში დაბრუნდა მეფე ერეკლე. ავლაბარში შეჩერებულმა ბრძანა — დაეჭირავებინათ მუშები, გაეთხარათ ნასტამბარის მიდამო ადგილი, სადაც თითქოს ჩამარხული იყო სტამბის იარაღებისა და მოწყობილობათა ნაწილი (რაც კი დახიზვნის წინ მოასწრეს). ერეკლე კახეთს წავიდა, ხოლო სტამბის იარაღები, რაც იპოვეს, მეფის ბრძანებითვე მეტეხის ეკლესიაში მოათავსეს. მაშინ ნათელი გახდა, რომ სტამბის მოწყობილობათა გარკვეული ნაწილი მტრის მიერ გატაცებული და განადგურებული იყო (ზოგი განჯაში წაეღოთ, ზოგიც გორსა და თბილისში გახნულიყო). მეფის გადაწყვეტილება, რომ სტამბა კვლავინდებურად აღდგენილიყო, განუხორციელებელი დარჩა. მეფე ერეკლე 1798 წელს ისე გარდაიცვალა, რომ ვერ იხილა აღდგენილი სტამბა.

რთულ ვითარებაში, რომელიც ერეკლე მეორის გარდაცვალების შემდეგ დაჰკვიდრდა, სტამბის აღდგენისათვის იღვწოდა მეფე გიორგი XII. „მეფემან გიორგიმ ბრძანა, — წერს პლატონ იოსელიანი — განახლება მისი: კვალად იწყეს სახლისა სასტამბოისა შენება, დაიბარეს ქალაღი ოსმალოდამ ახალციხისა გზით და სპარსეთისა სამზვრიდამ, შეუდგნენ ასოთა ჩამოსხმას. დაზგებისა კეთებასა და მბეჭდავთა შეკრებასა“, მაგრამო, განაგრძობს ავტორი, „შფოთთა თფილისსა. ქართლსა და კახეთსა შინა აღდგენილთა ძმათაგან მეფისა, დაგვიანებამან ქალაღდისა, მოუტლელობამან თვით მეფისა სნეულებისა გამო... დაბრკოლეს საქმე: სტამბა დაშთა უქმად და მბეჭდავნი უსაქმოდ“³⁹...

გიორგი XII გარდაცვალებამდე, ამგვარი რთული პირობების მიუხედავად, თბილისში სტამბის აღდგენა მაინც განხორციელებულა. ამას ადასტურებს სიგელი, რომელიც მეფეს ქრ. კევერაშვილისათვის 1799 წელს მიუცია. წყალობის სიგელში მეფე წერს: „ჩვენ სტამბა დაგვეკირდა, გიბრძანეთ და ესეც დიდი შრომით გამართეთ და მოგვართვი“⁴⁰.

მეფე გიორგი XII-ს მიერ თბილისში ხელახლა აღდგენილ სტამბაში მუშაობა განახლდა 1800 წელს. პირველი წიგნი, რომელიც აქ დაიბეჭდა, იყო მეფის ძის დავით ბაგრატიონის საქართველოს ისტო-

39 პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936, გვ. 166.

40 ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები, თბ., 1980.

რის „ნარკუშვი“. წიგნის თავფურცელზე აღბეჭდილია: დაიბეჭდა „დროსა უკეთილ-მსახურებისა და უმაღლესისა გიორგი მეთაბაძისა, მეფისა ყოვლისა... კურთხევითა უნეტარებისა და უწმინდისისა ანტონი პატრიარხისა ყოვლისა საქართველომთა“⁴¹. მეორე და უკანასკნელი წიგნი, რომელიც გიორგი XII-ს სტამბაში იმავე 1800 წელს დაიბეჭდა, არის „დაუჯდომელი“⁴². ამ წიგნთა საგამომცემლო მონაცემებისა და ტექსტის ბოლოს მინაწერებისგან ვგებულობთ, რომ განახლებულ თბილისის სტამბაში წიგნის მბეჭდავ-გამომცემელნი, სტამბის მუშაკნი ახალი კონტიგენტია: მაგ., „კარის საყდრის დავით მღვდლის ქე მესტამბე იოანე განმგეობითა და პლაკის მკრელობითა და დახვის მმართველობითა: მეტეხის დეკანოზის ძის იოსებ მღვდელისათა (მიქაქე — ა. ი.). მწერლობითა კარის მღვდლისა ქრისტესიას ძის პანტელეიმონისათა“.

ალექსანდრე I-ის „მანიფესტის“ რუსული ტექსტი ჯერ კიდევ 1800 წელს პეტერბურგის სენატის სტამბაში დაიბეჭდა, ხოლო კნორინგოს „გამოცხადება“ და მანიფესტის ქართული ვარიანტი — თბილისის სტამბაში, თითოეული 4000 ეგზემპლარად: და გავრცელდა ქართლ-კახეთში⁴³.

ამით მთავრდება დამოუკიდებელი ფეოდალური ქართლ-კახეთის სამეფო სტამბის მოღვაწეობა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მხოლოდ 1803 წელს დაინტერესდნენ ცარიზმის ადგილობრივი მოხელენი თბილისის ისტორიული მნიშვნელობის ქართული სტამბის არსებობის საკითხით.

მეფე გიორგი XII-ის ბრძანებით სტამბის აღდგენა ასე მოკლე და უაღრესად გართულებულ დროში შეიძლებოდა მხოლოდ მეფე ერეკლე მეორის სტამბის გადარჩენილ ნაწილთა მაქსიმალურად გამოყენების ბაზაზე. გარკვეული ნაწილი სტამბის იარაღებისა ხომ დაფლეს და გადამალეს წინასწარ (ეს კარგად ჩანს ქრ. კეყერაშვილის სიგელიდანაც). რომ ეს მოსაზრება სწორი უნდა იყოს, ამას ადასტურებს ერეკლეს სტამბაში 1790 წელს დაბეჭდილი „დაუჯდომელის“ და 1800 წელს თბილისშივე დაბეჭდილი დავით ბატონიშვილის „ნარკვევების“ შრიფტთა სრული იგივეობა. ეს ფაქტი, რომელიც პ. კარბელაშვილს შეუნიშნავს პირველად, ვფიქრობ საკმაოდ საფუძველს იძლევა იმისა, რომ თბილისის განახლებულ სტამბაში „ნარკვევების“ დაბეჭდვისას გამოუყენებიათ 1795 წ. გადამწვარი სტამბის გადანახული შრიფტი. ბუნებრივია, შრიფტის გარდა, რამდენადაც ეს უკვე ცნო-

41 ქართული წიგნი, 1941, გვ. 77.

42 იქვე, გვ. 78.

43 პლ. იოსელიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 242.

ბილია. ძველი სტამბის ბევრი სხვა ნაწილიც გამოუყენებია სტამბის აღმდგენელ ქრ. კეყერაშვილს.

ამდენად, სრული საფუძველი არსებობს იმისა, რომ ერეკლე მეორის მიერ 1749 წელს აღდგენილ-დაარსებულმა და 1782 წელს განახლებულ-რეკონსტრუირებულმა სტამბამ იარსება 1801 წლამდე. გიორგი XII მხოლოდ აღადგინა და განაახლა იგი 1799 წ.

1801 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ახლად დაარსებულ თბილისის გუბერნიაში სტამბის მუშაობა შეწყდა და საკმაოდ დიდი ხნით შეჩერდა ქართული წიგნის ბეჭდვაც.

ქართული წიგნების რუსეთში გავრცელების დაწყებისა
და სტამბების გავრცელების ისტორიიდან

XVIII ს. დასაწყისში, 1705 წელს. გარკვეული კონკრეტული ისტორიული პირობების გამო, იმერეთის მეფის არჩილ მეორისა და მისი ძის ალექსანდრეს ენერგიული მოღვაწეობით, რუსეთის იმპერატორის პეტრე პირველის მხარდაჭერით, რუსეთი ქართული წიგნის ბეჭდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა.

მოგვიანებით პეტერბურგში (პირველად აკადემიის სტამბაში), 1736—1737 წლებში, ქრისტეფორე გურამიშვილის მიერ მომზადებული ნახაზებით ჩამოსხმა ქართული შრიფტი და 1737 წელს დაიბეჭდა წიგნაჲი — „ქართულ-რუსული ანბანი“.

მოსკოვში, პერიოდულად, ჯერ 1737—1745 წლებში ბაქარის, 1762—1768 წლებში ათანასე ამილახვრის და ბოლოს მოზდოკში 1796—1803 წლებში გაიოზ რეკტორის თაოსნობით მოქმედებდა ქართული და ქართულ-რუსული სტამბები. სადაც არა ერთი სასულიერო და საერო ქართული წიგნები იბეჭდებოდა. ეს წამოწყებანი, როგორც ჩვენ ამაში ქვემოთ დავრწმუნდებით, რუსეთში ფეხს იკიდებდა და ვითარდებოდა უდიდეს სიძნელეთა გადალახვის გზით, გამოჩენილ ქართველ მწიგნობარ-მოღვაწეთა დაუღალავი შრომითა და ხარჯის გაღებით.

XVIII ს. და XVIII—XIX სს. მიჯნაზე რუსეთში მოქმედი ქართული სტამბების (საბეჭდი დაზგების) გამართვაში რუსი ხალხის შვილნიც მონაწილეობდნენ და ეწეოდნენ მეტად საინტერესო მოღვაწეობას, რაც ხელს უწყობდა ერთმორწმუნე ხალხების დამეგობრებას.

1. მოსკოვში არჩილ მეფისა და ალექსანდრე არჩილის ძის მიერ 1705 წელს „დავითნის“ დაბეჭდვის ისტორიული პირობები

მოსკოვში ქართული წიგნის ბეჭდვის ფუძემდებლად იმერეთის მეფე არჩილ მეორე გვევლინება. არჩილ მეორემ, იმერეთის სამეფოში შექმნილი მეტად რთული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, XVII

საუკუნას ბოლოს დასტოვა სამეფო ტახტი. მან თანმხლები ამალითა და თავისი ოჯახის შემადგენლობით რუსეთს შეათარა თავი. მეფე არჩალი და მისი ვაჟი, ალექსანდრე ბატონიშვილი დიდი პატივით მიიღეს პეტრე პირველის სამეფო კარზე. ისინი დასახლდნენ მაშინდელი მოსკოვის ვარეუბანში ვესვგიატოვსკოეში, სადაც დააარსეს საკმაოდ ძლიერი კოლონია. სახელოვან მეფე მგოსანს თან ახლდნენ გამოჩენილი მწიგნობრები — ქართული კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

ალექსანდრე არჩილს ძე ბატონიშვილი პეტრე პირველის განუყრელი მეგობარი და საიმედო თანამებრძოლი გახდა. იგი თან ახლდა პეტრეს ევროპის მოწინავე ქალაქებსა და ქვეყნებში. ერთად ეცნობოდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში დაწინაურებულ ევროპას იმ მიზნით, რომ რუსეთში ვადმოენერგათ საუკეთესო მონაპოვარი და ქვეყანა ჩამორჩენილობიდან პროგრესის გზაზე გამოეყვანათ. არჩილ მეფე მოხიბლული იყო პეტრე პირველის პიროვნებით, მეფე-მგოსანმა იმპერატორს ხოტბაც კი შეასხა.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ მოიხსენიება ასეთი ცნობა:— „არჩილმაო გააკეთებინა სტამბა საფრანგეთშია ქართულად და მოატანინა საფასითა თვისითაო“¹.

იოანე ბატონიშვილის ცნობა ევროპაში ქართული შრიფტის დამზადების შესახებ დაეკვებას არ უნდა იწვევდეს. 1705 წ. არჩილ მეფეს მოსკოვის ვარეუბანში „დავითნი“ შეეძლო დაებეჭდა ევროპის ერთ-ერთი ქვეყნიდან ჩამოტანილი ქართული შრიფტით, რომელიც არჩილის, ან მისი ვაჟის, ალექსანდრე არჩილის ძის დაკვეთითა და მზრუნველობით იქნებოდა ჩამოტანილი.

როგორც აღვნიშნეთ, 1686 წ. არჩილის დაკვეთით შესრულებული ქართული ასოების „ტიპები უკვე 1687 წელს მზად იყო“, მაგრამ არჩილმა მაშინ ვერ შესძლო მისი მიღება. როგორც ჩანს, XVII ს. 80-იან წლებში არჩილი ქართულ შრიფტს საქართველოში წამოსაღებად ამზადებდა და არა მოსკოვში სტამბის მოსაწყობად.

არჩილ მეფეს მოგვიანებით ბევრი უღონია 1686—1687 წწ. ამსტერდამში ჩამოსხმული ქართული შრიფტის მისაღებად, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ 1703 წლის იელისის 3-ის თარიღით დაწერილი წერილით, რომელიც გოლოვეკინისადმი მიმართული, ირკვევა, რომ არჩილს დამზადებული ჰქონია წინანდელზე უკეთესი შრიფტი და ასევე ჰყოლია დახელოვნებული ოსტატი სტამბისა, მაგრამ ამსტერ-

¹ იხ. „მცირე უწყება“ — ძველი საქართველო, ტ. 1, განყოფ. III, გვ. 27. გ. თაყაიშვილის გამოცემა.

დამში გამზადებული სასინჯი შრიფტისა და მოსკოვის 1705 წ. დავით-ნის შრიფტის შედარებამ არ გვიჩვენა მათი იგივეობა².

ასეთ რთულ პირობებში მართალია არჩილმა შესძლო მოსკოვის სახანო სტამბაში 1705 წ. „დავითის“ დაბეჭდვა, მაგრამ მისი ფართო ჩანაფიქრი, მაგ., „დაბადების“ ქართულად დაბეჭდვისა და სხვ. შესახებ, განუხორციელებელი დარჩა. 1713 წ. მეფე არჩილი გარდაიცვალა.

მშობლიურ ენაზე წიგნის ბეჭდვის ორგანიზაცია ორგანულ კავშირშია ქართული შრიფტის დამზადების მეტად საგულისნმო საკითხთან, ამიტომ ბუნებრივია, რომ არჩილ მეფემ, ჯერ კიდევ XVII ს-ის 80-იან წლებში, სტამბის გახსნისათვის მზადება ქართული შრიფტის დამზადებით დაიწყო. მან, როგორც აღინიშნა, სწორედ ამ მიზნით დაამყარა კავშირი ევროპელ სპეციალისტებთან; არჩილ მეფე პირადად გასცნობია მოსკოვში მყოფ განათლებულ შვედს იოჰან გაბრიელის ძე შპარვენფელდს, რომლის დახმარებით მომხდარა შეთანხმება ამსტერდამელ სპეციალისტთან მ. კიშთან რამდენიმე სახის ქართული შრიფტის დამზადებაზე, რომლის შესახებ თვით ი. შპარვენფელი შემდეგ გვაუწყებს: „В мое время в Имерети, части Гурджистана, царствовала фамилия Бсратионов и царя Арчила, который был изгнан и бывал преследуем как Турции, так и Персии, знал я в Москве. Перед отъездом он подарил мне халат, я же взамен заказал для него грузинский шрифт в Амстердаме Кису“³.

არჩილმა თუ რაოდენ ბევრი იზრუნა ჰოლანდიიდან (ამსტერდამიდან) ქართული შრიფტის მიღებისა და შვედებთან ომში 1700 წელს ტყვედ ჩავარდნილი თავისი სახელოვანი შვილის ალექსანდრეს გამოხსნისათვის პეტრე I-ის დახმარებით, ეს ცნობილია და ამაზე აქ არ შეეჩერდებით.

ალექსანდრე არჩილის ძემ, როგორც ირკვევა, ტყვეობაში მოახერხა და 1703 წელს შესძლო თავის მხრივაც სტოკჰოლმში დაემზადებინა ასევე ქართული შრიფტი, მაგრამ შრიფტის დანიშნულებისამებრ გამოყენება განუხორციელებელ ოცნებად დარჩა; ამის შესახებ სტოკჰოლმიდან ალექსანდრე თავის მამას, არჩილ მეფეს სწერდა: „Типы на нашем языке уже с давних пср готовы, но отсылать не смею, боюсь не пропал“⁴.

2 ქ. შარაშიძე, ქართული შრიფტი ამტერდამში 1686—1687 წწ. — ქ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, წიგ. III, გვ. 30—31.

3 ციტატი მოგვაქვს ა. აბრამიშვილის წერილის მიხედვით. დაბეჭდა კრებულში Книга, Исследования и Материалы, Сборник II, 1960, М., с. 272.

4 იქვე, გვ. 270.

არჩილ მეფეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1686—1687 წწ. ქართული სტამბის შრიფტები — მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული შვედი დიპლომატიისა და მეცნიერის მეშვეობით ამსტერდამში შეუკვეთია ცნობილი ასოთმქანდაკებელისა და მბეჭდავის მიკლოშ კიშტოტვალუშისათვის. 1686 წ. 12 ნოემბერს და 1687 წ. 17 იანვარს მიკლოშ კიშს ამსტერდამიდან ქართული შრიფტის დასამზადებლად მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ორი წერილი გაუგზავნია ი. შპარკენფელდისადმი ლათინურ ენაზე.

ეს წერილები 1932 წ. აღმოჩნდა შვეციის ქ. ლოხჩოპინის საეპარქიო ბიბლიოთეკაში⁵.

ამ წერილებიდან ირკვევა, რომ მ. კიში არ იცნობდა რომში 1629 წელს ქართული ანბანის მრგლოვანი, ნუსხური და მხედრული შრიფტის ჩამოსხმისა და წიგნების დასტამბვის ამბავს. მ. კიში დარწმუნებულია, რომ იგი ამ სფეროში პირველია და ყამირბტეხა...“ ევროპაში არ მოიძებნება არავინ (დაე, ამ სიტყვებში ნუ იქნება ცარიელი კვებნა), ვინც პირველი ყინულის მტვრევის დასაწყისშია... როცა პირველ ყინულს ჩავამტრევე, მეც ხომ გამიადვილდება მუშაობა“... (I წერილი). „იმათ იციან, რომ ეს პირველ ცდას წარმოადგენს“ (II წერილი). ამავე წერილიდან ჩანს, რომ კიშის ორი წერილი კი არა, ხუთამდე წერილი მიუწერია ადრესატისათვის⁵. არჩილ მეფეს ქართული შრიფტის შეკვეთისას კიშისათვის გაუგზავნია ხელნაწერი ასოები ქართული ანბანისა (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული). კიში უკმაყოფილოა, რომ ქართველებმა ვერ მოახერხეს ამსტერდამში ჩასვლა და მასთან თანამშრომლობა (II წერილი). მ. კიშის 1686—1687 წლის წერილებიდან ირკვევა, რომ მას გამოუქანდაკებია ქართული შრიფტის სამივე სახეობა, დაუმზადებია პუნსონები, ჩამოუსხამს ისინი და ლიტერებიც დაუმზადებია.

აქ აღნიშნულს — ამსტერდამში ქართული შრიფტის დამზადებას — ადასტურებს არჩილ მეფის წერილი ამსტერდამის ბურგომისტრ ნიკოლა ვიტცენისადმი (1634—1717), რომელიც მოსკოვიდან 1687 წლის 17 დეკემბერსაა გაგზავნილი.

არჩილი ვიტცენს სწერს: „...თქვენ გარჯილხართ ჩვენი გული-სათვის და ჩვენი ენის წიგნის ბეჭედს გვიპრევიენებთ (sic!). ჩვენ ამ

⁵ წერილები აღმოაჩინა და დაბეჭდა იაკუბოუსკომ. შემდეგ 1935 წელს გამოაქვეყნა კარლ ბიორკბომმა. ლათინურიდან ქართულად თარგმნა ქრ. შარაშიძემ პროფ. გრიგოლ წერეთლის დახმარებით (ქართული შრიფტი ამსტერდამში, თბ. 1937. — იხ. „საქარო ბიბლიოთეკის წიგნები“, ტ. III, გვ. 34). შდრ. ფრ. სიხარლოძე, დოკუმენტები საქართველო-შვედეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, — კრებ. „მეგობრობა“, თბ., 1981; გ. შარაძემ გამოსცა წიგნი — მიკლოშ კიში ტოტვალუში და ქართული სტამბა, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 35—39.

...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...
 ...




Fig. 1. Cross of the 13th century from the church of St. George in Constantinople.

Fig. 2. Cross of the 13th century from the church of St. George in Constantinople.



სურ. 22. არჩილ მეფის წერილი ნ. ვიტცენისადმი. 1686 წ.

საქმისათვის დიდად გავიხარეთ, თქვენი მადრიელი შევიქენით. ამ საქმისათვის ვინებთ შენთან ჩვენის სიყვარულისა და მადლის წიგნი[ს] მოწერა“...⁶ მოგვიანებით ნიკოლა ვიტცენმა თავის ნაშრომში „ჩრდილო და აღმოსავლეთის ტარტარია“, 1692 წლის 1-ლ გამოცემაში, არჩილის დასახელებული წერილის ფაქსიმილედ დაბეჭდა, ოღონდ აქ ჩვენ არჩილ მეორისა და ერეკლე პირველის პორტრეტებს ვერ ვხედავთ⁷.

ისმის კითხვა, როგორ და რა გზებით მიიღო ნ. ვიტცენმა დასახელებულ ქართველ მეფეთა პორტრეტები და საქართველოს შესახებ ბევრად უფრო ვრცელი მასალები, რომელთაც ასახვა პოვეს ვიტცენის ნაშრომის 1705 წლის მეორე გამოცემაში?

მაგალითად, არჩილისა და ერეკლე I-ის პორტრეტებთან ერთად 1705 და 1785 წლების გამოცემებში შეტანილია ჰოლანდიურ-ქართული ლექსიკონი, ამასთანავე, ბევრად გაზრდილია ისტორიული მასალა და თხრობანი საქართველოს შესახებ (იხ. გვ. 506, 515, 524).

დოკუმენტურად ირკვევა, რომ ვიტცენის ნაშრომის ახალი, 1705 წ. გამოცემისათვის ქართული ისტორიული სინამდვილის ამსახველი მასალები, აგრეთვე არჩილისა და ერეკლე I-ის პორტრეტები (რომელთაც პირველად იცნობდა ნ. ვიტცენი) ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონს (პირადად, ან ვისმეს მეშვეობით) შეეძლო მიეწოდებინა ჰოლანდიაში.



⁶ არჩილის წერილს ვიტცენისადმი ჯერ კიდევ მარი ბროსემ მიაკვლია, თარგმნა ფრანგულად და გამოაქვეყნა 1857 წ. Hitoir de la Ceorgien-ში გვ. 351—352. ოღონდ დათარგმნა შეცდომით — ნაცლად 1687 წლისა 1686 წლით, რაც ალ. ბარამიძემ გაასწორა, — „ლიტ. საქართველო“, 15.XII, 1936, „ფაქტები და შენიშვნები, არჩილის წერილი ვიტცენთან“, შტრ. კ. კეკელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში. — ეტიუდები, 1, თბ., 1945, გვ. 327; გ. შარაძე, პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე, თბ., 1986 (იხ. № 16. ფოტოპირი არჩილ მეფის წერილისა ვიტცენისადმი 1687 წ. 1 დეკემბრისა).

⁷ ნ. ვიტცენის აქ დასახელებული წიგნი სამჯერ: 1692. 1705 და 1795 წლებში გამოიცა ამსტერდამში. აქედან გავრცელდა ეს წიგნი ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში, მაგალითად, შ. ბროსემ ქართველოლოგთაგან პირველმა მიაქცია ამ წიგნს ყურადღება. ნ. ვიტცენის წიგნისადმი ასეთი ყურადღება ბროსეს მხრივ გასაგებია. მასში (1692 წ. 1-ლ გამოცემაში) საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული, რომელიც, ნ. ვიტცენის ცნობით, არჩილ მეფეს მიუწოდებია (იხ. დასახ. გამოც., გვ. 316—373). იქვე დაბეჭდილია ქართული ანბანი. „ვიტცენმა მოსკოვის სამეფოში 1664 წელს იმოგზაურა... გაეცნო „ერეკლე I-ს, ხოლო თავისი მეორედ ჩამოსვლის დროს — მეფე არჩილ მეორეს“ — წერს ვლ. ტატიშჩევი (იხ. მისი „ქართველები მოსკოვში“, თბ., 1959, გვ. 257). თუ სად და როგორ გაიციეს არჩილმა და ვიტცენმა ერთმანეთი, ამაზე ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით, აზრთა სხვაობა არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ მათ შორის სუფევდა მეგობრული კავშირი და თანამშრომლობა, რასაც საბუთები დასტურებენ.

პოლანდიურ-ქართული ლექსიკონიც, როგორც ჩანს, ალექსანდრეს დახმარებით შეუდგენია ვიტცენსი.

ნ. ვიტცენი თავისი წიგნის 1705 წლის ახალ გამოცემას (განახებებოთ პირველი გამოცემისაგან) საქართველოს შესახებ ახალი ცნობებით, საჭირო სურათებისა და ლექსიკონის სახით რომ შეემატა, უმაღლეს ალექსანდრე არჩილის ძე ბატონიშვილს.

1703 წელს სტოკჰოლმში მოხვედრილ ტყვე ბატონიშვილს მიეცა ჰენრიკ III კაიზერის სტამბაში სპეციალისტების დახმარებით ქართული შრიფტის ჩამოსხმის შესაძლებლობა, რომელთა ანაბეჭდებმა



სურ. 33. დავითნი. მოსკოვი. 1705 წ. თავფურცელი.

8 იხ. ნ. არღოესკაია, საქართველო XVI—XIII სს. დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში. თბ., 1965, გვ. 226—234.

ჩვენამდე მოაღწიეს (დაცულია სტოკჰოლმის უნივერსიტეტის ბიბლიო-თეკაში). ამ ძვირფას მასალას, როგორც აღინიშნა, მიაკვლიეს შვედმა მეცნიერებმა კარლ ბიორკომმა და ერიკ გრენმა.

ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვის ისტორიაში ალექსანდრე ბატონიშვილის ინტერესები ფართოა და საყურადღებო. უფრო სწორად რომ განისაზღვროს მისი როლი ამ საპატიო ეროვნულ საქმეში, საჭიროა მოკლედ მაინც შევჩერდეთ მისი მოღვაწეობის ძირითად ეპიზოდებზე XVII ს. მიწურულსა და XVIII ს. დამდეგს. ესაა პეტრე პირველის თაოსნობით განხორციელებულ „დიდ ელჩობაში“ 1697—98 წლებში ალექსანდრე ბატონიშვილის მონაწილეობის რამდენიმე შტრიხი.

ჰოლანდიაში ყოფნისას ალექსანდრე ბატონიშვილი არა მხოლოდ „საბომბარდირო“ საქმის მამინდელი უმაღლესი ტექნიკური მღწე-ვების გამოკვლევითა და გამოყენებით იფარგლებოდა, როგორც არტილერიის ფელდცეხმეისტერი, არამედ, პეტრე პირველის თხოვნით, ირკვევდა და სწავლობდა სასტამბო საქმეებსაც⁹.

სასტამბო საქმით გატაცება იმ პერიოდში მთელ მსოფლიოში და, კერძოდ, რუსეთსა და საქართველოშიაც დიდი იყო. კარგადაა ცნობილი, რომ ბაგრატიონთა სამეფო სასახლეში იმ ხანად ფართოდ იყო ფეხმოკიდებული ამ ახალი პროგრესულ-კულტურული საქმისადმი ინტერესი. ჭაბუკ ალექსანდრესა და მის სახელოვან მამას საქართველოდან მოსკოვში გადასახლებისას თან უნდა გაჰყოლოდათ ზრუნვა ქართული სტამბის დაარსებაზე. არჩილ მეფის დაუცხრომელ მისწრაფებასა და ურთიერთობას ვიტყენსა და სხვა გამოჩენილ ამსტერდამელ მოღვაწეებთან ქართული სტამბის გამართვისათვის არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ალექსანდრე ბატონიშვილის შეგნებაზე. პეტრე პირველი კარგად ხედავდა, რომ ამსტერდამში ყველაზე მეტად დაწინაურებული იყო სასტამბო მეურნეობა. იგი ცდილობდა სრულყოფილად აეთვისებინა და განეეითარებინა რუსეთში სასტამბო მეურნეობა და წიგნის ბეჭდვა.

1697 წელს ამსტერდამში ჩასულმა პეტრე I-მა და ალექსანდრე ბატონიშვილმა პირადად გაიცნეს ამსტერდამის ბურგომისტრი ნიკოლა ვიტცენი. პეტრეს ბრძანებით ამსტერდამში დააარსეს იან ტუბანგის რუსული სტამბა, სადაც მხოლოდ რუსული საერო წიგნები იბეჭდე-

⁹ ჟ. ვათეიშვილი, ერის საგანძურს შეემატა, გაზ. „კომუნისტი“, 14.12.77; მისივე, არჩილ და ალექსანდრე ბაგრატიონების ბიოგრაფიისათვის, „საბჭოთა ხელოვნება“, 1972, № 2, გვ. 57—67.

ბოდა, რადგან სასულიერო წიგნები ძირითადად მოსკოვში იცემოდა¹⁰. ალექსანდრე ბატონიშვილის „ღიღი ელჩობაში“ მონაწილეობის პერიოდი წარმართა პოლანდიაში არტილერიის საქმის უახლესი მიღწევების საფუძვლიანი შესწავლითა და სასტამბო საქმის კლასიკურ ცენტრში—ამსტერდამში სტამბისა და წიგნის ბეჭდვის საფუძვლების ათვისების გზით.

არჩილ მეფეს ადრიდანვე, ჯერ კიდევ რუსეთში საბოლოოდ (ოჯახით) გადასახლებამდე, იმედი ჰქონდა თავისი სამეფოს უკან დაბრუნებისა. იგი მაშინ დაინტერესებული იყო ქართული სტამბის საქართველოში გამართვითა და წიგნის ბეჭდვის შემოღებით.

მოსკოვში სამუდამოდ გადასახლების შემდეგ, 1699 წლიდან. არჩილ მეფემ ტახტის დაბრუნების იმედი დაჰკარგა, ამიტომ მიზნად დაისახა მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვის დანერგვა-განვითარება.

ამ მიზნით მან თხოვნით მიმართა პეტრე პირველს, რომელმაც მისცა მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვის ნებართვა. პეტრე პირველის ამ განკარგულებას, ირკვევა, კანონის მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ მის სიცოცხლეში, არამედ პეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგაც. მაგ., ვახტანგ VI და ბაქარი 1730-იან წლებში ქართული სტამბის დაარსებისას ამ აქტს (კანონს) ემყარებოდნენ.

1697—98 წლებში პოლანდიაში პეტრე I-ის „ღიღი ელჩობის“ მონაწილეს, ალექსანდრე ბატონიშვილს, ქართულ შრიფტზედაც უნდა

¹⁰ მოსკოვში მართალია იმ დროს წიგნის ბეჭდვის საქმით გამოცდილება არსებობდა, რადგან ამ წამოწყებას XVI საუკუნიდან ჩაეყარა საფუძველი. მაგრამ სასტამბო მეურნეობა თავისი ჩამორჩენილობით „პეტრეს წინაღულ დროს“ ჯერ კიდევ ვერ გასცილებოდა.

პეტრეს რეფორმები სტამბას მხოლოდ 1700-იანი წლების შემდეგ შეეხო, ამსტერდამის მდიდარ გამოცდილებას წიგნის ბეჭდვაში პეტრემ ფართოდ გაუღო კარები რუსეთის სინამდვილეში. მიუხედავად ამისა, საუკეთესო წიგნები, თვით პეტრეს დაკვეთით, მხოლოდ ამსტერდამის სახელგანთქმულ სტამბებში იბეჭდებოდა. მაგ., 1705 წ. პეტრეს დაკვეთით გამოცა ამსტერდამში „Символы и эмблематика“ (640 ეგზემპლარი), ემზღვრებოდა ჩანახატებითა და სიმბოლოების ახსნით, რითაც დასაბამი მიეცა რუსულ პერალტიკას. ევროპაში ყოფნის პერიოდში პეტრე, რომელსაც განუყრელად ახლდა ალექსანდრე არჩილის ძე, ახლო გაეცნო სასტამბო მეურნეობას, წიგნის ბეჭდვას და შეეცადა ამ დიდი გამოცდილების სამშობლოში გადმოენერგვას.

ალექსანდრე ბატონიშვილის და პეტრეს ეს განუყრელი მეგობრობა, ხანმოკლე, ტრაგიკულით აღსავსე ცხოვრება ავბედითი აღმოჩნდა. ევროპაში პეტრე პირველის „ღიღი ელჩობის“ მონაწილე, პოლანდიიდან ახლად დაბრუნებულ ალექსანდრე არჩილის ძე 1700 წლის 19 ნოემბერს, შვედეთ-რუსეთის ახლად დაწყებულ ომში (ცნობილ რუს გენერლებთან ერთად), ტყვედ ჩაეპარდა და ათწლიანი ტყვეობის შემდეგ რუსეთში მომავალი გზაში დაიღუპა.

ებრუნა. არაა საეჭვო, რომ მან კარგად იცოდა თავისი მამის არჩილის ღვაწლზე შრიფტის ჩამოსხმისათვის.

ვარაუდობენ, რომ ამისდა მიუხედავად პირადად ალექსანდრე არჩილს ძეს განმეორებით უნდა შეეკვეთა ქართული შრიფტი. 1697 წელს ალექსანდრე ბატონიშვილი სამი ქართველის თანხლებით ჩავიდა პოლანდიაში, რომელიც მაშინ ესოდენ დაწინაურებული იყო წიგნის ბეჭდვის საქმეში, და ჩანს, ქართული შრიფტი შეუკვეთა.

ალექსანდრე არჩილის ძემ, რომელიც 1700 წ. დაატყვევეს ნარვასთან და მიიყვანეს სტოკჰოლმში, კავშირი დაამყარა ი. შპარვენფელდთან. ეს კავშირი გამოყენებულ იქნა შვედეთში ქართული შრიფტის დასამზადებლად, რომელიც არჩილმა დაუკვეთა თავისი ხარჯით იმ მიზნით, რომ უზრუნველყო ქართული წიგნების გამოცემა. ამ საქმეში არჩილთან ერთად მისი ძე ალექსანდრეც მონაწილეობდა. სტოკჰოლმში ტყვედ მყოფმა ქართველმა ბატონიშვილმა ადრე პოლანდიაში შეკვეთილი შრიფტი შვედეთში ჩამოატანინა, სადაც ქ. სტოკჰოლმში 1703 წელს დაიბეჭდა ქართული ანბანი საკითხავეი მასალითურთ (ლოცვები „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო ქალწულო“). ტყვე ბატონიშვილმა სასტამბო ნიშნების მოსკოვს გადაგზავნაც ითხოვა¹¹.

სტოკჰოლმის სახელმწიფო არქივში დაცულ ალექსანდრე ბატონიშვილს 1703 წ. 8 დეკემბერს მამის — არჩილისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ჩვენი ენის ანბანის სრული კომპლექტი დიდი ხანია მზადაა. მაგრამ მე ვერ გავამიწყვეტია მისი გამოგზავნა. მაკრთობს ფიქრი, რომ გზაში რაიმე არ მოხდეს“. უკანასკნელ დრომდე არ იყო გარკვეული, ალექსანდრემ არჩილს გადაუგზავნა ეს შრიფტი თუ არა? მაგრამ ახლად გამოვლენილმა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილმა არჩილ მეფისადმი, რომელიც 1704 წლის 24 ნოემბრით თარიღდება, სიცხადე შეიტანა ამ ბუნდოვანებაში, ირკვევა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილს გაუგზავნია სასტამბო „საბეჭდავი“ და სთხოვს მამას... „მარტა¹² თუ მოვიდა, საბეჭდავი მრთლად მოიტანა და ან როგორი მათიცებია, მიბრძანეთო“. მეფე არჩილის პასუხი ალექსანდრესადმი დღემდე უცნობია. მაგრამ ხელთა გვაქვს 1705 წ. მოსკოვში დაბეჭდილ ქართულ „დავითნზე“ თანდართული ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „...ჩემ მიერ მეფისა არჩილისა და ძისა ჩემისა ალექსანდრესა დაიბეჭდა წიგნი ესე დავითნი სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს...“¹³.

¹¹ ფრ. სიხარულიძე, პირველი ქართული წიგნი. — საბჭოთა ხელოვნება, 1968, № 5.

¹² მარტა — გვარად დავილოვი.

¹³ იხ. 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი არჩილისეული „დავითნის“ ანდერძი.

ამრიგად, წიგნის ანდერძი და საგამომცემლო მონაცემნი გადაჭრით გვარწმუნებს, რომ „დავითნი“ მოსკოვში დაბეჭდა არჩილისა და მისი ძის ალექსანდრეს ერთობლივი ზრუნვით, მაგრამ გარკვევა იმისა, თუ რაში გამოიხატება თითოეული მათგანის — მამისა და ტყვედმყოფი შვილის მონაწილეობა-თანამშრომლობა „დავითნის“ დაბეჭდვის ხორც-შესხმაში, დღესაც ბუნდოვნებითაა მოცული. ამას განაპირობებს შემდეგი გარემოებანი: პირველ ყოვლისა, 1703 წლის სტოკჰოლმური ქართული ანაბეჭდის შრიფტი და 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი ქართული „დავითნი“ შრიფტი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეს ფაქტი კი იმის საფუძველს იძლევა, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის „საბეჭდი“ შრიფტი, რომელიც გამოუგზავნია არჩილისათვის 1704 წელს, 1705 წელს დაბეჭდულ „დავითნი“ გარკვეულ მიზეზთა გამო არაა გამოყენებული. რა ბედი ეწია ტყვედქმნილ ალექსანდრეს დაუღალავი და მგზხებარე მოღვაწეობით 1703 წ. უცხოეთში მ. კიშის მიერ ჩამოსხმულ ქართულ შრიფტს? — ეს დღემდე საიდუმლოებით მოცული რჩება.

1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი ქართული „დავითნი“, როგორც ირკვევა, მოსკოვის რუსული სასტამბო მეურნეობის მაშინდელი საკმაოდ მაღალი დონის ბაზაზე რუსი და ქართველი მესტამბე ოსტატებს შრომით განხორციელდა. ამ საქმეს მეფე არჩილი და მისი ამაღა წარმართავდა. 1705 წ. მარტში „დავითნი“ დაბეჭდა (600 ცალად) მოსკოვის სახაზინო სტამბაში, სადაც რუსმა მოხელეებმა ჩამოასხეს ქართული შრიფტი¹⁴.

ქართული „დავითნის“ შრიფტის დამზადებისა და პეტრე I-ის ბრძანებით მოსკოვში პირველი ქართული წიგნის გამოსაცემად ყოველგვარი ტექნიკური პირობების დაუბრკოლებლივ შემზადების შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული მოსკოვში, ძველ საბუთთა ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში (ფ. 1182, წიგ. 30, 37 ა). მოპოვებულ საარქივო დოკუმენტებში აღწერილია მოსკოვის სტამბაში პირველი ქართული წიგნის დაბეჭდვაზე გაწეული მუშაობა და ხარჯები: „1704 წელს გაუყეთებიათ ქართული წიგნის დასაბეჭდი დაზგა (დურგლები: ტ. ალექსეევი, ფ. სეველეევი, მბეჭდავები: პ. დმიტრევი, ი. პეტროვი). პეტრე I-ს ქართული წიგნების დასაბეჭდად 200 მანეთი გამოუყვია. უყიდიათ 17 მანეთის ქალაღი, ოსტატებზე გაუტიათ 19 მანეთი, ქართული წიგნის ბეჭდვის მთავარი საწარმოო პროცესი წაუშართავეთ ორ რუსსა და ორ ქართველს. რუსები ყოფილან მბეჭდავი და ასევე საღებავის წამსმელი, ხოლო ქართველები ასოთამწყობები და ჩამშლელი. კალის ჩამოსხმასა და ზოგ სხვა სამუშაოზე დახარჯულია

¹⁴ ი. კასრაძე. ქართული წიგნის ბეჭდვის კერები, თბ., 1990, გვ. 16.

43 მან. „დავითნის“ შრიფტი სტამბის ოსტატს — ასოთჩამომსხმელ მ. ეფრემოვს დაუმზადებია, მისთვის 87 მანეთი მიუტყიათ. ქართული წიგნზე სულ 179 მანეთი დახარჯულა. ყველა სამუშაო მოსკოვის სახელმწიფო სტამბაში შეუხსრულებიათ, პუნსონების დაზადების გარდა“¹⁵.



გ. ლეონიდის მიერ ჯერ კიდევ 1951 წელს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, დიდი მესტამბე და განმანათლებელი ანთიმოზ ივერიელი თავდაპირველად კონსტანტინეპოლში დაუფლებია სასტამბო ხელოვნებას¹⁶.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გურამ შარაძეს სავსებით ბუნებრივად ებადება ლოგიკური კითხვა: „ხომ არ შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ დოსითეოს პატრიარქი თავის სტამბაში ქართული წიგნების ბეჭდვის წამოწყებას 1682 წელს სწორედ ანთიმოზ ივერიელის იმედით აპირებდა?“

დოსითეოს პატრიარქის წერილით არჩილისადმი, ამასთანავე, ისიც ირკვევა, რომ კონსტანტინეპოლში საპატრიარქო კარზე აღზრდილა სასტამბო საქმის მცოდნე რუსი ბერი ტიმოთე, რომელიც შემდეგ რუსეთში წასულა. დოსითეოზი ურჩევდა არჩილს: ტიმოთეს დაუკავშირდით: — „მანდ ერთი ბერი, სახელად ტიმოთე, ყოფილა, ზნით კეთილ-მართალი და ჩვენი გამოზრდილი. იმისი მეშვეობით მოიწერე ზოლმე ჩვენთან წერილები. ასე გავიგებ თქვენი ცხოვრების ამბავსო“.

თ. ტივაძემ გაარკვია, რომ აქ „დოსითეოს მხედველობაში ჰყავს რუსი ბერი ტიმოთე, რომელმაც ხუთი წელი (1675—1680) კონსტანტინეპოლში მასთან გაატარა... 1682 წელს მოსკოვში დაბრუნებულ ტიმოთეს ბერძნული სკოლა და სტამბა გაუხსნია, მოსკოვში ბერძნული წიგნების ბეჭდვის გავრცელების მიზნით, რომელსაც დოსითეოზი, ჩანს, თვალყურს ადევნებდა“. ასეთ პირთან, — ბერ ტიმოთესთან, არჩილის დაკავშირება დოსითეოზის სარეკომენდაციო ბარათით თავისთავადაა საგულისხმო ფაქტი, რადგან, როგორც ვიცით, მოსკოვში ჩასულ არჩილს საქართველოდან თან გაჰყვა სტამბის მოწყობის იდეა და დაუზოვნებლივ შესდგომია კიდევ ამ იდეის ხორცშესხმას; ჩვენ არ ვიცით, რა როლი შეასრულა ამ საქმეში ტიმოთე რუსმა, მაგრამ ვიცით,

¹⁵ ფრ. სი ხარულიძე, დასახელებული წერილი.

¹⁶ გ. ლეონიძე, ქართული ეროვნული სტამბის ისტორიისათვის. — დროშა, 1951, № 2, გვ. 16—17.

რომ არჩილ მეფე 1686 წლის დამდეგს დაუკავშირდა შვედ დიპლომატ-სა და მეცნიერს შპარვენფელს. რომელიც იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა. ამ უკანასკნელის მეშვეობით არჩილს ქართული სასტამბო შრიფტი შეუყვებითა ამსტერდამში საქვეყნოდ ცნობილი მბეჭდავ-ასოტ-მქანდაკების მიკლოშ კიშისათვის¹⁷.

ნათლად დასტურდება, რომ სტამბის მოწყობის იდეა არჩილ მეფეს თავის ძმებთან ერთად ბევრად ადრე ჰქონია შემუშავებული. ვიდრე იგი რუსეთში წავიდოდა. „ჩანს. თვით არჩილსაც სტამბის მოწყობის იდეა საქართველოში თავისი მშისაგან, გიორგი XI და ლევანისაგან ჰქონდა შთაგონებულ-გაზიარებული და მოსკოვში საქართველოდან თან გაჰყოლია“¹⁸.

ისტორიული წყაროები ერთგვარად საფუძველს იძლევიან ვიდექროთ. რომ XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე უკვე არსებობდა ქართული შრიფტის დამზადების ორი კერა:

პირველი ესაა იერუსალიმ-კონსტანტინეპოლი, სადაც იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის თაოსნობით და დიდი მესტამბე ანთიმოზ ივერიელის, აგრეთვე დომენტი კათალიკოსის დაინტერესებით და ერთობლივი აქტიური მონაწილეობით უნდა დამზადებულიყო ქართული შრიფტი და საჭირო კლიშეები, რომლის ბაზაზეც თბილისში XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე საფუძველი ჩაჰყროდა ქართულ-სტამბას და 1705 წლიდან დაიწყო წიგნის ბეჭდვა; ხოლო ანთიმოზ ივერიელის მოწაფის მიხაის მაღლიანი ხელით 1709 წლიდან იგი განახლებული ვახტანგ VI მოწინავე სტამბად წარმოგვიდგება.

17 ამსტერდამი იმ დროს, როგორც აღნიშნა, მსოფლიოში სასტამბო მეურნეობისა და მისი კულტურის უბადლო ცენტრად იყო აღიარებული. აქ შეისწავლა და დაუფელა სასტამბო ხელოვნებას მიკლოშ კიში და 1684 წელს კიდევ დაბეჭდა უნგრული ბაზლია, რომელიც უნგრეთში „ოქროს ბიბლიადა“ წოდებული. იგი ამიერიდან სასტამბო ხელოვნების დიდოსტატის დამახებრებელ ტიტულს და ფართო პოპულარობას იმკვიდრებს მსოფლიოში. მ. კიში 1685 წელს აშხადებს სომხურ შრიფტს ამსტერდამში ჩასულ სომეხთა თხოვნით, ხოლო ერთი წლის შემდეგ მოსკოვიდან მეფე არჩილს დაკვეთით შესდგომია ქართული შრიფტის ჩამოსხმას. მ. კიში თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში აღნიშნავდა კიდევ: „მე ვუწევდილდ სამსახურს არა მარტო მეზობელ სახელმწიფოებს პოლონეთს, შვეიციას. ინგლისს, გერმანიას. იტალიას, არამედ ჩემს დახმარებას ითხოვდნენ დიდი და შორეული ქვეყნებიც“ — ასახელებს სომეხთს. საქართველოს — მეფე არჩილს; მ. კიში და მისი შვირდი, ვინც მას ახლო იცნობდა, აღიღებდნენ მის ღვაწლს საქართველოსათვის: „შორეული აზიის სახლგართან მდებარე გვირგვამ საქართველომაც შენგან მიიღო ლითონში ჩამოსხმული ანბანი... შენ გადმოიწერე შენს სამშობლოში „კოლხელო“ საწმისი“, — ასე ახასიათებდა მ. კიშს მისივე შვირდი შამუელ პაპ ტუველი. გ. შარაძე, მიკლოშ კიში ტრატალებში და ქართული სტამბა, თბ., 1982.

18 მ. კუ რ დ ლ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ქართული სტამბის ისტორიიდან, თბ., 1959, გვ. 21.

შეორე ცენტრი ქართული შრიფტის დამზადებისა, უდავოა, არის ამსტერდამი, სადაც ჭერ კიდევ 1680-იანი წლებიდან არჩილ მეფის მზრუნველობით აღრეულად დამზადდა ქართული შრიფტი — XVII საუკუნის 80-იან და XVIII ს. დამდეგს, ოლონდ მისი მიღება იმჟერად ვერ განხორციელდა. 1698—99 წ. ალექსანდრე ამსტერდამში განმჯერებით უკვეთავს ქართულ შრიფტს, მაგრამ ვერ ღებულობს. მოგვიანებით 1703 წელს ალექსანდრე არჩილის ძე ტყვეობაში ახერხებს ქართული შრიფტის ჩამოსხმას, შეძენას და გამოგზავნას ჰელსინკიდან; როგორც ირკვევა მოსკოვში არჩილამდე ისიც ვერ აღწევს.

მწიგნობრული კულტურის უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველო იყო, სტამბის სიკეთე, წიგნის ბეჭდურად ფართოდ გავრცელება იმთავითვე უაღრესად პოპულარულ მოვლენად იქცა და დიდი დაინტერესება გამოიწვია. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ქვეყნის პროგრესული ძალები, თვით ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლება, ენერგიულად მოქმედებს და იღწვის ქართული წიგნის სტამბურად გამოცემისა და ქართული სტამბის დაარსებისათვის.

ამ ეროვნულ-საგანმანათლებლო კულტურული წამოწყების განგრძობა-განხორციელება ტყვეობისა და წამების ვითარებაში, რომელშიაც ალექსანდრე არჩილის ძეს უხდებოდა ყოფნა, ქართული სტამბის გამართვა და ქართული წიგნის ბეჭდვრს დანერგვა უაღრესად საგულრსხმო გმირულ-პატრიოტული ეტაპის შემქმნელ მოვლენად წარმოგვადგება; მისი სახელოვანი მამის მეფე არჩილის მოღვაწეობასთან ერთად. ესაა ერთი მთლიანი ფენომენი დიდბუნებოვანი მამა-შვილის უღრდესი ღვაწლისა, რომელსაც შთამომავლობა უკვდავყოფს და არასოდეს არ დაივიწყებს.

პუნსონების დამზადების ადგილის გასარკვევად ლ. ტარდომ შესწავლა იმდროინდელი პოლანდიური გამოცემები. იგი დაასკვნის, რომ „საყურადღებო ფაქტია მოსკოვს დაბეჭდილი პირველი ქართული წიგნისა და 1698 წელს ამსტერდამში გამოცემული პოლანდიური წიგნის ბოლოსართთა მსგავსება. ეს კიდევ იმის ერთი საბუთია, რომ ქართული სასტამბო ნიშნების შექმნა ალექსანდრე ბატონიშვილის ინიციატივად მივიჩნიოთ. ამრიგად, მოსკოვში დაბეჭდილ პირველ ქართულ წიგნში გვაქვს რუსული, რუსულიდან ოდნავ სახეშეცვლილი და პოლანდიური შემკულობა, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქართული სასტამბო ნიშნები პუნსონები უცხოეთში უნდა დამზადებულიყო, წიგნი კი რუსულ სტამბაში დაბეჭდეს“. ავტორი ცდილობს 1705 წ. არჩილისეული „დავითნის“ შრიფტი და შემკულობანი პოლანდიასაც დაუკავშიროს და სტოკჰოლმსაც, რომ თითქოს არჩილს ქართული შრიფტის პუნსონ-

ნები ალექსანდრე ბატონიშვილისაგან შიელოს და ამის მიხედვით მ. ეფრემოვს ჩამოესხას 1705 წელს მოსკოვში დაბეჭდილი „დავითნის“ შრიფტი. მართლაც, შეიძლება ამით იყოს გამოწვეული „მცირე სხვაობა“ სტოკჰოლმში ნაბეჭდ „ანბანსა“ და მოსკოვში გამოცემულ „დავითნის“ შრიფტებს შორის. „მცირე სხვაობა“ იმით აიხსნება, რომ „მოსკოვში უშრომიათ შრიფტის ხარისხის ასამაღლებლად“. ამ გზით ავტორი ცდილობს წარმოაჩინოს ალექსანდრე არჩილის ძის როლი „დავითნის“ გამოცემაში.

უნგრელი ისტორიკოსი ლაიოშ ტარდი თავის ნაშრომში „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ გაცვრთ ეხება არჩილ-ნეფის შეკვეთით მიკლოშ კიშის მიერ ქართული შრიფტის დამზადებას. წიგნში დაბეჭდილია არჩილას ცნობილი წერილი ვიტცენისადმი და მიკლოშ კიშის სიტყვები ავტობიოგრაფიული თხზულებიდან „თა-ვის გასამართლებლად“¹⁹.

კიშის შრიფტი, კერძოდ ასომთავრული და ნუსხური, არა ჰგავს ვახტანგ VI სტამბისეულ მ. იშტვანოვიჩის შრიფტს²⁰. ვახტანგი VI თბილისის სტამბის მხედრული შრიფტი, ქრ. შარაშიძეს აზრით, წარმოადგენს ქართველი კალიგრაფის სოლომონ მაღალაძის ნამოღვაწეს²¹.

დღემდე ასომთავრული და ნუსხური შრიფტი 1686—1687 წლებში ამსტერდამში ჩამოსხმულად მიიჩნეოდა ქართული სტამბის ისტორიოგრაფიაში, მაგრამ რობერტ დანის მიერ 1980 წელს მიკვლეული ნესტამბე მიკლოშ კიშის ნამოღვაწრის სასინჯი ანაბეჭდების აღმოჩენის შედეგად გაირკვა, რომ სინამდვილეში ეს არის ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის მითითებით 1703 წელს (შვეიციაში, ქ. სტოკჰოლმი) ჰერიკ III კაიზერის სტამბაში დამზადებული შრიფტი. ამიტომ ზოგი რამ ამ მიმართულებით კრიტიკულად უნდა გადაისინჯოს.

ლ. ტარდმა და გ. შარაძემ გაზ. „კომუნისტში“ 7. IX. 1980 წ. გამოაქვეყნეს საყურადღებო წერილი: „ქართული სტამბის სათავეებთან“. წერილის ავტორები მიზნად ისახავდნენ სათანადო შეფასება მიეცათ უნგრელი მეცნიერის რობერტ დანის წერილისათვის — „მიკლოშ კიშ ტოტვალუშის ქართული ასოები“ (დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია 1980 წ. 15 ივნისს ცენტრალურ უნგრულ გაზეთში — „ნეთსაშად-შაგში“).

შესანიშნავი ქართველოლოგისა და ქართველი ხალხის მეგობრის უნგრელი მეცნიერის ლ. ტარდის მეშვეობით გ. შარაძე პირადად შეხვე-

¹⁹ ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (უნგრულ-ლიდან თარგმნა ლ. შაისურაძემ), თბილისი, 1968, გვ. 13—14.

²⁰ ო. გვინჩიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

²¹ იხ. შინი, პირველი სტამბა საქართველოში, თბ., 1955, გვ. 109—144.

დრია რ. დანის, გასცნობია ფოტოდოკუმენტური და სხვა მასალების კომპლექსს, რომელიც რ. დანს ქ. ამსტერდამის ბიბლიოთეკაში აღმოუჩენია. ესაა მიკლოშ კიშის მიერ არჩილ მეფის დაკვეთით 1687 წელს შესრულებული ქართული შრიფტის სასიხე ანაბეჭდები — ასომთავრულ, ნუსხურ და მხედრულ ასოთა დაწერილობებით. 1687 წ. 17 იანვარს მიკლოშ კიში ქართული ასოების დამზადების შესახებ წერილობით მოახსენებდა შვედ დიპლომატს შპარცენფელს.

მკვლევარები დღემდე თვლიდნენ, — წერს გ. შარაძე, — რომ კიშის ქართულმა ასოებმა მხოლოდ შვეციაში მიადრწიეს; თვით კიში დარწმუნებული იყო, რომ მისმა ნამუშევარმა საქართველომდე მიადრწია, რითაც მას თავიც მოჰქონდა, ამიტომ შემდგომ კვლევა-ძიებას უნდა გადაეწყვიტა, მესტამბე კიშის ნამუშევრის საფუძველზე გაფორმდა ქართული სასტამბო მეურნეობა და პირველ რიგში ჩამოისხა ქართული შრიფტი თუ ვინმე სხვა ოსტატის? შეიძლება ითქვას, რომ ეს პრინციპული საკითხი დღესაც არაა გადაწყვეტილი და აზრთა სხვაობა არსებობს.

სპეციალურ ლიტერატურაში შემუშავებული შეხედულებით თბილისის პირველი ქართული სტამბის შრიფტი არის მიკლოშ კიშისაგან დამოუკიდებლად, უნგრელი მესტამბის მიხაი იშტვანოვიჩის ნახელავი, რომელმაც უდავოდ დიდი შრომა გასწია ქართული სტამბის ორგანიზაციაში. ის საქართველოში 1708 წელს ჩამოვიდა, სულ ცოტა ხანში უნდა ჩამოესხა შრიფტი და ერთბაშად ორი წიგნი ზედი-ზედ გამოსცა კიდევ.

ამ დროს კი ამსტერდამში 20 წლით ადრე დამზადებული იყო უმაჯალითო სილამაზის კიშისეული ქართული ასოები, რომელთაც დაზვედრებული შეხედულებით, საქართველომდე ვერ მოუღწევიათ და დარჩენილან მხოლოდ შვეციის ანაბეჭდებში.

პირადად რობერტ დანი იმ აზრისაა, რომ კიშის შრიფტს შეეძლო მოედრწია საქართველომდე და ვახტანგ VI-ის მიერ 1709 წელს თბილისში დაარსებულ პირველ ქართულ ეროვნულ სტამბაში სათანადოდ გამოეყენებინა მეორე უნგრელ ოსტატ მიხაი იშტვანოვიჩს. „ჩვენ ვთვლით, — წერს დანი, — რომ მაინც შესაძლებელია მიკლოშ კიშის მიერ ჩამოსხმულმა ასოებმა მიადრწიეს საქართველომდე და იშტვანოვიჩმა არა საკუთარი ასოებით, არამედ მიკლოშ კიშ ტოტფალუშისეული ქართული ასოებით დაბეჭდა ქართული წიგნები“²². საკულის-ხმოა ისიც, რომ სტამბის მოწყობის აზრი არჩილს საქართველოდან გაჰყვა, 1686—1687 წლებში იგი საქართველოში დაბრუნებას აპი-

²² გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

რებდა და სტამბის მოწყობილობათა სრული კომპლექსის საქართველოში ჩამოტანაზე ოცნებობდა.

გ. შარაძე მართებულად არ იზიარებს რ. დანის ამ შეხედულებას: „ჩვენ არ დავეთანხმეთ რ. დანს, — წერს იგი, — რადგან ასეთი შეხედულება არ ახალია, ძველია“. ამის ნიშნად მას მოჰყავს რუმინელი მკვლევრის ვირჯილი მოლინის 1961 წ. გამოქვეყნებული ნაშრომი, რომელიც ქართულადაც ითარგმნა და სპეციალისტთა ფართო მსჯელობის საგნად იქცა. ავტორი ასაბუთებდა, რომ ვახტანგ VI-ის მიერ 1709 წელს თბილისში დაარსებული სტამბა სინამდვილეში არჩილ მეფის მიერ პოლანდიიდან ჩამოტანილი სტამბააო, 1686—1687 წწ. არჩილის დაკვეთით მ. კიშის მიერ დამზადებული ქართული შრიფტისომთავრული, ნუსხური და მხედრული შეიქმნა არჩილ მეფის ხელით დაწერილი ქართული ანბანისა და ტექსტის მიხედვითო.

ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ წარმოშობილ აზრთა სხვაობაზე. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ 1980 წელს ამსტერდამში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, უნგრელი მეცნიერის რობერტ დანის მიერ მიკლოშ კიშისეული ქართული სამი სახეობის შრიფტის 1686—1687 წლის ანაბეჭდის მიკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სტამბის ისტორიისათვის.

დღემდე ჩვენთვის უცნობი იყო მიკლოშ კიშის მიერ 1687 წელს ამსტერდამში ქართული მხედრული შრიფტის დამზადების ფაქტები, რაც არჩილ მეფის შეკვეთითა და მისი ავტოგრაფის საფუძველზე განხორციელებულა.

ქართული სტამბის ისტორიაში დამკვიდრებული ერთი უზუსტობა ამიერიდან მარცხ სწორდება: ასომთავრულ და ნუსხურ შრიფტს დღემდე 1686—1687 წლებში ამსტერდამში დამზადებულად მიიჩნევდნენ. სინამდვილეში იგი სულ სხვა დროს, ადგილას და სხვა პირის მიერაა განხორციელებული. ეს მომხდარა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონის მსრუტველობით, 1703 წელს, შვეიციაში, ქ. სტოკჰოლმში პერიე III კაიზერის სტამბაში, სადაც დაუმზადებიათ მხოლოდ ასომთავრული და ნუსხური შრიფტი. ასეთია მოკლე სამეცნიერო მნიშვნელობა რობერტ დანის მიერ ახლად მიკვლეულ და აქ განხილული მასალებისა.

ცნობილია, ქართული სტამბისა და კულტურის ისტორიაში რა დიდი დეაწლი მიუძღვის იერუსალიმის პატრიარქ (განათლებულ ბერძენ) დოსითეოსს (1669—1707) და მისი სიკვდილის შემდეგ დოსითეოსის დისშვილს ბრისანთე პატრიარქს (იერუსალიმის პატრიარქები ამ დროს კონსტანტინეპოლში ისხდნენ).

კონსტანტინეპოლში პატრიარქ ხრიზანთეს ეახლა შვედი მეცნიერი-მოგზაური პროფესორი მიხეილ ენემანი.

მ. ენემანი (1676—1714) პირადად იცნობდა ტყვე ბატონიშვილს ალექსანდრე არჩილის ძეს, ხვდებოდა მას სტოკჰოლმში, დიდი ინტერესით იწერდა ალექსანდრესაგან ცნობებს თბილისის, საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ.

ყოველივე ამას და ბევრ სხვა ამბავს ჩვენ ვგებულობთ ერიკ გრენის ნაშრომისაგან — „მიხეილ ენემანის ბიოგრაფია“, რომელიც 1945 წელს შვედურ ენაზე გამოიცა.

გ. შარაძეს 1981 წელს ლონდონში პროფ. დევიდ ლანგისგან საჩუქრად მიუღია ეს ნაშრომი და, ამასთანავე, ერიკ გრენის მიერ ლანგისათვის გადაცემული ზოგი მასალა მიხეილ ენემანის შესახებ. გ. შარაძე სპეციალისტ მთარგმნელთა მეშვეობით გაცნობია ამ ნაშრომს და ზოგიერთი, ჩვენთვის საინტერესო, ფაქტი თავის ნაშრომში შეუტანია.

მიხეილ ენემანის ცხოვრების აღწერაში საუბარია მის შეხვედრაზე ხრისანთესთან კონსტანტინეპოლში, ხრისანთე პატრიარქის წინამორბედ დოსითეოსის მიერ დაარსებულ სტამბაში უკვე იბეჭდებოდა წიგნები ბერძნულ ენაზე. ხრისანთე პატრიარქს ენემანისათვის ერთი წიგნი, ამ სტამბაში დაბეჭდილი, საჩუქრად მიუერთმეცია.

ეს ფაქტი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ჯერ კიდევ 1682 წლის 23 სექტემბრის თარიღით არჩილ მეფის სახელზე გაგზავნილ წერილში დოსითეოსი კონსტანტინეპოლის საპატრიარქო სტამბაში ქართული წიგნების ბეჭდვის სულ მალე წამოწყებისა და დასრულების დიდ სურვილს გამოხატავდა (იხ. ზემოთ დასახელებული თ. ტიციძის პუბლიკაცია).

მიხეილ ენემანს 1710-იან წლებში საქართველოსა და თბილისის შესახებ ახალი დამატებითი ცნობები შეუგროვებია (გარდა იმისა, რაც თავის დროზე ალექსანდრე ბატონიშვილმა მიაწოდა მას), ამიტომ იგი კარგად აღწერს თბილისში მოქმედ ვახტანგ VI-ის სტამბას, 1711 წ. იქ დაბეჭდილ ორ წიგნს, რომლებიც კონსტანტინეპოლში საჩუქრად მიუძღვნიათ ენემანისათვის²³.

მ. ენემანისადმი პატრიარქის მიერ საჩუქრად გადაცემული ორი ქართული წიგნის სახელწოდება ენემანის ბიოგრაფს, ერიკ გრენს, დაუზუსტებია 1947 წელს აკად. კორნელი კეკელიძესა და გრენს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით წერილობითი კონტაქტის დამყარების საფუძველზე; კ. კეკელიძის განმარტებით, 1711 წ. თბილისის სტამბაში დაბეჭდა ქართველი ბერის გერმანეს თხზულება „სწავლა, თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფის“. მასში შესულია ლო-

²³ გ. შარაძე, მიკლომ კში... გვ. 178—179.

ცვები, ხოლო მეორე წიგნად 1711 წ. თბილისში ქართულად „დაუ-
ჯღომელი“ გამოიცა, რომელიც ჩვენამდე აღარაა მოღწეული.

2. კატარგურგში ქართული შრიფტის დაზაღება ჩამოსხმა
პრინტაფორმ გურამიშვილის თაოსნობით და ინიცია
„ანბანის“ გამოცემის გამო

თბილისში კარგად დაწყებულ და ტექნიკურად შესანიშნავად გა-
მართულ ვახტანგ VI სტამბაში, მისი არსებობის რთული პირობებისა
და ხანმოკლეობის მიუხედავად, გაიწვრთნა და მომზადდა სტამბის მუ-
შაკთა, წიგნის რედაქტორ-გამომცემელთა, კორექტორთა, მთარგმნელ-
შემაჯერებელთა, მხატვარ-გრაფიკორთა და წიგნის სანიმუშოდ გამფორ-
მებელ-მომკაზმველთა ეროვნული შესანიშნავი კადრები. ამიერიდან იმ-
დენად მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ქართული წიგნის სტამბურად
გამოცემის ეროვნულ ტრადიციას, რომ 1724 წ. თურქ-დამპყრობთა
ძძლავრობით თბილისის დაპყრობისა და სტამბის გაუქმების შემდეგ
ეს ტრადიცია არ ჩამკვდარა. იგი დროის კვალობაზე აღდგა და თვი-
სობრივად ახალი ხდება.

ვახტანგ VI სტამბაში გაწვრთნილ მუშაკთა ერთი ნაწილი, რომე-
ლიც რუსეთში გადასახლდა, 1730-იან წლებში უღარესად ნაყოფიერ
საგამომცემლო მუშაობას ეწეოდა. ხოლო ისინი, რომელნიც დარჩენ
სამშობლოში, ქვეყნის ყოველ ხელსაყრელ საგარეო და საშინაო პი-
რობებს იყენებდნენ იმისათვის, რომ განეახლებინათ და აღედგინათ
ქართული სტამბა. რაც მხოლოდ 1749 წელს გახდა შესაძლებელი.

თბილისში, ვახტანგ VI სტამბაში. მისი არსებობის მანძილზე სულ
(არასრული სიით) 20 წიგნი დაიბეჭდა. ფიქრობენ, რომ ბევრად მეტი
წიგნი, გამზადებული დასაბეჭდად, გაიბნა უგზოუკლოდ მტრის შე-
მოსევის გამო. ირკვევა, რომ რუსეთში გადასახლებული ვახტანგ VI
თავისი თანმგლები ამალით იღვწოდა ქართული წიგნის ბეჭდვის განა-
ხლებისათვის მოსკოვში, რომელსაც საფუძველი მისმა ბიძამ, მეფე
არჩილ მეორემ ჩაუყარა.

აღნიშნულს კარგად ადასტურებს რუსეთის საგარეო საქმეთა პო-
ლიტიკის არქივი²⁴; სადაც დაეულია ვახტანგ VI მიმართვა, 1730 წლის
9 ივნისის თარიღით. გრაფ გაბრიელ ივანეს ძე გოლოვიკინისადმი
(1660—1734), რომელიც თანაგრძნობით შეხვედრია ვახტანგ VI-ს
თხოვნას მოსკოვში ქართული სტამბის გამართვისა და წიგნების ბეჭ-

²⁴ ფონდი 110 „Спошение России с Грузией 1730 წ-სა. ანაწ. 1, საქ. 5, გვ. 1—3; Архив внешн. полит. России, ф. 110, опис. 1, 110/1, дело 5, с. 1—3.

დვის შესახებ. მაგრამ ვახტანგ VI-ს წამოწყება იმდენად გაქიანურდა მეფის რუსეთში, რომ ფაქტიურად ის განხორციელდა ვახტანგ VI გარდაცვალების შემდეგ. ამ დიდი ჩანაფიქრისა და იღვის განხორციელებაში დიდი დაშასხურება მიუძღვის ქრისტიფორე გურამიშვილს, ჩვენი დიდი თანამემამულისა და გენიალური მგოსნის დავით გურამიშვილის ძმას, სახელგანთქმულმა მესტამბემ ქრისტიფორე გურამიშვილმა ქართული წიგნის რუსეთში ბექდვის ორგანიზაციასა და მკვიდრ საფუძველზე დაყენებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა.

1737 წ. 17 ივნისის ოფიციალური დოკუმენტით ირკვევა, რომ პეტერბურგში ქრ. გურამიშვილს ადრე განცხადებით მიუმართავს მეცნიერებათა აკადემიისათვის ქართულ-რუსული ანბანის დაბექდვის შესახებ. დასახელებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „По указу ее и. в. Академии наук, слушав поданного новгородской епархии архиепископа грузинского монастыря Иоанна, Игумена Христофора доношения, в котором написано: желает он, чтоб соблаговолила Академия наук напечатать на российском и грузинском языках азбуки пятьсот экземпляров, которое грузинского языка наборное дело он исправлять будет сам“²⁵.

აქ მოსენებული არქივისკოპოსი ქრისტიფორე, როგორც დადგენილია, არის შემდეგ ცნობილი მესტამბე ქრ. გურამიშვილი.

ქართულ-რუსული ანბანის დაბექდვის საკითხი რუსეთში 1730-იანი წლებისათვის მომწიფდა ორი გარემოების გამო: 1. ვახტანგ VI ამალით ჩასვლის შედეგად ქართული კოლონიის გაფართოებით და 2. ქართული შრიფტის ჩამოსხმა-დამზადებით ქართული წიგნის ბექდვის ტრადიციის გაგრძელება-განვითარების თვალსაზრისითაც (არჩილ მეფის მიერ 1705 წ. მოსკოვში დავითნის გამოცემა). ცხადია, ქართული შრიფტის ჩამოსხმის გარეშე ქართულ-რუსული ანბანი ვერ დაიბექდებოდა.

მეცნიერებათა აკადემიას ქრ. გურამიშვილის თხოვნა დაუკმაყოფილებია. დასახელებულ „მასალებში“ დაცული მეორე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქრ. გურამიშვილს უკისრია და პეტერბურგში დაუმზადებია ქართული შრიფტის ნახაზები, ხოლო ვინმე ბიტნერს კიდევ განუხორციელებია მისი ჩამოსხმა²⁶. ქრ. გურამიშვილი თვით იყო ასოთამწყობი და, ბუნებრივია, მასვე უნდა აეწყო და ჩაესწორებია „ანბანის“ ქართული ტექსტი. გურამიშვილი განუყრელად იყო დაკავშირებული იოსებ სამებელთან. მათი ერთობლივი ზრუნვით განხორციელდა

²⁵ Материалы для истории Академии наук, т. III. 1886, с. 411.

²⁶ იქვე. გვ. 412.

ვსესვიატსკოეს ქართული სტამბის გამართვა და სტამბის ნაყოფიერი მუშაობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ 1960 წ. გამოქვეა მოსაზრება ა. აბრამიშვილმა, რომ „По внешнему виду и украшению (заглавный бордюры заставка) „Русско-грузинская азбука“ полностью напоминает оформление последующих грузинских церковно-богослужбных книг, вышедших из грузинской типографии в Москве в 1737—1744 г. г.“²⁷

ამრიგად, მოსკოვის ვსესვიატსკოეს სტამბა ქრ. გურამიშვილის მიერ დამზადებული ნახაზების მიხედვით, ხოლო პეტერბურგისა — ბიტნერის მიერ ჩამოსხმული „შრიფტით“ ყოფილა უზრუნველყოფილი²⁸.

მოსკოვის ქართველთა კოლონიის მესვეურნი ქართული სტამბის დაარსებისათვის იღვწოდნენ. სწორი და გამართლებული აღმოჩნდა ქართველ მოღვაწეთა ჩანაფიქრი, რუსეთში ქართული დამოუკიდებელი სტამბის შექმნისათვის რუსეთის იმპერიის უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო დაწესებულებასთან — პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიასთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და ახლო კავშირის დამყარების შესახებ. პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემია თანაგრძობით შეხვდა იოსებ სამებელისა და ქრისტ. გურამიშვილის 1736 წლის 10 დეკემბრის წინადადებას აკადემიის სტამბაში ქართული შრიფტისა და სტამბისათვის საჭირო სხვა ინვენტარის დამზადების შესახებ.

1736 წ. 15 დეკემბერს აკადემიამ დაავალა საგამომცემლო საქმის ნაშინდელ დიდ სპეციალისტებს ქართული სტამბის მოწყობილობისა და შრიფტის დამზადება. 1737 წ. მაისში უკვე მზად იყო ქართული

²⁷ Книга, исследования и материалы, Сборник, III, 1960, гл. 286; о. კ ა ს რ ა ძ ე, ძველი ქართული ნახევრი წიგნები, თბ. 1973, გვ. 63—65.

²⁸ არსებობდა ასეთი მოსაზრებაც, რომ თითქოს მოსკოვში თანასე თბილესი სტამბის გაუქმების შემდეგ „1786 წელს გაიხსნა ქართული სტამბა ს. პეტერბურგში, ქართველი ეპისკოპოსის გრ. ხარკაშნელისაგან, რომელიც გაზაფხილი იყო დასაბრუნებლად საქართველოში ვახტანგ მეფის და სხვადასხვა სამღვდელთა პირთაგან საქართველოდან გაზიდული საქართველოს ეკლესიის კეთვინლ სიწმინდეთა და სხვა ნივთთა“. რუსეთში სამუდამოდ დარჩენილმა ხარკაშნელმა დაბეჭდა რამდენიმე წიგნი; მათ შორის სახარება ქართული 1789 წელს (იხ. ეურნ. „ივერია“ 1884, № 3, გვ. 91). თ. უორდანიას ეს მცდარი მოსაზრება გაიზარეს ალ. ცაგარელმა და ზ. კიკინაძემ, ხოლო უარყო და არ გაიზიარა დ. კარიჭაშვილმა მან მეცნიერულად მიუღებლად ჩათვალა იგი 1929 წ. გამოცემულ თავის ნაშრომში „ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია“ (გვ. 97). კარგა ხანს ჩვენში ასევე საკმაოდ გავრცელებული იყო მცდარი და დაუსაბუთებელი მოსაზრება, რომ თითქოს ასევე ნოვგოროდსა და ვლადიმირში ქართული სტამბები არსებობდაო. მეცნიერულმა კვლევამ-ძიებამ ცხადყო და გააქარწყლა საფუძველშივე ეს მცდარი მოსაზრებანი.

სტამბის მოწყობილობა. ქრისტეფორეს მონაწილეობა ამ საქმეში, რე და გერმანულ ოსტატებთან ერთად, გადამწყვეტი იყო; გამზადებულ სტამბის გამოსახსნელად საჭირო იყო 313 მან. და 22 კაპ. ქრისტეფორეს ხელზე აღმოაჩნდა 270 მან. დანაკლისი თანხის ანგარიშში, ქრ. გვ რამიშვილმა აკადემიას პირობა მისცა: ახლო ხანში შეადგენდა ე საკუთარი ხარჯით დაბეჭდავდა ქართულ-რუსულ ანბანს, გრამატიკა: ლექსიკონით და აღნიშნულ წიგნთა გამოცემითა და რეალიზაციი გაისტუმრებდა აკადემიის ვალს.

მეცნიერებათა აკადემია ენდო ქრ. გურამიშვილს. სულ მოკლე ხა ში დაისვა რუსულ-ქართული ანბანის გამოცემის საკითხი. გაიცა ბრძ ნება შრიფტჩამომსხმელ საამქროს ქვეოსტატ ბიტნერისადმი ქართუ ლი შრიფტის ჩამოსხმისა და წიგნის გასაფორმებელი სასტამბო ნიშნ: ბის დამზადებაზე²⁹. ქრისტეფორეს ორჯერ წარუდგენია კალიგრაფი: ულად შესრულებული ქართული ანბანი და მოითხოვდა „ანბანის 500 ეგზემპლარის რაოდენობით გამოცემას. „ანბანის“ წიგნის რუსულ მონაკვეთი აუწყია რუს ოსტატ მიხეილ იაკოვლევს.

1737 წ. 22 იანვარს ქრისტეფორე მიმართავს მეცნიერებათა აკ დემიას და სთხოვს — დაარსების სტადიაში მყოფი ქართული სტამბის თვის საჭირო კვალიფიციური ახალგაზრდა მესტამბეების მომზადება ესენი იყვნენ: ივანე ივანეს ძე და დიმიტრი თედორეს ძე (რუსეთშ გადასახლებულ ქართველ დიდებულთა მსახურნი). პირველი შრიფ ტის შექმნის ხელოვნებას უნდა დაუფლებოდა, ხოლო მეორე — ბე ქდვის ხელოვნებას. მეცნიერებათა აკადემიამ ქრისტეფორეს ეს თხო ნაც დააკმაყოფილა და სათანადო დანდგენილებით გააფორმა. მოკოვში ახლად დაარსებული სტამბის ზედამხედველი და წიგნის გ მოცემის ფართოდ განათლებული ხელმძღვანელი, მაღალი რანგ: მწიგნობარი და მესტამბე ქრისტეფორე გურამიშვილი დიდი გულმოდ გინებით შეუდგა მოღვაწეობას ბაქარის ინიციატივით მოსკოვში ა ლად დაარსებულ ქართულ სტამბაში.

ქრ. გურამიშვილის დაუღალავი მოღვაწეობით 1737 წ. ზაფხულშ მოსკოვში დაარსდა პირველი ქართული სტამბა, სადაც ქრ. გურამ შვილის რედაქტორობით და ავტორობით პირველად დაიბეჭდა ს ჭირო სახელმძღვანელო „რუსულ-ქართული ანბანი“, ხოლო ამა: წლის დეკემბერში ი. სამებელის საფასითა და ქრ. გურამიშვილის თა: სნობით — „დავითნი“. ქრისტეფორეს ღვაწლი ამით — ქართულ სტამბის გამართვითა და მისთვის საჭირო შრიფტის დამზადებით არ ამოიწურება.

²⁹ ფრ. სიხარულიძე, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობ ისტორიიდან — მეგობრობა, გვ. 54.

ამ სტაბის „სადან-წარსაგებელი“ სამებელმა გაიღო და „გაყვითლა“ საბეჭდავი ესე და დაიბეჭდა წმინდა ესე „ზატყი“ მოსკოვს. ქს აქეთ

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | 32 | 33 | 34 | 35 | 36 | 37 | 38 | 39 | 40 | 41 | 42 | 43 | 44 | 45 | 46 | 47 | 48 | 49 | 50 | 51 | 52 | 53 | 54 | 55 | 56 | 57 | 58 | 59 | 60 | 61 | 62 | 63 | 64 | 65 | 66 | 67 | 68 | 69 | 70 | 71 | 72 | 73 | 74 | 75 | 76 | 77 | 78 | 79 | 80 | 81 | 82 | 83 | 84 | 85 | 86 | 87 | 88 | 89 | 90 | 91 | 92 | 93 | 94 | 95 | 96 | 97 | 98 | 99 | 100 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|-----|

სტრ. 34. დაბეჭდა. მოსკოვი. 1743.

ჩლდ (1738) წელს“. „ზატიკის“ ბოლო, 875, გვერდზე მიბეჭდილია და წარმოდგენილია ქრისტეფორე გურამიშვილის მიერ ზოგიერთი ავტობიოგრაფიული ხასიათის ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „...მებრძანა მე ყოვლად უღირსსა ბერს გურამიშვილს ხუცეს-მონაზონს ქრისტეფორეს სტამბის გაკეთება... და გავაკეთებინე სტამბა დიდითა გულის მონღინებითა... მაშინ ხელვყავ ...წიგნისა ამის ზატიკის ბეჭდურად, რუსულს ზატიკზედ უნაკლოდ რომ კ'დ მეკეთა, ვინაიდან ბრწყინვალედ განშუენებულყო ყოველნაირად საეკლესიოს რიგითა და წესითა; ვითარცა ბერძნის და რუსის წიგნები უცდომლად და უნაკლოდ ერთი იყო... მე რუსის წიგნის გამოცნობა და ტიბიკონის მიხდომა ვიცოდით... და მოვიღე ქართული ზატიკები და რუსის ზატიკს და ტიბიკონს ვანოწმე... რომელიც ჩვენში დაკარგული იყო ის რუსული ზატიკიდან გადმოვათარგმნინე ბატონიშვილის დარეჯანის კარის მღვდელს გიორგის და მისგან ნათარგმნს ხუცეს მონაზონ ზოსტეილს დავით დიდის გულსმოდგინებითა და გამოძიებითა, ჩვენს ენაზედ ასწორებდა და სიმართლეს სცდილობდა... არქიმანდრიტი გერმანე სჩხრეკდა და ასწორებდა“ (იხ. „ზატიკი“, 1738, მოსკოვი, რომლის ერთი ცალი ქრისტეფორეს გარეჯის უდაბნოსათვის ზედწარწერით შეუწერავს).


1739 წელს მოსკოვში დაიბეჭდა „სახარება“, „ბრძანებითა მეფის ბაქარის ვახტანგის ძისათა... კურთხევითა სინოდთა“, ეს სახარება დაიბეჭდა თბილისში 1709 წელს ვახტანგ VI ბრძანებით დაბეჭდილი „სახარებელს“ მიხედვით. „თვინიერ მისის საძიებლისა, საძიებელი რუსული ვამჭობინეთ ადვილად პოვნობისა და მიხვდომისათვის... მდაბალი ამათ მბეჭდავთა ზედამდგომელი ქრისტეფორე... სახარება გაიმართა ხელითა ტფილისის სიონელის გერმანეს ძმისწულის მღვდლის მოსესითა“.

ქრისტეფორე გურამიშვილის დეაწლი რუსეთში ქართული ანბანის ჩამოსხმისათვის და პირველად „რუსულ-ქართული ანბანის“ გამოცემა დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენაა რუსეთ-საქართველოს მეგობრობის დასადასტურებლად.

ამ ისტორიული მოვლენის 200 წლისთავი სათანადოდ აღნიშნა უფრანლაშა „В мире книг“, № 4 (1937 წ.), სადაც გამოქვეყნდა ბილერის წერილი — „ქართული ენის ანბანი რუსულით“ და წარმოდგენილია ფოტოპირი — „რუსული და ქართული ანბანი“. ამგვარად, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში 1737 წელს გამოიცა „რუსულ-ქართული ანბანი“, ხუთას ეგზემპლარად, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ ერთს მოუღწევია; იგი XIX ს-შივე უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ეს ბუნებრივიცაა. ამგვარი სასწავლო

წიგნი დიდ ხმარებაში იყო, ხელიდან ხელში გადადიოდა და მალე ნადგურდებოდა³⁰.

პიროვნება, რომელმაც ეს დიდებული ჩანაფიქრი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელშეწყობით განახორციელა, როგორც დავრ-



სურ. 25. ბაქარის ავტოგრაფი „ლაბადებს“ 1743 წ. გამოცემაზე.

წმუნდით, ცნობილი მწიგნობარი და სასტამბო საქმის დიდი ოსტატი ქრისტეფორე გურამიშვილი იყო³¹.

³⁰ ქრ. გურამიშვილის ანბანის დაბეჭდვის შემდეგ 1762 წელს პეტერბურგში ჩასული მეფე თეიმურაზ II-ის საზეიმოდ შესახვედრად, როგორც აღინიშნა, ქართულ ენაზე სტამბურად დაიბეჭდა საზეიმო შეხვედრის მოსაწვევი და დაიხატა თეიმურაზ მეფის სურათი ქართული წარწერით (იხ. ქართული წიგნი № 42).

პეტერბურგშივეა დაბეჭდილი ეკატერინე II-სა და ერეკლე II-ს შორის 1783 წ. დადებული ტრაქტატი რუსულ-ქართულ ენაზე და ეკატერინე II 1796 წ. მანიფესტი ზუბოვის სპარსეთზე ლაშქრობის გამო (იხ. ქართული წიგნი).

³¹ ქრისტეფორეს ბიოგრაფია ბურუსითაა მოცული. ვარაუდობენ, რომ იგი დიდი მგოსანის დეიო გურამიშვილის უფროსი ძმა, საგურამოს მკვიდრი, რომელიც

ფეოდალური პერიოდის ქართული წიგნების დიდი უმრავლესობა ნუსხახუცური შრიფტითაა დაბეჭდილი.

მეფის რუსეთში XVII—XVIII სს. მიჯნაზე რუსული საერო და საეკლესიო წიგნები მოსკოვში ე. წ. „კირილიცით“ იბეჭდებოდა ერთადერთ სტამბაში, რომელიც პატრიარქის გამგებლობაში იმყოფებოდა.

პეტრე პირველის რეფორმები — კირილიცის ნაცვლად საერო ანბანით წიგნების ბეჭდვა, სასტამბო მეურნეობის ახალ ტექნიკურ საფუძველზე გადაიყვანა და რელიგიურ წიგნებთან ერთად საერო-სამოქალაქო წიგნების გამოცემის დანერგვა, არსებითად. 1710-იანი წლებიდან ხორციელდებოდა.

1699 წლიდან 1705 წლამდე რუსულ ენაზე პოლანდიაში გამოცემული საერო წიგნები და თვით გაზეთი „ვედომოსტი“ (1702 წლიდან), სახელმძღვანელოები — „არითმეტიკა“, „ლოგარიტმების ცხრილი“ და ლიტერატურული, ისტორიული, სამხედრო და სხვა ხასიათის წიგნები ძირითადად საეკლესიო შრიფტით კირილიცით იბეჭდებოდა. ეს კი კმნიდა შეუსაბამობას ახალი წიგნების შინაარსსა და მის ბეჭდურ ფორმას შორის, რუსული კულტურის შემდგომი განვითარებისათვის მთელი სიწმევით აყენებდა საკითხს ამ წინააღმდეგობათა გადაჭრისათვის, რასაც მოყვა პეტრე პირველის 1710 წლის ბრძანება³².

სახლვარგარეთ ყოფნის პერიოდში პეტრე პირველს და განუყრელად თანმხლებ ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონს შესაძლებლობა ჰქონდათ ახლო გასცნობოდნენ ბეჭდვით სიტყვას, მის ძალასა და როლს ევროპის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისათვის. მათ მტკიცედ იწამეს მშობლიურ ენაზე ბეჭდვითი სიტყვის შემდგომი განვითარება.

წილენის ეპისკოპოსის ი. სამებელის სპეციალური ექვემდებარებოდა და, ჩანს, ი. სამებელთანვე მღვდლად მსახურობდა. ოსმალთა და ლეკთაგან გაპარტახებული ქვეყნიდან ქრისტიანთა მძა, დავითი, ტყვედ გაიტაცეს ლეკებმა 1730 წელს; როგორც ირკვევა, მასაც აღარ ედგომებოდა სამშობლოში და 1731 წ. იოსებ სამებელს გაუღია რუსეთში. ქრისტიანთა ამიერიდან განუყრელადაა დაკავშირებული სამებელთან. ისინი ერთად მოქმედებდნენ მოსკოვში, ნოვოროდში. პეტერბურგში, ესესვიატსკოეში. სამებელის სახელი შეაქვს მას განცხადება მეცნიერებათა აკადემიაში მის მიერ შედგენილი ქართულ-რუსული ანბანის გამოცემისა და ქართული შრიფტის ჩამოსხმის შესახებ, რაც 1737 წ. განხორციელდა. იგი განუყრელად იღვწის ესესვიატსკოეში სამებელთან ერთად ქართული სტამბის გამართვისა და წიგნების ბეჭდვისათვის; ხოლო ამ სტამბის დახურვის შემდეგ 1745 წლიდან არკიმანდრიტ პანოტთან, იერომონახ ეფრემთან და სხვ. ერთად მოღვაწეობას იწყებს ოსეთში ქრისტიანობის გამარჯვებულ კომისიაში. ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩა იგი სიყვლილამდე. გარდაიცვალა 1753 წლის 4 მარტს (იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 23, ა. როგავას წერილი).

³² Русская книга гражданской печати первой четверти XVIII века, М. Л.

რების საკიროება. პეტრემ ამ მიზნით კავშირი დაამყარა პოლანდიელ ვაჰართან იან ტესინგთან, რომელსაც იცნობდა არხანგელსკიდან, და საკონცესიო ხელშეკრულება გააფორმა 15 წლის ვადით რუსულ ენაზე წიგნების მთელი სერიის გამოცემის შესახებ. ეს კონცესია დაუყოვნებლივ გაფორმდა და სლავიანურ-რუსული (და სხვა) ენების შესანიშნავი მკოდნის, ვინმე ილია თედორეს ძე კობიევსკის თანამშრომლობით წარმატებით განხორციელდა.

1699 წ. აპრილში ამსტერდამში გამოიცა პირველი წიგნი „Введение краткое во всякую историю“.

1699—1706 წლებში რუსულ ენაზე მათ დასტამბეს 12, ხოლო ლათინურ ენაზე — 13 წიგნი, თავისი შინაარსით ისტორიის (1), ართნეტიკის (1), ასტრონომიის (1), სამხედრო საქმის (1), საზღვაოსნოს (1), საენათმეცნიერო (3), მხატვრულ-ლიტერატურული (1) და სხვა სასიათის.

1699 წ. მოსკოვში, ფიქრობენ პეტრეს დავალებითვე, დაწყეს სამხედრო საქმის შესახებ წიგნის ბეჭდვა რუსულად. რომელიც ნოემბერში გამოვიდა. 1702 წელს რუსულ ენაზე (დეკემბერში) გამოვიდა პირველი ორი ნომერი „Ведомости“-სა. 1703 წ. დაიბეჭდა არითმეტიკა. მოსკოვის სტამბაში XVIII ს. დასაწყისში დაიწყო საერო „პეტრეს წიგნების“ ბეჭდვა. „პეტრეს წიგნებთან“ ერთად იცემოდა რელიგიური კირილიცას წიგნებიც.

1714 წლიდან სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და მკაცრი სამხედრო დისციპლინის ზრდასთან ერთად მთავრობის განკარგულებები სტამბური წესით იბეჭდება.

პირადად პეტრეს ბრძანებები, აგრეთვე სენატისა და ზოგჯერ რომელიმე კოლეგიისაც კი 1714 წლიდან სტამბურადაა დაბეჭდილი. სამოქალაქო შრიფტით; თუ „ვედომოსტი“ დაარსებრსას, 1702—1710 წლებში, კირილიციით იწყობოდა, 1710—1714 წლებში შერევიით, ხოლო 1714 წლიდან სამოქალაქო შრიფტით იბეჭდებოდა.

1707 წ. 17 მაისს პეტრე I-მა პოლანდიაში გაგზავნა მის მიერ მოწონებული ნიმუში საერო ანბანის შრიფტის ჩამოსასხმელად, რომელიც თითქოს თვით პეტრეს მიერ იყო „გამოგონილი“. ამ ახლად გამოგონილ „Гражданская азбука“-ს მთელი ორი (1708—1710 წწ.) წლის განმავლობაში პეტრე I-ლი თავს დასტრიალებდა, რასაც შედეგად მოყვა „შრიფტის“ დიდო ცვლილება. საერო რუსული ანბანი პოლანდიაში 1708 წელს ჩამოსახა ასოთჩამომსხმელმა მ. ეფრემოვმა პეტრეს მიერ 1707 წელს გაგზავნილი ნიმუშის საფუძველზე. 1710

³³ Берков П. Н. Русская книга: кирилловской печати конца XVII, первой четверти XVIII века, М. 1954.

წელს წიგნის ბეჭდვის საქმე რუსეთში, ისე როგორც საქართველოში, განსხვავებით დასავლეთ ევროპისაგან, სამეფო ხელისუფლების პრე-როგატივად რჩებოდა. რუსეთში პირველი კერძო სტამბა ვ. კიპრიანო-ვისა 1705 წელს შეიქმნა, მაგრამ მან მალე შესწყვიტა არსებობა. მანამდე სტამბა (XVI—XVII სს.) მთლიანად სახელმწიფოს ხელთ იმ-ყოფებოდა.

1708—1725 წლებში დასტამბული რუსული წიგნები (რელიგიუ-რის გარდა) თავიანთი შინაარსით შემდეგ ჩატუვებად შეიძლება დაი-ყოს:

1. ბრძანებულებები და მთავრობის სხვა აქტები.
2. „ვედომოსტი“;
3. სასწავლო წიგნები;
4. სამხედრო და საზღვაო საქმეთა,
5. ისტორიული ხასიათისა;
6. თავადაზნაურთა კლასობრივი ვიწრო ინტერესების ამსახველი (მაგ., წიგნები ჰერალდიკაზე, გერბებზე, დაღებზე და სხვ., ყოფა-ქცე-ვათა შესასწავლად და სხვ.).
7. მხატვრული ლიტერატურა (ლექსები და მოთხრობები).
8. პოლიტიკური,
9. მედიცინის დარგთა და სხვათა შესახებ.

პეტრე I მიუხედავად იმისა, რომ რელიგიას, ეკლესიას საქმოდ სკეპტიკურად უცქერდა, თავის საეკლესიო პოლიტიკაში მხარს უჭერდა ეკლესიის ავტორიტეტის დაცვას ხალხის მასების მართვის, თავა-დაზნაურობისა და მისი სახელმწიფოს ინტერესების დაცვის თვალსაზ-რისით.

სამოქალაქო-საერო ბეჭდური წიგნების ენა XVIII ს-ის დასაწყის-ში იცვლება, ლექსიკა მდიდრდება, შემოდის უცხოური ცნებები. ამას-თანავე მიმდინარეობს ენის გახალხურების პროცესი (ადმინისტრაციუ-ლი, სამხედრო, საზღვაო და სხვა თანამდებობების სახელწოდებები).

პეტრე პირველი დიდ ყურადღებას აქცევდა უცხოურიდან წიგ-ნების რუსულად თარგმნას. მაგ., პირადად პეტრე გერმანულიდან თარ-გმნილ სასოფლო-სამეურნეო წიგნს უწუნებს მთარგმნელს და შენიშ-ნავს — ბევრი რამ გავრცელებულია, კაცს ღლის და არას არგებსო, უბრძანებს. — თარგმნე რაც საჭირო და აუცილებელია, რაც ღროს არ დაგვაკარგვინებსო³⁴.

პეტრე პირველი პირადად ასწორებდა ან ტოვებდა უცხოურიდან ნათარგმნ წიგნებში შემოტანილ ცნებებს, განმარტებებს და უხამებდა რუსულს, თათბირობდა მის მთარგმნელებთან. ანალოგიურია პროცესი ქართული ნაბეჭდი საერო წიგნის ენობრივი ევოლუციისა.

³⁴ Книга. Исследование и материалы (сборник), кн. 8, М. 1963.

XVIII ს. ქართულ ენაში მკვიდრდება რუსული სამხედრო და ადმინისტრაციული ტერმინები. გახშირდა რუსული წიგნების ქართულად თარგმნა და სხვ. წიგნის სასტამბოდ მომზადებისა და ტექსტის მეცნიერულად გამართვისათვის, მსგავსად პეტრე I-ისა, ვახტანგ VI ბევრს ზრუნავდა.

რუსეთ-საქართველოს შორის კულტურული კავშირისა და 1760—1770 წლების საბრძოლო თანამეგობრობის შემდგომი გაღრმავების თვისობრივად ახალ პერიოდად იქცა 1783 წ. გეორგიევსკში დადებული მეგობრობისა და მფარველობის ტრაქტატი. ამ აქტით ასევე გაძლიერდა რუსული და ქართული წიგნების გამოცემა, გაღრმავდა მთარგმნელობითი მუშაობა ამ ერთმორწმუნე ხალხის უმდიდრესი ლიტერატურული მემკვიდრეობის დაახლოება-გასაცნობად.

ამ მიმართულებით არჩილ მეფისა და ალექსანდრე არჩილის ძის შემდეგ დიდია ღვაწლი ვახტანგ VI, მისი ვაჟების ბაქარისა და ვახუშტისა. თანმზლები ამალისგან საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია იოსებ სამებელის, ქრისტეფორე გურამიშვილისა და სხვათა ღვაწლი, რომელიც მათ ქართული მწიგნობრობისა და სტამბის საქმეს შეაღიეს.

1705 წელს მოსკოვში „დავითნი“ თუ ამსტერდამიდან ჩამოტანილი შრიფტით უნდა დაბეჭდილიყო, ორი ათეული წლის შემდეგ ქრისტეფორე გურამიშვილის ოსტატობით, რომელსაც გვერდში განუყრელად ედგა შესანიშნავი მოღვაწე იოსებ სამებელი, 1736—1737 წლებში პირველად დაშაბდა და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში ჩამოისხა ქართული შრიფტი. მესტამბე ქრ. გურამიშვილმა ასევე. როგორც ითქვა, პირველმა შეადგინა ქართულ-რუსული ანბანი და დაბეჭდა კიდევ წიგნად ამავე შრიფტით 1737 წელს.

როგორც ჩანს, სწორედ ამ მოტივით ბაქარ ვახტანგის ძემ რუსეთის მთავრობას სთხოვა საეკლესიო წიგნების ბეჭდვის ნებართვა პეტერბურგში. ბაქარმა მიიღო წიგნების ბეჭდვის ნებართვა, მაგრამ არა პეტერბურგში, არამედ მოსკოვში (პეტერბურგში XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როგორც წესი, მხოლოდ სამეცნიერო წიგნების ბეჭდვა იყო გათვალისწინებული).

ქრისტეფორე გურამიშვილსა და იოსებ სამებელს პეტერბურგიდან გადმოაქვთ შრიფტი მოსკოვში და მკვიდრდებიან მოსკოვის გარეუბანში ვსესეიატსკოეში დარეჯან არჩილის ასულის სასახლეში, სადაც ახლად გახსნილი ქართული სტამბა ამუშავდა ქრისტეფორე გურამიშვილის მაღლიანი ხელით და მის მიერ ჩამოსხმული შრიფტის გამოყენების საფუძველზე.

მოგვიანებით, აკად. მ. ბროსეს თაოსნობით პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში შემუშავდა ახალი ქართული შრიფტი, ჩამოისხა ე. წ. აკადემიური შრიფტი. 1841 წ. დაიბეჭდა ვე-

ფხისტყაოსანი. იგი თბილისშიაც გავრცელდა იმ ხანად და იბეჭდებოდა სხვა წიგნები.

1866 წ-დან კი თბილისის ქართულ სტამბებში გავრცელდა ე. წ. ვენური შრიფტი, ანუ ვენაში დამზადებული შრიფტი (სახელიც აქედან დაერქვა).

3. მოსკოვში (დსანდიატსკოვს) ქართული სტამბის დაარსება
გაპარის მეთაურობით

მოსკოვში ქართული წიგნების სასტამბოდ მომზადებისათვის პირველი ნაბიჯები ვახტანგ VI-ს გადაუდგამს, მაგრამ შემდეგში. სახელმწიფო საქმეებით უგადატვირთულ მეფეს ამ დიდი საქმის ხელმძღვანელობა თავისი ვაჟის ბაქარისათვის დაუკისრებია.

ბაქარმა თავის მხრივ დიდი ამაგი დასდო ქართული წიგნის გამოცემასა და სტამბის ორგანიზაციას, მან დაიახლოვა ყველა, ვისაც კი რაიმე წვლილის შეტანა შეეძლო ამ საქმეში, იოსებ სამებელის, ქრისტეფორე გურამიშვილისა და სხვათა მეთაურობით. ვახტანგ VI სიცოცხლეშივე 12 სახელწოდების წიგნი მომზადდა სასტამბოდ. მაგრამ არც ერთს სტამბურად დაბეჭდვა მეფის სიცოცხლეში არ ღირსებია (მეფე ვახტანგი გარდაიცვალა 1737 წ. 25 მარტს).

1737 წ. მოსკოვში, ვსესვიატსკოვში, დაარსდა ქართული სტამბა. ამ დროს მოსკოვის სახაზინო სტამბასა და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბას ქართული შრიფტი უკვე ჰქონდათ³⁵.

ამ რთული საქმისთვის საჭირო ხარჯების გაღება იოსებ სამებელმა იკისრა, ხოლო სტამბის გაკეთება და ამოქმედება ქრისტეფორე გურამიშვილის განუხორციელებია, ამის შესახებ იოსები შემდეგს გვაუწყებს: „კახეთის მწიგნობართუხუცესის ქვაბულის ძის რამაზის ძემან იოსებ. ვიღვაწე და მოვიყვანე საფასითა ჩემითა სტამბა ესე, ფრიადითა შრომითა და თანა შემწეობითა გურამიშვილის ქრისტეფორესითა“³⁶. მოსკოვის ქართული სტამბა გაიხსნა ვახტანგ VI ძის ბაქარის მეთაურობითა და მზრუნველობით.

იოსებ სამებელის ცნობით ირკვევა, რომ მოსკოვის ქართულ სტამბაში 1737 წლის 22 დეკემბერს პირველ წიგნად დაუბეჭდავთ „დავითნი“. ამ წიგნის გამმართველად ბერი ქრისტეფორე და მღვდელი გიორგი დავითაშვილია დასახელებული. 1738 წლის დეკემბერში (22) დაუბეჭდავთ თეოფანე პროკოპოვიჩის წიგნი „პირველ-სასწავლო ყრმათა,

³⁵ ი. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები, თბ., 1973, გვ. 62—63.

³⁶ ქართული წიგნი, ტ. 1, გვ. 35.

რომელთა შინა არს ანბანი და დაწყობა ასოთა“, რომელიც ალექსანდრე არჩილის ძეს რუსულიდან უთარგმნია, აგრეთვე მოკლე თარგმანი „შჭულისა, ათთა მცნებათა“, „ვედრება უფლისა“, „აღსარება სარწმუნოებისა და ცხრანი ნეტარებანი“ (ეს უკანასკნელი არჩილ II-ის ასულ დარეჯანის მოლარეთუხუცეს გაბრიელ ჩხეიძეს უთარგმნია რუსულიდან — ა. ი.). გარდა აღნიშნულისა ქრისტეფორეს დიდი წვლილი შეუტანია მარხვანის ტექსტის დადგენის საქმეში³⁷.

1743 წელს ამავე სტამბაში პირველად დაიბეჭდა „ბიბლია“, დაბადების ქართული ტექსტი³⁸.

1744 წელს ~~ესესგიატსკოვში დაიბეჭდა „უამნი“~~ და იოანე დამასკელის „გარდმოცემა უცილობელი მართლმადიდებლისა სარწმუნოებისა“, არსენ იყალთოელის თარგმანი — „მიუწვდომელობისათვის ღვთისა“³⁹. ასეთია არასრული სია მოსკოვის ქართულ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებისა.



„დაბადების“ პირველი ქართული გამოცემა მოსკოვში

ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში, ვახტანგ VI თაოსნობით თბილისში 1712 წელს ვეფხისტყაოსნის სტამბურად გამოცემის შემდეგ, „ბაქარის ნაჭირნახულევი“ პირველნაბეჭდი „დაბადების“ (ბიბლიის) 1743 წლის გამოცემა მოსკოვში მეტად დიდ მნიშვნელოვან მოვლენად წარმოგვიდგება.

„დაბადების“ შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ნაწილები, ბერძნულიდან ქართულად თარგმნილი ხელნაწერი წიგნები, IV საუკუნეიდან ვრცელდებოდა და მკვედრად ღვებოდა წარმართობიდან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე ახლად მოქცეული საქართველოს აღმავალი

³⁷ თუ როგორ პირობებში და ვის მიერ ითარგმნა „მარხვანის“ ტექსტი რუსულიდან, რა აკლდა რუსულ-ქართულ ტექსტს და როგორ შეაესეს და გამართეს ტექსტი ვახტანგ VI სტამბანი დაბეჭდილი წიგნის მოწვევლებით, — ანდერძში ვკითხულობთ: „შაშინ ხელყუავით წესა ამის მარხვანისა მე უღირსმან ქრისტეფორემ და კურთხეულის მეფის არჩილის ასულის დარეჯანის კარის დეკანოზმან გიორგი დამბარაშვილმან. მოვიღეთ რუსული მარხვანი და ჩვენის ენისა და როგორც რუსული ტიპოგონი და რიგი უჩენდა, ისე იმ რუსულს მარხვანზე ვასწორეთ და ისე შევკრიბეთ ნუსხითა ამ ჩვენს მარხვანში სამწუხრო და საციკრო მუხლნი ზოგი მთლად ეწერა და ზოგს სძლისაირს მუხლს აკლდა... და როცა ჩვენი საწინასწარმეტყველო ვისმოკნეთ თბილისს ქალაქს დაბეჭდილი. შერამ სრულ იმაზე ვაბეჭდვიეთ ვასწორებელი იყო და იმას მიყუევით“.

³⁸ ქართული წიგნი, 1941, გვ. 37.

³⁹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, გვ. 37.

ფეოდალური საზოგადოების იდეურ-სარწმუნოებრივი კრედოს ფორმირების სამსახურში.

მაგალითად, V საუკუნეში, ვიდრე იაკობ ხუცესის „წმინდა შუშანიკის წამება“ დაიწერებოდა, ქართულ ენაზე უკვე თარგმნილი იყო ძველი და ახალი აღთქმის არა ერთი და ორი წიგნი; ამ წიგნთაგან მართლმორწმუნე შუშანიკს, ვარსკენის მეუღლეს, პირადად ჰქონია ევანგელე — სახარება, პავლეს ეპისტოლენი, „ასერგასნი ფსალმუნნი“ (დავითნი) და „მოწამეთა წიგნი“⁴⁰. აღნიშნული თარგმანები ქართულ ენაზე სისტემატურად იხვეწებოდა, დროთა სრბოლაში უმჯობესდებოდა და თავისი სრულყოფით მოგვიანებით ბერძნულსაც კი ეცილებოდა.

უფრო ადრე, აზჩილ მეფის (422—432 წწ.) შვილის მირდატის მეუღლემ „საგდუბტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი, რა-მეთუ ქმარმან მისმან მოგუარნა კაცნი სჯულის მეცნიერნი და უთარგმნეს სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესიო“⁴¹. ასე გრძელდებოდა მეთუ საუკუნეებმდე — პროცესი ბერძნულიდან ქართულად თარგმნისა. მეთუ საუკუნეში ქართული ენა დიდი ხანია გასწორებულა. ბერძნულთან — და ეს იქამდე, რომ ისინი ორნი დანი არიან... მოგვიანებით ქართულს უპირატესობა აქვს მინიჭებულ, რადგან „ყოველი საიდუმლო ამასა შინა დამარხულ არსო“⁴².

აზრივად, „დაბადების“ ქართულად თარგმნის ადრე დაწყებული პროცესი ესაა მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლის ათვისების, მისი ქართული ფეოდალური საზოგადოების ყოფასა და სინამდვილესთან შერწყმა-მისადაგების ისტორიული პროცესი. „დაბადების“ ხელნაწერ ქართულ წიგნთა რედაქტირებაზე, მისი სრულყოფისა და ტექსტუალურად მეცნიერული სიზუსტით დადგენისავე იყო მიპყრობილი მთელი ყურადღება როგორც საქართველოში არსებული, ისე საზღვარგარეთის სახელგანთქმული არა ერთი ქართული სამონასტრო ცენტრის მძლავრი მთარგმნელობითი კერებისა, მათი უაღრესად მაღალკვალიფიციური რედაქტორ-მთარგმნელების, ფილოსოფოს-ფილოლოგთა და გამოჩენილ კალიგრაფ-გადამწერთა დაუცხრომელი შრომა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ჩვენ აქ ერთ მაგალითზე შევჩერდებით.

გიორგი მთაწმიდელს სახარების ქართული ტექსტი ბერძნულთან საგულდაგულოდ შეუჭერებია და ხელახლად საბოლოოდ გაუმართავს. ამის შემდეგ გიორგი მთაწმიდელი სახარებაზე თანდართულ ანდერძში ლოცვით იბარებს: „ვინცა ვინ დასწერეთ, ვითა აქა ჰპოვოთ, ეგრე

⁴⁰ ქ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, გვ. 37.

⁴¹ ქართლის ცხოვრების მარამისეული რედაქცია, გვ. 120.

⁴² იხ. იოანე ზოსიმე, გადაწერილი ქებაჲ ქართლისა ენისა — პ. ინგოროყვა, — კავკასიონი, 1924, № 1—2.

დაწერეთ, თუ ამისგან ჭერ-გიჩნდეს დაწერა, ღმრთისათვის სიტყვათა-
ნუ სცვალეთ, არამედ ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ“. „ბიბლიის“
ხელნაწერი ტექსტის მეცნიერულად დადგენისადმი ესოდენ დიდი ყუ-
რადღება არასოდეს არ შენელებულა და მისგან ოდნავი შერყევნა-გა-
დაზვევა მკრეხელობად და ცოდვად ითვლებოდა.

ქართული მწიგნობრული მთარგმნელობითი კულტურის ესოდენ-
ღრმა მეცნიერულ საფუძველზე X საუკუნეში თვისობრივად ახალი-
მკვიდრი ნიადაგი შემზადდა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენის გან-
ხორციელებისათვის. ოშკის დიდ ლავრაში 978 წელს დასრულდა
უძვირფასესი ხელნაწერი, „ოშკის ბიბლია“, რომელიც 2000 გვერდს
შეიცავს. „დაიწერა წმინდა ესე წიგნი ლავრასა დიდსა ოშკს. სალო-
ცველად სულკურთხეულისა თორნიკე სენგელოზისათვის და შეილთა
პისთა“. ოშკის ბიბლია მის დამკვეთს, თორნიკე ერისთავს, შეუწირავს.
ახლად დაარსებული ათონის ივერიის მონასტრისათვის.

1849 წელს ეს ძეგლი მცირე ხნით ათონიდან თბილისში ჩამოიტანა.
ცნობილმა მოღვაწემ და მეცნიერმა პლატონ იოსელიანმა. ბიბლიის
მთელი ტექსტი გაამრავლეს ორ ცალად და დაუბრუნეს ივერიის მო-
ნასტერს, სადაც ინახება.

ოშკის ბიბლია ახლოს დგას იერუსალიმისა და მოგვიანებით სულ-
ხან-საბა ორბელიანის მიერ გამართულ ე. წ. „მცხეთურ ბიბლიასთან“.
რაც შეეხება ბაქარის 1743 წ. ბექდურ ბიბლიას, იგი, რასაკვირველია,
ემყარება და იყენებს ბიბლიის ქართულ ტექსტებს, მაგრამ უმეტეს-
წილად შეჭერებულია სლავურ ბიბლიასთან.

XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, როცა საქართველოში და მის
საზღვრებს გარეთ სტამბის გამართვისათვის მეფე-ღიღებულთა გატა-
ცება და მოღვაწეობა გააქტიურდა, მომწიფდა იდეა „დაბადების“ ტექს-
ტის მეცნიერულად გამართვისა და სასტამბოდ მომზადებისათვის. რუ-
სეთში გადახვეწილი არჩილ მეორე და ვახტანგ VI ამ საქმის განხორ-
ციელებისათვის ბევრს ცდილობდნენ და დიდი მოსამზადებელი მუშა-
ობაც განახორციელეს. მაგრამ ვერ მოახერხეს გამოცემა და ამ საქმის
ხორცუმსხმა ვახტანგ VI-მ თავის ღირსეულ ვაჟებს, ბაქარსა და ვახუშ-
ტი ბატონიშვილს დააქისრა.

სახელოვანი მეცნიერი და დიდი მწერალი სულხან-საბა ორბელია-
ნი დაუღალავად მუშაობდა ბიბლიის მეცნიერულად გამართვასა და
რედაქტირებაზე, ე. წ. „მცხეთური ხელნაწერის“ მოსამზადებლად
(A-51 ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექციის სახით), იგი 1982—1986
წწ. ხუთ ნაკვეთად გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერება“.

„დაბადების“ მაღალ მეცნიერულ დონეზე მომზადება (მისი გა-
მართვა, კრიტიკულად შეჭერება ბერძნულ და, მოგვიანებით, სლავურ

თუ სხვა ენებზე არსებულ ბიბლიასთან) არასოდეს დღის წესრიგიდან არ მოხსნილა და იგი საუკუნეების განმავლობაში ღრმავდებოდა.

არსებითად ეს იყო ბუნებრივ-ისტორიულად რთული კულტურული-იდეური პროცესი ბიბლიის ქართულ სინამდვილესთან, მას ენასთან, ყოფასა და რელიგიურ-იდეურ მრწამსთან ორგანულად შერწყმა-დაახლოებისა. მართლაც, ქართულ ენაში მთელი თავისი სრულყოფით აისახა წმინდა სამღვთო სამეფო წიგნის — ბიბლიის ქართული სახელწოდება — „დაბადება“.

„დაბადების“ ბეჭდურად გამოცემაზე, როგორც აღვნიშნეთ, ზრუნავდნენ მეფე არჩილი, ვახტანგ VI, საბა-სულხან ორბელიანი და სხვ. 1730—1740 წლებში მოსკოვში მყოფ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა წინაშე, როცა არცერთი დიდი მათი წინამორბედი ცოცხალი აღარ იყო, დაბადების ქართულად დაბეჭდვა გადაუდებელ პრაქტიკულად განსახორციელებელ ამოცანად იქცა ბაქარის თავკაცობით და დიდი შეცნეირ-ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის თანადგომით. ბაქარის შითითებით, ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიიღეს იოსებ სამეხელმა, ქრისტეფორე გურამიშვილმა, მეფის მდივან-მწიგნობარმა მელქისედექ კავკასიძემ და სხვ. მათ შორეულ რუსეთში შემეჭიდროვებულ ვადებში შექმნეს ქართული სტამბა. საბოლოოდ ვახუშტისა და ბაქარის მიერ კარგად გამართული ტექსტი „დაბადებისა“ დაიბეჭდა ი. ქვაბულიძის სტამბაში, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს „დაბადების“ გამომცემელი ბაქარი წიგნის წინასიტყვაობაში.

ვახუშტი ბიბლიის გამოსაცემად მის მიერ გაწეული რედაქტირების ხასიათის შესახებ გვაუწყებს:

„...და რომელიც აკლდეს, მოუმატეთ, ვითა განმართულ იყო რუსთაგან. თავ-თავად და მუხლ-მუხლად და სიტყვანი შეეცვლილენი, რომელიცა ქართულსა ენასა ზედა უმჯობე იყო, ეგრეთ დაუტევეთ. და ნადირთა მხეცთა, თევზთა, ხეთა სახელნი, რომელიცა ვერ ვსცანით ანუ საკუთარნი, ეგრეთვე დავსხენით. სხუანი ყოველნივე განვმართეთ და შევასრულეთ ვითა ძალ გუვედვა“. ვინაიდან ი. სამეხელი ბიბლიის ამგვარად რედაქტირების წინააღმდეგი ყოფილა, ამიტომ იგი საერთოდ არ იხსენიება.

ანდერძში ვკითხულობთ: დაიბეჭდა „დაბადება მოსკოვში დაბავსესიოტსკში ბრძანებითა მეფე ბაქარისათა, მღვდელ-მონაზონი ქრისტე გურამიშვილი. მელქისედექ კავკასიძე, თავებად და მუხლებად დაყოფა ბატონიშვილ ვახუშტისათა“⁴³.

⁴³ ხელნაწერთა ინსტიტუტში თ. ყორღანაიას ფონდის 392/92 საქმეში დაცულ 3. კარბელაშვილის რეველის 29 გვ-ზე ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების აღწერათა შორის ბიბლიის შესახებ ვკითხულობთ: „პირველი ფიქრი ნაწილ-ნაწილ

ბაქარი საქართველოში დასაბრუნებლად ემზადებოდა 1740-იან წლებში. საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა ბიბლიის გამოცემის მთელი ტირაჟის მესამედი საქართველოში თან წამოეღო. მან ამ მიზნით სათანადო ყუთებიც კი დაამზადებინა. ბაქარი ამ დროს რუსთ ხელმწიფეს უკანვე უბრუნებდა ნაბოძებ ყმა-მამულებს, სასახლეებს, ქარხნებს, მაგრამ, როგორც დაბადების არშიაზე მიწერილი ერთი კინკლოსი (მინაწერი) გვაუწყებს, „განუგრძდა მწირობა“ და მწირობაშივე 1750 წელს გარდაიცვალა.

უწმინდესი და უდიდესი წიგნის დაბადების ქართულად დაბეჭდვა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, გარდა იმისა, რომ ცხადყოფდა სტამბური წიგნის დიდ უპირატესობას ხელნაწერ წიგნთან შედარებით, თანდათანობით აღრმავებდა წიგნის კასტურ-წოდებრივი კარჩაკეტილობიდან თავდაღწევით ხალხთან მისი მიახლოვების შეგნებას. ამ გზით საქართველოშიაც იწყებოდა და ღრმავდებოდა წიგნის გავრცელების თვისობრივად ახალი ეპოქა⁴⁴.

ბაქარი 1743 წლის დაბადების გამოცემის წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავდა მეფე არჩილის ღვაწლს, რომ ერთად შეეკრიბა „წიგნად და წიგნად რომელიმე დაკარგულ და დაკლებული... და მწერალთა მიერ გარყვნილი“ დაბადების ნაწილები „შეეწყო ერთად და ნაკლულევანიცა ეთარგმნა“, რომ „დედანი დამთხვეოდა“ ორიგინალს. ბაქარის ცნობითვე, არჩილის შემდეგ „მამამან ჩემმა, მეფემან ვახტანგინება სამეფოსა თვისსა ქალაქსა ტფილისსა წიგნისა ამის აღბეჭდვად და მოიყვანა მესტამბე ვლახეთით, გააკეთებინა სტამბა. რეშავა, დაღვრა... მაგრამ არცაღა ამას სცა ჟამმან და დრომან ამომან დაქტევაღმან და დაუშთა შეუსრულებლად“.

წიგნებად დაფანტული დაბადების ერთ წიგნად შეკრება და გასწორება ეკუთვნის მეფე არჩილს: მოაგროვა კიდეც, მხოლოდ ვერსად იპოვა წიგნი ზირაქისა და მაკაბელთა, იგი იძულებული იყო ეთარგმნა ახლად.

არჩილის ძმისწულმა ვახტანგმა მოინდომა წიგნთა ბეჭდვის გამართვა, რომ საღმრთო წიგნნი დაეცა გადაწერთა მიერ გაფუჭებისაგან... დაბეჭდა: სახარება, სამოციქულო, დავითნი, კონდაცი, კურთხევანი, ლოცვანი და ეპინი. აქ დაიბეჭდა 1712 წ. „ეფთხისტყალსანი“. შემდეგ დაწევა და ეხლა ძნელი საშოვნელიდა. ეს წიგნთა საბეჭდავი თათართ შემუსრეს. ვახტანგი სამღვდლოებით გადავიდა რუსეთს 1724 წ. ვახტანგის ფიქრი შეასრულა ბაქარმა ძმებით. ესეუიოატსკში გამართეს სტამბა და ჩააბარეს არხიეპისკოპოსს იოსებ სამებელს, ასწავლეს ასოთამწყობობა ქართველ მღვდლებს, ბერებს და იწყეს ბეჭდვა 1743 წ. დაბეჭდეს სრული დაბადება აღექსანდრიულს ქალაღლზედ“.

44 1884 წელს თბილისში ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა დაბადება. მის წინასიტყვაობი ვკითხულობთ: „წმინდა დაბადება ესე იქმნა აღბეჭდილი პირველად სამეფოსა ქალაქსა მოსკოვის. დაბასა სესეუციასასა, 1743 წელსა, მეოხებითა დავითიან-სლოლომონიან ბაგრატიონის ბატონიშვილის ბაქარისათა“.

ბოლოს ბაქარი დასძენს, რომ „მოსკოვს გავაკეთე სტამბა ახალი. მოვიღე მეფის არჩილის ნამუშევარი, ხელით წერილი, დაბადება და შთავამოწმეთ დედანსა ფრიად კეთილსა ბერძენთა სარწმუნოსა განვმართეთ ახლად, ყოველივე სიტყვა მეტ-ნაკლები, ესხედ უნაკლოდ, რომელ არღარა უადრეს საგონებელ არს სხვათა ბიბლიათასა“.

ისმის კითხვა, სლავური ბიბლიის რომელი ტექსტით ისარგებლეს, ან რა ტექსტი დაედო საფუძვლად ბაქარისეული ბიბლიის რედაქციას! ეს არაა გარკვეული.

„დაბადება“ დაბეჭდილია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე თეთრ ალექსანდრიულ ქაღალდზე. ტექსტუალურად უმნიშვნელო ზოგი უზუსტობის მიუხედავად ბაქარ მეფეს ნამდვილად შეეძლო ეთქვა, რომ „დაბადების“ ეს გამოცემა „არღარა უადრეს საგონებელ არს სხვათა ბიბლიათა: ანუ ებრაელთა, ანუ ელენთა, ანუ ასურთა, ანუ ბულღართა, ანუ სომეხთა და სხვათა ყოველთა“.

ამ წმიდა და დიდი წიგნის გამოცემით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ერთგვარად შეჭამდა ამავე საუკუნის დამდეგს თბილისში ვახტანგ VI მიერ დაარსებული სტამბისა და მისი ზოგი მუშაკის — მაგ. ქ. გურამიშვილის, ბაქარის და ვახუშტი ბაგრატიონების ზრუნვა დიდი ქართული წიგნის მეცნიერულად გამართვისა და ბეჭდვის მაღალი კულტურისათვის. მოსკოვში გადახვეწილი მოღვაწეები, ქართველი მწიგნობრები, ქართული წიგნის ბეჭდვის ტრადიციებზე დაყრდნობით, შემოქმედებითად ჩაწვდნენ და ქართულთან ერთად ათვისეს რუსულ-ევროპული პოლიგრაფიული ტექნიკა და წიგნის მხატვრული გაფორმების უახლესი, ტექნიკური ელემენტები, რამაც „დაბადების“ გაფორმებაშიაც იჩინა თავი. „დაბადების“ 1743 წ. გამოცემა თავისი მხატვრული ილუსტრაციებით საგრძნობლად მაღლა დგას ადრე გამოცემულ წიგნებზე.

მასში წარმოდგენილია ბაგრატიონთა სახელმწიფოს ღერძი — უაღრესეშთი უმართული ლომების გამოსახულებით, რომელთაც თათებით უპირავთ ქვაკუთხედში ჩასმული წარწერიანი კვართი, ხოლო ქვემოთ სკიპტრა — სიმბოლო უფლებამოსილებისა და სასწორი მართლმსაჯულებისა, დავითის ქნარის, ხმალ-სატევრისა და შურდულის გამოხატულებასთან ერთად. მთელი ეს კომპოზიცია შეკრულია ქართული სამეფო გვირგვინით და ჰერალდიკის ზოგიერთი ნიშნით. რელიეფურადაა წარმოჩენილი ქართული სამეფოს ბაგრატიონთა დინასტიის კულტურულ-პოლიტიკური ტრადიციები, მისსავე ძირძველობაზე მინიშნებით; ამრიგად წარმოჩენილია თვით „დაბადების“ გამოცემა, როგორც მეფეების: არჩილ მეორის, ვახტანგ VI და მის ძეთა — ვახუშტისა და ბაქარის მზრუნველობით ხორცშესხმა, მათი მოღვაწეობის შემადგენ-

ლი ლოგიკური და კანონზომიერი მოვლენა, ვინაიდან იგი ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ცივილიზაციისა და ფეოდალური ქართული ეროვნული კულტურის ისტორიის ერთ-ერთი ფასდაუდებელი ძეგლია.

ბიბლიისადმი მეცნიერულმა დამოკიდებულებამ საფუძველი გამოაცალა ჩვენი გაბატონებულ ნეგატიურ შეხედულებებს, რომლის მიხედვითაც ბიბლია თითქოს შეიცავს მხოლოდ წინააღმდეგობებით აღსავსე მისტიკურ ცრუმორწმუნეობრივ, ირაციონალურ-მითიურ, არაფრის მომცემ ლეგენდარულ ამბებს და ამდენად ბიბლია — ძველი და ახალი აღთქმა მთლიანად უარყოფით წიგნად ცხადდებოდა.

უკანასკნელ ხანებში განხორციელებულმა დიდმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა გააბათილეს და გაფანტეს ბიბლიისა და მისი შემადგენელი წიგნებისადმი ამგვარი ცალმხრივი ანტიმეცნიერული დამოკიდებულება.

მეცნიერულმა კვლევამ ცხადპყო, რომ ბიბლიაში მეტ-ნაკლებად ასახულია უხსოვარ დროთა ნამდვილი ისტორიის მრავალი ფურცელი. ზენონ კოსიდოვსკის სიტყვით რომ ვთქვათ, ბიბლია „ათასი ძაფითაა დაკავშირებული მრავალი ხალხის კულტურასთან“. სწორედ ამიტომაც ბიბლია მსოფლიო ლიტერატურისა და მწიგნობრობის ერთ-ერთი შედეგრი და უდიდესი ძეგლი.

სრულებითაც არაა შემთხვევითა ისტორიულად ჩვენი მამა-პაპის გულისხმიერება ბიბლიისადმი. ცნობილია, რომ მეოთხე საუკუნიდან მოყოლებული ისინი უმეგალითოდ დიდ ზრუნვასა და დაუცხრომელ შრომას ეწეოდნენ ქართულ სამონასტრო ცენტრებში ქართულ ენაზე ბიბლიის თარგმნის საქმეში⁴⁵.

ეს ტიტანური შრომა დაედო საფუძველად ბიბლიის, ანუ ქართულად „დაბადების“ ცნების ექვივალენტური თავისთავადობის აღიარება-დამკვიდრებას (ტექსტოლოგიურად), მისი სრულყოფით გაქართულებისათვის.

1743 წლის 7 მაისს დამთავრდა დაბადების ანუ მეფეთა წიგნის დაბეჭდვა. ეს იყო პირველი შემთხვევა ბიბლიის ქართულად დაბეჭდვისა, არჩილ მეფისა და ვახტანგ VI დაწყებული დიდი საქმის, მათი ოცნების ხორცშესხმისა. ბაქარი და იოსებ სამებელი ბევრს ეცადნენ დაბეჭდილი ბიბლიის მესამედის, 100 ცალის საქართველოში გამოგზავნას, მაგრამ ეს სხვადასხვა მიზეზთა გამო მაშინ განუხორციელებელი

⁴⁵ ურნ: „საბჰოთა ხელოვნება“, № 8, 1980. ფ. სიხარულიძის წერილი ბაქარის ნაპირნახულევი. გვ. 90; ს. ყუბანეიშვილი, რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. X, გვ. 228—232.

დარჩა. სინოდმა მოიმიზეზა, რომ თითქოს არ ყოფილა ბიბლიის ქართულად დაბეჭდვის შესახებ სინოდის ოფიციალური ნებართვა. 1747 წელს ამის გამო ბაქარმა საკირო განმარტებაც კი დაწერა. ასი ცალი ბიბლიის საქართველოში გაგზავნა, რაც ბაქარის გარდაცვალების (1750 წ.) შემდეგ მოხერხდა, 1761 წელს განხორციელდა ბაქარის ძმის გიორგის მზრუნველობით.

ესევეიატსკოეს სტამბაში ქართული წიგნები სინოდის ცენზურის მკაცრ კონტროლქვეშ იბეჭდებოდა; კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ ქართული საეკლესიო წიგნები რუსულის შესატყვისი ყოფილიყო. 1740 წლიდან აკონტროლებდნენ ყოველ ქართულ გამოცემას და მის ტირაჟს. მკვლევართ დასაშვებად მიაჩნიათ ისიც, რომ ბაქარის სტამბაში სინოდის ნებართვის გარეშე წიგნის დაბეჭდვისათვის ბრალდება (გნებავეთ ასეთის მცდელობაც კი) შეეძლოთ გამოეყენებინათ სტამბის გაუქმებისათვის. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1737 წ. მოსკოვში დაარსებული სტამბა მუშაობას 1745 წელს წყვეტს, მაგრამ 1749 წ-დე იგი ადგილზე საეხებით უსაქმოდ იმყოფებოდა.

1749 წელს მოსკოვიდან ყიზლარში მოემგზავრება და იმავე წლის 1 სექტემბერს გზად მომავალი იოსებ სამებელი სარატოვში გარდაიცვალა, ხოლო 1750 წელს კი ბაქარი. ამავე პერიოდში უკვე გაუქმებული სტამბა ადგილიდან უკვე დაძრულა და ზეღადებით დღესაც არაა გარკვეული, თუ რა ბედი ეწვია მას.

არსებობს სხვადასხვა მოსაზრებანი. მაგალითად, ესევეიატსკოეს სტამბის მოწყობილობა თითქოს ათანასე ამილახვარს სინოდის ნებართვით 1762 წ. მოსკოვში გახსნილ სტამბაში გადაუტანია და ამ გზით მას „გაუმართია ახალი სტამბა“⁴⁶.

რუსი მეცნიერის ვ. სოფიკოვის აზრით თითქოს ქართული სტამბის მოწყობილობა 1755 წელს მოსკოვიდან პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში გადაუტანიათ. გამოითქვა სხვა სავარაუდო მოსაზრებაც, რომ თითქოს ათანასემ სტამბის მთელი მოწყობილობა პეტერბურგიდან ისევ მოსკოვში დააბრუნა, სადაფ 1762 წ. გაიხსნა ქართული სტამბაო.

ამთგან ყურადღებას იპყრობს პ. კარბელაშვილის ზემოთ დასახელებულ რვეულში დაცული მასალები. იგი გვაუწყებს, რომ სარატოვში გარდაცვლილ სამებელს ასტრახანში დაკრძალვისას თან აღმოაჩნდა ქონება: 30 მანეთი ფული, ქართული სტამბის ასოები და წიგნები. მათ შორის 701 ეგზემპლარი „ქართული ანბანი“ და „კონდაცი“; სტამბის საბეჭდი დოზგები და სხვ. ანდერძით იოსებ სამებელს სტამბა და ერთი სახარება გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრი-

46 დ. კარიკაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია, 1929, გვ. 58.

სათვის დაუტოვებია, ვერცხლის საცეცხლური ალავერდისათვის, ხოლო წიგნები თავისი დისთვის; „სხვათა ხელი არა აქვთო“ — წერს სამე-ბელი⁴⁷. რაც შეეხება მის დანარჩენ ქონებას, სამებელს იგი მოსკოვში ზეცხოვრებ თავისი ძმისწულებსათვის დაუტოვებია. არსებითად ამა-ვეს იმეორებენ თ. ჟორდანიას⁴⁸ და დ. კარიჭაშვილი⁴⁹;

იმის გამო, რომ გარეჯის მონასტრისათვის სამებელის მიერ გადაცემული სტამბის შესახებ სხვა საბუთი და რაიმე ნივთიერი ნაშთი საერთოდ არ არსებობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ვსესვიატსკოეს ქართული სტამბა და შრიფტი მართლაც პეტერბურგის მეც-ნიერებათა აკადემიის სტამბაში უნდა მოხვედრილიყო. ამ მოსაზ-რებას ისიც განამტკიცებს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ, 1762 წელს, მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაიბეჭდა აღრესი და მოსა-წვევი ბარათი ქართულ ენაზე საიმპერატორო კარის მიერ დიპლომა-ტიური მისიით მიწვეული მეფე თეიმურაზ მეორის პატივსაცემად. პე-ტერბურგის სტამბა და მისი შრიფტი ბაქარის მიერ მოსკოვში 1743 წ. დაარსებულ სტამბასთან გარკვეულ კავშირში უნდა იყოს. როგორც ჩანს, სტამბა 1755 წელს პეტერბურგში გადაუტანიათ, როგორც ამაში რუსი მკვლევარი ვ. სოფიკოვი გვარწმუნებს.

4. ათანასე ამილახვარის სტამბა მოსკოვში

მოსკოვის ვსესვიატსკოეს ქართულმა სტამბამ, როგორც დავრ-წმუნდით, 1745 წლიდან გარკვეული მიზეზის გამო შეწყვიტა მუშაო-ბა. რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისიდან თეიმურაზ-ერეკლეს მიერ მოსკოვში წარგზავნილი ათანასე ამილახვარი მოსკოვში დამკვიდრე-ბულა. იგი 1761 წ. 21 დეკემბერს სინოდს მიმართავს და სთხოვს ქართული სტამბის დაარსების ნებართვას. 1762 წ. სინოდმა ნება დარ-თო და თბილელი მიტროპოლიტი ათანასე მოსკოვში აარსებს ახალ ქართულ სტამბას. ამ სტამბაში 9 წიგნის ბეჭდვა მოხერხდა: „დაუ-ჯლომელი“ (1762 წ.), „ჟამნი“ (1762 წ.), „დავითნი“ (1764 წ.), „სა-მოციქულო“ (1765 წ.), „სახარება გამოკრებილი“ (1766 წ.), „პარა-კლიტონი“ (1767 წ.), 1768 წელს სამი წიგნი დაიბეჭდა — „დავითნი“ (ნეორედ), „ლოცვანი“ და „ჟამნი“ (მეორედ), სამივე წიგნს აქვს მი-წერილი სამტაეპოვანი ლექსი: „შემზადდა სტამბა მოსკოვსა. მომთხ-რობი ენით ქართველთა...“⁵⁰ 1768 წ. შემდეგ აქ შეწყდა წიგნების

47 პ. კარბელაშვილი, იქვე, გვ. 29.

48 თ. ჟორდანიას, — ე. ივერია, 1884. № 3, გვ. 87.

49 დ. კარიჭაშვილი, იქვე, გვ. 57.

50 ქართული წიგნი, თბ., 1941, გვ. 54.

ბეჭდვა. მიზეზად ათანასე ამილახვრის გარდაცვალებას მიიჩნევენ⁵¹, მაგრამ ეს არ დასტურდება. ათანასე, ახლად მიკვლეული მასალებით, 1774 წ. 9 ივნისს გარდაიცვალა. ამიტომ სტამბის გაუქმების მიზეზი სულ სხვა რამაა, რაც დღემდე გაურკვეველი რჩება⁵².

ათანასე ამილახვრის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ქართულ საისტორიო წყაროებს ნაკლებად მოუღწევია. საყურადღებო ცნობები შემოუნახავს იესე ბარათაშვილის „ცხოვრება-ანდერძს“, თბილისის სიონის საყდრის ისტორიულ საბუთებს 1740—1752 წლებამდე. როცა მას თბილელის თანამდებობა ექირა და ქართლში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ათანასე ამილახვრის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო ცნობებია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ პ. კარბელაშვილის მასალებში, რომელიც გვაუწყებს: „ათანასე ამილახვარი იყო რუსეთში ვახტანგ VI არქიდიაკონი, აკურთხეს არქიმანდრიტად ასტრახანში, შემდეგ საქართველოში — ეპისკოპოსად რუისის კათედრაზე, მროველად — 1733 წ. ათანასე იყო მქადაგებელი და მცოდნე. ამისათვის მეფე ირაკიმ იგი გაგზავნა აბდულა ბეგთან, კათალიკოს ანტონის მძასთან — „დამშვიდდი, მომიცია შენი საუფლისწულო, მოდი ჩემთანო“. ათანასემ მოუტანა პასუხი: „კახეთი ეკუთვნის ირაკლის, ქართლი ჩემი სამეფოაო“. როცა სპარსელები გაცხოველებით ემზადებოდნენ საქართველოს ასაკლებად, ირაკიმ იგივე ათანასე რუსეთში გაგზავნა 1752 წ. 30 მაისს (იხ. ქართ. ცხ., 444 გვ.) პეტერბურგში იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულთან შემწეობისათვის. მოსკოვში მივიდა 26 ნოემბერს 1752 წ. 15 კაცით, მათ შორის იყო სვიმონ მაყაშვილი. სვიმონი დაბრუნდა ამალით, ხოლო ათანასემ სთხოვა იმპერატრიცას 1754 წ. რუსეთში დარჩენის ნებართვა და ჯამაგირის დანიშვნა — „სიბერის გამო ველარ დავბრუნდები სა-

⁵¹ მაგ. ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნი, თბ., 1973, გვ. 98.

⁵² ამასთანავე ამავე მასალებით, რომლებიც თავის დროზე მოუპოვებია პ. კარბელაშვილს. ათანასეს სტამბა პრესინიაზე ყოფილა მოთავსებული, ხოლო ათანასე ცხოვრობდა ჭვართამაღლების მონასტერში და იქვე გარდაცვლილა. პ. კარბელაშვილის ცნობას ასევე ვარკვეულობა შეაქვს დიმიტრი ციციშვილის თანამშრომლობასა და ნათესაურ დამოკიდებულებაში ათანასე ამილახვართან. დიმიტრი ციციშვილის შესახებ პ. კარბელაშვილი გვაუწყებს: „დიმიტრი ციციშვილი დაიბადა რუსეთში მისი მამა პაულე ვახტანგ VI გადაჰყვა რუსეთს 1724 წ. იყო კაცი განათლებული. შეუდგენია გეომეტრია რუსულ ენაზე. კარგად სცოდნია ენები: ფრანგული, ნემე-ტური, რუსული და ლათინური. იგი იყო მამა საქართველოს მთავარმართებლის პაულე ციციანოვისა, ბაქოში მოკლულისა. გარდაიცვალა ქ. მოსკოვში 1777 წ. და დასაფლავეს ქართველ მიერ აღმწებულს ვსევიატსკის ეკლესიაში“. დიმიტრი ციციშვილი ათანასეს ბიძაშვილი იყო და არა ძმისშვილი, როგორც ამას თ. უორდანი ფიქრობდა. (იხ. ჟურნ. „ივერია“ 1884 წ. № 3 — ა. ი.).

ქართველოში, სადაც დიდი არეულობააო“. პასუხი თავის შუამდგომლობისა არქიმანდრიტმა დააბარა სვიმონ მაყაშვილს“.

3. კარბელაშვილის ცნობით, მეფეებმა გაგზავნეს მღვდელი სვიმონ რუსეთში კანცლერთან ქალაქებით 1755 წ. 25 ნოემბერს, რომლითაც ათანასეს დაბრუნებას თხოულობდნენ. ათანასეს ეწყინა, სთხოვა იმპერატრიცას ქვეშევრდომობა და დარჩა მოსკოვში⁵³. 21 დეკემბერს 1761 წ. მან სთხოვა სინოდს ქართული წიგნის საბეჭდავის გამართვის ნება. სინოდმა ნება მისცა და სტამბა გამართა „ჯვართამაღლების მონასტერში. კორექტორად იყო მდივანი მეფე ვახტანგ VI-სა მელქისედექ კავკასიძე; ზედამდგომელად ნადვორნი სოვეტნიკი ევგენ ამილახვაროვი. რუსულ წიგნებზედ ასწორებდა ბიძაშვილი ათანასისა ნადვორნი სოვეტნიკი დიმიტრი ციციანოვი. 1765 წ. დაიბეჭდა დავითნი, ლოცვანი, ჟამნი, სამოციქულო. ანბანი სამ ენაზედ: ლათინურს, ბერძნულს და რუსულზედ. ეს ანბანი ობერპროკურორის ხელით მიერთვა იმპერატრიცას. ათანასი თბილელი გარდაიცვალა 9 ივნისს 1774 წ. დასაფლავდა დონის მონასტერში.

1769 წ. 20 ოქტომბერს ათანასემ თხოვა სინოდში ანტონ 1-ის თხოვნის შესრულება მირონის გაგზავნის შესახებ, რადგან საბერძნეთი ძალიან შორს არისო და ძნელია იქილამ დაბარებაო. სინოდმა გამოგზავნა 442 თუნგი ათანასის ხელწერილით, ათანასის არქიმანდრიტობის ფილონი და ოლარი დღესაც სოფ. ქალის ჭვარპატიოსანის ეკლესიაშია. შეწირულებანი სამთავისის სობოროში: ბარძიმ-ფეშხუმი, ოდიკი⁵⁴.

1768 წ. წარწერა ქართულ ოდიკზე, რომელიც დაცულია სამთავისის საყდარში, გვაუწყებს: „ბრძანებითა... იმპერატრიცა ეკატერინა ალექსანდრესითა და კურთხევითა... სინოდისათა... იკურთხა უსამღვდელოესის ათანასი თფილელ-მიტროპოლიტის მიერ, დასაბამითგან ქსოვ, შობითგან ქრისტესით ჩლამ, ინდიკტიონსა: ა. იანვარსა 2 დღესა“. „საყურადღებოა, რომ, შენიშნავს ჟორდანია, ათანასე აქაც, როგორც მისგან დაბეჭდილ წიგნებში, ჩვენ მეფეებს არ იხსენიებს, არც კათალიკოსს. გაგზავნილი თეიმურაზის მიერ 1752 წ. რუსეთს ელჩად, იგი არ დაბრუნდა საქართველოში, წინააღმდეგ აღთქმისა, და შეუერთდა

53 იხ. ი. ცინცაძე. ათანასე თბილელისა (ამილახვარი) და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში, — საისტორიო მოამბე, ტ. 6, გვ. 135—175.

54 იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის თ. ჟორდანიას ფონდის 392/92 საქმეში დაცული პ. კარბელაშვილის რეეული, მასალები ქართული სტამბის ისტორიისათვის, ფურც. 35—36.

თეიმურაზ-ერეკლეს მტრებს, ვახტანგ მეფის შთამომავალთა დასს. — ეს ოდიცი ბროსეს ვერ შეუნიშნავს⁵⁵.

ასეთია ათანასე ამილახვრის ცხოვრების და მწიგნობრულ-საგა-
ბომცემლო მოღვაწეობის მოკლე ქარგა, რომელმაც მნიშვნელოვანი
კვალი დატოვა ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში.

5. ძველი სტამბა მოზდოკში გაიოზ რამბოროს თაოსნობით

მოსკოვში ათანასე ამილახვრის სტამბის დახურვის (1768 წლის) შემდეგ რუსეთში ქართული წიგნის ბეჭდვა დიდი ხნით შეჩერდა. ამ შესანიშნავმა წამოწყებამ ჩრდილოეთში თითქოს ამოსწურა თავისი შესაძლებლობანი და გარკვეული პირობების გამო XVIII ს. 90-იან წლებში სამხრეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, გადმოინაცვლა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დადების კვალობაზე.

1796 წელს თერგისპირეთში, ნახევრად ქართულ ქალაქში, მოზდოკში, გაიოზ რექტორის თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ქართულ სტამბას.

თერგისპირეთში ქართველი მოსახლეობის გამრავლებისათვის ნია-
დაგი შემზადდა XVIII ს. 20-იან წლებში, როცა დაემხო ქართლის სამეფო და ქვეყანა ათეულ წლობით თურქ და ირანელ აგრესორთა თარეშის ასპარეზად იქცა, რასაც თან ლევ აბრაგთა შემოსევებიც ემატებოდა.

მძიმე გადასახადებისა და სარწმუნოებრივი დევნა-შევიწროების გამო მოსახლეობისა და, კერძოდ, ეკლესიის მსახურთა ერთი ნაწილი იძულებული გახდა დროებით დაეტოვებინა სამშობლო და თერგისპირეთში, უმთავრესად მოზდოკსა და ყიზლარში, დამკვიდრებულიყო. გადასახლების ეს პროცესი მეტნაკლებად არ შეწყვეტილა და რამდენადმე გაძლიერდა კიდევ 80—90 წლებში, ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის წინა და შემდგომ წლებში, მაგალითად, მოზდოკის სტატისტიკური დემოგრაფიული მონაცემებით 1764 წლისათვის მოსახლეობის 53,5 პროცენტს საქართველოდან გადასახლებულნი შეადგენდნენ, 1777 წ. — 42,2, 1785 წ. — 42,6, 1789 წ. — 30,6, ხოლო 1802 წ. — 19,7 პროცენტს⁵⁶. ანალოგიური მდგომარეობაა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ქალაქებშიაც, კერძოდ ყიზლარში. მაგ., აქ იოანე მანგლელმა საკუთარი სახსრებით ააგო ქართველთა ეკლესია და სამრევლო სკოლაც დააარსა.

მოზდოკში ქართველი მოსახლეობის შეწირულობით აიგო წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, სადაც ასევე თავი მოიყარეს კულტურულმა ძა-

55 იხ. თ. ჟორდანი, ქრონიკები, წ. III, გვ. 304.

56 Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в. в. გამრეკელის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1968, გვ. 43.

ლებმა: წიგნთა გადაწერებმა, მთარგმნელებმა, იოანე მანგლელმა, არქიმანდრიტმა პახომმა, რომელიც ოსებს შორის ქრისტიანობის გამავრცელებულ კომისიას ხელმძღვანელობდა, იღუმენმა ტრიფილემ, ონოფრე სავარსამიძემ და სხვ. 1764 წ. პახომი გარდაიცვალა. მისი პირადი ქონების აღწერაში 19 წიგნია დასახელებული, მათ შორის 18 ქართული ნაბეჭდი და ხელნაწერი წიგნია. მაგ. ბიბლია მოსკოვში დაბეჭდილი, სახარება საქართველოში დაბეჭდილი და ა. შ.⁵⁷.

1790 წ. ქართული კულტურის ამ შესანიშნავ კერას გაიოზ რექტორი ჩაუდგა სათავეში და სწორედ ამ პერიოდში მომწიფებულა აზრი მოზღოცში სტამბის დაარსებისა, რაც 1796 წელს განხორციელებულა.

გაიოზ არქიმანდრიტის მზრუნველობით სტამბამ იარსება 1803 წლამდე.

მოზღოცის ქართული სტამბის დაარსებისა და ამუშავების შესახებ ცნობას გვაწვდის სტამბის ცნობილი ოსტატის რ. ზუბაშვილის წერილი გაიოზისადმი⁵⁸. ამ წერილიდან ჩანს, რომ როცა ალა-მაჰმად-ხანი

57 იქვე, გვ. 80.

58 „ყოვლად უსამღვდელოესო გაიოზ, მწყემსო კეთილო და უფალო მწყემსთა... შადიო თქვენი უზმარსა გონებასა და სიტყვასა ჩემსა, მკველო კეთილო. წარწყმედულთა ცხოართა აჰა, მგელთაგან შეცდომილი უზმარი შინა რომელი გახლდი მათის უმადლესობის საქართველოს მეფის ირაკლის ერთი... უნარჩევესი მოსამსახურე. მუხთალმან სოფელმან და უპირომან გარდმომავლო... ვითარცა ცხვარი და განმშორა მწყალბელსა ბატონსა, მეგობართა და თვისთა, გამომტყორცა, ვითა მშვილდმან ისარი, მსწრაფლ, დაუყოვნებლად. ამ უცხოობასა შინა განმავლო, ყოვლის ნივთისა და საზრდოსაგან ცარიელ ქმნილი. მოწყალემან ღმერთმან მიზეთა მიზეზმან იესომ სახიერმან და ღვდამან მისგან მარამ, მშოერთა გამზრდელმან, შიშველთა სამოსელმან, ჩემთვის ნუგეშად ამოგაჩინათ და მიტვირთეთ შეცდომილი ცხოარი... დაემორჩილე ბრძანებასა თქვენსა და ვიწყე მუშაკობა და აღესარულე ბრძანება თქვენი... თუ უმეცნიერესი გონება თქვენი გაქმნიწავს, მრავალსა ნაყოლიანებასა აღმოაჩენს ბეჭედსა ამას შინა. მაგრამ მოწყალებით შემინდევით. ოვით თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა მიმოწმებს, რომ ამ ხელოვნების საკადრისი ასოს მომჭრელი იარაღი არა მქონდა. მეორე ესა, რომ ჩემნი ამხანაგნი არ იღვწოდნენ. თუმცა წერილისა ასოსა წარმომადგინებელი იქამ მე გახლდით, მაგრამ ჩამომსხმელნი, მწერალნი, დაზგის მმართველნი, მბეჭდავნი — სხვანი გახლდნენ. და აწესე ყოველნი ხელოვნებანი სტამბის ამის მართმან ვიშუშავე და განმართე საბეჭდავი ესე“ (იხ. ქართული წიგნი, თბ., 1941, გვ. 71, 73).

სტამბის გამართვის მთელი ეს სამუშაოები რ. ზუბაშვილს 1796 წ. დაუმთავრებია და მაშინვე თხოვნით მიუმართავს გაიოზისათვის. რომ იგი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს, ამიტომ დაეძებნა „ბეჭდვასა შინაგან განსწავლულნი კაცნი“, რომელიც რ. ზუბაშვილ-რაზმაქის შეცვლიდა. თუ ეს გამწვანდებოდა, შეეკრიბა „წიგნის მოყვარე გამოუცდელნი პირნი“, რომელთაც შეასწავლიდა ხელობას. ასეუ პირობებში რ. ზუბაშვილი ტოვებს მოზღოცს და სოლომონ მეორის მოწვევით 1797 წ. ქ. ქუთაისში მკვიდრდება.

თბილისს შემოესია, ქალაქი ცეცხლს მისცა და დაანგრია, მაშინ დაინ-
გრა ერეკლეს მოქმედი სტამბა, ოსტატი ზუბაშვილი სამშობლოდან
ლტოლვილი მოზღოკში მისულა. მას გაიოზ არქიმანდრიტთან შეუფა-
რებია თავი და მისივე დავალებით მოკლე დროში სტამბა გაუმართავს,
შრიფტიცა და სტამბისათვის საჭირო მოწყობილობაც ადგილზე დაუ-
მზადებია. „თქვენი ყოვლად უსამღვდელოესობა მიმოწმებს, რომ —
წერს ზუბაშვილი — ამ ხელოვნების საყადრისი ასოს მომპყრელი იარა-
ლი არა მქონდა... ასე ყოველნი ხელოვნებანი სტამბის ამის მარტომან
ვიმუშავე და განემართე საბეჭდავი ესე“.

მოზღოკის სტამბაში ოთხი წიგნი დაიბეჭდა. მათ შორის განსა-
კუთრებული მნიშვნელობა აქვს გაიოზის ორიგინალურ ნაშრომს „ქარ-
თული ენის გრამატიკას“, რომლის მთელი ტირაჟი (700 ეგზ.) გაი-
ოზმა შემდეგ თბილისში ახლად გახსნილ კეთილშობილთა სასწავლე-
ბელს გამოუგზავნა.

ეს გრამატიკა გაიოზს დაუწერია კრემენჩუგში მოღვაწეობის პე-
რიოდში, 1789 წლის 2 ოქტომბერს. გრამატიკას ბოლოში მიბეჭდილი
აქვს ასეთი ცნობა: „დასასრული ღრამატიკისა დიდება ღ-სა სრულ
მყოფელსა ყ-თასა წელსა 1789, თუესა ოქტომბერს 2, კრემენჩუქს“⁵⁹.
ამგვარმა მინაწერმა წარმოშვა გაუგებრობა და საბაზი მისცა ზოგ
მკვლევარს ემტკიცებინა, რომ გაიოზის გრამატიკა დაწერილი კი არა,
დაბეჭდილი იყო კრემენჩუგში, რომ კრემენჩუგში თითქოს ქართული
სტამბა არსებობდა და სხვ.

მოზღოკში დაბეჭდილი გრამატიკით დაინტერესებულა იმერეთის
დედოფალი ანნა, რომელიც თავისი შვილიშვილებით პეტერბურგში
ცხოვრობდა. ანნას ბარათით მიუმართავს გაიოზისადმი. 1814 წ. ნო-
ემბრის 4 ასტრახანის არქივისკოპოსი გაიოზი ანნა დედოფალისადმი
გაგზავნილ საპასუხო ბარათში წერდა: „...ხელმწიფეო, თქვენის საყვა-
რელის შვილის შვილებისათვის რაოდენიმე ღრამატიკა და სამეცნიე-
რო წიგნები გებრძანებია, რომ მომერთმეინა, დიდად ვაწუხებარ, რომ
ამ ჩემის შესაბამის სამსახურის აღსრულება ვერ შევიძიელ ამ დროს.

პირველი, რომ ღრამატიკა არც მქონდა, შვილდასიდან სულ ქართლ-
ში გაგზავნე კნიაზ ციციანოვის დროსა ქართულს აზნაურთ სასწავ-
ლებლისათვის ტბილისში. იმ დროს მე პენძას ვიყავ და არც ერთი არ
დამიქერია ჩემთვის. და თუ მოზღოკში აქვს ვისმე, ვეცდები, რომ
ვიმოვო და თუ ვიმოვე თვით მე გაუგზავნი ბატონიშვილებს. სხვა
წიგნები ქართული სულ არაფერი არა მაქვს რა ჩემის ნათარგმნის
წიგნებს გარდა, და როცა მქონდა ქართლში იქავ გაუშვი, თან არც
ერთი არა წამომილია. მგონი აღარც ქართლში იშოვებოდეს ისინი და

⁵⁹ ქართული წიგნი, თბ., 1941, გვ. 74.

თუ თქვენს უმაღლესობას ენება იმ წიგნებისა და ანუ სხვისა რამ ქართულ ენაზედ გკონდესთ, მიბრძანეთ, ახლავე ესთარგმნი და მალე მოგართმევ. ამისთანა სამსახურში ჩემი მხცოვანება ვერ დამაბკოლებს სხეებრ⁶⁰...

გაიოზის ბარათი ანნასადმი მრავალმხრივ საყურადღებო დოკუმენტია არა მხოლოდ ამ გრამატიკის ისტორიულად შესწავლის, არამედ თვით გაიოზის მოღვაწეობის თვალსაზრისითაც.

1797 წ. გაიოზის სტამბაში დაიბეჭდა „ანბანი. მოკლე საქრისტიანო სწავლა. მოზღოვის პალატსა შინა სამღუდელ-მთავროსა“⁶¹. გაიოზ რექტორის (არქიმანდრიტის) სასტამბო მოღვაწეობას პედაგოგიური, მოსწავლეათვის სახელმძღვანელო წიგნების გამოცემაზე ზრუნვა ახასიათებდა. ეს გასაკებიცაა, იგი ხომ თავისი მოწოდებით დიდი პედაგოგი იყო⁶².

რ. ზუბაშვილი მოზღოვიდან 1796 წლის ბოლოს გავიდა იმერეთის მეფის სოლომონ II მოწვევით, როგორც ეს ზემოთაა აღნიშნული. ჩვენამდე მოღწეული სოლომონ მეფის სიგელიდან ჩანს, რომ მას ზუბაშვილისათვის სოფ. წესში რაქის ერისთავის ყოფილი სასახლე უწყალობებია.

გაიოზ რექტორმა, იმერეთის მეფის მიერ მოზღოვიდან მესტამბე ზუბაშვილის გაწვევის შემდეგ, როგორც ჩანს, თავი გაართვა მოზ-

⁶⁰ გაიოზ არქიმანდრიტის წერილი იმერეთის დედოფალ ანნასადმი დაცულია ლენინგრადში, აზიის ხალხთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდში, 1796 — 1800 წწ. დაბეჭდილი გაიოზის „გრამატიკა“ აღწერილია „ქართულ წიგნში“, თბ., 1941, № 81. ციციანოვის წერილი გაიოზისადმი იხ. აქტები, ტ. 11, გვ. 199. ანნა დედოფლის წერილი გაიოზის პირად არქივშია საგულეებელი, რაც დღემდე მიუცვლეველია.

⁶¹ ქართული წიგნი, გვ. 74. წიგნის ცნობა-ანდერძი ზუსტად მიგვანიშნებს მასზე, თუ სად მდებარეობდა მოზღოვის სტამბა.

⁶² ბ. დარჩია, გაიოზ რექტორი, თბ., 1972. გაიოზ რექტორი 1772 წელს რუსეთში წაჰყვა ლევან ბატონიშვილისა და ანტონ პირველის ელჩობას. კაბუკი გაიოზი იქ სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა, რომელიც 1778 წელს დაამთავრა და თბილისში დაბრუნდა. გაიოზი 1782 წელს დანიშნეს თელავის სემინარიის რექტორად. სამეფო სასახლესთან დაახლოებული გაიოზი განათლებული პირი იყო, რომელიც რუსული ენის საფუძვლიანად ცოდნის გამო, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაღრმავებასთან დაკავშირებით, ხშირად იგზავნებოდა რუსეთში მეფის დაავალებით. გაიოზმა მოწაწილეობა მიიღო 1783 წ. რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის შედგენაში ქ. გეორგიევსკში. 1785 წლიდან გაიოზი რუსეთში მოღვაწეობს (კრემენჩუგში, მოზლოკში და სხვ.).

დოკის ქართული სტამბის საქმეს. ზუბაშვილის წასვლის შემდეგ, 1796—1803 წლამდე, სტამბა მოზდოკში მოქმედებდა. სტამბის დახურვის მიზეზად მიიჩნევენ გაიოზის სტავროპოლისა და პენზის ეპარქიის არქიებისკოპოსად გადაყენას.

XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე ქ. მოზდოკის სტამბის დახურვით მთავრდება 1705 წლიდან რუსეთში მოქმედი ქართული წიგნის ბეჭდვისა და სტამბების ისტორია, რომლებიც ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის პირობებში მოქმედებდნენ.

1801 წ. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის ქვეშევრდომობაში მოქცევით ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიაში თვისობრივად განსხვავებული პირობები იქნება.

თავი მეშვიდე

სტამბები იმერეთის სამეფოში XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დამდეგს

XVIII ს. დასასრულისა და XIX ს. დამდეგის იმერეთის სამეფოს ცხოვრება განსაკუთრებით რთული ისტორიული მოვლენებითაა შეპირობებული. სამეფოს ისედაც გამწვავებული საშინაო და საგარეო მდგომარეობა უკიდურესობამდე დაიძაბა. იგი დაპირისპირებულ ძალთა შეუპოვებელი ბრძოლებით ხასიათდებოდა. ამ ბრძოლების შედეგად იმერეთს სამეფო ხელისუფლება იმდენად შეირყა, რომ XIX საუკუნის პირველ ათწლეულშივე უდიდესი გარდატეხა მოხდა, იმერეთის სამეფო დაემხო და დასავლეთ საქართველოშიც რუსული მმართველობა დაჰყვიღრდა.

იმერეთის სამეფოში მომხდარმა ამ უდიდესმა მოვლენებმა, არსებითად, განსაზღვრეს ერის სულიერი კულტურის განვითარების ისეთ დიდმნიშვნელოვან საგანმანათლებლო დაწესებულებათა მოღვაწეობის ხასიათი და მიმართულება, როგორადაც ჩვენ XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე იმერეთში მოქმედი სამეფო, საეკლესიო და სათავადო სტამბებისა და წიგნის ბეჭდვის ეროვნული საქმე წარმოგვიდგება¹.

ვიდრე ამ სტამბების მუშაობაზე შეეჩერდებოდეთ, საქიროა მოკლედ მაინც აღვნიშნოთ თუ როდის და რა პირობებში აღმოცენდა იმერეთის სამეფოში სტამბები, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით გარკვეული გავლენა მოახდინეს არა მხოლოდ საკუთრივ იმერეთის, არამედ მთლიანად საქართველოს მწიგნობრულ კულტურასა და, კერძოდ, ბეჭდური წიგნების გამრავლება-გავრცელებაზე. საქიროა აღვნიშნოს, როგორც სიმბოლური მოვლენა, რომ იმერეთის სტამბების მოქმედების პერიოდში მთელ საქართველოში უმეტეს წილად ვრცელდებოდა იმერეთში დაბეჭდილი ქართული წიგნები.

იმერეთში სტამბა მას შემდეგ აღმოცენდა, როცა თბილისის სტამბამ მუშაობა შეწყვიტა 1795 წელს ქალაქზე თავსდამტყდარი ტრაგედი-

¹ ქ. შარაშიძე, იმერეთის სტამბის ისტორიისათვის — იხ. კ. მარქსის სახელობის საჩარო ბიბლიოთეკის შრომები, წ. III. თბ., 1937.

ის შედეგად, რამაც ჩააქრო ძველი საქართველოს დიდებული ლამპარი და შეაფერხა ქვეყნის წინსვლა პროგრესის გზით.

იმერეთის სამეფოში სტამბების დაფუძნებასა და სასტამბო მეურნეობის აღორძინებაში დიდი როლი შეასრულეს XVIII ს-ში მოქმედმა თბილისის სტამბებმა, ამ სტამბებში მომზადებულმა ეროვნულმა კვალიფიციურმა კადრებმა და მდიდარმა ტრადიციამ სასტამბო მეურნეობის განვითარებისა.

1795 წ. ტრაგედიამ თბილისის სტამბის მუშაკთა შორის ოდნავადაც ვერ შეარყია მომავლის დიადი რწმენა. იგი თითქო ასაკლდევებდა, აწრთობდა და ახალ შემართებათა სულისკვეთებით აღკურცავდა სტამბის მუშაკებს. ერეკლე მეორის სტამბაში აღზრდილმა და დავაუკაცებულმა მესტამბე სპეციალისტებმა საოცარი გულგაუტეხლობა გამოიჩინეს და 1795 წლის ტრაგედიის შემდეგ წიგნის ბეჭდვის თვისობრივად ახალ საფეხურზე აყვანა და მისი მოქმედების ახალი ასპარეზის გაფართოებაც კი სცადეს. ისინი ენერგიულად იღვწოდნენ ახალი ქართული სტამბების დაარსებისათვის მთელ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც. მათ შორის აღსანიშნავია: 1. ქრისტესია კეჯერაშვილი-ბაღრიძე — თბილისში, 2. გიორგი პაიჭაძე და ზაქარია გურგენიძე — ქუთაისში (ასევე სოფ. წესსა და საჩხერეში, მოგვიანებით, რომანოზ ზუბაშვილისა და ზაქარია გურგენიძის მონაწილეობით), 3. რომანოზ ზუბაშვილი — მოზდოკში. აქ დასახელებული ცნობილი მესტამბე სპეციალისტები ოდნავადაც არ უშინდებიან გადაულახავ დაბრკოლებებს და ეროვნული საქმის — ქართული წიგნის სიყვარულით ხშირად ცარიელ ადგილზე, უდიდესი სიძნელებების გადალახვით, აღწევენ გამარჯვებას.

ქართული წიგნის სიყვარულის ყოვლისმომცველმა ძალამ ამ სახელოვან მესტამბეებს მცველ-მფარველად, ნივთიერი სახსრებით უზრუნველყოფისა და მორალურად გამამხნეველად ქვეყნის გამოჩენილი ადამიანებიც მოუვლინა. ასეთები იყვნენ: მეფე სოლომონ მეორე, დიდი მწიგნობარი და მოღვაწე გაიოზ რექტორი და თავადი ზურაბ წერეთელი, რომელნიც სახსრებსა და საშუალებებს არ ზოგავდნენ სტამბის გამართვისა და ბეჭდური წიგნების გავრცელებისათვის.

მათმა ერთობლივმა ზრუნვამ ნაყოფი გამოიღო. თბილისის სტამბის განდგურების შემდეგ შედარებით მოკლე დროში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც მოხერხდა ქართული სტამბების გამართვა და დაარსება.

ეს ისტორიული ფაქტი თავისთავად მეტყველებს იმ სასიცოცხლო ეროვნულ შემოქმედებით დიდ ძალებსა და დაუშრეტელ ენერგიასზე, რომლებიც გვიანფეოდალურ დაჩიხულ, დარბეულ საქართველოში კიდევ არსებობდა.

ეს ძალები თავგამოდებითა და გულგაუტეხლად იღვწოდნენ ქვეყნის პროგრესის გზაზე გამოსაყვანად და თავსდამტყდარი კრიზისის დასაძლევად. ამ გმირულ ბრძოლაში, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, ქვეყნის განმანათლებელთა ამ შესანიშნავ პლეადას კარგად ჰქონდა შეგნებული ქართული სტამბის დაარსებისა და ქართული წიგნის გამარავლების დიდი მნიშვნელობა.

ეს პროგრესული ძალები მოქმედებდნენ ფეოდალური საქართველოს კრიზისის ძნელ პირობებში. არსებითად ეს მოძრაობა იყო იმერეთის სამეფოს კიდევ ერთი ცდა, გაბედული გაბრძოლება ეროვნული კულტურის მოწინავეობისათვის, ტრადიციული მოწინავე პოზიციების შენარჩუნებისათვის, ეროვნული სტამბებისა და სასტამბო მეურნეობების აღორძინებისათვის, რასაც გარკვეული შედეგებიც მოყვა. ქართული მწიგნობრული კულტურის განვითარების ისტორიაში; იმერეთის სამეფოში რამდენიმე სტამბა ამოქმედდა და ყველგან ქართული წიგნები იბეჭდებოდა.

მაგრამ ამ და სხვა ღონისძიებათა გატარების მიუხედავად, კრიზისი მაინც შეუწელებლად ღრმავდებოდა; ქვეყნის საგარეო და საშინაო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შემდგომმა გართულებამ და წინააღმდეგობათა გამწვავებამ იმერეთის სამეფო დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მიიყვანა.

ასეთ პირობებში, ბუნებრივია, იმერეთის ფეოდალური ქართული სტამბების აღმოცენება და წიგნის ბეჭდვის საქმე ვერ განვითარდა, ვერ აღმოჩნდა მყარ ნიადაგზე და გარდუეალი მარცხი განიცადა.

ახლა, რამდენადაც შესაძლოა მოკლედ განვიხილოთ იმერეთის სამეფოში სტამბების დაარსებისა და მუშაობის ძირითადი მომენტები, რომელთაც გარკვეული კვალი დასტოვეს ქართული კულტურის ისტორიაში.

1. იმერეთის სამეფო სტამბა პ. ჟუთაისში

იმერეთის სამეფოში უმთავრესი პირველი სტამბა დაარსდა XVIII ს. ბოლოს ქ. ქუთაისში, მეფე სოლომონ მეორის ხარჯითა და მზრუნველობით.

1803 წ. ივნისის საბუთში, (ზ. წერეთელზე სტამბის იჯარით გადაცემის შესახებ) მეფე გვაუწყებს: „ყოვლისა იმერეთისა მეფემან მეორემან სოლომონ ვიგულისმოდგინე... რათამცა ქვეყანას ჩემსა ყოფილიყო სტამბა და შეწვენითა ქრისტესითა ვქმენ სტამბა ქუთაისს“².

სტამბის მოყვარულ მეფეს ზრუნვა ამ ახალი საგანმანათლებლო კერის შესაქმნელად 1795 წლიდან უნდა დაეწყო. ამ წელს მეფის ამ

² ჟურნ. „კვალი“, 1996, № 27, გვ. 471—473.

ჩანაფიქრის განსახორციელებლად გადაიდგა პირველი ნაბიჯები, რა-
შიც მონაწილეობა მიუღია ცნობილ თბილისელ მესტამბეს გიორგი
პაიჭაძეს. 1795 წ. იგი დარბეულ თბილისიდან იმერეთში გადავიდა და
სამეფო კარს შეაფარა თავი.

ქუთაისის სტამბაში პირველად გამოცემული დავითნის თავ-
ფურცელზე დაბეჭდილ ტექსტში ვკითხულობთ: „ცხოველმყოფელისა
სამებნისა, მამისა და ძისა და სულისა წმინდისა. დროსა ყოველად-უბრ-
წყინვალესისა. უკეთილ-მსახურესისა და უმაღლესისა სოლომონ მეო-
რისა, მეფისა ყოველისა საიმერეთისასა და კეთილ-მორწმუნისა დე-
დოფალთ-დედოფლისა მარიამ დადიანის ასულისა. კურთხევეითა ყოვე-
ლად სამღვდელთა მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთათა დაიბეჭდა
ღვთივ სულიერი წიგნი ესე ფსალმუნი მეფისა წინასწარმეტყველისა
დავითისა სამეუფოსა ქალაქსა ქუთათისს, პალატსა სამეფოსა. წელსა
დასაბამითგან სოფლისა კტმ, ქრისტეს აქეთ ჩყ (1800 წ.) თვესა ნოემ-
ბერსა, რიცხვისა ზ“³.

ამავე წიგნის ბოლოთქმას შემოუნახავს ცნობები, რომლებსაც
ჯანსაყუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქუთაისის სტამბის დაარსე-
ზის ისტორიისათვის. აქ ნათქვამია: „მებრძანა... მეფის არჩილის ძის
სოლომონისაგან მე, მისსა მონასა პაიჭაძე გიორგი მესტამბეს... სტამბის
გამართვა და გაკეთება და მე მორჩილ ვიქმენ, ვითა საღმრთოსა კე-
თილ-საქმიერებისა; და წარველ რუსეთად მოსკოვს, და რომელიც სა-
ხმარნი სტამბას ესაქიროებოდა, ყოველივე სრულად და უნაკლულად
მოვიტანე, საფასითა მისის უმაღლესობისათა, და გავაკეთე ქუთათისს,
ვითა ჯერ იყო, რომელიც აროდეს ყოფილიყო იმერეთში და პირველად
დაებეჭდე სულთა განმანათლებელი წიგნი ესე ფსალმუნი მეფისა და-
ვითისა“⁴.

ამ საბუთიდან ჩანს, რომ XVIII ს. 90-იან წლებში გიორგი პაიჭა-
ძეს მეფის დავალებით მოსკოვში შეუძენია ყოველივე, რაც კი „სახ-
მარად სტამბას ესაქიროებოდა“, სტამბის იარაღებთან ერთად მას მოს-
კვიდან ჩამოუტანია ქართული (ნუსხა ხუცური) შრიფტიც, რომლი-
თაც იმერეთში გამოცემული წიგნები იბეჭდებოდა⁵.

³ ქართული წიგნი, 1941, გვ. 77.

⁴ იქვე.

⁵ მესტამბე გიორგი პაიჭაძე მამაპაპით იმერეთის მკვიდრია, სოფ. საპაიჭაოდან.
მის წინაპრებს თავი გამოუჩენიათ თურქ-დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.
გიორგი პაიჭაძის პაპის მამა დავითი ძმებით, მათი „ასაბია კაცებით“, ხშირად ესხ-
მოდა თავს თურქთა რაზმებს ფოთში, ათავისუფლებდა თურქეთში გასაგზავნად გამ-
ზადებულ ტყვე ოვგო-ბიქებს, ართმევდა ნაძარცვს, საგარნიზონო ციხეში შესაზიდ
სურათს-სანაოვავს და სხვ. მტერთან უთანასწორო ბრძოლებში დავითს თანამე-
ბრძოლნი დაღუპია. 1752 წ. დავითი ცოლ-შვილით ქართლში გადმოსულა. გიორგი

ახლად გამართულ ქუთაისის სამეფო სტამბაში დაბეჭდილ პირველ წიგნს მრავალი ნაკლულოვანება დაყოლია; მესტამბე პაიჭაძე თავს იმართლებს „ამის მიზეზიცა შქონდაო“ და ჩამოთვლის: „პირველ ესე, რომ ზამთარი იყო, და იმ ყამად დაბეჭდვა და მუშაობა არ იქნებოდა. მაგრამ რადგან ლეთის-მოყუარეთა იმერთა ერთა ხილვა ჰსურდათ სტამბისა, ამათმა სიყვარულმა აღარ დამაყენა. მეორედ, ვინც მუშაჲნი მყუანდნენ, ყოველნივე გამოუცდელნი იყუნენ, და, მესამედ, ესეც, როგორც სხუა და სხუა ოსტატნი იმყოფებიან, მე თანაშემწენი არავინ მყუანდა ამ მიზეზებისათვის, გვედრები ყოველთა, მომიტეოთ ამისი ნაკლულევანება, და ლოცვა ჰყოთ, რათა შემდგომად სტამბისა ამისი ნაკლულოვანებისა აღსრულებასა ღირს მყოს უფალმან მადლითა თქუენითა“⁶.

პაიჭაძისავე აღიარებით მის მიერ იმერეთის სამეფოში გამართულ სტამბას თან დაყოლია ნაკლულოვანებანი. იგი ამისათვის შენდობას და პატიებას თხოულობს; ამასთანავე ნატრულობს, რომ ღმერთმა მომავალში ღირს ჰყოს იგი „სტამბისა ამისი ნაკლულოვანებისა აღსრულებასა“.

ქუთაისის ახლად გახსნილი სტამბის მუშაობის დასაწყისიდანვე პაიჭაძეს გვერდში უდგა არაერთი თვალსაჩინო მუშაჲი სტამბისა. ასეთები იყვნენ: გელათის არქიმანდრიტი ზაქარია, როსტომ ნიჟარაძე, დათიკა მესხი და სხვ. გ. პაიჭაძეს ტოლს არ უდებდა ზაქარია არქიმანდრიტი, რომელიც გ. პაიჭაძესავეთ გამოცდილი მესტამბე იყო. მაგ., 1803 წელს ქუთაისში გამოცემულ „სახარება ვნებასა კვირიაკეს“ ბოლო გვერდზე შემორჩენილია ბოლოსიტყვაობის ორი ვარიანტი. 1-ლ ვარიანტში მითითებულია, რომ წიგნი დაიბეჭდა „დაზგის მმართველობითა და სტამბისა ამისი სახმართა ზედა გარჯითა პაიჭაძის ჯიორგისათა“, ხოლო მეორე ვარიანტი ბოლოსიტყვაობისა შეცვლილია და პაიჭაძის ნაცვლად ზაქარია არქიმანდრიტია მოხსენებული. „მდა-

ჰართლში დაბადებულა, სასტამბო საქმეს დაუფლება თბილისში, ერეკლე მეორის სამეფო კარზე. გ. პაიჭაძე 1793 წელს მეფეს ხლება ქუთაისში, მამაპაისათვის ბოძებული წყალობის სიგელის განახლება უთხოვია, რაც განუახლება მეფე სომონს.

1795 წ. იგი ოჯახით ქუთაისში გადასახლდა. იმერეთის მეფემ ადგილ-მამულიც უწყალობა. 1796 წლიდან იღეწოდა ქუთაისის სამეფო სტამბის დაარსებისათვის. 1800 წ. 25 აპრილს მოსკოვიდან ქუთაისში ბრუნდება და იწყებს სტამბის გამართვას, რაც ნოემბრამდე გაგრძელებულა, 7 ნოემბერს „დავითის“ ბეჭდვა დაწყებულია, რაც 1801 წ. 25 აპრილამდე მიმდინარეობდა (იხ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი № 785; პ. ვაჭროძე, როტაციონის ბრუნავს მანქანა, ქუთაისი, 1979, გვ. 17).

⁶ ქართული წიგნი, 1941, გვ. 77.

ბალი არქიმანდრიტი ზაქარია ლოცვას გევედრები ყოველთა მიერ, რომელმან ვიგულისმოდგინე მუშაკობად ამისსა და განემართე კანონთა ზედა წმიდა ესე სახარება ყოვლითა სიმკაცრითა და დაზვის მმართველობითა“⁷. ზაქარია, როგორც მესტამბე, აქ პაიჭაძეს უტოლდება, ხოლო თავისი მწიგნობრულ-ლიტერატურული კულტურით პაიჭაძეზე მალა დგას. ზაქარია გარეჯის მონასტერში იყო აღრიდანვე განსწავლული, ხოლო მესტამბეობის დარგში თბილისში უნდა დაოსტატებულყო. ასე, რომ გ. პაიჭაძეს ქუთაისის სტამბაში ზაქარია არქიმანდრიტის სახით ღირსეული თანაშემწე ყავდა. ამიტომ დამაჯერებლობას მოკლებულია თქმა „...მე თანაშემწენი არავეინ მყვანდაო“. ამ აზრს კიდევ უფრო განამტკიცებს სინამდვილე; 1797 წ. სოლომონ მეორის მოწვევით მოზღოკში გაიოზ არქიმანდრიტის დავალებით გამართული სტამბა დატოვა ისეთმა დიდმა მესტამბემ, როგორც რომანოზ ზუბაშვილი იყო; იგი ქუთაისში დამკვიდრდა სამეფო სტამბის გამართვის მიზნით. „ფსალმუნის“ ანდერძ-მინაწერებში არაფერია თქმული როგორც ზაქარია არქიმანდრიტის, ისე რომანოზ ზუბაშვილის შესახებ. პაიჭაძე თავს იმართლებს — არა მყავდა მესტამბე საქმის მცოდნე პირნიო და შეგნებულად არ ასახელებს და გვერდს უვლცს იმ ცნობილ მესტამბეებს, რომელნიც ამ დროს სოლომონ მეორის სამეფოს კარზე იმყოფებოდნენ. ყოვლად დაუჯერებელია, რომ სტამბის გამართვის საქმეში ისინი არ მონაწილეობდნენ.

1803 წ. ქუთაისის სტამბის საქმიანობაში უკვე დიდი გარდატეხა მომხდარა. ამ წელს ქუთაისის სტამბაში დაბეჭდილი „სახარების“ მინაწერი ერთგვარად შუქს ფენს სამეფოს სტამბაში შექმნილ ვითარებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოლომონ მეფის მოწვევით რომანოზ ზუბაშვილი 1797 წლიდან სტოვეებს მოზღოკის ქართულ სტამბას (რომელიც გაიოზ რექტორმა დააარსა) და ქუთაისის სტამბაში გადმოდის სამუშაოდ. რომანოზს იმდენად ბევრი უღვაწია აქ, რომ იგი, იმავე „სახარების“ მინაწერით, ქუთაისის სტამბის დამაარსებლადაც, ხოლო გ. პაიჭაძე „დაზვის მმართველადა“ დასახელებული.

1803 წლის 3 მარტს გიორგი პაიჭაძესა და ზაქარია არქიმანდრიტს შორის იწერება „ამხანაგობის წიგნი“ — სტამბაში ერთად მუშაობის, ხარჯების ერთად გაწევისა და შემოსავლის ნახევრის მეფისათვის გადაცემის შესახებ. ამრიგად, ირკვევა, რომ სოლომონ მეორეს 1803 წლის 3 მარტს სტამბა პირველად იჯარით გაუცია სტამბაში მომუშავე ორ პირზე — გიორგი პაიჭაძესა და ზაქარია არქიმანდრიტ გურგენიძეზე⁸.

⁷ ქართული წიგნი, 1941, გვ. 83.

⁸ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი S.1, № 14409.

ამრიგად, 1803 წ. 3 მარტამდე გ. პაიჭაძე ქუთაისშია, სამეფო სტამბის დაზვის მმართველის თანამდებობაზე იმყოფება ზაქარია არქიმანდრიტთან ერთად და ორთავენი სტამბის მოიჯარადრენი ხდებიან.

მაგრამ ეს საიჯარო ხელშეკრულება არ გამომდგარა ხანგრძლივი და მოკლე დროში დაირღვა: ერთის მხრივ სტამბის მუშაყთა შორის უთანხმოების გამო (პირველად გიორგი პაიჭაძეს, ზაქარია არქიმანდრიტსა და რომანოზ ზუბაშვილს შორის), მეორეს მხრივ (რაც მთავარია) თითქო გამოძეღვენებულა, რომ გიორგი პაიჭაძე იმერეთში მყოფ მეფის რუსეთის ემისართან, სოკოლოვთან, ყოფილა დაკავშირებული, რომელსაც საიდუმლო ცნობებს აწვდიდა იმერეთის სამეფოს მდგომარეობის შესახებ.

1803 წლის 8 ივნისის თარიღით სოლომონ მეორე სტამბის გამგებლობას ანდობს ზურაბ წერეთელს სათანადო კვალიფიციური კადრების აღზრდისა და სტამბის ტექნიკურად გაუმჯობესების მიზნით. აი ტექსტი ამ სიგელისა:

„ქ. მსასოებელმან ყოვლად წმინდისა სამებისამან ყოვლისა იმერეთისა მეფემან მეორემან სოლომონ გულისმოდგინე დიდითა გულისმოდგინებითა რათამცა ქვეყანასა ჩვენსა ყოფილიყო სტამბა და შეწევნითა ქრისტესითა ექმენ სტამბა ქუთაისს ყოვლითა სისრულითა უნაკლულოდ, სახსოვრად მეფობისა ჩემისა და აწ დიდისა ერთგულსა და ერთსულსა ჩემსა სახლთუხუცესსა წერეთელსა (1803 წ. არ იცოდა მეფემ წერეთლის მოღალატეობა — ა. ი.) დიდსა თავადსა ჩემსა ზურაბს გარწმუნებ ზედა მდგომელობასა ჩემისა ამის სტამბისასა ვითარცა უპირველესსა ნიქსა პატივისასა, რომელიცა იყოს წესი და შესამატი მეფობისა ჩემისა და საჭირო წმიდათა ეკლესიათა მას იქმოდე. უსწავლელთა ცნობათა და წინააღმდეგომთა ნებითა და ძალით განმართვიდე და ნაკლულოვანებასა ყოველსა აღავსებდე სიყვარულისათვის ჩემისა. რამეთუ მიზეზი კუთილისა და არა კეთილისა და ყოვლისა წესიერებისა ქედსა ზედა შენსა და... ყოველი საქმე მისი და განწყობილი სტამბასა გიბოძებთ. ყოვლისა შემძლებელმან ღმერთმა წარგვიმართოს. წელსა ჩყგ, თიბათვის მ (1803 წ. ივნისის 8). ბეჭდის ადგილი. მეფე იმერეთისა სოლომონ“¹⁰.

ქუთაისის სამეფო სტამბის გამგებლად დანიშენიდან ხუთი თვის შემდეგ ზ. წერეთელი ამავე სტამბის მოიჯარადრე ხდება¹¹ მისთვის

¹⁰ А. В. Соколов. Путешествие мое в Имеретии, М., 1874, с. 39, 61.

¹¹ ეურნ. „კვალი“, 1896 წ. № 27, გვ. 471—473.

¹¹ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Sp, № 1205.

ყოველად ხელსაყრელ პირობებში. საიჯარო ხელშეკრულების სიგელი ჩვენთვის სხვა მხრივაცაა საყურადღებო.

სოლომონ II-ის 1803 წლის 17 ნოემბრის ხელშეკრულების წიგნში ზურაბ წერეთელზე ქუთაისის სტამბის იჯარით გადაცემასთან დაკავშირებით გაკვირთ მითითებულია არა ნამდვილი მიზეზი გიორგი პაიჭაძესთან ხელშეკრულების გაუქმებისა, არამედ აღნიშნულია, რომ გიორგი ქართველს (იგივე გიორგი პაიჭაძეს, ასე იცნობს მას სოკოლოვიც) მეფის დაელება სადღესასწაულოს დაბეჭდვის შესახებ თითქოს ვერ შეუსრულებია და ზურაბ წერეთელთან შეთანხმებულა: „რაც სტამბას ესაჭიროება ხარჯი და სხვა ყოვლიფერი, უნდა შენ ახარჯო“, შემოსავლის ნახევარი კი „მუშების ჯამაგირის გარდა“ წერეთელს მეფისათვის უნდა მიერთმია. ამ დოკუმენტში, სხვათა შორის, ქუთაისში დაბეჭდილი სადღესასწაულოს ტირაჟიც არის მითითებული — 1000 ცალი.

„სახარების“ ბოლოსიტყვაობაში აღნიშნულია: „ბრძანებითა მათის უმაღლესობისათა მოწოდებულ იქმნა რუსეთის მოსამსახურედ და გაკეთდა სტამბა ესე ხელითა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა. დაზგის მმართველობითა და სტამბისა ამის სახმართა ზედა გარჯითა პაიჭაძის გიორგისათა“¹².

წყაროებიდან ჩანს, რომ გ. პაიჭაძის მიერ ქუთაისში პირველად დაარსებულ სტამბას, რომანოზ ზუბაშვილის ხელმძღვანელობით, იმდენად დიდი რეკონსტრუქცია განუცდია, რომ რომანოზი ქუთაისის სტამბის დამაარსებლადაც კი მიუჩნევიათ, მსგავსად მიხაი იშტვანოვიჩისა თბილისის სტამბაში. მაგრამ არსებობს ამავე „სახარების“ ბოლოსიტყვის მეორე ვარიანტიც, რომლიდანაც ადგილი „დაზგის მმართველობითა და სტამბის ამის სახმართა ზედა გარჯითა პაიჭაძეს გიორგისათა“ ამოღებულია და გ. პაიჭაძის ნაცვლად „დაზგის მმართველად“ ზაქარია არქიმანდრიტია მოხსენებული.

პირველწყაროებიდან ასევე კარგად ჩანს, რომ გ. პაიჭაძე 1803 წელს იმერეთის სამეფოშია და სამეფო სტამბაში მოღვაწეობს, მაგრამ ჩანს, რომ სტამბის მუშაკთა შორის უთანხმოება სუფევს. გ. პაი

¹² ქართული წიგნი, 1941, გვ. 83.

ჰაძის მდგომარეობა შერყეულია და ხდება აღზევება რომანოზ ზუბაშვილისა მეფისვე მხარდაჭერით¹³.

გიორგი პაიჭაძე ასეთ პირობებში იძულებულია დატოვოს ქუთაისი. იგი მოსკოვში გადასახლდა 1801 წლიდან, სადაც, თითქოს, მიუწვევიათ რუსეთის სინოდის წევრის არქიეპისკოპოს ვარლამ დავითის ძე ქსნის ერისთავის მოთხოვნით. მოსკოვში გ. პაიჭაძეს ვარლამის მიერ გამართულ ქართულ საბეჭდ დაზგაზე დაუბეჭდია ანტონ კათალიკოსის მიერ შედგენილი „სადღესასწაულო“, რომელიც იმპერატორ ალექსანდრე პირველისთვის მიუძღვნია; იგი წინათქმაში დასძენს: „მებრძანა უწმიდესის სინოდის: ჩვენის, ვარლამ არქიეპისკოპოზისაგან, მე. პაიჭაძე გიორგი მესტამბეს, წიგნისა ამის სადღესასწაულოს დაბეჭდუა, ვინაითგან არა იყო ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილ. მორჩილ ვექმენ ფრიადის გულის მოდგინებით. ოთხსა წელსა არა დაესცხერ შრომითა და მღვიძარებითა. თვით ანბანის მოჭრითა, გაწყობითა, ჩაკითხვითა, პლაკის ჭრითა, და ყოვლისავე სტამბისა ამისა სახმარისა განმართვითა და სრულეპყავე ძალითა ღვთისათა, და თუ რაიმე ნაკლულევაწება იხილოთ, ნუ მწყევთ, არამედ ლოცუასა ყოფდეთ ჩემ ცოდვილისათვის“¹⁴.

როგორც ვრწმუნდებით, გ. პაიჭაძეს „სადღესასწაულოს“ მოსკოვში დაბეჭდვა ძნელ პირობებში განუხორციელებია და ოთხი წელი (1803—1808 წწ.) შეუწირავს ამ საქმიანათვის — „ოთხსა წელსა არა დაესცხერ შრომითა და მღვიძარებითა“. ამრიგად, ქუთაისიდან წასული და 1803 წელს მოსკოვში დამკვიდრებული გ. პაიჭაძე 1808 წლამდე „სადღესასწაულოს“ გამოცემისათვის იღვწის.

ქუთაისში სოლომონ მეორის სამეფო სტამბაში რომანოზ ზუბაშვილის ენერგული მოღვაწილობით წიგნების ბეჭდვა გრძელდებოდა.

¹³ მოზღოვიდან ქუთაისში გადმოსახლებული მესტამბე რომანოზ ზუბაშვილი გულუხვად დაუჭილდობია მეფე სოლომონს. უწყალობებია სოფ. წესნი რაჭის ერისთავისეული მამული და ყმა-გლეხები. წყალობის წიგნში ეკითხვობთ: „მედეთ მეფემან სოლომონ და თანამეცხედრემან ჩემმა დადიანის ასულმან მარიამმა შენ ზუბაშვილს ქართულს მესტამბეს... წყალობა გიყავით და გიბოძეთ სოფელ წესს სასახლე ერისთავის ნაქონები თვისის სახანე-სათესით, ქალით, წისკვილით და მარნით, ვენახი ბარაკონის ვენახის გვერდით: სასაფლაო ბარაკონის თავისის ტყით მიბოძებია... ამას გარდა კიდევ წყალობა გიყავ და გიბოძე იქვე გლეხი მოსახლე ცამეტი“. (იხ. ეურნ. „მწყევსი“ 1887, № 25).

¹⁴ ქართული წიგნი, 1941, გვ. 84—85.

იმავე 1803 წელს ქუთაისში დაიბეჭდა „კურთხევეანი“, 1807 წელს — ფსალმუნი — „ღვთივ სულიერი ესე ფსალმუნთა ქს აქეთ ჩყზ, თვე-სა მარტსა კვ. სტამბის უხუცესობითა ზურაბ წერეთლისათა. ხელითა შესტამბე რაზმაძე რომანოზ ზუბაშვილისათა“, ხოლო გამგედ და ზე-დამხედველად სტამბისა ამის მოხსენებულია ზაქარია არქიმანდრიტი.

1808 წელს დაიბეჭდა „ჟამნი“, რომლის თავფურცელზე კვითხუ-ლობთ: „დაიბეჭდა საღმრთო და საეკლესიო წიგნი ჟამნი... სამეფოსა ქალაქსა ქუთათისს პალატსა სამეფოსა; წიგნსა დასაბამითგან სოფლისა გტივ; ქრისტეს აქეთ ჩყმ თთუქსსა იელისსა. ა“. იმერეთის სამეფოში 1818 წელს უკანასკნელად დაიბეჭდა „ლოცვანი“. შექმნილი რთული ვითარების გამო 1810 წლიდან ქუთაისში სამეფო სტამბა უქმდება და წიგნების ბეჭდვა დიდი ხნით წყდება¹⁵.

2. სოფელ წესის სტამბა და იმ დაბავადილი წიგნები

იმერეთის მეფესთან დაახლოებულმა და მისმა მისანდო გამოცდილმა მესტამბეებმე რომანოზ ზუბაშვილმა, რომელსაც მეფემ აზნაურობა უწყა-ლობა. ყმა და მამული უბოძა და სოფელ წესში ერისთავის სასახლე-ში დაამკვიდრა, რაჟის ამ სოფელში სტამბა დააარსა და წიგნების ბე-ჭდვა დაიწყო. ასე, რომ იმერეთის სამეფო ხელისუფლების არსებობის უკანასკნელ წელს და მისი გაუქმების მომდევნო 1811 წელს სოფ. წესში სტამბა მოქმედებდა. პირველი წიგნი, რომელიც სოფ. წესში დაიბეჭდა, თარიღდება 1809 წლით, ესაა „სავედრებელი ღვთის შობ-ლისა“, რომლის ბოლო გვერდი გვაუწყებს: „ყოვლად სამღუდლო ნიკოლოს წმიდელი არხი-ეპისკოპოსი სოფრონ შემწე ექმნა სტამბისა ამის საჭიროთა ნივთთა-ზედა. ბრძანებითა მათის უმაღლესობითა მოწო-დებულ ექმნა რუსეთით მოსამსახურედ და გაკეთდა სტამბა ესე მე-სტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა. სტამბისა ამის ბეჭდვისა მმართე-ელი მესტამბე რომანოზის ძე დავით ზუბაშვილი... დაიბეჭდა წიგნი ესე სამეფოსა ქუეყანასა წესსა“¹⁶.

ამ წყაროდან ირკვევა, რომ სოფ. წესში სტამბის გახსნით დაინ-ტერესებული ყოფილა ნიკორწმინდელი არქიეპისკოპოსი სოფრონი, რომელსაც გაუღია სოფ. წესის სტამბის დასაარსებლად საჭირო თან-ხები და „გაკეთდა სტამბა ესე მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა“¹⁷.

¹⁵ ქართული წიგნი, 1941, გვ. 86.

¹⁶ ქართული წიგნი, 1941, გვ. 87.

¹⁷ მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს „1809 წელს რაღაც მიზეზით სამეფო სტამბა ქუთაისიდან გადაუტანიათ სოფ. წესს, რაჟამი და იქ დაუბეჭდიათ

როგორც ჩანს, სოლომონ მეორის მიერ რუსეთიდან თავის დროზე გამოწვეულ რომანოვ ზუბაშვილს იმერეთის სამეფოში გაუმართავს ორი სტამბა: პირველი — ქ. ქუთაისში მეფის ბრძანებითა და საფასით სამეფო პალატსა შინა, ხოლო მეორე — ნიკორწმინდელ არქივისკოპოს სოფრონის შემწეობით სოფ. წესში. იგი დაარსდა ნიკორწმინდელის საფასის გაღებით „სტამბისა ამის საჭიროთა ნივთთა ზედა“.

წესის სტამბის დაარსებაში მეფის ხელი არა ჩანს, გარდა იმისა, რომ სოფელი წესი თავისი სტამბით მიჩნეულია „სამეფო ქვეყნად“.

რომანოვ ზუბაშვილს სოფ. წესის სტამბის გახსნის პროცესში და მის შემდეგ ქუთაისის სამეფო სტამბაში მუშაობა არ შეუწყვეტია. იგი სამეფო სტამბაში კვლავინდებურად განაგრძობდა მუშაობას. ამას ადასტურებს 1810 წ. ქუთაისის სტამბაში დაბეჭდილი „ლოცვანის“ ბოლო გვერდი, სადაც ვკითხულობთ: დაიბეჭდა „ხელითა მესტამბე რაზმაძე რომანოვ ზუბაშვილისათა“¹⁸. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა სახელოვან მესტამბეს რომანოვ ზუბაშვილ-რაზმაძეს წესში ახლად დაარსებული სტამბის მუშაობის ასევე ნაყოფიერად წარმართვის თავ-კაცი ყოფილიყო. სოფ. წესის სტამბაში ამ დროს მუდმივად იღვწოდა მისი ვაჟი, უკვე მესტამბე დავითად წოდებული, როგორც ამას თავის დროზე დ. კარიკაშვილი ფიქრობდა¹⁹. ეს აზრი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. სოფ. წესის სტამბა დაარსდა გამოცდილი მესტამბის რომანოვ ზუბაშვილი-რაზმაძის ხელით, ხოლო ყოველგვარი ხარჯები სტამბის ასამუშაებლად და მისთვის საჭირო მოწყობილობების, ქალაღდისა და სხვ. შესაძენად გაიღო ნიკორწმინდის არქივისკოპოსმა სოფრონმა. ამრიგად, სოფ. წესის სტამბა საეკლესიო უწყებას დაქვემდებარებული სტამბა უნდა ყოფილიყო. ამ სტამბის მზრუნველ-გამგებელი არქივისკოპოსი სოფრონი გამოდის. ამრიგად, იმერეთში XIX ს. დასაწყისში მოქმედებდა სამეფო და საეკლესიო სტამბები. პირველის ადგილსამყოფელი ქ. ქუთაისია, მეორის კი სოფ. წესი, ნიკორწმინდელ სოფრონის მეთაურობით.

1811 წელს წესში გამოიცა მეორე წიგნი — „გამოკრებული სადღესასწაულო“: ამის შესახებ წიგნის ბოლო გვერდზე მინაბეჭდი გვაუწყებს: „ჩყია (1811), გულსმოდგინებითა შრომითა და ღვაწლითა

„საედრებელი ღვთის მშობლისა“, ხოლო 1810 წ. დამდგეს სტამბა უკანვე დაუბრუნებიათ ქუთაისში და იქ დაუბეჭდიათ „ლოცვანი“... ამის შემდეგ სტამბა ხელახლა გადაუტანიათ ქუთაისს და იქ დაუბეჭდიათ 1811 წ. „გამოკრებული სადღესასწაულო“. სტამბის ასეთი მოძრაობა არ დასტურდება.

¹⁸ ქართული წიგნი, 1941, გვ. 87.

¹⁹ იხ. დ. კარიკაშვილი, ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორია. თბ., 1929, 33. 107.

ყნდ სამღვდელთა ნიკოლაოს წმიდელ არხიერის სოფრონისათა, ხელთა მესტამზე ზუბაშვილისათა, რომელიც მიტუალეზულ იქმნა, უწინარეს შესრულებისა ამის, ხოლო შემდეგ მიტუალეზისა მისისა, მეძემან მისმან დავით ვიწყე და აღვასრულე“²⁰.

იმერეთის სამეფოში მომხდარი უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ გადატრიალებისას, რაც მეფის განდევნასა, სამეფოს გაუქმებასა და იმერეთში რუსული მმართველობის დამკვიდრებაში გამოიხატა, 1811 წ. გარდაიცვალა სოფ. წესის სტამბის დამაარსებელი და მისი წარმმართველი რ. ზუბაშვილი²¹. ამ შემთხვევას ასევე დიდი როლი უნდა შეესრულებინა წესის სტამბის გაუქმებაში.

მართალია „სადღესასწაულოს“ ბეჭდვა არ ჩაშლილა, იგი ბოლომდე მიუყვანია რომანოზისავე ვაჟს — უკვე გამოცდილ მესტამებს დავითს, მაგრამ წესის სტამბა გაუქმებისაგან მას ვერ უხსნია. კიდევ მეტი, იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და რომანოზ ზუბაშვილის გარდაცვალების შემდეგ სოფ. წესის სტამბის მართვის საქმეებში, როგორც ჩანს, ზურაბ წერეთელი ჩაერია. ამ ფაქტმა თავისი ასახვა ჰპოვა „სადღესასწაულოს“ სასტამბო მონაცემების მეორე „ვარიანტში“, სადაც ვკითხულობთ: „მათს ყოვლად სამღვდელობას ნიკოლაოს-წმიდელს სოფრონოსს ეს გამოკრებული სადღესასწაულო დაეწყო და რამდენიმე რვეული თავის ხარჯით დაებეჭდა. და აწ ჩვენ, წერეთელმან თავადმან, სახლთუხუცესმან ზურაბ, ვინებეთ ამ სადღესასწაულოს შესრულება და ჩვენის საფასით დაებეჭდეთ და შევასრულეთ, მხილველთაგან ლოცვისა მოხსენებლად“²².

წესში 1811 წ. „გამოკრებული სადღესასწაულოს“ დაბეჭდვის შემდეგ წიგნი აღარ დაბეჭდილა და სტამბის არსებობა სამუდამოდ წყდება. ჩვენ არც ის ვიცით, თუ რა ბედი ეწვია წესის სტამბის გაუქმების შემდეგ სტამბის იარაღ-მოწყობილობას. წყაროებიდან ვიცით მხოლოდ, რომ მესტამზე დავით რომანოზის ძე ზუბაშვილი 1818 წელს საჩხე-

20 ქართული წიგნი, 1941.

21 და არა ნიკორწმიდელი სოფრონი (იხ. ო. კასრაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 121).

22 ქართული წიგნი, 1941, 1, გვ. 87. ო. კასრაძე თავის ნაშრომში „ეკრიტიკული წერილები“ (თბ., 1968, გვ. 10—37) და პ. ვაჭრიძე წიგნში „როტაციონის ბრუნავს მანქანა“ (ქუთაისი, 1979, გვ. 3—24) რომლებიც ქუთაისში მოქმედი სტამბების ისტორიას ეხებიან, ამბობენ, რომ „იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, ნახევარი საუკუნის მანძილზე არაფერი სტამბურად არ დაბეჭდილა“. ოღონდ აქვე პ. ვაჭრიძე სწორად შენიშნავს: 1821 წელს ქუთაისში დაიბეჭდა იმერეთის მმართველ გორჩაიკოვის „საერთო განცხადება მცხოვრებლებსადაც იმერეთის“, რომლითაც რუსეთის ცარიზმი პატივს პირდება 1819—1820 წლების აჯანყების მონაწილეებს“ (იქვე, გვ. 25), მაგრამ საჩხერეში საწერეთლო სტამბის შესახებ საზოგადოდ არაფერი იუწყებიან. მოგვიანებით ამ უკანასკნელს ანუ საჩხერის საწერეთლო სტამბას ო. კასრაძე შეეხო და განიხილა თავის მორიგ ნაშრომში, რომელიც 1972 წელს

რეშია და ზურაბ წერეთლის სტამბაში მომხდარ ყალბი ბეჭდის მოჭრა-
ში მონაწილეობისათვის აპატიმრებენ. რაც შეეხება წესის სტამბის.
მთელ მოწყობილობას, იგი ქუთაისში უნდა გადაეტანათ და სოლომონ
მეორის სტამბასთან ერთად ახლად დამკვიდრებულ რუსეთის მთავრო-
ბისათვის უნდა ჩაებარებიათ. წყაროებში დატული ცნობებით იმე-
რეთში ორი სტამბაა მოხსენებული. ერთ-ერთი მათგანი „მდარედაა“
წოდებული, განსხვავებით სამეფო კეთილმოწყობილი სტამბისაგან. ეს
„მდარე“ სტამბა იმერეთის სამეფოში, 1820-იან წლებში მოხსენებული-
სოფ. წესის ყოფილი სტამბა უნდა ყოფილიყო.

3. საჩხერის საწერეთლო სტამბა

ზურაბ წერეთელმა არ დააყოვნა და რომანოზ რაჭმაძე-ზუბაშვი-
ლის გარდაცვალებისთანავე, 1811 წელს. ბეჭდვის პროცესში მყოფ
„გამოკრებული სადღესასწაულოს“ მინაბეჭდით, როგორც ვრწმუნდე-
ბით. შეეცადა ხელში ჩაეღო სოფ. წესის სტამბა. „სადღესასწაულოს“
მონაცემი გვაუწყებს, რომ იგი „სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის
ნებითა და საფასით დაიბეჭდაო“. ეს ფაქტი საფუძველს იძლევა ვი-
ფიქროთ, რომ ზურაბ წერეთელს სურდა თავისი გავლენა სოფ. წე-
სის სტამბაზეც მოეპოვებინა, მაგრამ ახალმა რუსულმა მმართველო-
ბამ ზ. წერეთლის ამ მისწრაფებას გზა გადაუღობა, ამიტომ მას არამც
თუ სოფ. წესის სტამბის, არამედ თვით ქუთაისის სტამბის. რო-
მელიც ადრიდანვე ზურაბ წერეთელს იჭარბო ქონდა მეფისგან აღე-
ბული და ამ სტამბის ფაქტიურ ბატონ-პატრონად ითვლებოდა, გამგებ-
ლობაც კი ჩამოერთვა. ამრიგად სტამბები დაიხურა და შეწყდა წიგნე-
ბის ბეჭდვა როგორც ქუთაისში, ასევე სოფ. წესში.

1812-დან 1815 წლამდე იმერეთში არ მოქმედებდა სტამბა. ამი-
ტომ, ცხადია, არც დაბეჭდილი წიგნი მოკვეპოვება.

ზურაბ წერეთელს, რომელიც სოლომონ მეფეს ღალატობდა და
აშენებდას ელოდა იმერეთის ყოფილ სამეფოში მეფის რუსეთის ახლად
დამკვიდრებული მმართველობისაგან, იმედები არ გაუშარტლდა²³. ამი-
ტომ მასში უკმაყოფილების გრძნობა რუსული მმართველობისადმი

გამოაქვეყნა. იგი ემყარება ჩვენს მიერ მუშავებულ დოკუმენტურ მასალებს, რო-
მელიც ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ფონდში მოკვლეულ. ჩვენ კოლე-
გიულურად გავაყარეთ ეს მასალა და გამოიყენა იგი. ოღონდ ცალმხრივად და წყა-
როზე მიუთითებლად.

²³ შ. ბურჯანაძე, თავადი ზურაბ წერეთელი, — საქართველოს სახელმწი-
ფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B. 1959.

იმთავითვე იჩენს თავს და ღვივდება, რაც ზ. წერეთელმა ერთგვარად გამოხატა კიდევ საქართველოს მთავარმართებელ რტიშჩევისადმი წარდგენილ წერილ-თხოვნაში (პასუხი ზ. წერეთელმა მიიღო ალ. ტორმასოვისგან).



ზურაბ წერეთელი ამ უთარილო წერილში (იგი 1811 წ. დასაწყისში უნდა იყოს შედგენილი) ჩამოთვლის თუ რას ფლობდა და როგორი იყო მისი ჰიზალი უფლებრივი მდგომარეობა იმერეთის სამეფოში მეფე სოლომონ მეორის დროს და როგორ შეიცვალა (სინამდვილეში მიერა და ერთბაშად გაუარესდა) ახლანდელ პირობებში, რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდეგ.

წერილში ზ. წერეთელი ასევე ეხება სტამბის საკითხს და წერს: „...მქონდა უკანასკნელის მეფისაგან წერილით მოცემული სტამბა და სტამბის ადგილი ქუთაისში და სახლი აიღეს და საპურე დაჯგეს და მიზრანა ფეოდარ ღლიბიჩმა ბოქება სახლის ფსად ოცის თუმნისა და ჯერეთ არა მომცემიეს და აღარც ადგილი მაქვს“²⁴.

ზურაბ წერეთლის ამგვარი საყუედურებთ აღსაყე წერილზე 1811 წ. 3 მაისის თარიღით პასუხი (არაოფიციალური და ძალზე თავზიანი) გაუტია საქართველოს მთავარმართებელ ალ. ტორმასოვს — ქართულ ენაზე პირადად ტორმასოვის მიერ კარგად დაწერილი წერილით (ავტოგრაფია). სადაყ სხვათა შორის სტამბის შესახებ ზ. წერეთელს ასეთ პასუხს აძლევს: „დასასრულ. მმართვეს მე გითხრათ თქვენ თქვენის სასტამბო სახლებისათვის, ღენერალ-მაიორი სიმონოვიჩი მომახსენებს, რომ არქიმანდრიტ ზაქარიას გაუყიდნია ერთი სახლი და... იარაღნი, გაქცეულა მეფესთან და მეორე სახლი დრომდის პურობილ არს პრავიანცისათვის, რომლისაცა დაცლა და დაუყოვნებლივ

²⁴ საქართველოს სსრ მეცნიერებთა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd-178. აწ განყენებული ო. კასრაყ ამ უთარილო საბუთს შეედომით ათარიღებს 1814 წლით (იხ. მისი ძველი ქართული ნაბუქდი წიგნბი. გვ. 122).

ჩვენ არ ვიცით საიდან აიღო ავტორმა ეს თარიღი, რადგან ზურაბ წერეთლის წერილი უთარილოა. ამ უკანასკნელის დათარიღებაში ვყეხმარება ჩვენ მიერ ქვემოთ მოტანილი ალ. ტორმასოვის პასუხი ზ. წერეთლისადმი, რომელიც 1811 წ. 3 მაისით თარიღდება. ბუნებრივია, 1811 წლის 3 მაისზე უფრო ადრე უნდა ყოფილიყო აღძრული საჩივარი ზ. წერეთლისა, რომ მანზე პასუხი გაეცა ტორმასოვს. ამდენად წერეთლის საჩივარი უდავოდ 1811 წ. მაისამდეა დაწერილი და არა 1814 წელს, ავტორი ვარაუდობს: „ეტყობა უფრო ადრე ამ საყითხზე მას გენერალ-მაიორი ალ. ტორმასოვთან უჩივლიათ“. ზ. წერეთელს ტორმასოვთან საერთოდ არ უჩივლია, მან იჩივლა მთავარმართებელ ნიკოლაი ფეოდორეს ძე რტიშჩევთან, ზოლი ამ საჩივარზე პასუხი წერეთელს მოგვიანებით 1811 წ. მაისში გასცა ალ. ტორმასოვმა. აქ დასახელებული წყარობები, რომელთაც ო. კასრაყე უთითებს, ისტორიული სინამდვილის მხოლოდ ამგვარად გაგებისა და ფაქტის ზუსტად დათარიღების საფუძველს იძლევა.



სურ. 37. საბარებო. საჩხერე. 1817. მარცხენა მხარე მხარე მხარე მხარე — ლუკასი

უკან მოცემა თქვენის ბრწყინვალეობისათვის მე ვბრძანე, და როგორც გაუყიდნია არქიმანდრიტს, უკეთუ არა აქვს სამართალი გაყიდვისა, ჩამოართვან ის მსყიდველსა და თქვენ უკუ მოქცენ“²⁵.

აქედან კარგად ჩანს, რომ ზურაბ წერეთელს ქუთაისში სტამბა მედის სასახლიდან გადაუტანია საგანგებოდ გამართულ „სასტამბო სახლებში“ (ორი სახლი, ორგვარი სტამბა), რომელთაგან ერთს თითქო ზაქარია არქიმანდრიტი დაპატრონებია (სახლიც გაუყიდნია), ხოლო სტამბის იარაღი გადაუტანია თავისი ძმის გიორგის ბინაზე. რაც შეეხება სიმონოვიჩის მონათხრობს, რომ თითქოს ზაქარია არქიმანდრიტს ერთი სახლი და სტამბა მიეთვისებინოს და თან გაპყლოდეს იმერთა მეფეს სოლომონ მეორეს, არ გამოხატავს სინამდვილეს და მთლიანად მოგონილია.


ალ. ტორმასოვის ამგვარმა მოულოდნელმა (უსულგულო) პასუხმა, ირკვევა, თვალი აუხილა და დროულად დაარწმუნა რეალისტი და გამპირიახი პოლიტიკური მოღვაწე ზ. წერეთელი მასში, რომ მისი „დიდი ამავის დაფასებას“ რუსეთი არ აპირებს; და იგი მეფის რუსეთის დიდ მოხელეთა მოიხედე — ქვეყნისათვის და მისთვის საჭირო საქმის სასურველად და დროულად გადაჭრისათვის ხელში შემყურე არასოდეს არ უნდა ყოფილიყო.

იმერთში მოქმედი სტამბების გაუქმებით უკმაყოფილო პატივმოყვარე და გულზეიადი თავადი ზურაბ წერეთელი და მისი ვაჟი გრიგოლი, რომელთაც დიდი ქონების გარდა დიდი დამსახურება, გავლენა და ნდობაც უნდა ქონდეთ ახლად დამკვიდრებული რუსული მმართველობის წინაშე, ამიერიდან ცდილობენ იმოქმედონ საკუთარი ძალებით, საკუთარი სტამბის დაარსებისათვის თავიანთ სათავადო მამულში — საჩხერეში, მოღინახეს ციხისა და სასახლის მიდამოებში.

25 იხ. ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Sd, № 1610.

ტორმასოვი ალექსანდრე პეტრეს ძე 1809 წ. 9 მარტს დაინიშნა საქართველოსა და კავკასიის ხაზის ჭარების მთავარსარდლად (ანუ მთავარპატრულად. როგორც მას ჩვენში უწოდებდნენ). ამ თანამდებობაზე იგი დარჩა 1811 წ. სექტემბრამდე. ტორმასოვის ადგილზე 1811 წ. სექტემბერში გააწვეს მარკოზ პაულიჩი, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ გადაიყვანეს. ნიკოლოზ ფეოდორის ძე რტიშჩევი ჭერ კიდევ 1811 წ. თებერვალში დაინიშნეს კავკასიის ხაზის ჭარების მთავარსარდლად. ხოლო ერთი წლის შემდეგ — საქართველოს მთავარპატრულად. ამით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ზ. წერეთელს განცხადებით შეცდომით (თუ შეგნებულად) მიმართავეს რტიშჩევს, ხოლო პასუხობს ტორმასოვი 1811 წლის 3 მაისის თარიღით. რტიშჩევი საქართველოს მთავარპატრულის თანამდებობაზეა 1812 წლის თებერვლიდან 1816 წ. ოქტომბრამდე, იგი შეცვალა ერმოლოვმა. Юбилейный сборник к столетию присоединения Грузии к России, Тифлис, 1901, стр. 9—10, 12, 14.

ამ მიზნით ისინი მოსკოვში აგზავნიან მათთვის სანდო პირს „სტამბის იარაღების, ტყვიისა და ქაღალდისა და სხვათა საყიდლად და ჩამოსატანად“, რაზეც ორას სამოცი თუმანი დაუხარჯავთ, და ენერგიულად შესდგომიან ახალი სტამბის მოწყობას.



სურ. 38. საჩხერის „ნასტამბარის“ ობელისკის ესკიზი.

როგორც ჩანს, ცხოვრებისეულად გამოცდილი, ენერჯული და გულგაუტეხელი ზურაბ წერეთელი ამიერიდან თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის გზას დაადგა. მან მიიღო გადაწყვეტილება და მოკლე დროში სისრულეში მოიყვანა საკუთარ მამულში, საჩხერაში, მოღინახეს ციხე-სასახლის მიდამოებში კეთილმოწყობილი სტამბის გახსნის შესახებ. საკუთარ სტამბაში ზურაბ წერეთელმა მიიწვია როგორც ქუთაისის, ასევე სოფ. წესის სტამბების საუკეთესო ოსტატები — ზაქარია არქიმანდრიტის, დავით ზუბაშვილის და სხვ. სახით.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია საყურადღებო საბუთი, რომელიც შუქს დენს საჩხერის სტამბის ისტორიას. ესაა 1815 წ. 5 მაისის თარიღით შედგენილი ზაქარია არქიმანდრიტის პირობის წერილი ზურაბ წერეთლისადმი. ამ წერილიდან ჩანს, რომ 1815 წ. საჩხერის საწერეთლო სტამბა უკვე გამართულია და მუშაობს — წიგნი იბეჭდება.

აი სრული ტექსტი ამ საბუთისა: — „ესე უტყუარი პირობის და სიმტკიცის წერილი მოგართვით მე მღაბღმა არხიმანდრიტმან ზაქარიამ თქვენ ბატონ წერეთელს სახლთუხუცესს ზურაბს და თქვენს შვილს ბატონს გრიგორს ასე რომ სტამბის სიყვარული გქონდათ, და ორას სამოცი თუმნის სტამბის იარაღები, ტყვია და ქალაღლი მოსკოვიდგან მოატანინეთ და იყიდეთ და თქვენ ინებეთ საჩხერეს სტამბის გამართვა და მე მიბრძანეთ.

მე თქვენის ერთგულებისა და სიყვარულისათვის ღწის შეწევნით გაემართე და ვამუშავე, ახლა კიდევ პირობა მთხოვეთ და წყალობამიბოძეთ ჩემი ძმის წულ ისიდორიონისათვის ყმა და მამულისა აზნაურიშვილობის [ბოძება], რვა გლეხი... თავისი ადგილ-მამულიანათ... რადგანაც თქვენ ეს წყალობა ინებეთ, მეც ეს პირობა მომირთმევია უტყუილი: თუ თქვენი სტამბა მე არ დამეშალოს თქვენგან საჩხერეს, მე არავის ბრძანებით არას ადგილს სტამბა არ ვამუშაო, — თუ ძალი ვისგანმე არ დამადგა. თუ ჩემს სახლში რამ მცირე-მცირე დავბეჭდო, შენი სტამბის წინააღმდეგომი და დამაყენებელი არც ის ვქნა.

კიდევ ეს პირობა მომირთმევია; ჩემის შეძლებისამებრ შენი სტამბა უმუშაოდ არ მოვაცდინო, ხარჯი თქვენი იქნება და ოსტატობა ჩემი, და ჩემს სიცოცხლეში თქვენს სიყვარულსა და ერთგულებას ვეცადო და რომელიც წიგნი თქვენის ხარჯით დავბეჭდოთ, ხარჯს უნდა გამოვიდე და რაც დარჩება — ორი წილი თქვენია და ერთი წილი ჩემი იქნება და რომელსაც წიგნს თქვენს უხარჯოთ დავბეჭდავთ. ის კი საკუთრად ჩემი იქნება და რადგან თქვენს სტამბაში დავბეჭდავთ რასმე, მისის მიზეზით სარგებელიც მოგერთმევათ. ღწის წინაშე ეს შეკრუ-

ლების და პირობის უტყუელი წერილი მომირთმევია წელთა ჩყიე მისის ე. ბექელი“²⁶.

ზურაბ და გრიგოლ წერეთლების ამგვარ ენერგიულ და დამოუკიდებლად გაბედულ მოქმედებას საკუთარ მამულში სტამბის დაარსება-ამუშავებისათვის სასურველი შედეგიც მოყოლია. 1815 წ. მისში სტამბა საჩხერეში უკვე „გამართულია და მუშაობს“, როგორც ეს ზაქარია არქიმანდრიტის აქ მოტანილი პირობის წიგნიდან ჩანს.

ჩვენამდე მოაღწია 1815 წ. საჩხერეში პირველად დაბეჭდილმა წიგნმა „სამოციქულომ“, რომელიც სარდალ სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლისა და მისი ძის გრიგოლის მცდელობით განხორციელდა და რომელსაც შემოუნახავს ასეთი შინაარსის საგამომცემლო მინაბეჭდი: „სტამბისა ამის ყოვლითურთ მმართველი და ზედამდგომელი საქართველოს მრავალმთის გარეჯის ბერი გაენათის არხიმანდრიტი ზაქარია სტამბისა ამის ბეჭდისა მუშაკი რომანოზ მესტამბის ძე, მესტამბე დავით ზუბაშვილი“²⁷.

ამრიგად, სათავადო სტამბა საჩხერეში დაარსდა სტამბის იარაღებისა და მისთვის საჭირო ყოველგვარი მასალის მოსკოვში ზურაბ წერეთლის საფასით შესყიდვის, ჩამოტანისა და გამართვის საფუძველზე. სტამბის მმართველად დაინიშნა სოლომონ მეფის სტამბის ყოფილი მოღვაწე ზაქარია არქიმანდრიტი, ხოლო წიგნის მბეჭდავ-მესტამბედ სოფ. წესის სტამბის მუშაკი დავით რომანოზის ძე ზუბაშვილი²⁸. სოფ. წესში (1815 წ.) სტამბა კარგა ხანია რაც აღარ მოქმედებდა. მისი დამაარსებელი რომანოზ ზუბაშვილი 4 წლის წინ გარდაიცვალა, ხოლო რომანოზის ძე და მისი შემცვლელი დავითი, ზაქა-

²⁶ არქიმანდრიტი ზაქარია, ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd-1547.

²⁷ ქართული წიგნი, 1941, გვ. 88.

²⁸ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ნოსაზრება, რომლის მიხედვითაც საჩხერის, ანუ საწერეთლოს სტამბა, თითქოს, ქუთაისის სტამბის ბაზაზე იყოს დაარსებული; ისტორიული წყაროებით კი დასტურდება, რომ იმერეთის სამეფო სტამბის, ისე როგორც სოფ. წესის საეკლესიო სტამბის, იარაღ-მოწყობილობანი რუსეთის ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლების შტაბის გამგებლობაში გადასულა.

სხვაგვარად შეუძლებელიც იყო. იმერეთში დამკვიდრებული რუსული მმართველობა სამეფო-სახელმწიფო ქონებას არავის დაანებებდა და ძალით კიდევ მის მიტაცებას ვერავინ ელიდა. ასეც მოხდა. ზურაბ წერეთელმა, როგორც ეს საბუთით მტკიცდება, სტამბის იარაღები და ყოველგვე, რაც სტამბის ამუშავებას ესაჭიროებოდა, ერთიანად იყიდა და მოიტანა მოსკოვიდან. წერეთელს არც კი უცდია სახელმწიფო სტამბის მოთვისება, მას სტამბის მუშაობის გაგრძელება აინტერესებდა, მაგრამ როცა ეს შეუძლებელი გახდა, ზ. წერეთელი საკუთარი სტამბის დაარსებისათვის იღწწოდა და დააარსა კიდევ საჩხერეში.

რია არქიმანდრიტთან ერთად საჩხერის საწერეთლო სტამბაში ეწეოდა მოღვაწეობას.

გამოცდილი მესტამბეების ზაქარიასა და დავითის ენერგიული შრომით საჩხერის საწერეთლო სტამბაში მუშაობა აღმავლობით გრძელდებოდა. 1817 წ. საჩხერის სტამბაში დაიბეჭდა სახარება, რომლის საგამომცემლო ანდერძში ვკითხულობთ: „დაიბეჭდა სახარება... დროსა უკეთილმსახურებისა და თვითმპყრობელისა და ღიღისა ხელმწიფისა აღექსანდრეს ძისათა ს'დ როსიისა და სხვათა... კურთხევითა ყ'დ სამღვდელისა... დაიბეჭდა წიგნი ესე საჩხერეს, სასახლესა სარდალ სახლთუხუცისა ზურაბ წერეთლისასა; საფასწარსაგებლითა თავადის მაიორის და კავალერის წერეთლის გრიგორისათა წელსა ჩყიზ (1817) თვესა აპრილს რიცხვსა“²⁹.

„სახარების“ დაბეჭდვაში „ფრიადი შრომა“ თავს უღვია და კიდევ აღუსრულებია გაენათელ ზაქარიას. წიგნის ბოლო ფურცელზე მას მიუბეჭდია მიმართვა ზურაბ წერეთლისადმი, სადაც ვკითხულობთ: „მოწყალეო ხელმწიფევი მსახურებასა შეუდევ ბრწყინვალებისა თქვენისას, ვითარცა სუროდა, სამღვთოსა სულსა შენსა. წმინდა ესე სახარება დავბეჭდე მრავლითა შრომითა და სხვათაცა წიგნთა და წიგნაკთა შინა ნაშრომთა ჩემთა სახელი შენი აღვწერე. ვსასოებ კაცთმოყვარისა ღვთისაგან, რათა უზადოთა კეთილ მოქმედებითა შენითა წიგნთაცა შინა ცხოვრებისათა აღიწეროს სამარადისოდ“³⁰.

ამავე 1817 წ. საჩხერის სტამბაში დაბეჭდილად ვარაუდობენ, ხოლო ზოგი გადაჭრით მიიჩნევს „მათეს სახარებას“, მაგრამ არც ერთ მათგანს თავიანთი მოსაზრების დასამტკიცებლად საჭირო საბუთი არ მოაქვს, ან კიდევ საერთოდ უვლიან გვერდს ამ ფაქტის აღნიშვნას³¹.

სინამდვილეში ირკვევა, რომ 1817 წ. საჩხერის სტამბაში „მათეს სახარება“ არ დაბეჭდილა.

მომდევნო 1818 წ. საჩხერის სტამბაში დაიბეჭდა „პატარა სახარება“, რომლის შესახებაც ცნობას გვაწვდის თვით ზაქარია არქიმანდრიტი, დამბეჭდავ-გამომცემელი ამ „პატარა სახარებისა“.

ამის შესახებ ბელგოროდში გადასახლებული ზაქარია არქიმანდრიტი (თუ რატომ გადასახლეს ამაზე ქვემოთ) პეტერბურგში მცხოვრებ იმერეთის მეფის დავითის მეუღლეს, დედოფალ ანას, პირად ბართში სწერდა: „...ქუთაისს დამიბარეს, პატარა სახარებას ვებეჭადვილ

²⁹ ქართული წიგნი, 1941, გვ. 88.

³⁰ იქვე, გვ. 89. აქ ყურადღებას იპყრობს ფაქტი, „სხვათაცა წიგნთა და წიგნაკთა ნაშრომთა ჩემთა სახელი შენი აღვწერე“. ე. ი. 1816 წელს, უნდა ვიფიქროთ, საჩხერის სტამბაში ორ წიგნს გარდა სხვა წიგნი და წიგნაკებიც ყოფილა დაბეჭდილი.

³¹ ქართული წიგნი, 1941, გვ. 88.

წყველს საჩხერეს. და რომ ჩავედ ქუთაისს, მაშინვე დამიპირეს და ტფილისში გამომგზავნეს“... დაპატიმრება კი მოხდა 1818 წლის სექტემბერში³². ამრიგად, საჩხერის სტამბაში „პატარა სახარება“ 1818 წელს დაიბეჭდა.

აღნიშნულს კარგად ადასტურებს 1822 წლის აპრილში ზაქარიას მიერ ანა დედოფლისადმი პეტერბურგში მიწერილი ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ ზაქარიას საჩხერიდან თბილისში თან წამოუღია ზოგ პირად ნივთთან ერთად „პატარა სახარების“ მთელი ტირაჟი, რომელიც მიუბარებია მიხეილ იოსების ძე მიქაძე-ფალავანდიშვილისათვის სიონის საყდარში³³, საიდანაც ამას შეეძლო ამ სახარების ეგზემპლარის მიღება. ამრიგად. ცხადად ირკვევა, რომ საჩხერის სტამბაში წიგნების ბეჭდვა 1818 წლის ჩათვლით გრძელდებოდა.

ზაქარია არქიმანდრიტის დაპატიმრებით და ბელგოროდში მისი გადასახლებით საჩხერის საწერეთლო სტამბის მუშაობა მართალია დიდი ხნით შეწყდა, მაგრამ მთლიანად მაინც არ უნდა გაუქმებულიყო. სტამბა კიდევ რამდენიმე წელს მდგარა უმოქმედოდ საჩხერეში და მხოლოდ 1822 წელს განუახლებიათ სტამბის მუშაობა. ამას ადასტურებს სოფ. სხვიტორში ა. წერეთლის სახლმუზეუმში დაცული „ოდიკი“-ს წარწერა, სადაც ვკითხულობთ: „დაიბეჭდა წმინდა ესე ოდიკი. საჩხერეს ნებითა და კურთხევით ყოვლად უსამღვდელოესის საიმერეთოს არქიეპისკოპოზის და კავალერის სოფრომის მიერ წელსა ჩუკბ, იანვრის კ“³⁴. ოდიკის დაბეჭდვა შეეძლო მესტამბე დავით რომანოზის ძე ზუბაშვილს, რომელიც მოკლე დროში განთავისუფლდა პატიმრობისაგან³⁵.

ამის შემდეგ ცნობებს საჩხერის სტამბაში დაბეჭდილი რაიმე სახის წიგნაკის, მასალის ან ფურცლის შესახებ წყაროებში ჩვენ ვერ ვხვდებით. 1822 წლიდან საჩხერის სტამბა მუშაობას წყვეტს. სტამბა, როგორც ჩანს, მთავრობის განკარგულებაში უნდა გადასულიყო და გარკვეულ დრომდე ისიც უმოქმედოდ იდგა.

ზაქარია არქიმანდრიტს საჩხერე-ქუთაისიდან თბილისსა და ბელგოროდში თან წაღებულ საკუთარ წიგნთა და პირადი ბიბლიოთეკის

³² ლენინგრადის აზიის ხალხთა (ყოფ. აღმოსავლეთმცოდნეობის) ინსტიტუტის ქართულ ბელნაწერთა ფონდი K, № 16, ფურც. 15. ამავე 1818 წელს ზაქარია არქიმანდრიტსა და ოსე გაბაშვილს, რომელნიც ერთად დაპატიმრეს, განცხადებით მიუმართავეთ მთავარმმართველ ერმოლოვისათვის. იხ. საქ. ცენტრარქივი, ფ. 2, საქ. 596, ფურც. 50.

³³ იქვე, დასახელებული ინსტიტუტის ბელნაწერთა ფონდი, ფურც. 18.

³⁴ ეურნალი „დროზა“, 1956. № 10, — 3. წერეთლის წერილი, „საჩხერის სტამბა“.

³⁵ საქ. ცენტრარქივი, ფ. 2. ან.წ. 1, საქ. 596, ფურც. 116—117.

გარდა საჩხერეში დარჩენია მის მიერ დაბეჭდილი წიგნების, მაგ., „უამნის“, საკუთარი ეგზემპლარები, გარკვეული რაოდენობით. გაჭირვებაში ჩავარდნილ ზაქარიას თბილისიდან ბელგოროდში გასახლების წინა დღეებში წერილი მიუწერია ზურაბ წერეთლისათვის, რომლითაც თხოვდა: დაბეჭდილი „უამნების“ სამეგრელოში გაყიდვას და ფულის მისთვის დროულად გაგზავნას, ვიდრე ბელგოროდში მისი გასახლება მოხდებოდა³⁶.

სამეგრელო კვლავინდებურად რჩებოდა ნაბეჭდი წიგნებს გამსაღებელ ერთ-ერთ კერად, რაც ჯერ ვახტანგ VI-ის და შემდეგ ერეკლე მეორის სტამბებში დაბეჭდილი წიგნების გავრცელებით იწყება.

ქუთაისის სამეფო და საჩხერის სათავადო სტამბებში ზაქარია არქიმანდრიტის ნაყოფიერი მოღვაწეობით დაბეჭდილი წიგნებით სამეგრელოსთან ერთად, როგორც ჩანს, მთელი ზღვისპირეთის ეკლესიამონასტრები მარაგდებოდა. ამის შესახებ ზოგი ოფიციალური ცნობაც კი შემონახულა³⁷. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ XIX საუკუნის პირველი მეოთხედის ისტორიულ პირობებს, რომ რუსეთთან ახლად შეერთებულ საქართველოში მოქმედი ეკლესიამონასტრებისა და სხვათა საკმაოდ გაზრდილი მოთხოვნილება სასულიერო წიგნებზე მთლიანად იმერეთის სტამბებს დააწვა, ამიტომ ბუნებრივია ამ დროს წიგნის ფასებიც საკმაოდ გაიზრდებოდა. ამ ხანებში თბილისში ქართული სასულიერო წიგნები საერთოდ არ იბეჭდებოდა (მიმდინარეობდა მხოლოდ ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური მიწერ-მოწერა ამგვარი წიგნების დასაბეჭდად სტამბის გახსნის შესახებ), ხოლო რუსეთში (მოსკოვში) ამგვარი წიგნები მეტად მცირე რაოდენობით იბეჭდებოდა.

ამიტომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრებასთან დაკავშირებულ დაპირისპირებულ წინააღმდეგობათა ვითარებაში, მეტ-ნაკლებად, მხოლოდ იმერეთის სტამბებში ხერხდებოდა საეკლესიო წიგნების ბეჭდვა — ასე გრძელდებოდა 1822 წლამდე.

1818 წ. ზაქარია არქიმანდრიტთან ერთად დაუპატიმრებიათ ოსე ზაქარიას ძე გაბაშვილი (ბესიკის ძმა), აგრეთვე მესტამზე დავით რომანოზის ძე ზუბაშვილი და ივანე წერეთელი, ხოლო გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს დიდი ქრთამით გამოუხსნია თავი.

³⁶ ხელნაწერთა ინსტიტუტი. Sd-1549. პასუხი ამ ბარათისა არ ჩანს.

³⁷ მაგ., გენ. სიმონოვიჩის წერილები რტიშჩევსკადში, იხ. АКТЫ... ტ. 2. გვ. 480—481.

მათი დაპატიმრების მიზეზი სპეციალურ საქმეში არის აღწერილი, რომელიც საქართველოს ცენტრარქივშია (იხ. ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 596) დაცული, აგრეთვე კარგადაა გადმოცემული ანა დედოფლისადმი გაგზავნილ ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის პირად ბარათებში.

ზაქარია და ოსე დაპატიმრების მიზეზად სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლისა და მისი ვაჟის გრიგოლ წერეთლის ყოვლად უსამართლო საქციელს ასახელებენ; სამძო-საწერეთლო მამულის გაყოფისას წერეთლებს შორის დავა ამტყდარა. ამ დავაში მათდა უნებურად ჩათრეული ზაქარია არქიმანდრიტი და ოსე გაბაშვილი სრულიად უდანაშაულოდ დასჯილან. ოსე გაბაშვილი ამის შესახებ ანა დედოფალს სწერდა: „სანატრელმა ბატონმა მეფე სოლომონმა მიბრძანა მე, და დამაწერინა წყალობის წიგნი სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლისათვის, ქაიხოსროსათვის და მათის ძმის ბერის წერეთლისათვის. მაშინ სახლთუხუცესმან თავისის ძმის, ბერის სახელი აღარ დამაწერინა და მისი სახელის ადგილი დასაწერად დამატოვებინა ცარიელი სტრიქონი. და ეს ბრძანა, — მიზეზი ბატონს მეფესაც მოხსენებული აქვსო. მე და ჩემს ძმას ბერს ცოტა რამ ერთმანეთში სიტყვა გვაქვსო და ახლა, ბერის სახელს, ნუ დასწერო. მოგვხსენება სახლთუხუცესის ამბავი, რომ მეორე იმერეთის გამგებელი ის იყო და როგორც ენება, ისე იქმოდა და მე დაუტევე ადგილი დასაწერი სახელი ბერის წერეთლისა“³⁸.

ბერი წერეთელს და მის შვილს ივანეს თავისი უფლებების აღდგენისათვის ბრძოლა სოლომონ მეფის გადადგომის შემდეგ დაუწყიათ და ოსე გაბაშვილი იძულებული გამხდარა უსიამოვნო წერილი მიეწერა ზურაბ წერეთლისათვის: „ან მეფეს რატომ უყავი საქმე, რომ მოატყუე და წარსაწყმედელ ბრალში ჩააგდეთ, ან შე რას შემართლებოდი, რომ იმაში გამრიეო“. რა თქმა უნდა, წერეთელი ამით უკმაყოფილო გახდებოდა.

ბერი წერეთელს, ოსესთან ერთად, ზაქარია არქიმანდრიტიც გამოუყენებია და უცდია მისი დახმარებით მეფის სოლომონ II სამეფო ბეჭედი მოეკრა საჩხერის სტამბაში, ყალბი საბუთის დასამტკიცებლად.

³⁸ ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდი K. № 16, ფურც. 15.

ზაქარიას მიერ ბელგოროდიდან ანა დედოფლისადმი გაგზავნილ წერილში ეკითხულობთ: „ჩვენი პატივობის ამბავი გეკითხა. მე ვახლდი საჩხერეს წერეთლის ზურაბისაგან ვედრებით მიყვანილი სტამბის გასამართავად, რაც შემეძლო სტამბა მოეაწყვე, შრომა თავს ვიდევ და გაუმართე და წიგნები დაუბეჭდე, მაგრა, რადგან ისინი ღირსნი არ იყვნენ, სამართლად განსაყდელი მომეღლინა, რა იმათი საქმე იყო სტამბა, მწარედ შენიშნავს განაწამები ზაქარია.“

ამის შესახებ ზაქარია ანა დედოფალს სწერდა: „საჩხერეს, ბერის წერეთლისას, სადილად წამიყვანეს. მესტამზე მოეყვანათ და მითხრეს: ამ მესტამზეს ბეჭედს ვაჭრევინებთო, ეგების ჩვენი მამული არ დაგვეკარგოსო“. ზაქარია არქიმანდრიტს, როგორც საჩხერის სტამბის გამგებელს, რამდენჯერმე დაუშლია სამეფო ბეჭედის მოჭრა და ვერც შეუტყვია მოჭრა თუ არა ასეთი ბეჭედი სინამდვილეში მესტამზე დავით ზუბაშვილმა. მაგრამ, გადმოგვეცემს ზაქარია: „ორი კვირა რომ გავიდა, ამ მესტამზემ ლაპარაკი დაიწყო, ზაქარია არქიმანდრიტმა მიცვალებულის მეფის სოლომონის ბეჭედი მომაჭრევიანაო“; ოსე გაბაშვილის ბუნობით „ამ საქმისათვის ატყდა გრიგოლ წერეთელი და რაც იმერეთში ნაჩაღნიკი იყო ყველას წიგნები მისწერა სახლთუხუცესის მაგივრად და შეგვასმინა, რომ ოსემ და ზაქარია არქიმანდრიტმა მეფის ბეჭედი მოაჭრევიანა და მეფის წყალობის წიგნი დასწერეს, დაბეჭდეს და ბერს წერეთელს მისცესო“.

ცარიზმის მოხელეები ამ ხმებს შეუშფოთებია, დაპატიმრებული ოსე და ზაქარია ქუთაისში ჩაუყვანიათ. „ივანე წერეთელიც და ის მესტამზეც ჩვენთან მოიყვანესო“, წერს ოსე. 1818 წლის 10 დეკემბერს დაპატიმრებულები 20 ჟარისკაცმა თბილისში ჩამოიყვანა. ამრიგად, ირკვევა, რომ მათთან ერთად დაუპატიმრებიათ მესტამზე დავით რომანოზის ძე ზუბაშვილი-რაზმაძე და ივანე წერეთელი. თბილისში დაუბარებიათ ზურაბ წერეთლის ვაჟი გრიგოლი, ოსეს დაწერილი სიგელი უთარგმნიათ და ბერი წერეთლისათვის მამულები დაუბრუნებიათ, ხოლო გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს დიდის ქრთამით გამოუხსნია თავი და ასევე სხვადასხვა გზებით მოუხერხებიათ მესტამზე დავით რომანოზის ძის და ივანე წერეთლის პატიმრობიდან გამოსხნა. დაისაჯნენ მხოლოდ ზაქარია არქიმანდრიტი და ოსე გაბაშვილი.

რა ბედი ეწვიათ 1820 წლიდან სამშობლოს მოწყვეტილ და ბელგოროდში გადასახლებულ ზაქარია არქიმანდრიტს და ოსე გაბაშვილს? რა საქმიანობას ეწეოდნენ ისინი უცხოობაში?

ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული წერილები ამ კითხვაზე საკლებით ნათელ და ამომწურავ პასუხს იძლევა.

წერილებიდან ნათლად დასტურდება, რომ ანა დედოფალს (1766—1836 წწ.), იმერეთის მეფის დავით 11 თანამეცხედრეს, რომელსაც მეტად ფართო ლიტერატურული ინტერესები ამოქმედებდა, უდიდესი მზრუნველობა გამოუჩენია ბელგოროდში ექსორიაქმნილი დიდი მწიგნობრების — ზაქარიასა და ოსესადმი, რომელთაც, ეპეი არ არის, მეტად ახლოს იცნობდა ჯერ ქართლიდან და შემდეგ იმერეთიდან, როგორც სამეფოს ერთგულ ყმებს. ბელგოროდში ზაქარიას და ოსეს, გადასახლების მეტად ძნელ პირობებში, ანა დედოფლის დაკვეთით და საფასით, საერო, სასულიერო და სამეცნიერო ხასიათის ქართული წიგნების

გადაწერისათვის მიუყვიათ ხელი. ამრიგად, მათ ბელგოროდი 1820-იან წლებში ქართული სამწერლობო მოღვაწეობის ერთ-ერთ ახალ კერად გადაუქცევიათ.

ზაქარია და ოსე თვითონ სთავაზობდნენ ანა დედოფალს თავიანთ სამსახურს; მაგალითად, 1824 წლის 26 ივნისს ოსე გაბაშვილი ანა დედოფალს სწერს: „თუ რამე წიგნი გაკლდეს ანუ საღმრთო, ანუ საერო. მიბოძეთ მისი დედნითა და კარგის ქალაღღღთა, გნებავს სუფთად გადავიწერთ და თუ გნებავთ ნუსხურად და თუ გნებავს თავხელათ მხედრულად. მოცლითაც გახლავარ და თავსაც კარგად შევიქცევ, ჩემო ხელმწიფეო“.

ოსე გაბაშვილი თავის სამწერლო საქმიანობას ბელგოროდში ზაქარიასთან ერთად ეწეოდა და ხშირად ზაქარია არქიმანდრიტის კონსულტაციით სარგებლობდა. ეს კარგად ჩანს წერილებიდან. პროთოიერეი ოსე გაბაშვილი ზაქარია არქიმანდრიტს თავის მოძღვრად და სულიერ მამად მიიჩნევდა. ანა დედოფალი დაინტერესებულა ზაქარიას წიგნებით და ზოგი რამ უთხოვია კიდევ. ამაზე ზაქარია თავის საპასუხო წერილში (1821 წლის 12 ივნისს) ანა დედოფალს სწერდა, რომ საკუთარი ბიბლიოთეკა მან დასტოვა თბილისში: „მის ბრწყინვალეობას მიქაძე-ფალავანდოვს, მიხაილ იოსების სიონში მივაბარე წიგნები წამოსვლის დროს თუ რამე მქონდაო“. ზაქარია არქიმანდრიტი ცნობილი კალიგრაფი იყო. იგი გელათსა და ქუთაისში მოღვაწეობის დროს წერდა წიგნებს; მას გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის თხოვნით გადაუწერია კენტოს კურციოსის „საქმეთათვის ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისათა“, რომელიც 1762 წელს თარგმნა ანტონ I და მიუძღვნა მეფე ერეკლე მეორეს.

ზაქარია არქიმანდრიტს და ოსე გაბაშვილს მდიდარი ბიბლიოთეკა უნდა ჰქონოდათ. ბელგოროდში ზაქარიას გარდაცვალების გამო ანა დედოფალს ოსე გაბაშვილისათვის დაუვალებია, ყურადღება მიექცია, რომ არ გაფანტულიყო გარდაცვალებულის ლიტერატურული არქივი და პირადი ნივთები. საპასუხოდ ოსე 1824 წლის 25 თებერვალს დაწერილი ბარათით დედოფალს აცნობებდა: „გებრძანა არქიმანდრიტის ან ხატი იყოს და ან წიგნები, ნურაფერს დატოვებთო. როდესაც კუთხეული მიიკვალა, მაშინვე არხიმანდრიტი ამ მონასტრისა იოსებ მოვიდა და რაც იყო სულ ააწერინა, ერთი არაფერი არ დაუტოვებია... ანუ თქვენი წყალობა ტანისამოსი, ანუ წიგნები სკივრში ჩააწყო, საყდარში სალაროში შეინახა... ორი საარხიმანდრიტო ჭვარი... მისი ანდერძის წიგნი მანდ გამოგზავნა, სინოდს მიართვეს“³⁹.

³⁹ სწორედ ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სავსებით შესაძლებელია ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის არქივები, სინოდის უწყებაში მოხვედ-

რა საფუძველზე უკავშირდებიან ოსე და ზაქარია ანა დედოფალს? ანა დედოფალი, როგორც აღენიშნეთ, იყო იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის მეუღლე, რომელიც 1802 წლიდან რუსეთში გადასახლდა. იმპერატორ ალექსანდრეს ჩარევის წყალობით მან მოახერხა პატიმრობიდან გამოეხსნა თავისი ვაჟი კონსტანტინე, რომელიც სოლომონ მეორეს მუხურის ციხეში ჰყავდა გამომწყვდეული⁴⁰. შემდგომ კონსტანტინე შევიდა რუსეთის არმიაში, იწოდებოდა კონსტანტინე იმერეტი-ტინსკად (1784—1844), იყო რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი.

ანა დედოფალი უაღრესად განათლებული, მწიგნობარი და ქართული კულტურის მოღვაწეთა დიდი მეცენატი იყო. მას ძველ-რბილში ჰქონია გამჭდარი ის დიდი და ფართო ლიტერატურული ტრადიციები, სიყვარული მშობლიური ენისა და მწერლობისადმი, რაც ორბელიანთა გვარს ოდითვე მოსდევდა. ოსე გაბაშვილის მამა — ზაქარია მოძღვარი ხომ ორბელიანთა კარის საყდრის სულიერი მსახური იყო. ქართლიდან გაძევებულმა ზაქარია გაბაშვილის ოჯახმა ბევრად ადრე ჰპოვა თავშესაფარი იმერეთის სამეფოში. ეკვი არ არის, რომ ეს კავშირი ანას გადედოფლების შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცდებოდა.

ოსე გაბაშვილის მიმოწერით დასტურდება, რომ ანა დედოფალი ბესარიონ გაბაშვილის ლექსებითა და მისი პირადი ამბებით (რაც კი ახსოვდა და მოიპოვებოდა გაბაშვილების ოჯახში) მეტისმეტად ყოფილა დაინტერესებული და ამ ცნობების სისტემატურად მიწოდებას ავალბდა ოსეს. ბესიკი XVIII ს. 80-იანი წლებიდან დავითის მეფობისა და ანას დედოფლობის პერიოდში რუსეთ-თურქეთის ომის (1787—1791 წწ.) დაწყებისთანავე რუსეთში გაიგზავნა დიპლომატიური მისიით და განუყრელად ახლდა გრ. პოტიომკინს⁴¹.

თავისი ძმის, ბესიკის შესახებ ოსე გაბაშვილი ხშირად სწერდა ბესიკით დაინტერესებულ ანა დედოფალს. მაგ., 1821 წ. მარტის 28 ოსე წერს: „ლექსები რომ გებრძანათ ბესარიონის, აქ არ მომყოლია და თუ რამ ზეპირ ვიცი გავიხსენებ, დავსწერ და მოგართმევთ, ხელმწიფეო“. 1821 წლის 2 მაისს დაწერილ წერილში ვკითხულობთ:

რილი, მოსკოვში ან ბელგოროდში ინახებოდეს. ბუნებრივია, იქვე უნდა იყოს დაკული ანა დედოფლის წერილები.

⁴⁰ იხ. ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, თბილისი, 1944, თ. ლომოურის რედ., გვ. 81—82.

⁴¹ ა. ი. ოსელიანი. ახალი მასალები ბესიკის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ — იხ. ისტორიის ინსტიტუტის მასალები, ნაკვ. 34, 1962; მისივე, კიდევ ერთხელ ბესიკის დიპლომატიური მოღვაწეობის შესახებ. — ჟურნ. დროშა, 1961, № 7; მისივე, ბესიკი და რუსეთ-ოსმალეთის ომი (1787—1791 წ.). — გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1951, № 45, 11 ნოემბერი.

„უწინარეს ამისა გებრძანათ ლექსნი ძმისა ბესარიონის თქმულნი. მაშინ საჩქაროდ ველარ მოვასწარ, არა მაქვენდა დაწერილი. ვიფიქრე დავიწყებული და გავისხენე რომელიმე და მივეც იგი აღმწერელობას... და მოგართმევენ“. 1821 წლის 23 სექტემბერს ანასადმი მიწერილ ოსეს წერილში ვკითხულობთ: „გებრძანა გზაზე წამხდარიყო რვეულები ლექსთა ჩემ მიერ შორთმეული, ამისათვის ნუ შესწუხდებით, უმჯობესად განგიახლებთ, ახლა ველარ მოვასწარი, შევეასრულებთ და მალე გაახლებთ, რომ გზაზე აღარ წახდეს“. 1826 წლის ივნისის 6 მიწერილ წერილში ოსე დედოფალს სწერს: „რომელიც თქვენ წიგნები, ან ის გიორგის სასწაულები, ანუ სხვათა ანუ ლექსები ძმისა ბესარიონისა გეთხოვათ, ყოველივე ერთად წარმოგზავნე თქვენისა უმაღლესობისა წინაშე“. დედოფალი ანა, ჩანს, ბესიკის ლექსებზე ხშირად მოაგონებდა ოსეს, რომელიც 1826 წლის 20 ივნისის თარიღით სწერდა: „...ლექსები ძმისა ბესარიონისა გეთხოვათ, ყოველივე ერთად წარმოგზავნე თქვენისა უმაღლესობისა წინაშე და არა უწყი მოგერთვა თუ არა. ეს ორჯერ მომირთმევია რაც მებრძანა და მე რა ვყო თუ არავინ მოგართმევს, შე ვისაც გამოგატანე ვგონებ თავისად განისაკუთრებს და თუ კიდევ არ მოგერთვა, განსაკუთრება ეს იქნება“.

ოსეს და ზაქარიას ცხოვრება და ლიტერატურული მუშაობა ბელგოროდში, ბუნებრივია, უაღრესად მძიმე პირობებში წარიმართა. ისინი სისტემატურად ავადმყოფობდნენ, უჩიოდნენ გაჭირვებას და ყველა წერილში აღნიშნავდნენ, რომ მათ სიცოცხლე ანა დედოფალმა შეუნარჩუნა. მართლაც, ანა დედოფალი ნამდვილად დედობრივ მზრუნველობას იჩენდა მათზე, ფულით, ტანსაცმლით და ყველაფერს აკეთებდა მათ გადასახლებიდან გასათავისუფლებლად. მაგრამ ისინი განთავისუფლებას, ანას დიდი ცდის მიუხედავად, ვერ მოესწრნენ.

ოსეს მიერ ანა დედოფლისადმი უკანასკნელად გაგზავნილი ბარათი 1826 წლით თარიღდება და აქ წყდება. ჩვენ არ ვიცით როდის გარდაიცვალა ოსე და სადაა იგი დაკრძალული, მაგრამ ოსეს უკანასკნელი ანდერძი და ნებისყოფა არ უნდა ასრულებულიყო: — „სწდ სოფელი დაუტევე და გაენათის მონასტერს მიემართე და დავესადგურე, მანდ დამარხვა მენება მამა ზაქარიასთან და ჩემ საყვარელ ძმებთან: ის იყო რომ წინამძღვრად კურთხევას მეპირებოდა უწი გაენათელი, და ამათ პროთოიერობაც დამატევებინეს, და ამისათვის მომხვდა მეც — სოფლისა მკვლელი ბრჭალები, სიკვდილო ვერსად დაგემალები“⁴².

⁴² აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართულ ხელნაწერთა ფონდი K, № 16 დედანი. ოსე გაბაშვილისა და ზაქარია არქიმანდრიტის მიერ ამ გზით ბელგოროდში გადაწერილი წიგნების დიდი უმრავლესობა გადაჩა და დღეს ქართულ ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. მაგ., ოსე გაბაშვილის მიერ 1822 წელს გადაწერილი ერთ-ერთი კრებულის (ხელნაწ. ინსტიტუტის K 301) ან-

ოსე გაბაშვილისა და ზაქარია არქიმანდრიტის ეპისტოლურ მემკვიდრეობასთან ერთად, მათი ბიოგრაფიის, მწიგნობრული მოღვაწეობის, დაპატიმრება-გადასახლებისა და ცხოვრების უკანასკნელი დღეების შესახებ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის საარქივო სასამართლო-საგამომძიებლო დოკუმენტები.

მაგალითად, საჩხერისა და გელათის მონასტრიდან ქუთაისში გამოძახება ზაქარიასი და ოსესი, განდევნილი მეფის ყალბი ბეჭდის მოკრის გამო, მომხდარა 1818 წლის 4 სექტემბერს და ორთავენი ქუთაისიდან, სხვებთან ერთად, თბილისში გადმოუგზავნიათ. საქმის გამოძიება და განაჩენის გამოტანა 1820 წლის 27 სექტემბერამდე გაგრძელებულა⁴³.

საქმეში დაცულია ჩვენებები: ბრალდებულ იოანე ბერის შვილის წერეთლისა (იხ. ფურც. 15—16), დავით რომანოზის ძე ზუბაშვილის—მესტამბის, ბეჭდის მომპრეღისა (ფურც. 17—18), ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის ერთობლივი განცხადება ერმოლოვის სახელზე (ფურც. 52), მესტამბე დავით ზუბაშვილის დედის — კაცხელი კნენა თამარ აბაშიძის თხოვნა ერმოლოვისადმი შვილის თავდებში გაშვების შესახებ (ფურც. 57) და იოანეს დედის — კნენა დარეჯან წერეთლის თხოვნა (ფურც. 84). იოანე წერეთელი უჩვენებს, რომ მას მოთხოვეს 80 თუმანი ქრთამი და სხვ. დასახელებული საქმის 116—117 ფურცლებიდან ჩანს, რომ ყველა მთავარი ბრალდებული გაათავისუფლეს და თბილისიდანვე ქუთაისში დააბრუნეს. ზაქარიას და ოსეს 1820 წლის სექტემბერში მიუსაჯეს (თბილისში 3 წლიანი პატიმრობის შემდეგ) გადასახლება ბელგოროდში 4 წლით (სასჯელს, როგორც სასულიერონი, მონასტერში იხდიდნენ). ამავე არქივშია დაცული მეორე № 8835 საქმეც, სადაც არა ერთ საყურადღებო ფაქტს

დერძში ვკითხულობთ: „მათს უმაღლესობას, ჩემს ხელმწიფას იმერთა ხელმწიფეს ანნას, ობოლიანთა ასულს ებრძანა გადაწერა წიგნისა ამის და აღწერე მე ზაქარია მოძღურის ძემან პროთოიერმან ოსე გაბაშვიან. გარდა ამისა, ექსპრობასა შინა რუსეთს ბელგოროდის ქალაქსა, მონასტერსა წმინდისა ნიკოლოზისასა, აღწერე:— ორი სამოციქულო, ორი დიდი მეტაფრასი, ერთი კონდაკი, წლის წმინდის იამბიკოდ თქმული იოანე პეტრიწისა, ერთი კლემაქსი, ერთი ეჟინი მისის თვეებით, სხვა ლოცვები, დაუჯდომელი პარაკლისი, იესო ტკბილი, ოთხი ესენი აღწერე და ჭერეთ კიდევ აქ ვარ მადლითა ღმრთისათა დაცულნი. შე ვითარ განმეგრძლდა მწირობა ჩემის წელთა ქრისტესით ჩუკბ, დეკემბრის — კ“. ოსეს მწირობა ამის შემდეგ ოთხ წელს გაგრძელდა ბელგოროდში და მის ერთადერთ საზრუნავს დედოფალ ანას წიგნთა გადაწერა შეადგენდა.

⁴³ იხ. საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრარქივი, ფონდი 2, ანაწ. 1, საქ. 596. ეს საქმე 124 გვ. მოიცავს.

⁴⁴ ო. კასრაძემ აქ დასახელებულ საარქივო № 8835 საქმეზე დაყრდნობით უყრნ. „განთიადში“ (1977, № 2) გამოაქვეყნა მცირე ნარკვევი.

ვხვდებით ოსე გაბაშვილისა და ზაქარია არქიმანდრიტის მოღვაწეობისა და პირადი ბიოგრაფიული ცხოვრებიდან⁴⁵.

ეს საქმე ხშირად იმეორებს ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც ანა დედოფლისადმი მიწერილ ოსესა და ზაქარიას წერილებშია აღნიშნული, ამასთანავე ვხვდებით არა ერთ საინტერესო საოჯახო ცნობასაც. მაგ., ოსე გაბაშვილს 1812 წ. ერთბაშად დაღუპვია მეუღლე და შვიდი შვილი მთარული სენისაგან, რომელიც მაშინ იმერეთში მძვინვარებდა. ამ უბედურების შემდეგ ოსე გელათში, მის მიერ აშენებულ კელაში, საცხოვრებლად აღიკვეცა თავის ძმის ნიკოლოზ დეკანოზთან ახლოს.

სასჯელის მოხდის შემდეგ ოსე სტოვებს ბელგოროდს (ზაქარია ერთი წლით ადრე გარდაიცვალა), მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს, ამიტომ იგი ასტრახანში გადასახლდა. ოსე უკმაყოფილოა ასტრახანით. — „ერთ ქართველსაც კი ვერ შეხვდებით აქაო“. — წერს ოსე ანა დედოფალს და სინანულს გამოთქვამს, რომ ბელგოროდიდან გადავიდა. ასტრახანის მონასტერში დაბინავებული ოსე კვლავ აგრძელებს კალიგრაფიულ მოღვაწეობას, რასაც ადასტურებს ოსეს მორიგი წერილი ანა დედოფლისადმი, სადაც ვკითხულობთ: „...გებრძანათ ქართლის ცხოვრების აღწერა კიდევ. თქვენ იცით, მე შენს ბრძანებას აღვასრულებ და თუ გამომიგზავნით ქართლის ცხოვრებას დედნად, ვეცდები, ღვთით, მალე ავიწერო და აღვასრულო ბრძანება თქვენი“. მაგრამ ეს მიწერ-მოწერა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1826 წელს იგი შეწყდა... ოსეს თავისი სიცოცხლე ასტრახანში უნდა დაემთავრებინა, სადაც მეფეები ვახტანგ VI და თეიმურაზ II განისვენებდნენ. დედოფლისადმი მიწერილი წერილითვე დადგინდა ოსეს მამის ზაქარია მოძღვარის გარდაცვალების თარიღი — 1762 წელი.

4. თბილისისა და ქუთაისის სამეფო ტაგაზავის მოიჯარადრეთა ხალში გადასვლის საკითხისათვის

XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედსა და XIX ს. დამდეგს როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის სტამბის მუშაობასა და წიგნის ბეჭდვაში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად, ზოგი თვისებრივი სიახლე და არსებითი ხასიათის ერთგვარი ძვრები შეინიშნება. წინათ სტამბა სამეფოს გამგებლობაში იყო. მისი მოღვაწეობა საღვთო, საქველმოქმედო კატომოყვარეობის წმინდა საქმედ ცხადდებოდა და მხოლოდ მეფისა და კათალიკოსის

⁴⁵ მოსაზრება, რომ „ლიტერატურაში დღემდე არ ყოფილა ცნობილი, რა მისით იმყოფებოდა ოსე გაბაშვილი რუსეთში, ვიდრე არ გამოქვეყნდა ო. კასრაძის სტატია „წარსულის ფურცლები“ (ე. განთიადი, 1977, № 2), საჭიროებს დაზუსტებას.

სუვერენულ კომპენტენციას ექვემდებარებოდა; ქართულ სტამბასა და წიგნის ბეჭდვას ეს შარავანდელი თანდათანობით ჩამოეცალა. წინა პლანზე ცივი ანგარიშიანობა გამოჩნდა. მართალია, მეფეები ეკლესიის მესაქესთან ერთად ზრუნავდნენ სამეფოში სტამბის შენარჩუნებისათვის, მაგრამ რაკი სტამბის ნორმალურად მოღვაწეობისათვის კომერციული და სამეურნეო ანგარიშიანობა გვერდშეუვლელ მოვლენად იქცა, სამეფო ხელისუფლება იძულებული გახდა ხელი აეღო თავის ამ მეფურ მონოპოლიურ, მაგრამ სტამბისათვის საზიანო უფლებაზე და სტამბა იჯარით გაეცა, ე. ი. მოიჯარადრის უფლებებით დაკმაყოფილებულიყო.

საქართველოში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებათა გამო XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის 1-ლ მეოთხედში მკვიდრდება როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში სტამბის, როგორც წარმოების, იჯარით გაცემის პრაქტიკა.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით მეფე ერეკლემ გადადგა. მან კონსტანტინეპოლიდან მოწვეული გამოცდილი სპეციალისტის ხელმძღვანელობით სრულიად კეთილმოწყობილი და განახლებული თბილისის სტამბა (რაც 20 ათას მანეთამდე დაჯდა) 1783 წ. იჯარით მისცა გამოცდილ მესტამბეს, სამეფო კარის მღვდელ ქრისტესია კეყერაშვილს⁴⁶.

საიჯარო პირობა ასეთი იყო: ამიერიდან ყოველგვარ ხარკებს სტამბისა და წიგნის ბეჭდვისათვის მოიჯარადრე ქრისტესია კისრულობდა. ხოლო სტამბიდან მიღებული მთელი მოგება იყოფოდა ორად: ნახევარი სამეფო ხაზინაში შედიოდა, ნახევარი კი მოიჯარადრეს რჩებოდა. სტამბის იჯარით გაცემის შემდეგ წიგნების ბეჭდვა თბილისში დიდი აღმავლობით განვითარდა: თბილისში დაიბეჭდილი წიგნები მთელ საქართველოში ვრცელდებოდა. როგორც ჩანს, იჯარით აღებული სტამბა დიდ შემოსავალს აძლევდა ქრისტესია მღვდელს.

ოსე გაბაშვილისა და ზაქარია არქიმანდრიტის წერილები ანა დედოფლისადმი 1959 წ. გამოსცა ს. კაკაბაძემ ხელნაწერის უფლებით (გაურკვეველ სტამბაში, უფოდ და არაოფიციალურად), რომელიც ბიბლიოთეკებს საერთოდ არ მიუღიათ (ვიპოვე ცენტრარქივში ახლახან შემთხვევით).

ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში (K ფონდში), დაკულა წერილები ჩვენ 1939 წ. გადმოვიწერეთ და მოვაშაღეთ საპუბლიკაციოდ, რომელსაც ვიყენებთ წინამდებარე ნაშრომში. ეს მასალა ჩვენ ვათხოვეთ ო. კასრაძეს, რომელმაც გამოიყენა თავის ნაშრომში, მაგრამ არ აღნიშნა ჩვენი გვარი.

ს. კაკაბაძის დასახელებული პუბლიკაცია, სამწუხაროდ, დღემდე გამოუყენებელი და მიუთითებელი რჩებოდა ჩვენს ლიტერატურაში.

46 გ. ა. კ. ო. შ. ვ. ი. ლ., თბილისის სტამბის მოიჯარადრენი. — ნ. ბერძენიშვილის 80 წლისთავის საიუბილეო კრებული, თბ., 1976.

რაკი სტამბაში სამუშაოს მასშტაბი დღითიდღე იზრდებოდა, ქრისტესიას ამხანაგად მასავით გამოცდილი მესტამბე დავით მუშრიბ ყორღანაშვილი აუყვანია. მათ წიგნები ერთად უბეჭდიათ, მაგრამ მალე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა და დავითი განშორებია ქრისტესიას. იჯარით გაცემული თბილისის სტამბის მუშაობაში, წიგნის ბეჭდვის მთელ საქმიანობაში, ამიერიდან თანდათანობით მოგებისა და სარგებლიანობა-გამდიდრების ბურჯუაზიული ტენდენციები ღრმავდება, იგი ახალი ტიპის თავისებური საწარმო ხდება, სტამბა გამოცრჩეოდა ნაყოფიერი მუშაობით. მოთხოვნილება საეკლესიო და სხვა სახის ნაბეჭდ წიგნებზე ძალზე დიდი იყო. ასე გრძელდებოდა 1795 წლამდე, ვიდრე თბილისს თავს უბედურება დაატყდებოდა — ირანელები დაიპყრობდნენ, დასწვავდნენ, დაანგრევდნენ და თბილისის კეთილმოწყობილი სტამბაც განადგურდებოდა.

თბილისის სტამბის მუშაობაში აღრე შენიშნული ეს ტენდენციები, შეიძლება ითქვას, უფრო რელიეფურად მქლავნდება XVIII—XIX სს. მიჯნაზე იმერეთის სამეფო კარზე ახლად დაარსებული ქუთაისის სტამბის მუშაობაში.

იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს სტამბის მთელი მოწყობილობა მოსკოვში უყიდია მესტამბე გ. პაიჭაძის მეშვეობით. იგი ზრუნავდა კეთილმოწყობილ ქუთაისის სტამბის დროულად ამუშავებისათვის. 1800 წ. აქ პირველად დაიბეჭდა „ფსალმუნი“...

1803 წ. 3 მარტს სოლომონ მეფემ ქუთაისის სტამბა იჯარით გასცა ორ პირზე — მესტამბე გ. პაიჭაძესა და ზაქარია არქიმანდრიტზე. მათი „ამხანაგობის წიგნში“ ვკითხულობთ: „სტამბაში ერთად ვიმუშაოთ, ხარჯებიც ერთად გავწიოთ და შემოსავლის ნახევარი მეფეს მიერთმეოდესო“. მაგრამ ეს გარიგება მხოლოდ 1803 წ. ნოემბრამდე დარჩა ძალაში. ამის შემდეგ სტამბა მეფემ იჯარით გადასცა ზურაბ წერეთელს (რომელიც პირველ ხანებში, — 1804 წ. ივნისიდან ნოემბრამდე — სტამბის გამგებლადაც ითვლებოდა) უარეს პირობებში, — ე. ი. მეფე მოგების ნახევარს მიიღებდა მუშების ჯამაგირის გამოკლებით.

ზურაბ წერეთელმა, როგორც სამეფო სტამბის მოიჯარადრემ, დიდი ინტერესი გამოიჩინა სტამბისადმი. სტამბა ამ უმდიდრესი და უძლიერესი მემამულის ხელში შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცა... ამას აღსატურებს იმერეთის სამეფოსა და მისი სტამბის გაუქმების შემდეგ ზურაბ წერეთლის დამოუკიდებელი მოქმედება საკუთარი სტამბის დაარსებისათვის.

1815 წ. 5 მაისის ზ. წერეთლისადმი მიცემულ პირობის წიგნში მესტამბე ზაქარია არქიმანდრიტი აღნიშნავს, რომ „ორას სამოცი თუმნის სტამბის იარაღები, ტყვია და ქალაღი მოსკოვიდან მოატანინეთ,

იყიდეთ და საჩხერეში სტამბის გამართვა მე მიბრძანეთო“. ზ. წერეთლის ზრუნვა საკუთარი სტამბის შექმნა-დაარსებისათვის საყურადღებო ფაქტია. საჩხერეში გამართულ სტამბაში მუშაობას განაგრძობდა ზაქარია. დამოკიდებულება ზურაბ წერეთელსა და ზაქარიას შორის წმინდა ანგარიშიანობაზე აგებული კომერციული ხასიათის ურთიერთობაა. წყაროებიდან ჩანს, რომ სტამბის მეპატრონესა და მესტამბეს შორის მზა პროდუქცია, ანუ დაბეჭდილი წიგნები, ნაწილდებოდა, რომლებსაც დამოუკიდებლად ყიდდნენ დასაყვლეთ საქართველოში: სამეგრელოში, აფხაზეთში, გურიაში და სხვა ადგილებში.

იმერეთის სამეფოში, საჩხერის კერძო საწერეთლო სტამბის მსგავსად, სოფ. წესში, 1809 წ. დაარსებული სტამბა საეკლესიო უწყებას განეკუთვნებოდა, მაგრამ იგი არსებითად მესტამბე ზუბაშვილის კერძო საწარმოს უფრო მოგვაგონებდა, სადაც წიგნების ბეჭდვა შემოსავლის წყაროდ იყო გადაქცეული, ხოლო წიგნი, როგორც საქონელი, აღებ-მიცემობის საგნად, ვაჭრობის ობიექტად იყო ქცეული.

საქართველოს რუსეთთან შეერთება. თბილისის
კეთილშობილთა სასწავლებელთან ქართულ
სახელმძღვანელოთა დასაბამად სტამბის დაფუძნების
საკითხი

XVIII ს. ბოლოს და XIX ს. დამდეგს მრავალსაუკუნოვანი საქართველოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა ხდებდა. ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოსა და მეფის რუსეთს შორის პირველად 1783 წ. ქ. გეორგიევსკში დაიდო მეგობრობისა და მფარველობის ტრაქტატი.

ერთმორწმუნე რუსეთთან 1783 წ. მეგობრული იურიდიული დოკუმენტის ოფიციალურად გაფორმებამ და ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მხედრობის შემოსვლამ უდიდესი შეშფოთება გამოიწვია ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანურ ქვეყნებში. საქართველოს მტერი გაუმრავლდა. მის წინააღმდეგ ამხედრდნენ ირან-ოსმალეთი, ამიერკავკასიის სახანოები, დაღესტნის ფეოდალები, მაგ., ომარ ხანი და სხვ.

1795 წ. ირანის მპყრობელმა ალა-შაჰმად-ხანმა დაიპყრო და ცეცხლს მისცა თბილისი. ამ პერიოდში უმეტესწილად გატიალდა და დაიქცა ქვემო ქართლი, მაგრამ საქართველოს არც დანარჩენ კუთხეებში სუფევდა მშვიდობა. ახალციხის საფაშოდან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სოფლებსა და დაბებს მოსვენება აღარ ჰქონდათ. ოსმალთა დამპყრობლებმა იმერეთის სამეფოში დაიპყრეს კინტრიშის ხეობა და გააფართოვეს თავიანთი ბატონობის პლაცდარმი ქართული მიწების მიტაცებით. ამ უთანასწორო ბრძოლას ბოლო არ უჩანდა. მიუხედავად ამისა, ქართველი ხალხი გულგაუტეხლად იბრძოდა ამ მტრული გარემოცვის წინააღმდეგ. იგი ყველაფერს აკეთებდა რუსეთთან დადებული მეგობრული ტრაქტატის შეუბღალავად დასაცავად და რუს ხალხთან ძმობის განსამტკიცებლად, მაგრამ მეფის რუსეთმა პირობა დაარღვია. მხოლოდ თბილისის დაქცევის შემდეგ რუსეთმა ირანელ აგრესორთა ასალაგმავად და დასასჯელად 1796 წელს დიდი სამხედრო ექსპედიცია გამოგზავნა გრაფ ზუბოვის მეთაუ-

რობით; მაგრამ ეკატერინე მეორის მოულოდნელმა სიკვდილმა ჩაშალა ამ ექსპედიციის დაწყებული ოპერაციები. პავლე პირველის ბრძანებით ჯარი უკან იქნა გაწვეული, რაც მწარედ განიცადა ერეკლე მეფემ...

1798 წ. ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფე ერეკლე მეორე გარდაიცვალა. ფეოდალურ საქართველოში ადრე დაწყებული საგარეო და საშინაო კრიზისი დღითი დღე ღრმავდებოდა.

ახლად გამეფებული სწეული მეფე გიორგი XII-ს მდგომარეობას ართულებდა შინაფეოდალური ქიშპი და ტახტის დაპატრონებისათვის ერეკლე მეორის მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა დაუსრულებელი ცილობა.

1800 წ. გიორგი XII გარდაიცვალა. მეფის რუსეთი ამიერიდან ცალმხრივად მოქმედებდა. 1801 წ. მან საქართველოს ანექსია მოახდინა — გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო და იმპერიის შემადგენლობაში გააერთიანა თბილისის გუბერნიის სახელწოდებით. ამიერიდან ქვეყნის ბატონ-პატრონად მეფის რუსეთის დიდი და მცირე თანამდებობის მოხელენი, მთავარმართველნი და კაპიტან-ისპრავნიკები გვევლინებინან, რომელთაც ქართული წიგნისა და კულტურის საქმე მაინცა და მაინც არ აინტერესებდათ.

აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის გაუქმება, რუსული მმართველობის დამკვიდრება, გიორგი XII მიერ განახლებული სტამბის მუშაობის შეწყვეტა და ქართული წიგნების ბეჭდვის შეჩერება არსებითად ერთდროულად განხორციელდა.

ქართლ-კახეთში საოკუპაციო ძალთა ორგანიზაციულად ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების სტადიაში მყოფ რუსულ მმართველობას, რასაკვირველია, არ ეცალა ქართული სტამბისათვის.

ახალმა ხელისუფლებამ სტამბისათვის მხოლოდ 1803 წელს მოიკალა. ამ დროს ციციანოვმა დაამთავრა თბილისიდან სამეფო ოჯახის წევრების გასახლება, გუბერნიაში „ერთგვარად წესრიგის“ დამყარება. ამიერიდან იგი დაინტერესდა მხარის კულტურულ-საგანმანათლებლო, მათ შორის სტამბის საკითხებითაც¹.

ციციანოვმა ფორმალურად დიდი ინტერესი გამოიჩინა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლისადმი; ყველაფერი გააკეთა იმისათვის,

¹ ეს დაინტერესება გაპირობებული იყო იმ დიდი მზრუნველობით, რომელსაც ციციანოვი თბილისში კეთილშობილთა სასწავლებლის დაარსებისათვის იმ ხანად ეწეოდა. ეს სასწავლებელი ფორმალურად 1802 წ. 21 სექტემბერს გაიხსნა, მაგრამ, ციციანოვისავე ცნობით, მას აქ არ დაწვედნია არც მოწაფეები, არც მასწავლებლები და არც სასწავლებელი. კოვალენსკის თავი იმით უპართლებია, რომ მოწაფეები აქაური ხალხის უგუნურების გამო სკოლაში არ დადიოდნენ. ასეთ პირობებში ციციანოვს თავიდან მოუხდა ამ საქმის დაწყება (იხ. აქტები, ტ. 11, გვ. 196).

რომ იგი ცარიზმის დასაყრდენად ექცია მთელს კავკასიაში. ამ ერთადერთი საგანმანათლებლო კერის მკვიდრ ნიადაგზე დანერგვით მან გადაწყვიტა შეექმნა ახალი ბაზა, რომელიც მხარეს კულტურასა და განათლებას მოუტანდა².

ამგვარი იდეალების ხორცშესხმისათვის მზადების პროცესში მხარის გამგებელს მიუღია გადაწყვეტილება, რომ 1804 წ. 21 მაისს თბილისში გახსნილ კეთილშობილთა სკოლასთან დაეარსებია სტამბა, რომელიც განამტკიცებდა და უზრუნველყოფდა სკოლას სახელმძღვანელოებითა და სხვა საჭირო წიგნებით.

ციციანოვს ჯერ კიდევ 1803 წ. აპრილში განმარტება მოუთხოვია ცნობილი მესტამბის დავით მუშირიძე ყორღანაშვილისაგან, რომელიც აღრიდანვე მეფე ერეკლეს სტამბაში მოღვაწეობდა ქრისტესია კეყერაშვილსა და სხვებთან ერთად. დავითს ქართულ ენაზე დაუწერია განმარტება და მიუტანია დანიშნულებისამებრ³; ციციანოვის განკარგულებით ეს განმარტება რუსული თარგმანით საქართველოს ყოფილი მმართველის, ამ დროს კოლეჟსკი სოვეტნიკად წოდებული, კოვალენსკისათვის გადაუგზავნიათ.

დავით ყორღანაშვილის ამ საყურადღებო განმარტებიდან ჩანს თუ როგორი კონტრასტულ-დაპირისპირებული ურთიერთობა ყოფილა მასა და ერეკლეს სტამბაშივე მომუშავე, შემდეგ ამ სტამბის მოიჯარადრე ქრისტესია კეყერაშვილს შორის. დავითი ახლა ერთგვარად ანგარიშის გასწორებასაც კი ცდილა ქრისტესიასთან, როგორც ეს ამჟამად იგრძნობა ზემოთ დასახელებული განმარტებიდან და კოვალენსკისადმი ციციანოვის მიწერილობიდან⁴.

კოვალენსკიმ არ დააყოვნა; ყოველივე გამოიძია დაზუსტებით. 1803 წ. 20 აპრილის თარიღით იგი მოხსენებით ბარათს უდგენს ციციანოვს. მოახსენებს, რომ მან ყოველივე გაარკვია კაპიტან-ისპრავნიკების ზუსტი ინფორმაციებისა და პირადად ქრისტესია კეყერაშვილის გამოძახების, მისი დაკითხვისა და განმარტებების საფუძველზე. კოვალენსკი ამასთანავე აახლებს ციციანოვს ქრისტესია კეყერაშვილბადრიძის განმარტებასა და მასზე მიცემულ კითხვებზე პასუხს, ქრის-

2 ა. ი. ს. ლ. ი. ა. ნი, იოანე ქართველიშვილის მემუარები, თბ., 1952, გვ. 18—22.

3 დ. ყორღანაშვილის ამ განმარტების დედანს ჩვენამდე არ მოუღწევია. მისი რუსული თარგმანი დაიბეჭდა „კავკაზში“ (იხ. 1846 წ. № 48, გვ. 192), როგორც ირკვევა, ერთგვარი შესწორებებით. მაგ., ბოლო სტრიქონი — „ციციანოვმა 1804 წ. გამართა სტამბა თბილისის სასწავლებელთან“ — არ შეიძლება ეს სიტყვა ავტორის თქმულად მივიჩნიოთ, რადგან დავით ყორღანაშვილი თბილისში გარდაიცვალა 1803 წ. (ზაფხულში) (იხ. საქ სსრ ცსა, ფონდი 26, საქმე 387).

4 მიწერილობა დატულია საქართველოს ცენტრარქივში (იხ. ფონდ 16, ანაწ. I, საქ. 115, ფ. 1).

ტესია ადგენს სიას სტამბის მოწყობილობისა, რომელიც მასთან ყოფი-
ლა 1803 წლამდე შენახული⁵.

გამოძიებას მოუთხოვია: 1. ჰკითხეთ მღვდელ ქრისტეფორეს.

2. სახელდობრ, რომელი სასტამბო ინსტრუმენტები დარჩა და
სად არის ამჟამად, ყველა თუა უვნებლად შემონახული. არის თუ არა
მათი რეესტრი, რომლის მიხედვით არის მიღებული, და თუ არის,
გამოგზავნილ იქნეს განმარტებით — ვისგან, ვის მიერ და ვისი ბრძა-
ნებით იქნა ისინი მიღებული.

3. განიმარტოს, ამ სტამბას (როგორც მოგვახსენებს მუშრები
ყორღანოვი) რატომ ითვისებს მღვდელი ქრისტეფორე და თუ აქვს
რაიმე დამადასტურებელი იმისა, რომ ეს სტამბა მას ეკუთვნის, წარ-
მოადგინოს ისინი.

4. აჩვენეთ, რამდენი მიიღო ფული ამ მღვდელმა (როგორც ყორ-
ღანოვი ამბობს) თანხა გასწორებისათვის მეფე გიორგისა და ბატონ-
ნიშვილ დავითისაგან, აგრეთვე რაოდენობა და არსი მასალისა, რაც
მოხმარდა ყოველივე, — ვისთან ინახება ბარათები, რომელთა მიხედ-
ვით მიღებულ იქნა ზემოთ აღწერილი.

აი ტექსტი ქრისტესიას განმარტებისა, სტამბის იარაღების სიით-
ურთ:

„მის მაღალ მსვლელობას ივან ივანიჩ კავალინცკის წინაშე მოხსენე-
ბა აზნაურის კარის მღვდლის ქრისტესია ბადრიძისაგან. გებრძანებით
რაც სტამბის იარაღი ხოჯახანს გადარჩა ნუსხით მოგვახსენეთ. რაც
მქონდა სტამბისა ნუსხა ვახელ, ის გამოვიცხადეთ. კიდევ გებრძანათ
კურთხეულის მეფისაგან სტამბის გასამართავად თეთრი გბოძებიაო.
ორ აბაზის მეტი თეთრათ არა მბოძებია რა. რაც პრობას მოუხდება
და ტყვია, რკინა, სპილენძი, ზეთი, თოკი, ფოლადი ესენი მებოძა და
წყალობის წიგნში მიწერს, — სტამბა აღარ იყო, ჩვენის ბრძანებით
გააქეთე და მოგვართვით.

ქ. დავით ბატონიშვილი ისტორიის დასაბუქდავად ათ თუმანს
შეგვიპირდა, ხუთი გვიბოძა, ხუთიც მოსაცემი არის და ბარათიც ასე
აცხადებს, რომელიც ხელში გვაქვს. სამასი ისტორია უნდა დაგვე-
წერა და ასი წაიღო. ორასი აქა მაქვს. არც შესაყრავის ფასი მოუ-
ცია.

ქ. მეფის ირაკლისაგანაც წიგნი მაქვს, რა ერთიც სტამბაში ვყო-
ფილვარ ანგარიში გადამიწყვეტია.

სახელმწიფო იარაღი რაც არის და ან ჩემი ნასყიდი, რომელიც
მოწმით სარწმუნოთი ჩემია, ვისაც სტამბა ერწმუნება ჩემსაც ყოფ-

⁵ აქვე ჩვენ ვხვდებით ოთხმუხლოვან კითხვებს, რომელთა მიხედვითაც ქრის-
ტესიას განმარტება და ანგარიში უნდა წარედგინა მთავრობის ორგანოებისადმი.

ლითა სულითა და ყოვლითა გონებითა სრულის სარწმუნოებით უსას-
ყიდლოდ მივართმევ. სახელმწიფო იარაღი არას დროს ჩემთვის არა
მნდომებია და ესეც მცოდნებია, რომ ხელმწიფეს დაატურის [გარეშე]
არც სტამბა იქნება, არც სხვა.

ქ. რაც იარაღი დაკარგულა ხოჯახანის მოსვლაზე და სტამბას
აკლია, იმისი არა ვიცი რა ვის წაუღია, რაც დავით მუშრიბი სტამბის
იარაღს აცხადებს, ამის მეტი არც არა ჩემთან არის, არც ნუსხაში
არ დაიწერა და არც ვიცი ვის აქვს.

ქ. ნუსხა სტამბისა რაც ჩემთან არის. ქრისტესია მღვდელი ბადრი-
ძე ვსწერ:

ა. ქ. პირველი. სამი ჭახრაკი სტამბისა. ამ სამში ერთი დაზგა შე-
სრულებულია სრულიად.

ქ. მეორისა სინი არის გაუმართავი.

ქ. მესამეს სინი აკლია ისიც გაუმართავია. და ამ ორ დაზგას რკი-
ნის იარაღიც აკლია.

ბ. ქ. მეორე ტყვია არის ჩამოსხმული მხედრულის ასოსი, რომე-
ლიც კურთხეულმა მეფემ გიორგიმ პრობისათვის ინება.

გ. ქ. მესამე ყალიბები ოთხი. საეკლესიო ხუცური ხელი ორი ანბა-
ნი და საერთო ხელი მხედრული ერთი.

დ. ქ. იეშიკ ხისა ერთი ასოების ჩასაყრელი.

ე. ქ. ორი საწერი გონია ერთი რკინისა ერთი სპილენძისა.

ვ. ქ. ერთი ჭვარდიანი რკინა.

ზ. ქ. მანგანაა რკინისა ერთი.

ც. ქ. ქლიბი ერთი.

თ. ქ. ჩაქუჩი რკინისა ერთი.

ი. ქ. ზევით რომ სტამბისა ორი სინი სწერია ერთი გორის არის
კაქკაქაშვილს აბარია გაბრიელს. ამ მიზეზით ხოჯახანი რომ გაბრუ-
ნებულებოყო ქართლიდამ სტამბაში ნამყოფი იოსებ მღვდელი ჩამოსუ-
ლიყო. ერთი სინი სახელმწიფო ერთი ჭახრაკი ჩემი და ერთი რკინის
ტაფა სტამბისა კი არ არის ის ტაფა და ესენიც გორში არის მას ღლეს
აქეთ.

ხელს აწერს — აზნაური კარის მღვდელი ქრისტესია ბადრიძე⁶.

თბილისის სტამბის ისტორისათვის ქრისტესიას განმარტება (თან
დართული სიით) მეტად საინტერესო დოკუმენტია. იგი კარგად ახა-
სიათებს მის დამწერს, როგორც უაღრესად საქმიან კაცს და ბევრი
სათქმელის მოკლედ მთქმელ ოსტატს. ჩვენთვის ამ მოკლე ბარათითაც
გასაგები ხდება, თუ რატომ უქერდნენ მეფენი და კათალიკოსნი მხარს

⁶ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 16. საქ. 115, ფ. 6—7.
ასო „ქ“ აქ უქარაგმოდაა, აღნიშნავს „ქრისტეთ“.

და რატომ აირჩია ერეკლე მეორემ მხოლოდ ქრისტესია ისეთ კაცად, რომელზეც შეიძლებოდა სტამბის იჯარით გაცემა (კონკურენტი კი, ირკვევა, საკმაოდ ბევრი ყოლია მას).

პირველ ყოვლისა, დავით მუშრბის განმარტება ნათელ წარმოდგენას იძლევა გიორგი XII სტამბის ტექნიკურ შესაძლებლობაზე. დავით მუშრბი ყორღანაშვილისა და ქრისტესია კევერაშვილის განმარტებანი პ. ციციანოვისადმი, სხვა მასალებთან ერთად, ერთგვარად ავსებს (მაგალითად, 1810 წ. ტრამასოვისადმი ჯანჭულაზოვის განცხადებას და ჯილდოს ძიებაზე დართულ საბუთებს მასზე, რომ მან თითქოს საქართველოს სამეფო სასახლეს შესწირა მის მიერ 500 მანეთად შესყიდული ალა-მაჰმად-ხანის ურდოს მიერ თბილისიდან გატაცებული სტამბა⁷ და სხვ.) თბილისის სტამბის არსებობის უკანასკნელი პერიოდის ისტორიას და იმ ღონისძიებებს, რასაც მეფის რუსეთის მოხელენი ანხორციელებდნენ სტამბის ხელახლად აღსადგენად.

მეფის რუსეთის ენერგიული და განათლებული მოხელე პ. ციციანოვი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელთან სტამბის დაარსების მიზნით კავშირს აღრმავეებს და არაერთგზის უგზავნის წერილებს გაიოზ რეპტორს. იგი ცდილობს თბილისში სკოლის მოწაფეთათვის როგორც გაიოზ რეპტორის „გრამატიკის“ მთელი ტირაჟის (700 ცალის ოდენობით), ისე მოზდოკის ქართული სტამბის გადმოტანას, რაც წარმატებით განხორციელდა. გაიოზმა სამშობლოს უსასყიდლოდ გადასცა წიგნები და სტამბა იმ რწმენით, რომ იგი ისევე შეუფერხებლად იმუშავებდა თბილისში, როგორც ის მოზდოკში მუშაობდა. გაიოზის ეს იმედები მაშინ არ გამართლდა⁸.

1804 წლიდან, როცა თბილისში ახლად დაარსებული სკოლა საბოლოოდ გაფორმდა, დაკომპლექტდა პედაგოგებისა და ღირექციის შემადგენლობა, კეთილშობილთა სასწავლებელთან სტამბის დაარსების საკითხი გააქტიურდა. საქართველოს მთავარმართებელი პ. ციციანოვი არაერთგზის უგზავნის მიმართვას სასწავლებლის ღირექტორს ყიზ-

⁷ საქმე დატულია საქართველოს ცენტრარქივში, ფ. 2, ან. 1, საქ. 246. ეს მასალები გამოიყენა ჯ. ვათიშვილმა თავის მონოგრაფიაში *Русская общественная мысль и печать на Кавказе*, მ. 1973.

⁸ ჩვენამდე მოღწეულია გაიოზის მიერ საჩუქრად გადმოცემული სტამბის იარაღებისა და მოწყობილობის აღწერის აქტი, საიდანაც ჩანს, რომ მოზდოკის სტამბაში ქათულთან ერთად რუსული საეკლესიო შრიფტიც ყოფილა დატული (იხ. საქ. სსრ ცენტრარქივის ფ. 16, საქ. 502, ფ. 4). მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სკოლასთან თავი მოუყარეს როგორც თბილისის, ასევე მოზდოკის სტამბის იარაღებს, მეფის რუსეთის მოხელეებმა სტამბის აღდგენა მაინც ვერ მოახერხეს, რაც ცუდად მოქმედებდა კეთილშობილთა სასწავლებლის საჭირო სახელმძღვანელო წიგნებით მარაგებაზე.

ლარელ ალექსი დეკანოზ პეტრიაშვილს სკოლასთან სტამბის დაარსების შესახებ.

პეტრიევის უქვეშევრდომეს და ყოვლად მაამებლურ მოხსენებით ბარათში. რომელიც 1805 წ. 14 იანვარს წარუდგენია პ. ციციანოვისადმი, ვკითხულობთ: „თქვენ მრავალგზის ისურვეთ გებრძანებინათ ჩემთვის სტამბის აღდგენა, მაგრამ მე არ შემეძლო ამაზე რაიმე მომეხსენებინა თქვენი ბრწყინვალეებისათვის, — უხერხულად მიმაჩნდა. ყოველივე დაწვრილებით ამეხსნა სიტყვიერად. სტამბას აქ, რა თქმა უნდა, მოელის უკიდურესი გაჭირვება, როგორც ამ მხარისათვის გამოცემული სახელმწიფო კანონებით და მისთვის საჭირო წესებით მორაგებებისათვის, მომავალშიც მისდიოს მონაჩქის ბრძანებებს, ამ მიწა-წყალს რომ შეეხება, ასევე სასწავლებელში შემსვლელი კაბუკების გასანათლებლად საჭირო წიგნების დაბეჭდვისათვის, მაგრამ მისი აღდგენა ხელმწიფე იმპერატორის სიუხვეთაგან ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლისათვის ყოვლად უმოწყალებად ბოძებული თანხით, მე მიმაჩნია ძნელად შესაძლებლად, რამეთუ ამ თანხას გაჭირვებით შეუძლია მოამარაგოს სასწავლებელი ყოველივე მისთვის საჭირო, როგორც ახლად ამოქმედებულისათვის, სახელმძღვანელოებით“⁹.

ა. პეტრიევი მხარს უჭერს და იწონებს სასწავლებლებთან სტამბის ამუშავების იდეას, მაგრამ ფულადი სახსრების სიმციროს გამო, რომელიც ხელისუფლების მიერ დაშვებულია სტამბის აღდგენა-ამუშავებისათვის, სტამბის გამართვა შეუძლებლად მიაჩნია.

ა. პეტრიევი თავის პასუხში სტამბის გამართვის შესახებ ორ-ახროვნად მიანიშნებს ციციანოვს იმ უწესრიგობაზე, რაც ქართულ ეკლესიაში იმ დროს დამკვიდრებულა, და თავაზობს თავის სამსახურს. იგი წერს: „ბოლოს, მოვიღებ კიდევ გამბედაობას. და მოგახსენებთ შემდეგს: აქაური სამღვდელოების დაუდგრომლობა და უღარდელობა თქვენი ბრწყინვალეებისადმი საკმაოდ ცნობილია. მე, რა თქმა უნდა, ვერ გავბედავ ვიფიქრო, რომ ერთი ადამიანით, როგორიც მე ვარ, შეიძლებოდეს ყოველივე იმის წესრიგში მოყვანა, რაც, თქვენი ბრწყინვალეების არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, ეპარქიის მღვდელმთავრებმა ვერ შეძლეს წარედგინათ ეკლესიებისა და სამღვდელოებისათვისაც კი, მაგრამ შეიძლება აღდგენილ იქნეს საჭირო დაწესებულებები, ხომ არ კეთილინებებთ, თქვენო ბრწყინვალეებო, შესთავაზოთ აქაური სამღვდელოების მეთაურს, ანტონს, გამამწესოს მე მისი დიკასტერიის წევრად, არსებულის მხოლოდ ერთიანი დასახელებით, იქ-

⁹ საქართველოს ცენტრალური არქივი, ფონდი 2, ანაწ. 1, საქ. 90, ფურც. 72—75.

ნებ შესაძლებელი იყოს მომანდოთ მე რომელიმე ეკლესია სამართავად“¹⁰.

ამ პასუხიდან, სამწუხაროდ, კარგად ჩანს, რომ პეტრიევის პირადი ზრახვები უფროა წამოწეული წინა პლანზე, ვიდრე სასწავლებელთან სტამბის აღდგენისა; ასევე იგრძნობა, რომ პეტრიევის სურს ჩამოაშორონ სკოლას სტამბა და სტამბის განახლებისათვის ზრუნვა საერთოდ მიაფუჩეჩოს, ან კიდევ ეკლესიას გადაულოცოს.

1805 წ. 10 იანვარს ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საკითხთან დაკავშირებით დაისვა „სადღესასწაულოს“ დაბეჭდვის საქმეების საკითხი. ვარლამ არქიეპისკოპოსი ერისთავი პ. ციციანოვს მოხსენებით ბარათს უდგენს ამ საკითხზე და ასაბუთებს, რომ დიდტანიანი „სადღესასწაულო“ მხოლოდ მოსკოვში, სინოდის სტამბაში შეიძლება დაიბეჭდოსო, „რადგან ასე კარგად, იაფად და მალე არსად დაიბეჭდება სადღესასწაულო, როგორცაა აქ რუსეთში და ამისთვის სინოდის ბრძანებით მოსკოვს სინოდის ტიპოგრაფიაში მოვაყოლეთ (sic!) სადღესასწაულოს ბეჭდვა და ამისთვის მოხარული ვართ, რომ რადგან ქართულ ენაზე ჯერ სადღესასწაულო არ დაბეჭდილა და ახლა თქვენს სადღეგრძელოდ საქართველოს მმართველობაში დაიბეჭდება და ეკლესიის შემამკობელი იქნება, ვგონებ თქვენის ბრწყინვალეების სამოც იქნება; სხვებზე დავშთები უმწვერვალესა ერთგულებასა შ. ა. თქვენსა და ვითხოვ დაუეიწყებლობასა“¹¹. ასეც მოხდა.

1805 წლიდან მოსკოვში, სინოდის სტამბაში, დაიწყო და 1808 წლამდე გაგრძელდა „სადღესასწაულოს“ ბეჭდვა ვარლამ არქიეპისკოპოსის თაონობით, დიმიტრი ბაგრატიონის, იონა მროველ მიტროპოლიტ გედევანიშვილის და აზნაურ გიორგი პაიჭაძის შრომით. პ. ციციანოვი ისე გარდაიცვალა (მოკლეს 1806 წ. 8 თებერვალს ღალატით ბაქოს ციხის გასაღების ჩაბარების დროს), რომ იგი ვერ მოესწრო სასწავლებელთან სტამბის დაარსებას და თბილისში წიგნის დაბეჭდვას.

1. საპარტოვლო; ეკლესიის ავტოკეფალიის გაუმჯობესება.

ვარლამ ერისთავის გააზრდაროცება და ზრუნვა თბილისში საეკლესიო სტამბის გამართვისათვის

XIX ს. პირველ ათწლეულში საქართველოს დედაქალაქში სასტამბო მეურნეობა წიგნის ბეჭდვის დონემდე ვერ ამაღლდა და ვერ

¹⁰ იხ. დასახ. არქივი, იქვე.

¹¹ საქეცენტრარქივი, ფ. 2, ანაწ. 1, საქ. 90.

ვანვითარდა, თუმცა თბილისში მეფისნაცვლის კანცელარიასთან არსებობდა სტამბა. სადაც მთავრობის განკარგულებები და დადგენილებები იბეჭდებოდა რუსულ და ქართულ ენებზე, რადგან მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ რუსული ენა არ იცოდა.

ამასთანავე მოგვიანებით ამოქმედდა სამხედრო უწყების სტამბა რუსულ-ქართული შრიფტით, მაგრამ ტექნიკურად ვერცერთი ჩერ კიდეც ვერ იდგა სათანადო დონეზე. ამ სტამბებში იშვიათად, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხერხდებოდა დაბეჭდვა „რუსულ-უბნობათა“, ანუ „რუსული რაზდავორის“, თვითმასწავლებლების, „ქართული ანბანის“ წიგნაკის და სხვ. მოგვიანებით, 1819 წ. პირველი ქართული გაზეთის „საქართველოს გაზეთის“ გამოსვლაც დაიწყო, მაგრამ ამ პერიოდში თბილისში დაიბეჭდა მხოლოდ ერთი ქართული წიგნი.

უკანასკნელ დრომდე ქართულ საცნობარო ლიტერატურასა და სპეციალურ ნაშრომებში გავრცელებული იყო აზრი, რომ თითქოს პირველი ქართული წიგნი თბილისში დაიბეჭდა 1815 წელს, იოანე ქართველიშვილის „გრამატიკის“ სახით, რაც არ გამოხატავდა სინამდვილეს. დღეს ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ კომპილაციური გრამატიკის ავტორია ნ. ჩუბინაშვილი და იგი 1817 წელს დაიბეჭდა თბილისში, ახლად ამუშავებულ საეკლესიო სტამბაში¹².

თბილისში სტამბის აღდგენისა და საჭირო წიგნების ბეჭდვის განახლების საკითხი კეთილშობილთა სასწავლებლის სახელმძღვანელობით უზრუნველსაყოფად მართალია მთელი სიმწვავეით დააყენა პ. ციციანოვმა, მაგრამ ეს საქმე ადგილიდან არ იძვროდა. როგორც სასწავლებლის დირექტორის პეტრიაშვილის (პეტრიევის) პ. ციციანოვისადმი გაგზავნილი 1805 წ. 14 იანვრის მოხსენებითი ბარათიდან ჩანს. სასწავლებელს სტამბა კი ესაჭიროებოდა, მაგრამ მისი აღდგენისათვის არც ფულადი სახსრები გააჩნდათ და არც სპეციალისტები მოე-

¹² ავტორი აქ საესებოთ კანონზომიერად ემყარება „ქართული წიგნის“ 1941 წ. გამოცემას, იხ. № 106, გვ. 88, მაგრამ ამ წიგნში ჩვენ საქმე გვაქვს სამწუხარო გაუგებრობასთან, რაც სიძნელეს უქმნის მეკლევართ, მაგ., 1809 წ. დათარიღებული იოანე ქართველიშვილის ხელნაწერი გრამატიკა ჩვენს წიგნოსტაყვებას (საჭაროსა და უნივერსიტეტის) და სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია და იმოწმებენ. როგორც ი. ქართველიშვილის ნაბეჭდ გრამატიკად. ნ. აბესაძემ წერილობ. „მასალები ერთი ნაბეჭდო ქართული გრამატიკის ავტორის საკითხისათვის“ (იხ. მაცნე, 1967, № 1. გვ. 224) გაარკვია, რომ ამ ანონიმური ნაბეჭდი გრამატიკის ავტორია ნ. ჩუბინაშვილი, იგი დაიბეჭდა ორჯერ, პირველად თბილისში 1817 წ., მეორედ მოსკოვში 1826 წ. და წარმოადგენს ი. ქართველიშვილის ხელნაწერი გრამატიკის კომპილაციას. ნ. ჩუბინაშვილი თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა რუსულს. თვით იოანე ქართველიშვილი 1815 წ. გარდაიცვალა. იყო მასწავლებელი ამავე სკოლისა იხ. ა. იოსელიანი, იოანე ქართველიშვილის მემუარები, თბ., 1952.

პოვებოდა. რომელთაც შეუძლიათ თავი გაართვან სტამბის მუშაო-
ზასო. ამიტომ, ვინაიდან სტამბა ასევე ესაჭიროება სასულიერო უწყე-
ბას, დასძენს პეტრიაშვილი, იქნებ მათი მონაწილეობით და დახმარებით მოხერხდეს მისი აღდგენაო¹³.

ამრიგად, პ. ციციანოვის ცდა, თბილისში სტამბის მუშაობის გა-
ნახლების შესახებ, უშედეგო აღმოჩნდა. ვერც გუდოვიჩისა (1806—
1808 წწ.) და ვერც ტორმასოვის (1809—1811 წწ.) მთავარმმართველ-
ობის დროს დაიძრა ეს საქმე ადგილიდან, მიუხედავად იმისა, რომ
გაიოზ არქიმანდრიტის სტამბა რუსულ-ქართული შრიფტით მოზლო-
კიდან თბილისში მიიღეს უსასყიდლოდ. ამასთან ერთად მთავრობი-
სავე განკარგულებაში იყო გიორგი XII მიერ თავის დროზე აღ-
დგენილი. მაგრამ ამჯერად უმოქმედოდ მდგარი სტამბა.

1809—1810 წლებში უწმინდესი სინოდის წევრის არქიეპისკოპოს
ვარლამის ინიციატივით გააქტიურდა საკითხი თბილისში სასულიერო-
საეკლესიო სტამბის დაარსების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით
მიმდინარეობდა გაცხოველებული მიწერ-მოწერა მეფის მოხელეებს
შორის, მზადდებოდა პროექტები და სხვ. საკითხი იღვა, სკოლასთან
დაარსებულ იყო სასულიერო სტამბა თუ ცალკე.

* ესაა პერიოდი, როცა ცარიზმი ამზადებდა პროექტს საქართველოს
ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და საეკლესიო ქონების გასა-
ხელმწიფოებრივებისათვის¹⁴ — ტორმასოვი ფაქტიურად ამ საქმის
მეთაური იყო.

ასეთ პირობებში ყურადღების ცენტრი კანცელარიულ მიმორწე-
რაზე გადაიტანეს. როგორც კი მოსკოვის უწმინდესი სინოდის სტამ-
ბაში დამთავრდა „სადღესასწაულოს“ ბეჭდვა. არქიეპისკოპოსმა ვარ-
ლამ ერისთავმა მაშინვე, 1809 წ. აღძრა საკითხი თ. კურაკინთან. ში-
ნაგან საქმეთა მინისტრთან, თბილისში ქართული სასულიერო სტამბის
გამართვის შესახებ. 1809 წლის 15 ივნისს ვარლამმა ასეთივე მიმარ-
თვა გაუგზავნა საქართველოს მთავარმართველ ალ. ტორმასოვს და
სიტყვიერადაც აღუთქვა, რომ გაიღებდა ხარჯებს და ამასთანავე გად-
მოსცემდა წიგნის საბეჭდ დაზვას თბილისში სტამბის გასამართავად;
თითქოს შეთანხმებაც მოხდა მათ შორის. ტორმასოვმა სტამბის გა-
მართვისა და მისი მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწვევის შესა-
ფერ კანდიდატად პეტრიევი მიიჩნია. მაგრამ ამ დროს იგი სკოლიდან
წასული აღმოჩნდა. ვარლამი კი ასეთ თანამდებობაზე შესაფერისად
მიიჩნევდა ცნობილი მესტამბის გიორგი პაიჭაძის მოსკოვიდან მოწვე-

¹³ საქ. ცენტრარქივი, ფ. 2, ან. 1, საქ. 90, ფ. 72—74.

¹⁴ საქ. ცენტრარქივი, ფ. 16, საქ. 1033, ფ. 5, 9—11.

ვას. სათანადო ორგანოები შედგომიან გ. პაიჭაძის პიროვნების სანდოობის შემოწმებას, რასაც საკმაო დრო დასჭირდა.

ასეთ ვითარებაში ამ საკითხის საფუძვლიანად შესასწავლად და წინადადებების მოსამზადებლად ალ. ტორმასოვს მიმართვა გაუგზავნია საქართველოს მმართველ გენერალ-მაიორ ახვერდოვისათვის, ტორმასოვი ახვერდოვს სწერდა: „შინაგან საქმეთა მინისტრის დავალებით მისმა ამხანაგმა ბატონმა საიდუმლო მრჩეველმა და კავალერმა კოჭადავლევმა გამომიგზავნა ტფილისში მყოფი საქართველოს არქიეპისკოპოსის ვარლამის შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ აუცილებელია ტფილისში გაიმართოს სტამბა მთელი ქართველი სამღვდლოებისა და თავადაზნაურობის სურვილის დასაკმაყოფილებლად, ამისათვის საქართველოში გაიგზავნოს ქართველი მესტამბე პაიჭაძე, რომლის ზედამხედველობით იბეჭდებოდა მოსკოვის სასულიერო სტამბაში ქართული წიგნი — საღმრთაწაულო გულანი (თუენი). მას, პაიჭაძეს დაენიშნოს გასამრჩელო წელიწადში სამასი მანეთი ვერცხლით: იმისათვის, რომ მე ადგილობრივი მოსახრებით შევატყობინო ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს. რა საფუძველზე იქნებოდა უფრო მოხერხებული არქიეპისკოპოს ვარლამის მიერ ნავარაუდები სტამბის გამართვა ტფილისში, თუ ეს დაწესებულება იქ მართლაც საჭიროა და ვის შეიძლება დაეკისროს წინასწარი გამოკვლევა და გამოსაყვამი წიგნების დასაბეჭდად მოწონება. ამის გამო თქვენს აღმატებულებას ვთავაზობ ტფილისში სტამბის გამართვის თაობაზე დაუკავშირდეს მის უწმინდესობას, საქართველოს კათალიკოსს ანტონს და მე შემდგომ შემატყობინოთ და ამიხსნათ აზრი თქვენი.

კავალერიის გენერალი ტორმასოვი¹⁵.

ალ. ტორმასოვს, როგორც ირკვევა, სათანადო განმარტება მოუთხოვია ანტონ II კათალიკოსისათვის, რომელმაც 1810 წ. მარტის თარიღით მიმართა ტორმასოვს. ანტონი წერდა:

„თქვენი აღმატებულებაჲ
მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო.

პატივცემულსა წერილსა ზედა თქვენსა, მოწერილსა ჩემდამო წინადადებისამებრ უფლისა კავალრისა ლენერალისა ალექსანდრე პეტროვიჩის ტორმასოვისა მაქვს პატივი უწყებად თქვენდა მოწყალეო ხელმწიფეო ჩემო რომელ განწესება ტფილისსა შინა ქართულისა ტიპოღრაფიისა ნამდვილ საჭირო არს მიზეზისა გამო უკიდურესისა,

¹⁵ იქვე, გვ. 1.

შესაძლო არს თქმად ნაკლულევანობისა ეკლესიისათა წიგნთასა. უად-
ვილესისათვის უკვე აღდგინებისა მისისა განმცხადა მე ყ'დ სამღვდ-
ლომან არქიეპისკოპზმან ვარლამ, რომელ აქვს მას მოსკოვს მზად დაზ-
გა ტიპოლრაფიისა ყოვლითურთ სახმართა მისდამი განკუთვნილითა
და მოტანასაცა მათსა საქართველოდ... მიიღეს იგი თვისსა ზედა
მზარუნველობასა, ვითარნიცა გარდა მისსა შემდგომად მოსულსა აქ-
პაიკაძისა, აღნიშნულისა განსაწესებელსა აქა ტიპოლრაფიასა შინა. და
შემდგომად მოტანისა ნივთთა ტიპოლრაფიისათა აღმოჩნდებიან საქრ-
როებანი აღდგინებისთვის მისისა, მაშინ იგი არა დაშთებიან თეინიერ
ჯეროვანისა წარმართვისა. მაქვს პატივი ქეშმართითა პატივისცემისა
და გულსმოდგინება.

მარტის 26-სა დღეს 1810 წ-სა თქვენი აღმატებულების გულმ-
დგინედ ღირსად მლოცველი კათალიკოზ პატრიარქი ანტონი¹⁶.

ანტონ კათალიკოსის აქ მოტანილი წერილი დაგვიანებით მიუღიანთ
დანიშნულ ადგილზე.

1810 წ. 14 სექტემბრის მიმართვით საქართველოს მთავარმარ-
თებელი გენ. ალ. ტორმასოვი განუმარტავს საქართველოს მმართველს
გენ. ახვერდოვს, რომ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით თბი-
ლისის კეთილშობილთა სასწავლებელს უნდა მიეცეს სამხედრო აღ-
ზრდის განხრა, ამიტომ ღირექტორი დეკანოზი პეტრიევი უკვე გადა-
ყენებულია და მის ადგილს სამხედრო მოხელე დაიკავებსო.

ამიტომ, ტორმასოვი წინადადებას იძლევა სტამბა ჩამოშორდეს
სასწავლებელს და გადაეცეს სასულიერო უწყებას არქიეპისკოპოს
ვარლამის გამგებლობაში, მით უმეტეს, რომ სტამბა მისივე წინადა-
დებით უნდა „გაიმართოს თბილისში“¹⁷.

„მე ვაუწყებდი ამა საგნისა, გამო შინაგან საქმეთა მინისტრს
ამხანაგს, ბატონ საიდუმლო მრჩეველს კოზოდავლევს, რომელიც ამ-
ჟამად მატყობინებს, რომ იგო დაეკითხა. განათლების მინისტრს გრაფ
ალექსეი კირილეს ძე რაზუმოვსკის და დაადგინა, რომ ამის გაკეთება
შეუძლებელია, რამდენადაც ამჟამად ტფილისში არსებული კეთილშო-
ბილთა სასწავლებელი სამხედრო აღზრდის პროგრამით იმუშავებს.
ღირექტორი დეკანოზი პეტრიევი უკვე დათხოვნილია. მის ადგილს
შემდგომ დაიჭერს სამხედრო მოხელე; ამიტომ ჩემი შეხედულებით
სასურველია ადგილობრივი სასულიერო სტამბის დაარსება. მე ჩემის
მხრივ ვერ ვპოულობ სხვა საშუალებას, ვიდრე დაწესდეს სტამბა ესე
მისი უსამღვდელესობის არქიეპისკოპოს ვარლამის უშუალო გამგე-

¹⁶ საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 2, ანაწ. 1, საქ. 10933, ფურც. 24.

¹⁷ საქ. სსრ საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 16, ანაწ. 1, საქ. 10932,
ფურც. 9—10.

პლობითა და განკარგულებით, მით უფრო, რომ ეს დაწესებულება იქმნება მისივე განზრახულობით“.

ტორმასოვის წერილიდან ისიც ირკვევა, რომ სტამბის მოწყობილობის ერთ ნაწილს, მაგ., ორ საბეჭდ დაზგას, რომელიც სკოლასთან ინახებოდა, პეტრიევი დაპატრონებია. ტორმასოვი ავალებს ახვერდოვს, რომ ეს საკითხი გაერკვია არქივებისკოპოს ვარლამის უშუალო მონაწილეობით.

ტორმასოვი ამის შესახებ წერს: „რაც შეეხება ორ სასტამბო დაზგას. დეკანოზ პეტრიევის გამგებლობაში არსებულთ, რომლებსაც იძლევა იგი სტამბისათვის, განათლების მინისტრი თავის მიმართვაში წინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგისადმი გვაცნობებს, რომ სახალხო განათლების დეპარტამენტში ამჟამად არავითარი მონაცემები არა აქვთ: სასწავლებელს ეკუთვნის ეს დაზგები თუ საკუთრივ დეკანოზ პეტრიევს. ამიტომაც ვთავაზობ თქვენ აღმატებულებას მათზე გააკეთოთ რაც შეიძლება სწორი გადაწყვეტილება და თუ აღმოჩნდება, რომ ის დაზგები საკუთრივ პეტრიევს ეკუთვნის, ამ შემთხვევაში მათზე სტამბის საჭიროება და მათი გადაცემა მიანდოთ უშუალოდ განსახილველად არქივებისკოპოსს ვარლამს და სასწავლებელს უკვე მათდამი არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს“.

ბიუროკრატიულ გამწვავებულ დავაში ჩაერია დარეჯან დედოფლის ყოფილი ოქრომჭედელი მოსე ჯანჭულაზოვი, რომელიც 1810-იან წლებში შეეცადა დაემტკიცებინა, რომ მან ალა-მაჰმად-ხანის ურდოდან 500 მანეთად შეძენილი თბილისის სტამბის იარაღები, თითქოს, გიორგი XII-ს გადასცა და მეფე ისე გარდაიცვალა, რომ ფულის მიღება ვერ მოასწრო: რაკი სტამბა რუსეთის მთავრობას დარჩა, მან მოითხოვა მის მიერ გადახდილი 500 მანეთის უკან დაბრუნება, რაც 1816 წ. 16 მარტის გადაწყვეტილებით კიდევაც მიიღო, ოღონდ მისი ნახევარი — 250; ჯანჭულაზოვს თავის სარჩელში მოწმეებიც ჩაურთავს.

აი ისინიც სათითოდ: 1) სტამბა, ქართველი თავადის, კოლეგიის მრჩეველის ეგნატე თუმანოვის ჩვენებით, განსვენებულმა ქართველმა მეფემ გიორგიმ ნამდვილად მიიღო ოქრომჭედელ მოსე ჯანჭულაზოვისაგან დაპირებით. გადაუხდიდა მის საფასურს, მაგრამ გაურკვეველია რა ფასად. 2) ქართველი თავადი, კოლეგიის ასესორი პაპა არლუთინსკი კი ადასტურებს, რომ მან თვითონ გამოართვა ის სტამბა ჯანჭულაზოვს მეფე გიორგის ბრძანებით. 3) თავადი ალალო ყორღანოვი ამტკიცებს, რომ ეს სტამბა მეფის სიცოცხლეში ჯანჭულაზოვმა ჩამოიტანა ელიზავეტპოლიდან. 4) მთავარმართებელ გენერალ თავად ციციანოვის წინადადებით ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებელ-

მა სახაზინო ექსპედიციიდან 1804 წელს მიიღო სასტამბო ნივთები ორი აღწერით. რომელთაგან 1-ში აღნიშნულია ექსპედიციის მიერ სტატსკი სოვეტნიკ თავად ავალოვისაგან მიღებული ნივთები, ხოლო მეორეში — მისგან, ავალოვისაგან სახაზინო ხარკებით დამზადებული ნივთები. 5) საქართველოს ყოფილი მმართველის ლიტვინოვის წინადადებით იმავე სასწავლებელში 1807 წ. მიიღეს სარატოვისა და პენზის ეპისკოპოსის, უსამღვდლოეს გაიოზის მიერ ტფილისის კეთილშობილთა სასწავლებლისათვის ძღვნად ბოძებული სასტამბო ნივთები¹⁸. და ბოლოს, ყველა ეს ნივთი, როგორც აღნიშნულია ყოფილი მთავარ-მართველის გენერალ ტორმასოვის საქმეებში, 1810 წ. პოლიციის მინისტრის მიერ გამოცხადებული უზენაესი განკარგულების შესაბამისად გადაეცა საქართველოს მიტროპოლიტსა და ეგზარქოსს ვარლამს ტფილისში სტამბის გასამართავად, სასულიერო წიგნების დასაბეჭდად გენერალ ტორმასოვის მიერ თქვენი აღმატებულებისადმი 1810 წლის ოქტომბრის 7 რიცხვის მომართვის შედეგად¹⁹.

1811 წ. ეგზარქოს ვარლამისადმი სასულიერო წიგნების გამოსაცემად გადაცემული სტამბის ამუშავება ძალზე გაჭიანურდა. 1812 წ. დაიწყო სამამულო ომი, ამავე წელს კახეთში დიდმა აჯანყებამ იფეთქა, სტამბის ამუშავებისათვის თბილისში ასეთ პირობებში, ჩანს, არავის ეცალა; ხოლო თუ რა განწყობილება სუფევდა ამ დროს თბილისში რუს უგაელნიანეს ფენებში, ეს კარგად ჩანს 1815 წლის 16 იანვრის მომართვაზე იმ ოფიციალური პასუხიდან, რომელიც 1816 წლის იანვარშივე რტიშჩევმა გასცა:

— „საქართველოში გუბერნიის ხელისუფლებას არ დაუარსებია სტამბა და მისი დაარსების საჭიროებას მთავრობა ვერც ნახულობს... აქაურ მთავრობას ძალიან ადვილად შეუძლია სტამბის გარეშე არსებობა“²⁰.

ასეთია ცარიზმის სატრაპის მეტად გულგრილი დამოკიდებულება თბილისის სტამბებისადმი, რაც სასულიერო სტამბებსაც ეხება. ამდენად 1816 წ. 16 მარტის განცხადება იმავე რტიშჩევისა, რომ თითქოს ამ დროს სასულიერო სტამბა თბილისში მუშაობდაო, არ უნდა გამოხატავდეს სინამდვილეს, 1816 წ. თბილისში „ლოცვანი“ დაიბეჭდა კავკასიის მთავარმართველის სტამბაში და არა სასულიერო სტამბაში.

1810-იანი წლებიდან ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და რუსეთის უწმინდესი სინოდის ეგზარქატის ორგანიზაციის რთულ პირობებში თანდათანობით შემზადდა ნიადაგი თბილისში სა-

¹⁸ იხ. საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 2. ანაწ. 1, საქ. 246, ფურც. 45.

¹⁹ საქართველოს ცენტრარქივი, ფონდი 16, საქ. 1765. ფ. 1.

²⁰ იქვე.

სულიერო სტამბის დაარსებისათვის. ამას ხელი შეუწყო იმ აქტმა, რომ არქიეპისკოპოსი ვარლამი საქართველოს ეგზარქოსად დაინიშნა; მაგრამ სტამბის საკითხის ერთბაშად გადაწყვეტა მას ვერ მოუხერხებია. ვარლამ ეგზარქოსი 1813 წ. ხელახლა აყენებს თბილისში სასულიერო სტამბის დაარსების საკითხს; მესტამბე გ. პაიჭაძესაც იბარებს მოსკოვიდან. მიუხედავად ამგვარი დაინტერესებისა, 1817 წლამდე სასულიერო სტამბის ამუშავება თბილისში ვერ განხორციელდა. პირველი წიგნი, რომელიც ამ სტამბაში 1817 წელსვე დაიბეჭდა, იყო ანონიმური გრამატიკა ქართული ენისა, რომელიც ჩუბინაშვილს შეუდგენია. იგი წარმოადგენს იოანე ქართველიშვილის გრამატიკის კომპილაციას.

რა ირკვევა? — 1810-იან წლებიდან ქუთაისში სოლომონ მეორის სამეფო სტამბები წყვეტენ მუშაობას და, ბუნებრივია, როგორც სახელმწიფო ქონება ახლად დამკვიდრებული რუსული მმართველობის განკარგულებაში გადადის, მეფე გიორგი XII თბილისის სტამბასა და გაიოზ არქიმანდრიტის მიერ ციციანოვისადმი ნაბოძებ მოზღოვიდან ჩამოტანილ ქართულ სტამბასთან ერთად.

ამ გაუქმებული ქართული სტამბების ახალ საფუძველზე გაერთიანებისა და რეკონსტრუქციით დასაბამი ეძლევა თბილისში ორგვარი სტამბის ამუშავებას: 1-ლ რიგში საქართველოს მთავარმართებლის კანცელარიის სტამბის გამართვას, ხოლო შემდეგ — მეორე რიგში იწყებენ ზრუნვას თბილისის სასულიერო სტამბის დაარსებისათვის; მაგრამ სასულიერო სტამბის დაარსების საკითხი ჭიანჭურდება ქვეყნის საშინაო და საგარეო პარობების გართულების გამო. ეს უკანასკნელი, პირველ ყოვლისა, თავს იჩენს ნაპოლეონის შემოსევის, კახეთში დიდი აჯანყების, იმერეთის ბრძოლით შემოერთებისა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით შექმნილ მეტად რთულ ვითარებათა გამო.

2. მოსკოვის სინოდის სტამბა —

ქართული საეკლესიო წიგნების გამოცემის კერა

მოსკოვში ქართული საეკლესიო წიგნები, როგორც ვიცით, XVIII ს. დასაწყისიდან 70-იან წლებამდე პერიოდულად იბეჭდებოდა.

მოსკოვში ქართული წიგნის ბეჭდვის ორგანიზაციას პირველად არჩილ მეფე და ბაქარი ედგნენ სათავეში. ქართველ მესტამბეთა თავდადებული შრომით იბეჭდებოდა ქართული წიგნები, რომელნიც საქართველოშიაც იგზავნებოდა. ეს ტრადიცია XVIII ს. 60-იან წლებში გააგრძელა ათანასე ამილახვარმა. ამის შემდეგ რუსეთში ქართული

წიგნის ბეჭდვა დიდი ხნით შეწყდა. 90-იან წლებში იგი გაიოზ რექტორმა განაახლა მოზდოკში ქართული სტამბის დაარსებით.

მართალია, 70—80-იანი წლების მიჯნაზე, რუსეთ-საქართველოს შორის 1783 წლის ტრაქტატის დადების წინ, პოლიტიკური მოსაზრებებით პეტერბურგში რუსულ ენაზე დაიბეჭდა მეფე ერეკლეს წინააღმდეგ მიმართული უცხვირო ალექსანდრე ამილახერის პამფლეტი—ისტორია, მაგრამ მას ქართულ სტამბასა და წიგნის ბეჭდვასთან არაფერი აქვს საერთო...

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ამ მიმართულებით მდგომარეობა შეიცვალა. ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე სინოდის ხელში გადადის, რადგან საქართველოში „შესაფერი სტამბა და ხალხი არ არსებობდა“. როგორც ვიცით, ამ პერიოდში მოსკოვში 1804 წ. ცნობილი...საეკლესიო...მოღვაწის, უწმინდესი სინოდის წევრის ვარლამის თაოსნობით გაიმართა ქართული სტამბა (თუ დაზგა), სადაც 1805—1808 წლებში დიდტანიანი „სადღესასწაულო“ დაიბეჭდა. ეს საქმე, როგორც წიგნის ანდერძიდან ჩანს, განხორციელდა „შრომითა და ღვაწლითა უწმინდესის სინოდის ჩლენის არხიეპისკოპოზისა ვარლამ ქსნის ერისთავის დავითის-ძისათა... მებრძანა მე პაიჭაძეს მესტამბეს წიგნისა ამის სადღესასწაულოს დაბეჭდვა, ვინათგან არა იყო ქართულსა ენასა ზედა დაბეჭდილი“. 1808 წ. მოსკოვში დაიბეჭდა „თთუენი“.

1810-იან წლებში ქართული წიგნების ბეჭდვა შეაფერხა ნაპოლეონის არმიის შემოჭრამ და მოსკოვის დაწვამ. მაგრამ მოკლე დროში მოსკოვის აღდგენასთან ერთად სტამბაც კვლავ აღდგა და 1815 წ. მოსკოვში დაიბეჭდა „ლოცვანი“ „გედევანიშვილის სარდალ გაბრიელის ძის საფასით, იონას მიტროპოლიტისათა სტამბაში მუშაობითა პეტრე ქებაძის შვილისათა“. 1816 წ. მოსკოვში დაიბეჭდა „ახალი აღთქმა“ ბეზლიის საზოგადოების ხარჯით.

1820-ანი წლებიდან მოსკოვში ქართული წიგნების ბეჭდვა და სასტამბო მეურნეობა თანდათან მტკიცდება, მოსკოვის სინოდის სტამბაში ამ დროს მნიშვნელოვანი როლდენობით ძლიერდება ქართული შრიფტის ჩამოსხმა. მაგალითად, 1823 წ. ჩამოუსხავეთ 19 ფუთი ქართული შრიფტი, თითო ფუთი 15 მანეთად ღირებული²¹; მომდევნო წლებში ქართული შრიფტის ჩამოსხმის როლდენობის ზრდასთან ერთად მცირდება თითოეული ფუთი შრიფტის თვითღირებულება. 10 წლის შემდეგ, ანუ 1833 წელს, ამდენივე როლდენობის ქართული შრიფტის ჩამოსხმის ღირებულება 15 მანეთიდან 10 მანეთამდე შემ-

²¹ მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ძველი საბუთების არქივი, ფონდი 1184, საქ. 9637, ფ. 3.

ცირებულა. აქ აღნიშნულის მოტივად ისაა მითითებული, რომ ქართული შრიფტის ჩამოსხმა უფრო ადვილია, ვიდრე ბერძნულისა, რომელიც 1 ფუთი ასევე 10 მანეთი ჯდება²².

ამრიგად, მოსკოვის სინოდის სტამბაში XIX ს-ში იბეჭდებოდა როგორც ქართული საეკლესიო წიგნები, ისე ქართულ-რუსული სასწავლო ანბანი და სხვა სახის პოპულარული წიგნები²³. მოღვაწეობდა ასევე არაერთი ქართული მესტამბე. მაგალითად, მღვდელი გ. გურგენიძე (50-იან წ.), ტარსაიძე (30-იან წლებში), პეტრე ქებაძე (40-იან წ.) და სხვ.²⁴.

ქართული საეკლესიო და სასწავლო წიგნების ბეჭდვის საქმეში ერთგვარი გარდატეხა 1820-ანი წლებიდან იწყება. მრავლდება წიგნების ბეჭდვა და სინოდის სტამბაში მომუშავე ქართველ მწიგნობარ-მესტამბეთა რიცხვი. მოსკოვის ძველ საბუთთა არქივში დაცული უწმინდესი სინოდის მონაცემებით ქართული ეკლესიებისა და საეკლესიო სასწავლებლებისათვის საქართველოს ეკლესიის შემოსავლის ღარჯზე მოსკოვში დაბეჭდილი წიგნების ღირამიკა 1821—1836 წწ. 16 ნოემბრამდე შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება (იხ. ცხრილი).

1835 წ. საქართველოში აღრიცხული იყო 1282 ქართული ეკლესია, მათ შორის 63 — რსეთში, 1 — განჯაში, 1 — ერევანში და 1 ბაქოში.

გარდა ამისა მაშინდელ საქართველოში არსებობდა მთელი რიგი მსხვილი სამონასტრო ცენტრები, რომლებიც არ შედის აქ წარმოდგენილ მაჩვენებლებში. აქ არაა შეტანილი აგრეთვე თურქეთის მიერ მიტაცებული საქართველოს ტერიტორიის უძველესი საეკლესიო და სამონასტრო ცენტრები ისევე, როგორც საზღვარგარეთის ძველთაძველი ქართული სამონასტრო მძლავრი კერები საბერძნეთში, იერუსალიმში, სირია-პალესტინაში, ბულგარეთსა და სხვა ადგილებში.

²² იქვე, ფურც. 4—5.

²³ ალ. ხახანაშვილი, ძველად აღბეჭდილნი წიგნნი მოსკოვის სინოდალურ სტამბაში, — „მოამბე“ № 3, 1900 წ. მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკაში დაცულია ქართული ნაბეჭდი წიგნების კატალოგი (1705—1865 წწ.). იგი არასრულია. აღნიშნული კატალოგი ამაჟამად დაცულია მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული ძეგლი საბუთების არქივის სინოდის ფონდში 1184, საქ. 3600.

²⁴ შაგ. მოსკოვში, სინოდის სტამბებში 1848 წელს გამოცემულ „Молитвословъ“-ს მიწერილი აქვს: „Правленъ Петром Кебадзе“, 1859 წ. დაბეჭდილ ქართულ წიგნს „Пригодъ постная“—Г.равлень свящ. Гургеннидзе“. სხვა შემთხვევებში—„Перевел на Грузинскомъ“ და სხვ. ცხადია აქ საქმე გვაქვს რუსული ენის მცოდნეებსა და რადაქტორ-გამომცემელ ქართველ მოღვაწეებთან (იხ. მოსკოვის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ძველ საბუთების ფ. 1184, საქ. 9637. ასევე იხ. Государств. печатный двор и Синодальная типография в Москве. Историческая справка, М. 1905; Соловьев А. Н. Московский печатный двор. Историческая записка о Московской синодальной типографии. М., 1917)

მოსკოვში 1821—1836 წწ. დაბეჭდილი ქართული სასულიერო წიგნები, ტრაგედი, ეკლესიებში დარიგებისა და სარეზერვო ნაშთით (ფასთა ჩვენებით).

| წიგნთა დასახელება (ფასით) | დაიბეჭდა (ტირაჟი ფასით) | დარიგდა ეკლესიებში (ფასით) | რ ჩ ე ბ ა |
|--------------------------------|--|----------------------------|----------------------------|
| ღაგიონი—1 შ. 40 კ. | 1150 ტ. 1610 შ. | 1023 ტ. 1432 შ. 20 კ. | 127 ტ. 177 შ. 80 კ. |
| პარაკლიტონი—9 შ. 40 კ. | 1150 ტ. 10465 შ. | 760 ტ. 6916 შ. | 390 ტ. 3542 შ. 00 კ. |
| ფ ა მ ნ — 2 შ. 35 კ. | 1150 ტ. 2702 შ. 50 კ. | 661 ტ. 1553 შ. 35 კ. | 489 ტ. 1149 შ. 15 კ. |
| კონდაკი — 2 შ. 50 კ. | 1150 ტ. 1845 შ. | 683 ტ. 1404 შ. 50 კ. | 467 ტ. 1167 შ. 50 კ. |
| სხარება: | | | |
| ა) ხეურდით და ხიტებით—11 შან. | 501 ტ. 5511 შ. | 443 ტ. 4873 შ. | 58 ტ. 638 შ. |
| ბ) ფრკის ყლით—5 შ. 89 კ. | 649 ტ. 3825 შ. 20 ³ / ₄ კ. | — | 649 ტ. 3825 შ. 20 კ. 3/14 |
| სამოციქულო — 5 შ. 25 კ. | 1150 ტ. 6037 შ. 50 კ. | 454 ტ. 2383 შ. 50 კ. | 696 ტ. 3654 შ. |
| კურთხევენი პატარა—2 კ. 50 კაბ. | 1150 ტ. 2845 შ. | 210 ტ. 532 შ. 50 კ. | 940 ტ. 2342 შ. 50 კ. |
| იგივე დიდი — 8 შ. | 1150 ტ. 9200 შ. | 410 ტ. 3280 შ. | 740 ტ. 5920 შ. |
| ს უ ლ | 9200 ტ. 45101 შ. 20 კ. | 4644 ტ. 22648 შ. 5 კ. | 4556 ტ. 22423 შ. 15 კ. 2/4 |

ეს მაჩვენებლები საინტერესო მონაცემებია მოსკოვში 1820-იანი წლებიდან სინოდის სტამბაში გამოცემული ქართული საეკლესიო წიგნების სახელწოდებათა, ტირაჟისა და თითოეული ეგზემპლარის ფასის (როგორც ჩვეულებრივი, ასევე მდიდრული გამოცემის) დასადგენად. მონაცემები ნათელ წარმოდგენას იძლევიან ასევე იმის შესახებაც, თუ გამოცემულ წიგნთაგან რამდენი ცალი გადაეცა ეკლესიებს და რამდენი და რა ღირებულების ინახებოდა წიგნთა საწყობებში.

3. კოლონიური ჩაბვის ბალნაპება. 1832 წ. შეთქმულება.

მთავრობის ღონისძიებანი ქართული სასულიერო წიგნების ბაზაში
საქმის მოსაოვიდან თბილისში გადმოსატანად

საქართველოს რუსეთთან შეერთება ცარიზმმა და მისმა საეკლესიო უწყებამ — ეგზარქატმა მოხერხებულად გამოიყენეს ძირძველი ქართული ეკლესიის მოსასპობად და კოლონიური პოლიტიკის განსახორციელებლად. ავტოკეფალიის გაუქმების დღიდან ღრმადებოდა საუკუნეების მანძილზე დაგროვილი და კანონით ხელშეუხებელი ქართული საეკლესიო ქონების, მისი მიწაწყლის, ნაგებობების, ხელოვნების, საეკლესიო-საკულტო აურაცხელ ძეგლთა და განძეულობათა, სულიერი და ნივთიერი კულტურის ეროვნულ ფასეულობათა ხელყოფა. ქართული მწიგნობრული სამონასტრო კერების დაკნინებასთან ერთად ნადგურდებოდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. რაც შეეხება საზღვარგარეთულ ქართულ-მწიგნობრულ უმძლავრეს კერებს იერუსალიმში, ბულგარეთში, სირია-პალესტინაში, ათონის ივერიის მონასტერსა და სხვებს, ისინი ფაქტიურად უპატრონო დარჩნენ.

საუკუნეების მანძილზე მოქმედ მონასტრებს 1801 წლიდან, როცა გაუქმდა ქვეყნის დამოუკიდებლობა, მოაკლდათ მზრუნველი ხელი როგორც სამეფოებისა და ავტოკეფალური ეკლესიის ნივთიერი დახმარებისა და ასევე შემცველ ახალგაზრდა ბერების წარგზავნის სახით. საზღვარგარეთული ქართული მწიგნობრული კულტურის დიდებულ კერებს ყველაზე მეტად დაემუქრა დაკნინებისა და გაქრობის საფრთხე.

ქართული ფეოდალური არისტოკრატის ჩამოშორება საშვობლოს მართვა-გამგეობის სისტემიდან და მათდამი უნიადაგო უნდობლობა უკმაყოფილებას აღრმავებდა. ქართული ენის, წირვა-ლოცვისა და მწიგნობრობის დევნა, მართლმსაჯულებისა და სასამართლო საქმის რუსულ (იმ დროის მოსახლეობისათვის სრულიად გაუგებარ) ენაზე წარმოება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ხალხში. ყმა გლეხობას ორმაგი ჩაგვრის უღელი უმძიმდებოდა.

ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართულმა მეფის რუსეთის ომებმა, რომელშიც მასობრივად მონაწილეობდა საქართველოს მოსახლეობა, გააღატაკა ქვეყანა. ცარიზმის კოლონიური მხავერელი პოლიტიკა შვეიცარ ნიადაგს უშზადებდა 1829 წ. ქართლ-კახეთის გლეხთა მასობრივ მღელვარებას და 1832 წლის თავადაზნაურულ შეთქმულებას საქართველოში. ეს მღელვარება და შეთქმულება თავისი ხასიათით განმათავისუფლებელი მოძრაობა იყო.

ცარიზმმა შეთქმულთა მოძრაობა მანამდე გამოაშკარავა, ვიდრე მისი მონაწილენი პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამდნენ, და მკაცრად დასაჯა ისინი. მეფის რუსეთის მოხელენი ამით არ დაკმაყოფილდნენ და გაატარეს მკაცრი ღონისძიებანი: გააუქმეს ყველა ისედაც შეზღუდული ეროვნული უფლება, რაც 1801 წ. ე. წ. „შეერთების აქტით“ ჰქონდა მინიჭებული საქართველოს. მაგ. დაიხურა ქართულ-რუსული ზარაფხანა..., გაუქმდა „ქართული გაზეთი“, წიგნის ბეჭდვა და სხვ.

რუსეთის მეფის მთავრობა შეეცადა გამოეყვლია საქართველოში მოქმედი ძველი ქართული სტამბების შესაძლებლობანი და მათი გახანლება-გამოყენების საფუძველზე გაეტარებინა ისეთი ღონისძიებანი, რაც იდევრად განაიარაღებდა ხალხს. ხალხის მასების სულიერი დამონების ერთ-ერთ ამგვარ საშუალებად მიიჩნიეს თბილისის გადაქცევა სასულიერო წიგნების ბეჭდვის უმნიშვნელოვანეს კერად ქართული სტამბებისვე აღდგენითა და ახალთა დაარსებით.

1832 წლის შეთქმულების ჩახშობის შემდეგ უწმინდესი სინოდი შეეცადა ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვის ცენტრის საქართველოში გადმოტანას. 1834 წ. 5 დეკემბერს რუსეთის მთავრობამ შოიწონა სინოდისა და მოსკოვის სტამბის გამგებლის აზრი ტფილისში სასულიერო სტამბის გახსნის შესახებ, სადაც უნდა დაბეჭდილიყო ქართული საეკლესიო წიგნები.

მოსკოვის სტამბაში კორექტორად მუშაობდა პეტრე ქებაძე, რომელსაც წელიწადში 800 მან. უხდიდნენ. მაგრამ 1834 წ. იგი დაითხოვეს სამსახურიდან. პ. ქებაძემ თხოვნა მიართვა სინოდის ობერპროკურორ ს. ნეჩაევს — „ისევ დამიბრუნეთ კორექტორის ადგილი მოსკოვის სტამბაში“²⁵. 1835 წ. 24 იანვარს ს. ნეჩაევი ეგზარხოს

25 პ. კარბელაშვილს მესტამებ პეტრე ქებაძის შესახებ დეკანოზ ი. ჩიჭავაძისა და მისი მეუღლე ნინოსაგან 1884 წ. მისში ასეთი გადმოცემა ჩაუწერია (დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, 55 გვ-ზე): — „სასხორელი პეტრე ქებაძე — კოლევსკი რელისტრატორი, დაიბადა სოფ. სასხორში — ნიჰისში. წიგნი უსწავლია ამავე სოფლის მღვდელ გაბრიელ ასხიაშვილთან. მამა მოკვდომია და დედის ანაბარა დარჩენილა. იქნებოდა ათი წლისა, როდესაც რუსეთიდან მოიწერა იოანემ თავის

ევგენის სწერდა პეტრე ქებაძის მოთხოვნის გამო და ავალებდა: მაცნობეთ, საჭიროა თუ არა, რომ მოსკოვში ქართული წიგნები იბეჭდებოდეს? თუ საჭიროა, რამდენი უნდა იბეჭდებოდეს ხოლმეო.

ევზარქოსმა გზები დახლართა: 1. ქართველებს არ უყვართ წიგნის კითხვაო... 2. მოსკოვიდან წიგნების გზავნა ძნელი არისო. სემინარიის სამმართველოსაც მოსთხოვა ცნობა, — ქართული რამდენი და რა და რა წიგნი დასჭირდება სასულიერო სასწავლებლებსო. სემინარიას პასუხად მიუწერია, რომ ყოველ წელიწადს იყიდება 100—150 ც. ქართული გრამატიკა, რუსულ-ქართული „разговор“ და „срѣчь“, სულ 150 მან., რუსული წიგნები კი 400—500 მანეთისო.

ამასთანავე მოსკოვში წარუდგენიათ ზუსტი ცნობები 1835 წელს საქართველოში მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესიების შესახებ, რომელთაც სამღვდელმსახურო წიგნები ესაჭიროებოდათ. აი ეს მონაცემები:

| | | |
|-----------------------|-----|---------|
| ქართლის ეპარქიაში იყო | 543 | ეკლესია |
| იმერეთის | 498 | „ |
| სიღნაღის | 125 | „ |
| რუსთავის | 16 | „ |
| ახალციხის | 34 | „ |
| განჯის | 1 | „ |
| ერევნის | 1 | „ |
| ბაქოს | 1 | „ |

1249

ოსეთის კომისიაში — 63 ეკლესია

სულ — 1282

საქართველოს საეგზარქოსოს დაქვემდებარებული მოქმედი 1282 ეკლესია, ბუნებრივია, საეკლესიო სამღვდელმსახურო წიგნთა მინიმუმს მოითხოვდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქ არ არის აღრიცხული ქართული მონასტრები და ეკლესიები, რომელთა რაოდენობა 1811 წ. საეკლესიო რეფორმის საფუძველზე საქმაოდ შემცირდა, მაგრამ მაინც დიდი რაოდენობით დარჩა.

ნათესაებთან — „ერთი ჩემი ნაყმევი ბიჭი გამოგზავნეთ ვინმე, გავზარდოვო“, გუდეკანიანი ვაბრიელ მღვდელის რჩევით გავზავნეს პეტრე, რუსეთიდან უგზავნიდა თავის დედას და ნათესაებს ტანისამოსს, ფულს... 1850 წ. მიცეალებულ მარიამ დედოფალს ჩამოჰყვა პეტრე და რამდენიმე ხანი იცოცხლა კიდევ, ნათესაებს უყიდა საზნაურო მამული კეთისხევში. გარდაიცვალა ქვემო ხანდაკში და იქვე დაასაფლავეს“. ამრიგად, პეტრე ქებაძე იოანე ბატონიშვილს აღუზარდია.

უწმინდესი სინოდი დაინტერესებულა საქართველოში. ადრე არსებული სტამბების ბედით და რამდენადაც კი შეიძლებოდა შეუგროვებია ცნობები. დავით გარეჯის არქიმანდრიტ იოანესა და ანჩისხატის დეკანოზს 1835 წ. 26 ივნისს კითხვებზე პასუხად მიუწერიათ: 1. როდის გაიხსნა საქართველოში სტამბა არ ვიცით, 2. ერეკლე მეფის დროს აქაურ სტამბაში იბეჭდებოდა საერო და სასულიერო წიგნები, 3. 1820 წლამდე იმერეთშიც არსებობდა სტამბა, რომელიც ეგზარქოს თეოფილაქტეს ბრძანებით დაიკეტა — ჩვენთვის უცნობი მიზეზით. სტამბის იარაღი ეგზარქოსის კანცელარიაში იქნება, 4. ძველ მესტამბეთაგან დღეს ცოცხალია ტფილისის მეტეხის მღვდელი იოსებ სულხანოვი და ოსეთის კომისიის დეკანოზი შიო დვალიშვილი. სხვებიც უნდა იყვნენ სადმე ტფილისში ან სხვაგანაო. 5. იმერეთში სტამბა მუშაობდა 1803—1819 წლებში, საეკლესიო წიგნები იბეჭდებოდა არქიმანდრიტ ზაქარიას ზედამხედველობით. სტამბის იარაღი, ეგონებ, გელათის მონასტერში ინახებაო.

სინოლმა შეკითხვა გაუგზავნა ეგზარქოსის კანცელარიასაც და იმერეთის მთავარეპისკოპოს სოფრომსაც. კანცელარიამ იცნობა: სტამბა ყოფილა, მაგრამ თეოფილაქტეს მოსვლამდე დაუკეტიათ. სტამბის დაზგა („станок“) 1820 წ. ივნისს 20-მღი შენახული იყო „კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბში“. შემდეგ, 1821 წ. თეოფილაქტეს მოთხოვნით გადმოგვეცეს. სინოდს გაეგზავნა აგრეთვე სტამბის ნიეთების სიაც (აქვე ჩამოთვლილია სტამბის ნაწილები)²⁶.

²⁶ ქართული სასულიერო სტამბის მასალების აღწერა მოეწყო 1828 წლის 3 ივნისს: დგანი ყველა ხელსაწყოს მიხედვით, რაშკეტები: აბთოვის — 2; ჩარჩო — 3; ჩამოსარეცი დაფა ფორმებისათვის — 1; მაცა — 2; გრაფა — 1 წყელი. ზედა დგანი; ხრახნი ყველა ხელსაწყოთურთ, რუსული ნამუშევარი, ხის გამოყვებით — 1; მასთან ჰიანი — 1; ტოლერი — 1; კოვაროტი — 1; ზოლი რკინისა — 1; ჩარჩო — 4; რაშკეტი — 2; ძარა — 1; ხრახნი ქართული ნამუშევარი ქანჩებოთურთ — 1; ტაპერი — 1; ჰიანი — 1.

სტუციის ჩამომსხმელი ფორმებისათვის: რუსული ნამუშევარი — 2; ქართული — 3; შორტიკები: ქართული სამოქალაქო — 48; საეკლესიო ასომთავრული დიდი — 88; მცირე — 70; საეკლესიო ასომთავრული — 55; ასეთივე: მიტელი — 60; კორპუსი — 68, პეტეტი — 79.

რუსული საეკლესიო ნუსხური — 50; პელცოში სხვადასხვა შრიფტისათვის — 60; კიდევ დიდი ქართული საეკლესიო — 18; ასეთივე საშუალო რუსული — 59; რკინის ჩაქეჩი — 1; საამწყობო თითისტარი სპილენძისა — 2; რკინისა — 1; კორპუსი რკინისა — 1; მშა რკინისა — 4. რუსული საბთო ასეთიგება: „Описъ матеріалавъ Грузин. Духов. типографіи, учинена 3 июня 1828 года.“: „Станъ по всемъ приборамъ / к нему Рашкетовъ 2; рамъ 3; счывательная доска для формъ 1; мацъ 2; графеекъ 1 пара. Сверхъ стана: Винтъ со всемъ приборомъ Русскою, исключая дерева 1; к нему планъ 1; толлеръ 1; Коваротъ 1; поласа железная 1; рамъ 4; рашкетовъ 2; кузовъ 1; Винтъ Грузинской работы съ гайками 1; та-

1835 წ. 27 ნოემბერს სოფრომ მთავარეპისკოპოსის სხვაგან ყოფნის გამო გელათის არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა ეგზარქოსს შემდეგი მისწერა: „იმერეთის სტამბის ხელჭურჭელნი იყვნენ — კარგისა და მდარისა. რომელთაგან მდარისა შევიდა შემდგომად განდევნისა მეფე სოლომონისა არხიმანდრიტის ზაქარიას განკარგულებასა შინა ძმისა მისისა. აწ უკვე მიცვალებულის გიორგი გურგენიძისა, ... რომელმანცა მოიხმარა იგი თავის სასარგებლოდ. სტამბა იმერეთში დაფუძნებული იყო ჩუგ წელს ბრძანებითა მეფისათა და არსებობდა ჩუი წლამდე და იბეჭდებოდნენ ქართულს ენაზედ ხუცური წიგნები; ხოლო ამ წელს პირველი გვარის სტამბის იარაღი წაიღო სახლთუხუცესმა დენერალ მაიორმა ზურაბ წერეთელმა თავის სახლად სოფელს, საჩხერესს. სადაც კვლავადვე არსებობდა იგი სტამბა ჩუიმ წლამდე, ე. ი. განშორებამდე არხიმანდრიტის ზაქარიასა, რომლისა შ"დ ის იარაღები უნდა აქვნიდეს უფალს პოდპოლკოვნიკს გრიგოლ წერეთელს, ხოლო დღეს გელათის მონასტერში თვალად არავითარნი კუთვნილებანი სტამბისა არ იქონებიან“.

1836 წ. 19 მარტს № 435 მიმართვით სინოდს ეცნობა საქართველოში სასტამბო საქმის არასახარბიელო მდგომარეობა და საეკლესიო წიგნების ბეჭდვის შეუძლებლობა. სინოდმა დაამტკიცა აზრი, რაც ოფიციალურად აცნობა 1836 წ. 31 აგვისტოს განკარგულებით, ეგზარქატმა გააგრძელა მოსკოვში ქართული საეკლესიო წიგნების ბეჭდვა. იგი გრძელდებოდა 1880-იან წლებამდე; ცარიზმის ზრახვები კი იმჯერად ჩაიფუშა.

წარმოდგენილ მასალებით ფარდა ეხდება ქართული საეკლესიო წიგნების მოსკოვში ბეჭდვის უაღრესად საყურადღებო მოვლენებს, რაც ასევე საინტერესოა ქართული სტამბის ბედის შესწავლის თვალსაზრისითაც.

ამ მასალებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ დაკნინებული და დარბეული იყო ამ დროს ქართული სასტამბო მეურნეობა და თვით სამღვდელეობა. მათ ისიც არ ახსოვდათ თუ როდიდან არსებობდა სტამბა საქართველოში, რა მიზეზით დაიხურა სტამბები უკანასკნელი

пер 1; пион 1; для словолитной форм: Российской работы 2; Грузинской 3; Материц грузинских гражданских 48; церковных прописных больших 88; малых 70; церковных же строчных 55; таковых же: мнителя 60; корпусу 68; летити 79. Русских церковных строчных 50; пулицопов к разным шрифтам 60; Еще больших грузинских церковных 18; таковых же средних русских 59; молоток железный 1; наборных веретен медных 2; железная 1; корж железный 1; шипцов железных 4».

27 მოსკოვის ცენტრალური საისტორიო ძველი საბუთების არქივი, სინოდის მოსკოვის ფონდი, საქ. 393.

ორი-სამი ათეული წლის მანძილზე და რა ბედი ეწვია მათ. არ შეეფერება სინამდვილეს მათი ცნობების ერთი ნაწილი, მაგ., ის, რომ თითქოს ზ. წერეთელმა საჩხერეში სოლომონ II-ის სტამბა გადაიტანა და სხვ. ამდენად, ეს ცნობები კრიტიკულ მიდგომას მოითხოვენ. რაც შეეხება ზოგიერთ ფაქტობრივ ციფრობრივ მონაცემს, საყდრებისა და წიგნების სიებს, გამოცემის თარიღებსა და სხვა ძირითად ისტორიულ ცნობებს, ისინი, ჩვენი აზრით, შეიძლება სანდოდ მივიჩნიოთ. აქ მოცემულია ქართული სტამბისა და საეკლესიო წიგნების ბეჭდვის ისტორიის ერთგვარი სურათი რეაქციის პერიოდში (1832 წ. შემდეგ). ირკვევა, რომ ვარლამის წამოწყება 1810-იან წლებში თბილისში და-არსებულ სტამბაში სამღვდელთმსახურო წიგნების ბეჭდვის შესახებ უდღეური აღმოჩნდა.

XIX ს. დამდეგიდან 1816 წლამდე თბილისში არც ერთი წიგნი არ დაბეჭდილა. 1816 წ. თბილისის ახლად გახსნილ სტამბაში პირველად დაიბეჭდა „ლოცვანი“. 1816—1837 წლებში მხოლოდ 8 წიგნის დაბეჭდვა მოხერხდა. 1838 წლიდან ქართული საერო წიგნის ბეჭდვა გამოიკოცხლდა. ამ წელს სამი წიგნი დაიბეჭდა. მათ შორის აღსანიშნავია პლ. იოსელიანის „ანბანი“ და სხვ. XIX ს. პირველ ნახევარში თბილისში სულ 12 წიგნი დაიბეჭდა; მართალია თბილისში დაბეჭდილ წიგნთა ეს რაოდენობა იმაზე ნაკლებია, რაც ვახტანგ VI სტამბამ თავისი არსებობის 14 წლიან პერიოდში გამოსცა, მაგრამ შეინიშნება ერთი კანონზომიერება: XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთში გახშირდა ქართული წიგნის ბეჭდვა. მაგალითად, 1805—1851 წლებში მოსკოვის სინოდის სტამბაში დაისტამბა 35 წიგნი, სანკტპეტერბურგში, 1818—1850 წლებში, 22 ქართული, რუსულ-ქართული და ქართულ-ფრანგული წიგნი²⁸.

ამავე დროს მოსკოვში არსებული სინოდის სტამბა გადაიქცა ქართული საეკლესიო-სასულიერო წიგნების ბეჭდვის კერად (და ასეთად რჩება იგი 1880-იანი წლების რეაქციის წლებამდე, — თბილისში ბიბლიის ორ წიგნად გამოცემამდე), ხოლო პეტერბურგი — ქართული სამეცნიერო და ლიტერატურულ-აკადემიური წიგნის გამოცემის ცენტრად.



1819 წლიდან თბილისში პირველად იწყებს გამოსვლას „საქართველოს გაზეთი“.

²⁸ ქართული წიგნი, თბ., 1941, გვ. XIII.

1828 წ. თბილისში დაიწყო გაზეთ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ გამოცემა, რომელსაც რედაქტორობდა პ. სენკოვსკი. ამ გაზეთის ორეული იყო ქართული „ტფილისის უწყებანი“, რომელსაც რედაქტორობდა სოლომონ დოდაშვილი. 1832 წ. 1 იანვრიდან „ტფილისის უწყებანის“ დამატებად გამოდის „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომლის მხოლოდ 5 ნომერი გამოვიდა. ამ ჟურნალში შეფარვით იბეჭდებოდა სოლომონ დოდაშვილისა და 1832 წ. შეთქმულების სხვა მონაწილეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და ეროვნულ-განმათავისუფლებელ-პოლიტიკური მოღვაწეობის ამსახველი საპროგრამო იდეური წერილები. 1832 წ. მარტიდან პირველი ქართული ჟურნალის გამოცემა წყდება. 1832 წ. შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური და ჟურნალის რედაქტორი სოლომონ დოდაშვილი დააპატიმრეს და გადაასახლეს შორეულ ვიატკაში, სადაც 31 წლისამ სიცოცხლე დაასრულა.

1838 წ. დაიწყო „ტიფლისკიე ვედომოსტის“ ანალოგიური ახალი პერიოდული ორგანოს გამოცემა „ზაკავკასკი ვესტნიკის“ სახით, რომელსაც თან ქართული დუბლი (თარგმანიც) უნდა ხლებოდა. ეს უკანასკნელი განზრახვა სხვადასხვა მიზეზთა გამო 1845 წელს განზორციელდა, მას შემდეგ, რაც ამ ორგანოს რედაქტორად პლატონ იოსელიანი დაინიშნა, რომელიც, ირკვევა, აღრიდანვე იყო დანტერესებული დამოუკიდებელი ქართული ჟურნალის დაარსებისა. ამრიგად, 1845 წლიდან გამოსვლას იწყებს ქართული თარგმანი — დუბლი „ზაკავკასკი ვესტნიკისა“, „კავკასიის მხარეთა უწყებანის“ სახელწოდებით.

1846 წლიდან თბილისში გამოსვლა იწყო გაზ. „კავკაზმა“. ეს იყო ყველაზე დიდი და საკმაოდ პოპულარული რუსული გაზეთი მთელ კავკასიაში (1877 წლიდან იგი ყოველდღიურად გამოდიოდა. 1917 წლიდან 1918 წ-მდე „კავკაზი“ კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის („ოზაკომის“) ორგანოს წარმოადგენდა).

4. კატარაგორგი ქართული საზეცნიერო-ლიტერატურულ წიგნთა ბეჭდვის ბაზის ბაზად იკვებვა. ქართული წიგნის ბეჭდვის ბაზის ბაზარება თბილისსა და უცხოეთში

ქართული სამეცნიერო და ლიტერატურული წიგნის ბეჭდვის ერთ-ერთ უმთავრეს კერად პეტერბურგის გადაქვევისათვის ნიადაგი აღრიდანვე შემზადდა. მე-17—18 საუკუნეებში რუსეთში აღმოცენებული ქართულთა კოლონიები მრავლდება და ფეხს იკიდებს ქართული მწიგნობრობა. მე-19 საუკუნის დამდეგს რუსეთის მეფის ხელისუფლებამ ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის შთელი შემადგენლობა საქარ-

თველოდან პეტერბურგში გადასახლა²⁹. ისინი რუსეთში დიდი გაცეხებით აგრძელებდნენ ქართული მეცნიერებისა და კულტურის სამსახურს და იღვწოდნენ ქართული წიგნის ბეჭდვისათვის. პეტერბურგის უნივერსიტეტი ამიერიდან. ქართველ სტუდენტთა თაობების აღზრდის გარდა, ვამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მოღვაწეობის ასპარეზადაც იქცა.

მე-19 საუკუნიდან პეტერბურგი ქართული სამეცნიერო და ლიტერატურული წიგნების ბეჭდვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერა გახდა. 30-იანი წლებიდან თეიმურაზ ბატონიშვილისა და აკად. მარი ბროსეს თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა; ასევე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველოლოგიის წინსვლისათვის მარი ბროსესა (1837 წ.) და თეიმურაზ ბაგრატიონის (1838 წ.) არჩევა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრთა და საპატიო წევრთა შემადგენლობაში. ამიერიდან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისა და პეტერბურგის უნივერსიტეტის მეცნიერულ მოღვაწეობაში საპატიო ადგილი დაიკავა ქართველოლოგიამ.

ჯერ კიდევ 1846 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა შესანიშნავი „ქართული ქრესტომათია, ანუ გამოკრებულნი ადგილები ქართველთა წერილთაგან შედგენილი დავით ჩუბინოვის მიერ“ (ორ ნაწილად. I. პროზა, II ნაწილი კი პოეზია). მდიდარ ქართულ და ლიტერატურულ მასალასთან ერთად ამ ქრესტომათიაში მოთავსებული იყო ასევე მასალები „ქართლის ცხოვრებიდან“.

აქვე, ამასთანავე განვითარდა ქართულ სამეცნიერო წიგნების ბეჭდვა. მაგალითად, 1808 წ. პეტერბურგში „სააქიმოთა აკადემიისა შინა“ დაისტამბა „ლონეი და შეწევნილება, რომლითაც იხსნების ერი ყვავილის სნეულების სერისგან, რათა აუტრიდნენ საზოგადოდ ყოველთა ძროხის ყვავილსა“, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნა გოდერძი ფირალოვისაგან.

1818 წ. თეიმურაზ ბატონიშვილმა რუსულიდან თარგმნა არისტოტელეს „განსჯანი კეთილისათვის და ბოროტისა“; მოგვიანებით დაწერა ისტორია, რომელიც დაბეჭდა თავისი საფასითვე პეტერბურგში, მხედრული შრიფტით. ამავე წელს დიმიტრი ბაგრატიონმა დაბეჭდა „წამება წმინდისა ქეთევან დედოფლისა“.

ქართული სამეცნიერო წიგნის ბეჭდვა პეტერბურგში განსაკუთრებით გაძლიერდა 1840-იანი წლებიდან. 1841 წ. პეტერბურგში ზ. ფალავანდიშვილმა, მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა გამოსცეს „ვე-

²⁹ მ. გონიკიშვილი, ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986, ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში.

ფხისტყაოსანი“. აქვე არაერთი ქართული წიგნი დასტამბეს მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა ქართულ-ფრანგულ ენებზე და სხვ.

1850 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოქვეყნდა ქართლის ცხოვრების პირველი ნაწილი, ანუ ძველი მოთხრობა 1469 წლამდის. „თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა უფ. ბროსეს მიერ“. ქართლის ცხოვრების მეორე ნაწილი, ანუ მოთხრობა 1469 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე, 1854 წელს გამოსცა დ. ჩუბინოვმა.

1850 წლის გამოცემას თან ახლავს „უწყება მკითხველთაჲვის“, სადაც მარი ბროსე იუწყებოდა, რომ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი მან გამოსცა ორენოვნად. სათითაოდ და ქართულ-ფრანგულად ერთად. ესენია: „1. ქართლის ცხოვრება ქართულად (იყიდება 3 მანეთად ვერცხ.), 2. ქართლის ცხოვრება ფრანგულად (იყიდება 5 მანეთად) და 3. ქართლის ცხოვრება ქართული და ფრანგული ერთად (8 მანეთად ვერცხ.)“.

ამ მეთოდით ქართლის ცხოვრების გამოცემა პირველი შემთხვევა იყო. იგი მარი ბროსეს ტიტანური შრომით განხორციელებული ფენომენია.

დ. ჩუბინაშვილი ქართლის ცხოვრების მეორე ნაწილის გამოცემაში. რომელიც 1854 წ. განხორციელდა, ერთგვარად აგრძელებს მ. ბროსეს ტრადიციებს, მან თავის გამოცემას წინ წარუძმძღვარა შესავალი, უწყება რუსულ და ფრანგულ ენებზე (გვ. 1—XXXIII). დ. ჩუბინაშვილი დასასრულ დიდ მადლობას უძღვნის მარი ბროსეს თანამშრომლობისა და დახმარებისათვის, ქართული ხელნაწერი დედნების განსხვავებული რედაქციების შემოწმებასა: და ტექსტის დადგენაში მონაწილეობისათვის. მ. ბროსემ ქართლის ცხოვრების ეს მეორე ნაწილიც ფრანგულად თარგმნა და გამოსცა.

როცა ბროსე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს და იგი სამუდამოდ პეტერბურგში გადმოსახლდა, თეიმურაზ ბატონიშვილსა და ბროსეს შორის აღრიდანვე აღმოცენებული სამეცნიერო შემოქმედებითი და ახლო მეგობრული ურთიერთობა გაღრმავდა და დამკვიდრდა. ბროსე, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს აღიარებული ქართველოლოგი იყო და ავტორი მეცნიერული ნაშრომებისა საქართველოს ისტორიისა და ქართული სიტყვიერების დარგში, თეიმურაზ ბატონიშვილს თავის მასწავლებლად მიიჩნევდა და თავს თეიმურაზის შეგირდად თვლიდა.

ბროსემ 1847—1848 წწ. სამეცნიერო ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების შეგროვების მიზნით საქართველოში იმოგზაურა. მან აქ ახლო კავშირი დაამყარა რაფიელ ერისთავთან, პლ. იოსელიანთან, მელვინეთუხუცესთან და სხვ. გარდა იმისა, რომ დიდძალი საჭირო

მასალაც შეაგროვა, ყველა ისინი ბროსეს თხოვნით მისი კორესპონდენტები გახდნენ და მათ შორის სამეცნიერო თანამშრომლობა არ ჩამქრალა. მარი ბროსემ დიდი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის, ენისა და კულტურის ისტორიის მეცნიერულ შესწავლას თავის წინამორბედ ფრანგ მეცნიერებთან — სენ მარტინსა და სხვებთან ერთად. ამის შესახებ ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ არა ერთჯერა წერდა: „ფრანგებს ხვდათ წილად, ჩვენი ქვეყანა და ჩვენი წარსული იმთავითვე კაეცნო ევროპისათვის და დღესაც უმეტეს წილად იგივე ფრანგები მოდიან საქართველოს შესასწავლად და გამოსაკვლევად“.

მარი ბროსეს დაბადების ასი წლისთავი 1902 წ. საქართველოში ზეიმით აღინიშნა. ბროსეს სახელის უყვდავსაყოფად თბილისში ერთ-ერთ დიდ ქუჩას მარი ბროსეს სახელი ეწოდა. დაიბეჭდა წერილები პრესაში; საფრანგეთსა და ესპანეთში საქართველოდან მარი ბროსეს ხსოვნის საპატივცემულოდ დეპეშები გაეგზავნა ნათესავთა და ოფიციალურ პირთ. მაგ., საფრანგეთის განათლების მინისტრისადმი გაგზავნილ დეპეშაში ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ბროსეს ღვაწლს და მადლიერების გრძობით წერდა: „მარი ბროსე იყო საქართველოს უწარჩინებულესი ისტორიკოსი და საქართველოს ისტორიის გამაერ-კელებელი მსოფლიოში. ფრანგულის ენითა“. ილია აქვე დასძენდა, რომ „საფრანგეთის დიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის“³⁰.

მარი ბროსე გარდა იმისა, რომ თავისი მეცნიერული გამოკვლევებით გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია, თეიმურაზ ბაგრატიონთან ერთად თანამშრომლობით რუსთველოლოგიის თვალსაჩინო მკვლევარია.

პეტერბურგში 1841 წ. „ვეფხისტყაოსნის“ ბროსესეულ გამოცემას ბოლოს მიბეჭდილი აქვს:

„სიემონ მესტამბე ტაბიძე ბეჭდვაზე იყო მცდელია,

დავბეჭდეთ წიგნი აწ ახლად, განახლდა ძველის ძველია“.

პეტერბურგი ამრიგად იქცა არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურულ და აკადემიურ სამეცნიერო წიგნთა გამოცემის კერად, არამედ მძლავრ ცენტრად, სადაც ქართველი ახალგაზრდობა უმალეს განათლებას იძენდა.



XIX ს. 40-იან წლებში კვლავ ამოქმედდა 10 წლის წინათ 1832 წლის შეთქმულების გახსნის შედეგად დარბეულ-დახურული სტამბა,

30 ივ. გაზ. „ივერია“ 1902 წ. 13 მარტი და 1904 წ. № 175.

მაგრამ ძალზედ უუნაროდ; აქ ხერხდებოდა ბექდვა მხოლოდ მცირე წიგნთა; უმეტესად იბეჭდებოდა სასწავლო წიგნები და ზოგი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი. მაგ., აქ დაიბეჭდა თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ა. წიწუაშვილის რუსულიდან თარგმნილი საბავშვო წიგნი — „სასიამოვნო წაღკოტი ყრმათათვის“... (თბ., 1842), ხელახლა გამოიცა პ. იოსელიანის „ანბანი ქართული სასარგებლოდ ქართველთა ყრმათათვის“. ამასთანავე, სხვადასხვა ავტორთა მიერ შედგენილი, ან თარგმნილი სასოფლო სამეურნეო, სამედიცინო და საალბეშიცემო პრაქტიკული დანიშნულების თითო-ორთა სახელმძღვანელო ინსტრუქციები; სასარგებლო რჩევა-დარიგებანი და სასულიერო სახელმძღვანელონი. მაგ., სიონის ეკლესიის მღვდლის გრიგოლ ცამციშვილის თარგმნილი „მოკლე განმარტება ლიტურჯიისა შეკრებილი დეკანოზის გ. მანსვეტოვისაგან“. მისივე რუსულიდან ნათარგმნი, ი. დიმიტროვის მიერ შედგენილი „კეთილ კრძალულებანი გულისზრახვანი ჭამსა მოსმენისა ლიტურჯიისა“ და სხვ.

ჯერ კიდევ მე-19 ს. 30—40-იანი წლების მოღვაწეები — პლ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვანი სტამბასა და წიგნის ბეჭდვის გავრცელებაზე ზედმიწევნით ზრუნავდნენ და დიდ იმედებს ამყარებდნენ. ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვის განვითარებაში ისინი ხედავდნენ ძველი ქართული კულტურის დაცვისა და საქართველოს უკეთესი მომავლის მისაღწევ საიმედო იარაღს. აი, რას წერდა დ. ყიფიანი: „რა არის ახლა, ან ვინ არის ამ ახლანდელი ჩვენს წყობილებაში ჩვენი წინამორბედი, ჩვენი დამომდევრებელი, ჩვენი მეგობარი და მეინახე — ეს არის სტამბა. ეს არის ბეჭდვა“.

პლ. იოსელიანმა მე-19 ს. 30—40-იან წლებში მოახერხა არაერთი ღირსსახსოვარი წიგნის დაბეჭდვა. იგი ნაყოფიერად აგრძელებდა წიგნების ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემას. „ვიდრე ბრძოლის ხმა: მან 1853 წლისა, საუბედუროდ ქართული მწერლობისა, შეაყენა მუშაობა ჩემი... შედგა ბეჭდვა ქართულთა წიგნთა“. პლატონ იოსელიანი ქართული ბეჭდური წიგნისა და ეროვნული კულტურის განვითარებაზე ზრუნვას ტრადიციული გზით განაგრძობდა თავის ნაყოფიერ შწიგნობრულ და ლიტერატურულ მოღვაწეობას, იგი ბოლომდე „დარბაისლური“ ქართული ენის თაყვანისმცემელი დარჩა; მანვე ქართულ კლასიკურ ძეგლთა გამოცემის საქმე პირველმა დააყენა მეცნიერულ საფუძველზე. მაგალითად, ყირიმის ომის დაწყებამდე პლ. იოსელიანმა არაერთი ღიღმნიშვნელოვანი ძეგლისა და მეცნიერული ნაშრომის გამოცემა შეძლო³¹.

³¹ პლ. იოსელიანის მიერ ამ პერიოდშია გამოცემული შატელის „აბდულმე-სიანი“ და ჩახრუხაძის „თამარანი“, 1838; იოსებ თბილელის (საკაძის) „დიდ-

ქართული წიგნები მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში უცხოეთშიაც იბეჭდებოდა, მაგ., აკად ბროსემ, ვიდრე რუსეთში გადმოსახლებოდა, იმდენად კარგად შეისწავლა ქართული ენა და საქართველოს ისტორია. რომ მან ჯერ კიდევ 1820—30-იან წწ. პარიზში გამოსაცემად მოამზადა ნაშრომები ქართველოლოგიიდან ქართულ-ფრანგულად.

1811 წ., როცა გაუქმდა ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა და საქართველოს ეკლესია „უწმინდეს“ სინოდს დაუქვემდებარდა, გაძლიერდა დევნა კათოლიკური ეკლესიისა და მოძღვართა წინააღმდეგ. ამ დროს საქართველოში „გაფრანგებული“, ანუ კათოლიკე ქართველები საკმაოდ მრავლად იყვნენ. ზოგი მათგანი იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და ევროპის კათოლიკურ ქვეყნებში ეძია თავშესაფარი.

ქართველი კათოლიკე ბერები ლეთიურ ვალად მიიჩნევენდნენ ეროვნულ-კულტურული ქართული წიგნის ბეჭდვის კერების დაარსებისა და გამოცემული წიგნების გავრცელებისათვის ზრუნვას.

ევროპაში ქართული წიგნის ბეჭდვის ორგანიზაციას მე-19 საუკუნეში. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ფაქტობრივად ქართველი კათოლიკე ბერები თაოსნობენ. მათგან განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის აბატ პეტრე ხარისკირაშვილს.

პეტრემ იცოდა. რომ ვენეციაში წმინდა ლაზარეს კუნძულზე მხითარისტების კონგრეგაციაში დატული იყო ქართული ხელნაწერები, რომლებიც ქართველ ბერებს ეთარგმნათ. პ. ხარისკირაშვილი კონსტანტინეპოლიდან იტალიაში წმინდა ლაზარეს კუნძულზე გადავიდა და კონგრეგაციის სტამბაში მოკლე დროში არაერთი ქართული წიგნის გამოცემა შეძლო. ამრიგად, იტალია XIX ს. მეორე ნახევრიდან ქარ-

მოურავიანი“. 1851: ტომოთე გაბაშვილის „მოხილვა წმინდათა და სსცა ადმოსავლეთისა ადგილთა“, 1852; ანტონ კათალიკოსის „წყობილსიტყვაობა“, 1853; არჩილ მეფის „ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა“, 1853. გარდა ისტორიული ძეგლებისა, მანვე პირველმა 1839 წ. გამოსცა კალენდარი 1840 წ-სა, რომლის შესახებ წინასიტყვაობაში წერს: „უწყიან ყოველთა, რომელ ქართველ ენასა ზედა ვიდრე აქამომდე არა ჰქონდესთ ქართველთა კალენდარიო“. ხშირად იბეჭდებოდა „პირველდაწყებითი კანონი ქართულის ღრამბატიკისა“, 1840; ქართული ანბანი, 1845 წ. (სისტემატურად) და სხვ.

პლ. იოსელიანი პირველი იყო, რომელმაც პეტერბურგსა და თბილისში დასაბამი მისცა საქართველოს ისტორიისა და ისტორიული ძეგლების შესახებ მეცნიერული გამოკვლევების რუსულ ენაზე ბეჭდვას. მაგ.; ასეთებია. „Краткая история Грузинской церкви“. 1843. Санкт-Пет; Описание Кватыхевского монастыря, 1844, Т6; Описание Шногвинской пустыни в Грузии. 1845, Тифа; Описание Марткопского монастыря. 1847. Тифл.

1845 წლიდან პლ. იოსელიანის რედაქტორობით გამოდიოდა „ზაკავასკი ვესტნიკ“, „კავასისის მსარეთა უწყებანი“.

თელი წიგნის ბეჭდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად გადაიქცა. 1859 წ. პეტრემ გამოაქვეყნა: „წმინდანების ცხოვრება“ და საერო ხასიათის „იგაენი იეზუბოს ფილოსოფოსისანი“ ორ ტომად, ვენეტიკის წიგნთ „საბეჭდავსა შინა“. 1869 წ. „შემოკლებული სწავლა ყოვლისა საქირო უწინარეს ყოვლისა“, რომელსაც ახლავს დანართი: „სია ქართულად დაბეჭდილ წიგნთა ვენეციაში“.

ქართული წიგნების გამოცემა XIX ს. კონსტანტინეპოლსა და მონთომანში (საფრანგეთში) ერთდროულად მიმდინარეობდა. ამ საქმეს სათავეში აბატი პეტრე ხარისკირაშვილი ედგა და წარმატებითაც. პეტრემ საბოლოოდ დატოვა სომეხ კათოლიკეთა „წმინდა ლაზარეს“ მონასტერში გამართული ქართული მოქმედი სტამბა და ვენეციიდან კონსტანტინეპოლში გადასახლდა³².

კავკასიაში მიხეილ ვორონცოვის მეფისნაცულის თანამდებობაზე დანიშნით (1844—1854 წწ.) საქართველოსა და კავკასიის ხალხების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლებისათვის, შამილთან გააფთრებული საომარი მოქმედების პირობებში, არაერთი საყურადღებო რეფორმა და სხვა ხასიათის ღონისძიებანი განხორციელდა. მაგ., 1843 წელს დაარსდა კავკასიის სასწავლო ოლქი და შემუშავდა დებულება „კავკასიის სასწავლო ოლქისა და მის ქვემდებარე სასწავლებელთა შესახებ“.

ახალი დებულებით სასწავლებელთათვის დაარსდა „სახელმძღვანელოების კომიტეტი“, სადაც ჩამოყალიბდა ქართული სახელმძღვანელოების განყოფილება დიმ. ყიფიანის (თავმჯდომარე), პლ. იოსელიანის, ზ. ყორღანაშვილის, ე. ალექსიშვილის, ივ. თურქისტანიშვილის შემადგენლობით.

32 შ. ლომსაძე, ახალციხური ქრონიკები, თბ., 1979, გვ. 70—73.

ქართული წიგნის კატალოგის ისტორიიდან

ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების გამრავლება-აღრიცხვის, მოვლისა და დასაცავად ზრუნვის ორგანული შემადგენელი პირობაა წიგნთა სიების, ანუ კატალოგების სათანადო წესით შედგენა.

ქართველ მწიგნობრებს, როგორც ჩანს, კატალოგთა შედგენის ტრადიცია აღრიდანვე ჰქონიათ, მაგრამ ჩვენამდე კატალოგები მცირე რაოდენობითაა მიღწეული. მაგალითად, ქართული წიგნის უძველეს კატალოგად სინას მთის ქართველთა მონასტრის № 92 ხელნაწერია მიჩნეული. ამ ხელნაწერი ეტრატის პალიმფსესტზე მონასტრის X ს. კატალოგის მხოლოდ ნაწყვეტია შემორჩენილი, სადაც სულ 22 წიგნის სახელწოდებაა მოხსენებული¹. საკუთარი წიგნების კატალოგი ასევე მოეპოვებოდათ ათონის ივერიის მონასტერს — ჩვენამდე მოაღწია X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართული კატალოგის სრულიად დაუზიანებელმა ტექსტმა.

„ათონური ხელნაწერები შემკულია საყურადღებო ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის ანდერძ-მინაწერებით, რომელთაგან მეცნიერებისათვის ა. ცაგარლისა და რ. ბლეიკის მოკლე აღწერილობებით მხოლოდ ფრაგმენტებია ცნობილი“ — წერდა ივანე ლოლაშვილი. ჩვენგან უდროოდ წასულმა მკვლევარმა მოასწრო ფირზე აღბეჭდილ და ჩამოტანილ ხელნაწერთა გაცნობა და დაწერა საყურადღებო გამოკვლევა — „ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი“.

ამ სიახლიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს პირველი ქართული ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობები X—XI საუკუნეების ქართულ მწერლობაზე, იოანე მთაწმიდელის ანდერძი, ამ ანდერძის ნუსხების ვარიანტების კრიტიკული შესწავლით მიღებულია დასკვნები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული წიგნის კატალოგისა და ბიბლიოგრაფიის ისტორიისათვის.

¹ Н. М а р р, Предварит. отчет о работах на Синае. ასევე ივ. ყ ა ვ ა ხ ი ი შ ვ ი ლ ი ს ქართული პალეოგრაფია, თბ. 1926. გვ. 84.

იოანე წერს: „მწუხარე ვიყავი, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო. ქვეყანაი ქართლისაი წიგნთაგან და დიდი ხარკება და მოღვაწეობა ვაჩვენე და შვილი ჩემი ეფთვიმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გადმოთარგმანებად წიგნთა ბერძულისაგან ქართულად და აღიწერეს ჩვენ მიერ... წიგნი, რაოდენიცა უძლედ წერად“.

იოანე აქ ჩამოთვლის 30-მდე წიგნს, რომლებიც მხოლოდ ექვთიმეს უთარგმნია X ს-ის უკანასკნელ მეოთხედში — 1002 წლამდე.

იოანეს ნუსხა, გიორგი მთაწმიდელის ნუსხებთან მიმართებით, სწორ წარმოდგენას იძლევა ექვთიმე მთაწმიდელის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. მიუხედავად იმისა, რომ იოანეს ნუსხა წიგნების სათაურებს შემოკლებით ასახელებს და არ იცავს თანმიმდევრობას, მაინც ზედმიწევნით სწორ ცნობებს გვაწოდის².

იოანეს ნუსხა, ამასთან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ X საუკუნის სინურ ქართულ წიგნთა სიის ფრაგმენტს, რომელიც ნ. მარმა აღმოაჩინა, ქართული ბიბლიოგრაფიულ წყაროთა შორის ყველაზე ძველია³.

იოანე მთაწმიდელი ანდერძში გულისტკივილით გადმოგვცემს, რომ საღვთო წმინდა წიგნებით საბერძნეთისა და რომის ეკლესიანი „სავსე იყვნეს“, ... „ხოლო ჩვენისა ამის ქვეყნისანი (ანუ საქართველო — ა. ი.) ნაკლულევან. ამისათვის მე გლახაკი მონაზონი იოვანე მწუხარე ვიყავ, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქვეყანა ქართლისაი წიგნთაგან... და შვილი ჩემი ეფთვიმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გადმოთარგმანებად წარკმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად“. იოანე აქვე თავის ანდერძში წარმოგვიდგენს სიას — კატალოგს იმ წმინდა წიგნებისას, რომლებიც უთარგმნია მის სახელოვან შვილს ექვთიმეს. დღემდე შემორჩენილი ამ ანდერძის ხელნაწერებს შორის სხვაობა შეიმჩნევა ექვთიმეს მიერ თარგმნილ თხზულებათა ჩამოთვლის რიგსა და რაოდენობაში; იოანეს ნუსხა შეიცავს ეგზეტიკურ, ასკეტურ-მისტიკურ, ჰომილეტიკურ, აგიოგრაფიულ და პიმნოგრაფიულ თხზულებებს⁴.

გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (იხ. ფონდი 171, ნაწ. 2, საქ. 93, ფურც. 1) დაცულია ათონის მონასტრის წიგნსაცავის

² ივანე ლილაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი. თბ., 1982, 83-76.

³ Н. М а р р. Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940, с. 267—268.

⁴ იხ. ი. ლილაშვილი, ათონურ ქართულ ხელნაწერთა სიახლენი, თბ., 1982, 83-64—66, 68.

წიგნების სია. წიგნთა ნაწილი მარტვილ-წამებულთა ცხოვრებას ეხება, რომლებიც მოგვიანებითა აღწერილი⁵.

ი. ლლაშვილის მართებული შენიშვნით იოანეს ანდერძით, ანუ ექვთიმეს მიერ თარგმნილი ქართულ წიგნთა სიის სრულად შედგენით, საუფუძველი ეყრება ქართული წიგნის კატალოგის შედგენის ისტორიას.

აქად. ი. ჯავახიშვილოს გამოანგარიშებით, ჩვენ მოგვეპოვება სხვადასხვა ცნობა XI—XII საუკუნეებში ათონის მთაზე დაცული 230 ხელნაწერის შესახებ. ათონის წიგნის კატალოგის ისტორიისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ 156 წიგნს, რომლებიც XVII ს. შუა წლებში ათონის ივერიის მონასტრიდან არსენ სუხანოვს მიუღია და რუსეთში ჩამოუტანია სათანადო სიითა და დასახელებითურთ, რომელნიც. ეკვი არაა, საქართველოდან რუსეთში მოხვედრილ სხვა წიგნებთან (ხელნაწერ და ნაბეჭდ) ერთად საიმედოდაა დაცული და ბევრი მათგანი მკვლევარს ელოდება.

პეტრიწონის, ანუ ბაჩკოვოს ქართველთა საეპანე-მონასტერში XI საუკუნიდან შემუშავდა სალიტერატურო სკოლა, დოგმატიკური და ფილოსოფიური მიმართულები, რამაც ხელი შეუწყო ქართული ფილოსოფიური აზროვნების, ენისა და ტერმინოლოგიის განვითარებას იოანე პეტრიწის მეთაურობით. პეტრიწი ბულგარეთიდან დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიაში მოიწვია. აქ იგი არსენ იყალთოელსა და სხვებთან ერთად ნაყოფიერად მოღვაწეობდა.

XVIII ს. მეორე მეოთხედში ათონის მთის მონასტრები მოუვლია ვ. ბარსკის, რომლის სიტყვითაც ქართველთა მონასტრის წიგნსაცავი ათონის ყველა სხვა მონასტრის ბიბლიოთეკაზე მდიდარი ყოფილა. იგი 3000 ხელნაწერზე მეტს შეიცავდა. უძველეს ქართულ ხელნაწერებსა და სიგელ-გუჯარებთან ერთად იქ მრავლად ყოფილა სხვადასხვა შინაარსის ბერძნული და ლათინური წიგნებიც, რომელთაგან ზოგი იშვიათობას წარმოადგენდა ან სხვაგან სულაც არ მოიპოვებოდა⁶. მაგრამ XIX საუკუნის დამდეგიდან, გარკვეული პირობების გამო, მდგომარეობა იქნობამდე დაკნინდა, რომ 1890-იან წლებში პროფ. ალ. ცაგარელს ათონზე მხოლოდ 86 ხელნაწერი დახვედრია.

სრულყოფით ჩვენამდე მოაღწია თეიმურაზ ბატონიშვილის ბიბლიოთეკის წიგნთა კატალოგმა, რომელიც 212 ხელნაწერსა და წიგნს შეიცავს⁷.

⁵ იხ. ბ. კანდელაკი, ათონი, ჟვარი, პეტრიწონი. თბ., 1980, გვ. 32—34.

⁶ С. Белокурлов, Арсений Суханов, ч. 1, 1891.

⁷ იგი პირველად ფრანგულად თარგმნა და გამოსცა მარი ბროსემ, შემდეგ ალ. ცაგარელმა შეიტანა თავის „ცნობარს“ III ტომში (რუსულად). მესამედ ცალკე გამოსცა ს. იორდანიშვილმა (1948 წ.), მეთხედ — ვ. შარაძემ (1974 წ.) მან თეიმურაზ ბატონიშვილის კატალოგი ავტორისეული 1835 წლის სიის მიხედვითა

თბილისის ძველ წიგნთსაცავთაგან სახელმძღვანელო იყო სიონის საყდრის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკაში შესასვლელი კარების თავზე კედელში ჩასმული ყოფილა მარმარილოს ქვა წარწერით: „ეს წიგნთსაცავი აღვაშენე ტფილელმა მიტროპოლიტმა იოსებ სააკაძემ, შევაძვე და განვაერცე წიგნებით და მოვრთვი ოქსინოთი“⁸. იოსებ თბილელის კუთვნილ წიგნებს წარწერა ჰქონია: „ტფილელის იოსებისა“⁹.

საკუთარი წიგნთსაცავი ჰქონდა შიო მღვიმეს მონასტერს. ჩვენამდე მოღწეულია მონასტრის წიგნების სია. 1872 წელს შედგენილი სიით 85 ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნია აღრიცხული. ამ სიითვე წარმოდგენილია სახელწოდებანი თითოეულისა (მათი სია გამოაქვეყნა ნ. გურგენიძემ)¹⁰.

კათალიკოს დომენტის (ვახტანგ VI ძმას) მე-16 ს. დასაწყისში იოსებ თბილელის ბიბლიოთეკის შენობაში მოუწყვია ახალი წიგნსაცავი, მასვე სიონის გვერდით სასულიერო სასწავლებელთან დაუარსებია ხელნაწერთა საცავი, სადაც თითქოს „ყოველნაირი წიგნი ინახებოდა“¹¹.

XIX ს. დამდეგს თბილისში მოკლე დროში შეიქმნა მდიდარი სასწავლო ბიბლიოთეკა ახლად დაარსებული კეთილშობილთა სასწავლებლის მოწაფეთათვის, სადაც 122-მდე რუსული, ქართული და სხვა წიგნებია დასახლებული¹².

თეიმურაზ ბაგრატიონის (1782—1846) წიგნთსაცავის კატალოგიდან ირკვევა, რომ თეიმურაზის ბიბლიოთეკას საფუძვლად კახეთის ბაგრატიონთა სამეფო ოჯახის არა ერთი წიგნი დასდებია. მაგ., „კატალოგის“ № 87 ხელნაწერი წიგნი „ლოცვები“ ქეთევან ღედოფალ წამებულისა ყოფილა... „და თვისის წამების ემსაყ ამაშივე ილოციედაო“. ეგვეე ითქმის თეიმურაზ II-სა და ერეკლე მეორის ნაქონ წიგნებზე, რომელნიც „კატალოგში“ მოხსენებულია. სამეფო ბიბლიოთეკების გარდა „კატალოგში“ შეტანილია მისი მეუღლის ელენე ოთარის ასულ ამილახვრის ოჯახიდან მზითვში მოყოლილი წიგნებიც. მისი უგანათლებულესი ძმის დავით ბატონიშვილის ბიბლიოთე-

და სხვა რედაქციების კრიტიკულად გაანალიზებით გამოსცა. კატალოგში შეტანილია 212 დასახელების წიგნი.

⁸ გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., 1959, გვ. 22.

⁹ იქვე, გვ. 91.

¹⁰ ძველი წიგნთსაცავები საქართველოში. თბ., 1969, გვ. 28—36. დედანი ამ კატალოგისა დაეუღლა საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში, ფ. 500, საქ. 1.

¹¹ გაზ. დროება, 1878, № 111.

¹² იხ. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფ. 16, საქ. 952.

კის ზოგი წიგნი, რომლებიც დავითის გარდაცვალების (1819 წ.) შემდეგ მიუღია. მაგრამ თეიმურაზის მდიდარი ბიბლიოთეკის ძირითად წყაროს საკუთარი საფასით შექენილ-ნაყიდი უძვირფასესი ხელნაწერები შეადგენდა. მას დაქირავებული გადამწერნიც საკმაოდ ჰყავდა, ზოგჯერ გადამწერად თვით თეიმურაზიც გვევლინებოდა, თუ გადამწერთაგან რომელიმე შეცდომებით გადაწერდა, მაგ., ხელნაწერთა კრებული (ლენ. № 23) შეიცავს თეიმურაზის ანდერძ-მინაწერს, სადაც ვკითხულობთ.

„ვიხც ვპოვე მიოხრეს კარგად წერს, მეგონა წესიერ მწერი,
ყოველნივე ედომით სწერდეს ერისგანნი, გინდა ბერი.
უზომოს ანგარებისა თურმე სკირდა მუნი-ბლერი...
არ უყვართ თვისი მამულნი, ნურმც არა გაუხარიან“.

თეიმურაზ ბაგრატიონი, როგორც ირკვევა, საკუთარი ბიბლიოთეკის საუკეთესო ხელნაწერებს ხშირად საჩუქრად აძლევდა ქართული წიგნით დაინტერესებულ თვალსაჩინო პირებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს... თეიმურაზ ბაგრატიონი მხოლოდ ბიბლიოფილი და კოლექციონერი არაა. მისი წიგნსაცავის კატალოგი ქართული ბიბლიოთეკოლოგიისა და ბიბლიოგრაფიის შენაძენად გვევლინება (როგორც ამას ნ. ლორთქიფანიძე, ნ. სიხარულიძე და სხვანიც აღიარებენ). ქ. კეკელიძის შეფასებით თეიმურაზის კატალოგი „საყურადღებოა“ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის შესასწავლად¹³.

ჩვენამდე მოღწეულია დავით მესხიშვილის, თელავის სემინარიის რექტორის (1745—1824), ბიბლიოთეკის კატალოგი. კატალოგში სულ აღრიცხულია 271 სახელწოდების წიგნი. კატალოგში, როგორც წესი, წიგნები ქართულადაა დასახელებული, ხოლო არაქართველი — რუსი და ბერძენი ავტორების წიგნთა სახელწოდებები თარგმნილია, ამ წიგნთა ქრონოლოგიური ჩარჩოა XVII საუკუნიდან XIX ს-მდე, 1810 წლის ჩათვლით.

დავით მესხიშვილის კატალოგი დაცულია ლენინგრადში, მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტში, ხელნაწერში დავით მესხიშვილი წერს: „ესენი აღწერე... რაც მახსოვან, რომელიმე ამათ წერილთაგანი მეც მაქვს და რომელნი სახლსა ჩემსა იპოვებოდა და წარტაცებულ იქმნა წელსა 1795 წ. სექტემბრის 12 სამშაბათს, დროსა აღა-მაჰმად-ხან ასტრაბადელის შემოსვლისას... მე რომელი ვიცოდი დავწერე ქართულ ენაზედ, რომელი ვისგან არის ნათარგმნი და ვის

¹³ იხ. ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1960, გვ. 20.

დროს, რომელიც მახსოვს და წელსა ქრისტეს აქეთ 1810 წელს სექტემბერს“. ხელს აწერს: „კეთილშობილი დავით რექტორა“¹⁴.

დავით მესხიშვილის კატალოგი ყველაზე სრული ნუსხაა, რომელიც კი ჩვენამდეა მოღწეული; როგორც ჩანს, დ. მესხიშვილის კატალოგს იცნობდა თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელსაც, ბუნებრივია, შეეძლო ესარგებლა საკუთარი წიგნსაცავის კატალოგის შედგენისას.

გადარჩენილი ქართული კატალოგებიდან ჩანს, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართველი საზოგადოების მოწინავე წრეები, სანკტ-პეტერბურღს თუ სხვაგან, ცდილობდნენ აქტიურად ჩაებათ და გაეთვითცნობიერებინათ თავიანთი თანამემამულენი დასავლეთ ევროპისა და რუსეთის იმდროინდელ მოწინავე გონებრივ მოძრაობაში. თეიმურაზ ბაგრატიონის, დავით მესხიშვილის, ალ. ჭავჭავაძის, პლ. იოსელიანისა და სხვათა ბიბლიოთეკების კატალოგები აქ აღნიშნულს ნათლად ადასტურებენ.

XIX საუკუნის 20—40-იან წლებში თბილისში დიდ ინტერესს იჩენდნენ ევროპული კულტურის, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკისადმი. ჩვენ აქ ერთ საგულისხმო ფაქტზე შევიჩერდებით. მაგალითად, 1846 წ. 12 იანვრის „კავკაზი“ „ქალაქის ამბებში“ მკითხველებს აუწყებდა, რომ თბილისში კარლ პელტიემ გახსნა ფრანგული წიგნების ბიბლიოთეკა და ნოტების, გრაფიურების, გეოგრაფიული რუკებისა და სხვა საჭირო ქალაღდების მაღაზია. ბიბლიოთეკაში იპოვებოდა საზღვარგარეთული ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების. საუკეთესო ნაწარმოებები¹⁵. პელტიე, მართლაც, ევროპიდან სისტემატურად ღებულობდა უცხოურ ლიტერატურას.

1842 წ. ნიკოლოზ ბარათაშვილის მონაწილეობით და დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით ახალ დიდ წამოწყებას ჩაეყარა საძირკველი: თბილისში დაარსდა საბიბლიოთეკო ამხანაგობა: მათ მოწინავე თანამებრძოლთა მონაწილეობით შეიმუშავეს ქართულ და რუსულ ენაზე წესდება „კერძო ბიბლიოთეკისა“, რომელიც 18 მუხლისაგან შედგება¹⁶. ბიბლიოთეკა დიმიტრი ყიფიანის ბინაში მოთავსდა, სადაც 1843 წლის იანვრიდან მუშაობას შეუდგა, იგი უმთავრესად დაკომპლექტდა შექენილი და შეწირული წიგნებით. მაგ., მარი ბროსემ შეწირა 300 მან-ის წიგნები.

მდიდარი ბიბლიოთეკა მოეპოვებოდათ სოლომონ დოდაშვილს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ალექსანდრე ორბელიანს, დიმიტრი ყიფიანს

¹⁴ იხ. გაზ., „ლიტერატურული საქართველო“, 1940, № 2.

¹⁵ იხ. გაზ. კავკაზი, 1846, № 2.

¹⁶ იხ. „მნათობი“, 1955, № 6.

და 1832 წლის შეთქმულების სხვა მონაწილეებს. მაგალითად, სოლომონ დოდაშვილი წერს: „ჩემი განზრახვა, რომ შემეგროვებინა ფული, შემეძინა ბიბლიოთეკა და სტამბა, გამოეუცხადე ბიბლიოთეკარ კოტოვას და გიმნაზიის დირექტორს გრუბერს“, დოდაშვილი დიდი მწიგნობარი და მეცნიერი იყო, აღიარებული ერთ-ერთი ბელადი 1832 წ. შეთქმულებისა.

ყურადღებას იპყრობს პლ. იოსელიანის საოჯახო მამაპაპეული ქართული ბიბლიოთეკის კატალოგი, რომლის შესახებ იგი ჯერ კიდევ 1838 წ. 4 აგვისტოს პეტერბურგს ბროსეს სწერდა: „მინდა მოცლისა ჟამსა საქმითგან, უქმნა ყოვლადსა აწ ჩემსა ქართულისა ბიბლიოთეკასა რეესტრი, ანუ სია საცნობელად თქვენდა. ბიბლიოთეკა ჩემი აწ შეიცავს უმეტეს 140 წიგნსა“. პლატონი იმავე 1838 წ. 10 ნოემბერს ბროსეს თბილისიდან სწერდა: „ჩემისა ბიბლიოთეკისა კატალოგს მალე მოგართმევ“¹⁷.

XIX ს. 20-30-იან წლებში შესანიშნავ, ერთ-ერთ პირველ ბიბლიოგრაფ-კოლექციონერად გვევლინება გ. ავალიშვილი, რომელმაც იმოგზაურა პალესტინაში, გაეცნო ქართველთა ჯერის მონასტრის ბიბლიოთეკას — ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნებს და აღწერა თავის „მოგზაურობაში“. „მონასტერს აქვს, — წერს ავტორი. — ორი მოდიო ოთახი, სავსე ქართული საეკლესიო წიგნებითა, ძუელადვე ეტრატითა და ქალაღთა ზედა ნაწერითა, არიან კვალად მათ შორის დაბეჭდილნიცა მოსკოვსა და თბილისსა... მათ შორის იპოვნებოდნენ საერონიცა წიგნი ქართველნი და სხვათა ენათანი, არამედ სიმრავლისა ძლით მათისა... გაცნობას ვერ შემძლებელმა... გამოვარჩიე ჩემთვის შემდგომნი წიგნი დაბეჭდილ-ნაწერნი“. მას წამოუღია თბილისსა და მოსკოვში დაბეჭდილი ოთხი წიგნი. გ. ავალიშვილს 1840 წ. შეუდგენია პეტერბურგში დაცულ ქართულ ხელნაწერთა სია მოკლე აღწერილობით, რომელიც, ე. მეტრეველის აზრით, „ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობის პირველ ნიმუშს წარმოადგენს“¹⁸.

ცნობილია, რომ ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერებით მრავალი მეცნიერ-მოგზაური დაინტერესდა. XVIII ს-ში აქ ქართულ ხელნაწერთა საცავი ნახა ტიმოთე გაბაშვილმა, რომელმაც მოიხსენია რამდენიმე წიგნი. 1813 წელს სოლომონ მეორის ბერმა ილარიონმა შეადგინა ხელნაწერთა ნუსხა (გამოსცა ბროსემ 1867 წ.). 1849 წ.

17 იხ. ბათუმის პედინსტიტუტის შრომები, 1941, წიგნი 1, გვ. 156.

18 ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი — ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი. — საიუბილეო კრებული კ. კეკელიძე, თბ., 1959, გვ. 256. აქვე ავტორს მოაქვს ეს საყურადღებო აღწერილობა (დასახ. კრებული, გვ. 256—258).

ათონზე იმოგზაურა და აღწერა პლ. იოსელიანმა, 1893 წ. — აღ. ცაგარელმა, 1898 წ. — ნ. მარმა, მოგვიანებით, 1902 წ., აღ. ხახანაშვილმა.

1931—1932 წწ. ათონზე იმუშავა და შეადგინა სრული კატალოგი უცხოელმა ქართველოლოგმა რობერტ ბლეიკმა.

ალექსანდრე ალექსიძე თავისი მოგზაურობის აღწერაში — „ათონი — შორეული და ახლობელი“¹⁹ თავის შთაბეჭდილებებთან ერთად გადმოგვცემს ათონის ივერიის მონასტრის დღევანდელ მდგომარეობას. ა. ალექსიძე ეხება იმ სიყვარულით აღსავსე ინტერესს, რომელსაც ახლანდელი ბერძენი ინტელიგენცია (განსხვავებით ადრინდელთაგან) იჩენს ათონის ივერიის ქართველთა მონასტრისა და მასში მოღვაწე ქართველი ბერების მიერ შექმნილი დიდი სამეცნიერო ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მემკვიდრეობის მიმართ.

ა. ალექსიძე აგვიწერს „ივერონის“ ბიბლიოთეკას, რომელშიაც მართალია მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც დღესაც დაცული ყოფილა ქართული წიგნები, რაც ა. ცაგარელმა გასული საუკუნის 90-იან წლებში ნახა და აღწერა. „ივერონის“ ბიბლიოთეკა მდიდარია უძვირფასეს ხელნაწერ წიგნთა რელიკვიებით — კერძოდ ბერძნულ-რომაული ხელნაწერებით, ასევე დაცულია ქართული ხელნაწერები. მათთვის ცალკე კარადაა გამოყოფილი და ბლეიკის კატალოგით სულ 86 ხელნაწერი ინახება. ამ ხელნაწერთა შორის პალიმფსესტებიც ყოფილა დაცული. იქაა ქართულის გარდა სხვა ბიზანტიურ-ევროპული უმნიშვნელოვანესი ძეგლები²⁰.

ათონის ივერიის დიდ ტაძარშივე, რკინისკარებიან მინაშენში, მოთავსებულია „ივერიის“ საგანძური — ქართველ მეფე-მთავართა დიდძალი შეწირულობანი, თორნიც ერისთავის იარაღ-საქურველი და ხელნაწერთა კოლექციები.

სამეფო სასახლეებში, უგაველიანეს საყდრებსა და მონასტრებში მოთავსებული ხელნაწერი წიგნების საკუთარ ბიბლიოთეკებს უუქველად ექნებოდათ კატალოგები. მაგ., ეკვი არაა საკუთარი კატალოგი ექნებოდა მწიგნობარი მეფის დავით აღმაშენებლის, მგოსანი მეფეების — არჩილ II-ს, ვახტანგ VI-ს და თეიმურაზ II-ს, მეფე ერეკლეს და მისი ძის გიორგის XII-ის სასახლეების, აგრეთვე დიდი მწიგნობრის ანტონ კათალიკოსის, იოანე და დავით ბატონიშვილების ბიბლიოთეკებს...

საზღვარგარეთული ქართული სამონასტრო კერების, იერუსალიმის საპატრიარქო ბიბლიოთეკისა და ათონის ივერიის მონასტრებში

¹⁹ ტისკარი, 1980, № 6.

²⁰ იქვე.

დაცულ ძველ ქართულ ხელნაწერთა უძვირფასესი კოლექციების მთლიანობაში გულდასმით შესწავლა დიდხანს ქართველ მეცნიერთა ოცნებად რჩებოდა. მართალია, აღნიშნულ ცენტრებში ამ მიზნით დრო და დრო ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები და ინდივიდუალური მივლინებები, ქვეყნდებოდა ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ხელნაწერის აღწერილობა — კატალოგები, ცალკეულ ძეგლთა ტექსტები, მაგრამ მათი ფოტოპირებისა და მიკროფილმების უქონლობა ძალზე აბრკოლებდა ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების მეცნიერულ სრულყოფით შესწავლასა და პუბლიკაციას.

უძველეს ქართულ წიგნებს თან ერთვოდა „ზანდუკი“ ანუ სარჩევი, რომლითაც მკითხველს შეეძლო გაეგო „ძველი თვითოეულისა წიგნისა თუ რა სწერია“... და „ჰყოს აღრიცხულად და განმარტებულად თხზულების შინაარსი“²¹.

1801 წლიდან 1880-იან წლებამდის ქართულ წიგნს საქართველოში საკუთარი კერა არსებითად არ ჰქონდა. 1879 წ. დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის ღვაწლით საფუძველი ჩაეყარა ქართული წიგნების კოლექციის შექმნას. ის სავალდებულო ცალგებს არ იღებდა, ოღონდ იძენდა მხოლოდ ისეთებს, რაც მის მესვეურთ დაცვისა და შენახვის ღირსად მიაჩნდათ თავიანთი შეხედულებისამებრ, გარდა ამისა ღებულობდა შემოწირულებათა გზით.

როგორც ორიგინალური, ასევე ნათარგმნი ქართული წიგნის სავალდებულო ცალგებს 1810 წლიდან იღებდა სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ 1930-იან წლებში საქართველოს ბიბლიოთეკებში 4643 ბიბლიოგრაფიული ერთეული ანუ წიგნი იყო, ხოლო ლენინგრადის მხოლოდ სამ (სალტიკოვ-შჩედრინისა, მეცნიერებათა აკადემიისა და აღმოსავლეთის — აზიის ხალხთა ისტორიის) ბიბლიოთეკაში 1200-მდე ერთეულის აღწერილობა აღმოჩნდა²².

გრიგოლ ზურაბის ძე წერეთლის სათავადო-საოჯახო საჩხერის ბიბლიოთეკა, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის საოჯახო ზუგდიდისა და გორდის წიგნსაცავთან ერთად, მთელ დასავლეთ საქართველოში გამოირჩეოდა ძველი ხელნაწერებისა და წიგნების ერთობ მდიდარი და ფასდაუდებელი კოლექციებით. ამ ორი თვალსაჩინო წიგნსაცავის მფლობელნი დავით დადიანი და გრიგოლ წერეთელი

²¹ იხ. ივ. ჭავჭავაძის შვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 1916, გვ. 30.

²² ქართული წიგნი, I, 1941, გვ. XXXVII—XXXVIII.

ახლო ნათესაენი იყენენ და მათი ახლო მეგობრული დამოკიდებულება ზელნაწერ და ნაბეკდ წიგნთა გაცვლასა და ჩუქებაშიაც ვლინდებოდა.

საჩხერის მდიდარი საოჯახო წიგნსაცავის მფლობელის ცნობილ ბიბლიოფილ გრიგოლ წერეთლის ხელნაწერი და ნაბეკდი წიგნებით დაკომპლექტების საქმეში სათანადო ღვაწლი მიუძღოდა გრიგოლის შამას, იმერეთის სამეფოს სახლთუხუცეს ზურაბ წერეთელს. იგი უდიდესი გავლენით სარგებლობდა სამეფოში. იყო წიგნისა და სტამბის მოყვარული, რომელმაც საკუთარი საწერეთლო სტამბა დააარსა საჩხერეში, სადაც არა ერთი წიგნი დაიბეჭდა (იხ. „ქართული წიგნი“ 1941, გვ. 88).

მწიგნობრული კულტურა — სიყვარული წიგნისადმი, ამრიგად, ტრადიციულად მოსდგამდა ზურაბ წერეთლის ოჯახს, მის ასულ ქეთევანს და ვაჟს გრიგოლს. ქეთევანი მეფე ერეკლე მეორის რძალი იყო. ქეთევანის დაკვეთით ვალიგრაფ იოანე იალღუძისძეს 1808 წ. სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ გადაუწერა (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, 1953, ტ. 1, გვ. 210). ქეთევანს თავისი ძმის გრიგოლისათვის 1813 წელს უჩუქნია „თურქული სახარება“, რომელიც ქართულიდან თურქულად 1739 წელს უთარგმნიათ. იგი თავდაპირველად იოანე ბაგრატიონის საკუთრება ყოფილა.

გრიგოლ წერეთლის დაკვეთითა და ხარჯებით ითარგმნა და გადაიწერა მრავალი წიგნი; მაგ., 1807 წ. გადააწერინა „რელაამენტი სინოდისა“, 1813 წ. — „უცლად საზოგადო ისტორია“. ხოლო უთარგმნინებია ამავე პერიოდში „მგზავრობანი პითაღორისანი“, „სამხედრო ტიპიკონი“. 1827 წ. „სახარება“ დაუბეჭდია საჩხერის სტამბაში გრიგოლს თავისი ფულით. ხოლო ბევრად ადრე, 1812 წ., როსტომ ნიჟარაძის მეუღლისაგან შეუძენია „ქართლის ცხოვრების ნუსხა“, ალექსანდრე თარხან მოურავისაგან 1833 წელს საჩუქრად მიუღია „შემოკლებული ისტორია კიროსისათვის“ (დაკულია საქ. სახ. ლიტ. მუზეუმში № 23).

გრ. წერეთელი თვითონვე ეწეოდა მისთვის საჭირო წიგნთა გადაწერას, მაგ., 1840 წ. თავისთვის პირადად გადაუწერია მონტესკიეს „სჯულთათვის“ (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა ტ. 11, 362), 1833 წ. — „მითოლოგია“, რომლის ანდერძში დასძენს: „1839 წლის თებერვალსა და მარტში გადმოვიწერე ტფილისში „მიფოლოგია ესე, — კნიაჟი გრიგოლ წერეთელი“ (იქვე). გრიგოლ წერეთლის საოჯახო ბიბლიოთეკას შემორჩენია სოლომონ ლეონიძის „ალექსანდრე I შესხმა“. მირთმეული იმპერატორის დღეობაზე, როცა სოლომონ ლეონიძე იმერეთის სამეფოდან რუსეთში ელჩად იყო წარგზავნილი (ხელნაწ. აღწ., ტ. VI, :გვ. 375).

თურქთაგან მესხეთის დაპყრობის შედეგად ჩაკედა ქართული სამწერლობო მესხური უმძლავრესი კერები. რაც გადარჩა, მათი ნაწილი ქართლში გადმოვიდა, ნაწილი ათონის მთაე, ივერთა მონასტერში და სხვა საზღვარგარეთულ კერებში. მათ თან მიჰქონდათ თავიანთი წიგნთსაცავებიდან წიგნები, რომელნიც კი გადაურჩნენ განადგურებას²³.

ძნელბედობის ამ რთულ პერიოდში ამასთანავე თავს იჩენს ქართული სახელმწიფოებრიობისათვის სრულიად უჩვეულო მოვლენები. XVII—XVIII საუკუნეებიდან რუსეთში წარმოიქმნა ქართველთა კოლონიები. მტერთან ბრძოლებში დამარცხებული ქართველი მეფენი და უფლისწულნი. რომლებმაც არ მიიღეს მამამდიანობა, არჩილ II, ვახტანგ VI, ბატონიშვილები ბაქარი, ვახუშტი, გიორგი, მწერალი საბა-სულხან ორბელიანი და ბევრი გამოჩენილი მწიგნობარ-მეცნიერი, თავადი და აზნაური, საქართველოდან ქრისტიან რუსეთში გადასახლდნენ. მათ თან ასევე წაიღეს დიდი რაოდენობის ქართული ხელნაწერი წიგნები. ბევრი მათგანი სამუდამოდ გაქრა და დაიკარგა, მაგრამ ნაწილი, როგორცაც, მინც გადაურჩა დაღუპვას²⁴.

1. გვიანდომალურ საქართველოში ქართულ წიგნს დიდი საშიშროება დაეშჳრა. ღრმავდება ბრძოლა და თავდადება პროგრული განძის გადარჩენა-დაცვისათვის

რასაკვირველია, მდიდარი პირადი და საოჯახო ბიბლიოთეკები და სავარაუდოა, სათანადო კატალოგები უნდა ჰქონოდათ კათალიკოსებს, მეფეებსა და დედოფლებს, ბატონიშვილებსა და მთავრებს. მაგ., ანტონ კათალიკოსის ბიბლიოთეკაში 700 წიგნი ყოფილა დაცული. დიდო ბიბლიოთეკა ჰქონდა დავით აღმაშენებელს, დედოფალ მარიაამს (მამამდიანი მეფის როსტომის მეუღლეს), ანა დედოფალს (იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის მეუღლეს), ვახტანგ VI და ბევრ სხვებს. ეკვი არაა, ასევე დიდი ბიბლიოთეკების პატრონებად გვევლინებიან უკანათლებულესი ბატონიშვილები ვახუშტი, იოანე, თეიმურაზი და სხვ. მწიგნობარი მთავრები და თავადები, როგორც იყვნენ სამცხის მთავარი ათაბაგები (რომელთა გამაჰმადიანების შემდეგ მათი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი დომენტი III კათალიკოსმა და მწიგნობარმა

23 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 1962, გვ. 52.

24 მწერალი გიორგი წერეთელი გასული საუკუნის 70-იან წლებში წერდა: „მუდამ ელეტუა-ხოცვას და სარწმუნოებისათვის დაუწუნარებელ ბრძოლას ბევრი გონების საუნჯე შეუშუსრავს, მრავალი წიგნი ტეცხლსა და წყალს მისცემია“ (გ. წერეთელი, დავითიანი, 1879. გვ. 1).

მღვდლებმა შეისყიდეს), დადიანები (რომელთა უმდიდრესი ბიბლიოთეკა 1880-იან წლებში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უსასყიდლოდ გადაეცა) და არა ერთი მწიგნობარი უგაველენიანესი დიდი თავადი, როგორც იყვნენ XV ს. მოღვაწე ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, ერისთავები, გურიელები, წერეთლები და სხვანი, რომელთა საკუთარი წიგნების შესახებ ბიბლიოთეკებსა და წიგნთა კატალოგებზე ცნობებს მეტ-ნაკლებად მაინც მოუღწევია.

გვიანფორდალურ საქეფო-ს.მთავრობად დანაწილებულ საქართველოში შექმნილი უჩვეულოდ რთული საშინაო და საგარეო პირობები დიდ საფრთხეს უქმნიდა თითქმის დასაღუპად განწირულ ქართულ წიგნს. მათ გადასარჩენად გახშირდა ხელნაწერთა იძულებითი დაძვრა საიმედო საცაგებიდან და საშიში მოგზაურობა როგორც საქართველოს შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

მტრის მოძალების შედეგად ინგროდა ძველი სამწერლო და საბლოცელო კერები. ასეთ პირობებში ხელნაწერ წიგნთა გადარჩენისათვის მათი გადაადგილება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მაგ., იმერეთში თურქეთის სულთნისა და ირანის შაჰის დევნა-შევიწროების გამო არჩილ II-მ ტახტი ვერ შეინარჩუნა, სახელოვანი მეფე — პოეტური იძულებული გახდა თავისი ოჯახითა და ამალით XVII ს. 80-იან წლებში რუსეთში გადახვეწილიყო. იგი დასახლდა მოსკოვის გარეუბანში, სოფ. ვესესიატსკოეში ოჯახით. არჩილის უფროსი ვაჟი ალექსანდრე ბატონიშვილი პეტრე იმპერატორის მეგობარი და უგაველენიანესი სამხედრო პირი გახდა.

რუსეთში გადახვეწილ არჩილსა და მის ოჯახს თან წაუღიათ „ქართლის ცხოვრება“, რომელიც მოგვიანებით გიორგი მაჩაბელს გადაუწერია ქ. მოსკოვში 1736 წ. — „ფრიად ცოდვილმან გიორგი მაჩაბელმა დავწერე წმინდა ესე ქართლის ცხოვრება. დიდი ძველი იყო, მეფის არჩილის ნაქონი“... მაჩაბლის მიერ გადმოწერილი ქართლის ცხოვრება 1774 წლამდე ქ. მოსკოვში დარჩენილა: ამავე წელს ეს ხელნაწერი საქართველოში გამოუგზავნიათ. იგი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლეს სასახლეში მოხვედრილა, ალბათ ლეონ ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის ელჩობის ზრუნვით; როგორც ირკვევა, ისინი ამ ძეგლს დიდ შენაძენადაც მიიჩნევდნენ²⁵. წიგნის საფარ ფურცელს ერეკლე მეფის ძის ასეთი ბრძანება-მინაწერი ახლავს: „ბატონიშვილი

22 იხ. ა. იოსელიანი, თვისობრივად ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში. ლეონ ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის ელჩობა რუსეთში 1772—1774 წლებში. — „საისტორიო მოამბე“, ტ. 51—52.

აღქსანდრე გიბრძანებთ: — თქვენ კანდელაკო გოგია, — ვინც მოიპაროს ეს „ქართლის ცხოვრება“ გაუწყრეს მას ღმერთი“²⁶.

XIX ს. დამდეგს, საქართველოს სამეფოს მოსპობისა და ბატონაშვილების პეტერბურგში გადასახლების შედეგად, ეს ხელნაწერი იოანე ვიორგის ძე ბატონაშვილს თან წაუღია რუსეთში. მისი გარდაცვალების შემდეგ „ქართლის ცხოვრება“ პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში მოხვედრილა, სადაც საუკუნე დაჰყო. იგი 1923 წელს, სხვა ეროვნულ განძთან ერთად, საბჭოთა რუსეთიდან საბჭოთა საქართველოს დაუბრუნდა. დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში.

რამდენადმე ანალოგიურია ბედი და თავგადასავალი ე. წ. რუმინანცევისეული „ქართლის ცხოვრებისა“, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლად გვევლინება. ხელნაწერი, მარი ბროსეს ცნობით, ვილაც გერმანელს პეტერბურგში ჩაუტანია. იგი თეიმურაზ ბატონაშვილს შეუძენია — ორას მანეთად უყიღია. თეიმურაზს ამ ხელნაწერის ნაკლები ზოგი გვერდი — 16 ფურცელი შეუესია, მდიდრულად მოუკაზმავს და 1821 წელს რუსეთის იმპერიის პირველი მინისტრის — სიძველეთ მოყვარულ გრაფ ნ. რუმინანცევისათვის საჩუქრად უბოძებია.

„ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხას, რომელიც ვახტანგ VI ხელიდანაა გამოსული და გადაწერილი, თან ახლავს ჩანართები, სუფთა დაუწერელი ფურცლები ახალ ჩამატებათათვის; „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნაწილი თავიდან ბოლომდე დაყოფილ-დასათაურებელია ცალ-ცალკე. მეფეთა ზეობის მიხედვით, როგორც ამას ვახტანგის „სწავლულ კაცთა კომისია“ აკეთებდა. იგი ასევე შემცველია ახალი „ქართლის ცხოვრებისა“, ანუ XIV—XVII სს. ისტორიისა, რომელიც ვახტანგ მეფის „სწავლულ კაცთა“ კომისიამ, ბერი ეგნატაშვილის მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით, ახლად მოძიებულ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით შეადგინა.

ვახტანგ VI ჯერ კიდევ უფლისწულობაში (მაშასადამე, 1703 წლამდე) მიუცია მითითება „სწავლულ კაცთა“ კომისიისათვის, რომ, პირველ ყოვლისა, საჭირო ცვლილებანი შეეტანათ „ქართლის ცხოვრების“ ძველ. XIV ს. წინა და მომდევნო ეპოქების ისტორიის მეცნიერულად გასამართავად. მაგალითად, ვახტანგ VI-მ მეცნიერ კაცთა კომისიას დაავალა: აღედგინათ გაუგებრობით დავიწყებას მიცემული პეტრე იბერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი მოვლენები; კომისიას ყურადღელია მეფის ბრძანება და „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. რუმინანცევისეულ ნუსხაში, გარდა იმისა, რომ პეტრე იბერის ცხოვ-

26 იხ. „ქართლის ცხოვრების“ 1736 წლის გ. მაჩაბლისეული ნუსხა, — ხელნაწერთა ინსტიტუტისა.

რების აღწერა სათანადოდ წარმოუდგენიათ, საჭიროდ მიუჩნევიან ასეთი ანდერძ-მინაწერის დართვა: „წმინდარ პეტრე, მეოხ იყავ წინაშე ღმრთის ბატონიშვილის ვახტანგს მეუღლით, ძით და ასულითურთ, რომელმან მოპოვებულ ყო ცხოვრება ესე შენი და მცირედი აღაწერინა წიგნსა ამას შინა“. როგორც ჩანს, ვახტანგ VI თვითონ მოუპოვებია პეტრე იბერიელის „ვრცელი ცხოვრება“, ხოლო კომისიას აქედან „მცირედი აღაწერინა“ და შეატანინა „ქართლის ცხოვრებაში“. ამრიგად, „ქართლის ცხოვრებამ“ ვახტანგ VI მითითებით შემოგვიინახა შესანიშნავი ცნობები გენიალური მოაზროვნის პეტრე იბერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (ჩანართებითა და ვარიანტებით). აღადგინა და დაიცვა ტრადიცია მისი ნათელი ხსოვნისა.



საოჯახო-საგვარეულო წიგნსაცავებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს XV საუკუნის უწარჩინებულესი სახელმწიფო მოღვაწისა და თავადის, დიდი ექიმისა და ბრძენმთავარ მკურნალ ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის და მის შთამომავალთა საოჯახო ბიბლიოთეკა. სამკურნალო წიგნის კარაბადინის ხელნაწერის 177 რეჰტო გვერდზე ასომთავრულად მიწერილია: „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა ბრძენმთავარი ფანასკერტელი ზაზა“.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია მკურნალ ზაზას შთამომავლის „ვეფხისტყაოსანი“ (იხ. Q-1032). იგი გადაწერილია XVII ს. ცნობილი მწერლისა და კალიგრაფის იოსებ ტფილელის (სააკაძის) მიერ, რომელსაც ვეფხისტყაოსანში ჩაუმატებია დამკვეთის — სარდალ-სახლთუხუცეს საბარათიანოს სპასპეტ ზაზა პაპუას ძე ფანასკერტელი-ციციშვილის ხოტბის სტრიქონები:

„როს ცხენზე ნახეთ თქვენც იტყუით ერთ კაცად ესეც კმარაო“...

სახელი ზაზა ციციშვილთა საგვარეულო სახელი გახდა. „შაჰნავაზიანში“ ავტორი ეხება ზაზას და ხოტბას ასხამს მას. ზაზა პაპუას ძე ციციშვილი ბრძენმთავარ დიდი ზაზას (XV ს.) პირდაპირ შთამომავალ „ბაბათაშვილად“ იწოდება.

XVII ს. მცხოვრებ ზაზას საგვარეულო წიგნები, სამეფო კარზე მომხდარი მკვლევლობის გამო (1671 წ.), ციციშვილთა სახლიდან ბაგრატიონების გამგებლობაში გადადის. კონფისკაციის შედეგად ციციშვილთა საოჯახო წიგნებს — ვეფხისტყაოსანსა და სამკურნალო კარაბადინს (და ვინ იცის კიდევ სხვა რამდენ წიგნს) ბაგრატიონთა სამეფო სასახლე დაპატრონებია. ისტორიული წყაროებით ირკვევა,

რომ იოსებ ტვილელის ხელით გადაწერილი ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი (G-1032) პირველად ხელში ჩაივარდნია ვახტანგ მეხუთეს (შაჰ-ნავაზს) და მისსავე ვაჟს ლევან ბატონიშვილს (მამინ მირზად წოდებულს); და აქედან, მემკვიდრეობით ორთავე წიგნი (ვეფხისტყაოსანი და სამკურნალო წიგნიც) ვახტანგ VI ლევანის ძის საკუთრება გამხდარა.

რუსეთიდან მხოლოდ ერთი წიგნი — ვეფხისტყაოსანი დაბრუნდა მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთის სამეფოს გაერთიანება 1762 წ. განხორციელდა ერეკლე მეფის თაოსნობით: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის დაბრუნება რუსეთიდან მოხდა 1770-იან წლებში ასევე ლეონ ბატონიშვილისა და ანტონ კათალიკოსის ელჩობის დროს. ამიერიდან იგი ბაგრატიონთა საკუთრება გამხდარა²⁷.

ბოლოს ზაზა ციციშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ ერეკლე მეფის ასულ თეკლა ბატონიშვილის სამზითვო წიგნი აღმოჩნდა, რომელიც თეკლას ვაჟს, მწერალ ალექსანდრე ორბელიანს (1802—1869), 1840-იან წლებში მეფისნაცვალ მ. ვორონცოვისათვის მიუძღვნია.

რაც შეეხება XV საუკუნეში დაწერილ დიდ ზაზა ციციშვილ-ფანასკერტელისეულ სამკურნალო წიგნ-კარაბადინს, იგი XVIII საუკუნეში მეფე ვახტანგ VI-ის (1675—1737) პირად საკუთრებაში გადასულა. რუსეთში დიდი ამალით გადახვეწილ მეფეს სამკურნალო წიგნიც თან წაუღია. ეს წიგნი ვახტანგ VI შემდეგ მისი უფროსი ვაჟის ბაქარ ვახტანგის ძეს, ალექსანდრე ბაქარის ძეს და უკანასკნელად გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონის მემკვიდრეობით (1762—1852) საკუთრებაში რჩებოდა და თაობიდან თაობაში გადადიოდა.

გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონი, ირკვევა, პროგრესული პიროვნება ყოფილა. მას სამემკვიდრეო სოფ. ლისკოვოში, სადაც ის ცხოვრობდა, ბატონყმობის ძნელ პერიოდში, გაუხსნია საავადმყოფო და აფთიაქი მოსახლეობის სამკურნალოდ.

„სამკურნალო წიგნი კარაბადინი“, როგორც ჩანს, გიორგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების შემდეგ, სოფ. ლისკოვოდან ქ. გორკის სახელმწიფო სამხარეო არქივში მოხვედრილა, სადაც 1945 წელს აღმოაჩინა მკვლევარმა თ. ჭყონიამ და წიგნი საქართველოს დაუბრუნდა. ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის კარაბადინის 1-ლი ნაწილი 1950 წელს

²⁷ თუ რა პირობებში განხორციელდა ციციშვილთა საოჯახო წიგნთსაცემის კონფისკაცია და რა ისტორიულ მოვლენებთან იყო იგი დაკავშირებული, ეს სპეციალურადაა განხილული მწერალ-აკადემიკოს გ. ლეონიძის ნაშრომში (იხ. მისი — „გამოკვლევები და წერილები“ თბ., 1958, ვვ. 187—280).

ჯამოსცა მ. სააკაშვილმა, ხოლო 1959 წ. — მ. შენგელიამ (წიგნი გაერთიანებული სახით 1978 წელს გამოიცა მ. შენგელიას რედაქციით).

ვახტანგ VI-მ და მისმა თანმხლებმა „ჩრეულ კაცთა“ ამაღამ 1723 წელს ქართლის სამეფოდან თან წაიღეს თავიანთ პირად საოჯახო და სამეფო წიგნთსაცავთაგან ყველაზე უძვირფასესი წიგნები, ქვეყნის განძეულობასა და უძვირფასეს რელიქვიებთან ერთად ყოველივე, რისი წაღებაც კი შეეძლოთ; მაგრამ ეროვნული რელიქვიებისა და ზოგიერთ წიგნის რუსეთში მათ მიერ გატანა ამით არ დამთავრებულა; სამწუხაროდ, სხვადასხვა დროს გატანა შემდეგშიაც გრძელდებოდა.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდებით: 1723 წელს ქართლის სამეფოს უდიდესი განსაცდელის ეამს ფეოდალურ საქართველოსათვის წმინდათაწმინდა ნინოს ჭვარი ვაზისა მცხეთის სიონიდან დასაცავად არაგვის ერისთავის ციხე-სიმაგრის ანანურის ტაძარში გადაუტანიათ. აქედან მოგვიანებით ეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილს ნინოს ჭვარი ვაზისა, ეს დიდი, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული რელიქვია, მოხერხებით გაუტაცნია და მოსკოვს ბაქარ ბაგრატიონისათვის გადაუცია: ბევრს ეცადნენ ქართლში გამეფებული კახეთის ბაგრატიონები თეიმურაზ II, ერეკლე II და გიორგი XII ნინოს ჭვარის რუსეთიდან უკანვე დაბრუნებას — საიმპერატორო კარის ჩარევადანმარებითაც კი, მაგრამ ამ ცდებს შედეგი არ მოყოლია.

ბაქარის შვილიშვილს გიორგი ალექსანდრეს ძეს აღნიშნული ჭვარი 1801 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-სათვის უბოძებია, რომელსაც საჭიროდ მიუჩნევია დაებრუნებინა ჭვარი საქართველოში, ... ოღონდ რუსული მმართველობის გახსნისა და „ქვეყნის რუსეთთან შეერთების ზეიმის დღეობის სამახსოვროდ“. მართლაც, 1802 წლის 9 აპრილს საქართველოს უმაღლესი მმართველობის უფროსად ახლად დანიშნულ გენერალ კნორინგს, როცა თბილისში შემოდოდა სამხედრო და სამოქალაქო თანმხლები რუს-მოხელეებით, წინ უძღოდა ქრისტიანული საქართველოს წმინდათა წმიდა ნინოს ჭვარი ვაზისა, — უძვირფასესი რელიქვია საქართველოს სამეფოსი.

თვითმხილველ-თანადამხდურ მემატიანეს ცნობით. თბილისში „მოვიდნენ კნორინლი და კოვალენსკი აპრილს 9. წარკითხვა მანიფესტისა და დაფიცება ტფილისის საეპისკოპოსოსა აღსრულდა აპრილის 12, ეკლესიასა შინა სიონისასა, ნინას ჭვარსა ზედა (ხაზი ჩვენია — ა. ი.), რომელთა თანა ვიყავ მეცა“, — წერს იოანე ქართველიშვილი (იხ. ა. იოსელიანი, იოანე ქართველიშვილის მემუარები, თბ., 1952, გვ. 91).

XVIII საუკუნის 40-იანი წლებიდან შაჰის ირანის ტახტის მპყრობელები იძულებულნი გახდნენ ხელი აეღოთ და ბოლო მოეღოთ ქართლ-კახეთის ქართველ მეფეთა გამეფებისას მათი იძულებით გა-

მაჰმადიანების მავნე და უკუღმართ პრაქტიკაზე, რომელიც მოძალადეებმა XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან დაამკვიდრეს.

ირანის მმართველობამ, — პირადად ნადირ შაჰმა, — XVIII ს. 40-იან წლებში კახეთის ბაგრატიონთა დინასტიის მემკვიდრეები, — გამორჩეულნი გამჭირაობითა და პოლიტიკური დიდი აღლოთი, — თეიმურაზ-ერეკლე უფლებამოსილად გამოაცხადა ქართლ-კახეთის სამეფოს დაპატრონებოდნენ მაჰმადიანობის მიუღებლად. თეიმურაზ მეორემ მეფობის საცხებელი იცხო მცხეთაში და ქართლის სამეფო ტახტი დაიმკვიდრა, ეს მოვლენა 1744 წ. მოხდა, თეიმურაზ მეორის მეფედ კურთხევა დიდ ეროვნულ დღესასწაულად იქცა, რომელიც დიდი ოსტატობით აღწერა მემატთანემ; — პაპუნა ორბელიანმა და საპატიო ადგილი დაიკავა „წმიდა წიგნში“ — „ქართლის ცხოვრებაში“.



ამ გამარჯვებამდე ჩვენი ქვეყნის ძალით გამაჰმადიანებული ქართველი მეფენი და დიდებულნი ირანის ტახტის მეტნაკლებად გავლენას განიცდიდნენ, — იქაურ წესსა და რიგს, კულტურასა და ენას მისდევდნენ ზედმეტად, ყოველივე ეს უმეტეს წილად ბღალავდა და ზიანს აყენებდა ქართველობას — ქართულ კულტურას, ენასა და ხელოვნებას, მუსიკასა და მწიგნობრობას...

ქართველ მეფე-დიდებულთა და მწიგნობართა მნიშვნელოვანი ნაწილი არჩევდა რუსეთში გადახვეწით რწმენა დაეცვათ, მათ თან წაიღეს ქართული მწიგნობრული კულტურის უნიკალური ძეგლები; ქართული მწიგნობრულ-სამწერლობო ცენტრები ყიზილბაშთა და თურქთა ძალმომრეობით შემცირდა; ომებისა და ქურდულ-ყაჩაღური შემოსევების გაზიარების შედეგად ქართული წიგნების მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკარგა და განადგურდა. შეირყა ქართული ენა, იქამდე, რომ ქართული ენის ლექსიკონი — ანუ „სიტყვის კონაც“ კი დაკარგულა ამგვარ ორომტრიალში.

საბა სულხან ორბელიანი თავის ლექსიკონის „ანდერძნამაგში“, სხვათა შორის, ამის შესახებ შემდეგს გვაუწყებს: „ვინაიდან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ და ენა ქართული თავის ნებაზედ გავრყენათ“... ქართული ენის სიწმინდისა და მისი საუნჯის გადასარჩენად განსაკუთრებული ყურადღება გამოუჩინიათ ქვეყნის მესვეურთ; საბას სიტყვითვე — „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ (XI) მიბრძანა... და მეც მათის ბრძანებით ხელი მივყავ და რაოდენ ძალ მედვა; აღვწერე“ „სიტყვის კონაო“. იგი ამასთანავე გვამცნობს, რომ მას ყრმო-

ბასა და ქაბუჯობაშივე გაუწევია შრომა ამ დიდი წიგნის შედგენაზე. ღრმა მოხუცებულობამდე, რადგან ქართულ ენაზე ლექსიკონი აღარ იპოვებოდაო. ასეთად წარმოგვიდგება ძველი ქართული ენისა და მწიგნობრული კულტურის დიდი მონაპოვარი — საბა-სულხან ორბელიანის მეცნიერული ლექსიკოგრაფიული დიდი მემკვიდრეობა — „სიტყვის კონა“.

საბა სულხან ორბელიანის ლექსიკოლოგიური მემკვიდრეობის გაგრძელების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დავით აღმაშენებლის მესხიშვილმა რექტორმა. იგი იყო დიდი მწიგნობარი, მეცნიერი და პედაგოგი, აღმზრდელი იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონებისა, სახელმძღვანელოთა შემდგენი, ფილოსოფოსი და პოეტი.

დავით რექტორი იყო შესანიშნავი კალიგრაფი და მრავალი ხელნაწერის ვადაწერი. მანვე შეადგინა ქართველ მწერალთა თხზულებათა კატალოგი, რომელიც 270 ნაშრომის დასახელებას შეიცავს. ე. თაყაიშვილის განმარტებით „რომ შეიძლებოდეს შეკრება დავით რექტორის მიერ ვადაწერილი ყველა ხელნაწერისა, იმათგან შეიძლებოდა მთელი ბიბლიოთეკის შექმნა“.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში საბა ორბელიანის ლექსიკოგრაფიული დიდი მემკვიდრეობა შემოქმედებითად განავითარა თბილისში ახლად გახსნილ კეთილშობილთა სასწავლებლის რუსული ენის მასწავლებელმა ნ. ჩუბინაშვილმა, რომელიც 1788 წელს დაიბადა თბილისში და 1825 წლიდან პეტერბურგში მოღვაწეობდა; იქ მან შექმნა ორიგინალური უკვდავი მემკვიდრეობა „ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ“ და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“ ორ ტომად, რომელიც ქართული ეროვნული მეცნიერების დიდი შენამუშაოა. ისინი ასახავენ ქართული ენის განვითარებას დიდი საბა ორბელიანის დროიდან — ანუ XVIII ს-ის 20-იან წლებიდან XIX საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.

ნ. ჩუბინაშვილის ამ ნაშრომების საფუძველზე XIX ს. მეორე ნახევარში შეიქმნა მისივე აღზრდილი ძმისშვილის, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის დავით ჩუბინაშვილის ნაშრომები — „საუნჯე ქართულისა ენისა“ და „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, ამრიგად ნ. და დ. ჩუბინაშვილებმა ეპოქა შექმნეს ქართულ ლექსიკოლოგიაში.

სულხან-საბა ორბელიანის „ქართული სიტყვის კონასთან“ ერთად, ნ. და დ. ჩუბინაშვილების ლექსიკონებს ქართული მეცნიერული წიგნის ისტორიაში მეტად საპატიო ადგილი განეკუთვნება.

რუსი მეცნიერის პროფ. ვ. ტრეტიაკოვის შეხედულებით ნ. ჩუბინაშვილი „იყო ქართული ლექსიკოგრაფიის კლასიკოსი... ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონების შესწავლამ დაადასტურა, რომ ისინი უნივერ-

საღურნი არიან და. გარკვეული მიზნით, არც პრაქტიკული მნიშვნელობა დაუკარგავთ, არც მოძველებულან ისევე, როგორც რუსულ ლექსიკოლოგიაში არ მოძველებულა დალის ლექსიკონი“.

6. ჩუბინაშვილი პირველი მეცნიერი იყო, რომელმაც ქართულ ლექსიკოლოგიაში შემოიტანა ახალი ლექსიკური მასალა, მოგვცა ქართულ სიტყვათა რუსული თარგმან-განმარტებანი. რუსული სიტყვების ქართული თარგმანი გამოირჩევა ადეკვატური სიზუსტით და დღესაც სამაგიდო წიგნად რჩება.

6. ჩუბინაშვილის ლექსიკონი 120 წლის მანძილზე თაროზე მტვერ-წყარღ ხელნაწერად რჩებოდა. იგი მიაკვლია, მეცნიერულად შეისწავლა და მოამზადა სააუბლიკაციოდ ცნობილმა მეცნიერმა პროფ. ალ. ლლონტმა. 6. ჩუბინაშვილის ნაშრომი ალ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით გამოქვეყნდა სამ წიგნად 1961, 1971 და 1973 წლებში. ამავე პერიოდში გამოქვეყნდა დიდი ნაშრომი პროფ. ილია აბულაძისა — ძველი ქართული ენის ლექსიკონი („მეცნიერება“, 1973).



ქართული ხელნაწერები დაცულია სსრკ მოძმე რესპუბლიკების არაერთ სიძველეთსაცავებსა, ბიბლიოთეკებსა და კვლევით ინსტიტუტებში. მაგ., ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტიტუტში, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში, სომხეთის ხელნაწერთა საცავ მატენადარანში და სხვ.; ქართული ხელნაწერი წიგნები დაცულია აგრეთვე საზღვარგარეთ — ვატიკანის არქივში, პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ბრიტანეთის მუზეუმში, გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და სხვ., რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არსებული ქართული ხელნაწერების შესახებ ექ. თაყაიშვილი წერს: „პარიზის ქართულ ხელნაწერებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს დღესაც ჩვენთვის. აქ დაცულია რამდენიმე იშვიათი ხელნაწერი, რომელთა ცალი ან სულ არ არის, ან ცოტა მოგვეპოვება ცნობილ წიგნსაცავებში“³⁰.

ქართული წიგნის კატალოგის ისტორიაში შეიძლება ითქვას, საპატიო ადგილი განეკუთვნება კავკასიის მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის (1782—1756) უმდიდრეს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წიგნების საგანგებოდ შერჩეულ და სანიმუშოდ შემკულ წიგნთა ეგზემპლარებს. მაგ., მ. ვორონცოვის ბიბლიო-

³⁰ იხ. ე. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები. თბ., 1958.

თეის წიგნები დაცულია ოდესაში — 15210 დასახელების წიგნი, ალუპკაში — 60000 წიგნი და ხელნაწერი. იგივე ითქმის სიმფეროპოლისა და, განსაკუთრებით, პეტერბურგის ბიბლიოთეკებზე, რომლებშიაც საკმაო ოდენობით ვხვდებით როგორც ქართულ ხელნაწერს, ასევე ნაბეჭდ ქართულ წიგნებს.

1853 წ. მაისში თბილისში შეუდგენიათ მ. ვორონოვის ბიბლიოთეკაში არსებული ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კატალოგი, რომელიც ამჟამად სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტშია დაცული (იხ. ფ. 36, აღწ. 1, № 004). კატალოგის მონაცემებით 1853 წ. მაისისათვის მ. ვორონოვის ბიბლიოთეკაში იყო 188 ქართული წიგნი: ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონების, გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, მ. ბროსეს, პლ. იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილის ცალკეული გამოცემები და ხელნაწერები, ტ. გაბაშვილის „მოხილვა“..., ი. გედევანიშვილის „მიმოსვლა“, ყურნალ „ცისკრის“ 1852—53 წლების ნომრები და სხვ.

კატალოგში წიგნები თემატურადაა წარმოდგენილი: 1. დრამატული თხზულებანი, 2. პერიოდული გამოცემანი, 3. პლ. იოსელიანის გამოცემები, 4. სხვა ქართული წიგნები. გარდა ნაბეჭდისა, „კატალოგი“ შეიცავს ცნობებს ზოგიერთი ქართული ხელნაწერის შესახებ³¹.

„კატალოგის“ ცნობით 1852 წ. გ. ერისთავს თბილისში, მთავარმართებლის სტამბაში, დაუბეჭდავს ოპერა „ლუკრეცია ბორჯიას“ ლიბრეტოს ქართული თარგმანი, რომელიც ვორონოვის ბიბლიოთეკაში 2 ცალადაა დაცული. მ. ვორონოვის მხარდაჭერით, გ. ერისთავისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა ინიციატივით, 1851 წ. თბილისში დაარსებული იტალიური ოპერის 1-ლი სეზონი 1852 წლის თებერვლის 9 „ლუკრეცია ბორჯიას“ წარმოდგენით დაიხურა.

ოდესის უნივერსიტეტში ინახება მ. ვორონოვის ბიბლიოთეკაში არსებულ ქართულ წიგნთა ძვირფასი კოლექცია, რომელიც მ. ვორონოვის ქვრივის ანდრძის საფუძველზე გადაუციათ უნივერსიტეტისათვის 1898 წ.; ამ წიგნების დიდი უმრავლესობა, ჩანს, წინასწარ საგანგებო მზრუნველობით მზადდებოდა, განსაკუთრებული ყდებით, ოქროტვიფრული წარწერებითა და ძვირფას ქაღალდზე დაბეჭდილი. თვით ტექსტებიც კი მხატვრის მიერაა მოკაზმულ-მოხატული.

ვის შეეძლო შეედგინა მ. ვორონოვის ბიბლიოთეკის ქართული წიგნების კატალოგი 1853 წელს (მაისში); კატალოგის მონაცემებიდან ეს არა ჩანს. გამოთქმულია მხოლოდ მოსაზრება-ვარაუდი, რომ

31 მ. ჩიქოვანი, ხალხური „ვეფხისტყაოსანი“. 1936, გ. შარაძე, ვორონოვის არქივიდან „ლიტერატურული საქართველო“, 2. VI. 1969.

ვინაიდან „კატალოგის შემდგენელს ქართული ენაც უნდა სცოდნოდ და მ. ვორონცოვთანაც მეტად დაახლოებული პირი უნდა ყოფილიყო, მაშინ ასეთ პირად ჩვენ პლატონ იოსელიანი წარმოგვიდგება“³².

ზოგი ქართული წიგნის ეგზემპლარებს და მთლიანად მ. ვორონცოვისეულ ქართულ წიგნთა „კატალოგს“ არ იცნობს სამწუხაროდ და არ უთითებს „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია“ (თბ. 1941) და არც „ქართული წიგნის 1 ტომში გამოჩენილ წიგნთა ბიბლიოგრაფია“ (თბ., 1969).

2. წიგნის გადამწერი ახსანაბროგებისა (თაბუნების) და წიგნის ბეჭდვის თანაბრებობის საკითხისათვის

XVIII ს. 20-იანი წლებიდან აღორძინებულ ქართლის სამეფოს დიდი უბედურება დაატყდა თავს. თურქმა აგრესორებმა ქართლის სამეფო დაიპყრეს, მეფე დიდი ამალით რუსეთში გადაიხვეწა და თბილისში ვახტანგ VI თაოსნობით გამართული სტამბის არსებობაც შეწყდა. დიდი ხნით ჩაქრა ლამპარი, რომელიც ქვეყანას ანათებდა და სულიერად ასაზრდოებდა. მაგრამ ძნელბედობის ამ შავბნელ წლებში, როცა ქვეყანაში თურქი და ყიზილბაში დამპყრობნი თარეშობდნენ და ძარცვავდნენ ხალხს, — ქვეყანა უიმედობას არ მისცემია. იგი გმირულ ბრძოლას ეწეოდა ქართული სახელმწიფოებრივობის აღდგენისა და საკუთარი ეროვნული კულტურის დასაცავად. მწიგნობრობა და წიგნი ამ უმკაცრეს ბრძოლაში ხალხის გამარჯვებისათვის კვლავინდებურად ნაცად და საიმედო მახვილ იარაღად გვევლინება.

ამგვარ რთულ ისტორიულ პირობებში თავს იჩენს ქართველი ხალხის მწიგნობრული კულტურის უმდიდრესი ტრადიცია — წიგნის ხელით გადაწერის კულტურის აღორძინება ისეთ პირობებში, როცა კეთილმოწყობილი ეროვნული სტამბის ნაყოფიერი მუშაობა ჩამქრალია და ხალხი წიგნის ნაკლებობას უფრო მწვავედ განიცდიდა.

მართალია, XVIII ს. მანძილზე დაარსებული და მოქმედი სტამბები საქართველოში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მოსახლეობისა და ეკლესია-მონასტრების წიგნით უზრუნველყოფაში, მაგრამ ამ პერიოდში ზედმიწევნით გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება წიგნებზე მათ არ შეეძლოთ. ასეთ პირობებში წიგნების ხელით გადაწერის გავრცელება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა და თვით სამეფო ხელისუფლებაც კი აკანონებდა ამ საქმიანობას.

³² გ. შარაძე, პლატონ იოსელიანი რუსთველოლოგი, თბ., 1980, გვ. 193. ამასთანავე იხ. ნ. გურგენიძე, ძველი წიგნსაცავები საქართველოში, თბ., ნ. ლორთქიფანიძე, ბიბლიოგრაფიული კლასიფიკაციის ისტორია, თბ., 1962.

აქ აღნიშნულის ნათელსაყოფად, თუ რამდენად დიდი იყო იმ დროს მოთხოვნილება წიგნზე, ჩვენ ერთ საინტერესო ფაქტზე შევაჩერებთ ყურადღებას. ვახტანგ VI სტამბაში (და ეგევე მეორედბოდა ერეკლე მეორისა და სოლომონ მეორის სტამბებში) ერთი და იგივე დასახელების წიგნი ორჯერ, სამჯერ და მეტჯერაც იბეჭდებოდა შედარებით დროის მოკლე ინტერვალში (მაგ., „დავითნი“ ოთხჯერ გამოიცა, „უამნი“ — სამჯერ და სხვ.).

ვახტანგ VI 1711 წელს გადამწერისათვის თვითონვე დაუვალვებია სახარების ხელით გადაწერა (როგორც ცნობილია, 1709 წ. „სახარება“ დაიბეჭდა მისსავე სტამბაში), რის შესახებაც დოკუმენტში ვკითხულობთ: ვახტანგ „მეფემან მიბრძანა მე აღწერად წმინდისა ამის სახარებისა და არა ურჩ ვიქმენ ბრძანებასა მათისა, არამედ ვიწყე გულისმოდგინებითა ერთსა ივლისსა და სრულ ცყავ დღესაწულსა წმინდისა დიმიტრისასა. ჩლია“ (1711)³³. ეს ფაქტი ბევრის მთქმელია, ჩანს წიგნზე ძალზე დიდია მოთხოვნილება.

XVIII ს. 20-იან წლებიდან, როცა ქვეყანა უსტამბოდ ღარჩა, მთელი სიძიმე ქართლის საჭირო წიგნებით მომარაგებისა ხელით გადამწერთ დააწვათ. ამ პერიოდში გამრავლდა წიგნის ხელით გადამწერთა ჩგუფები და ამხანაგობანი, რომელთაც თაბუნები ეწოდებოდა. წიგნის გადამწერთა ორგანიზებულად გაერთიანებული ამხანაგობის შესახებ ცნობებს ქართულ ისტორიულ წყაროებში არა ერთს ვხვდებით. მაგ., იესე ბარათაშვილი თავის „ცხოვრება-ანდერძში“ გვაუწყებს: „ვიჯექ პატიოსნად სენაკში, სამღვდელოს წიგნებს ვწერდი, ვყიდდი და იმით მოვირეწდი. შევირდები მისხდნენ ოცდაათი, ზოგი სამღვდლო, ზოგი საერო, ისინი მსახურობდნენ კარგა, და ღმერთი გეზრდიდა ჰეშმარითად. პატიოსნად გვეცვა ყველასა... არა გველებია, საქმელი უნაკლოდ გვექონდა“³⁴. იესე და მისი თანამოკალმე შევირდნი თბილისში XVIII ს-ის 40-იანი წლების დასაწყისში მოღვაწეობდნენ.

ასეთივე ამხანაგობა, ანუ თაბუნი დასტურდება დასავლეთ საქართველოში. მაგ., ციხის გულანის მინაწერში აღნიშნულია: „მე ცოდვილმან მღვდელმან საბა ხელცყავ პატიოსნისა გულანისა ამის აღწერა ბრძანებითა პატიოსნის ნაკაშიძის ბეჟანისათა. ეს სრული გულანი ჩემის ცოდვილის ხელით დამიწერია. ამის წერაშიდ ჟუმათის გულანი გავაკეთე მე და ჩემმა თაბუნმა“³⁵.

³³ ძველი საქართველო, ტ. 111, გვ. 112—113.

³⁴ იესე ბარათაშვილი, ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის რედ., 1950, გვ. 6—7.

³⁵ Д. Бакудадзе. Археологич. путешествие по Грузии и Ачахе. СР.

აქედან ნათლად ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში, ისე როგორც თბილისში, წიგნის გადაწერთა ამხანაგობანი არსებობდა; ამასთანავე ისიც ირკვევა, რომ ამგვარ ამხანაგობებს „თაბუნი“ ჯერაც ჰქონდა.

თაბუნები, ანუ წიგნთა გადაწერი ამხანაგობები, ვახტანგ VI სტამბის გაუქმების შემდგომი ხანის წარმონაქმნი უნდა იყოს. იგი გამოხატველია წიგნის გადაწერის ძველთაძველ ტრადიციულ საქმიანობაში მომხდარი ახალი, თვისობრივად განსხვავებული მოვლენის, — გადაწერთა ამხანაგობების დაარსებისა. ამგვარ ამხანაგობებში, სადაც 30—40 გადაწერი იყო გაერთიანებული, ცხადია, ადგილი ჰქონდა შრომის დანაწილებას. ვახტანგ VI სტამბის გამოცდილება, ცოდნა და ტრადიციები, ბუნებრივია, წიგნის ხელით გადაწერთა საქმიანობაზე თავისებურ გავლენას ახდენდა. სწორედ აქედან უნდა ეძლეოდეს დასაბამი როგორც ამხანაგობების, თაბუნების, დაარსებას, ასევე მასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების სფეროში მომხდარ გარდატეხა-გაუმჯობესებას, რომლის გარეშეც აზრი არ ექნებოდა ამგვარი ამხანაგობების აღმოცენებას. სამუხებაროდ, ცნობები და საჭირო მასალები ამ უკანასკნელთა შესახებ ჩვენს წყაროებში ნაკლებად მოიპოვება³⁶.

იესე ბარათაშვილი, რომელიც შესანიშნავი კალიგრაფი იყო და იცოდა „ხუცური, მხედრული და მრგლოვანი წერა კარგად“, ნადირ შაჰის შემოსევის შოშით 1747 წელს მთელი ოჯახით „არბაბისა“ გამო თბილისელებთან ერთად ანანურში გახიზნულა. იქ „ჩემი შემწე არავინ იყო. დავრჩი ამდენი სულით ამ უცხო ქვეყანაში“. ასეთ პირობებში იესეს საარსებო წყარო გაუჩენია — „ვწერდი და ვყიდდი წერილმან წიგნებსა“-ო³⁷. ამრიგად, იესე თავისი ჭაბუკობის წლებში ხელმძღვან.

³⁶ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფეოდალური საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში საქართველოში აღორძინებულ მწიგნობრობასა და ვაზრდილ მოთხოვნას ხელნაწერ წიგნებზე ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეში შექმნილი წარმოეშვა წიგნის გადაწერთა ამხანაგობანი — თაბუნებიო, „ამ ხელობის ფართოდ, საეპრო მიზნით ერთობლივი წარმოება“, ამ მოსაზრების სოციალურ-ეკონომიკურ დასახელებულია ოშკათონის 978 წლის დაბადების ანდერძი, სადაც ნათქვამია, რომ ეს წიგნი სამი მწერლის ხელითაა გადაწერილიო. ასევე სამ მწერალს გადაუწერია ტბეთის 995 წლის სახარება (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1926, გვ. 56—57). აქ მართლაც საეკონომიკური ფაქტობია მოტანილი, მაგრამ სამ მწერალს ერთ ხელნაწერზე მუშაობა, მათი სიდიდის გამო, მორიგეობით შეეძლოთ, მსგავსად 864 წლის სინური მრავალთავისა. წიგნის გადაწერთა თაბუნების, ამხანაგობათა არსებობა ასეთ გარემოში კი ძველია იგულისხმებოდეს თაბუნების ანუ ამხანაგობათა არსებობა, წყაროებით, მხოლოდ XVIII ს. პირველ ნახევარში დასტურდება და მტკიცდება.

³⁷ იხ. დასახელებული წიგნის მე-10—11 გვ.

ნელობდა როგორც წიგნის გადამწერთა ამხანაგობა თაბუნს (რომელ-შიაც 30 გადამწერი იყო), ისე საჭიროების დროს დამოუკიდებლად ეწეოდა წიგნების გადაწერას, ყიღდა და მით არსებობდა.

ჩვენ ამ ნაშრომის სათანადო აღვილს გვაქვს საუბარი, თუ რა დიდი მასშტაბის მუშაობა მიმდინარეობდა ეკლესია-მონასტრებში წიგნთა გადაწერისა და გამრავლებისათვის, რაოდენი მრავალრიცხოვანი კერები და ცენტრები არსებობდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ამიტომ აქ ამ საკითხზე არ შეეჩერდებით.

არ შეიძლება აქვე არ დავინახოთ ერთი კანონზომიერება — XVIII—XIX სს. მანძილზე ხელნაწერი წიგნების უდიდესი უმრავლესობა საერო დემოკრატიულია — ყალიბდება ტენდენცია სასულიერო ხასიათის წიგნთა შემცირებისა. ქართულ ბეჭდურ და ხელნაწერ წიგნთა მდიდარი კოლექცია აქ აღნიშნულის დამადასტურებელია.

ამასთანავე ხელნაწერი წიგნების გამრავლებისათვის ზრუნვა საქართველოში XVIII საუკუნის მთელ მანძილზე გრძელდებოდა. წიგნის გადამწერთა (მათი ამხანაგობების, თაბუნების) საქმიანობისა და წიგნის ბეჭდვის თანაარსებობა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია.

ვეროპასა და ნაწილობრივ რუსეთის ცენტრალიზებულ სახელმწიფოში წიგნის ბეჭდვამ და სტამბების გამრავლებამ შეზღუდა და თანდათანობით გამოდევნა ხელნაწერი წიგნები ხმარებიდან და ბეჭდურით შეცვალა ისინი; ეს კანონზომიერება საქართველოში, სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო დაირღვა, — ჩვენ აქ საქმე მათ თანაარსებობასთან გვაქვს.

ამის მიზეზი ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რთული პირობები იყო. მტრული გარემოცვა და ქვეყნის ამაოხრებელი ხშირი შემოსევები, რბევა და ნგრევა თბილისის სტამბაზეც ვრცელდებოდა, — იგი პერიოდულად ნადგურდებოდა. დიდი წყევტილებით მუშაობდა და პერიოდული უმოქმედობით ხასიათდებოდა. ამიტომ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ სუსტი წარმარობის, სპორადულად მოქმედი სტამბები, სადაც ქართული წიგნი იბეჭდებოდა, ვერ აკმაყოფილებდა წიგნზე გაზრდილ მოთხოვნებს. ასეთ პირობებში წიგნის ხელით გადამწერნი (როგორც კერძო პირნი), აგრეთვე გადამწერთა ამხანაგობანი — თაბუნები, დიდი დატვირთვით მუშაობდნენ, ისინი სარგებლობდნენ იმ შეუსაბამობით, რომელიც წიგნზე გაზრდილ მოთხოვნებსა და მის მიწოდება-დაკმაყოფილებას შორის სუფევდა³³.

³³ შეიდი წლისა იყო იესე მიქაძე (ბარათაშვილი), როცა მან იცოდა მხედრული და მრგლოვანი წერა კარგად (იხ. მისი ცხოვრება-ანდრძი, გვ. 2, 4). იესეს ბადალი მდიან-მწიგნობარი და კალიგრაფი ერეკლეს სამეფოში ბევრი არ იყო. აქ ყურად-

მოსალოდნელი იყო, რომ თბილისში სტამბის დაარსება (1709 წ.) და მისი რეკონსტრუქცია (განსაკუთრებით მე-18 ს. 80-იანი წლებიდან) ბოლოს მოუღებდა წიგნის ხელით გადამწერი ამხანაგობებისა და კერძო კალიგრაფთა ინიციატივის მეტოქეობას და სტამბის მონოპოლიური ბატონობა დამკვიდრდებოდა, როგორც ეს ევროპის მოწინავე ქვეყნებში ხორციელდებოდა; მაგრამ საქართველოში ქვეყნის რთული საგარეო-პოლიტიკური პირობების გამო ეს არ მოხდა. სამწუხაროდ, ჩვენში სტამბის საგამომცემლო მოღვაწეობა იმდენად ვერ განვითარდა და ვერ ამაღლდა იმ დონემდე, რომ წიგნის მასობრივად ბეჭდვის ფართო გზის გახსნით ბოლო მოღებოდა გადამწერთა ამხანაგობებებს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ქართული წიგნის სტამბურად ბეჭდვისა და ხელით გადაწერის თანაარსებობასთან, რაც გარკვეული რთული საშინაო პირობების გამო XIX ს. ნახევრამდეც კი გრძელდებოდა.

XVIII ს. მეორე ნახევრიდან სკოლების რიცხვის გამრავლებასთან ერთად წიგნზე მოთხოვნილება არაჩვეულებრივად გაძლიერდა. 1755 წელს თბილისში გაიხსნა სემინარია, 1758 წ. თელავში — სასულიერო სასწავლებელი, გამრავლდა საერო-სამონასტრო სასწავლებლები. 1778 წელს თბილისში დაარსდა სასწავლებელი რუსული ენის შემსწავლელთათვის. (მოგვიანებით სამეფო კარზე შეადგინეს პროექტი ქართლ-კახეთის სამეფოში რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ და სხვ.) გაცხოველდა ახალი წიგნების თარგმნა, რომელთაც ძველად არსებული და დაკარგული წიგნების მონაცვლება შეეძლოთ. იქმნებოდა ახალი ორიგინალური სახელმძღვანელოები და, ამასთანავე, რუსულ-ქართული „რაზღაგორები“, რუსულიდან გადმოკეთებულ-თარგმნილი წიგნები, დაიწერა და გამოიცა დავით ბატონი-

ლებას იპყრობს თბილისის სიონის საყდრის გამოჩენილ მსახურ მოღვაწეთი, — მიქაძეების საგარეულოში დამკვიდრებული სწავლა-აზრდისა და მაღალი კალიგრაფიული კულტურის ტრადიციები. მიქაძეებმა დიდი კვალი დაამჩნიეს და შემკვიდრებია დასტოვეს ქართული ხელნაწერი და ბეჭდური წიგნების განვითარების ისტორიაში.

იესე ბარათაშვილი ძმისშვილია ცნობილი კალიგრაფისა და მესტამბის ნიკოლოზ მიქაძისა და ეფთხისტყაოსნის 1712 წ-ს გამოცემის გამმართველ მიქელ მიქაძისა.

ნიკოლოზი (1720—1789), იესეს მსგავსად, ადრიდანვე დაუფლებია წიგნების გადაწერის მაღალ კალიგრაფიულ კულტურას; ნიკოლოზს გადაუწერია ანჩისხატის „კონდაკი“ (დაცულია ხელნ. ინსტიტუტში) 1731 წელს. ხელნაწერს თან ახლავს მინაწერი: „ღმერთო შეიწყალე ამის მჩხაბავი დეკანოზისშვილი ნიკოლოზი... ვინც იბილივდეთ და წარიკითხავდეთ, გაზრდას მიბრძანებდეთ ამისათვის რომე ყრმა ვიყავ ამის წერაში და არც ჯერ სხვა წიგნი დამეწერა. ამის სრულყოფასა ვიქმენ წლისა ათერთმეტისა დეკემბრის 6, ქკს უით“.

შვილის საქართველოს მოკლე ისტორია და სხვა. ასეთ პირობებში, კერძოდ სახელმძღვანელოზე ესოდენ გაზრდილ მოთხოვნათა ვითარებაში, როცა დიდი აღმავლობით ღრმავდებოდა მოთხოვნა წიგნზე, ნორმალურ პირობებში მისი დაკმაყოფილება მხოლოდ სტამბურად გამოცემული წიგნებით შეიძლებოდა, — განსაკუთრებით მე-18 ს. უკანასკნელ მეოთხედში, როცა თბილისის ახლად რეკონსტრუირებული სტამბის მუშაობა დიდი აღმავლობით ხასიათდებოდა; იზრდებოდა გამოცემულ წიგნთა რიცხვი და მათი ტირაჟი. ტექნიკურად აღჭურვილ სტამბაში გამრავლდა კვალიფიციურ მუშაკთა რიცხვი ამასთანავე ვითარდება შრომის დანაწილების ახალი ორგანიზაცია, რომელიც უპირისპირდებოდა წარმოების დრომოკმულ ფეოდალურ რუტინულ შეზღუდულობას, რითაც გზას უკაფავდა და უზიძვებდა წარმოების ახალ ბურჟუაზიულ წესსა და ურთიერთობაზე გადასვლისათვის, მაგრამ 1795 წელს ირანელთა ბარბაროსულმა შემოსევამ ჩაახშო ასევე ეს ახალი წამოწყება, დააქცია და გადასწვა თბილისი.

3. ქართული საგრალოგო ახალი ძარის აღმოცენება ბელგოროდში XIX ს.

საქართველო წიგნების ხელით გადაწერის უდიდესი ტრადიციების ქვეყანა იყო და ბუნებრივია მან დიდი გამოცდილება დააგროვა სასულიერო კულტურის ამ სფეროშიაც. აქ ფაქტს თავისი ასახვა, ცხადია, მშობლიურ ენაშიაც უნდა ეპოვნა და, ერთგვარად, პოვა კიდევც. სამაგალითოდ ჩვენ აქ მხოლოდ ანა დედოფლისადმი პეტერბურგში გაგზავნილ პირად წერილებში დაკულ ზოგ ტერმინზე შევჩერდებით, რომელნიც კალიგრაფ ზაქარია არქიმანდრიტის (გურგენიძის) და ოსე გაბაშვილის ბელგოროდიდან ანასადმი გაგზავნილ წერილებს შემოუნახავთ.

საგულისხმოა, რომ XIX ს. 20-იან წლებში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა კრიზისი დაუდგათ ქართულ ხელნაწერ მწიგნობრულ კერებს, მრავლდება ქართული სტამბები და ფართოვდება წიგნის სტამბურად ბეჭდვა; მაგრამ ხელნაწერი წიგნების შექმნის ტრადიცია არ გამქრალა. 1818 წელს მეფის რუსეთის მთავრობის მიერ დაპატიმრებული და იმერეთიდან ბელგოროდის მონასტერში გადასახლებული ცნობილი მწიგნობარ-კალიგრაფების, — ოსე ზაქარიას ძე გაბაშვილის და გელათის არქიმანდრიტ-მესტამბე ზაქარიას მიერ ბელგოროდი ქართული (ხელნაწერი) წიგნების გადაწერისა და დაყდვა-მოხატვის ახალ დიდმნიშვნელოვან კერად იქცა.

ოსესა და ზაქარიას პეტერბურგიდან ქართულ ხელნაწერ წიგნებს გადასაწერად (საქირო მასალით) უგზავნიდა იმერეთის ყოფილი დე-

დოფალი ანა, რომელიც პეტერბურგში ცხოვრობდა და დიდად წყალობდა პატიმარ მწიგნობრებს. ოსე გაბაშვილმა და ზაქარიაჲმ საკმაოდ მრავალრიცხოვანი წიგნები გადაუწერეს ქართული კულტურის მეცნიატ მწიგნობარ ანა დედოფალს. ამ წიგნებმა ჩვენამდე მოაღწიეს:

ეს ორი მოღვაწე, წლების მანძილზე ბელგოროდის მონასტერში გამოკეტილნი, მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას პეტერბურგში მცხოვრებ ანა დედოფლის დაკვეთით ქართული წიგნების გადაწერას, მოხატვას, ყდაში ჩასმას, აკინძვას, მათთვის საჭირო იარაღების, ქალღლის შეძენას, მელნის შეზავებასა და სხვას ანდომებდნენ. ამდენად ბელგოროდში მათი მალაკვალიფიციური მოღვაწეობის სახით ჩვენ ერთგვარად თავისებურ თაბუნთან (ამხანაგობასთან) გვაქვს თითქოს საქმე... ამასთანავე, ზაქარიასა და ოსეს პირად ბარათებში დაცულია ძალზე საყურადღებო ცნობები და ტერმინები, დაკავშირებულნი წიგნის ხელით გადაწერასთან.

ოსე გაბაშვილისა და ზაქარია გურგენიძის (არქიმანდრიტის) წერილები ანასადმი დაცულია ლენინგრადში, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა K ფონდში.

ოსე გაბაშვილისა და ზაქარია არქიმანდრიტის წერილები ანა დედოფლისადმი საინტერესოა ქართული წიგნისა და მწიგნობრული კულტურის. მისი ტერმინოლოგიის ისტორიის თვალსაზრისითაც.

ოსე გაბაშვილი მამა-პაპით მაღალი მწიგნობრული კულტურის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია. იგი სახელოვანი მწიგნობრის ზაქარია გაბაშვილის ვაჟია, ძმთა დიდი ბესიკისა; ძმები თბილისიდან ქუთაისში გადასულან მამასთან ერთად და იქ დამკვიდრებულან. ზაქარია არქიმანდრიტი გურგენიძე ასევე კარგად ცნობილი კალიგრაფი და მესტამბე-მწიგნობარია³⁹. ორივე გარდამავალი პერიოდის ქართული მწიგნობრული კულტურის შესანიშნავი მოღვაწეა, რომელნიც საფუძვლიანად იყვნენ დაუფლებულნი როგორც ძველ ქართულ მწიგნობრულ-კალიგრაფიულ მაღალ კულტურას, აგრეთვე ქართული წიგნის ბეჭდვის ხელოვნებას.

ოსე გაბაშვილი და ზაქარია არქიმანდრიტი 1820-იან წლებში ბედუკულმართობამ ბელგოროდში გადატყორცნა. იქ მონასტერში პატიმრობაში მყოფნი წერილობით კავშირს ამყარებენ პეტერბურგში მცხოვრებ იმერეთის დედოფალ ანასთან, რომელსაც აღრიდანვე იცნობდნენ.

³⁹ ლ. შენაბდე, ძველი ქართული ლიტერატურის კერები, ტ. 1. ნაკ. 11, თბ., 1962, გვ. 544, ო. კასრაძე, ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნები, თბ., 1973, გვ. 241. ნ. მისურაძე მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი — აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.

უსაქმოდ დარჩენილი პატიმრები — ოსე და ზაქარია თავიანთ სამსახურს სთავაზობენ ქართული წიგნის დიდად მოყვარულ ანა დედოფალს. ისინი დედოფლისაგან განუწყვეტლივ ლებულობენ დაკვეთას და ეწევიან წიგნების ხელით გადაწერას წლების მანძილზე. დედოფალი ანა კი ზრუნევას არ აკლებდა მათ.

ოსეს და ზაქარიას წერილები (დედოფალ ანას საპასუხო ბარათები ჟერხნობით არ ჩანს) სრულ წარმოდგენას იძლევიან ბელგოროდში აღმოცენებული ქართული კალიგრაფიული სკოლის საქმიანობაზე, სადაც ათეულობით წიგნი გადაიწერა, მოიკაზმა და მომზადდა დედოფლისათვის. ამ წერილებით ვეცნობით არა მხოლოდ იმერეთის სამეფო და საჩხერის საწერეთლო სტამბის ისტორიას, ოსესა და ზაქარიას დაპატიმრების მიზეზს, არამედ მათ მაღალ კალიგრაფიულ ხელოვნებასთან დაკავშირებული საქმიანობის ტექნიკურ მხარეებს, — ცნებებს, ტერმინებს, რომელთაც სხვაგან ძნელად ვიპოვით.

ოსეს და ზაქარიას მიერ ბელგოროდში გადაწერილი წიგნები, მათ წერილებთან ერთად, აზიის ხალხთა ლენინგრადის ინსტიტუტში მოხვდა ანა დედოფლის საოჯახო არქივთან ერთად. ამ წერილებიდან ჩვენ აქ მხოლოდ რამდენიმეზე შეეჩერდებით, სადაც ვხვდებით წიგნის გადაწერის, მათი მოკაზმვა-აკინძვისა და მოხატვის, აგრეთვე საწერი ქაღალდის შერჩევის, საწერი მელნის დამზადებისა და სხვა მეტად საყურადღებო ტერმინებს, რომელთაც სხვაგან ძნელად შევხვდებით.

1821 წ. ნოემბერში ოსე და ზაქარია ანა დედოფალს სწერენ: „გებრძანათ კ-დ სახარება და სამოციქულო მხედრულ ნუსხად მიწოდოდა... ახლანდელი დაწერილი სახარება და სამოციქულო როგორც გნებებია ისე კარგად გააწყობინეთ და თუ წმინდა ნუსხა გნებავს მხედრული, რომელიც ზომა გენებოს ქაღალდით დამინიშნე, მიბოძეთ, ორსავე აღგიწერთ არა გვიანად და მოგართმევ“.

1821 წ. დეკემბერში ოსე წერს: „სამოციქულო მიახლებია კარგათ ლიტში გახვეული, მაგრამ ახალი დაწერილი რომ გახლავს, უნდა დააცადოთ ამისი შეეკრა, ვიდრე, თთვისა ერთისა. მელანი გუნდისა კარგად გამოშრება და ვინც იცოცხლებს მეორედ მოსვლამდინ მიაწევს, თუ კარგად იხმარა“.

აქვე სწერს ოსე: „გებრძანათ გზაზე წამხდარიყო რვეული ლექსთა ჩემ მიერ მორთმეული. ამისათვის ნუ შესწუხდებით უმჯობესად განგიახლებთ... რომ გზაზე აღარ წახდეს“ (აქ ბესიკის ლექსებზეა მსჯელობა).

ოსე გაბაშვილი 1822 წ. ივნისს ანა დედოფალს ბელგოროდიდან სწერდა: „სახარების დაწერა გებრძანათ ჩემთვის და სამოციქულოს

დაწერა არხიმანდრიტისათვის და ზომაც გებოძათ. არქიმანდრიტმა აღიჩინა სახარების აღწერა და უეხოსაც დაგიწერს. სამოციქულო ჩემზედ მოაგდო და ვეცდები“.

ოსე წერს: „თეოდორე სულელის ცხოვრება, წმიდათა მოწამეთა ტიმოთესი და მავრასი ცხოვრება და წამება, კეისრის ასულის ღირსის მარიამის ისტორია. ჩემის ძმის ბესარიონის თქმული ლექსები, რაც გამახსენდა დაგიწერეთ. ესენი ერთიანად დანუხსვილი აკინძული მიახლებია“.

„...თუ გნებავს ნუსხად დაწერა სამოციქულო სახარებისა, ამგვარად დაგიწერ და ასომთავრულგებს ოქროს ვარაყით გაუკეთებ და ზომა მიბოძე, რომლის ტანის გენებოს“.

1822 წ. თებერვალი (ზაქარია და ოსე). „ოქროს ვარაყს, რომელიც დასკირდება ანუ კარგი ქალაღი გახამებული და წითლური ამებს მზად ვყოფ და ამ მარხვაშივე ვიწყებ სახელსა ზედა თქვენსა... და რაიცა ვიცი მხატვრობა დალაკათუ თქვენ არ ინებო, მე მაინც განვსცდი თავსა ჩემსა და ყ-სა მოქმედებასა გამოხატვისასა ამაზედ დავასრულებ თქვენისავე ბოძებულ წამლებითა.“

ბატონო დედოფალო! ფარგალი არა მაქვს, აქ ვერ ვიშოვნე და ისიც მიბოძე, რომ უქმად ყოფა მეტად შემაწუხებს. თუ მალე მოვა ფარგლები, უეხოს ავგაროს დაგიწერ ოქროს ვარაყით, უმისოთ არ გაკეთდება“.

1822 წ. მაისის 22 ოსე გაბაშვილი წერს: „თქვენი მხედრული ჟამნი მიახლებია... მე გულმოდგინება არ დამიკლია, ვინაიდან გებრძანათ“.

1822 წ. ოქტომბრის ბარათით ირკვევა, რომ დედოფალს წიგნი უბოძებია ოსესათვის გადასაწერად, მაგრამ ამგვარი წიგნის წაკითხვა და გადაწერა... „ძალიან გამიჭირდა, ამისათვის რომ გარეული აქვს სხვადასხვა შიგან ანბანები, თუ ეს ხელახლა არ გადაიწესხა და არ გასწორდა კარგად, არ გადაიწერებო“ — წერს დედოფალს.

დეკემბერი (ოსე გაბაშვილი). „გადასაწერი ესე დედანი მე ხომ ვერ აღმოვიკითხე... გარდა უფალმან ჩემმან და მოძღვარმან არხიმანდრიტმან მეორედ გარდამოიღო, გარდმონუსხა, გაასწორა დიად ძნელი გასასწორებელი, და ამისი გარდამონუსხული გასწორებული, მე გადავსწერე და გაახელით. ერთ თვეს უკან შეაკვრევინეთ, თორემ ახალი აღწერილი წახდება. ახლა კ-დ გებოძათ უფრო მცირე გარდაწერილი და ამასაც ვეცდებით, ამისთანა წიგნაკების აღწერის ჩვეულება არა მაქვს და ან რა არის თქვენი ჰირიმე ვინც ამას თარგმნის, მაგრამ ბრძანებას ვინმე წინაღულდგა!“

1822 წ. ოქტომბერში ოსე წერს: „თუ გნებავსთ დავითნის თარგმანს დაგიწერთ, ანუ წელიწადში რაც მოწამის ხსენება მოვა, ანუ

მღვდელ მთავართა, ანუ წმიდათა მოწამე ქალწულთა და ღირსთა დედათა, თვითეულად იამბიკოდ თქმულს უცხოს რომ ჩვენ ქვეყანაში არავისა აქვს სძლისპირზედ თქმული და რითაც სატანჯველებით წამებულ ან შიგან არის იოანე პეტრიწისაგან შემოღებული და აღწერილი. ამათ გარდაგიწერ, თუ ამ ვალს გარდამიხდი“.

1823 წ. იანვარში ოსე წერს: „თქვენი სეინდისის ლოცვები“ მიახლებია, რაც ჩემგან შესაძლო იყო დავადგინე შრომით გზას ზე აღმაეალსა, დედანიც მიახლებია“.

ოსე დედოფალ ანას სწერს თავისი და ჯაქარიას განცხადებისა გამო:

„ჩემო ხელმწიფე ეს ლალიცინის წიგნი კარგად გადაათარგმნიეთ, ვინც კარგი მწერალი და მეროქიკი იყოს“.

1823 წ. ივნისში ოსე წერს: „მოგერთვით ჩემი აღწერილი ქვეს მიერი მოცემული ეპისტოლე, რლი წარეგზავნა მთავარსა ავგაროს თადეოსს მოციქულისა მიერ და თუ მოგერთვა, არა უწყვი ესე. ახლა ეს მცირეს ტანზედ აღგიწერე ოქროს შეთხზულის მეღნით. შენ ოქროვანსა მაგას განშევენებულსა რათა გაქვენდეს ესე განშევენებულად“.

1823 წ. ივნისი (ოსე გაბაშვილი). „რუსული ენა არ ვიცი და ამ მონასტერსა და ქალაქში არც ერთი იპოვება იცოდეს ქართული; რადგან არ ხერხდება ჩვენი გაშეება და მსახურება ჩემს ქვეყანაში და ჩემს მონასტერში, ეს წყალობა მაინც მიიღონ. — ან მოსკოვს. ანუ ასტრახანს. ანუ ყიზლარს, ანუ მონასტერსა მას მაკარიისასა, ანუ მოსდოქს, რომელსა შინა არიან სამღვდელონი ქართულენი, ეგება უმოძღვროდ არ მეწიოს სიკვდილი მოხუცებულობისასა შა... ასე უპატრონოდ ძაღლსა არ მოკლავს კაცი. ეშმაკის სადგურმან მესტამბის შვილმან მეფის ბეჭედი მოსჭრაო, ნაცვლად მე მსტანჯავენ!“...

1823 წ. მაისში ოსე წერს: „კონდაკი დაეწერე კარგი ლოცვანის ტანზე ხუტურად ოქროს ვარაყის ასომთავრულებით, მაგრამ ამის გამოსაცემნი ფული ვერ ვიშოვნე... მალე გაახლებთ კარგად შეაკვრევენით...“ და განაგრძობს იქვე — „თუ რამე წიგნი გაკლდეს, ანუ სამღვდელო ანუ საერო, მიბოძეთ მისის დედანითა და კარგის ქალადითა, გნებაეს ხუტურად დაგიწერთ და თუ გნებაეს ნუსხათ და თუ გნებაესთ თავხელათ მხედრულად. მოკლითაც გახლავარ და თავსაც კარგად შევიქცევთ ჩემო ხელმწიფეო“.

1823 წ. დეკემბერში ოსე აუწყებს დედოფალს: „დიად მცირე სამოციქულო მისის სარჩევით და ოქროს ასომთავრულებით და ეგრეთვე სახარება ზომა მისი ოქროს ასომთავრულებით, დახატული თავიდან ბოლომდე დაგიწერე... მალე გაახლებ, ჯერ მაინც არ შეიკვრის ახალი დაწერილი გახლავს“.

სხვა ცნებათა და ტერმინების მოტანაზე, რომელნიც უხვადაა ოსესა და ზაქარია მრავალრიცხოვან წერილებში გაფანტული, წიგნის ხელით გადაწერა-მოკაზმვის ხელოვნებაზე, ჩვენ აქ ვერ შეეჩერდებით. ავლნიშნავთ მხოლოდ, რომ ამ წერილებთან ერთად საჭიროა სპეციალური კვლევა ქართული ტერმინოლოგიისა წიგნის ხელით გადაწერის ხელოვნებაზე ისეთი მდიდარი ტრადიციათა მქონე ქვეყნისა, როგორც საქართველოა, — თავისი უნიკალური მრავალრიცხოვანი ხელნაწერი ძეგლებით (დაწყებული IV საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით); ეს პრობლემა ვფიქრობ ღირსია სპეციალური გამოკვლევისა. წიგნის ხელით გადაწერის უმდიდრესი ცნებები და ტერმინები დღეს თითქმის უკვე აღარაა ხმარებაში და მათი დიდი ნაწილი ბუნებრივია დავიწყებას ეძლევა; საჭიროა მკვდრეთით აღვადგინოთ ქართული კულტურის, მის მწიგნობრობასა და მწერლობასთან დაკავშირებული ქართული ტერმინები და ცნებანი. — ქართული წიგნის ეს დიდი ენათმეცნიერულ-ისტორიული მემკვიდრეობა იმ მოთხოვნათა დონეზე, როგორც ამას ქართული მწიგნობრობისა და წიგნის მეცნიერული ისტორიის შემუშავების ინტერესები გვავალებს.

4. **ზრუნვა ქართული ხელნაწერი და სტამბური წიგნების შეგროვების, საინფორმაციო და ციფრული და მათი კატალოგების, შედგენისათვის.**

წიგნთმცოდნეობაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ძველ ხელნაწერ და ნაბეჭდ წიგნთა კოლექციების დროულად შეგროვებას და პირველ-ყოვლისა ამ წიგნების ქრონოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული კატალოგების შემუშავებას.

ქართული სტამბურად ნაბეჭდი წიგნების მეცნიერული ბიბლიოგრაფიის შედგენა იმდენად გვიან დაიწყო, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში, ქვეყნის კოლონიური სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გამო, ხალხში თითქმის დაკარგული იყო ხსოვნა ძველი ქართული სტამბისა და ნაბეჭდი წიგნის არსებობის შესახებ.

სულ სხვა მდგომარეობა იყო რუსეთში. ძველად დაბეჭდილი წიგნების შეგროვებას, აღრიცხვასა და დაცვას იქ ადრინდანვე მიექცა ყურადღება. განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ამ საქმეში ანდრია ივანეს ძე ბოგდანოვს (1692—1766), რომელმაც გამოაქვეყნა: „Краткое собрание печатных книг всех российских типографий“, და მიხეილ პოგოდინს (1800—1875), ცნობილ ისტორიკოსს, დაუდალავ მოგზაურს. მაგ., მხოლოდ პოგოდინის მდიდარ კოლექციაშია დაცული

ერთადერთი ეგზემპლარი 1565 წ. დაბეჭდილი „ჩასონიკი“-სა, ასევე მანვე აღწერა დაბეჭდილი, მაგრამ ხალხში გაუფრცხვლებელი წიგნები⁴⁰.

ძველ ქართულ ხელნაწერ წიგნთა ტექსტის ბოლოს წიგნების სიის მოთავსების ტრადიციული ჩვეულება შემდეგში მესტამბეებს რამდენადმე შეუენარჩუნებიათ. მაგ., ქრისტეფორე კეყერაშვილ-ბადრიძე მის მიერ 1793 წელს თბილისში გამოცემულ წიგნში დასძენს: „დავბეჭდე შრომითა და საფასითა ჩემითა (1) დაუჭლომელი მხედრული უ (400 ც.), (2) კიტაის სიბრძნე უ (400 ც.), (3) ლოცვანი ჩ (1000 ც.),

⁴⁰ А. Г. Ф о м и н. Книговедение как наука, I, 1931. რუსეთში წიგნის მკოდნობისა და წიგნის ბეჭდვის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა რუმინ-ევერსელუმს წრემ, „არა მარტო იარაღით“, ამ დევობით რუმინეცემა (1754—1828) მკოდრი საფუძველი ჩაუყარა ბეჭდური წიგნისა და მატერიალური კულტურის ძეგლთა კოლექციების — მონეტების, ხელნაწერების, მედლების, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული უნიკუმების შეგროვებას, რომლებიც საფუძვლად დაედო ახლანდელ მოსკოვის რუმინევერსელ მეზეუმს და სსრ კემირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას.

გრაფმა რუმინეცემა თავის ირგვლე შემოიკრბა ცნობილი ისტორიკოსები, ფილოლოგები და არქეოლოგები, როგორიც იყენენ აკად. ი. ხ. გამელეი (1788—1861), ა. ხ. ვოსტოკოვი (1781—1864), კ. ფ. კალეილოვიჩი, პ. მ. სტასოვი, ე. ბოლხოვიტინოვი, პ. ი. კეპენი და სხვ.

ამ წრემ რუმინეცევის გავლენის გამოყენებით ზედმიწევნით დიდმნიშვნელოვან კულტურულ წამოწყებებს მისცა დასაბამი. მათ 1813—1826 წწ. გამოსცეს 40-ზე მეტი ისტორიული გამოკლევა და რიგი კაპიტალური გამოკლები, მკვალთოდ მოხტომეული „Собрание государственных грамот и договоров...“, „Содн-нскнй временник“ და დოკუმენტები და შრომები წიგნის ბეჭდვის შესახებ. ყოველივე ეს ეპოქის ქმნიდა და იწოდებოდა „რუმინევერსელად“. რუმინეცევის წრის აქტური წევრი იყო აკად. პეტრე ივანეს ძე კეპენი (1793—1864), კაცი უაღრესად მრავალმხრივ განათლებული და ფართოდ ერუდირებული (იხ. Ф. П. Келпен. Биография П. И. Келпена, СПб, 1911; Юбилей П. И. Келпена, СПб 1860: კეპენმა ეს წრე უაღრესად ფართო ასპარეზზე გამოიყანა. მრავალმხრივი ვახადა და თავისი ეპოქის საზეცნიერო-საზოგადოებრივ მოძრაობად აქცია, დაქვემდებარა მამინდელ აქტუალურ ამოცანებს. კეპენი შეცნიერული შესწავლის ობიექტად აქცეედა თავის შრომებში — ეთნოგრაფიას, გეოგრაფიას, სტატისტიკას, ბიბლიოგრაფიას, არქეოლოგიას, ისტორიას და ბოგრაფიას (იხ. А. А. Куннк, Литературные труды П. И. Келпена. Сборник статей... 1858. т. П. СПб). კეპენი ბერის მოგზაურობდა, იგი მიწერ-მოწერას აწარმოებდა რუსეთის ხალხებსა და საზღვარგავოთის ქვეყნებთან.

კეპენმა 1825 წ. დაიწყო ეურნალ „Библиографические листы“-ს გამოცემა, პირველსავე ნომერში დაიწყო გამოქვეყნება „Хронологическая роспись первопечатным славянским книгам“.

აკად. კეპენი პირველი მკლეუარი იყო, რომელიც დაინტერესდა საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებით. ჯერ კილეე ვასული საუკუნის 30-იან წლებში მან დააყენა საკითხი ამ ძეგლების აღრიცხვისა და დაცვის შესახებ (იხ. ა. იოსელაანი, ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 355—357).

(4) სახარება ყ (800 ც.), (5) სამოციქულო ჩ (1000 ც.), (6) სახარება მეორედ ყ (800 ც.), (7) მარხვანი ჩ (1000 ც.)⁴¹.

წიგნების დასახელებასთან ერთად მოცემულია თითოეულის ტირაჟი. უფრო ადრე მოსკოვს თბილელ-მიტროპოლიტის ათანასე ამილახვრის სტამბაში დაბეჭდილ წიგნში მოცემულია წიგნების დასახელება და ტირაჟი დაბეჭდილ წიგნთა. მაგალითად: „დაიბეჭდა სამღვთო სახარება გამოკრებული რიცხვით ექვსასი და პირველ ამისა დაიბეჭდა დავითნი შვიდას ოცი და სამოციქულო რეაას ორმოცდაექვსი“⁴².

1776 წ. შედგენილ იმერეთის საკათალიკოსო ტახტის წიგნების სიაში ჩამოთვლილია ხელნაწერი და სტამბური წიგნები: 1. „საწინაწარმეტყველო სტამბისა“, 2. „სახარება სტამბისა“... და ა. შ. აგრეთვე გელათის საკათალიკოსო წიგნების სია: „დიონისე არეოპაგელის წიგნი“. „საწინაწარმეტყველო — სტამბისა“, „სტამბის სახარება“, „ქართველთ მამათა ცხოვრება“ და სხვ⁴³.

მე-18 ს. ბოლოს სახელმწიფოებრივი მმართველობის პროექტით გათვალისწინებული იყო საქართველოში, სახელმწიფო არქივის („დავთარხანის“) გვერდით, ბიბლიოთეკის ორგანიზაცია. ბიბლიოთეკის სახელში „ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი, რაც შეიძლებაოდეს. იქ იცევაოდეს. აგრეთვე სახეები და მაგალითები მხატვრობებისა, შენეზულობათა და სხვათა ხელოვნებათა, — და ვისაც ენებოს, მოვიდნენ და თავისის ხარკით იქ გარდნიწერდნენ და გარდაიღებდნენ სახეთა, რომ გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს“⁴⁴.

რუსული წიგნის სამოქალაქო ანბანით ბეჭდვის ტრადიცია ჩაისახა XVI—XVII სს., რაც პეტრე 1-ლის მეფობის დასაწყისიდანვე განვითარდა და დამკვიდრდა მისივე ინიციატივით.

პეტრე პირველის მეფობის (1689—1725) წლებში რუსული წიგნის ბეჭდვამ დიდი ცვლილება განიცადა, 1799 წ. სლავური ანბანი კირილიცად გადაკეთდა ანუ სამოქალაქო ანბანად. ამ გარდაქმნების დროს ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი გვერდში ედგა პეტრეს, იგი ასევე განუყრელად ახლდა პეტრეს ევროპაში, — ალექსანდრეს არტილერიის პირველი ფელდცეხმეისტერის თანამდებობა ეჭირა.

პეტრე პირველის ეს ღონისძიებანი საფუძველს აცლიდა ბოიარული რუსეთის კლერიკალურ-ეკლესიურ დრომოკმულ ჩამორჩენილობას და თავისი ობიექტური შედეგებით ხელს უწყობდა რუსეთის

⁴¹ „სამოციქულო“, ტფილისი, 1793, ინახება თსუ-ს წიგნსაცავში.

⁴² „სახარება“ საკითხავად, 1766, მოსკოვი, ინახება თსუ წიგნსაცავში.

⁴³ დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები, 11, გვ. 55—56, 68—69.

⁴⁴ იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, 1957, თბ., ივ. სურგულაძის პუბლიკაცია.

გამოყვანას ჩამორჩენილობიდან პროკრესის დიდ შარავნაზე. რამე-
ლიც ყმურ მდგომარეობაში მყოფი ვლახობის ექსპლოატაციის გა-
ღრმავებისა და მათი შემდგომი დამონების ვნით ხორციელდებოდა.

ნაბეჭდი წიგნების დაცვის, აღრიცხვისა და შთანთქმავლობისადაც
უდანაქარგოდ გადაცემის ასეთი დიდი ტრადიციები, როგორც ვაჟო-
წმენდით. აღრიდანვე შემუშავდა რუსეთში. მაგრამ ამ ტრადიციას.
კარვად დაცულ იმპერიაშიც კი იყო შემთხვევები ნაბეჭდი წიგნთა, სო-
ჭერ მთელი ტირაჟის დაღუპვისა.

მაგ. რუსეთის „სამოციქულოს“ პირველი გამოცემის მოულოა-
ბეველი ტირაჟი, როგორც ფიქრობენ. სტამბაშივე დაწნა და
განადგურდა მოსკოვზე პოლონელების თავდასხმისა და ქალაქის
განადგურების დროს. ეს მოხდა 1564 წ. ისე, რომ არცერთ ცალა მკო-
თხველებამდე არ მიუღწევია. ასეთ პირობებში ვანა ვასავერია. რომ
ვახტანგ VI. ერეკლე მეორისა და სოლომონ მეორის უთანასწორო
ბრძოლების ასპარეზად ქუეულ სამეფოებში, მეტად რთულ პირობებ-
ში, მოქმედ სტამბებში, დაბეჭდილ წიგნთა გარკვეულ ნაწილს ჩვენამ-
დე არ მოედწიოს!!!

როცა ვითვალისწინებთ ქვეყნის ამგვარ რთულ ისტორიულ ვა-
თარებას, ძნელია დაეთანხმო მოსაზრებას. რომ, თითქოს. ძირითადად
„ქართული სტამბის ყველა გამოცემა აღწერილიაო“. ქართული სტამ-
ბების ყველა გამოცემა ჩვენამდე სამწუხაროდ არ მოუღწევია. ვასა-
კვირი ისაა მხოლოდ, როგორ მოხერხდა და მოაღწია ჩვენამდე ნაბეჭდ-
მა წიგნებმა იმ რაოდენობით, რაც დღესდღეობით ხელთ გვაქვს.

ჩვენ არ მოგვეპოვება სტამბურად დაბეჭდილ ქართულ წიგნთა
სრული და ამომწურავი კატალოგი. მეცნიერული კვლევამების წარ-
მართვისა და საერთოდ წიგნის მკვლევარობის საფუძვლიანად შეწყვე-
ლისათვის ასეთი ზუსტი მონაცემები განსაკუთრებული მნიშვნელობის
საყრდენი წყაროა.

მაგალითად, ჩვენამდე არ მოუღწევია თბილისის სტამბაში 1712 წ.
დაბეჭდილ „კვერექს“⁴⁵.

ონოფრე მაჭუტაძეს გარეჯის „დიდ გუჯარში“, სამონასტრო ინ-
ვენტარის ნუსხაში (შეადგინა 1712 წ.), ბერძნულ და რუსულ წიგნებ-
თან ერთად დასახელებული აქვს ქართული სამღვდელთმსახურო წიგ-
ნები — „ხელნაწერი“ და „სტამბისა“, მაგ. „კონდაკი“ — 7 ცალი,
სტამბის „კონდაკი“ — 5 ცალი⁴⁵. ამრიგად, მონასტერში თითოეული
წიგნი რამდენიმე ცალად იყო დაცული და აღრიცხული. ესენია რო-
გორც ხელნაწერი, ასევე ვახტანგის სტამბაში 1712 წლამდე გამოცე-

⁴⁵ თ. ჟორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრების ისტორიული საბუდეები, ფოთ,
1899, III—1984 წ.

მული წიგნები. ამ უკანასკნელთა შორის დასახელებულია „კვერეკისი“, რომელსაც არ მოუღწევია ჩვენამდე. „კუერეკისი ძლევისათვის და შეწევნისა მხედრობისათვის“ — 1788 წელს მეორედ დაიბეჭდა თბილისში. ვახტანგ VI სტამბაში გამოცემული წიგნების სრულ სიას, თანამედროვეთა მიერ სიზუსტით აღწერილს, ჩვენამდე არ მოუღწევია⁴⁶.

თბილისში, ისე როგორც ქუთაისის სტამბებში, დაბეჭდილი წიგნები, მიუხედავად იმისა, რომ მთელ საქართველოში ვრცელდებოდა, ძალზე ცოტა შემოგვრჩა, ანდა ზოგი დღემდე მიუძღვევია. მაგ., ვახტანგ VI სტამბაში 1722 წელს დაბეჭდილი „ჟამნი“ და ერეკლესა და ანტონ 1-ის სტამბაში 1763 წ. დაბეჭდილი „ლოცვანი“ ერთადერთ ეგზემპლარადაა შემორჩენილი და დაცული ქუთაისის მუზეუმში.

ქართულ ხელნაწერთა კატალოგიზაცია-აღწერის შემუშავებაში დიდი მნიშვნელობის ნაშრომია პროფ. ალ. ცაგარლის სამტომიანი „ცნობარი“ (რუსულ ენაზე)⁴⁷.



ქართული ბეჭდური ეროვნული წიგნების შეგროვება და კატალოგების შედგენა საქართველოში ძალზე დაგვიანებით დაიწყო. ამ საქმეს ყურადღება მიექცა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი შოძრაობის აღმავლობის საფუძველზე, XIX ს. მეორე ნახევრიდან. 80-იანი წლებიდან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (1879), საეკლესიო მუზეუმის (1889), საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების (1907) ჩამოყალიბებით და მათი ნაყოფიერი მოღვაწეობით ქართული ისტორიული ძეგლების შესწავლა-დაცვასთან ერთად გაღრმავდა როგორც სტამბურად ნაბეჭდი, ისე ქართული ხელნაწერი წიგნების შეგროვება.

ქართული სტამბისა და ნაბეჭდი წიგნების ისტორიის შესწავლა XIX ს. 20—30-იანი წლებიდან იწყება. „თბილისის უწყებათანი“ და 1832 წ. გამოცემული მისი ლიტერატურული დამატება „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ დოდაშვილის მონაწილეობით პროგრესულ-განმათავისუფლებელ ორგანოდ იქცა. ყურნალში დო-

⁴⁶ საგულ-სხმოა ისიც, რომ XVII საუკუნის ნახევარში ა. სუხანოვის მიერ აღონის ივერიის მონასტრიდან წამოღებულ ხელნაწერებს „შორის სტამბურად ნაბეჭდი 4 წიგნი აღმოჩნდა. ესენია ფლორენციისა და ფრანკფურტის სტამბებში 1499, 1527, 1581 და 1548 წლებში ნაბეჭდი წიგნები.

⁴⁷ Сведения... ალ. ცაგარლის ამ ნაშრომის 1 ტომი გამოცა 1886, 11 ტ. 1889, III — 1894 წ.

დამვილმა დაბეჭდა წერილი „მოსკოვის უწყებათანის ლიტერატურულ დამატებანის“ შესახებ, რომელშიაც გამოთქვამს მოსაზრებას XVIII ს. საქართველოში სტამბის დაარსების ისტორიისა და მისი კულტურის შესახებ, მაგრამ 1832 წ. შეთქმულების გახსნის შემდეგ ეს დიდი წამოწყებანი 60-იან წლებამდე შეწყდა. ჯერ კიდევ 1828 წ. ს. ლოდაშვილის გავლენით ა. პლიუშარის „ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ დაიბეჭდა ორი წერილი არჩილ მეორისა და ვახუშტი ბაგრატიონის შესახებ (იხ. გვ. 423).

მოგვიანებით ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ძველი ქართული ბეჭდური წიგნების შეგროვებას. ასე გრძელდებოდა XIX ს. 70-იან წლებამდე. მაგ., ქუთაისში სვიმონ აბაშიძის ოჯახში შემორჩენილი ნაბეჭდი „კონდაკი“ დ. ბაქრაძეს და სხვიტორელსაც კი ერთბაშად უჩვეულო აღმოჩენად მიუჩნევიათ. სინამდვილეში ეს იყო 1710 წელს ვახტანგ VI სტამბაში დაბეჭდილი „კონდაკის“ შემთხვევით გადარჩენილი ეგზემპლარი, რომელიც აბაშიძის ოჯახში ყოფილა დაცული⁴⁸.

ქართული ხელნაწერი და სტამბურად დაბეჭდილი წიგნების, სიგელ-გუჯრების შეგროვებაზე, მათ აღრიცხვაზე, სათანადო კატალოგების შედგენასა და მეცნიერულ შესწავლაზე რამდენადმე გეგმავლობიერი მზრუნველობა საქართველოში, ცარიზმის ბატონობის პირობებში, დაგვიანებით დაიწყო. ქართული კულტურის ამ დიდ საქმეს მხოლოდ XIX ს 80-იანი წლებიდან მიექცა ყურადღება. საგლეხო და სხვა სახალხო რეფორმების საფუძველზე აღმოცენებული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების (1879 წ.) დღიდან. ეს საზოგადოება დაარსდა დ. ყოფიანის ხელმძღვანელობით და თერგდალეულთა აქტიური მონაწილეობით. ილია ჭავჭავაძე მოკლე ხანში სათავეში ჩაუდგა წერა-კითხვის საზოგადოებას, რომელიც, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართველთა ეროვნულ თავშესაფრად იქცა“.

წერა-კითხვის საზოგადოებას დებულებით, თითქოს, არ ევალებოდა ქართული ხელნაწერი წიგნებისა და სიგელ-გუჯართა მოვლა-პატრონობა, მაგრამ ქართველ მოღვაწეთა ენერგიული მოქმედებით წერა-კითხვის საზოგადოება არსებითად ქართული სულიერი და ნივთიერი კულტურის დაცვისა და განვითარების თავგამოდებულ მზრუნველად გვევლინება.

⁴⁸ ვახ. „დროებაში“ 1875 წ. № 38-ში სხვიტორელი (დ. წერეთელი — აკაკის ძმა) იძლევა 1710 წ. „კონდაკის“ პირველ აღწერილობას, ხოლო 1878 წ. — დ. ბაქრაძე — იხ. არქეოლოგიური მოგზაურობანი აქარასა და გურიამი. გამოცემა პეტერბურგში (რუსულად).

ქართული ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნების, სიგელ-გუჯარების მოძიება, დაცვა და აღრიცხვა მათი მოღვაწეობის გადაუდებელ საქმედ იქცა და სულ მოკლე ხანში უაღრესად დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. თავდაზნაურთა ბევრი დიდი საგვარეულოს დანგრევის პირას მისული ოჯახებიდან დალუპავს გადაარჩინეს მამა-პაპათა უნიკალური წიგნებისა და საბუთების დიდი ნაწილი.

ხელნაწერი წიგნებისა და საბუთების შეგროვებას ბევრი გულშემატკივარი პატრიოტი აღმოაჩინდა. მაგალითად, 1880 წ. ალექსანდრე სარაჯიშვილმა წერა-კითხვის საზოგადოებას შესწირა 20 ხელნაწერი და 8 ნაბეჭდი წიგნი.

ილია ჭავჭავაძემ და ი. შალიკაშვილმა საზოგადოებას ოცი ხელნაწერი წიგნი გადასცეს უსასყიდლოდ, მათ შორის „რუსუდანიანი“, საპას „სიტყვის კონის“ ორი ეგზემპლარი. დიმიტრი ყიფიანი, ისტორიკოსი დ. ბაქრაძე და ბევრი სხვა გამოჩენილი მოღვაწე მამულიშვილი-პატრიოტი მაგალითს აძლევდა ფართო საზოგადოებას ქართულ ხელნაწერთა შეწირულებით, ქველმოქმედებითი მეცენატობით გაემდიდრებიათ დიდი და ფასდაუდებელი საგანძური ერისა ხელნაწერებით, რომელთაც დალუპავა ემუქრებოდა.

ამ მხრივ საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია სამეგრელოს მთავრის მემკვიდრის, ისტორიკოს ნიკო დადიანის მამულიშვილური მოქმედება, რომელმაც წერა-კითხვის საზოგადოებას გადასცა სამთავროს უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც გორდში, დადიანების საზაფხულო სააგარაკო რეზიდენციაში, ინახებოდა. ნიკო დადიანი ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ახლო მეგობარი იყო.

